



ქართული
ემიგრაცია



11/2024

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

გიორგი მაჩაბლის ფონდი

ქართული
ემიგრაცია

თბილისი

უაკ (UDK) 3252 (=353.1)
ქ-279

გარეკანის დიზაინი: პაატა ნაცვლიშვილი

ISSN 1987-9687

ქართული
ემიგრაცია

11/2024

სარედაქციო

კოლეგია:

რედაქტორი

ოთარ ჯანელიძე (თბილისი, საქართველო)

ლაშა ბაქრაძე (თბილისი, საქართველო)

რუსუდან დაუშვილი (თბილისი, საქართველო)

გიორგი მამულია (პარიზი, საფრანგეთი)

მალხაზ მაცაბერიძე (თბილისი, საქართველო)

პაატა ნაცვლიშვილი (თბილისი, საქართველო)

ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი, საქართველო)

ოთარ პატარიძე (პეროს-გირეკი, საფრანგეთი)

იოსებ ყორდანია (მელბურნი, ავსტრალია)

დავით ყოლბაია (ვარშავა, პოლონეთი)

შინაარსი

ქართული ემიგრაციის ისტორია	7
პაატა ნაცვლიშვილი / არგენტინის ქართული სათვისტომოს ისტორიისათვის ...7	
დოდო ქუმბურიძე / კონსტანტინოპოლის ქართული წარმოადგენლობის ურთიერთობა თურქ პოლიტიკოსებთან ორი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესთა კონტექსტში (1921-1923 წწ.).....	55
გაგა შურღია / ვენეციური საარქივო მასალები ქართლის მეფის, სიმონ I-ის შესახებ	62
მაია ცერცვაძე / თამარ ბატონიშვილთან გამოგზავნილი დიმიტრი ბატონიშვილის წერილები	87
პაატა სურგულაძე / ნოე ხომერკის პოლიტიკური პორტრეტისათვის	99
ნიკო ჯავახიშვილი / შტრიხები ზურაბ ავალიშვილის ბიოგრაფიისათვის	108
ნიკოლოზ სეფიაშვილი / უცნობი ქართველი იუნკერი – პრინცი დავით ვაჩნაძე	121
1924 წლის აჯანყების 100 წლისთავი	127
ოთარ ჯანელიძე / 1924 წლის აგვისტოს აჯანყება ასი წლის გადასახედიდან	127
მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის	135
მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის პოლონეთში (კაპიტან სვიმონ კობიაშვილის ორი უცნობი დოკუმენტი) / პუბლიკაცია მოამზადეს ოთარ ჯანელიძემ და დავით ყოლბაიამ	135
„კომუნისტური ნოვრასია“ ანუ, ნოვოროსიისკის ქართველობა 1920 წელს – მზვერავის მონათხრობი / პუბლიკაცია მოამზადა ნიკო ნიკოლოზიშვილმა	151
რევზ გულაშვილი / ქართული ბატალიონი „ბერგმანი“ მეორე მსოფლიო ომში პუბლიკაცია მოამზადა რუსუდან დაუშვილმა	156
ალექსანდრე სულხანიშვილის ეპისტოლეური მემკვიდრეობიდან / პუბლიკაცია მოამზადა ლალი ცომაიამ	179
სტუდენტური დებიუტი	192
ნიკა ბურჯანაძე / გენერალი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი	192
მარიამ გოგია / ჟურნალი „ჩვენი გზა“ და მისი მნიშვნელობა ამერიკის ქართული ემიგრაციისთვის	197

ელენე ხაჭაპურიძე / აკაკი ჩხენკელი და ტუბერკულოზით (ჭლექით) ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტი პარიზში	203
ქართული ემიგრანტული მიმკვიდრეობა.....	209
ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე / ვარლამ ჩერქეზიშვილის ხსოვნას.....	209
რეცენზია	211
მარიამ მარჯანიშვილი / ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ემიგრანტ ლადო არველაძის შემოქმედების კვლადაკვალ	211
ახალი წიგნები ქართულ ემიგრაციაზე.....	215
ძრონისკა	216
ქურნალის ავტორები	217

პაატა ნაცვლიშვილი

არგენტინის ქართული სათვისტომოს ისტორიისათვის

არგენტინა პირველი ქვეყანაა, რომელმაც ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს ისტორიული ფაქტი 1919 წლის 15 სექტემბერს მოხდა. ქართველთა კოლონია და სათვისტომო კი არა, ახლა ძნელი დასადგენია, იყო თუ არ იმ პერიოდში არგენტინაში თუნდაც ერთი ქართველი, თუნდაც დროებით, თუნდაც გავლით...

საერთოდ, არავინ იცის, ვინ იყო ის პირველი ქართველი ემიგრანტი, რომელმაც არგენტინაში გადაწყვიტა დასახლება, თუმცა დიდი ალბათობით, ეს XX საუკუნის 20-იან წლებში უნდა მომხდარიყო, როცა არგენტინა ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ქვეყანა გახდა ემიგრანტთათვის. არგენტინა დიდად ახალისებდა ემიგრაციას თავის ქვეყანაში და ამით თავისი მოსახლეობის მუშა-ხელით თუ ინტელექტუალური რესურსით ზრდასაც უწყობდა ხელს და ეკონომიკის განუწყვეტილ და განუხრელად განვითარებასაც. ამგვარი პოლიტიკა კიდევ უფრო აქტიურდებოდა მსოფლიო ომების შემდეგ, როცა ხალხთა მიგრაციას გარდა ეკონომიკური მიზეზებისა, პოლიტიკური მიზნებიც განაპირობებდა. ეს განსაკუთრებით ითქმის მეორე მსოფლიო ომზე, რომლის დასრულების შემდეგ არგენტინამ უფრო ფართოდ გაუღო კარი ომისგან გაპარტახებული ევროპელ მიგრანტებს, რომელთა შორის საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ რეემიგრანტები – სხვადასხვა ქვეყნიდან სხვადასხვა დროს ევროპაში ემიგრირებული და უკვე დასახლებული ათასობით ადამიანი. მათ შორის იყვნენ ქართველებიც. თუმცა ქართველები მანამდეც ცხოვრობდნენ არგენტინაში და, როგორც ირკვევა, თავიანთი სათვისტომოც ჰქონიათ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპიდან გადასახლებულმა ქართველმა რეემიგრანტებმა ბუენოს-აირესში იმდენად ძლიერი ქართული საზოგადოება ჩამოაყალიბეს, რომ მისი როლი და მემკვიდრეობა ერთი ქვეყნის და ერთი კონტინენტის ფარგლებს გასცდა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ არგენტინა იმ თითებზე ჩამოსათვლელ ქვეყნებს შორისაა, სადაც ქართული წიგნი დაბეჭდილა და სადაც ქართული პრესა გამოდიოდა. მეტიც – სწორედ არგენტინაში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი, გაზეთი თუ ჟურნალი ამერიკის კონტინენტზე. არა წევრთა რაოდენობით, მაგრამ თავისი მნიშვნელობით, არგენტინის ქართული სათვისტომო ტოლს არ უდებდა ისეთ სათვის-

ტომობებს, როგორებიც იყო საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის, ამერიკისა თუ ზოგიერთი სხვა ქვეყნის ქართული კოლონიები. ადრე არსებულ სათვისტომოსთან შედარებით, იგი იმთავითვე გამოირჩეოდა თავისი საზოგადოებრივი, კულტურული და პოლიტიკური აქტიურობით, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც ევროპიდან გადმოსახლებული ახალი ემიგრანტები, ისე არგენტინაში წლების წინ დამკვიდრებული ქართველები.

არგენტინაში ქართველების ჩამოსახლებისა და დასახლების შესწავლა ერთი მნიშვნელოვანი დასკვნისაკენ გვიბიძგებს: არგენტინელი ქართველები რეემიგრანტები იყვნენ და არგენტინაში ძირითადად ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან მოხვდნენ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის უცნობია, თუ ვინმე საქართველოდან პირდაპირ არგენტინაში ჩავიდა ან არგენტინაში წასვლის მიზნით დატოვა საქართველო. ეს თავისებურება დღემდე ახასიათებს არგენტინის ქართულ ემიგრაციას. ერთ-ერთი ბოლო ემიგრანტი – დოქტორი გოჩა შათირიშვილი, რომელიც დღეს გოჩა გაიოზის სახელით არის ცნობილი – ევროპაში რამდენიმეწლიანი ცხოვრებისა და განსწავლის შემდეგ ჩავიდა ბუენოს-აირესში. ამჟამად ის გამოჩენილი ხელოვანი და ანტიკვარული ნიგნების ერთ-ერთი ცნობილი კოლექციონერია.

სხვათა შორის, იგი პირველი იყო, ვინც საქართველოსა და არგენტინის სახელმწიფოებრივი ურთიერთობებით დაინტერესდა და არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროში ის საბუთები მოიძია და მათი ასლებიც გადაიღო, რომლებიც არგენტინის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობასთან იყო დაკავშირებული. ჩვენ საშუალება გვქონდა, მის მიერ მოძიებული მასალის საფუძველზე მოგვეზადებინა სტატია, რომელიც გაზეთ „სამშობლოს“ 1997 წლის მე-4 ნომერში დაიბეჭდა სათაურით – „არგენტინა პირველია, რომელმაც საქართველოს ეს პატივი დასდო“.

სხვა ქვეყნების ქართული სათვისტომოებისგან განსხვავებით, სადაც ემიგრაციაში ცნობილი არაერთი გამოჩენილი ქართველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, არგენტინის ქართული საზოგადოების მნიშვნელობა ძირითადად ორმა სახელმა განაპირობა – ვიქტორ ნოზაძე და აკაკი პაპავა. სწორედ ისინი იყვნენ არგენტინაში ახალი სათვისტომოს დამფუძნებლები. საერთოდ, რომელ ქვეყანაშიც ვიქტორ ნოზაძე ცხოვრობდა, – მას კი ევროპისა და სამხრეთ ამერიკის არაერთ ქვეყანაში უცხოვრია – იმ ქვეყნის ქართველობა მუდამ პირველობდა ქართულ ემიგრაციაში. იგივე შეიძლება ითქვას აკაკი პაპავასა და მის ოჯახზე.

ვიქტორ ნოზაძე (1893-1975) XX საუკუნის ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოღვაწეა. დაიბადა ჭიათურის რაიონის სოფელ წირქვალში. 1913 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტში განაგრძო. 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და სოციალ-დემოკრატიებმა ქუთაისში მიავლინეს, სადაც ხელმძღვანელობდა პარტიულ გაზეთს „სოციალ-დემოკრატი“. მერე კი იგი დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი გაზეთის, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი იყო. 1919 წლის ბოლოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ნოზაძე 70 ახალგაზრდასთან ერთად უცხოეთში გააზავნა სწავლის გასაგრძელებლად. ჯერ ლონდონში იყო, შემდეგ – ბერლინში. უმაღლესი განათლების დასრულების შემდეგ, ბოლშევიკურ საქართველოში აღარ დაბრუნებულა და 1928 წლიდან პარიზში დასახლდა. აქ მან ჟურნალისტური საქმიანობა გააგრძელა და ხელი მოჰკიდა დიდფორმატიანი ლიტერატურულ-მეცნიერული და პოლიტიკური ჟურნალ

„კავკასიონის“ გამოცემას. გარდაცვალებამდე იყო ამ ჟურნალის გამომცემელი, რედაქტორი, კორექტორი, ავტორ-თანამშრომელი, ამწყობი, მესტამბე და ექსპედიტორი. ამას გარდა მრავალი ემიგრანტული გამოცემა – წიგნი თუ ჟურნალ-გაზეთი მის სახელთან არის დაკავშირებული. მაგრამ ვიქტორ ნოზაძემ პირველ რიგში თავისი რუსთველოლოგიური გამოკვლევებით იყო ცნობილი, იქამდე, რომ საბჭოთა საქართველოში, სადაც მისი სახელის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა, მისი რუსთველოლოგიურ შრომებს გვერდს ვერ უვლიდნენ. ვიქტორ ნოზაძე ლონდონის, ბერლინისა თუ პარიზის გარდა, სხვადასხვა დროს ცხოვრობდა არგენტინაში, ჩილეცა თუ ესპანეთში. მისი „ვეფხისტყაოსნის განკითხვანის“ ექვსი მონუმენტური ტომიდან სამი წიგნი სწორედ სამხრეთ ამერიკაში დაიბეჭდა, პირველი მათ შორის – ბუენოს-აირესში. სიცოცხლის ბოლოს იგი პარიზში დაბრუნდა და ლევილში დასახლდა ძმის, გიორგი ნოზაძის ოჯახთან ერთად. დაკრძალულია ლევილში.

აკაკი პაპავა (1890-1964) დაიბადა სამტრედიის რაიონის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტსა და მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. სრულიად ახალგაზრდა საქართველოს ქალაქებსა და დაბეჭდილ კითხულობდა ლექციებს ქართულ ლიტერატურაზე. მისი პირველი წერილები 1910-იანი წლებიდან ქვეყნდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე: „იმერეთი“, „საფიონი“, „კოლხიდა“, „თემი“, „ერი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ცისარტყელა“, „პრომეთე“, „ლომისი“, „ქართველი მწერლობა“, „სახალხო გაზეთი“ და სხვა. 1914 წელს იგი სრულიად საქართველოს სათეატრო მოღვაწეთა პირველი ყრილობის დელეგატად აირჩიეს, ხოლო ქართველ მწერალთა საერთო ყრილობამ აკაკი პაპავა მწერალთა კავშირის მეორე თავმჯდომარედ დანიშნა (პირველი თავმჯდომარე იყო კოტე მაცაშვილი). აკაკი პაპავა იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. პირველი მსოფლიო ომის წლებში აკაკი პაპავა სამხედრო სამსახურში, კერძოდ, კავკასიის ფრონტზე გაიწვიეს, სადაც აირჩიეს კავკასიის ჯარისკაცთა საბჭოს წევრად. რევოლუციამ კავკასიის ფრონტზე მოუხსნო. საქართველოში დაბრუნებული აკაკი პაპავა იყო ქალაქის საბჭოს ხმოსანი, ქალაქის გამგეობისა და ამავე დროს საქართველოს პარლამენტის წევრი, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის განყოფილებას, რედაქტორობდა ორკვირივ სახელოვნო-საინფორმაციო ჟურნალ „ხელოვნებას“. 1922 წელს აკაკი პაპავა თავისი გარდაცვლილი ძმის, ჭიათურის მარგანეცის აქციონერის ბარნაბ პაპავას საქმის გადმოსაბარებლად ბერლინში წავიდა, მომდევნო წელს მას მისი ოჯახიც შეუერთდა და იმ დღიდან იწყება თამარ და აკაკი პაპავების ერთობლივი დაუღალავი ლიტერატურული თუ სამეცნიერო საქმიანობა ემიგრაციაში. აკაკი პაპავა ინტენსიურად თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში – „კავკასიონი“, „ბედი ქართლისა“, „მამული“, „სახალხო გაზეთი“, „ქართული აზრი“. არის ავტორი არაერთი წიგნისა – წერდა ლექსებს, ნოველებს, რომანებს, პიესებს, სამეცნიერო გამოკვლევებს. დიდი წვლილი მიუძღვის დოვლის უცხოეთში გაბნეული ქართული რელიკვიებისა და არტიფაქტების მოძიებისა და გადარჩენის საქმეში. მათ შორის არის სიონის ტაძრის საკურთხევლის ოქრომკედითა და ვერცხლისმკედით ნაქარგი გადასაფარებელი, რომელიც მან 1937 წელს ბერლინში შეიძინა და რომელიც მისმა ოჯახმა უკვე არგენტინიდან საქართველოში გამოაგზავნა რეზო თაბუკაშვილის ხელით. გარდაიცვალა 1964 წლის 27 ივლისს, არგენტინაში. ანდერძის თანახმად, მისი ფერფლი გადაასვენეს საფრანგეთში და ლევილში დაკრძალეს.

თამარ გოგოლაშვილი-პაპავა (1888-1976). დაიბადა მსახიობ სიმონ გოგოლაშვილის ოჯახში. ძალზე ახალგაზრდა გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე, წერდა მოთხრობებს „ქორიანი ტოროლას“ ფსევდონიმით, ამავე დროს თანამშრომლობდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა ვოლდე-მარ ბონზელის ცნობილი წიგნი „ფუტკარი და მია“. 1923 წელს შეიღებთან ერთად შეუერთდა გერმანიაში ემიგრაციაში წასულ მეუღლეს – მენარალსა და პოლიტიკოსს აკაკი პაპავას. უცხოეთშიც განაგრძობდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, მისი ისტორიული ნარკვევები „ისახარის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა პარიზში, ჟურნალ „კავკასიონში“. 1937 წელს გამოვიდა თამარ პაპავას წიგნი საქართველოს ისტორიული მოღვაწე ქალების შესახებ – „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ ექვთიმე თაყაიშვილის წინასიტყვაობით. ამ გამოკვლევის მეორე წიგნი, რომლის პირველი რვეული დარეჯან დედოფალს ეძღვნება და რომელიც ბუენოს-აირესში დაიბეჭდა 1951 წელს, ამერიკის კონტინენტზე გამოცემული პირველი ქართული წიგნი იყო. 1970 წელს თამარ პაპავამ გამოსცა ქართული ემიგრანტული ნეკროპოლის იმ დროისთვის სრული კატალოგი – „გაბნეული საფლავები“. იგი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა არგენტინაში. მისი ფერფლი საფრანგეთში გადაასვენეს და დაკრძალეს ლევილის ქართულ სასაფლაოზე, მეუღლის გვერდით.

ჯერ პაპაევების ოჯახისა და ვიქტორ ნოზაძის ძალისხმევით, მერე კი უკვე პაპავას დიდი ოჯახის წყალობით, წლების განმავლობაში არგენტინაშიც ჩქეფდა ქართული ემიგრანტული კულტურული, საზოგადოებრივი და დიდწილად პოლიტიკური ცხოვრება. არგენტინის ქართული სათვისტომოს პირველ თავმჯდომარედ ვიქტორ ნოზაძე აირჩიეს, მომდევნო თავმჯდომარედ – თამარ პაპავა, ხოლო სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარე პირველი არჩევნებიდანვე აკაკი პაპავა იყო. მათ გარეშე მოტრიალებდა სათვისტომოს მთელი საქმიანობა, რომელიც მართლა სამაგალითო იყო არსებობის ნებისმიერ ეტაპზე.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან პაპაევების მისამართზე გამოგზავნილი წერილები, აკაკი პაპავას უმდიდრეს ბიბლიოთეკასთან ერთად, ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობის უნიკალური ნაწილია. აკაკი და თამარ პაპაევების ანდერძი, რომ ამ მემკვიდრეობას საქართველოში დაედო ბინა, მათმა ქალიშვილებმა – ტურფა პაპავა-ჭყიშვილმა და მზია პაპავა-ჭყიშვილმა სისრულეში მოიყვანეს და მათმა შვილიშვილებმა პრაქტიკულადაც დაადგეს თავი. ბედმა ისე ინება, რომ თამარ და აკაკი პაპაევების შვილების გადაწყვეტილებით, პაპაევების არქივის საქართველოში ჩამოტანის არა მარტო მოწმე, არამედ აქტიური მონაწილე ვიყავი – მათ ამ საქმის განხორციელება მე მანდეს და დამავალეს. დღეს თამარ და აკაკი პაპაევების უნიკალური ბიბლიოთეკა და არქივი ქართული ხელნაწერების ეროვნულ ცენტრშია დაცული მათივე სახელობის კაბინეტში, რომელიც ამ ცენტრის მაშინდელი დირექტორის, პროფესორ ბუბა კუდავას მხარდაჭერით გავსენით. ბუბა კუდავამ და მის მიერ მოძიებულმა სპონსორებმა დიდი როლი შეასრულეს არგენტინიდან პაპაევების არქივის ჩამოტანის საქმეში.

სხვადასხვა დროს ამ არქივის საფუძველზე მოეწყო არაერთი გამოფენა, გამოიცა წიგნები, დაიბეჭდა სამეცნიერო გამოკვლევები და სხვა პუბლიკაციები. ჩვენი ეს დღევანდელი სტატიაც ამ არქივში დაცული მასალის გათვალისწინებით შეიქმნა, თუმცა მას საფუძვლად დაედო ბევრი ისეთი მასალა, რომელიც თამარ და აკაკი პაპავას ქალიშვილებმა თავის დროზე გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას ან პირადად მე გადმომცეს და ახლა პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმშია დაცული.

პაპავეზის ოჯახთან მრავალწლიანი ურთიერთობისა და არგენტინაში არაერთ-გზის მივლინების შედეგად, თამარ და აკაკი პაპავეზის არქივის შესწავლის საფუძველზე, შესაძლებლობა მოგვეცა, თვალი გაგვედევნებინა ქართული სათვისტომოს ისტორიისათვის არგენტინაში. ეს ისტორია, არგენტინის ქართული სათვისტომოს გზა, მისი სხვადასხვა მონაკვეთი ჩვენს მრავალრიცხოვან პუბლიკაციებშია ასახული. ბევრი რამ, რაც ჩვენს აქამომდე სტატიებშია გამოქვეყნებული, ბევრი დოკუმენტი, ბევრი წერილი, ბევრი მოვლენა თუ ფაქტი, ამ ისტორიის კვლევის შემდეგ ნაწილადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ. კონკრეტულად ამ სტატიისათვის მასალის მოსაძიებლად, ჩვენ ვსარგებლობდით თამარ პაპავეას გამოუქვეყნებელი მემუარებით, არგენტინის ქართული სათვისტომოს ოფიციალური დოკუმენტებით, საკუთრივ არგენტინასა თუ სხვა ქვეყნებში დაცული ეპისტოლარული მემკვიდრეობით, ემიგრანტული ქართული პრესით, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია არგენტინაში გამოშვებული ჟურნალი „მამული“, მისი გამოქვეყნებული კრებულად რომ მოიხსენიებენ, და, რა თქმა უნდა, არგენტინის ქართული სათვისტომოს შემორჩენილი ოქმებითა თუ სიებით, აგრეთვე სათვისტომოს საქმიანობასთან დაკავშირებული ეფემერებით, სხვადასხვა ჩანაწერებით, ხელწერილებითა თუ შენიშვნებით.

ამ სტატიაში წარმოდგენილია ჩვენს ხელთ არსებული მასალის მხოლოდ ერთი ნაწილი, რადგან სტატია შემოსაზღვრულია კონკრეტული ქრონოლოგიით და არგენტინის ქართველთა სათვისტომოს არსებობის პირველ პერიოდს, 5 წელიწადს მოიცავს – მისი დამფუძნებლების, ხელმძღვანელებისა და აქტიური წევრების ევროპული ემიგრაციიდან არგენტინაში გადასვლით დაწყებული, ვიდრე 1952 წლამდე. ამ პერიოდის ნაწილი არგენტინაში ემიგრაციისათვის სამზადისს ეხება, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია საკითხის კვლევის თვალსაზრისით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ემიგრანტების მომსახურებისთვის, მათთვის არგენტინაში ჩასვლისა და შემდგომი დახმარებისათვის არგენტინის მთავრობამ სპეციალური სამთავრობო სააგენტოები შექმნა თავისი ფილიალებით სხვადასხვა ქვეყანაში, გააფორმა მემორანდუმები ევროპულ სახელმწიფოებთან, გაადვილა და მერე საერთოდ გააუქმა ვიზები, დაიქირავა საზღვაო ტრანსპორტი, ხოლო ბუენოს-აირესში საგანგებო და მრავალადგილიანი ემიგრანტთა სასტუმროც კი ააგო, სადაც ქართველებსაც მოუხდათ ცხოვრება და სადაც დღეს ძალზე საინტერესო მუზეუმია გახსნილი.

ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის თვალსაზრისით, ქართული განფენილობა მსოფლიოში ისტორიულად მრავალ ქვეყანას მოიცავს – როდის როგორ. ამ ქვეყნებს შორის არის რამდენიმე, სადაც ქართველები ემიგრანტები შედარებით ბევრნი ყოფილან და არიან. არგენტინა არ არის ამ ქვეყნების რიცხვში. ქართველები არგენტინაში ბევრნი არასოდეს ყოფილან, მაგრამ აქაური ქართული სათვისტომო მუდამ უფრო მეტი ავტორიტეტითა და მეტი მნიშვნელობით სარგებლობდა სხვადასხვა ქვეყნის ქართულ კოლონიებს შორის, ვიდრე ეს მის წევრთა რაოდენობის პროპორციულობით იყო სავარაუდო. ამ ავტორიტეტსა და მნიშვნელობას არგენტინის ქართველთა სათვისტომოს რამდენიმე წევრის პირადი ავტორიტეტი, მათი უკვე გაკეთებული საქმეები და მათი კულტურული, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური აქტივობა ქმნიდა.

არგენტინაში ქართული სათვისტომოს დამფუძნებლებზე – ვიქტორ ნოზაძესა და აკაკი პაპავეზე ზემოთ უკვე ითქვა, მაგრამ მათზე ადრე ქართული ემიგრაციის სახელოვანი წარმომადგენლებიდან, არგენტინაში ჩასულა ფელიქს ვარლამიშვილი

(1903-1986) – ვარლას სახელით ცნობილი დიდი ქართველი მხატვარი. მართალია, მასზე ადრე ნაომარი ევროპიდან არგენტინაში სხვები წავიდნენ, მაგრამ ამ საქმის დამწყები, როგორც თვითონ ვარლა წერს, სწორედ ის ყოფილა. თუმცა იგი დიდხანს არ დარჩენილა არგენტინაში და იმის მიუხედავად, რომ ქართული სათვისტომოს ცხოვრებაშიც მიიღო მონაწილეობა, მას არგენტინაში, როგორც ფრანგ მხატვარს, ისე შეხვდნენ. ყოველ შემთხვევაში მისი პირველობა მეორე მსოფლიო ომის მერე ევროპიდან არგენტინისაკენ ლტოლვაში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს. 44 წლის ფელიქს ვარლამიშვილი, თავის მეუღლესთან, დანიელ მხატვარ ზირე ბინდერთან ერთად არგენტინაში 1948 წლის 21 თუ 22 დეკემბერს ჩასულა. ერთ-ერთ თავის პირად წერილში იგი იმასაც წუხს, რომ არგენტინაში იგი უფრო ადრეც უნდა ჩასულიყო, მაგრამ საფრანგეთის მოქალაქეობა არ ჰქონია და ამას შეუშლია ხელი. როგორც ვარლა ერთ-ერთ წერილში წერს, მანამდე არგენტინაში უკვე წასულან ქართველი რემიგრანტები ინგლისიდან, იტალიიდან თუ გერმანიიდან. მაგრამ ვინ და როდის, დოკუმენტირებულად არ არის ცნობილი.

ჩვენს ხელს არსებული დოკუმენტირებული ინფორმაციით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქართველთა ევროპიდან არგენტინაში გადაცხოვრების სულ პირველ საბუთად ფელიქს ვარლამიშვილის ლადო რუხაძისადმი 1947 წლის 14 ნოემბერს მიწერილი წერილი შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ასევე პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოთეკაშია დაცული, ვარლასა და ლადო რუხაძის ერთმანეთთან მიწერილი სხვა წერილებთან ერთად. ეს არქივი წლების წინ ჩემმა მეგობარმა ჩიტო რუხაძემ, ლადო რუხაძის ქალიშვილმა გადმომცა. ლადო რუხაძე ფელიქს ვარლამიშვილის მეგობარი და მეცნატი გახლდათ. რუხაძეების სახლი საფრანგეთში – ჯერ ბელაჰეში და შემდეგ პონტუაზში კულტურის ერთგვარი კერა იყო და არის თავისი სცენით, საკონცერტო დარბაზით, ქანდაკებებით სახლის შესასვლელსა თუ ბაღში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვარლას მიერ მოხატული კედლებით.

ვარლას ამ წერილში ნახსენები ბერნადეტი – ბერნადეტ სანტრო – ლადოს რუხაძის ფრანგი მეუღლეა.

„ძმაო ვლადიმირ, სად დაიკარგე, კაცო, აღარ სჩანხარ. შენი დინამიური ჩამოსვლები პარიზში რათ შესწყვიტე? იმედი გვაქვს, რომ ჯანზე კარგათ ხარ, შენი ოჯახიანათ...“

ჯერ ჩვენ კიდევ პარიზში ვართ. ჩვენი წასვლაც მე მგონი ახლოვდება. დღეს მივიღე წერილი გომელაურისგან: ჩვენი თხოვნები უკვე მისულია იმიგრაციის სამინისტროში, სადაც იმას მეგობარი ჰყავს და მწერს, რომ დაეაჩქარებო. ისე რომ, ამ ორ-სამ კვირაში ვიზები გვექნება.

ზირეს ეჩქარება წასვლა და მეც მგონია, იქ უფრო ადვილათ გავიმარჯვებთ. პარიზში ამ ბოლო დროს სურათები აღარ იყიდება და არც დამატებითი ხელოვნება (ასე უწოდებს ვარლა გამოყენებით ხელოვნებას, რომელიც კარგა ხანს მისი არსებობის წყარო იყო, – **პ. 5.**) მიდის წინ, ნამეტურ ჩემთვის... არგენტინაში ვაპირებ შევუტოო ცხოვრებას და ბევრი პროექტები მაქვს. – ჩემი ჩილიელი მეგობარი (რომელზედაც შენ ალბათ გელაპარაკე), ახლა პარიზშია და ჩემთან რამოდენიმეჯერ მოვიდა. სწორედ მე ვჭირდები. იმან იყიდა წყნარ ოკეანეს ნაპირზე დიდი ტყიანი მამული, სადაც უნდა გააშენოს სააგარაკო სოფელი. მე უნდა შევასრულო პროექტები პატარა სახლების, ნორვეგიულ სტილზე, და ალბათ რამოდენიმე თვე დავრჩები ჩილიში. – საშობაოთ ზირე აპირობს ათიოდე დღით დანიაში წასვლას, ჩემი სურათების საქმის მოსაგვარებლათ“...

ჩემი ჩილიელი მეგობარი, რომ წერს, ვარლა ავთანდილ მერაბაშვილს (1902-1974) გულისხმობს, რომელიც ამ დროს უკვე ჩილეში ცხოვრობს, წყნარი ოკეანის სანაპიროზე ვეება ტერიტორია შეუძენია და „ქართული ქალაქის“ აშენებას აპირებს. ავთანდილ მერაბაშვილთან მეგობრობის ნიადაგზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ვარლა, თუმცა საზოგადოდ ძალზე შორს იდგა პოლიტიკური დაპირისპირებისგან, უფრო ქართული ემიგრაციის ეროვნულ-დემოკრატიულ ფრთას თანაუგრძნობდა. ხოლო ავთანდილ მერაბაშვილი – ჩილეს სპილენძისა და გვარჯილის მაგნატი, ერთხანს თავის მდიდარ ბელგიელ მეუღლესთან ერთად ძალზე შეძლებულად ცხოვრობდა და მის სახლში ხშირად იკრიბებოდა სანტიაგოს ზეპური საზოგადოება – პოლიტიკოსები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, ბიზნესმენები, სპორტსმენები, საქართველოდან ჩასული სტუმრები... მაგრამ ავთანდილ მერაბაშვილი ქართული ემიგრაციის, და არა მარტო ქართული ემიგრაციის, ისტორიაში, პირველ ყოვლისა, იმით შევიდა, რომ 1926 წლის 10 ივნისს პარიზში, დღისით მზისით, უამრავი ადამიანის თვალწინ რევოლუციურიდან ორი გასროლით მოკლა პროსაბაჭოთა პროპაგანდაში მხილებული საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, პარიზში გამოძვალ გაზეთ „ახალი საქართველოს“ რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი. თუმცა ეს სხვა ისტორიაა.

თავის დროზე ავთანდილ მერაბაშვილმა დიდი როლი შეასრულა ბუენოს-აირესსა და სანტიაგო-დე-ჩილეში ქართული წიგნების გამოცემაში. მისი შეკვეთით გუსტავო დელა ტორემ, ვიქტორ ნოზაძისავე დახმარებით, თარგმნა ვეფხისტყაოსანი და რუსთაველის ეს პირველი ესპანური თარგმანი თავად გამოსცა სანტიაგოში. მართალია, ჩილეში ცხოვრობდა, მაგრამ ავთანდილ მერაბაშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა არგენტინის ქართულ კოლონიასთან, მეგობრობდა პაპაევის ოჯახთან და აკაკი პაპაეას 70 წლისთავისადმი ბუენოს-არესში გამოსაცემად მომზადებული აკაკი პაპაეას ლექსების წიგნი „1500 წლოვან თბილისს“ ვიქტორ ნოზაძის მეშვეობით სწორედ მან დაბეჭდა სანტიაგო-დე-ჩილეში.

მაგრამ ეს იქნება გვიან, წლების მერე, ხოლო მერაბაშვილის მეგობრის ფელიქს ვარლამიშვილის მომდევნო წერილი ლადო რუხაძისადმი 1947 წლის 24 დეკემბრით არის დათარიღებული:

„ძვირფასო ძმაო, ვლადიმირ, ჩვენი არგენტინაში გამგზავრების საკითხი, ნელ-ნელა მიიწევა. გომელაურიდან ხშირათ მომდის წერილები, მაგრამ ვიზა ჯერ არ სჩანს. მე დიდი იმედი მაქვს, რომ მალე გვექნება საშუალება აქედან წასვლის, მანამდის გზა გაძვირდება. აუარებელი ქართველობა აპირებს წასვლას არგენტინაში. ინგლისიდან და იტალიიდან უკვე ბევრი ჩასულა; მალე გერმანიიდანაც ჯგუფები გაემგზავრებიან. – გომელაური თხოულობს მთლიან სიას ქართველების, ვისაც აქვს სურვილი. ჯგუფურათ უფრო ადვილი ყოფილა. ისე რომ, მე დავინყე მარტო და ახლა მთელი კოლონია დაიძრა. არ ვიცი, რა გამოვა აქედან ან რას გააკეთებს ეს ხალხი, ოჯახებით და პატარა ბავშვებით. ერთგვარი ფსიხოზი შეიქმნა.

რასაკვირველია, ყველას მატერიალური საკითხი ანუხებს და აგრეთვე პოლიტიკური მომავალი. – მე მგონია, გამჭრიახე ადამიანი იქ უფრო ადვილათ გაიკაფავს გზას, ვიდრე აქ. – ვუსურვოთ მათ გამარჯვება.

პირველ წერილში გომელაური იწერებოდა, რომ ოცი წელიწადია, ქართველები არ ენახა, ახლა კი – გაძლება ქართველების ყურებით. – ძალიან პატრიოტია და მე მგონი ყველას მოაწყობს სამუშაოზე. მე პირადათ არავის არ ვურჩიე მინც და მინც. [...] შენი ფელიქსი“.

ვარლას წერილებში ნახსენები გომელაური – გიორგი გომელაურია, მაშინ უკვე არგენტინაში მცხოვრები ქართული ემიგრანტი, რომელიც 20-იანი წლებიდან გადასახლებულა არგენტინაში და, როგორც ჩანს, არგენტინაში უკვე მაშინ არსებული სათვისტომოს ხელმძღვანელია. სამწუხაროდ, იმ პირველი სათვისტომოს, მისი წევრებისა და მისი საქმიანობის შესახებ არაფერი მასალა არ შემონახულა. ძნელი დასადგენია, საიდან, მაგრამ გიორგი გომელაური ფელიქსის ძველი ნაცნობი ყოფილა. იგი დიდად დაინტერესებულა ქართველების არგენტინაში რეემიგრაციით და ყველანაირად ცდილობს მათ დახმარებას. როგორც ჩანს, იცის ესპანური, იცნობს საჭირო ხალხს და არც მათთან ურთიერთობა უჭირს. სწორედ გიორგი გომელაური ეხმარებოდა ვარლას ვიზების საქმეში, თუმცა არგენტინის ვიზის მიღება მაშინ ისედაც საკმაოდ ადვილი იყო და ევროპიდან მრავალმა ლტოლვილმა შეაფარა თავი სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანას. ფელიქსისთვის მთავარი პრობლემა ამ მხრივ უფრო საფრანგეთის მოქალაქეობის არქონა იყო, თუმცა ბოლოს ესეც მოგვარდა, რასაც ადასტურებს მომდევნო წერილი, რომელიც ნახევარი წლის შემდეგ, 1948 წლის 3 ივლისს არის გაგზავნილი. საინტერესო დეტალი – ამ წერილში ვარლა ქვეშევრდომობას ქვეშემდგომობას ეძახის:

„სალამი, ძმაო ვლადიმირ, ჩემი უკანასკნელი წერილის შემდეგ, ცოტა კიდევ ახალი მომემატა. – ფრანგული ქვეშემდგომობა უკვე მივიღე. უკვე ერთი კვირაა, რაც „Journal officiel“-ში იყო გამოცხადებული ჩემი გვარი და აგრეთვე ზირესიც. ეხლა შეგვიძლია ავიღოთ ფრანგული „carte d'identité“, როდესაც გვინდა და აგრეთვე პასპორტიც. ამ პასპორტით შეიძლება მოგზაურობა უვიზოთ მრავალ ქვეყნებში, როგორც ევროპაში, აგრეთვე ამერიკის ზოგიერთ რესპ. (ჩილიში და კუბაში). [...]

ზოგიერთი ქართველები უკვე ემზადებიან არგენტ. წასასვლელათ ამ თვეში, და, მე მგონია, – საშა და მზიაც მიდიან. სხვები ნაწლები ალბათ აგვისტოში. – მე გული მწყდება რომ ვრჩები, მაგრამ, სჯობია ფრანგული ქვეშემდგომობა მივიღოთ და ისე ნორმალურათ ვიმოგზაურო. შენი ფელიქსი“.

წერილში ნახსენები საშა და მზია – თამარ და აკაკი პაპაევების სიძე – ალექსანდრე ჭეიშვილი და მისი მეუღლე მზია პაპაევა არიან.

მაღე ამას ზედიზედ მოჰყვა ვარლას ორი წერილი ლადო რუხაძისადმი, ნოემბერში, უკვე უშუალოდ არგენტინაში გამგზავრების წინ გაგზავნილი:

„ძვირფასო ძმაო ვლადიმირ, არ ვიცი, როდის ველირსები, შენი ამაგი გადაგიხადო. ამ ბოლო დროს აქ თითქმის ყველამ მიმატოვა. – შენ რომ არ ყოფილიყავი არ ვიცი, რა მეშველებოდა. – შენი წერილის მიღებისთანავე გამოვიტანე ბანკიდან, რაც კი დამრჩა და მივეცი ბე გემისთვის. ამ გემს ქვია „Alcantara“ (ინგლისური გემია) და მიდის შერბურგიდან 4 დღეებმერს. ეს საუკეთესო გემი ყოფილა, დიდი, და მე-3 კლასი არის კაბინებით ოთხი კაცის. ამასთანავე მიდის ჩქარა, 16 დღეში ვიქნებით ბუენოს-აირესში. მხოლოდ ცოტათი უფრო ძვირია (6 ათასი ფრანკია განსხვავება), მაგრამ მე მგონია, უფრო ხელსაყრელია. – ისე, რომ ერთ თვეზე ნაკლები-და დამრჩა ევროპაში ცხოვრებისა. [...] შენი ფელიქსი“.

გამგზავრების წინ მეგობრები კიდევ ერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. ლადო რუხაძეს ვარლასთვის და ზირესთვის არგენტინისკენ გზა დაულოცავს და, როგორც ჩიჭო რუხაძის მოგონებებიდან ჩანს, მის სახელოსნოში იმ დროისათვის არსებული ყველა მისი ნამუშევარი უყვია, იმ რამდენიმე მომცრო ნახატის გარდა, რომლებიც, როგორც ირკვევა, ფელიქსს თან წაუღია.

ევროპიდან ცოლ-ქმარი 1948 წლის 4 დეკემბერს წასულა შერბურებიდან და ბუენოს-აირესში სამობაოდ ჩასულა. ევროპაში თოვლი და ზამთარი დატოვეს, არგენტინაში კი გაგანია ზაფხული დახვდათ.

აქედან ვარლას ამბებს უკვე პაპავების ამბები ენაცვლება. თამარ და აკაკი პაპაევებზე ადრე არგენტინაში მათი შვილები – ტურფა და მზია წასულან თავიანთ ოჯახებთან ერთად. ტურფასა და მზიას მეუღლეები – ლეონიდე ჭიიშვილი და ალექსანდრე ჭიიშვილი ნათესავები არ ყოფილან – ერთი იმერელი იყო, მეორე – გურული. იმის მიუხედავად, რომ ფელიქს ვარლამიშვილმა უფრო ადრე დაიწყო სამზადისი არგენტინაში წასასვლელად, პაპავა-ჭიიშვილების ოჯახებიც მასზე ორი-სამი თვით ადრე ჩასულან არგენტინაში.

1949 წლის 1 იანვარს თამარ პაპავა თავის გამოუქვეყნებელ დღიურში წერს: „ეხლა უკვე 3 თვეა, რაც ჩვენი შვილები არგენტინაში არიან. როგორც გვწერენ, აქეთ ბინა და სამუშაო. პირველათ თურმე ძალიან გაუჭირდათ, ბევრი ავადმყოფობა გამოიარეს... უჩვევი ასეთ გრძელ მგზავრობას, ჰავის გამოცვლა, ზამთრის პირზე გავიდნენ ევროპიდან და იქ კი საშინელი ცხელი გაზაფხული დაუხვდათ. მაინც კარგი ამბები მოდის მათგან და ამით ვართ ბედნიერი“.

ხოლო აკაკი და თამარიც იქით მიისწრაფიან და ვიზებს ელოდებიან:

აი, თამარის დღიურის კიდევ ერთი ჩანაწერი: „დღეს, 18 მაისს დილის 7 საათზე მივიღეთ დეპეშა, რომ ჩვენი ვიზებიც გამოუგზავნიათ...“

და კიდევ სამი დღის მერე, 1949 წლის 21 მაისს:

„დღეს მივიღეთ მზიასი და ლეოს წერილი დაწვრილებით ჩვენი ვიზების შესახებ. უკვე გამოუგზავნიათ ჩვენთვის ვიზები მათთან წასასვლელათ. ეს ისეთი დიდი ამბავია ჩვენთვის, რომ ამ სიხარულის აწერა ძნელია. თითქოს გაიხსნა ჩვენთვის დღეს ცა. თითქმის 9 თვეა, რაც ჩვენი ბავშვები წავიდნენ არგენტინაში, ჩვენც მართონი ამ დროს ვეღარ დავგრძობდით ამ დანგრეულ და დამშუღულ ქალაქში და ვუცდიდით მათ ამბავს, მოწყობას, ვიზებს, რათა ჩვენი მთელი ავლა დიდებით მათთან გადავბარებულყავით. მძიმე იყო ამ 9 თვის ატანა ჩვენთვის მოშორება ამ სიბერის მიჯნაზე შვილების, შვილიშვილების და სიძეების. რაღა გვაკავშირებს დღეს ევროპასთან ან კერძოთ გერმანიასთან? არაფერი.“

მთელი ჩვენი მარაგი განადგურდა, სახლები დაინგრა და დაინვა, ქალაქები განყალდა და ეხლა, რაც კიდევ შემთხვევით გადარჩა, იმას ვყიდით და ამით ვცხოვრობთ. და რა ცხოვრებაა ეს ამ ჯერ დაულაგებელ გერმანიაში? 4 წელია ომი გათავდა, მარა ჯახირი და გაჭირვება ეხლა იწყება; უფულობა და შევიწროებული ცხოვრება, ჩვენს ბინაში ჩამოსახლებულია უცხო ხალხი და ეს მუდმივი მოუსვენრობა და წერვიულობა ანგრევს სულიერ სიმშვიდეს, მყუდროებას... სანამდის უნდა გაუძლოს ჩვენმა დაავადებულმა სხეულმა ამ ალიაქოთს? მთელ ამ წლებში სამშობლო სულ დაგვმორდა, წერილის მიწერის საშუალებაც კი არ არის. არ ვიცი დედაჩემი ცოცხალია თუ არა, ჩემი დებიც, ძმაც... მაშ რას მოვუცადოთ აქ? განა სულ ერთი არაა სად გამოითხრიან სამარეს?.. რა დაგვრჩა ჩვენი ყველაფრით გააპარცულებს? შვილები, მხოლოდ ჩვენი შვილები და მათი ბავშვები. და ჩვენც მათთვის ვართ საჭირო და ამიტომაც მათკენ მიიწევს ჩვენი გული. უკვე 9 თვეა ვუცდით ამ ამბავს, წასვლის ნებართვას და დღეს ძლივს აღსრულდა ეს ჩვენი ნატვრა: მათ გამოგვიგზავნეს 18 მაისს 1949 წ. ვიზები. ან მოვაგვარებთ გასამგზავრებლად ყველაფერს და გავსწევთ მათკენ. ჩვენთვის ახლობელ, მაგრამ ასე შორს არგენტინაში, ჩვენს შვილებთან“.

თამარ და აკაკი პაპაევი პირად ურთიერთობებში და წერილებშიც კი ერთმანეთს კაკიჩებს ეძახდნენ. აი, ერთი კაკიჩის – აკაკი პაპაევის ჩანაწერი, რომელიც მეორე კაკიჩის შემოუნახავს თავის დღიურში:

„1949, 23 აგვისტო, 13 საათი, ჰამბურგი. ვზივართ მე და კაკიჩი პირველი კლასის ბუფეტში, ესესაა ვისადილეთ. 1 საათში მივდივართ ჰანოვერში და იქიდან გვგზავნიან არგენტინაში. ღმერთო, ბედნიერი ქენი და მშვიდობით მიგვიყვანე ბავშვებთან. ნეტავი იქ მაინც ნახოს სულმა მოსვენება ამ აფორიაქებულ ხანაში... კარგი იყო მაინც ჩვენი ჰამბურგი: ერთგული და გამტანი ამ 28 წლის მანძილზე, მადლობა მას... ნეტა კიდევ თუ ვნახავთ ოდესმე. იყოს ბედნიერი და ღმერთმა წამოაყენოს ნანგრევებიდან, ვითარცა ფენიქსი... აქედან მაინც ახლო ვიყავით საქართველოსთან. იქ კი ღმერთო, რა შორს ვიქნებით მისგან. წყეული ბედი, სად გვისვრის.“

1949 წლის 23 მარიაშობისთვის ჩანაწერი:

„ვტოვებთ ჰამბურგს. იქნება სამუდამოდ. მივდივართ ჰამბურგიდან ჰანოვერში სატრანზიტო ლაგერში. იქიდან კი – ფრანკფურტში და მერე ღმერთმა უწყის, სად და როგორ, რომელი გემით – არგენტინაში...“

საფრანგეთშიც გაჭირდა ცხოვრება. ჩვენმა შვილებმა იქაც ვერ მოიკიდეს ფეხი და გადაუწყვეტიათ წასვლა არგენტინაში. ათი თვის შემდეგ, რაც მათ დაყვეს პარიზში და რაც დიდი გაჭირვება განიცადეს, აღარ ინდომეს იქ დარჩენა და საშა და მზიაც მათ გამოყვეს და გადასცურეს ოკეანე ახალი ბედის საძებნელათ.

მათ ამბავს ასე მწერდა პავლე ვაშაძე, ნათლია გულნარასი:

— ქალბატონო თამარ, ბატონო აკაკი.

გუშინ საღამოს 19 და 30 წუთზე იტალიანური გემით „კამპანა“ გაემგზავრენ თქვენი ქალიშვილები, შვილიშვილები და სიძეები. წუხელის მინდობა პატარა წერილით შემეტყობინებია, მზიამ დამავალა, მაგრამ ვერ შევძელი. ყველანი კარგათ არიან. კარგათ ვიმგზავრეთ მარსელამდის. ნაშუადღევს სამ საათზე გემზე ასულნი და მონყობილი იყვნენ. მე არ შემიშვეს. მშვენიერი დარი იყო. ბავშვები თამაშობდნენ. მხოლოდ ბოლოს პუსის მოეწყინა. დედას ეუბნებოდა, გვეყოფა წავიდეთ სახლშიო, იმედი მაქვს თქვენც ჩქარა მოახერხებთ წასვლას. ეს თქვენთვისაც კარგი იქნება, თქვენი ქალიშვილებისათვის კი აუცილებელი. ორივეს თქვენი ნახვა გამოაცოცხლებს.“

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით, გულნარას ნათლია პავლე ვაშაძე.“ (1948, 30 აგვისტო).

მანამდე თამარსა და აკაკის მზია პაპაეას ტელეგრამა მიუღიათ. „ყველა კარგად ვართ. მივდივართ კვირას გაკოცებთ. მზია“. 28 აგვისტო. 1948 წ.

ხოლო თამარ პაპაეა თავის დღიურში აგრძელებს:

„1949, აგვისტო. ბუხოლცი. ჩამოვედით ჰანოვერში – ოდესღაც მშვენიერ ქალაქში, დღეს კი 3/4 განადგურებულია. საშინლად მინგრეულ-მონგრეული აქაურობა. ჭუჭყიანი, მტვერიანი. ჰანოვერის სადგურზე „იროს“ საბარგო ავტომობილით წამოვიყვანეს ჩვენის ბარგით ბუხოლცში. ეს ბუხოლცი ჰანოვერს 4-5 კილომეტრით დაცილებულია და უფრო დიდი სოფლის შეხედულება აქვს...“

წერილში ნახსენები ირო (IRO) გახლდათ ლტოლვილთა საერთაშორისო მთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1946 წლის 20 აპრილს მეორე მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეული ლტოლვილების მასობრივი პრობლემის გადასაჭრელად. მოსამზადებელ კომისიამ მუშაობა თითხმეტი თვით ადრე დაიწყო. 1948 წელს IRO-ს დამოუკიდებელი ხელშეკრულება ოფიციალურად შევიდა ძალა-

ში და IRO გახდა სპეციალიზებული სააგენტო. IRO-მ იკისრა მანამდე არსებული დახმარებისა და რეაბილიტაციის ადმინისტრაციის ფუნქციების უმეტესი ნაწილი. 1952 წელს IRO-მ შეწყვიტა საქმიანობა და მისი ადგილი დაიკავა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა (UNHCR).

სამი კვირის შემდეგ, 1948 წლის 19 სექტემბერს გაგზავნილ წერილში პავლე ვაშაძე უფრო დაწვრილებით უყვება თამარს მისი შვილების არგენტინაში გამგზავრებით ამბავს:

„ძვირფასო ქალბატონო თამარ! მინდა დაწვრილებით მოგწეროთ თქვენი შვილების მგზავრობა. საუბედუროთ ეს ძნელია ჩემთვის – ამ ოცი წლის განმავლობაში წერილი ორჯერ არ მექნება დაწერილი, ამას მიუმატეთ ემიგრაციაში ცხოვრება, ათასი უსიამოვნება, ნერვიულობა. მეც მიჩვეული ვიყავი ბავშვებთან, მე დამყავდა სასაიროთ ბაღში, როდესაც მათთან მივდიოდი, ოთხივე ტკბილათ და ჟრიალით შემომესოდენ. წავიდნენ და დავრჩი ობლათ. აღარაფრის სურვილი არა მაქვს. გემი რომ დაიძრა, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ მართლა მცოდნებოდენ, რომ მეორე დღეს მათ ვერ ვნახავდი. პარიზიდან ჩვენ წავედით კვირას 29 აგვისტოს საღამოს 8.30 წუთზე. ბევრი ხალხი იყო სადგურზე. ძია ვალოდიას ბავშვები უძახოდენ, ხვალ მოვალთ შენთანო. მატარებელი რომ დაიძრა, თამარ ტარასაშვილი ხუთას მეტრზე ტირილით მისდევდა მატარებელს. თითქმის მთელი კოლონია იყო სადგურზე... ჩვენი მატარებელი უგულვოთ მიეჩქარებოდა მარსელისაკენ. მართალია მესამე კლასით ვიმგზავრეთ, მაგრამ ყველას ეძინა. მთელი ვაგონი „იროს“ მიერ იყო დაკავებული. სხვას არავის არ შეეძლო შესვლა. ბავშვებს დილამდის ეძინათ. ტურფა და მზია კარგად იყვნენ, ხუმრობდნენ არგენტინაში მიმავალ ხალხთან. ბევრი იყვნენ უნგრელები, უკრაინელები, ჩეხები, ყველა გერმანულად ლაპარაკობდნენ. ბავშვებს ძლიერ გაუკვირდათ ზღვა. სულ ფანჯარაში იცქირებოდენ. ყველაზე ბედნიერი იყო ნინო, გაიცნო მისი ხნის უნგრელი გოგო და სულ მასთან იყო. დილის 9.30 წუთზე მარსელში მივიდა მატარებელი. გაჩერებული არ იყო, ვხედავდით – „იროს“ ხალხს ეძებდენ. მოვიდენ ჩვენთან, გადმოგვიტანეს ბარგი, მათვე დაუძახეს გადამტანებს ბარგისას. იქვე საუკეთესო ოტელში შეგვიყვანეს. ყავა მოუტანეს, კარაქი, მურაბა. 12 საათზე სადილი თეფზი და ხორციულები... 2 საათზე საუკეთესო ავტოკარი მოვიდა. მათვე შეუნყვეს ყველას ნივთები და წავედით გემისკენ. იქ 3,30 წუთამდე გავრძელდა გემზე ასვლა. 4 ექიმი იდგა, მგზავრებს თვალებს უშინჯავდენ. როგორც მოთავდა თუ არა, გემიც დაიძრა...“

თამარ და აკაკი პაპაევიც უკვე წასასვლელად ემზადებიან. სექტემბერში მზადების პროცესი უკვე დასასრულს უახლოვდება. თამარ პაპავა თავის დღიურში აგრძელებს:

„ვიყავით ფრანკფურტში და იქ მივიღეთ არგენტინის ვიზები. როგორც იქნა ველირსეთ ამ დიდი ხნით ნანატრ ვიზებს. ეხლა კი ველოდებით გემს. ამბობენ დაახლოებით ორ კვირაში გავალთ გერმანიიდანო“. (6 ენკენისთვე)

„დღეს, 15 ენკენისთვეს, მივიღეთ ცნობა, რომ ჩვენი გემი გადის 30 ამ თვეს მარსელიდან არგენტინაში. შეიძლება გული გასკდეს სიხარულით. ნუ თუ ვნახავთ ჩვენს შვილებს?!“ (15 ენკენისთვე)

„დღეს გამოგვიცხადეს, რომ ხვალ მივდივართ ამ „ლაგერიდან“ სამუდამოთ. ლაგერის მართველობამ გზა მშვიდობისა გვისურვა და „საჩუქრები“ გზისთვის გვინყალობა თითოს 200 ც პაპაროსი. 2 ნაჭერი ხელის საპონი. 4 ც. ასანთი. 2 ც ფეხსალაგის ქალაღი“. (25 ენკენისთვე)

„10 საათზე და 10 წუთზე დავსტოვეთ ჰანოვერი და მივდივართ პარიზისაკენ“.
(25 ენკენისთვე)

„ამ დილით უკვე ბელგიაში ვართ და ყავახანაში ყავას ვსვამთ გაიოზ ბერეკაშვილთან, რომელიც აქ შეგვხვდა. წესიერათ და მშვიდობით გადმოვედით გერმანიიდან – იქნება სამუდამოთ. ყველა ომის დროის ტანჯვა, ცხოვრების ჯახირი უკან დარჩა, წინ რა გველის? ვინ იცის... მარა დღეიდან არას ვნანობ“... (26 ენკენისთვე)

შემდეგი ჩანაწერი დღიურში უკვე პარიზშია გაკეთებული. თამარი და აკაკი ევროპას ეთხოვებიან.

„დამათრობელი, გიჟი, მოუსვენარი, მღელვარე, მეფუსფუსე... გერმანიის შემდეგ და განსაკუთრებით ჩვენი უკანასკნელი ეტაპის, ბუხოლცის შემდეგ – რაღაც აუნერეულ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ხმაური, ფერადობა და ტკბილი აურზაური... სადგურზე არაინ დაგვხვდა, რადგან ჩვენმა მატარებელმა სამი საათით დაიგვიანა. ჩამოვედით საღამოს 7 საათზე, დავბინავდით სადგურთან ახლოს პატარა სუფთა სასტუმროში. მაშინათვე გავსწიეთ ბიძია ვალოდის სანახავათ. სამწუხაროთ, შინ რა დაგვხვდა. მაგრამ ბიძიას მდგმურებმა სიმპატიურმა სომხის ოჯახმა თბილათ მიგვიღო და ცოტა ხნის შემდეგ ბიძიაც შემოვიდა. ლოცვიდან მოდიოდა. ძალიან გამიხარდა მისი ნახვა. შეგვხვდა კმაყოფილის სახით, დამშვიდებული, კარგათ ჩაცმული, სუფთა ოთახში... ამან კარგ ხასიათზე დამაყენა...“

ბიძაჩემს დედასთან საოცარი მზგაესება აქვს. დედას გამოხედვა, მისი მოციწინარე თვალები, და ჰუმორით სავსე ღიმილი... ყველა ამან თითქოს დედასთან მიმიყვანა და მასთან ყოფნით და მისი სიყვარულით დავსტკბი... ამ დროს გულწარას ნათლია პავლე ვაშაძე შემოვიდა და გვიამბო ჩვენი შვილების ყოფა პარიზში... (27 ენკენისთვე)

მთელი დღე ვუნდებით „იროსთან“ ქალღმერთების მოგვარებას. ესადილობთ მიშა ცაგარელის რესტორანში. ელენე – მიშას მეუღლე შესანიშნავი მასპინძელია. იმერეთი გაგვიცოცხლა. აქ შევხვდით ბევრ ქართველებს. ვნახე სიმპატიური ქართველი ქალი მარუსია ლოლობერიძე. მაგრამ მისმა ლაპარაკმა ცოტა არ იყო დამალა... საღამოს ბ. კალე სალიას ოჯახში ვატარებთ... ვვახშობთ მშვენიერ მის სახლში, სასახლეს რომ გავს... ქ. ნინო სალია ეტყობა ნიჭიერი ქალია, მაგრამ მასთან რომ დავყავი 2-3 საათი, პირდაპირ დავიღალე და თავში გამიელვა სადღაც გაგონილმა სიტყვებმა „ღმერთო გადამატარე მშვიდობით“ – „Пронеси, Господи“.

ვახშმის შემდეგ ორი ავტომობილით, ერთი კალეს და მეორე ბ. ტატიშვილის მანქანით გავეშურეთ ჩვენი ძველი მეგობრების სანახავათ. პირველი დარბაზობა იყო ბ. გ. კერესელიძესთან. ბ. გიორგი არ მომეჩვენა შეცვლილი. სასიამოვნო ოჯახი და მაიას – გიორგის რძლის მშვენიერი სუფრა მეტათ საამო იყო. მერე გავეშურეთ ჩვენი ძვირფასი მეგობრების ბ. ლერენალ კვინიტაძის ოჯახში. დიდი იყო სიხარული ჩვენი შეხვედრისას.

ლაპარაკს და ალერსს აღარ უჩანდა ბოლო... უკანასკნელათ ჩავეხვიე ყველას ცრემლებით და წამოვედით ისევე პარიზში ჩვენს პატარა სასტუმროში... (28 ენკენისთვე)

„ეს უკანასკნელი დღეა პარიზში ჩვენი ყოფნის. ყველას ნახვა გვინდა, მაგრამ დრო ცოტაა და ბევრი რამ არის მოსაგვარებელი და ბევრი ნათესავი და მეგობარი კი მყავს სანახავი. დილამ გაირბინა ჩქარა და უნაყოფოთ. სადილათ ისევე ელენესთან და მიშასთან ვარ დაპატიუებული. ელენეს დუქანს დატყობია კრიზისი... ქართველებს ფული არ აქვთო. სადილი იყო უხვი და სამაგალითოდ გემრიელი. ამას ელენეს და მიშას არ

დაუფინყებთ... უკვე 3 საათი იყო – 7 1/2 ს-კი უნდა სასტუმროში ვყოფილიყავით – რადგან უკვე მარსელისკენ უნდა გავყოლოდით მატარებელს. ძალიან კი მწყდებოდა გული, რომ ლოვილში ვერ ავედი და ჩვენი ძველი მეგობრებს უკანასკნელათ არ შევაველე თვალი. ჩემა კეთილმა პავლემ გაიგო ჩემი გულისთქმა და გამოვედით თუ არა ელენედან, ჩაგვსვა ავტომობილში და გაგვაქანა ლოვილისკენ... მე კი სხვა მქონდა განზრახვა – მისვლა ლოვილში, ნახვა ყველასი, მერე სასაფლაოზე მისვლა და მათთანაც გამოშვებება, მარა არ იყო დრო და რა უნდა მექნა. პავლემ მაინც არ დაიპალა და მიგვიყვანა შატუში... ლოვილში შემოდგომა უფრო სჩანს, ვიდრე სხვაგან პარიზში... დამდგარა ღრმა შემოდგომა ლოვილის მინგრეულ მონგრეულ შატუშიც. ამდენ რევოლუციებს, ომებს, ლტოლვილობას ველარ გაუძლეს ჩვენმა მოხუცებამაც – 26 მაისის დრომა რომ გამოიტანეს პარიზში... ესლა ამ გუნდს ბევრი გამოაკლდა და ლოვილის სასაფლაოს მიაბარა საქართველოს სიყვარული. დანჩენ ზოგი „კერპები“, ოდესღაც ქედ მაღალნი და ესლა კი ლანდებათ ქცეულნი „ნარსულ დიდებისა“, მათ შორის პრეზიდენტი ნ. ჟორდანია. ამ კაცმა გასაოცრად შეინახა ამ ღრმა მოხუცებულეებამდე, ფიზიკური გონება, გამართული მხარ-ბეჭი და ჭკვიანი, მოციმციმე თვალები. მსჯელობა მისი ისევე ფრთხილი და სადათ დალაგებულია. ფიქრი საქართველოს ფიზიკურ გადარჩენაზე მას არ ასვენებს... ეშინიან ამ ხალხთა აყრის დროში ქართველობაც არ მოჰგლიჯონ თვის უძველეს ბინადრობის მხარეს. სხვა კიდევ გაძლებს, შეეკუება ახალ ადგილებს, ქართველი კი უიმისოთ გაქრება... იმდენად გამჯდარია მის სულში და ტვინში ქართული მინა და მის ძარღვებში ქართული მდინარეები გადაიან... თითქმის მთელი საათი დავეყავით ნოესთან (გაგვიმასპინძლდა ჩვენებურ ადესის ყურძნით). ვნახეთ ჩონჩხი, გახვეული „ყოფილ კოსტუმში“, რომელმაც გადაგვკოცნა... ეს იყო ჩემი ძველი მეგობარი ზაქარია ჩიჩუა. ამას მოყვა ერაძე და სხვანი. ესლა კიტრის მოსავალს აგროვებდენ... შევიარეთ გოგავძის ოჯახში, სადაც სვიმონ წერეთელი თვისის მოძახილის სმით და მუდმივი ღიმილით დაგვიხდა. ისიც მოტეხილი, მაგრამ ძველებურად სხვების მომვლელი და ჭირისუფალი, მოსაყველი კი ესლა ბევრი ჰყავს. თვით გოგავძის ოჯახშიც... სანყალი ნამეცია მარტოა და მძიმეთ ავათმყოფი – მუდამ სხვათა გამკითხავი და მომვლელი. იშვიათი ქართველი ქალი... ესლა უძღური გამხდარა... ძლივს დადის ჯოხით. ვალოდია ეს, ქართველი „ბრანევიკი“ დადგა და ჩაქრა... რალაც შიმშია შეიპყრო, „იდეე ფიქსები“ არ ასვენებენ და სულიერად დაავადდა. ყველაფერი. მრავალ წლობით, მძიმე შრომით ნაშენი და ნაშოენი ნამეცია ავათმყოფობის დროს, თურმე გასცა და გააჩუქა ფრანგებზე ან დასწვა და მოსპო, ესლა საავათმყოფოშია. მძიმე საათი გავატარეთ აქ, რომელიც დასაფლავების და ტირილის საათს უფრო ჰგავდა. მხოლოდ ჩვენი სვიმონი „უბერავდა“ ამ ჩამქრალ მუგუზალს და შოთას სიბრძნით ყველაფერს ანელედა და მალამოს სდებდა. კიდევ ვილაცეები ვინახულეთ და ბოლოს გულმოკლულნი ნამოვედით ავტოთი. სადგურთან ჩვენ უკვე გვიცდიდენ... ძია ვალოდია და სხვები. საყვარელმა ბიძია ვალოდიმ დაგილოცა გზა და დაიძრა ჩვენი მატარებელი მარსელისკენ... დავსტოვეთ პარიზი და ჩვენი ძველი და საყვარელი მეგობრები“... (ენკენისთვე 29)

დაბოლოს – მარსელი:

„1949, ენკენისთვის 30. ღამემ მარდათ გაიარა და დილის რიჟრაჟზე – პატარა სასტუმრო „ევროპა“-ში მოგვათავსეს „იროს“ მმართველობამ. ეს სასტუმრო ეკუთვნოდა ერთ სომეხს და სომხური მოხერხებით უძღვებოდა მთელი ოჯახი. საჭმელ-სასმელი უხვათ იყო... მარსელი: დიდი ქალაქი ფერადი, ჭრელი ჭუჭყიანი, ნალვინევი და ყველაფრით ყელამდე სავეს... ბევრი ხეტიალის შემდეგ შემთხვევით

ერთ ერთ დიდ ყავახანაში გარეთ დაესხედით და ნაყინს და ყავას შევექეცით. ვართ სრულიად „თავისუფალნი“ ყველაფრისაგან, არავინ გვანუხებს, არავინ გვიცნობს ამ დიდ, უცხო ქალაქში. და უცებ – საკვირველება, ჩვენს გვერდით, მაგიდას უზის ორი კაცი. ერთი ჩვენს ლაპარაკზე ხშირად ყურებს აცქეცს, გვათვალისწინებს, რა უნდა? ბოლოს ორ სიტყვას რუსულად გვეტყვის (რაკი რაიუმა კოლხეტს, ჩემს თანამგზავრს რუსულად ველაპარაკებოდი). საიდან, როგორ? მე აქ ვარ უკვე 30 წელიაო. მამ ძველი ემიგრანტი? დიას, საიდან? თბილისიდან... გული აგვიძგერდა; ალბათ სომეხი იქნებით. არა, მე ქართველი ვარ. როგორ!.. აქ ქართველს შევხვდით! ღმერთო, და ორივენი უდიდეს სიხარულს განვიცდით. ვინყვით ქართულ ლაპარაკს... ის ბედნიერია, არის სოხუმელი, გვარად ნინუა. ნიკოლოზ ნინუა. მის მშობლები სამეგრელოდან არიან. ის სავაჭროთ გამოსულა ამ 20 წლის წინ და კარგი ქონება შეუძენია. ჩვენებური დარდიმანდობით, ლაქიას ყველაფერს, რაც კი ჩვენს სუფრაზეა მოტანილი, განმეორებით უკვეთავს. და ყველაფერს ისტუმრებს გულუხვი საჩუქრით... ბოლოს მე და კაკიჩს ვახშმით ერთ შესანიშნავ რესტორანში მიგვიწვევს... უნდა არაჩვეულებრივი პატივი გვცეს. მართლაც გასაოცარი შემთხვევაა. მთელი ამ ვეებერთელა ქალაქში ცხოვრობს ერთადერთი ქართველი და განგებამ ევროპის დატოვებისას სწორედ მას შეგვახვედრა. თითქოს დანიშნულ დროს დანიშნულ ადგილას შევიყარენით... ვინ განაგო ეს, ვინ განარიგა? საქართველოს მადლმა და მისმა სიყვარულმა. მამ რით აფხნათ ასეთი სასწაული? რომ იმ ყავახანაში, ამდენ ათას ხალხში იმ მაგიდის გვერდით დავექეით ორივენი? სამწუხაროდ, ჩვენი ნიკოლოზი ავადმყოფია ძლიერი „ასტმა“ ახრჩობს. განუწყვეტილ ახველებს, ჰაერს ვერ პოულობს. ჩვენთან შეხვედრამ მეტათ აღელვა და ამ კი მეტისმეტი ხველა გამოიწვია... გული ხშირად უღონდებოდა. გვეთხოვება და გვპირდება დილას გვენვიოს და „პატივი გვცეს“, გაგვისტუმროს ღირსეულათ.

მეორე დღეს სამინელი წვიმა ასხამდა. ნიკოლოზს ველოდებოდით. ამაოთ. ლაქიამ გადმოგვცა რომ ძალიან ცუდათ გამხდარა და ლოგინათ ჩავარდნილა. თუ ნამოვდექი, თქვენს გემზე ამოვალო. ჩვენმა შეხვედრამ ეტყობა ძალზე იმოქმედა მასზე. ის „კამპანაზე“ ველარ მოვიდა.

ჩვენ კი: ჩაგვაყენეს რიგებში, გემზე ასვლის უმაღლესი გაგვიმინჯეს ქალაღდები რომელიც ორი საათი გაგრძელდა და მერე თვალები და ხელები გაგვიმინჯეს და გაგვანრიგეს – ქალები ცალკე, კაცები ცალკე. და დაიძრა გემი და დავტოვეთ ევროპა საღამოს 9 საათზე. 1949 წლის 30 ენკენისთვეს“.

თამარ პაპავა თავის ჯერ გამოუქვეყნებელ მემუარებში ასე იხსენებს ევროპიდან არგენტინისკენ მგზავრობას:

„ამ გემზე ნამდვილი მეორედ მოსვლა... რა ხალხი არ ირევა აქ, რა რჯულის! რა ჯანყი, რა სუნი, რა ყვირილია და აურზაურია... იქ, სადღაც გემის ბოლოში ჩვენი სანოლია ერთ დიდ ტრიუმში. რამდენიმე ასეული ქალი და ბავშვია. კაკიჩი კი მერე ტრიუმშია კაცებთან. ღმერთო, აგვატანინე ეს სამი კვირა ეს დიდი განსაცდელი! განა შეიძლებოდა, ოდესმე წარმომედგინა, რომ ამ ყოფაში ჩავვარდებოდით? მაგრამ აქ ასობით არიან დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ჩვენზე ბევრად უარეს მდგომარეობაში. ისინი უსახსროთ და უპატრონოთ მიჰყვებიან ამ გემის იალქანს. წარმოდგენა არა აქვთ – სად და ვისთან მიდიან. ჩვენ კი იქ გველოდებიან ყველა ჩვენები, გვაქვს ბინა და იქ გვხვდება მთელი ჩვენი ავეჯი და ბიბლიოთეკა. ამის მოგვარება და გამოგზავნა დროზე მოვაგვარეთ. ეს ხომ დიდი ბედნიერებაა ამ დროში... და ამ იმედებმა უნდა მოგვცეს ძალა და ეს 3 კვირა აგვატანინოს.

ამ დაღვთებულ, ჭეჭყიან ხალხში, ამ განანამებ ლტოლვილთა შორის უნდა ავტანის ღმერთმა ეს გზა. ჩვენ დღეს ხალხთა დიდი აყრის ხანაში ვართ და არავინ იცის, სად და როდის დაგვხვდება სანატრელი „ნავთსადგური“. (გემი „კამპანა, 1949, ლენინობისთვის 1)

ბიბლიოთეკაო, – თამარ პაპავა წერს, – იქ დაგვხვდებაო. როგორც ჩანს, ბიბლიოთეკა ადრევე გაუგზავნიათ არგენტინაში. საერთოდ, აკაკი პაპავა, თუ რამ შემოსავალი ჰქონდა, მრავალი წლის განმავლობაში ეძებდა ქართულ ან საქართველოსთან დაკავშირებულ წიგნებსა და არტეფაქტებს, ყიდულობდა მათ და მართლა უნიკალური ბიბლიოთეკა თუ არქივი შექმნა. შემოსავალი კი, გაუთავებელი სასამართლო პროცესების მიუხედავად, დიახაც ჰქონდა, – როგორც ბარნაბ პაპავას მემკვიდრეს – ამერიკელი ჰარიმანებისგან, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებამ ჭიათურის კონცესია მიჰყიდა. მდიდარი ბიბლიოთეკის მოვლა და უცხოობაში, თანაც საომარ ვითარებაში წიგნების შენახვა, კიდევ უფრო ძნელი იყო, ვიდრე მათი მოძიება და შექმნა. პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმში დაცულია რამდენიმე წიგნა, სადაც პაპავების ბიბლიოთეკის ასობით წიგნის სახელწოდებაა შეტანილი. ერთ სიას ასეთი სათაური აქვს: „რაც თან მიმაქვს“. ხოლო მეორეს: „ვტოვებ ველდენში“ [ომის წლებში პაპავების ოჯახი ერთხანს ავსტრიაში, სოფელ ველდენში ცხოვრობდა, – პ. ნ.].

ამასობაში, როგორც იქნა, „კამპანა“ ბუენოს-აირესის ნავსადგურში ჩაუშვა ლუბა.

და თამარ პაპავას დღიურში ჩნდება ერთ გვერდზე გადაჭიმული ერთადერთს-ტრიქონიანი ჩანაწერი, რომელიც თუმცა უთარიღოა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ისევე ის ოქტომბერია – 1949 წლის ოქტომბერი.

„გაჩერდა გემი და დავდგით ფეხი არგენტინის მიწაზე“.

მომდევნო ჩანაწერისთვის თამარ პაპავამ მხოლოდ ორი თვის შემდეგ მოიცალა, არგენტინული იანვრის ცხელ და სულისშემზუთველ დღეებში:

„უკვე ჩვენს შვილებთან ვართ და მათთან ერთად ვეგებებით ამ დღეს. შორს არის სამშობლო და ევროპაც. ცხელა, ძალიან ცხელა სულითქმა შეხუთულია. ვინაშით ოფლათ. ესეც შენი არგენტინა“. 1950, 1 იანვარი)

და აი, პაპავების მიერ პირველი 26 მაისის აღნიშვნა არგენტინის მიწაზე. ეჭვი არ არის, არგენტინაში მცხოვრები ქართველები, თუ ყველა არა, მათი ნაწილი მაინც, მანამდეც, ასე თუ ისე, თუნდაც თავის ოჯახურ წრეში აღნიშნავდა ამ თარიღს, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ 1950 წლის 26 მაისი ქართველთა საზოგადოების მიერ ორგანიზებული პირველი დღესასწაული იყო.

ამ დროს თამარ და აკაკი პაპავას უკვე შექმნილი აქვთ ის სახლი ლომას-დესამორაში, ლას-პიედრასის 135 ნომერში, რომელიც დღესაც მისი შთამომავლებს ეკუთვნით. და ეს მისამართი მის ხელნაწერებზეა დაბეჭდილი – აკაკი პაპავას, როგორც საქმის კაცს, არგენტინაში ჩამოსვლისთანავე თავისი სადარბაზო ბარათები და პირადი ბლანკები დაუმზადებია.

სწორედ ასეთ ბლანკზე დაუნერია აკაკი პაპავას 1950 წლის 21 მაისს 26 მაისის დღესასწაულის გეგმა და საამისოდ, როგორც ტექსტის სათაურიდან ჩანს, მას სპეციალური კომისიაც შეუქმნია. კომისიას 26 მაისის აღნიშვნა 28 მაისს, კვირა დღისთვის გადაუწყვეტია.

დოკუმენტში ზოგიერთი ადგილი გადაშლილია და ჩვენ ეს ადგილები აქ ასევე შეუცვლელად გადმოვიტანეთ:

„მოკლე ოქმი 26 მაისის სადღესასწაულო კომისიისა.

დადგენილებანი: სადღესასწაულო დღედ აღვნიშნოთ 28 მაისი.

ნაშუადღევის 4 ს. გადახდელ იქმნება მართლმად. ეკლესიაში პარაკლისი (სუ-
იპანა 842). მამა ნიკოლოზი წარმოსთქვამს მოკლე სიტყვა 26 მაისის აღსანიშნავად.

გუნდი ვ. ანდრიაძის ლოტბარობით შეასრულებს „დიდება“-ს და შემდეგ საეკ-
ლესიო გალობას. პარაკლისის დასასრულს თავმჯდ. გ. გომელაური წარმოსთქვამს
სიტყვას 26 მაისის მნიშვნელობაზე. და მოუწოდებს დამსწრეთ პარაკლისის შემდეგ
გასწიონ კლუბში [ქ ეს მრავალწერილი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჯერ
კლუბი შერჩეული არ ჰქონდათ და მისამართი არ იცოდნენ, – პ. 6.], საცა გაიმართე-
ბა ნადიმი ამ დღის აღსანიშნავად.

კლუბში შეხვედრა მოხდება დაახლოებით 6 საათზე. პარაკლისზე და კლუბში
დასასწრებად ყველა ქართველთაგანს გაეგზავნება სათანადო ცნობა. აგრეთვე გან-
საკუთრებულის ბარათით, რომელიც დაინერება ქართულად და ესპანურად, მონ-
ვეულ იქმნებიან საპატიო პირნი სხვა და სხვა ეროვნებათაგან, განსაკუთრებით კი
ჩვენი მეზობლების [იგულისხმება – მეზობელი ქვეყნები; არა არგენტინის, რა თქმა
უნდა, არამედ საქართველოსი – სომხეთი, უკრაინა, ბალტიის ქვეყნები, მთიელთა
რესპუბლიკა და ა.შ. – პ. 6.] წრეებიდან.

საპატიო პირებს დაუხვედებიან და ქართ. ახალშენის სახელით მიესალმებიან
ქ-ნი გოდერიძისა, ბ-ნი შერვაშიძე, დიასამიძე და გოდერიძე. ესენი ყველა დამსწ-
რეთ მიუჩინენ შესაფერ ადგილებს.

დარბაზი მორთული იქმნება საგანგებოდ ყვავილებით და მწვანით მოფარდაგე-
ბული კუთხით: ნაციონალური ღერბით (ვარლამიშვი.), ქართული დროშით და თა-
მარის და შოთას სურათებით. (სურათები და ფარდაგი ა. პაპავას ოჯახიდან უნდა
მოატანინონ, აგრეთვე ფირფიტები. გ. გომელაურის ოჯახიდან: ფუნწო, ქართული
ფირფიტები და სხვ. რასაც თავმჯდომარე შესაძლებლად დაინახავს. [ქ ჩამატებუ-
ლია სიტყვა „დაირა“, – პ. 6.]

ბ. გოდერიძე სთხოვს აშოტს ფირფიტებს.

ბ. დიასამიძე – გრამოფონს.

ქართველი უბრაულებიც, როგორც დამოუკიდ. საქართვე. ყოფილი მოქალაქენი,
მოწვეულ უნდა იქნან ამ დღესასწაულზე.

კომისია სთხოვს ა. პაპავას, უხელმძღვანელოს ნადიმს.

მთავარ სიტყვებს მოკლედ გააცნობს დამსწრეთ ესპანურ ენაზე ბ. გომელაური.
კერძო სიტყვები, თუ წინასწარ დავალებით არა, არ იქმნება ნებადართული.

ნადიმის შიგა და შიგ გუნდი შეასრულებს სხვა და სხვა სიმღერებს. აგრეთვე
შესრულებულ იქმნება ეროვნული ცეკვები და ნაკითხული ზოგიერთი ცნობილი პო-
ეტების ლექსები. ეს დივერტისმენტი უნდა შეამზადოს ბ. ანდრიაძემ.

შუა ნადიმში, ხელმძღვანელი გამოაცხადებს ცნობას „ქართული სახლი“-ს დაარ-
სებაზე და მოუწოდებს დამსწრეთ დახმარებისათვის. დიასამიძე ნაკითხავს მონო-
დებას. ამის შემდეგ ნადიმი გაგრძელდება და დასრულდება ღამის 11.30 საათზე.“

„მოკლე ოქმი“ კი ჰქვია ამ სამფურცლიან დოკუმენტს, მაგრამ ყველაფერი საკ-
მაოდ დანვრილებით არის განერილი ფარდაგით, ყვავილებით, ფირფიტებისა და
თვით ამ ფირფიტების და გრამოფონის მფლობელ, ვინმე აშოტის ჩათვლით.

ამ დანვრილებით ოქმში ყურადღებას იქცევს გ. გომელაურის თავმჯდომარედ
ხსენება. როგორც მზია პაპავა იხსენებდა, პაპავების ოჯახის არგენტინაში ჩამოსე-
ლამდე ბუენოს-აირესში არსებობდა ქართველთა ახალშენი, რომლის თავმჯდომარე-
დაც სწორედ გიორგი გომელაური იყო არჩეული. ახალი სათვისტომო, რომლის სა-
ფუძვლადაც იყო ჩაფიქრებული „ქართული სახლი“, ძველისგან განსხვავებით თავისი

პოლიტიკური ხასიათითაც უნდა ყოფილიყო გამორჩეული, რაკი მისი დამფუძნებლები პოლიტემიგრანტები იყვნენ. ესეც რომ არა, წმინდა ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ძველ და ახალ სათვისტომოებს შორის იმთავითვე, ჯერ კიდევ ახლის დაარსებამდე, გარკვეული დაპირისპირება იქნებოდა, რაც, როგორც ჩანს, წლების განმავლობაში მერეც გაგრძელებულა. შეიძლება ეს „ქართული სახლი“ სინამდვილეში სწორედაც ახალი სათვისტომო იყო და პოლიტიკურ ემიგრანტთა მიერ განსხვავებული ფორმითა თუ სახელწოდებით იმიტომ იყო შემოთავაზებული, რომ არსებულ სათვისტომოსთან დაპირისპირება თავიდან აეცილებინათ.

ამ „მოკლე ოქმზე“ აკაკი პაპავას თავიანი ქინძისთავით მიუმაგრებია მეორე სამფურცლიანი დოკუმენტი, რომლის ყოველი გვერდი იმავე ბლანკზეა დანერილი. ეს არის წინასწარ მომზადებული ტექსტი მონოდებისა, რომელიც, ოქმის თანახმად, შუა ნადიმში ხელმძღვანელს (ანუ თამადას) უნდა გამოეცხადებინა და რომელსაც დიასამიძე წაიკითხავდა. ალბათ ეს ყველაფერი ასეც მოხდა სინამდვილეში. ტექსტს ამგვარი სათაური აქვს: „მონოდება „ქართული სახლი“-ს დაარსების შესახებ ბუენოს-აირესში“. ისე როგორც წინა ხელნაწერში, აქაც ტექსტში ზოგიერთი ადგილი ჩასწორებულია – ამოღებული თუ ჩამატებული – და ჩვენც ყველაფერი ამჯერადაც ისე გადმოგვაქვს, როგორც დედანშია.

„დიდათ პატივცემულო დამსწრენო დღევანდელ ნადიმისა, ძვირფასო მამულიშვილნო.

უკვე რამდენიმე ხანია, განზრახული გვაქვს ქართველ ლტოლვილ პოლიტიკურ ემიგრანტთა ორგანიზაციულად შეკავშირება არგენტინაში, ისე როგორც ეს ახალშენები დაარსებულია ევროპის სხვა და სხვა ცენტრებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ქართველი ემიგრანტი გულწრფელად მონდობილია ემსახუროს ახალშენის საქმეს და ამით ქართულ ეროვნულ კულტურისათვის მუშაობაში თავისი პატარა წვლილიც შეიტანოს და ამით თავი დასხვებოც გადაჯერებოს გზას აუცდინოს. ამ ახალშენმა უნდა ყოველ ქართველს გაუწიოს ხელმძღვანელობა, დახმარება მორალური და მატერიალური და აგრეთვე ხელისუფლების წინაშე იყოს მისი წარმომადგენელი და დამცველი.

ამ საქმეს საჭიროა მტკიცე შეკავშირება, ერთობა და ინტენსიური, გულწრფელი მუშაობა.

ამისათვის კი დიდი ხანია აუცილებელ საჭიროებათაა მიჩნეული ერთი მტკიცე, მუდმივი ბინა – „ქართული სახლი“, საცა ყველა ქართველს შეეძლება თვის თანამემამულეთ შეხვედეს და თვის ჭირ-ვარამზე ეხაასოს, გამართოს კრება, სალიტერატურო და გასართობი საღამოები, გააწყოს სამკითხველო, სკოლა, ეკლესია და აგრეთვე დროთიდრო მოიწვიოს სხვა ერთა წარმომადგენელნი ჩვენი ისტორიის და კულტურის გასაცნობად.

სამწუხაროდ, ჩვენი ახალშენი მოკლებულია სათანადო თანხას, რაც ამ „ქართული სახლის“ შექმნა-დაარსებისთვის საჭიროა.

მაგრამ საქმის გადადებაც შეუძლებელია, მავნებელი და იმიტომ რამდენიმე ინიციატორთა ცნობას, რომ ასეთი ბინის შოვნა შეიძლება, ჩვენ აღფრთოვანებით შევხვდით. ეს ბინა, საცა იმყოფება სახადილო ბ. გოდერძიძისა (მაიბუ...) თვისის მღებარეობითა და აგრეთვე ფრიად შეღავათიან პირობებითა დიდათ სასურველი და შესაფერისი ქართულ-ახალშენისათვის. მთელი თანხა ამ ბინისათვის განისაზღვრება 23 ათას ბუქსითი, რომლიდანაც ამჟამად 10 ათასი უნდა იქმნას გადახდილი, ხოლო დანარჩენი შემოხავლიდან შეღავათიან ვადებში: [ნაშლილი წინადადების

ადგილას ჩამატებულია მომდევნო რვა სიტყვა, – **3. 6.]** მხედველობაშია მიღებული რამდენიმე ბინა ახუ სახლი ჩვენთვის მიზანშეწონილი და ჩვენც არ გვინდა ასეთი შემთხვევა ხელიდან გავუშვათ და გადავსწავიციოთ კიდევ მიგვეცა პრინციპიალური თანხმობა ამ წინადადებაზე იმ იმედით, რომ ამ დამსწრე საზოგადოება, ახალშენის ნევრები და ჩვენი პატივცემული სტუმრებიც თანაგრძნობას არ მოაკლებენ ამ „ქართული სახლი“-ს საძირკველის ჩაყრას და შეძლებისდაგვარად თვის წვლილსაც შემოიტანენ. ქართული ახალშენი ამ ~~40~~ **ათახუხუხუხ** [მომდევნო ერთი სიტყვა ჩამატებულია ნაშლილის ნაცვლად, – **3. 6.]** თანხას, რაც უხლუფ უნდა იქმნას შეტანილი, ითხოვს სესხად და აღნიშნულ დროზე ეს სესხი დიდის მადლობით დაუბრუნდება მას, ვინც დღეს დახმარებას გაგვინვეს. იმედი გვაქვს ყოველი აქ დამსწრე თანაგრძნობით შეხედება ამ მოწოდებას და „ქართული სახლი“-ს საჩქაროდ დაარსებაში შეძლებისდაგვარად სესხით დახმარებას გაგვინვეს.

დეე, **26** მაისის დღე იყოს ამ სახლის დაბადების დღედ გამოცხადებული და მას ეწოდოს „ქართული სახლი“ **26** მაისის სახელობისა.

აქვე სია სესხის გამლბეთა ქართულ სახლისთვის:

- 1) აკაკი პაპავას ოჯახისაგან – **1000** ჰ.
- 2)
- 3)
- 4)“

ტექსტი წინასწარ არის შედგენილი და აკაკიმ არ იცის, ვინ რამდენს შემოიტანს. ალბათ დოკუმენტს ამიტომ ჰქვია „მოკლე ოქმი“. სამწუხაროდ, ოქმის გრძელ ვარიანტს, თუ იგი არსებობდა, ჩვენამდე არ მოუღწევია.

ყურადღებას იქცევს სიტყვები „საჩქაროდ დაარსება“. ორგანიზატორები ჩქარობენ ახალი ორგანიზაციის შექმნას, რათა რაც შეიძლება მალე მოხდეს „პოლიტიკურ ემიგრანტთა ორგანიზაციულად შეკავშირება არგენტინაში“.

ნაშლილ ტექსტს რაც შეეხება, ეტყობა, პაპავას იმედი ჰქონდა, და ძველი ემიგრანტები ალბათ შეჰპირდნენ კიდევ, მაგრამ ბოლო მომენტში რალაც შეიცვალა და აკაკი პაპავას მიერ ამ საქმისთვის გადაღებული **1000** პესოც, მხოლოდ „მოკლე ოქმი“-ში“ დარჩა. მით უმეტეს, ამ **1000** პესოს სხვა შემონირულება ვერ დაემატებოდა.

ტექსტში გოდერიდის გვართან ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა (მაიპუ...) მისამართის პირველი ნაწილია, ნომერი აკლია. ჩანს, აკაკი პაპავას ტექსტის შედგენისას ქუჩა ახსოვდა, ნომერი არა.

ისე მოხდა, რომ მნიშვნელობის, ავტორიტეტისა და ძალისხმევის მიუხედავად, საკუთარი ბინის პრობლემა ბოლომდე პრობლემად დარჩა არგენტინის ქართულ სათვისტომოს. ვერც მინა შეიძინეს, ვერც საკუთარი კერა და ვერც ეკლესია დააარსეს, როგორც თავიდან ჰქონდათ ჩაფიქრებული. ხოლო „ქართული სახლის“ იდეა, სამწუხაროდ, იდეადვე დარჩა.

სავარაუდოა, რომ სათვისტომოს ზოგიერთ წევრს და განსაკუთრებით მის თავმჯდომარეს არ მოეწონებოდათ ევროპიდან ერთი წლის წინათ ჩამოსულთა აქტიურობა. აკაკი პაპავა და ვიქტორ ნოზაძე კი მოქმედების ხალხია და, როგორც ჩანს, ქართული სახლის ამ სიმბოლური გახსნის შემდეგ უკვე ახალი ქართული სათვისტომოს შექმნაზე დაიწყეს ზრუნვა და ყოველგვარი შესაძლო დაპირისპირების მიუხედავად, ძალიან მალე განახორციელეს კიდევ. ჩვენს ხელთ არის დამფუძნებელთა მიერ ესპანურ ენაზე შედგენილი სათვისტომოს წესდება, რომელიც **19** პუნქტისაგან შედგება და სადაც ახალ სათვისტომოს, ალბათ ძველისგან განსასხვავებლად,

მინდა გიორგი სახელი ჰქვია: *Asociacion Georgiana "San Jorge" en la Republica Argentina*. წესდება, როგორც ჩანს, ტიპურია და არგენტინის მაშინდელი კანონმდებლობის გათვალისწინებით უნდა იყოს შედგენილი. დოკუმენტი 1950 წლის 29 ოქტომბერს დაუმტკიცებია არგენტინაში მცხოვრებ ქართველთა კრებას ვილა-ბალესტერის დარბაზში, ბუენოს-აირესში, სან-მარტინის ქუჩის 244 ნომერში.

აი, როგორ არის ეს მნიშვნელოვანი ამბავი აღწერილი ჟურნალ „მამულის“ პირველსავე ნომერში დაბეჭდილ რეპორტაჟში სათაურით „ქართული საზოგადოების ცხოვრება არგენტინაში“:

„1950 წლის 29 ოქტომბერს ვილა ბალესტერ, სან მარტინ 244, შესდგა ქართველთა კრება, მონვეული განსაკუთრებული კომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ბ-ნი ზურაბ ციციშვილი და რომელსაც მიზნად აქვს თანხის შეგროვება ქართული საზოგადოებისათვის მიწისა და ბინა-ეკლესიის შესაძენად. კრება გახსნა ნაშუადღევს ოთხ საათზე ბ. ზურაბ ციციშვილმა და მას მოუწოდა თავმჯდომარედ აერჩია ბ. აკაკი პაპავა, რომელიც ერთხმად იქნა არჩეული, მდივნად ბ. ვ. ნოზაძე.

ბ. აკაკი პაპავამ თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველთა ერთად ყოფნისა და კულტურული მუშაობისათვის, რომელი მიზნისათვისაც ყოველი ძალა გამოყენებული უნდა იქმნას და ამიტომ ყოველგვარი დევა უნდა მოისპოს. და ამასთანავე სამუდამოდ უნდა ამოიშალოს ჩვენი ლექსიკონიდან ძველი და ახალი ემიგრანტის გარჩევაო.

ბ. ლეო ჭეიშვილი თავმჯდომარეს სთხოვს რიგს გარეშე მას განცხადების ნება მისცეს. ბ. ჭეიშვილი კრებას მოახსენებს იმ თანხის შესახებ, რომელიც მან შეაგროვა გენერალ სან-მარტინის ძეგლზე გვირგვინის დასადებად. თავმჯდომარე ბ. ა. პაპავამ აღნიშნა გენერალ სან მარტინის დიდი მნიშვნელობა არგენტინის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. სან-მარტინი არის, სთქვა მან, სიმბოლო ერთა განთავისუფლებისა და ამიტომ ქართველებისათვისაც დიდად საპატივო პიროვნება. მონოდების თანახმად კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გენერალ სან-მარტინის ხსოვნას. შემდეგ გამომუშავებული იქმნა კრების დღის წესრიგი – 1. კომისიის მოხსენება ფულის მოგროვებისა და მისი დანიშნულების შესახებ. შემდეგ კრების მსვლელობაში წამოიჭრა შემდეგი საკითხები – 1. საზოგადოების დაარსება და მისი წესდების განხილვა. 2. გამგეობის არჩევნები. 3. სარევიზიო კომისიის არჩევნები.

განსაკუთრებული კომისიის თავმჯდომარე ბ. ზურაბ ციციშვილი კრებას მოახსენებს, რომ საინიციატივო ჯგუფი შეუდგა ფულის მოგროვებას იმ მიზნით, რომ ქართველებს ბუენოს-აირესში თავისი საკუთარი კერა გაეჩინათ და ახლა კრების საქმეა ამ ფულის თავისი დანიშნულება მისცესო. ბ-ნი მ. დიასამიძე კითხულობს შემომწირველთა სიას და აღნიშნავს, რომ დღემდე შეგროვილია მხოლოდ შვიდიათას პესომდე, მაგრამ არიან კიდევ ხელისმომწერნი, რომელთაც ჯერ კიდევ თავისი ხელისმომწერა არ გაუნაღდებათ. კრებამ დაადგინა ეთხოვოთ იმ პირთ, რომელთაც დაპირებული თანხა ჯერ არ შემოუტანიათ, დააჩქარონ მისი შემოტანა. მცირე შენიშვნათა შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, დაევალოს იმავე კომისიას, რათა მან შეიძინოს მამული, რომ მასზე მომავალში ბინა-ეკლესია გავაჩინოთ, ამიტომ უნდა გაგრძელდეს ფულის გროვება, რაც იმავე კომისიას დაევალა. კომისიას საერთოდ და ბ-ნ ზურაბ ციციშვილს კერძოდ მაღლობა გამოეცხადა ენერგიული მოღვაწეობისათვის.

ამას შემდეგ კრებაზე დაისვა საკითხი ქართული საზოგადოების ოფიციალურად დაარსების შესახებ. ერთხმად გადასწყდა დაარსებულიყო ქართული საზოგადოება. ბ. ვ. ნოზაძემ წაიკითხა მომავალი საზოგადოების წესდების პროექტი, რომელიც

კრებამ ერთხმად დაადასტურა. მამა ნიკოლოზმა წარმოადგინა საკითხი, თუ როგორი ბეჭედი უნდა ექმნეს საზოგადოებას და ჩვეულებისამებრ საერთოდ საზოგადოებამ რა სახელი უნდა ატაროს. გადასწყდა ერთხმად, საზოგადოებას დაერქვას შემდეგი სახელი: „არგენტინაში მყოფ ქართველთა საზოგადოება „წმინდა გიორგი“, რაც შეეხება სანევრო გადასახადს, მის რაოდენობად მიღებულია: ოჯახიანი ნევრე-ბისათვის ხუთი პესო, ხოლო დანარჩენთათვის ათი პესო.

შემდეგ თავმჯდომარე ბ. ა. პაპავამ წარმოადგინა საკითხი – აირჩეს გამგეობა ამავე კრებაზე, თუ გადაიდოს არჩევნები მომავალი კრებისათვის. კრებამ ერთხმად გადასწყვიტა გამგეობის დაუყოვნებლივ არჩევა. ამ დადგენილების ძალით მოხდა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები, საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ. ვ. ნოზაძე (ერთხმად), გამგეობის ნევრებად – ბ. დავით ლოლობერიძე, ბ. გრიგოლ ბუაძე, ბ. მ. დიასამიძე და ბ. გაბო გოგელაშვილი. კრებამ ერთხმად აირჩია საზოგადოების საპატივო თავმჯდომარედ ბ. ა. პაპავა, სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი – ბ. პოლიკარპე დგებუაძე, ვლადიმერ სააკაძე და გივი გელაშვილი. თავმჯდომარე ბ. აკაკი პაპავამ არჩეულ გამგეობას და სარევიზიო კომისიას უსურვა ერთსულოვანი და ნაყოფიერი მუშაობა, რამიაც, ჩემის ღრმა რწმენით, არგენტინის ხელისუფლება სათანადო მფარველობას გაუწევსო. შემდეგ საკითხულ იქმნა მისალმების დეპეშები არგენტინის პრეზიდენტ ხუან პერონისადმი, მისი მიუღლისადმი და გუბერნატორ მერკანტესადმი. კრება მხურვალე ტაშით შეხვდა ამ მისალმებას. დეპეშის შინაარსი შემდეგია – „ქართველები, დამკვიდრებულინი ამ ქვეყანაში და დღეს შეკრებილნი, რათა შექმნან გამგეობა, რომელიც წარუძღვება ქართული საზოგადოების (სახელით „წმინდა გიორგი“) ბედობას, და აღფრთოვანებულინი პერონისტული მიზნებით, მიესალმებიან მის აღმატებულებას ნაციის პრეზიდენტ გენერალ ხუან პერონს და მის ღირსეულ მეუღლეს, ქალბატონ დონა პარია ევა დე პერონს“. ამგვარივე დეპეშა გაეგზავნა ბუენოს-აირესის გუბერნატორ მერკანტესაც, მისალმების შემდეგ, საზოგადო კრება დაიხურა. კრებას დაესწრო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი¹.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საგაზეთო რეპორტაჟში გაჟონა იმ დაპირისპირების ანარეკლმა, რომლის შესაძლებლობა აქამდე მხოლოდ ვივარაუდეთ. არც ის არის შემთხვევითი, რომ რეპორტაჟში საზგასმულად არის აღნიშნული საზოგადოების ნევრთა ძველ და ახალი ემიგრანტებად გამოჯვნის მიუღებლობა. რაკი ეს შენიშვნა ამ მცირე რეპორტაჟშიც კი მოხვდა, როგორც ჩანს, კრებაზე ეს საკითხი უფრო მწვავედ უნდა მდგარიყო, რაკი ძველ ემიგრანტებს, ყოველ შემთხვევაში მათ ნაწილს, არ მოეწოდენოდათ ახლების, მათი აზრით, მეტისმეტი აქტიურობა. არადა ნაომარი ევროპიდან ჩამოსული ემიგრაცია გარდა იმისა, რომ თავისი პარტიული და ეროვნული ინტერესებიც ჰქონდა, გაცილებით პოლიტიზებული იყო და სათვისტომოსაც უზრალყო ეთნიკურ გაერთიანებაზე გაცილებით მეტ ფუნქციასაც ანიჭებდა.

ბუენოს-აირესის გუბერნატორ, კოლონელ დომინგო მერკანტესაგან საზოგადო კრების თავმჯდომარემ, აკაკი პაპავამ საზოგადოების დაარსებასთან და თავმჯდომარედ მის არჩევასთან დაკავშირებით მილოცვის წერილი მიიღო, რომელიც ესპანურად ჟურნალის ამავე გვერდზეა დაბეჭდილი.

პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმში დაცული მასალების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია მეტ-ნაკლები სიზუსტით აღვადგინოთ არგენტინაში ქართული საზოგა-

1 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული I, მარტი, გვ. 30.

დოების როგორც დამფუძნებელთა, ისევე მათ მონინალმდეგეთა ვინაობა. ჩვენს ხელთ არის აკაკი პაპავას ხელით შევსებული რვეული, რომელიც მაშინ არგენტინაში მცხოვრებ ქართველთა ოთხი სხვადასხვა სიაა შეტანილი: ქართული სათვისტომოს „ნმ. გიორგის“ წევრთა სია მისამართებით; წევრი-ქალები (მისამართები იკივია); წევრთა ბავშვები; და მეტად იშვიათი რამ: არგენტინაში მცხოვრ. ქართველები, არა წევრნი საზოგადოებისა!

ქართული სათვისტომოს „ნმ. გიორგის“ წევრთა სია მისამართებით:

მისამართებს ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს და ნუსხას მისამართების გარეშე ვებეჭდავთ. სიაში განსაკუთრებით საინტერესოა, რომ რამდენიმე გვარი აქ გადაშლილია. როგორც ჩანს, გარკვეული დროის შემდეგ სიას გადახედეს და ზოგიერთი გვარი იმის გამო, რომ სხვადასხვა მიზეზით დატოვეს სათვისტომო და ზოგიერთმა არგენტინაც (როგორც მაგალითად, ფელიქს ვარლამიშვილმა ან ვიქტორ ნოზაძემ), სიიდან ამოშალეს. ჩვენ ეს გვარები სწორედ ისე ნავშაღეთ, როგორც ეს დოკუმენტი ჩვენს ბიბლიოზეუმშია დაცული.

1. აბუთიძე ვახტანგი
2. ანანიაშვილი დიმიტრი
3. ანდრონიკაშვილი ადონიკ
4. ალიხანაშვილი ვანო
5. ბუაძე გრიგოლ
6. ბუხრაშვილი ალექსანდრე
7. ბურდულაძე ვანო
8. გამრეკელი ვლადიმერ
9. გვათუა ვარლამი
10. გელაშვილი გივი
11. გვარჯალაძე კარლო
12. გოგელაშვილი გაბო
13. გორგოშიძე არკადი
14. დიასამიძე არჩილ
15. დიხაშიძე მისხილ
16. დგებუაძე პოლიკარპე
17. ელიავა ნიკოლოზ
18. ვარლამიშვილი ფელიქს
19. მღვდ. ზამზახიძე ნიკოლოზ
20. თარხნიშვილი შოთა
21. კობახიძე დავით
22. კვანტალიანი კარლო
23. ლორთქიფანიძე გრიგოლ
24. მალაკელიძე ვალერიან
25. მიქაბერიძე გრიგოლ
26. მალანია ნიკოლოზ
27. მრელაშვილი გიგა
28. მაჭარაშვილი ირაკლი
29. მაჩხანელი გიორგი
30. ნაკაშიძე გიორგი
31. ნადაშვილი მიხეილ

32. ნოზაძე ვიქტორ
33. ორჯონიკიძე არჩილ
34. პაპავა აკაკი
35. პატარძალიშვილი გოგი
36. საგინაშვილი ვანო
37. სააკაძე ლადო
38. ქართველიშვილი თენგიზ
39. ლოლობერიძე დავით
40. შანავა ტარასი
41. შახპარუმიანი ნიკო
42. ციციშვილი ზურაბ
43. ჭანტურია ბაგრატ
44. ჭეიშვილი ალექსანდრე
45. ჭეიშვილი ლეონიდე
46. ხაჩიძე არჩილ
47. ჯაფარიძე ლევან
48. ჯიქია ალექსანდრე
49. ჩომახიძე ჯონდო (გრიგოლ)
50. შალელაშვილი ილია
51. შერვაშიძე ვანო

სიაში მოგვიანებით რამდენიმე გვარია ჩამატებული:

მე-18-ის მერე უნომროდ წერია ვაშაძე კონსტანტინე; სიის ბოლოში 52-ე ნომრად ქართულად წერია ხურცილავა ამბროსი მაქსიმეს ძე; ამის მერე რამდენიმე გვარია ლათინური ასოებით: გოდერიძე, ბელგრანო, მარგველაშვილი, ლ. ჯაფარიძე ანნა (ცილა). აქედან მარგველაშვილის გარდა ყველა გადაშლილია. ბოლო გვარი ალბათ იმიტომაც არის გადაშლილი, რომ საზოგადოების ქალთა სია ამ რვეულში ცალკეა აქ წარმოდგენილი.

აი, ისიც:

წევრი-ქალები (მისამართები იგივეა)

1. აბუთიძე ვალია
2. გელაშვილი ინგე
3. გორგოშიძე ოლლა
4. ვარლამიშვილი ზირუ
5. თარხნიშვილი ფრანცისკა
6. კვანტალიანი ნათელა
7. ლორთქიფანიძე მარგარიტა
8. მიქაბერიძე კორნელია
9. მალლაკულიძე ელენე
10. მარგველაშვილი ლიზა
11. მალანია ირა
12. მაჩხანელი მილა
13. ნაკაშიძე მაშუკა
14. ნაკაშიძე (ანტონესკო) ნანა
15. პაპავა თამარ

16. პატარძალიშვილი მარიამ
 17. საგინაშვილი თამარ
 18. სარაჯიშვილი მარიამ
 19. ციციშვილი ელენე
 20. ჭეიშვილი ტურფა
 21. ჭეიშვილი მზია
 22. ჯაფარიძე მარიკა
 23. ჯიქია ვერა
- შემდეგი სია ასეთია: ნევრთა ბავშვები:
1. აბუთიძე ზაური
 2. აბუთიძე ნათელა
 3. გორგოშიძე
 4. გორგოშიძე
 5. კვანტალიანი ალექსანდრე
 6. მალანია მარიამ
 7. ნაკაშიძე დავარ
 8. საგინაშვილი ზოია
 9. საგინაშვილი იანა
 10. პატარძალიშვილი გური
 11. ჭეიშვილი ნინო (ფიქრია)
 12. — „ — პუსი (ტურფა)
 13. — „ — მზიკუნა (თამარ)
 14. — „ — მაყვალა
 15. — „ — გულნარა
 16. — „ — სალომე
 17. ჯაფარიძე ციალა
 18. ჯაფარიძე თეო
 19. ჯაფარიძე გივი
 20. ჭეიშვილი დათუნა

და, რაც მთავარი და უჩვეულოა, აკაკი პაპავას ამავე რვეულში ჩაუნერია კიდევ ერთი, სათვისტომოს მომავალი საქმიანობის შესწავლისათვის უაღრესად საჭირო სია: არგენტინაში მცხოვრ. ქართველები, არა ნევრნი საზოგადოებისა:

1. ანდრიაძე ვლადიმერი
2. — „ — მეუღლე
3. გოდეროძე მიხეილ
4. გომელაური გიორგი
5. — „ — მეუღლე
6. გოჩიაშვილი არჩილ
7. ვაშაძე კოტე
8. თუმანიშვილი ალექს.
9. — „ — მეუღლე
10. ლაცაბიძე გრიგოლ
11. — „ — მეუღლე
12. ლორთქიფანიძე ოთარ

13. — „ — მეუღლე
14. მალალაშვილი სიკო
15. მთვარელიძე ბაგრატ
16. — „ — მეუღლე
17. ტერიაშვილი ვანო
- ~~18. შურვაშიძე ვანო~~
19. ხურცილავა ამბროსი
20. ხაჩიძე ალექსანდრე

ამ სივების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ სხვადასხვა სახის დაპირისპირებას, რამაც მომავალში არაერთგზის იჩინა თავი, სათვისტომოს დაარსებისთანავე დაედო სათავე. ამ სიებიდან ჩანს, რომ კრებაზე ყველაფერს მშვიდად არ ჩაუვლია. ზოგიერთი ახალ ემიგრაციას გარკვეული დროს შემდეგ მიმხრობია. ამაზე მეტყველებს ის, რომ ბოლო სიიდან სამი ადამიანი პირველი სიაშია გადაყვანილი. ხოლო ზოგიერთი დიდხანს თავის პოზიციაზე დარჩენილა და რაც მერე და მერე არაერთი კამათისა და გაუგებრობის საგანი გამხდარა, რომელთა შესახებ მზია პაპავა თუ გულნარა ჭიეშვილი მიაგებობდნენ ჩვენი შეხვედრებისას და რაც ამა თუ იმ ფორმით პაპავების არქივში დაცულ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაშიც დაფიქსირდა და პრესაშიც გაჟონა. რამდენადაც ეს თამარ და აკაკი პაპავას ოჯახის წევრთა ნაამბობიდან ვიცით, მერე და მერე ამ კრების მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულებასაც გადასწვდა, მესამე სიაში რომ არიან მოხსენიებული.

მამინ კი, იმ წლებში, ბავშვები ბავშვები იყვნენ და დიდად გაიხარეს, როცა უფროსებმა საშობაო ნაძვის ხე მოუწყვეს 1950 წლის 25 დეკემბერს:

„25 დეკემბერს საზოგადოების გამგეობამ ბუენოს-აირესში მოაწყო ქართველ ბავშვთათვის შობისხე. ბავშვებმა იმღერეს და იცეკვეს. მათ დაურიგდათ საშობაო საჩუქრები, რომელმაც ბავშვები მეტად გაამხიარულა. შობისხის მომზადებისა და მორთვისათვის დამსწრე საზოგადოებამ ქალბატონ ინგე გელაშვილისას დიდი მადლობა გამოუცხადა“.²

ამავე დღეს ბ. აკაკი პაპავას ნაუკითხავს მოკლე მოხსენება საქართველოს სამეფოს მოსპობის 150 წლისთავის აღსანიშნავად.

ხოლო თამარ პაპავა თავის დღიურში 1951 წლის პირველსავე დღეს წერს:

„უკვე მეორე ახალი წელია არგენტინაში ჩვენს მრავალრიცხოვან ოჯახში. ცხელა, მარა „გოზინაი“ მაინც გვაქვს და პატარა ბასრი კბილები ჩვენი ცუგრუმელა გოგოების გემრიელათ ხრავენ. მადლობა წარსულ წელს, მან ჩემს შვილებს მისცა სინდუსხელა და მაყვალა. მშვენიერი პატარა გოგონები, ერთი მზიასი და მეორე ტურფასი. სადაც 6 პატარა ბავშვია იქ არის სიხარულთან ერთათ მწუხარებაც. ბავშვებმა გამოიარეს ძალიან მძიმე ფორმის ყივანახველა, რომელიც 6 თვე გრძელდებოდა. ყველამ ძნელათ გამოიარეს, განსაკუთრებით ჩვენმა გულნარამ... ძალიან დაღალა ბავშვი და ძლივს გამოვებრუნეთ.“

23 თებერვალს 1950 წ. მშვიდობით და კარგათ ჩამოვიდა იმავე გემით „კამპანათი“ ბიძაჩემი ვალოდი პარიზიდან ჩვენთან. მიუხედავათ იმისა, რომ 76 წლის არის, ძალიან მხნეთ გამოიყურება ეს ძველი ქართ. ბუნების ადამიანი... ამნაირად ჩვენი

2 შურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული I, მარტი, გვ. 30-31.

შედარებით დიდი ოჯახი ცხოვრობს თავისი პატარა ცხოვრებით, შრომით და მუყაითი გარჯის წყალობით. ჩვენ სულ 13 სული ვართ – დიდნი და პატარანი. რასაკვირველია ამოდენა ჯალაბობას თავისი მრავალი გაჭირვება და ზრუნვა თან ახლავს. ძნელია უცხო კარზე სულ სხვა ტომის ხალხში ხელმოკლე კაცმა ქართული კერა შექმნას, მაგრამ სამას, ლეოსა და მამას ერთსულელოვნობით გარჯამ, მაინც გამოგვიყვანეს არგენტინის ახალ ლიანდაგზე. ბავშვებს მეტი რა ხელობა აქვთ. ცელქობენ, ჯიუტობენ, ყვირიან. ნინო იზრდება ტანით მალალი, სწავლობს წარჩინებით... ნიჭიერი გოგოა. პუსი ნამდვილი ყაჩაღია, ცელქი და უსაზღვროთ ნიჭიერი, ცელქობს, ცეკვავს და ხტის დილიდან საღამომდე. მზიკუნა ნიჭიერი გოგოა და დიდი ემშაკი, მოხერხებული, სწავლობს კარგათ. სინდუსა და მაცვალა ჯერ პატარა კუდრაჭები არიან. მარტო ყვირიან რძე... რძე... და რძე – ესაა მათი ასპარეზი დღეს.

რამ ჩამოგვავადო ამ ცის კიდეს ასე შორს, ხანდახან ვფიქრობ და ვერ გამიგია რატომ მოვასკდით ამ არგენტინას? აღარ იყო ჩვენთვის ქვეყანაზე პატარა მიწის ნაკვეთი ევროპაში?

ეხ, ალბათ არ იყო...

ვინ წაიღო?..“

და კიდევ რამდენიმე ცნობა „მამულიდან“:

„მამა ნიკოლოზმა გადაიხადა პარაკლისი წმიდა ნინოს დღეობისათვის, რის შემდეგ მან ქადაგება წარმოსთქვა წმიდა ნინოს მნიშვნელობის შესახებ ქართულ ეკლესიაში. ამას შემდეგ შესდგა საზოგადო სხდომა, რომელზედ ბ. პაპავამ სიტყვა წარმოსთქვა ქართული ეკლესიის მნიშვნელობაზე ქართული კულტურის განვითარებაში. ბ. ვ. ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება ჯვარი ვაზისა შესახებ“.³

„ლტოლოვილთა კლუბში შესდგა ქართული საზოგადოების სხდომა. კრების გახსნისას ქართულმა გუნდმა ბ. ვ. ანდრიაძის ხელმძღვანელობით შეასრულა „დიდება“. ბ. ვ. ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლათა შესახებ და დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელ ომზე. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა თავისუფლებისათვის დაღუპულთა ხსოვნას და გუნდმა შეასრულა მრავალჟამიერი. შემდეგ ბ. აკაკი პაპავამ წაიკითხა მოხსენება საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლების შესახებ, ამ სამეფოს გაუქმების 150 წლის თავზე. ბ. ვ. ანდრიაძის ხელმძღვანელობით გუნდმა ზოგი ქართული სიმღერა შეასრულა“.⁴

ჟურნალი „მამული“, რომლის რამდენიმე პუბლიკაცია უკვე დავიმონმეთ, პირველი ქართული პერიოდული გამოცემა იყო ამერიკის კონტინენტზე. მისი პირველი რვეული 1951 წლის მარტში გამოვიდა ბუენოს-აირესში. ეს იყო, როგორც მას ტიტულში აწერია, „კრებული მშობლიური ისტორიისა, მწერლობისა და კულტურისა“. იქვეა მისი ესპანური სახელწოდება – *La Patria*. ჟურნალის პირველი რვეულის ტიტულზე საქართველოს გერბის ნაწილი – წმინდა გიორგის გრაფიკული გამოსახულება ახატია და როგორც დევიზი ილია ჭავჭავაძის სიტყვები აწერია: „მას აქვთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება“... მეორე ნომერში ჟურნალის ტიტულზე მეორე დევიზიც გაჩნდა – გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „სხვა საქართველო სად არის, / რომელი კუთხე ქვეყნისა“. მაგრამ მესამე რვეულში არც ერთი ეს დევიზი გამოცემის ტიტულში აღარ ფიგურირებს.

3 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული I, გვ. 31.

4 იქვე.

ჟურნალში, რომელსაც გამოცემლები კრებულს უწოდებენ, პაგინაცია ერთიანია. სულ ჟურნალის ექვსი ნომერი გამოვიდა, 216 გვერდის საერთო რაოდენობით. ჟურნალის რედაქტორი იყო ვიქტორ ნოზაძე. და არა მარტო რედაქტორი, იგი ამავე დროს ასოთამწყობიც იყო: ჟურნალის ტიტულზე და სათაურების გაფორმებაზე მუშაობდნენ ლადო სააკაძე და ვარლა.

ჟურნალი ძირითადად ქართული იყო, თუმცა ზოგიერთი წერილი ესპანურ ენაზეც ქვეყნდებოდა.

ჟურნალის ავტორები იყვნენ ვიქტორ ნოზაძე (ფსევდონიმები: დონაური, ბ. ვარდანი, მოძველო), აკაკი პაპავა (ფსევდონიმები: გაუტეხელი, ქეიბური, კახაბერი), თამარ პაპავა, არჩილ ხაჩიძე, ხარიტონ შავიშვილი, ზაქარია გურული, გრიგოლ ბუაძე, დავით ვაჩნაძე, შალვა აბდუშელი და სხვები.

კრებულის პირველ რეჟულში გამოქვეყნებულია მონინავე წერილი, რომელიც ამავე დროს გამოცემის ერთგვარ პროგრამას წარმოადგენს, და რომელიც დაბეჭდილია როგორც ქართულ, ისე ესპანურ ენებზე. ამისი ავტორი ან აკაკი პაპავა უნდა იყოს ან ვიქტორ ნოზაძე, ან ორივე ერთად. მონინავე წერილს ასეთი სათაური აქვს: „ჩვენი პირველი ნაბიჯი არგენტინაში“:

„პირველად ამერიკის კონტინენტზე გამოდის ქართულ ენაზე ბეჭდვითი ორგანო, და იბეჭდება იგი არგენტინის დედა-ქალაქში – ბუენოს-აირეს. თვით ეს მოვლენა ბევრის მეტყველია. იგი მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ ქართველობა, რომელსაც თავისი მიზანყლის მიტოვება არ უყვარს, უფლება აყრილ სამშობლოს ვერ დაბრუნებია იქ დამყარებულ ბოლშევიკური წყობილებისა გამო, ბოლშევიკურ ძალადობას არ შერიგებია და კვლავ ბრძოლას განაგრძობს; იგი მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ თავისი ბრძოლის ხანაში ქართულმა ემიგრაციამ ამ შორეულ ქვეყანასაც მოაღწია და არგენტინა გახდა ქართველთათვის იმ კეთილ სტუმართ-მოყვარე ქვეყნად, როგორც იგი ცნობილია ყველასათვის. ოღონდ არგენტინა ქართველთათვის მიმზიდველი და საყვარელი იყო არა მარტო თავისი სტუმართ-მოყვარეობით, არამედ პატარა და ჩაგრულ ერთა შემწეობითაც, იმ სიყვარულით, რომელიც არგენტინის ხალხმა ქართველთა გულში დანერგა.

მართლაც, ყველა სახელმწიფოთა შორის მთელს მსოფლიოში, არგენტინა იყო ის პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს უძველესი სახელმწიფოს აღდგენა და აღდგომაც დაადასტურა და იურიდიულად ცნო 15 სექტემბერს 1919 წელს, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

საქართველო, რომელიც იმ ხანად იმის მიუხედავად, რომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სამეფო იყო და მხოლოდ 1801 წელს მზაკვრულად დაამხო-მოსპო მეფურმა რუსეთმა, და იგი გუბერნიებად გადაქცეა, და ამიტომ პოლიტიკური გეოგრაფიიდან ამოშლილი იყო, ყველას ეჩვენებოდა ვით ახლად დაბადებული, უცნობი ქვეყანა; მით უმეტეს დიდად გახარებული დარჩა შორეულ და მისთვის უცნობი არგენტინის მიერ ასეთი დიდი ყურადღების გამოჩენით, იურიდიული ცნობით და ეს ყურადღება მან დიდი მადლობით მიიღო.

საქართველოს არ დაეინყებია და არც დაეინყებს იგი იმ მოვლენასაც, რომ მტრის ძალადობის შედეგად მის გახიზნულ შვილთ არგენტინამ კარი გაუღო და თავშესაფარი მისცა. დღეს ამ ქვეყანაში ეს ქართველობა სარგებლობს იმ სამართლიანობით, რომელიც დიდი არგენტინის შემქმნელმა და ხელმძღვანელმა, პრეზიდენტმა გ. პერონმა (კორექტურაა – უნდა იყოს ხ. პერონი, თუმცა შეიძლება ასო გ-ში გენერალი იგულისხმება; ესპანურ ვარიანტში გენერალი ხუან დ. პერონი

ნერია, – **პ. ზ.**) და მისმა მეუღლე ევა პერონმა აქ დაანესეს და განახორციელეს. და როდესაც ეს სამართლიანობა საერთაშორისო ურთიერთობაშიც დამყარდება, ქართველობა მოელის, რომ დიდი არგენტინა იქნება ერთი იმ პირველ ერთგვანი, რომელიც დაჩაგრულ ქართველ ერს შემწეობის ხელს გაუწოდებს და მის მიერ გამოცხადებული სამართლიანობის საფუძველზე, მას დაეხმარება თავისუფლება მოიპოვოს, ფეხზე დამკვიდრდეს და განმტკიცდეს“.⁵

„მამულს“ ჰქონდა რუბრიკები, რომელთაგან გამოირჩეოდა რუბრიკა „მხილება-ნი“, რომელიც პარიზიდან გამოგზავნილი პ. პარიზელის წერილით დაიწყო. რუბრიკა ნომრიდან ნომერში გრძელდებოდა და ქართველთა უღირს საქციელს ამხელდა. თუმცა წერილებში არ იყო დასახელებული კონკრეტული პიროვნებები, მაგრამ მაშინ ჟურნალის თითქმის ყველა მკითხველმა იცოდა, – არგენტინაშიც, ამერიკაშიც და ევროპაშიც, – ვინ იგულისხმებოდა წერილების უსახელო თუ შეცვლილსახელიან პერსონაჟებში. რაც შეეხება ფსევდონიმს – პ. პარიზელი, ჩვენი აზრით, ეს ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი ჟურნალისტი გიორგი წერეთელი (1917-1993) უნდა იყოს, რომელსაც ძირითად ფსევდონიმად გ. პერევისელი ჰქონდა. მაგრამ ამავე დროს მისი ფსევდონიმები იყო „პარიზელი იმერელი“ და „პაპუნა“ და აქედან „პ. პარიზელი“ მისთვის ბუნებრივ ფსევდონიმად ჩანს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ პ. პარიზელი ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის გიორგი (გოგი) ნაკაშიძის (1894-1990), ფსევდონიმი ყოფილიყო, ის მაშინ ბუენოს-აირესში ცხოვრობდა.

ამ რუბრიკას ცხოველი გამოხმაურება მოჰყვა და, როგორც ჟურნალის პუბლიკაციებიდან ჩანს, ამ რუბრიკით დაბეჭდილი წერილები არაერთი კამათისა და დისკუსიის საბაზი გამხდარა.

„ერთ-ერთი კორესპონდენტი, რომლის წერილს ჩვენ შემდეგ ნომერში დავუბრუნდებით, გვწერს: – „ისეთი აურზაური ასტყდა, თითქო ვილაცამ წყვდიადში ბომბა გაესროლოს. დამდგარი ჭაობი ატორტმანდა, მისი დღემდე „მყუდრო“ მოზინადრენი ერთბაშად შეირხნენ, მათი არსება შიშმა მოიცვა, დამალულ და მიფუჩჩებულ ამბავთა გახსენება მათთვის მორიელის კბენა იყო“...“⁶

ამაზე მეტყველებს აკაკი პაპავას ხელით დაწერილი რეზოლუციის პროექტი, თუმცა დანამდვილებით უცნობია, რისთვის დაინერა იგი და სად და როგორ იქნა მიღებული ან რეალიზებული. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს საპასუხო რეაქცია მიუნხენელ ქართველთა ერთი ნაწილის „ე. წ. რეზოლუციისა“, როგორც მას „მამულის“ რედაქცია უწოდებს, რომელიც გაზეთ „საქართველოსა“ და ზოგიერთ სხვა ემიგრანტულ გამოცემაში დაბეჭდილა.

აკაკი პაპავას რეზოლუციის პროექტი მიუნხენელთა რეზოლუციის საპასუხოდ და „მამულის“ პუბლიკაციების მხარდასაჭერად უნდა იყოს შედგენილი.

აი, ეს დოკუმენტიც:

„რეზოლუციის პროექტი.

არგენტინის ქართველობა აღფრთოვანებით ეგებება ამერიკის კონტინენტზე ზედა პირველი ქართული ბეჭდვითი ორგანო „მამულს“, რომელიც ასე უანგაროდ და ღირსეულად ემსახურება ქართული ისტორიის და კულტურის წმინდა საქმეს, ჯეროვნად და მიუდგომლად აშუქებს თანამედროვე ქართულ კითხვებს და მასთან ჩვენი ემიგრაციის ცხოვრებას და საქმიანობას.

5 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული I, მარტი, გვ. 2.

6 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული III, მარტი, გვ. 85.

არგენტინის ქართველობა განსაკუთრებით მიესალმება „მამულის“ განყოფილება „მხილებანი“, რომელიც ფხიზლად სდგას ემიგრაციის ეროვნული საქმიანობის სადარაჯოზე, ამხელს ზოგიერთ ქართველთა ბნელ საქმიანობას, რომელთაც ჩვენს წმინდა მუშაობას ჩრდილი მიაყენეს, უცხოელებთან სახელი გაგვიტყხეს და ქართველ ემიგრაციის ნდობა საკუთარ კარიერისა და კეთილდღეობისათვის ბოროტად გამოიყენეს.

არგენტინის ქართველობა გმობს იმ პირთა მოქმედებას, რომელნიც რაღაც ანგარიშით და მოსაზრებით ხელს აფარებენ ამ არამკითხველ ქირისუფალთა სასიროცხო საქმიანობას, ებრძვიან „მამულის“ მართალ სიტყვას და იმედს გამოთქვამს, რომ ჟურნალი მხნედ განაგრძობს ამ გზის სვლას და ზოგიერთ მავნე ელემენტების საქმეთა და ზრახვათა მხილებით დიდ სამსახურს გაუწევს ეროვნულ მუშაობას და ამავე დროს მტკიცედ დაიცავს ძველ ტრადიციებს ქართული საზოგადოებრივი, დამოუკიდებელი აზრისა და თავისუფალი პრესისას.

პაპავასა და ნოზაძის მიერ შექმნილი არგენტინის ქართული სათვისტომო იმთავითვე ჩაერთო ქართულ ემიგრანტულ ცხოვრებაში, იქნებოდა ეს პოლიტიკური, კულტურული თუ სამეცნიერო სფერო, მაშინვე დაამყარა კონტაქტები სხვა სათვისტომოებთან და, ეტყობა ეს კონტაქტები, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ემიგრაციაში, მუდამ კეთილმეგობრული არ ყოფილა. მით უმეტეს, რომ ჟურნალი „მამული“ მთელ ქართულ ემიგრაციაში ვრცელდებოდა. მეორე მხრივ, სხვა ქვეყნების ქართული სათვისტომოები ესწრაფვოდნენ კონტაქტს ახალდარსებულ არგენტინულ სათვისტომოსთან, ხშირად გზავნიდნენ ბუენოს-აირესში თავიანთ მასალებს, ოფიციალურსა თუ არაოფიციალურს, რისი დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტია დაცული თამარ და აკაკი პაპაევების არქივში, ან გენუბათ – იმავე ჟურნალ „მამულში“.

აი, მაგალითად, „ქართველ-ამერიკელთა ლიგის“ მომართვა არგენტინის ქართული საზოგადოების გამგეობისადმი, რომელიც „მამულის“ პირველ რვეულშია დაბეჭდილი:

„პატივი გვაქვს მოგახსენოთ რომ ნიუ-იორკში დაარსდა „ქართველ-ამერიკელთა ლიგა“. ისევე როგორც ყოველი ქართული პოლიტიკური ანტი-კომუნისტური ორგანიზაცია. ლიგის მიზანია საქართველოს განთავისუფლება, მისი სრული დამოუკიდებლობის აღდგენა. ყველასათვის ცხადია, რომ ვამინგტონი დღეს წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის უდიდეს ცენტრს. აქ იქნება მიღებული გადაწყვეტილებანი, რომლებზედაც დამოკიდებულია ერების მომავალი ბედ-ილბალი.

ჩვენი ინტერესები აუცილებლად მოითხოვენ ამ გადამწყვეტ მომენტში აქ ისმოდეხს საქართველოს ხმა. სწორედ ამ მოსაზრებით დაარსდა ამერიკაში ზემოხსენებული ლიგა, არა პარტიული ორგანიზაცია, რომლის წევრად შეიძლება იყოს ყოველი ქართველი, რომელსაც სურს ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის.

ლიგის უახლოესი მიზანია ამერიკაში საზოგადოებრივი აზრის მომზადება და კავშირის დამყარება ამერიკულ მთავრობასთან, რათა გაშუქებულ და გაცნობილ იქნას ყველა საკითხები, რომლებიც საქართველოს ეხებიან:

დარწმუნებული ვართ, ევროპაში მყოფი ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები ღირსეულად დააფასებენ ამერიკაში ამგვარი ორგანიზაციის დაარსების მნიშვნელობას და გაგვინანილებენ მრავალი წლების განმავლობაში მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას.

აგრეთვე ვფიქრობთ, რომ ის ფაქტი, რომ საქართველოს ჰყავს უცხოეთში იურიდიულად ცნობილი წარმომადგენლობა, გაგვიადვილებს კავშირის დამყარე-

ბას ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებთან. შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა გვაძლევს იმედს, რომ ემიგრაციაში მყოფი ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები, მიუხედავად მათი პარტიული სხვადასხვაობისა, ერთსულოვნად და მეგობრულად შეაერთებენ თავიანთ ძალებს ყველასათვის უძვირფასესი მიზნის მისაღწევად.

ქართველ-ამერიკელთა ლიგის დავალებით – თ. ბაგრატიონი, გ. კობახიძე, ლ. დუმბაძე, ი. ორბელიანი, პ. კვარაცხელია, დ. ჩხატარაშვილი.⁷

არგენტინის სათვისტომო ამ განცხადებას სიამოვნებით შეეგება. „გიორგი ნაკაშიძემ საზოგადოებას წინადადება მისცა, ახლად დაარსებულ „ქართველ-ამერიკელთა“ ლიგას სათანადო მისასალმებელი წერილი გაუგზავნოს, რაც გამგეობას დაევალა“.⁸

უბინაობის პირობებში ამერიკის ქართული სათვისტომო დიდხანს სარგებლობდა ლიეტუვის სათვისტომოს კლუბით, ბუენოს-აირესში, ბოედოს ქუჩაზე. ამ კლუბმა წლების განმავლობაში მრავალ ქართულ ღონისძიებას უმასპინძლა:

აი, მაგალითად, როგორ იწვევდა „მამული“ თავის მკითხველებს ლიეტუველთა კლუბში:

„ქართული კონცერტი ბუენოს-აირესში“

„1951 წლის 15 აპრილს, კვირას, ნაშუადღევს ექვს საათზე, ლიტოველთა კლუბში, ბოედო 737, გაიმართება პირველი ქართული კონცერტი, შემდეგი პროგრამით – 1. ნოზაძე – ქართული მუსიკა (მოკლე ისტორია).

ქალბატონი ლაკს – არია ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.

ბატონი ვლადიმერ ანდრიაძე – 1. არია ოპერიდან „ლალატი“. 2. არია ოპერიდან

„დაისი“.

ქართული გუნდი ბ-ნ ანდრიაძის ხელმძღვანელობით შეასრულებს – 1. სამშობლო, 2. სხვათა მოჯამაგრობას. 3. ცეკვა – ციალა ჯაფარიძის ასული და ბ-ნი გივი გელაშვილი.

ტრიო: ბბ. ვ. ანდრიაძე, გაბო გოგელაშვილი და კარლო კვანტალიანი – მშენიერო, შენ გეტრფი...

გუნდი – 1. სიყვარული არ იქნება ძალადა, 2. მო, მედგარნო მეგობარნო...

ცეკვა – კინტოური, შეასრულებს ბ-ნი პატარძლიშვილი.

გუნდი – სულიკო.

იგივე ტრიო – მხოლოდ შენ ერთს...

გუნდი – დილა სოფლად (პოპური).⁹

ჟურნალის მომდევნო ნომერში კი ამ კონცერტის ანგარიშია დაბეჭდილი:

„ბუენოს-აირესში ამა წლის 15 აპრილს ქართული საზოგადოების გამგეობამ გამართა ქართული კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე ამ ქალაქში დიდი ხნიდან მცხოვრებნი ქართველი ისრაელებიც თავის ოჯახობით. ბ-ნმა ვ. ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება ქართული მუსიკის განვითარების შესახებ. შემდეგ ბ-ნმა ე. ანდრიაძემ, ქბ-ნ ლაკსის აკომპანიმენტით, მშენიერად იმღერა არია ოპერიდან „დაისი“ (მალხაზის გამოსვლა) და არია ოპერიდან „ლალატი“ (ერეკლეს არია). საზოგადოებამ იგი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. იმავე ბ-ნ ვ. ანდრიაძის ხელმძღვანელობით ქართულმა გუნდმა იმღერა ძველი და ახალი სიმღერები და ტრიომ

7 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული I, მარტი, გვ. 31-32.

8 იქვე.

9 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული I, მარტი, გვ. 32.

(ბბ. ანდრიაძე, გოგელაშვილი და კვანტალიანი) ორი სიმღერა. საზოგადოება აღფრთოვანებით შეეგება მათ. მშვენივრად იცეკვეს ლეკური ციალა ჯაფარიძის ასულმა და ბ-ნ გ. გელაშვილმა, ხოლო პატარძლიშვილმა მოხდენილად იცეკვა კინტოური და გუნდის სიმღერაზე დაუარა კოხტად ბ-ნმა ვ. აბუთიძემ.

ქართული საზოგადოება ამ კონცერტით მეტად კმაყოფილი დარჩა და იქვე ბუფეტში გაიშალა სუფრა, სადაც ქართველმა ისრაელებმა ძველებური ქართული სიმღერები შემოსძახეს და საერთო ლხინი გაიმართა, რომლის დროს ქართველმა ხანდაზმულმა ქალებმაც თავისი ახალგაზრდობა გაიხსენეს და ლეკური ჩამოუარეს ახალგაზრდებთან ერთად¹⁰.

ქართული სათვისტომო მხოლოდ პოლიტიკითა და კონცერტებით არ შემოიფარგლებოდა. იგი ქართული სათვისტომოს წევრების გვერდით იდგა ჭირსა და ლხინში. ასე იყო, როცა 1951 წლის 30 აპრილს გენერალი ალექსანდრე კონიაშვილი გარდაიცვალა.

„ამა წლის 30 აპრილს ბუენოს-აირესის გარეთუბანში – კასტელარში – გარდაიცვალა გენერალი ალექსანდრე კონიაშვილი. განსვენებული ეკუთვნოდა ისეთ ოჯახს, რომლიდანაც გამოვიდნენ განთქმული მხედრები და საზოგადო მოღვაწენი.

ალექსანდრე კონიაშვილი დაიბადა თბილისში 1873 წელს და სამხედრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ პირველად მონაწილეობას ლეზულობდა იაპონიის ომში, საიდანაც იგი დაჯილდოებული დაბრუნდა. პირველი მსოფლიო ომის დროს მან დიდად გაითქვა სახელი კავკასიის ფრონტზე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი არჩეულ იქმნა როგორც გმირი იმპერატორთან წარსადგენ დელეგაციაში და თვით ნიკოლოზ მეორემ დააჯილდოვა იგი. როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, კონიაშვილი იყო იმ პირველ მხედართთაგანი, რომელიც ქართულ სამხედრო ძალას შეუდგა და მის მოწყობაში მხურვალე მონაწილეობას ლეზულობდა და საქართველოს თავისუფლებას იცავდა, მაგრამ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, იგი სხვებთან ერთად გაიხიზნა და პოლონეთს შეეკედლა, სადაც იგი პოლონურ სამხედრო სამსახურში ითვლებოდა დიდხანს.

უკანასკნელმა ომმა მრავალი ქართველი ამოგადო ბუდიდან და მათ შორის უკვე ხანში შესული გენერალიც. პოლონეთიდან გერმანია, გერმანიიდან იტალია და იქიდან არგენტინა. ძნელი იქნებოდა სწეულ და მოხუც გენერლის მდგომარეობა რომ მას არ აღმოჩენოდნენ ისეთი ნაცნობ-მეგობრები, რომელთაც იკისრეს მის შესახებ ზრუნვა და მამასავით მოვლა.

ქართული საზოგადოების გამგეობა აცნობებს თავის წევრებს, რომ 10 ივნისს, სამსა და ნახევარ საათზე, სასაფლაოზე გარეთუბან მორონ-ში გადახდელ იქმნება გარდაცვალების მეორმოცე დღეზე პანაშვიდი გენერალ ალექსანდრე კონიაშვილის სულის მოსახსენებლად¹¹.

ჟურნალი „მამული“ საზოგადოების წევრთა შემონირობებისა და მეგობრების დახმარებით გამოდიოდა და რედაქცია თავის ფურცლებზე სისტემატურად და მაღლიერებით აქვეყნებდა შემომნიშველთა გვარებს:

„მამულის რედაქცია თავის უღრმეს მაღლობას სწირავს აქ ახლად შექმნილთ ლიტოველ მეგობართ, ლიტვური გაზეთის, „არგენტინის ლიტვუვიუ ბალსო“-ს გამომცემელ ბ-ნ ოჟინსკას და რედაქტორს კასტს, რომელთაც თავისი ღვანლი არ და-

10 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რეუელი II, მაისი, გვ. 64.

11 იქვე.

იშურეს და ჩვენი გამოცემის საქმეში დიდი მორალური და ტექნიკური დახმარება აღმოგვიჩინეს.

კრებული „მამული“-ს გამომცემლობა თავის უღრმეს მადლობას მოახსენებს ქვემოთ ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და სათანადო თანხის შემოწირვით ამ კრებულის გამოცემა შესაძლებელი გახადეს:

არჩილ ხაჩიძე –	300
ტარასი შანავა –	200
ალი პაპუაშვილი –	150
გიგა მრელაშვილი –	100
ზურაბ ციციშვილი –	100
აკაკი პაპავა –	100
ლეო ჭიეშვილი –	100
ჯონდო ჩომახ –	50
მ. დიასამიძე –	50
ექ. გ. კობახიძე –	15

კრებულის „მამული“ გამომცემლობა სთხოვს ყველა ქართველ მამულშვილს, გაუწიოს მას დახმარება შემოწირულების სახით.

ფული უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით –

Señor Miguel Diasamidze
Salguero 309. Buenos Aires
Argentina¹²

არგენტინა თავის დამოუკიდებლობის დღეს 25 მაისს ზაიმოზს, საქართველო – 26 მაისს. არგენტინის ქართული სათვისტომოსთვის ეს თარიღები ერთიანი დღესასწაული იყო და ასედაც აღინიშნებოდა მაისში გამართულ სადღესასწაულო ღონისძიებებსა თუ ჟურნალ „მამულში“.

„25 მაისს არგენტინის ხალხი თავის დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობს.

არგენტინაში მცხოვრები ქართველებიც დღესასწაულობენ მასთან ერთად – 26 მაისი ქართველებისათვის არის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლო: ჩვენ მივსალმებით არგენტინის ხალხს: მივსალმებით არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მისი ძალისა და ძლიერების მჭედელს, სამართლიანობის დამამკვიდრებელს, გენერალ ხუან პერონს და მის ღირსეულ მეუღლეს, დაულალავ მშრომელს ხალხის ბედნიერებისათვის ქალბატონ მარია ევა დუარტე დე პერონს.

ჩვენ, ქართველები დიდი სიხარულით განვიცდით არგენტინის ხალხთან ერთად ამ დიდ დღესასწაულს – დამოუკიდებლობა და თავისუფლება დიდი ბედნიერებაა ხალხისათვის!

ოლონდ ქართველ ხალხს, რომელიც ამ ჟამად რუსულ-კომუნისტურ მონობაში იმყოფება, არ შეშურს სხვისი ბედნიერება – პირიქით, იგი სიხარულით იზიარებს სხვის ბედნიერებას და სხვა ერთა თავისუფლებას შეჰზარის.

ქართველი ხალხიც იყო ბედნიერი, როდესაც მან 1918 წელს, 26 მაისს თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და 1801 წელს რუსეთის მიერ დამხობილი ქართული სახელმწიფო აღადგინა: ოლონდ დიდ ხანს არ გაგრძელებულა ქართველი ხალხის ეს სიხარული – ბოლშევიკური რუსეთი, იმის მიუხედავად, რომ 1920 წ. 7 მაისს ხელშეკრულებით საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, 1921 წლის

12 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული II, მაისი, გვ. 64.

თებერვალში, ომის გამოუცხადებლად მას შეესია და ფიცხელ ბრძოლათა შემდეგ დაიპყრო. მას შემდეგ ქართველ ხალხს თავისი დამოუკიდებლობის დღე აღარ უდღესასწაულებია, მაგრამ ემიგრაციაში მყოფი და სხვა და სხვა ქვეყანაში გაბნეული ქართველები ამ დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობენ იმ იმედით, რომ ახლო მომავალში საქართველო კვლავ თავისუფალი იქნება და თავისი დამოუკიდებლობის დღეს კვლავ თვითონ იზეიმებს“.¹³

და იმავე თარიღისადმი მიძღვნილი პუბლიკაცია ჟურნალის შემდგომ ნომერში რუბრიკით „ქართველთა ცხოვრება“ და სათაურით „26 მაისი არგენტინაში“:

„ბუენოს-აირესის მცხოვრებმა ქართველობამ თითქმის მთლიანად მოიყარა თავი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად. ამ დღესასწაულს დაესწრნენ სხვა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნიც. ესტრადა იყო შენივრად მორთული ქართული ეროვნული დროშებით, სახელმწიფო ღერბით და არგენტინის დროშით. საღამოს 6 საათზე ქართული ეროვნული ჰიმნის შესრულებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ. ვ. ანდრიაძე, დაიწყო ზეიმი. ესტრადაზე მონეული იყვნენ რამოდენიმე საპატივო წევრი ქართული ახალშენისა და აგრეთვე ზოგი სტუმარიც – ქქბ. მარიამ სარაჯიშვილის, ციალა ჯაფარიძის ასული; ბბ. აკაკი პაპავა, ვ. ნოზაძე, არჩილ ხაჩიძე, დავით ლოღობერიძე, გიორგი ნაკაშიძე, ზურაბ ციციშვილი და გაბო გოგელაშვილი.

საზოგადოების თავმჯდომარე ბ. ვ. ნოზაძემ საზეიმო სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ სიტყვით მიმართა: – არგენტინაში მყოფ ქართველთა საზოგადოების გამგეობის სახელით მივესალმებით ქართველ ერს, რომელიც დღეს თავის ეროვნულ დღეობას ვერ იხდის, რადგან იგი, თავისუფლება წართმეულია, ვუსურვებთ მას მხნეობას ბრძოლაში და გამარჯვებას ამ ბრძოლის შედეგად. მივესალმებით ქართველი ერის უცხოეთში გარდახვენილ შვილთ, ყველგან სადაც არიან ისინი; მოგესალმებით თქვენ, აქ დამსწრეთ, და გისურვებთ მალე კვლავ გენახთ თქვენი ტკბილი სამშობლო. ამ სურვილს ჩვენ ყოველ 26 მაისს გამოვსთქვამთ და ამ ხანად დასრულდა 30 ოცდაექვსი მაისი. რა არის 30 წელიწადი ერის ცხოვრებაში? ჩვენი თაობისათვის არის ეს გრძელი ხანა, თორემ ერისათვის იგი თითქმის არაფერია.

შემდეგ იგი იხსენებს სხვა და სხვა ბრძოლებს თავისუფლებისათვის და მტკიცე იმედს გამოსთქვამს, რომ ეს ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება; ამას შემდეგ საგანგებო წერილი ესპანურ ენაზე ამ დღის მნიშვნელობის შესახებ ნაიკითხა ციალა ჯაფარიძის ასულმა, და მერმე ბ. ზურაბ ციციშვილმა ნაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ქართველ საზოგადოების საპატივო თავმჯდომარე ბ. აკაკი პაპავამ. მან როგორც ყოფილმა წევრმა საქართველოს პირველ თავისუფალ პარლამენტისა, მოაგონა დამსწრეთ ის წინასწარი სამზადისი და პოლიტიკური ვითარება, რამაც ხელი შეუწყო ქართველი ერის საუკუნოებრივ ღტოლვას და-კარგული სუვერენობის კვლავ აღსადგენად. მოკლედ აღნიშნა ის დამსახურება და შორსჭერება, რაიც ანარქიით მოცულ პირობებში, მაშინდელმა ქართულმა ხელმძღვანელმა წრეებმა და ეროვნულმა პარტიებმა გამოიჩინეს, რათა ქვეყანა გააფთრებული და აზღვავებულ გაბოლშეიკებულ რუსის ჯარისაგან გადაერჩინათ. აღნიშნა ამიერკავკასიის სეიმის და ფედერატიულ სახელმწიფოს უდღეურობის მიზეზი და ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს დამსახურება 1917 წლის ეროვნული ყრილობის მონევაში, რაიც პირველი ჩანასახი შეიქმნა ეროვნულ პარლამენტისა და სახელმ-

13 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული II, მაისი, გვ. 33.

ნიფოს ძალაუფლებიდან; და როდესაც ამიერკავკასიის უღლეური სახელმწიფო გაასვენეს, ნოე ჟორდანიამ საქვეყნოდ აღიარა 117 წლის მონობის შემდეგ მკვდრეთით აღდგომა საქართველოს სახელმწიფოსი, რომლის ფორმად აღიარებული იქმნა დემოკრატიული რესპუბლიკა. ამის შემდეგ პარლამენტის პირველმა თავმჯდომარემ, კ. ჩხეიძემ აღფრთოვანებული სიტყვით მიმართა ქართველ ერს და ამას მოჰყვა დამოუკიდებლობის აქტის საზეიმო გამოცხადება სასახლის აივანიდან, მოგროვილ ზღვა-ხალხის წინაშე და ეროვნული დროშის აფრიალებაო, – შემდეგ ბ. ვ. ნოზაძე მოახსენებს – დღეს, ამ მაგიდაზე, ჩვენთან ერთად იმყოფება ცნობილ ალექსანდრე სარაჯიშვილის ქვრივი, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე, ქალბატონი მარიამი, რომელიც თავის ქმართან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაესწრო; იგი თავის ქმართან ერთად ზეიმით შეეგება ამ დიდ ეროვნულ აქტს. ქალბატ. მარიამი დღესაც აღფრთოვანებით იგონებს ამ დიდებულ დღეს და მოგვითხრობს შემდეგს – როდესაც სასახლიდან გამოვედით, ჩემმა ქმარმა მითხრა – „საქართველო დღევანდელ პირობებში დიდხანს ვერ იარსებებს დამოუკიდებლად. მას კიდევ დაიპყრობენ, მაგრამ მალე ისევ განთავისუფლდება და მაშინ შენ, ჩემო კარგო, იქნები 70 თუ 80 წლისა. სულ ერთია, ჩაიცივი თეთრი ტანსაცმელი, როგორც დღეს გაცვია“-ო. ეს მითხრა, მოიხსნა სათვალეები და თვალები მოიწმინდა. – „რატომ სტირი, ალექსანდრე?“ ვკითხე, და მან მიპასუხა – „ოფილი მოვიწმინდე“-ო. რასაკვირველია, სტიროდა. სტიროდა სიხარულის ცრემლებით! – და დღეს ქალბატონი მარიამი, როცა ამ ამბებს იგონებს, 30 წლის შემდეგ, უკავშირდება პირველ 26 მაისს და გისურვებთ თქვენ საქართველოს თავისუფლებას მალე მოსწრებოდეთ და თავის თავსაც უსურვებთ კვლავ თეთრი კაბა ჩაცვას. დამსწრენი მხურვალე ტაშით გაუმასპინძლდნენ მომტირალ ქალბატონ მარიამს.

დილიდანვე ბ. მიხ. დიასამიძე საზეიმო დარბაზში და სცენაზე ტრიალებდა და მათ ამკობდა. კედლებზე გააკრა მხატვარ ლადო სააკაძის მიერ დამზადებული ფერადი წარწერები – გაუმარჯოს 26 მაისს, გაუმარჯოს თავისუფლებას, დროშები და ღერბი შემკული იყო ვარდყავილებით...

მეორე განყოფილებაში გუნდმა შეასრულა რამოდენიმე სიმღერა და იგი ტაშით დააჯილდოვეს. დიდად ნასიამოვნები დარჩნენ დამსწრენი, როდესაც ბ-ნ არჩილ ხაჩიძის ცოლისდიშვილებმა, ესპანურად გამოწყობილმა პანანა გოგონებმა იცეკვეს. საზოგადოებას ისე მოეწონა პანანა გოგოს ცეკვა, რომ ერთს გაამეორებინეს კიდევც.

ქართული სუფრა უკვე გაშლილი იყო. დილიდანვე ბ-ნ ლევან ჯაფარიძის ხელმძღვანელობით გახურებული მზადება იყო – ადონიკ ანდრონიკაშვილი, ხუტუ ელიავა, გივი გელაშვილი, ტარასი შანავა, კარლო კვანტალიანი და სხვები გაფაციცებით მუშაობდნენ სუფრის გასაწყობად. მაგიდა იყო ქართული, ხახვ-ბოლო-კიკიტრით და ყველით დაწყებული და გათავებული ქართული საქმელებით, რომელიც დაამზადეს ქბ. მარიკა ჯაფარიძისა და ჭეიშვილების ოჯახმა. ქბ. თარხნიშვილის მეუღლემ ნადიმს მიართვა მის მიერ დამზადებული ტკბილეულობანი. ყველას მათ გამგეობა თავის მხრივ ღრმა მადლობას უცხადებს. ბ-ნმა დაკრიდომ საზოგადოებას შესწირა ტყავზე დახატული თეთრი გიორგი. შევნივრად შესრულებული, რისთვისაც ბ. აკაკი პაპავამ მას დიდი მადლობა გამოუცხადა. – ნადიმს ხელმძღვანელობდა კოლონიის საპატივო თავმჯდომარე ბ. აკ. პაპავა. პირველად იგი მიესალმა მრავალრიცხოვან დამსწრე ქართველობას და შემდეგ საგანგებოდ თვითუფ ქართველთ სტუმარს, რომელთაც ახალშენს ეს დიდი ეროვნული დღე მიულოცა – ესენი იყვნენ – კავკასიელთა, ლიტოველთა, ესტონელთა და სხვა წარმომადგენლები. ამის შემდეგ წაკითხული იქმნა

მოლოცვანი ლიტოველთა გაზეთის „პოლსას“ და სხვა. შემდეგ ილაპარაკეს 26 მაისის მნიშვნელობაზე და ქართველ ერს ამ ისტორიული აქტის გამოცხადება მიულოცეს წარმომადგენლებმა – ლატვიელთა, მთიელთა და ლიტოველთა. განსაკუთრებით მხურვალე და ფრიად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ლატვიელთა საზოგადოების თავმჯდომარემ ფრისეს გაიშაისმა. მან მოუწოდა რკინის ფარდის იქით დარჩენილ ერთა წარმომადგენლებს ერთობისაკენ, ორგანიზაციულ, პოლიტიკურ შეკავშირებისაკენ. განსაკუთრებით ყოფილი რუსეთის იმპერიის უღელ ქვეშ მდრტვინავმა ერებმა, რომელთაც ერთხელ მაინც იგემეს თავისუფლება და იგრძნეს თავიანთი 26 მაისის ძალა, უნდა ძმურად გაუწოდონ ერთურთს ხელი და შეიგნონ, რომ ცალკეულის თავისუფლება მოპოვებული ვერ იქმნება: ან მტერი მთლიანად უნდა განადგურდეს და თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში მოექცეს და ყველა ერებმა სუვერენობა დაიბრუნოს ან თუ ეს არ მოხდა – ყველანი მონობაში დაილუპებიანო.

ჩვენ არა მარტო წითელ რუსეთის უნდა გვეშინოდეს, არამედ არანაკლებ თეთრი იმპერიალისტური რუსეთისა, რომელიც დღეს გაცხოველებული ირაზმება. დიდ მოკავშირეებთან ერთად ახალ ქსელებს აბამს, რათა ხვალ საბჭოების მემკვიდრეობა ხელთ იგდოს და ჩაგრულ ერებს უფრო მძიმე იმპერიალისტური უღელი დაადგასო. აი, ამისათვის ირაზმებიან რუსის მემარჯვენე წრეებში.

ბ. ა. პაპავამ მადლობა გადაუხადა მოლოცვისათვის და აღნიშნა, რომ ქართველი ერის შეილნი მუდამ იყვნენ მოციქულნი დევნილ ერების შეკავშირებისა და იმპერიალიზმის საწინააღმდეგოდ ძლიერ ფრონტის შექმნისა, რომ ერთა შორის სოლიდარობა, გაგება და მტკიცე კავშირი აღნიშნული იყო საგანგებოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტშიც.

შემდეგ მან მიმართა საგანგებო სიტყვით ქართველ ისრაელთა წარმომადგენელთ, რომელნიც ასე მრავალრიცხოვნად დაესწრნენ ამ დღის ზეიმს. ბუენოს-აირესის ისრაელნი – მოხუცი და ახალგაზრდანი, ქალი და კაცი, რომელნიც ასე შორს იმყოფებიან და ყოველ ქართულ საქმეს გულმხურვალედ უდგანან, იმით იმსახურებენ საგანგებო პატივისცემას, რომ ქართული ენა და ადათები ასე მტკიცედ დაუცავთო.

საზეიმო მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ბ. გიორგი ნაკაშიძემ და შემდეგ ბ. გრ. ბუაძემ. სიტყვებს მისდევდა სიმღერები. შემდეგ ლეკური (უკრავდა პიანოზე ბ. ზ. ციციშვილი) და მხიარულება იყო საერთო. ბ. ვახტანგ აბუთიძემ კონიაკი შესწირა ჟურნალს „მამული“ ლოტარიაში გასათამაშებლად და ქ-ნამ თ. პაპავამ „ვაჟა ვიეხო“. ლოტარია მოაწყო ბ. ზ. ციციშვილმა და ორივე ბოთლი გაიყიდა 427 ჰესოდ.

ნადიმის თამადად ბ. აკაკი პაპავამ თავის თანამემნედ დანიშნა ბბ. ლელუჩაშვილი გაბრიელ, გიგა მრელაშვილი და კოტე ვაშაძე. გუნდი გალობდა და საერთო ზეიმი გაიშალა. ქართველმა ისრაელმა მოსე ხენელოვმა მუხამბაზის ხმაზე, მშვენიერი ტკბილი ხმით იმღერა აკაკის ერთი ლექსი; მან ისე მოხიბლა საზოგადოება, რომ მას რამოდენჯერმე ტაშით შეაწყვეტინეს გალობა. ქართველმა ისრაელებმა შეასრულეს ძველი ქართული სიმღერები და დატრიალდნენ საცეკვაოდ. ცეკვაოდნენ ქალების მხრივ – ქბ-ნნი: მარია ხენელოვი, სარო ჩაპტო, რაქელ ტეცოშვილი, ესთერ ბიჭაშვილი, ცხალა ჯაფარიძის ასული, მზია ჭიციშვილისა, ნანუკი ანტონესკოსი, ევა დეკრიდოსი, ხოლო ვაჟების მხრივ – კოტე ვაშაძე, გივი გელაშვილი, ზურაბ ციციშვილი, კარლო კვანტალიანი, ვ. ალიხანაშვილი და სხვანი. იყო დიდი მხიარულობა და ზეიმი დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს ბ. ა. პაპავამ საღამოს მომწყობთ და კერძოდ ბ. ლ. ჯაფარიძეს დიდი მადლობა გადაუხადა ასე კარგად და უხვად, ლამაზად გამართულ მაგიდისათვის. ბოლოს, ბატონ აკაკი პაპავას ნადიმზე

ხელმძღვანელობისათვის მადლობა მიუძღვნა ბ. გ. ბუაძემ. საზოგადოება ფრიად ნასიამოვნები გვიან დაიშალა.¹⁴

ბუნებრივია, ქართველი პრესა ადგილობრივი ესპანური, ფრანგული, გერმანული, ინგლისური პრესასთან ერთად, თავისი პუბლიკაციებით გამოეხმაურა ვარლას გამოფენებს ბუენოს-აირესში. „მამულის“ II რვეულში (გვ. 62) გამოქვეყნებულია რეცენზია „ბ-ნ ფელიქს ვარლამიშვილის სამხატვრო გამოფენა, რომელშიც ვკითხულობთ:

„ჩვენმა თანამემამულე ბ-ნ ფელიქს ვარლამიშვილმა (ვარლა) ბუენოს-აირესში მოაწყო თავისი სურათების გამოფენა გალერეა ვიაუში, გასული წლის 2-21 ოქტომბრამდე. ბ-ნ ვარლამიშვილის გამოფენას დიდი წარმატება ჰქონდა და მთელი ბუენოს-აირესის, როგორც ესპანური, ისე სხვა, ოთხ ენაზე ნაბეჭდი პრესა ამ გამოფენას დიდი ქებით შეხვდა და მხატვარს გამარჯვება მიულოცა.

ჩვენ სამწუხაროდ, არ შეგვიძლია პრესის მთელი ანგარიში მოვათავსოთ აქ, ალენიშნავთ მხოლოდ ბუენოს-აირესის ერთი უმთავრესი გაზეთის „ლა პრენსა“-ს შეხედულება-დაფასებას ამ გამოფენის შესახებ.

ბ-ნ ვარლამიშვილის (ვარლას) სურათებით, – სწერს ეს გაზეთი, – „ჩვენ ვიმყოფებით დადებითად ღირსეულ მოდერნისტის წინაშე. მას მოაოვებული აქვს სახელი და წარჩინება როგორც საფრანგეთში, ისე მის გარედაც. მუზეუმები და კოლექციონერები მის სურათებს იძენდნენ. ეს გამოფენა ფლორიდის დარბაზში, საკმაოდ სრულია, რათა ნათელჰყოს მის ნამუშევართა მნიშვნელობა თანამედროვე მიმართულებაში. იგი მიჰყვება იმ ხაზს, რომლის მოწინავენი არიან ხელოვანები, როგორც პიკასო და სხვანი, რომელნიც ერთმანეთთან არიგებენ მუდმივსა და გაბედულ ცდას“-ო.

შემდეგ ჩამოთვლილია გამოფენის სურათები სახელდებით და მერმე ნათქვამია – „ეს სურათები გვაჩვენებს მას, როგორც ფართო საშუალებათა კოლორისტს, რომელიც თავის ორიგინალობას კომპოზიციის კანონთა გამოყენებით იჩენს. იგი აღწევს ფორმების სინტეზს და ახორციელებს მას ყოველი ათვისებითა და სიძლიერთა, რომელთა მეოხებით იგი ხსნის პრობლემებს მოულოდნელი საშუალებებით: ამ სურათთა შევენებაში შეფერადებულია პეიზაჟის სინამდვილე, ასულდგამულეული საგნებში და ცოცხალ ფორმებში, ნაჩვენები აუცილებელი ხაზებით, რომელნიც მისი ყვითელის, წითელის და მწვანის სინამდევს ამტკიცებს. იგივე გაიდაიალებულ სიცოცხლეს ვხვდებით აგრეთვე მის ტემპერაში. ოთხი პეიზაჟი ბარილოჩისა სხვა ნიმუშებთან ერთად მისი შემოქმედებით ნიჭს გვიდასტურებს“-ო.

„იმ მცირე უცხო მხატვართა შორის, რომელნიც ჩვენ გვესტუმრნენ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში და თავისი ნაშრომებით მოგვიტანეს განათლება, ვარლა თავისი გარდაწყვეტილების თვისებასთან ერთად, მის ღირებულებათა უდავო ღირსებას გვიმტკიცებს“-ო. („ლა პრენსა“, 1950 წლის 11 ოქტომბ.)

ამ ახლო მომავალში ბ-ნი ფ, ვარლამიშვილი ბუენოს-აირესში თავის სურათთა მეორე გამოფენას აწყობს“.

ვარლას მეორე არგენტინულ გამოფენას ისეთი პრესა აღარ ჰქონია, როგორიც პირველს, რასაც ვარლა ლადო რუხაძისადმი მიწერილ ერთ წერილში იმით ხსნის, რომ პირველი გამოფენის დროს არგენტინელთათვის ის სტუმრად ჩამოსული ფრანგი მხატვარი იყო, მეორე გამოფენისას კი ჩვეულებრივ ემიგრანტად ქცეულიყო, რომელიც იქნებ სულაც აღარ აპირებდა ევროპაში დაბრუნებას. ასეთთა მიმართ კი ინტერესი ნაკლები იყო.

14 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, III, აგვისტო, გვ. 95.

ჟურნალი „მამული“, რა თქმა უნდა, ვარლას მეორე გამოფენასაც ეხმაურება და მესამესაც, რომელიც მეორე იყო იმავე „ვიაუს“ გალერეაში.

ხოლო ბუენოს-აირესში გამომავალი იტალიური გაზეთი „ჰისტორიუსი“ (Histo-rius) იმ მესამე გამოფენის გამო წერდა:

„ფელიქს ვარლა, ქართველი მხატვარი პარიზიდან, რომელიც ახლა ჩვენს შორის ცხოვრობს, მეორედ გამოიფინა ვიაუს გალერეაში. ადრე ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, რომ ამ მხატვარს განსაკუთრებით იზიდავს ალმოსავლური ხელოვნება. მინანქრული ფერებით მოსილი, მის მიერ ჩამოქნილი თანამედროვე სტილიზებული ფორმები ქორეოგრაფიული რიტმულობითაა განლაგებული მინიატურისთვის დამახასიათებელ საერთო ფონზე. წინა გამოფენიდან მოყოლებული, ვარლას ხელოვნება ვითარდებოდა ფერადოვნებისა და ზედაპირის ელვარების მიმართულებით, რაც სპეციფიკურ ვიტრაჟულ ეფექტს ქმნის. ეს ფოსფორისცენციული ნათება ხანდახან შეიძლება გადაჭარბებულია, რაკი იგი ზოგიერთ კომპოზიციაში ამკრთალებს სადა და დახვეწილ ფერებს, რომელთა მოძებნა, მეორე მხრივ, ასე ეხერხება მხატვარს. ფიქრების აღმძვრელი ფაქიზი სამყარო, რომელიც ვარლას ნახატებშია შექმნილი, მისი არარეალური და ამავდროს ცოცხალი იგავური პერსონაჟები ჩვენს მზერას „ათას ერთი ღამისა“ და მითოლოგიისაკენ მიმართავენ, თითოეულ ჩვენთაგანში რომ თვლემენ და ჟამითჟამ რომელიმე პოეტის ნამუშევრები აღვიძებენ“.

საერთოდ, იმ ხუთი ნამუშევრის გარდა, რომელთა შავ-თეთრი რეპროდუქციები ჟურნალ „მამულშია“ დაბეჭდილი, ჩვენთვის უცნობია, რა ნამუშევრები იყო წარმოდგენილი ვარლას ბუენოს-აირესულ გამოფენებზე. მაგრამ „მამული“ რომ არა, ეს ხუთიც არ გვეცოდინებოდა.

არგენტინიდან საფრანგეთში გაგზავნილი ვარლას წერილები მრავალმხრივ არის საინტერესო. რაც უნდა, ბევრი ციტატა მოვიხმოთ არგენტინული პრესიდან, რომლებიც მხოლოდ ამ ფრანგი/ქართველი მხატვრის შემოქმედებით აქტივობებს შეეხება, ვარლას და ზირეს იქაური ამბები, ყველაზე უკეთ სწორედ პირად წერილებშია ასახული. არგენტინიდან გამოგზავნილი ყველაზე ადრინდელი წერილი 1950 წლის 11 ნოემბრით თარიღდება. სანამ გარკვეულ წარმატებას არ მიაღწია, ვარლამ წერილის მიწერა საჭიროდ არ ჩათვალა, მერე კი, როცა ლადო რუხაძის „დოდის ცხენი“, როგორც ფელიქსი ამ წერილში უწოდებს თავის თავს, ჯეროვნად დააფასეს, მან კარგი ამბები მეგობარს სიხარულით გაუზიარა:

„ძმაო ვლადიმირ, არ ვიცი, თუ მაპატიებ, რომ წერილი ასე დაგიგვიანე, როგორც იქნა გადაეწყვიტე მოგწერო. ამდენი ხნის სიჩუმე გვარიანი ცუდი ნიშანი იყო, რადგან ჩვენი საქმე ვერ იყო კარგათ (რასაკვირველია ეს შეეხება მატერიალურ მხარეს). ამ ბოლო დროს გამოკეთდა და ცოტა იმედი მომეცა. — მომენტები იყო, გზის ფული რომ გვქონოდა, გვინდოდა აქედან წასვლა.

ამ დროის განმავლობაში ცოტა გამიჭირდა, რადგან ხარჯები მომემატა. ჩარჩოები, ტილოები, კატალოგები და სხვა.

ბოლოს გავიმარჯვე. ოთხი სურათი გავყიდე და სახელიც გავიკეთე; ბევრი ხალხი გავიცანი. „Galeria Viau“ ყველაზე კარგათ ითვლება აქ (ავანგარდი). მისი პატრონი დიდი პატივით მეპყრობა და უნდა ჩემი სიკეთე. მირჩევს მეორე გამოფენის მოწყობას; ამბობს რომ ყველა სურათები გაიყიდებაო. ამ გამოფენაზე, იმდენმა ხალხმა იკითხა სურათების ფასები, რომ გასაკვირველია. მე მგონია, მართლა მოსწონთ. ყიდვას ჯერ ვერ ბედავენ, რადგან პირველათ ესმით ჩემი გვარი, აქაური წესი ასეთია. — ამას მოჰყვა შეკვეთა დეკორატიულ პანოსი ერთ დიდ ოტელის სა-

სადილოში. — ახლა მივდივარ კორდობას ახლოს მთებში, აქედან 800 კილომეტრია (Sierra de Cordoba).

ამდენი ჩემზე ლაპარაკით ალბათ მოგანყინე, მაგრამ ვიცი, რომ გესიამოვნება ჩვენი კარგი ამბავი. არც ისეთი ადვილი ყოფილა ამერიკაში გზის გაკაფვა. ბევრი დრო დაეკარგე, მაგრამ ახლა მივხვდი რომ ისევ წმინდა ხელოვნებით გავიტან ლელოს.

ბევრჯერ დავნერე შენთვის წერილი ამ ბოლო დროს, მაგრამ არცერთი არ გამოვაგზავნე. ნამეტარი უიმედო და გულ-გატეხილი ვიყავით ორივენი. მართლაც, არ მინდოდა, შენ დარდებთან დამემატებია. (ახლა შენი დოღის ცხენი ცოტაოდენ იმედს იძლევა).

— აქაურ კოლონიაში ჯერჯერობით, მადლობა ღმერთს, მშვიდობაა. ჭეიშვილებთან ერთი თვის წინას ექვსივე ბავშვი ავით იყვნენ ხველა ბატონებით, ახლა ყველა კარგადაა არიან. დათიკოს რომ მისწერ დიდი სალამი ჩემგან. მომწერე მალე, თუ ძმა ხარ, დანერვილებით ბელაკის და პარიზის ამბები. ვკოცნი ბავშვებს და სალამი მთელ ოჯახს. შენი ფელიქსი“.

არგენტინის ქართული სათვისტომოს საქმიანობაზე ჩვენს წარმოდგენას უფრო რელიეფურს ხდის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ამონერილი კიდევ რამდენიმე ინფორმაცია „მამულის“ მესამე რეეულიდან (გვ. 95-96):

1951, მაისი, ცნობა სან-ფრანცისკოდან: „რამოდენიმე ხნის წინად ხარბინიდან სანფრანც-ში მოვიდა ქ. ილ. მერაბიშვილი, რომელიც სათანადო მზრუნველობას იჩენს ქართული კულტურისათვის. საქართველოში ბ-ნი ი. მერაბიშვილი კინო-მსახიობად მონაწილეობდა“.

1951, მაისი, ცნობა ბრაზილიიდან: „სან-პაოლოში ვართ მხოლოდ რამოდენიმე კაცი. სულ ექვსი. ძალიან გვახარებს არგენტინის ქართული საზოგადოების მოღვაწეობა. მივიღეთ ქართული ჟურნალი „მამული“. იმ ქარხნებში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, ბევრი უცხოელი არის და არავის თითქმის საქართველოსი არა გაეგება რა. როდესაც ჟურნალი მივიღეთ, უორა გოგიშვილმა მეორე დღესვე დაატარა ქარხანაში და ყველას აჩვენებდა — აი, ჩვენ ვინა ვართო! 26 მაისს შინაურულად შევხვდით და მოვიგონეთ ქართველი ერის ეს დიდი დღე“.

1951, მაისი, ცნობა პერუდან: „პერუში მყოფი ქართული საზოგადოება სალამს უძღვნის არგენტინის ქართულ საზოგადოებას და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიულოცავს. ჩვენი ქართული კოლონია პერუში პატარაა, მაგრამ ვცხოვრობთ ძმურად. აქ ვართ მხოლოდ ორი ქართველი. მე თავმჯდომარე და ი. კეკელიშვილი კი — მდივანი. პერუში არავინ არ იცის — სად და რა არის საქართველო, სამუხაროდ! და ამის გამო აქ მუშაობა ძნელია. ველით უკეთეს დღეებს. კოლონიის სახელით — ა. ამილახვარი, მდივანი — ი. კეკელიშვილი“.

1951, 10 ივნისი, გენერალ კონიაშვილის ორმოცი: „გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე, გენ. ალ. კონიაშვილის პატივისმცემელმა ქართველობამ მორონში თავი მოიყარა და მისი საფლავი ცოცხალი ყვავილებით შეამკო. პანაშვიდი გადაიხადა მღვ. ნიკოლოზ ზამბახიძემ. საზოგადოების გამგეობამ მის საფლავს ჯვარი დაადგა შესაფერი ნარწერი. ამის შემდეგ დამსწრენი გაემართნენ თავშესაფრისაკენ, სადაც განსვენებულმა თავისი უკანასკნელი დღეები გაატარა და სიცოცხლეს გამოესალმა. აქ შესაფერისი სამგლოვიარო სიტყვების შემდეგ მადლობა გამოუცხადეს მამა გიორგი რომანოვს (თბილისელი), და მის თანამშრომელთ, რომელთაც გენერლის ბედის შემსუბუქებისათვის ბევრი რამ გააკეთეს და მას თანაგრძნობა არ მოაკლეს“...

1951, ივნისი, ქართული კლუბის დაარსება: „ლიტოველთა კლუბის გამგეობასთან მოლაპარაკების შედეგად, ქართული საზოგადოების გამგეობამ მიიღო უფლე-

ბა თავისუფლად ისარგებლოს ლიტოველთა კლუბით ყოველ შაბათობით. გამგეობამ გადასწყვიტა ისარგებლოს ამ უფლებით და დააარსა ქართული კლუბი“.

1951, 14 ივლისი, ქართული საზოგადოების კრება: „14 ივლისს შესდგა ქართული საზოგადოების კრება. გაირჩა რამოდენიმე ადგილობრივი ხასიათის საკითხი; აქვე არჩეულ იქმნა სინდისის სასამართლო შემდეგი შემადგენლობით – ბბ. ა. პაპავა, არჩილ ხაჩიძე და პოლ. დგებუაძე“.

1951, 14 ივლისი, გრ. ჩომახის გამარჯვება: „მირამარის (არგენტინა) გაზეთი „კრონიკა“ (14.7.51) გვატყობინებს, რომ ჭადრაკის ადგილობრივ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ჩვენმა თანამემამულემ გრ. ჩომახმა“.

1951 წლის აგვისტოში არგენტინის ქართველთა სათვისტომო ამერიკის შეერთებულ შტატებიდან იღებს წერილს, რომელსაც ხელს აწერენ „ქართველ-ამერიკელთა ლიგის“ გამგეობის თავმჯდომარე თეიმურაზ ბაგრატიონი და გამგეობის მდივანი გივი კობახიძე და რომელიც არგენტინის სათვისტომოს ამერიკული საქმეებით ინფორმირებას ისახავს მიზნად:

„1951 წლის 28 აგვისტოს ნიუიორკში შესდგა „ქართველ-ამერიკელთა ლიგის“ გამგეობის სხდომა, რომელმაც შემდეგი დადგენილება მიიღო:

ვინაიდან საერთაშორისო მდგომარეობა შეუწყვეტილვით რთულდება და მოსალოდნელია მალე დიდი მოვლენების წინაშე დავდგეთ, ამიტომ „ქართველ-ამერიკელთა“ ლიგა დროულად და საჭიროდ სთვლის – ქართული ემიგრაციის ყველა ცენტრებს აცნობოს თავისი პოზიცია ეროვნულ საკითხში.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის როლი განისაზღვრება, უცხოეთში საქართველოს ინტერესების დაცვით და საქართველოს განთავისუფლებისთვის ბრძოლით. ქართველი მამულოშვილების საუკეთესო ნაწილი დიდი ხანია ამ მიზანს უანგაროდ ემსახურება. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და მრავალ საკითხებში უთანხმოებისა, პრინციპიალური საკითხი – საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა – ყოველთვის და ყველასათვის უდავო და კამათის გარეშე სდგას.

ამ ფამად, როდესაც მოახლოვდა დრო ყველა მეზობლი ძალების დარაზმვისა გადაწყვეტი ბრძოლის მისაცემად, საჭიროა კიდევ ერთხელ მოვიგონოთ ბედის მიერ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა და ურყევი რწმენით შევამჭიდროვოთ რიგები. რადგან ქართველი ერი ჩვენი სამშობლოსათვის გადამწყვეტ მომენტში მერყეობას არ გვაპატივებს. ანტიკომუნისტური მსოფლიო ძალები დღეს აშკარად ირაზმება ძალადობის და უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენი მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ამ ბრძოლაში.

ნათლად უნდა გვქონდეს გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ საქართველო დაპყრობილია ორის მხრივ – ეროვნულად (რუსეთის ერის მიერ) და პოლიტიკურად (კომუნისტურ-ბოლშევიკური წესწყობილებით). ამისდა მიხედვით ჩვენი საწინააღმდეგო ბრძოლაც აუცილებლად ორივე მხრივ უნდა იყოს მიმართული.

რუსული პოლიტიკური ემიგრაცია იბრძვის მხოლოდ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, ჩვენ კი – დამპყრობლების. ამ გვარად, ქართული და რუსული პოლიტიკური ემიგრაციების გზები სხვა და სხვაა. ამიტომ გვმართებს სიფრთხილე.

მართალია რუსეთმა ძალით მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ წართმეული დამოუკიდებლობის კვლავ დაბრუნება დღეს უკვე რუსეთის ძალაში აღარ შედის. ამ ნიადაგზე, თანახმად ქართველი ერის ისტორიული და იურიდიული უფლებებისა, „ქართველ-ამერიკელთა ლიგა“ თავის მოქმედებაში თანამშრომლობს ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ორგანოებთან და თავი-

სუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სხვა, რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებთან ერთად“.¹⁵

თავის მესამე რვეულში (აგვისტო, 1951, გვ. 93) „მამულის“ რედაქცია კიდევ ერთხელ უხდის მადლობას ყველას, ვისმა შემოწირულობებმაც შესაძლებელი გახადა ჟურნალის გამოცემა. სხვათა შორის, ძალზე საინტერესოა ჟურნალის სხვადასხვა ნომრის შემომწირველებისა და აკაკი პაპავას იმ პირველ რვეულში შეტანილი სიების შედარება. შემომწირველთა შორის ძირითადად ერთი და იგივე გვარები. სამაგიეროდ, იშვიათად შეხედებით მდიდარ ქართველ ემიგრანტებს, ერთხელ მაინც რომ დახმარებია ჟურნალს.

აი, 1951 წლის აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი რედაქციის მადლობა:

„კრებული „მამული“-ს გამომცემლობა უღრმეს მადლობას მოახსენებს ქვემოთ ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც კეთილ იხეებს და სათანადო თანხის შემოწირვით შესაძლებელი გახადეს კრებულის გამოცემა –

ზურაბ ჩხოტუა –	575	პესო
მერაბ კვიციანილი –	500	
ივანე მატინიანი –	500	
ალექსანდრე პაპუაშვილი –	300	
არჩილ ხაჩიძე –	300	
ტარასი შანავა –	150	
პავლე კვარაცხელია –	115	
თენგიზ ქართველიშვილი –	100	
ზურაბ ციციშვილი –	100	
აკაკი პაპავა –	100	
ლეონიდე ჭეიშვილი –	100	
ჯონდო ჩომახ –	50	

უადგილობის გამო, სამწუხაროდ, ბევრი აწყობილი მასალა გადაიდო, და სწორედ ისეთი, რომელთა დაბეჭდვას ავტორები მოელიან. იმედი გვაქვს მორიგ კრებულს არ დავაგვიანებთ“.

1951 წლის სექტემბერში „მამული“ მონაწილე იყო არგენტინის პერიოდიკის ეროვნული ყრილობისა, რომელშიც მონაწილეობდა ჟურნალის წარმომადგენელი და ერთი-ერთი ყველაზე მთავარი თანამშრომელი აკაკი პაპავა:

„სექტემბრის 2-8-მდე ბუენოს-აირესში, უნივერსიტეტის ახალ შენობაში მონვეულ იქმნა არგენტინის რესპუბლიკის ყველა პერიოდულ გამოცემათა თანამშრომლებისა და მწერლების ყრილობა, რომელიც დიდი ზეიმით ჩატარდა. ყრილობამ და მისმა კომისიებმა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს, რასაც მთელი პრესა დიდი ინტერესით თვალყურს ადევნებდა. ყრილობას საგანგებო სიტყვით მისალმა რესპუბლიკის პრეზიდენტი, გენ. ხუან პერონი და მისი მეუღლე ქ-ნი ევა პერონისა.

ჩვენი გამოცემა „მამული“ დაშვებულ იქმნა ამ ყრილობაზე, როგორც სრულ უფლებიანი წევრი და ჩვენი წარმომადგენელი ბ-ნი აკაკი პაპავა მონაწილეობას იღებდა ყრილობის ყველა სხდომაზე“.¹⁶

და კიდევ რამდენიმე ინფორმაცია ჟურნალის იმავე გვერდიდან რუბრიკით „სხვადასხვა“:

15 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული IV, ნომბერი, გვ. 114.

16 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული IV, ნომბერი, გვ. 116.

„1924 წელს საქართველოში მომხდარი აჯანყების წლის თავის აღსანიშნავად და ომში სამშობლოსათვის დაღუპულთა მოსაგონებლად ბუენოს-აირესში მყოფ ქართველთა საზოგადოებამ გამართა სამოქალაქო პანაშვიდი, მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ბ. ვ. ნოზაძემ და შემდეგ წაიკითხა დამკომის წევრის იასონ ჯავახიშვილის სიტყვა, რომელიც მან გასამართლების დროს წარმოსთქვა თბილისში. შემდეგ, ბ. ა. პაპავამ ილაპარაკა პირველი სამხედრო შეთქმულების შესახებ და წაიკითხა დახვერტილთა სია. კრებამ ყველა დაღუპულთა ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა“.

„13 ოქტომბერს შესდგა არგენტინის ქართული საზოგადოების საგანგებო კრება, რომელზეც დამსწრენი გაეცნენ პარიზიდან მიღებულ მონოდებას ეროვნული ყრილობის დაარსების შესახებ. კრება მიესალმა ამ განზრახულ ნაბიჯს და ვინაიდან არგენტინის ქართულ საზოგადოებას არ შეეძლო თავისი დელეგატის გაგზავნა პარიზს ყრილობაზე დასასწრებლად, ამიტომ თავის დროებით წარმომადგენელად ეროვნულ საბჭოში მონაწილეობის მიღებისათვის აირჩია ბ-ნი ფილიპე შარაძე პარიზში. თავმჯდომარემ კრებას მოახსენა: ქართველ ცნობილ მოღვაწეთა: აქიმ ვახტანგ ლამბაშიძის, ყოფილ ფინანსთა მინისტრის და საზოგადო მოღვაწის გიორგი ჟურჯულაძის, ბაქოს ქართველთა შორის მოღვაწე ლევან მამულაიშვილის და პეტროგრაძის ქართველთა შორის მოღვაწე დ. ჭიბრიჭვილის გარდაცვალების შესახებ. კრებამ მათ ხსოვნას ფეხზე აღდგომით პატივი სცა“.

„პერუში, ქართველ გარდახვეწილს ი. კველიშვილს ავტომობილი დაეტყა და გაიტანა. ო. კველიშვილი გარდაიცვალა და მისი ცოლშვილი ობლად დარჩა“.

1951 წლის 20 ოქტომბერს პარიზში გაიმართა ქართული ემიგრაციის პირველი ეროვნული ყრილობა. არგენტინის ქართველთა სათვისტომომ განიხილა ყრილობის გადაწყვეტილებანი და დოკუმენტები, ხოლო „მამულმა“ ჯეროვნად გააშუქა ყრილობის მიმდინარეობა:

„პირველი ეროვნული ყრილობა როგორც დადგენილი იყო, გაიხსნა პარიზში 20 ოქტომბერს, ნაშუადღევს 3 საათზე. ყრილობაში მონაწილეობას იღებდნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები – თეთრ-გიორგის წარმომადგენელი, ნაციონალ-დემოკრატები პიროვნულად და უპარტიონი. ამათ გარდა ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ – სპარსეთის, ოსმალეთის, ინგლისის, იტალიისა და არგენტინის, საზოგადოებათა რწმუნებულები. ჩრდილო-ამერიკის ქართულმა საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო თავისი დეკლარაციით, ვიზების დროზე მიუღებლობის გამო ვერ დაესწრნენ მიუნხენის და ბრუსელის წარმომადგენლები.

საორგანიზაციო კომისიის სახელით ყრილობა გახსნა ბ. რაჟდენ არსენიძემ. ყრილობის თავმჯდომარეობად აირჩიეს ბ. დ. სხირტლაძე, ვ. ბაქრაძე და კ. გვარჯალაძე. ყრილობა დიდი ოვაციით შეეგება ნოე ჟორდანიას და იგი საპატივო თავმჯდომარედ აირჩიეს.

ცოტა ხნის თათბირის შემდეგ მოხდა შეთანხმება: – დაარსდეს ეროვნული საბჭო, განხილულ იქნას მისი წესდება და აირჩეს დროებითი აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც დაევალება მოავგაროს და გაუძღვეს ყველა მიმდინარე საქმეს. ხოლო ექვსი კვირის შემდეგ მოიწვიოს ყრილობის მეორე სხდომა.

ყრილობას თავმჯდომარეობდა ბ-ნი დავით სხირტლაძე. სხდომას მთავრობის სახელით მიესალმა ბ. ევგენი გეგეჭკორი. მას საპასუხოდ გამოეხმაურნენ პარტიის წარმომადგენლები და ყველამ ერთხმად აღიარა თანამშრომლობისა და ერთობის აუცილებლობა. ყრილობა შემდეგ შეუდგა თქვენ მიერ ცნობილი წესდების განხილვას და მცირე შესწორების შემდეგ იგი დაამტკიცა ერთხმად.

კვირის სხდომას თავმჯდომარეობდა ბ. კ. გვარჯალაძე. დაისვა საკითხი აღმასრულებელი ორგანოს არჩევისა. მაგრამ ვინაიდან საარჩევნო შეთანხმება გაძნელდა, ამიტომ ბ. ნოე ცინცაძემ შემოიტანა წინადადება – ყველა პარტიის წარმომადგენელს მოეხდინა განცხადება თავის მიზანთა შესახებ. საერთო პოლიტიკური მოხსენება გააკეთა ბ. ევ. გეგეჭკორმა. ილაპარაკეს პარტიის წარმომადგენლებმაც და სოშოს კოლონიის წარმომადგენელმა ბ. ალ. შათირიშვილმა. ამას შემდეგ მოხდა არჩევნები. აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულ იქმნეს შემდეგი პირები: – დავით სხირტლაძე, კ. გვარჯალაძე, რ. არსენიძე, ნ. ცინცაძე, ნ. ურუშაძე, კ. სალია, გ. კერესელიძე და გრ. ურატაძე.

აღმასრულებელი კომიტეტი მაშინვე მუშაობას შეუდგა. დაისვა საკითხი: – მიეღოთ თუ არა მონაწილეობა „რუსეთში შემავალ ერთა ლიგის“ ყრილობაზე, რომელიც 1 ნოემბერს გაიხსნებოდა. გადაწყდა დადებითად და არჩეულ იქმნა ორი დელეგატი – ნ. ცინცაძე და დ. სხირტლაძე; მათ დაემატება მიუნხენის კოლონიის ერთი წარმომადგენელი. ქართველ დელეგატებს დაევალიათ: აღნიშნულ ლიგაში ქართველები მონაწილეობას მიიღებენ მას შემდეგ, რაც ლიგაში შემავალი რუსები საქართველოს დამოუკიდებლობის ურეზერვოდ სცნობენ. როგორც ვიცით, ამაზე წინასწარი თანხმობა მოცემულია პასუხისმგებელ რუსთა მიერ. ვნახოთ ჩვენი დელეგატები რას მიაღწევენ და რა პასუხს ჩამოგვიტანებენ“.

ყრილობის ანგარიშს კრებულის IV რეგულში (1951, ნომერი, გვ. 113) ხელს აწერს „დამსწრე“. ეს ფსევდონიმი გვაფიქრებინებს, რომ ჟურნალის რომელიმე თანამშრომელი ან არგენტინის ქართული სათვისტომოს რომელიმე წევრი მართლა ესწრებოდა ყრილობას, თუმცა ძნელი დასადგენია ვინ მიავლინეს არგენტინიდან პარიზს ყრილობის დელეგატად. ჟურნალის იმავე ნომერში დაბეჭდილია პირველი ეროვნული ყრილობის დოკუმენტები:

„თანამედროვე საერთაშორისო ვითარებამ გამოიწვია ქართული ეროვნული ემიგრაციის ამოძრავება და მისწრაფება მთელი პოლიტიკური და მებრძოლი ემიგრაციის დარაზმისაკენ. პარიზში შესდგა კრება, რომელმაც აირჩია განსაკუთრებული კომისია იმ დავალებით, რომ დაარსებული ყოფილიყო „ეროვნული საბჭო“. ჩვენ აქ საამისო მონოდებას ვათავსებთ –

ძვირფასო თანამემამულენო!

როცა ერი პირაკრული შემოჭრილი მტრისაგან – ემიგრაციას მართებს ამეტყველება. როცა ერის ნებისყოფა შებოჭილია რკინის არტახებით, თავისუფალ ქვეყნებში გახიზნულ მის შვილთ მართებთ ბრძოლა და მოქმედება მისი განთავისუფლებისათვის. მათ აქვთ ამის უფლება და ამის მოვალეობა.

დღეს ამ ბრძოლისა და მუშაობისათვის იხსნება ახალი და ფართო ასპარეზი.

ჩვენს დამპყრობელ კომუნისტურ ტირანიას მოსკოვში ჩასაფრებულს, უპირდაპირდება მთელი თავისუფალი კაცობრიობა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით და რაც უმთავრესია ჩვენთვის, უპირდაპირდება ერისა და ადამიანის უფლებათა დროშით. ესაა დროშა მსოფლიო დემოკრატიისა – წინააღმდეგ მოსკოვის ტოტალიტარული რეჟიმისა, რომელიც ერთა დამონებისა და პიროვნების გასრესაზე არის აგებული. ამ ნიადაგზე დგება კავშირები სახელმწიფოთა და ერებისა. ამავე ნიადაგზე სდგება მნიშვნელოვანი გაერთიანებანი, როგორც აღმოსავლეთ ევროპის დაჩაგრულ ერების, ისე საბჭოთა კავშირის ფარგლებში მცხოვრებ ერთა თავისუფალ, დემოკრატიულ მებრძოლ ძალების. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას აქ ეძლევა ფართო შესაძლებლობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მორალი სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს და ჩვენი ერის სამართლიანი მოთხოვნა – თავის სუვერენობის

აღდგენისა – აქტუალურად დააყენოს მთელი კულტურული კაცობრიობის წინაშე. ქართულ ემიგრაციის მოეთხოვება ამ ფართო, რთულ და მეტად საპასუხისმგებლო ასპარეზზე ღირსეულად გამოსვლისათვის – შექმნას ერთი მთლიანი ფრონტი განუყრელი და შეურყეველი. აქ განზე გადგომა დანაშაულია განხეთქილების ჩამოგდება – ლალატის ტოლად დამაზიანებელია. ერის უმაღლეს ინტერესების წინაშე უკან უნდა ჩამოდგეს ყოველი სხვა მოსაზრებანი და მისწრაფებები.

პარიზის ქართულ პოლიტიკური ემიგრაციის მრავალრიცხოვანმა კრებამ, ზემოდ მოყვანილ მოსაზრებებით გამსჭვალულმა, ერთსულოვნად აირჩია საორგანიზაციო კომისია ეროვნული ხელმძღვანელი ორგანოს შესაქმნელად.

არჩეულმა კომისიამ, თანახმად კრების დავალებისა, შეიმუშავა „ეროვნული საბჭოს“ წესდების პროექტი, განსაზღვრა მის წევრთა რიცხვი, გაანაწილა იგი პარიზში მომქმედ პარტიათა და ორგანიზაციათა შორის და რომ საბჭოს ორგანიული კავშირი ჰქონდეს სხვა ქვეყნების ქართულ ემიგრაციასთან, აუცილებლად დაინახა მათი წარმომადგენლების მოწვევა.

აქვე გვგზავნებათ წესდების პირი და რაოდენობა თქვენი ხვედრი დელეგატებისა.

დარწმუნებული ვართ რომ მიიღებთ საჭირო ზომებს, რათა გააცნოთ ჩვენს თანამემამულეებს ჩვენი მიმართვა და დანიშნულ დროისათვის ე.ი. 20-21 ოქტომბერს 1951 წლისათვის გამოგზავნოთ თქვენი დელეგატები.

დელეგატების სახელი და გვარი გთხოვთ გვაცნობოთ წინასწარ, რომ შესაძლებელი იქნეს დროზე მათთვის ვიზის დამზადება.“

მოწოდებას ხელს აწერენ საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე – რ. არსენიძე და მდივანი – გ. წერეთელი. იქვე დაბეჭდილია ეროვნული საბჭოს წესდებაც:

„ეროვნული საბჭოს წესდება

საქართველოს ეროვნული საბჭო არის ცენტრალური ორგანო საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისა უცხოეთში.

საბჭოს დანიშნულება.

საქართველოს ეროვნული საბჭო მიზნად ისახავს იმუშავოს „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის“ აღდგენისათვის.

კერძოდ:

- ა. გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს უცხოეთში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მომქმედ ქართულ ძალებს და ორგანიზაციებს.
- ბ. გასწიოს სათანადო პროპაგანდა უცხოეთის საზოგადოებრივ წრეებში.
- გ. გააცნოს საქართველოს საკითხი და მისი ახლანდელი მდგომარეობა სხვა და სხვა ქვეყნის პასუხისმგებელ პირებს და ორგანიზაციებს, რათა მათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირონ, როცა მათ წინაშე ეს საკითხი დადგება.
- დ. გამოსცეს ბეჭდვითი ორგანო, წიგნები და საინფორმაციო ფურცლები ქართულ და უცხო ენებზე.
- ე. საქმიანი დამოკიდებულება, თუ კავშირი დაიჭიროს ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და იმ ერების წარმომადგენლებთან, რომელნიც:
 1. უდავოდ სცნობენ ქართველი ერის სუვერენულ უფლებას თვით განაგოს თავისი ბედი.
 2. აღიარებენ საერთოდ ერთა თვითგამორკვევის უფლებას ურეზერვოდ.
 3. იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.
- ვ. იძიებს ნივთიერ საშუალებას თავის დანიშნულების განსახორციელებლად.

საბჭოს წევრთა მოვალეობანი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრნი და მასში შემავალი ორგანიზაციები ვალდებულებას იღებენ დაიცვან საერთო ბრძოლის ფრონტი და საერთო ხაზი მოქმედების საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, ერთი მეორეს თავს არ ესხმიან და არა შემთხვევაში მის წინააღმდეგ არ მოქმედებენ.

საბჭოს შემადგენლობა.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს შეადგენენ:

1. ქართულ პოლიტიკურ პარტიათა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები (რიცხვი განისაზღვრება შეთანხმებით).
2. ის ქართველი მოღვაწენი, რომელთა მოწვევა სასარგებლოთ იქნება მიჩნეული ორგანო მმართველობის.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მმართველი ორგანოებია: საზოგადო კრება და კომიტეტი.

საზოგადო კრება იმართება: ჩვეულებრივი – წელიწადში ორჯერ. ხოლო არაჩვეულებრივი – საჭიროების მიხედვით. მას იწვევს საქართველოს ეროვნული საბჭოს კომიტეტი თავის დადგენილებით ან საბჭოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

საზოგადო კრება იმუშავებს მოქმედების საერთო პოლიტიკურ ხაზს და სამოქმედო დირექტივებს აძლევს კომიტეტს. იგი იმუშავებს და ამტკიცებს ბიუჯეტს.

კომიტეტი საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა. კომიტეტს ირჩევს საბჭოს წევრთა საზოგადო კრება ხმის უმრავლესობით და ერთი წლის ვადით.

კომიტეტი შესდგება შვიდი წევრისა და სამი კანდიდატისაგან.

კომიტეტის წევრნი თავმჯდომარეობენ კომიტეტის სხდომას მორიგეობით, დანარჩენი ფუნქციები წევრთა შორის ნაწილდება თვით კომიტეტის მიერ.

ყოველი გადაწყვეტილება, როგორც საზოგადო კრებაზე, ისე კომიტეტში სწავდება ხმის უმრავლესობით.

კომიტეტს აქვს მიწერ-მოწერა და გამოდის ყველგან საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით¹⁷.

ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური და ემიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების პარალელურად, არგენტინის ქართველთა სათვისტომო, პირველი რიგში მისი ხელმძღვანელები, ინტერესდებიან ამერიკის შეერთებულ შტატების ქართული კოლონიის საქმიანობით და ნიუ-იორკიდან მიღებული ინფორმაციას, რომელსაც ხელს „ნიუიორკელი“ აწერს ჟურნალში ბეჭდავენ, რომ იგი სათვისტომოს ყველა წევრისთვის გახდეს ხელმისაწვდომი:

„1951, ოქტომბერი-ნოემბერი, წერილი ნიუიორკიდან. როგორც იცით, ნიუიორკში დაარსებულია „ქართველ-ამერიკელთა ლიგა“, რომლის თავმჯდომარეა ბ. თეიმურაზ ბაგრატიონი, მისი მოადგილე – ბ. პაულე კვარაცხელია და მდივანი ბ. გივი კობახიძე.

ამა წლის ოქტომბრის სამს, ქართველ-ამერიკელთა ლიგამ გადასცა უნოს ანუ გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის სამდივნოს და ამას გარდა უნოში შემავალ ერთა დელეგაციებს მემორანდუმში, რომლითაც იგი იმედს გამოსთქვამს, რომ გაერთიანებულ ერთა ორგანიზაცია (უნო) ქართველი ერის უფლებებს სცნობს და მას მხარს დაუჭერს. მემორანდუმში მოთხრობილია, რასაკვირველია, მოკლედ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობისა და უხეში ძალით საქართველოს სახელმწიფოს მოსპობის ამბავი.

17 ჟურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული IV, ნომბერი, გვ. 112-113.

„ჩვენ ვთხოვთ გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციას (უნოს) ახსოვდეს მას, – ნათქვამია იქ, – ქართველი ხალხის უფლება, იმ ხალხისა, რომელიც ვაჟკაცურად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისთვის წარსულში და დღესაც ეწინააღმდეგება დაჩაგვრას“-ო.

მემორანდუმს დართული აქვს 5 დამატება – 1) საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიდან ამონაწერები, 2) საქართველოს ურთიერთობა უნინ არსებულ ერთა ლიგასთან, 3) სია იმ სახელმწიფოთა, რომელთაც იცვენს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წელში, 4) საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს ხელშეკრულებიდან ამონაწერები და 5) აჯანყებათა სია 1802 წლიდან 1937-მდე.

ამ მოხსენებამ გამოხმაურება ჰპოვა უნოს წრეებში და სხვა და სხვა სახელმწიფოთა დელეგაციებში.

5 ოქტომბერს ბ. თეიმურაზ ბაგრატიონმა მოიწვია ნიუიორკის პრესის წარმომადგენლები და მათ გაუმართა მოხსენება საქართველოს საკითხზე. კონფერენციას ხელმძღვანელობდა თვითონ ბ. თეიმურაზ ბაგრატიონი და ბ. პავლე კვარაცხელია. ამ შეხვედრის შესახებ, სხვათა შორის, „ნიუიორკ ჰერალდ ტრიბუნ“-მა დაბეჭდა ვრცელი ანგარიში. წერილს სათაურად აქვს – ქართველები უარჰყოფენ სტალინის უფლებას, ილაპარაკოს საქართველოს სახელით.

შემდეგ აღწერილია თვით კონფერენცია და დასაბუთებულია ქართველი ხალხის უფლებები.¹⁸

იმ დღეს, 1951 წლის 7 ნოემბერს, როცა მოსკოვში და მთელ საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლუციის მორიგი წლისთავი აღინიშნებოდა, ბუენოს-აირესში არგენტინის ქართველთა სათვისტომოში აკაკი პაპავამ წაიკითხა მოხსენება თემაზე „საქართველოს და რუსეთი“. ვფიქრობთ, თარიღი შემთხვევით არ იყო არჩეული და არც ის იყო შემთხვევით, რომ მოხსენება რუსულ ენაზე იქნა წაკითხული. მოხსენებას ქართულის არმცოდნე მრავალი ემიგრანტი დაესწრო, ძირითადად საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისგან. აი, რას წერს ამ მოხსენების შესახებ „მამული“:

„7 ნოემბერს 1951 წ. არგენტინის ქართული საზოგადოების გამგეობამ გამართა მოხსენება რუსულ ენაზე: „საქართველო და რუსეთი“.

როგორც ვიცით, ამ ბოლო ხანებში რუსული პრესა და საზოგადოება ბევრ ყალბ ცნობას ავრცელებს ეგრეთ ნოდებულ „საქართველოს შეერთებაზე“ და რუსობას ერთხელ ათვისებული აზრი რუსულ იმპერიალისტურ ისტორიკოსებისა, საქართველოს „ნებაყოფლობით შეერთებაზე“ დღესაც არ დაუგდია.

დღეს, როდესაც ქართველობა თავისი უფლებების ცნობას მოითხოვს, საჭიროა რუსის ემიგრაციამ წამდვლი სურათი იხილოს იმისი, თუ რა მოტყუილებით და ძალადობით მოხდა საქართველოს სამეფოს გაუქმება და რა დიდი ბრძოლები გადაიტანა ჩვენმა ერმა სახელმწიფოს გადასარჩენად რამდენი აჯანყება და ეროვნული აღშფოთება ჩააღრჩო და ჩაჰკლა რუსეთმა ამ 150 წლის მანძილზე. ამ საკითხს არა მარტო რუსულ წრეებში სჭირდება გაშუქება, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ემიგრაციაში. – სწორედ ამ მიზნით იქმნა დანიშნული მოხსენება, რომელზედაც მონვეული იყენენ რუსულ ორგანიზაციათა და რუსული პრესის წარმომადგენელთა გარდა, უკრაინელთა, ლიტოველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, მთიულთა და სხვათა წარმომადგენელნი. – ქართული საზოგადოების სახელით კრებას მიესალმა თავმჯდომარე ბ-ნი ვ. ნოზაძე, რის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ბ-ნი აკაკი პაპავა.

18 შურნ. „მამული“, ბუენოს-აირესი, 1951, რვეული IV, ნომბერი, გვ. 114.

ბ-ნი აკაკი პაპავას მოხსენება ორი ნაწილისაგან შესდგებოდა. პირველ ნაწილში მომხსენებელი შეეხო ქართველი ერის კულტურის გზებს და მის როლს ქრისტიანობისა და ჰუმანიზმის განვითარებაში არა მარტო კავკასიაში, არამედ საერთოდ ახლო აღმოსავლეთში. შემდეგ იგი გადადის ბიზანტიის დაცემასა და მისგან გამონეულ საქართველოს პოლიტიკური იზოლაციის ამბებზე, რასაც ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა რუსეთთან ურთიერთობის ძიება. ამ ურთიერთობის განვითარებას საქართველო მიჰყავს 1783 წლის ხელშეკრულებამდე, რაც რუსეთმა სულ მალე დაარღვია. ბ-ნი აკაკი პაპავა განსაკუთრებით რუსულ წყაროებს და პარალელურად მოგვცა მიუდგომელი ანალიზი ამ ორი სახელმწიფოს იურიდიული ურთიერთობისა. იგი დანვრილებით შეჩერდა იმ დრამატულ ბრძოლაზე, რომელსაც საქართველო აწარმოებდა დიდი იმპერიის წინააღმდეგ რუსულ „სახელმწიფო საბჭოში“, სადაც სამჯერ დაისვა და გაიორჩა ეს საკითხი. აღნიშნა საქართველოს ძალად შეერთება და ამის მომდევნო აჯანყებათა მთელი რიგი. და ბოლოს შეეხო ნითელი რუსეთის შემოსევას. მომხსენებელი საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა და ამას შემდეგ დაიწყო მეტად საინტერესო და ჩვენს პირობებში იშვიათი კამათი.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო გამოსვლები უკრაინელთა სხვა და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენლებისა, რომელთაც ერთხმად აღნიშნეს მნიშვნელობა ასეთი მოხსენებისა, რომელიც აცნობს და ურთიერთს აახლოებს რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს. „უკრაინის საინფორმაციო ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა ვიმოჟინსკიმ, უკრაინის ცენტრალურ რეპრეზენტაციის თავმჯდომარე ლევიცკიმ და მისმა მეორე რწმუნებულმა პროფ. ბანდურამ აღნიშნეს ახლო ნათესავობა საქართველოს ბრძოლებისა უკრაინის ამგვარსავე ბრძოლებთან რუსეთის წინააღმდეგ. ამას შემდეგ ილაპარაკეს რუსთა წარმომადგენლებმა და ისინი განსაკუთრებით უკრაინელებს დაესხნენ თავზე, ამან გამოიწვია სიტყვიერი შეტაკება და გაჯავრებულმა მემარჯვენე რუსთა რწმუნებულმა ბ. სახნოვსკიმ კრება მიატოვა, მაგრამ დანარჩენი რუსები მას არ გაჰყოლიან. ილაპარაკეს სხვებმაც, რომელთაც ბ-ნმა გოგი ნაკაშიძემ სათანადო პასუხი გასცა. ვრცელი სიტყვით გამოვიდა ყაზახთა კავშირების თავმჯდომარე ბ-ნი ხარლაშოვი, ყოფილი რწმუნებული რუსეთის დროებითი მთავრობისა 1917 წელს ამიერკავკასიაში. მან აღნიშნა, რომ დიდი ყურადღებით და გულის ტკივილით ისმენდა ამ საინტერესო მოხსენებას და მადლობელია, რომ გაიგო ახლა იმ ძალმომრეობის შესახებ, რაც ძველ რუსეთს ჩაუდენია, მაგრამ მომავალში ეს აღარ უნდა იყოს და არც იქნება. ამიტომ ძველი უნდა დავივიწყოთ და ერთად დავირაზმოთ საშინელი მტრის, ბოლშევიკების წინააღმდეგ და მომავალ უკეთეს ურთიერთობაზე უნდა ვიზრუნოთო. მისმა სიტყვამ უკრაინელთა მკაცრი რეპლიკები გამოიწვია, მაგრამ კრების წესრიგი არ დარღვეულა. დაბოლოს, მომხსენებელ ბ-ნი აკაკი პაპავას დიდი მადლობა გადაუხადეს და ეს საინტერესო კამათი დასრულდა. ამ მოხსენებას რუსულ და უკრაინულ პრესაში სათანადო გამოხმაურება ჰქონდა.“

და „მამულის“ შემომწირველთა კიდევ ერთი სია, ამჯერად ჟურნალის IV რვეულიდან (1951, გვ. 117):

„კრებული „მამული“-ს გამომცემლობა უღრმეს მადლობას მოახსენებს ქვემოთ ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც კეთილ ინებებს და წვლილის გაღებით შესაძლებელი გახადეს მისი გამოცემა: –

არჩილ ხაჩიძე –	300	პესო
ალ. პაპუაშვილი –	250	
თენგიზ ქართველიშვილი –	150	
ქ-ნი გრეტა ბალარჯიშვილი –	100	

არკადი გორგოშიძე –	100
ზურაბ ციციშვილი –	100
აკაკი პაპავა –	100
ლევო ჭეიშვილი –	100
ჯონდო ჩომას –	50
ხუტა ელიავა –	50
ქ-ნ ნინო დადიანისა – შვეიც, ფრ.	5“

ინურება 1951 წელი. ახალი ქართული სათვისტომო ბუენოს-აირესში თუმცა სულ რაღაც ერთი წლისა და ორი თვისაა, მაგრამ უკვე აქვს ის რეპუტაცია ქართულ ემიგრანტულ ორგანიზაციებს შორის, რომელსაც კიდევ ორ ათეულ წელს შეინარჩუნებს – ფაქტობრივად აკაკი პაპავას გარდაცვალებამდე, იმის მიუხედავად, რომ ვიქტორ ნოზაძე მალე გადასახლდება ჩილეში, ვარლა პარიზში დაბრუნდება, ხოლო გიორგი ნაკაშიძე ამერიკაში წავა. მაგრამ მათ ადგილს სხვები დაიკავებენ, პირველ ყოვლისა, აკაკი პაპავას ოჯახის წევრები. მალე მას მისი მეუღლის დარად, მხარში ამოუდგებიან მისი შვილები და სიძეები. და მე თავად ვარ მონმე და მონანაილე ერთი ნიშანდობლივი შემთხვევისა, რომელიც თავის დროზე ერთხელ უკვე აღვწერე და აქაც უნდა გავიხსენო.

იმხანად არგენტინაში მიცხოვრებ ჩემს მეგობარ გოჩა შათირაშვილთან, დღეს გამოჩენილ ხელოვანთან და ცნობილ ბუკინისტთან ერთად ბუენოს-აირესის ურუგვაის საელჩოში ვიყავი. ცხოვრებით კი ლომას-დე-სამორაში თამარ და აკაკი პაპავების სახელგანთქმული სახლში ვცხოვრობდი, მზია პაპავასთან და მის ქალიშვილებთან – გულნარასა და სალომესთან ერთად. და რაკი ვიცოდი, რომ მზია დეიდა ნერვიულობდა, მომცემდნენ თუ არა ურუგვაელები ვიზას, როგორც კი საქმეს სასიკეთო პირი დავატყვე, დავურეკე, ყველაფერი რიგზეა-მეთქი. კიდევ კარგი, დამირეკე, ახლა სწორედ იმაზე ვფიქრობდი, როგორ მომეძებნეთ, რობიკოს სასწრაფოდ სჭირდება დახმარება, თარჯიმანი გაფიცულია; გულნარასაც დავურეკე, ნინოსაც, სალომესაც, მაგრამ არც ერთმა არ იცის დანამდვილებით, მოახერხებენ თუ არა 4 საათისთვის თეატრში მისვლას; იქნებ გოჩამ შეძლოსო. რობერტ სტურუა ბუენოს-აირესში, ალვეარის თეატრში სპექტაკლს დგამდა და პრემიერამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. თარჯიმანს, იმამი დარწმუნებულს, რომ პროდიუსერს სხვა გზა არ ექნებოდა, ჰონორარის მომატება მოუთხოვია; მაგრამ სანამ ქართველი რეჟისორის არგენტინელი პროდიუსერი ამ ამბავს გაიგებდა და რაიმეს იღონებდა, რობიკოს რეპეტიცია ეშლებოდა და სასწრაფო-თილს მზია დეიდასთვის დაურეკავს. მანაც ყველას მიანვდინა ხმა – თავის შვილებსაც, დისშვილებსაც, გოჩასაც – ყველას, ვინც იმ წუთში ბუენოს-აირესში იყო და ქართული და ესპანური იცოდა. მობილური ტელეფონი მაშინ ახალი ხილი იყო და არც ერთ ჩვენგანს, ვისაც მზია დეიდამ ხმა მოგვანვდინა, მობილური ტელეფონი არ გვექონია. მე და გოჩა, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ გავეშურეთ ალვეარის თეატრისაკენ. რომ მივედით ოთხს 15 წუთი აკლდა. უნდა გენახათ რობიკო სტურუას ამაყი და ბედნიერი სახე. არა იმიტომ რომ ჩვენ მივედით, არამედ იმიტომ, რომ მე და გოჩა პირველები სულაც არ ვყოფილვართ და ჭეიშვილები უკვე იქ დაგვხვდნენ! ხოლო ამ ყველაფრის ორგანიზატორი და დირიჟორი – მზია დეიდა ყველას შინ მიგველოდა და ვახშამს ამზადებდა.

ეს ამბავი შორეულ 1997 წელს მოხდა. ხოლო იმ კიდევ უფრო შორეულ 1951 წელს, მზია პაპავას შვილები – გულნარა და სალომე და მათი დეიდაშვილები პატარა გოგონები არიან და ახალი წლის წინა დღეებში, 29 დეკემბერს არგენტინის ქართული სათვისტომოს მიერ მოწყობილი საახალწლო ნაძვის ხის გარშემო ხალისობენ. ამ სათვისტომოს დამფუძნებლები კი მათი „ბიბა“ და „ბაბუტა“ არიან – თამარ და აკაკი პაპავები.

„29 დეკემბერს ქართულმა ახალშენმა მოაწყო შობისხე ქართველ ბავშვთა და მათი სტუმრებისათვის.

ციალა ჯაფარიძის ასული და ბ-ნი მ. დიასამიძე შეუდგნენ ამ საქმეს, შეიძინეს მრავალგვარი საჩუქრები ბავშვთათვის, მორთეს შობის ხე და სახეგაბრწყინებულ პანია სტუმრებს მიუხმეს ამ დღისათვის. ბავშვთა მშობელნი და მსლებელნი დიდი აღფრთოვანებით თვალყურს ადევნებდნენ პატარების ზეიმს, ერთის წუთით მაინც გადადიოდნენ ოცნებით საყვარელ სამშობლოში, იგონებდნენ იქ გატარებულ სიყრმეს და ტკბილ ალილოს: ზოგი კიდევ თავის მიტოვებულ ბავშვებს იგონებდა. პანიებმაც მართლაც დიდად შეუწყვეს ხელი ამ ილიუზიების შექმნას.

ბავშვები გამოდიოდნენ სცენაზე შობისხის წინ რიგრიგობით და გვატკობდნენ ქართული სიმღერით, ლექსებითა და ცეკვით. ტურფა ჭეიმივლის პანია ასული პუსი იყო კონფერანსი და მონაწილეთ გვაცნობდა. ჯერ ტურფა, მზია და გულნარა ჭეიმივლებმა ერთად წაიკითხეს ლექსი: შობის ხის ნაამბობი; ამას მოჰყვა სხვა და სხვა ლექსი, ზოგი ხალხურიც. რაც ჩინებულად სთქვა თვითეულმა. შემდეგ ესპანურ ენაზე წაიკითხეს მშვენიერი ლექსები მარტინესის ასულებმა (ჩვენი თანამემამულის დრ. არჩილ ხაჩიძის მეუღლის დისშვილებმა). ამას მოჰყვა პიანოზე დაკვრა დავარ ნაკაშიძის ასულის მიერ; მანვე წაიკითხა მისივე ბაბუის ლექსი. ბოლოს ბ. ზურაბ ციციშვილმა დაუკრა ლეკური პიანოზე; ქ-ნ თამარ პაპავამ შემოჰკრა დაირას და გაიმართა პატარა გოგონების მოხდენილი ცეკვა, განსაკუთრებით ყურადღება მიიპყრო პატარა პუსი ჭეიმივლის, რომელიც ქართულ კაბაში იყო გამოწყობილი, შესრულებულმა ლეკურმა; მან ისეთი გრაციით და რიტმით ჩაატარა ეს ლეკური, რომ ტაში დიდხანს არ შეწყვეტილა. მისმა უნცროსმა დამ, მზიამაც კარგად შეასრულა ლეკური. ბოლოს, ციალა ჯაფარიძის ასულმა ბავშვებს სათითაოდ გამოუძახა და მშვენიერი საჩუქრებით დააჯილდოვა...

ბავშვთა ზეიმის დასასრულს შესანიშნავად იცეკვეს ლეკური ციალა ჯაფარიძის ასულმა და ბ. გივი გელაშვილმა.

დამთავრდა საბავშვო ზეიმი და სათვისტომოს დამსწრეთ ახალი სურპრიზით გაუმასპინძლდნენ – იმ საღამოთი არგენტინაში პირველად დაიდგა ქართული წარმოდგენა.

ადგილობრივ ძალთა სიმციროს მიუხედავად ეს პირველი ცდა მაინც ჩინებულად ჩატარდა და დამსწრენი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ.

წარმოდგენილ იქმნა „დუქანში“ ხეჩუაშვილისა, გადაკეთებული ბ. ა. პაპავას მიერ „სიცოცხლის წყაროდ“.

დეკორაციისათვის საგანგებო, მშვენიერი აბრა შეასრულა ჩვენმა მხატვარმა ბ-ნმა ლ. სააკაძემ. წარმოდგენა იყო მეტად კოლორიტული, ცოცხალი და ჰუმორით სავსე. „სიცოცხლის წყაროს“ პატრონის როლი მეტად ცოცხლად და მართლა მოხდენილად შეასრულა ბ-ნმა ვალიკო მაღლაკელიძემ. კარგები იყვნენ აგრეთვე მთიულის როლში გ. გოგელაშვილი, ოსის როლში – კარლო კვანტალიანი, გლეხისა – გ. ბურდულაძე და მსახურისა – ხუტა ელიავა.

განსაკუთრებით ცოცხლად ჩატარდა სურათის მეორე ნახევარი, როდესაც დუქანს ეწვივნენ სტუდენტები და გაიმართა ნადიმი, რასაკვირველია, საწყალი მედუქნის ხარჯზე.

ყველანი ისე მოხდენილად და კოხტად თამაშობდნენ, რომ მაყურებლები აღტაცებაში მოიყვანეს და ტაშისცემა-ვაშა დიდხანს ისმოდა. არ დავივიწყოთ ჩინებული მოკარნახეც ბ-ნი გიგა მრელაშვილი.

წარმოდგენის მოწყობას დიდი ამაგი დასდო ბ. კარლო კვანტალიანმა.

შემდეგ განყოფილებაში იყო ქართული გუნდი ბ-ნ გ. გოგელაშვილის. მან შეასრულა ჩვენთვის ახალი სიმღერებიც. ზოგი სიმღერა დამსწრეებმა გაამეორებინეს გუნდს და მას დიდი მადლობა მიუძღვნეს.

დასასრულ გამართა საერთო ნადიმი, ბ-ნ კარლო კვანტალიანის მიერ შეწირული შემწვარი გოჭის აუქციონით, რომელიც მხიარულობითა და კარგი შედეგებით ჩაატარა ბ. ლ. ჯაფარიძემ; მ. დიასამიძემ კი მოაწყო ლოტარეა, რომელმაც აგრეთვე კარგი შედეგები მოგვცა.

სალამო მოეწყო კრებული „მამულის“ სასარგებლოდ. (დამსწრე, „მამული“, რვეული V, გვ. 157)

ჰოდა, სწორედ ამ ჟურნალმა „მამულმა“, რომლის სასარგებლოდაც ეს სალამო მოწყობილა, 1951 წლის დაბეჭდა ფრაგმენტი ილია ჭავჭავაძის წერილისა „ერი და ისტორია“, სადაც არის ასეთი სიტყვები:

„გარდა ყოველ ამისა, ბევრჯერ გვითქვამს და ესლაც განვიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიანს სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წაუნერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი.

ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევედება, ჰგულოვანდება და თავმონონებულია ყველგან, ჭირში თუ ლხინში. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუფარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძით, და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში“.

არგენტინულ ჟურნალში გამოქვეყნებული ილიას სწორედ ამ სიტყვებით მინდა დავამთავრო არგენტინის ქართული სათვისტომოს ისტორიისადმი მიძღვნილი ჩემი გამოკვლევის ეს პირველი და, შეიძლება, მთავარი ნაწილი.

PAATA NATSVLISHVILI

On the History of the Georgian Community in Argentina

Summary

The article concerns the Georgian community formed in Argentina after World War II, headed by Akaki Papava and Viktor Nozadze. Based on unique documents preserved in the author's personal "biblioseum", the article discusses the circumstances of the formation of the Georgian colony in Buenos Aires and its activities, including the publication of the magazine "Mamuli", which was the first publication printed in the Georgian language on the American continent. The article covers the creation and the first period of the history of activities of the Georgian community in Argentina – from 1948 to 1951.

კონსტანტინოპოლის ქართული წარმოადგენლობის ურთიერთობა თურქ პოლიტიკოსებთან ორი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესთა კონტექსტში (1921-1923 წწ.)

შესავალი

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ყოველთვის თამაშობდა მნიშვნელოვან როლს კავკასიის სამეზობლო პოლიტიკაში, ამასთანავე, ის საუკუნეების მანძილზე იყო და დღესაც რჩება სტრატეგიულად საინტერესო გლობალურ სივრცეშიც. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტის განხილვა-გაანალიზება და მეცნიერული შეფასება.

სტატის მიზანია დიპლომატთა ერთი შეხვედრით ვაჩვენოთ საქართველო-თურქეთის პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობის ფორმები და მეთოდები მე-20 საუკუნის 20-ანი წლების დასაწყისში, როდესაც ორივე ქვეყანა სახელმწიფოებრივ ცხოვრების ურთულეს გზას გადიოდა, გამოვკვეთთ ქვეყნების ურთიერთობაში ისტორიული გამოცდილების ასპექტები და მისი გავლენის პერსპექტივა თანამედროვე პროცესებზე.

კვლევის მეთოდოლოგიად ნაშრომში გამოყენებულია პოლიტიკური რეალიზმის თეორია, რომლის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობის ძირითადი მამოძრავებელი იდეა სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებია, ძირითადი რეგულატორი კი – ძალთა წონასწორობა, რასაც ემორჩილება საერთაშორისო სამართალი და მორალი. ასევე გამოყენებულია თვისებრივი კვლევის, კონტენტ ანალიზისა და სინთეზის, მოვლენათა ურთიერთგანპირობებულობის და პროცესების შედარებითი ანალიზის მეთოდები.

კვლევისათვის ძირითადად გამოყენებულია საარქივო წყაროები, ასევე, ქართველი ისტორიკოსთა ნაშრომები, რომლებშიც გამოთქმული შეხედულებები აისახა ჩვენ მიერ მოვლენათა საერთო შეფასებისას.

დისკუსია

თურქ და ქართველ დიპლომატებსა და საზოგადო მოღვაწეებს შორის საინტერესო ურთიერთობები გაიბა საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-1920), რაც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც გაგრძელდა. ორი ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრებისას გამოთქმული თვალსაზრისები აისახა იმ მდიდარ საარქივო და ეპისტოლურ ლიტერატურაში, რაც ქართველ პოლიტიკოსებს დარჩათ. უპირველესად, უნდა აღინიშნოს ის დადებითი ტენდენცია, რითაც კონსტანტინოპოლი გამოირჩეოდა ქართველ პოლიტიკოსთა მხარდაჭერის კუთხით. აქაური ქართული ემიგრაცია იყო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ევროპაში (პარიზში) არსებული ქართული ლეგაციის დამაკავშირებელი ხიდი სამშობლოსა და იქ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებთან. ქართველი პოლიტიკოსების დიდმა ნაწილმა ბოლშევიკური რუსეთის შემოჭრის შემდეგ სწორედ ოსმალეთში ჰპოვა საიმე-

და თავშესაფარი. კონსტანტინოპოლში ქართულ ენაზე იბეჭდებოდა მათი ნაშრომები და ბიულეტენები, გამოიცა ასევე, ქართული ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“. ქართულ-თურქული პოლიტიკური ურთიერთობები ასახულია კონსტანტინოპოლში საქართველოს წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის (64 წერილი), ასევე კონსტანტინე საბახტარაშვილის, სიმონ მდივნის და სხვების წერილებში, ვეჭიბ ფაშასთან, ჟენევაში ერთა ლიგის კონფერენციაზე ოსმალეთის წარმომადგენელ ჯამი ბეისთან და ერთა ლიგაში სტამბოლის ელჩ – ოსმან ნისიმ ფაშასთან შეხვედრების ამსახველ სტენოგრაფიულ ჩანაწერებში, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში.

ამავე არქივში დაცულ დოკუმენტებში ასახულია ქართველი დიპლომატების ურთიერთობა ისეთ თურქ პოლიტიკოსებთან, როგორებიც იყვნენ: ბექირ სამი ბეი, ენვერ ფაშა, თალაათ ენვერ ჯემალი, თეფევიკ სალიმ ბეი, იზეტ ფაშა, ისმეთ ინენიუ, იუსუფ ბეი, კიაზიმ ყარაბექირ ფაშა, მაჰმუდ ფაშა, ნიხთარ ბეი, ნიზამედინ ბეი, ნესრეთ ბეი, ორჰან ბეი, ოსმან ნისიმ ფაშა, ბექირ სამი ბეი, რაუფ ბეი, ფევიზი ფაშა, ფუატ ფაშა, ჯემალ ფაშა, ახმედ ჰუსეინ ოღლი, სალათ ჰუსეინ ოღლი და სხვ.¹

წინამდებარე სტატიაში მოცემულია ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს გასაბჭოების პერიოდში ქართველ და თურქ პოლიტიკოსთა შეხვედრისა და განხილული საკითხების ამსახველი რამდენიმე დოკუმენტის ანალიზი. უფრო კონკრეტულად კი, გამოუქმებულია თურქი პოლიტიკოსის რეფეტ ფაშას ურთიერთობა ქართველებთან.

ბელე იბრაჰიმ რეფეტ ფაშა (1881-1963) იყო თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი 1920-1921 წლებში და 1921-1922 წლებში თავდაცვის მინისტრი. აქტიურად იყო ჩაბმული თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ათა თურქის თანამოაზრე და იდეების გამტარებელი. ის 1926 წელს გავიდა სამხედრო პენსიაზე, 1935 წლიდან კი წავიდა აქტიური პოლიტიკიდან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობასთან კონსტანტინოპოლში და საქართველოდან თურქეთში გადასახლებულ ბევრ ადამიანთან მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა. როგორც ქართული საარქივო წყაროები გვაცნობენ, ერთი ასეთი პიროვნება იყო ბათუმელი ქართველი ხოჯა, რომელსაც ხოჯების მასწავლებლის ადგილი ეჭირა ოსმალეთის დედაქალაქში.

ქართული დიპლომატიური კორპუსის მეთაურის – აკაკი ჩხენკლისადმი გამოგზავნილ წერილში კონსტანტინოპოლში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი კონსტანტინე გვარჯალაძე აცნობს მას, რომ ბათუმელ ხოჯას ჰყავდა საუკეთესო მეგობარი, წარმოშობით აფხაზი „საქართველოსა და აფხაზეთის დიდი მოყვარული“, რომელიც მილეთის ჯარის პოლკოვნიკი იყო. პოლკოვნიკმა თანაკლასელი პოლიტიკოსი ფეხუთ ფაშა დააკავშირა ხოჯასთან და მისი საშუალებით შეახვედრა რეფეტ ფაშას, რომელსაც ამ დროს ეჭირა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა. ხოჯა გულშემატკივრობდა თავის ქვეყანას, აწუხებდა საქართველოში შემოჭრილი ბოლშევიკური რუსული არმიის მაროდირორული და უკანონო ქმედებანი, განსაკუთრებით მუსლიმი აჭარლების მიმართ, სურდა როგორმე დახმარებოდა მათ და ამისთვის გამოეყენებია თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები. „ერთ მშვენიერ დღეს, – ვკიხულობთ წერილში, – პოლკოვნიკი და ხოჯა დაიბარა რეფეტ ფაშას ადიუტანტმა და აცნობა: ფაშას უნდა თქვენთან ლაპარაკი იმის შესახებ, რაც ფეხუთისთვის მიგინერიათო. ფევიზი ფაშას გადმოუგზავნია აფხაზის წერილი რეფეტისათვის და უთხოვია დაეხარებინა და მოლაპარაკებოდა ხოჯას. უკანასკნელი რეფეტ-ფაშამ ძლიერ

1 დ. ჭუმბურიძე, აკაკი ჩხენკელი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, თბ., 2018.

კარგად მიიღო. ხოჯამ უამბო აჭარის აუტანელი მდგომარეობა რუსის ბატონობის ქვეშ და წარუდგინა ვეჩილობა ქედის რაიონის მცხოვრებლებისაგან, რომელთაც ჯერ კიდევ 1919 წელს (ინგლისელების დროს) მიუხედავად მისთვის თავიანთი ინტერესების დაცვა. ხოჯამ აღნიშნა ქართველი ხალხისა და აჭარლების საერთო ბრძოლა რუსების წინააღმდეგ და სთხოვა შეძლებისდაგვარად დახმარება. ისიც უთხრა, რომ აქ იმყოფებთან ქართველი მოღვაწეები, რომელთაც თავის ქვეყანასთან აქეთ კავშირი და უნდათ მუშაობის გაგრძელება მიმავალშიც. რეფეტმა, ხოჯას გადმოცემით, შემდეგი უპასუხა: ჩვენ ქართველი ხალხის თავისუფლებას იმთავითვე დიდის თანაგრძნობით ვეკიდებოდით, გაიხსენეთ ომის დროს ლეგიონის დაარსება... ისიც, რომ ჩვენ პირველმა ვიცანით საქართველო...“²

რეფეტ ფაშას ხოჯასთვის უთქვამს, რომ რუსებთან კავშირი ოსმალეთისთვის დროებითი იყო და რომ მისი ქვეყანა ქართველების ინტერესებს ყოველთვის დაიცავდა.

საქართველოს მხარდამჭერი პათოსი გამოჩნდა 1922 წლის 16 ნოემბერს ქართველი დიპლომატის – კონსტანტინე გვარჯალაძის საქართველოს ეროვნული მთავრობის სახელით გამართულ შეხვედრაზეც რეფეტ ფაშასთან. ამ შეხვედრაზე დასმული იქნა ორი ქვეყნის მომავალი ურთიერთობის საკითხები. შეხვედრის სტენოგრაფიული ჩანაწერიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ამ დროს უკვე დაპყრობილი იყო რუსეთის ბილშევიკური არმიის მიერ და აქ საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული, ემიგრაციაში მყოფი, ბოლშევიკების მიერ ჩამოგდებული მთავრობა ყველაფერს აკეთებდა დიპლომატიური გზების გამოსაძებნად – აღედგინა ქვეყნის დაკარგული დამოუკიდებლობა. ამ საკითხზე ქართველი დიპლომატები საუბრობდნენ როგორც ევროპის წამყვანი ქვეყნების, ასევე მეზობელი თურქეთის პოლიტიკოსებთან, მითუმეტეს, დამოუკიდებლობის წლებში ამ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პოლიტიკური კონტაქტი ჩამოყალიბდა. თავად ოსმალეთიც ამ პერიოდში სახელმწიფოებრივი ცხოვრების რთულ ეტაპზე იმყოფებოდა. მის ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა იწყებოდა და დიპლომატიური ურთიერთობების ახალი სისტემა ჩნდებოდა. საარქივო დოკუმენტი კარგად აჩვენებს როგორც საქართველო-ოსმალეთის ამდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას, ასევე იმ ასპექტებს, რასაც ამ ქვეყნის დიპლომატები თავიანთი ქვეყნების სახელმწიფო ინტერესებისათვის ახორციელებდნენ.

შეხვედრა ქართველმა დიპლომატმა გახსნა და მან თურქ პოლიტიკოსს, ოსმალეთის ნაციონალისტური მთავრობის (ანუ მუსტაფა ქემალ ათა თურქის მთავრობის) წარმომადგენელს – რეფეტ ფაშას მიმართა საქართველოს ნაციონალური მთავრობისა და კონსტანტინოპოლის მთელი ქართული კოლონიის სახელით. მან თქვა, რომ იმ ქართველების სახელით გამოდიოდა, რომლებიც ქვეყნის დამოუკიდებლობის მომხრენი იყვნენ, დაახასიათა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, თქვა, რომ გარკვეული ძალები იბრძვიან მისი „უბრალო რუსულ პროვინციად გადაქცევისათვის“. ამ მიზიდ პროცესში საქართველოს ეროვნულმა ძალებმა მას მისცეს დაეალება ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მოკავშირედ გაიხადოს თურქეთი და მჭიდრო კავშირი დაამყაროს ამ ქვეყნის გამოჩენილ პოლიტიკოსებთან. დავალების მიმცემებს შორის ის ასახელებს საქართველოს მთავრობას, რომელშიც ბოლშევიკებისგან უკვე ქვეყნიდან დევნილი ნოე ჟორდანისა მთავრობა იგულისხმებოდა, ასევე ასახელებდა

2 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1831, ანან. 2. საქმ. 110, ფ. 7.

„დამოუკიდებლობის კომიტეტს“, რომელიც 1922 წელს შეიქმნა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ქვეყანაში საყოველთაო აჯანყების მოზილიზებისთვის.

რეფეტ ფაშამ შეხვედრაზე ნათლად ახსნა, რომ მიუხედავად იმ დროს საბჭოთა რუსეთთან ოსმალეთის პოლიტიკური თანამშრომლობისა, მისი ქვეყანა უპირობოდ სცნობდა კავკასიაში დამოუკიდებელ საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებს. ეგ კი არადა, დაუმატა მან, ჩვენ სომხეთის დამოუკიდებლობაც ვცანით. მან ითხოვა საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში ყოფნისა და მისი შემადგენლობის შესახებ ინფორმაციაც, ასევე ითხოვა ცნობები საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ ევროპის დიდი სახელმწიფოების მხრიდან.

კ. გვარჯალაძემ უპასუხა, რომ პარიზში მყოფი საქართველოს მთავრობა ხშირად ხელბოდა იქ მყოფ ანგორის მთავრობის წარმომადგენლებს და მათთან ყოველთვის ნახულობდა საერთო ენას. საუბრის დროს გაირკვა, რომ ქართველებს სურდათ თავისი წარმომადგენელი ოფიციალურად ჰყოლოდათ თურქეთის ახალ მთავრობაში, თუმცა, მეორე მხარე ამ საკითხთან დაკავშირებით ფრთხილობდა, ამის მიზეზად სახელდებოდა თურქეთის მძიმე საგარეო-პოლიტიკური ვითარება და საბჭოთა რუსეთთან სიახლოვე. „თქვენები ფრთხილობდნენ, ამბობდნენ, რომ დღეს ომი გვაქვს ანტანტასთან, საბერძნეთთან, რუსეთთან კი ვიღებთ დახმარებას და ამიტომ დროებით გეჭირდება სიფრთხილო“. დღეს ამ მიმართულებით უკეთესი სიტუაციაა და ჩვენი დაახლოებაც არ უნდა იყოს შორსო, – იმედი გამოთქვა ქართველმა დიპლომატმა. გვარჯალაძის სიტყვებს თურქმა პოლიტიკოსმა ასეთი გულწრფელი პასუხი მისცა: „ყოველ შემთხვევაში რუსეთი ჯერ კიდევ გეჭირდება. ის ძალიან დაგვეხმარა. ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა კვლავაც გამოურკვეველია და ამ პირობებში რუსეთს სიფრთხილით უნდა მოპყრობა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ დღევანდელი რუსეთი ძველი რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას განაგრძობს, ამ მხრივ მას კავკასიაშიც უნდა ცვლილების შემოტანა, მაგრამ მე კიდევ ერთხელ გარწმუნებთ თქვენ, რომ ჩვენივის მისაღება მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველო და აზერბაიჯანი და თუ გნებავთ, სომხეთიც.

გვარჯალაძემ უთხრა, რომ საქართველოს არასდროს ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ თურქეთი მის დამოუკიდებლობას მხარს დაუჭერდა. ქართველმა დიპლომატმა კოლეგას მოახსენა იმ სიახლის შესახებ, რაც საოკუპაციო რეჟიმმა უკანასკნელ დროს ჩაიდინა დაპყრობილ საქართველოში: რუსეთის მომხრე ის ქართველი ბოლშევიკები, რომელთაც დასწამეს საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, თანამდებობიდან გადააყენეს, მოსკოვში გაიწვიეს და მათ ადგილებზე საქართველოს სრული ანექსიის მომხრე ბოლშევიკები დანიშნეს.

საქართველოში მართლაც მოხდა ამგვარი პოლიტიკური აქტი: ის ძველი ბოლშევიკები, რომლებიც ბოლშევიკურ საოკუპაციო ჯარს შემოუძღვნენ 1921 წლის თებერვალში და თბილისზე რუსული წითელი დროშა ააფრიალეს ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებად“ გამოაცხადეს, ხელისუფლებას ჩამოაშორეს, საბოლოოდ კი ყველა მათგანი 30-იანი წლების სტალინურ რეპრესიებს შეეწირნენ.

კ. გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ რუსული აგრესიის წინააღმდეგ ერთად იბრძვიან ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხები, ისინი ამ ბრძოლაში თურქეთს თავიანთ მოკავშირედ მიიჩნევენ და იმედინად უყურებენ მომავალს. დიპლომატმა სომხებიც ახსენა, თქვა, რომ ისინი ამ ბრძოლაში თურქეთთან არსებული დამოკიდებულების გამო არ არიან და იმედი გამოთქვა, რომ სომხები თავად გამონახავდნენ თურქებთან საერთო ენას.

რეფეტ ფაშამ გაიმეორა ბოლშევიკურ რუსეთზე თავისი შეხედულება და თქვა: „კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ რუსეთი ახალ იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს,

ჩვენ მასთან გვაქვს მხოლოდ დროებითი პოლიტიკა. ის ჩვენთვის საჭიროა. თქვენ იმუშავებთ ერთად, ვიმეორებ, რომ ჩვენ არ ვართ პრინციპიალურად არც სომხეთის დემოკრატიზაციის წინააღმდეგნი, მაგრამ მათ მინც ნუ ჩააფრინდებით, რაც შეეხება საქართველოსა და აზერბაიჯანს, ჩვენ ბოლომდე თქვენი მომხრე ვართ“.

ამ „ჩაფრენაში“, თურქი პოლიტიკოსი უეჭველად იმას გულისხმობდა, რომ ჯერ კიდევ ტრაპიზონის კონფერენცია, სხვა მიზეზებთან ერთად, ჩაშალა ამიერკავკასიის დელეგაციის ქართველი მეთაურის მიერ თურქეთში სომხთა დარღვეული ინტერესების აღდგენის მოთხოვნამ. 1915-1916 წლების ისტორიული მოვლენის შემდეგ, რასაც სომხთა დიდი რეპრესიები მოჰყვა, თურქ პოლიტიკოსებს სომხეთის თემა უაღრესად აღიზიანებდათ.

შეხვედრაზე დაისვა ორმხრივი ურთიერთობის საკითხი. ქართველმა დიპლომატმა გამოთქვა სურვილი, ეს ურთიერთობა თუ ოფიციალური ვერ იქნებოდა, არაოფიციალურად მინც ყოფილიყო აქტიური და მჭიდრო, რათა სახელმწიფოს წარმომადგენლებს ერთმანეთში ადვილად გაეცვალათ საჭირო ინფორმაციები. ამაზე თურქულმა მხარემ პრინციპულად თქვა უარი. მოტივაცია მისი ამგვარი იყო: „ჩვენ ახლაც ვსაუბრობთ არა ოფიციალურად, არამედ მეგობრულად. ჩვენ გვაქვს ბოლშევიკებთან ხელშეკრულება, რომლის ძალით ვერ მოვითმენთ ჩვენს ტერიტორიაზე ვერცერთ იმ ორგანიზაციას, რომლის მოქმედება მიმართული იქნება საბჭოთა რუსეთის, ან საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ. ამისდა მიხედვით, ჩემთვის ძნელი და შეუძლებელი იქნება ვიქონიო თქვენთან ოფიციალური ან ოფიციალური კავშირი. ამას ბოლშევიკები ყურადღებას მიაქცევენ და დაინყება მათი პროტესტები. ამ პროცესებს ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ“.

მან ქართულ მხარეს პირობა მისცა, რომ ქართველ პოლიტიკოსებთან ექნებოდა კავშირი, როგორც კერძო პირებთან, ურჩია, თუ რაიმე ორგანიზაცია ან საზოგადოება ჰქონდათ მის თანამემამულეებს ოსმალეთში, დაეშალათ, რათა ბოლშევიკებს არ მისცემოდათ თურქეთიდან მათი გაძევების საბაბი. ეს საქმე მის ჩაურევლად, უხმაუროდ მოგვარებინათ. კონსტანტინოპოლში ამ დროს არსებობდა ქართველ სამხედროთა მიერ შექმნილი სამხედრო კომისია, რომელსაც გარკვეული კავშირი ჰქონდა ანტისაბჭოთა მოძრაობასთან საქართველოში. რა თქმა უნდა, ამ ორგანიზაციის შესახებ გვარჯალაქს რეფეტ ფაშასთვის არაფერი უთქვამს.

კ. გვარჯალაქემ ითხოვა მისგან გარანტია იმისა, რომ ამ ქვეყანაში მყოფ ქართველ ემიგრანტ პოლიტიკოსებს არ განდევნიდნენ და საშუალებას მისცემდნენ სამშობლოსთან ახლოს დარჩენილიყვნენ. ამაზე რეფეტ ფაშამ კიდევ ერთხელ ურჩია, რომ ქართველებს არ უნდა გაეკრიტიკებინათ საბჭოთა რუსეთი და თურქეთში უხმაუროდ უნდა ეცხოვრათ.

კ. გვარჯალაქემ შემდეგ კითხვაში აღწერა ის პანიკური მდგომარეობა, რაც ამ დროინდელ კონსტანტინოპოლში იყო: ხალხი გარბოდა, ვრცელდებოდა საშინელი ხმები მოსალოდნელ ძალადობაზე, ქართველი ემიგრანტები და მათი ოჯახები ამას განიცდიდნენ და თავიანთ წარმომადგენლობას აკითხავდნენ სიტუაციის გასარკვევად, რეფეტ ფაშამ დააიძვრა ის, რომ ქართველებს კონსტანტინოპოლში სამიშროება არ ელოდათ, თუ საჭირო გახდებოდა, დაიცავდა მათ. პანიკა გამონრეული იყო იმ ყალბი ხმებით, თითქოსდა სულთნის მოწინააღმდეგე ეროვნულ ძალებს სმირნა დაენვათ, სმირნა კი სინამდვილეში, რეფეტის აზრით, ბერძნებმა და სომხებმა დაწვეს.

45 წუთიანი საუბარი, რომელიც სტენოგრაფიულმა ჩანაწერმა შემოგვინახა, ასე დასრულდა: გვარჯალაქე: მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

თქვენ დღეს დიდად გამარჯვებული ხართ, სულ მალე ოსმალეთი გახდება თავისუფალი და დამოუკიდებელი, და მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა თქვენთვისაც დიდად ხელსაყრელი იქნება და მას მხარს დაუჭერთ.

რეფეტ ფაშა: მერწმუნეთ ამაში, ჩვენ საერთო ბევრი გვაქვს და მომავალშიც საერთო სამუშაო ბევრი გვექნება. ჩვენ საუკეთესო მეგობრები უნდა ვიყოთ“.³

საკუთარი სახელმწიფოებრივი და გეოპოლიტიკური მიზნების შესაბამისად, ამ პერიოდის თურქ პოლიტიკოსებს საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან ლაპარაკი ერჩიათ, ვინემ ემიგრაციაში მყოფ დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენლებთან. ამას სხვა შემთხვევაშიც გვარჯალაძესთან გულახდილად აღიარებდა რეფეტ ფაშა. „ჩვენ იძულებულნი ვართ კარგი ურთიერთობა შევინარჩუნოთ საბჭოთა რუსეთთან და საბჭოთა საქართველოსთან, რადგან მათთან გვაქვს ხელშეკრულება გაფორმებული, რომლის ძალითაც ისინი ჩვენს ტერიტორიულ და ეკონომიკურ საკითხებში მორიგებულნი არიან. ძველი მთავრობა რომ დაბრუნდეს საქართველოში და მასთან დავინყოთ მოლაპარაკებები, არ ვიცით, ის რას იზამს, შეიძლება ტერიტორიული საკითხი წამოგვიყენოს, ეგებ სომხებს ჩაებლაუჭონ ჩვეულებრივად და ყარსის ხელშეკრულების გადასინჯვაც კი მოითხოვონ, ამიტომ არის, რომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი ბოლშევიკები არიან“.⁴

ამგვარ განწყობილებას, რასაც თურქი პოლიტიკოსი არ მალავდა, პრაქტიკული გამოძახილიც ჰქონდა: ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მყოფ საქართველოს მთავრობას, შინაგან საქმეთა მინისტრს ხელთ ჰქონდა რუსეთ-ოსმალეთის წარმომადგენელთა საიდუმლო მოლაპარაკების დოკუმენტი, სადაც ასახული იყო მათი მიზნები: დაესუსტებინათ საქართველოს სახელმწიფოს პოზიციები აჭარაში, მოეხდინათ იდეოლოგიური ზეგავლენა აქაურ ხალხზე, საამისოდ ხსნიდნენ ორგანიზაციებს, პრესის ორგანოებს. ერთ-ერთი ასეთი გაზეთი იყო ბათუმში გამოშვებული „სედაი მილეტი“, რომელიც ერთმანეთთან აპირისპირებდა ქართველ ქრისტიან და მუსლიმ მცხოვრებლებს.⁵

ამ ყველაფრის მიუხედავად, ყოფილი სახელისუფლებო პარტია, სოციალ-დემოკრატები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობა, რომლის წარმომადგენელიც რეფეტ ფაშასთან დაახლოებული კონსტანტინე გვარჯალაძე იყო, არა მარტო დამოუკიდებლობის წლებში, გასაბჭოების შემდეგაც თურქეთის მიმართ პოლიტიკაში პრაგმატული მიდგომით გამოირჩეოდა. მას კარგად ესმოდა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის მომავალ ბრძოლებში ამ დიდი მეზობლის თანადგომის ფასი, სურდა მომავალი ანტირუსული აჯანყებისთვის თურქეთისგან მხარდაჭერის მოპოვება. ამდენად, ცალკეულ თემებზე, რომელიც ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იყო, მწვავედ არ რეაგირებდა.⁶

3 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1831, ანან. 2. საქმ. 120, ფ. 1-6.

4 გ. ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბ., 1996, გვ. 54.

5 დ. შაინიძე, საქართველო და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები, სამაგისტრო ნაშრომი, თბ., 2019, გვ. 22.

6 დ. შველიძე, ყარსის ხელშეკრულების თანამედროვე ასპექტები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, 2011, გვ. 409.

Relations of the Georgian Mission in Constantinople with Turkish Politicians in the Context of National and State Interests of the Two Countries (1921-1923)

Summary

Georgia, due to its geopolitical position, has always been an important state in the politics of the Caucasus and for centuries has been and remains a strategically interesting country in the world. In this context, it is important to discuss, analyze and give a scientific assessment of various aspects of Turkish-Georgian relations.

The purpose of the article is to show the forms and methods of political and diplomatic relations between Georgia and Turkey in the early 1920s, when both countries were going through a difficult path of state formation, using the example of one meeting of diplomats. To highlight aspects of historical experience in relations between the countries and the prospects for its influence on modern processes.

Relations between Turkish and Georgian diplomats and public figures were formed during the years of Georgia's independence (1918-1920), which continued after the Russian occupation of Georgia. Opinions expressed during meetings of diplomats of the two countries are contained in the rich archival and epistolary literature left by Georgian politicians. It is worth noting the positive trend in terms of support for Georgian politicians. After the Russian occupation of Georgia, the local Georgian emigration served as a bridge connecting the Georgian mission in Europe (Paris) with the homeland and the socio-political events taking place there. Most Georgian politicians found safe refuge in the Ottoman Empire after the Bolshevik Russian invasion. Their works and bulletins were printed in Georgian in Constantinople, and a Georgian magazine, *Free Georgia*, was published. Georgian-Turkish political relations are reflected in the letters of Konstantin Gvardzhaladze, the Georgian representative in Constantinople (64 letters), as well as Konstantin Sabakhtarashvili, Simon Mdivani and others, in the stenographic records of meetings with Vehib Pasha, the Ottoman representative in Constantinople. The Conference of the League of Nations in Geneva with the participation of Jami Bey and the Ambassador of Istanbul to the League of Nations, Osman Nisim Pasha, which is kept in the Central Historical Archive of the National Archives of Georgia.

The documents preserved in the same archive reflect the relations of Georgian diplomats with such Turkish politicians as: Bekir Sami Bey, Enver Pasha, Talaat Enver Cemal, Tefik Salim Bey, Izet Pasha, Ismet Inonu, Yusuf Bey, Kiyasim Karabekir Pasha, Mahmud Pasha, Nihtar Bey, Nizamedin Bey, Nesret Bey, Orhan Bey, Osman Nisim Pasha, Bekir Sami Bey, Rauf Bey, Fevzi Pasha, Fuat Pasha, Cemal Pasha, Ahmed Huseynoglu, Salat Huseynoglu and others.

The article provides an analysis of a number of documents describing meetings of Georgian and Turkish politicians, as well as issues discussed during the period of Sovietization of Georgia by Bolshevik Russia. In particular, the relations of the Turkish politician Refat Pasha with the Georgians are covered.

ვენეციური საარქივო მასალები ქართლის მეფის, სიმონ I-ის შესახებ*

ქართლის მეფე, სიმონ I ბაგრატიონი (1556-1569, 1578-1600), ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე XVI ს.-ის მეორე ნახევრის საქართველოსა და კავკასიის ისტორიაში. იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლას ჯერ სეფიანთა ირანის, ხოლო შემდეგ – ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. თავისი სიცოცხლის 74 წლის (1537-1611) განმავლობაში ორჯერ ავიდა სამეფო ტახტზე, იმეფა 35 წელიწადი, ხოლო 20 წელი მტრის დილეგში გაატარა, რამაც მძიმე დალი დაასვა მის ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას.

სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული სახელგანთქმული მხედართმთავარი და უშიშარი რაინდი, არანაკლებ უზადლო პოლიტიკოსიც იყო. ამას მოწმობს მისი დიპლომატიური მიმონერა რომის პაპებთან, ესპანეთის მეფესთან, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორთან, დასავლელ და აღმოსავლელ სხვა მონარქებთან და მთავრებთან, რათა ისინი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. გასაოცარია, როგორ ახერხებდა საერთაშორისო პოლიტიკის მაჯისცემაზე მუდმივ მიყურადებასა და მყისიერ რეაგირებას მეფე, რომელიც პენელოპეს სუდარად ქცეული სამეფოს გამთლიანებისათვის იბრძოდა, წინამძღოლობდა განუწყვეტელ ლაშქრობებს და იძულებული იყო, ძნელბედობის გამო თავისი ადგილსამყოფელი ხშირ-ხშირად გადაეტანა ერთი სახიფათო ადგილიდან მეორეზე. საქართველოსთვის

* წინამდებარე ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენდა ვენეციის სახელმწიფო არქივისა და ვენეციის ბიზანტიური და პოსტბიზანტიური კვლევის ბერძნული ინსტიტუტის მიერ 2018 წ.-ის 12-13 ნოემბერს ვენეციის სახელმწიფო არქივში გამართულ სიმპოზიუმს „ვენეციური სივრცე – ხმელთაშუა ზღვისპირეთის სივრცე. ვენეციასა და ზღვას შორის კავშირის კვლევის პერსპექტივები ვენეციის სახელმწიფო არქივში“, ხოლო შემდეგ – საქართველოს ეროვნული არქივის მიერ 2020 წ.-ის 24-25 სექტემბერს საქართველოს ეროვნულ არქივში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“. საკუთრივ გამოკვლევა იტალიურ ენაზე დაისტამბა ვენეციის ბიზანტიური და პოსტბიზანტიური კვლევის ბერძნული ინსტიტუტის ჟურნალში „Thesaurismata“ (G. Shurguia, *Simon I (1556-1569, 1578-1600) re di Kartli nell'Archivio di Stato di Venezia*, ჟრ. «Thesaurismata» 48 (2019), გვ. 561-582), სადაც დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა ვენეციური საარქივო დოკუმენტების ჩვენ მიერ პირველად გამოქვეყნებულ ორიგინალებს იტალიურ ენაზე. ნაშრომის იტალიური რედაქციისაგან განსხვავებით, წინამდებარე გამოკვლევაში ამოღებულია ქართველი მკითხველისათვის ზედმეტად მიჩნეული ზოგიერთი განმარტება, ამავე დროს, დამატებულია ცალკეული ბიბლიოგრაფიული მონაცემები. ვენეციის საარქივო ფონდების შივრით მითითებული უცხოური საბუთებში დაცული ტექსტები ჩვენ მიერ პირველად ქვეყნდება. უცხოური წყაროებიდან ციტატათა ქართული თარგმანი ყველგან ჩვენია. ვსარგებლობთ შემთხვევით და გულითად მადლობას ვუხდით ვენეციის სახელმწიფო არქივის არქივაროუსს, დოქტორ ანდრეა პელიცასა და ვატიკანის პირადი არქივის არქივაროუსს, დოქტორ ჯოვანი კასტალდოს იტალიურ ენაზე შესრულებული ნაშრომის სასტამბოდ მომზადების პროცესში ხელნაწერის ნაკითხვისა და საინტერესო მოსაზრებების გაზიარებისათვის.

თავშენირობა გვირგვინოსანმა წარმატებას ვერ მიაღწია დიპლომატიურ ფრონტზე, რადგან შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე, პოლიტიკურად დაქსაქსული დასავლეთი მზად არ აღმოჩნდა მისი დიდი პოლიტიკური ჩანაფიქრის მხარდასაჭერად და განსახორციელებლად.

მიუხედავად ყოველივე ამისა, დიდი და მეტად მნიშვნელოვანი იყო სიმონ მეფის მოღვაწეობის პოლიტიკური შედეგები: ქართლის სამეფომ შეინარჩუნა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თუმცა, ეს ძვირად დაუჯდა სამეფოს, ხოლო თავად სიმონს – თავისუფლების აღკვეთად და საბოლოო ჯამში – სიცოცხლეც. მართალია, მისმა გამუდმებულმა ბრძოლამ სეფიანთა და ოსმალთა ძალები ქართლზე მოიზიდა, მაგრამ ამან დანარჩენ ქართულ სამეფო-სამთავროებს მშვიდობიანი განვითარების პირობები შეუქმნა. ამით შემოინახეს მათ ადამიანური რესურსები, რომლებიც მომდევნო საუკუნეებში საქართველოს სახელწიფოებრიობის შესანარჩუნებლად გამოიყენეს.

უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული და უცხოური წყაროები სიმონ I-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.¹ მას სიცოცხლეშივე შეასხა ხოტბა პორტუგალიელმა პოეტმა, ლუის ვას დე კამოესმა (1524?-1580) პოემაში „ლუზიადები“ (1572). სახელოვანი მეფის შესახებ უცხოური ისტორიული და საარქივო წყაროების გამომზეურებასა და ანალიზში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მიხეილ თამარაშვილმა (1858-1911), მიხეილ თარხნიშვილმა (1897-1958), ბეჟან გიორგაძემ (1905-1984), ლაიოშ ტარდემ (1914-1990), ილია ტაბაღუამ (1919-2004), ლუის ხილმა, ზურაბ გამეზარდაშვილმა, ელდარ მამისთვალისშვილმა და სხვა მეცნიერებმა,² თუმცა, ამ წყაროებიდან ბევრი რამ ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მხედველობაში გვაქვს, უპირველესად, რომის, ვენეციის, პრაღის, წმინდა საყდრის, ესპანეთის, ავსტრიისა და რუმინეთის არქივები. წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ქართლის მეფის შესახებ იტალიურ ენაზე დასტამბულ ჩვენს ორ ვრცელ გამოკვლევას ემყარება,³ მიზნად ისახავს ქართველი სამეცნიერო წრეებისათვის ჩვენ მიერ დღემდე ჩატარებული კვლევის შედეგების გაცნობას.

1. პირველი ცნობები სიმონ I-ის შესახებ

დასავლურ ისტორიულ წყაროებში მეფე სიმონი პირველად ოსმალეთ-სპარსეთის მეორე ომის (1578-1590) კონტექსტში მოიხსენიება. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს თანადროული ფუნდამენტური პირველწყარო – ჯოვანი ტომაზო მინადოის (დაახლ. 1549-1615) „თურქეთ-სპარსეთის ომის ისტორია“.⁴

1 იხ., მაგ., Tardy, *Simon I*, 1, გვ. 186-206.

2 მაგ., მ. თამარაშვილი, *ისტორია*, გვ. 76-78, 605-607; მისივე, *Église*, გვ. 468-474; ტაბაღუა, *საქართველო*, 1, გვ. 156-162, 222-230, 291-297; Gil-Tabagua, *Fuentes*; Tardy, *Simon I*, 1-2; მ. პაპაშვილი, *საქართველო-რომის ურთიერთობა, VI-XX სს.*, თბ.: აღმამეცნიერებელი, 1995, გვ. 115-125; N. Gabašvili, *La Georgia e Roma, Duemila anni di dialogo*, a cura di L. Branca, Città del Vaticano: Libreria editrice vaticana, 2003, გვ. 75-77; ე. მამისთვალისშვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, 1 (XV-XVI სს.)*, თბ.: მერიდიანი, 2009, გვ. 156-328.

3 G. Shurgaia, *Simon I (1556-1569, 1578-1600) re di Kartli nell'Archivio di Stato di Venezia*, ურნ. «Thesaurismata» 48 (2019), გვ. 561-582; მისივე, *Simon I (1556-1569, 1578-1600) re di Kartli*, ნგ. *Roma e la Persia*. a cura di G. P. Basello e M. Bernardini, Napoli: Università degli studi di Napoli "L'Orientale", 2025 (Series Minor) (ჩამოშვებულია წარმოებაში).

4 Minadoi, *Historia*.

პროფესიით ექიმი, მოგვიანებით პადუის უნივერსიტეტის პრაქტიკული მედიცინის კათედრის პროფესორი, ჯ. ტ. მინადოი ალუპოში ვენეციის რესპუბლიკის კონსულის, თეოდორო ბალბის, უწყებაში მსახურობდა.⁵ აქ მოუხსნო მას ოსმალეთის სულთანს, მურად III-სა (1574-1595) და სპარსეთის შაჰს, მოჰამედ ხუდაბენდეს შორის (1578-1587) 1578 წ.-ს დანყებულმა ომმა და გადაწყვიტა, აღენერა ამ ომის ისტორია. თხზულებაზე მუშაობისას იგი ეყრდნობოდა საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მოვლენების თვითმხილველთა ჩვენებებს,⁶ აგრეთვე, ვენეციის კონსულის, ჯოვანი მიქიელისა (1583-1586)⁷ და ბაილოების,⁸ დანიელე (1561-1564)⁹ და ნიკოლო ბარბარიგოების (1577-1579) რელაციებს.¹⁰

ჯ. ტ. მინადოის „თურქეთ-სპარსეთის ომის ისტორია“ პირველად 1587 წ.-ს რომში, ხოლო შემდეგ 1588 წ.-ს ვენეციაში (გამომცემლობა „A. Muschio – B. Berezzi“) დაისტამბა, მოგვიანებით კი იგი მრავალჯერ გამოიცა და, როგორც „[...] ევროპაში სპარსეთის შესახებ ერთ-ერთი იშვიათი ისტორიული დოკუმენტი“,¹¹ იმდროინდელი ისტორიოგრაფიის პირველწყაროდ იქცა. ჯ. ტ. მინადოის თხზულებას ემყარება ცნობილი ვენეციელი ერუდიტის, პიეტრო ბიძარის (1525-1586-ის შემდ.) „სპარსთა ამბების ისტორია“.¹² ამავე ნაშრომს ეფუძნება კიდევ ერთი იმდროინდელი ისტორიული წყარო, რომელიც ესპანეთში შაჰ აბას I-ის (1588-1629) მიერ 1599-1601 წწ.-ში დასავლეთ ევროპაში სერ ანტონი შერლისა და ჰუსეინ ალი-ბეგ ბაიატისათვის მინდობილი დიპლომატიური მისიის ერთ-ერთ მდივანს, ულულ-ბეგ ბაიატს (დაახლ. 1560-1605)¹³ ეკუთვნის. იგი ესპანეთის მეფემ, ფილიპე III-მ (1598-1621) და მისმა მეუღლემ, დედოფალმა მარგარეტ ავსტრიელ-სტირიელმა (1584-1611) დონ ხუან დე პერსიას სახელით ვალადოლიდში მონათლეს. ასე დარჩა იგი ესპანეთის სამეფო კარზე და ალფონსო რემონის დახმარებით შეთხზა თავისი „რელაცია“.¹⁴

- 5 ჯ. ტ. მინადოის შეს. იხ. G. Gullino, *Minadoi, Giovanni Tommaso*, წგნ. *DBI*, 74, გვ. 551-553, ხოლო თ. ბალბის საკონსულო მანდატის წლების შესახებ – Berchet, *Relazioni*, გვ. 23, 57; მისივე, *Repubblica*, გვ. 276.
- 6 იხ., მაგ., Minadoi, *Historia*, გვ. 236, 245, 257, 274-275, 295, 313, 326, 328 (შდრ. იქვე, გვ. 172, 198).
- 7 Albèri, *Relazioni*, 3:2, გვ. 255-294. ჯ. მიქიელის საკონსულო მანდატის წლების შესახებ იხ. Berchet, *Relazioni*, გვ. 57; Minadoi, *Historia*, გვ. 275, 277, 328.
- 8 „ბაილო“ (იტალ. *bailo*; ლათ. სიტყვიდან *baiulus*, ანუ „მალემსრობლი“) – ასე ერქვათ შუა საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ვენეციის რესპუბლიკის რეზიდენტ ელჩებს.
- 9 Albèri, *Relazioni*, 3:2, გვ. 1-59.
- 10 Berchet, *Relazioni*, გვ. 92.
- 11 G. Gullino, დასახ. ნაშრ., გვ. 552.
- 12 P. Bizaro Sentinate, *Rerum persicarum historia, Initia gentis, mores, instituta, resque gestas ad hac usque tempora complectens*, Francofurti, 1601. მისი პიროვნების შესახებ იხ. S. Menchi, *Bizzarri, Pietro*, წგნ. *DBI*, 10, გვ. 738-741.
- 13 უშუალოდ ელჩობის შეს. იხ. *Don Juan of Persia, a Shi'ah catholic, 1560-1604*, translated and edited with an introduction by G. Le Strange, New York – London: Harper & Brothers, 1926, გვ. 3-8; В. В. Бартольд, *Улугбек и его время*, Петроград, 1918; rist. მიხივე, *Сочинения*, 2:2, М.: Наука, 1964, გვ. 25-196; *The Cambridge history of Iran*, 6, *The Timurid and Safavid periods*, edited by P. Jackson and the late L. Lockhart, Cambridge: Cambridge University Press, 1986, გვ. 386-387. ულულ-ბეგ ბაიატის დაბადებისა და გარდაცვალების წლების შეს. იხ. *Don Juan of Persia*, ციტი., გვ. 3, 10.
- 14 *Relaciones de don Ivan de Persia, dirigidas a la Magestad Catholica de don Philippe III. Rey de las Españas, y señor nuestro*, divididas en tres libros, donde se tratan las cosas notables de Persia, la genealogia de sus reys, guerras de persianos, turcos, y Tartaros, y las que vi-do en el viaje que hizo à España y su conuersion, y la de otros dos cavalleros persianos, Año

ქართულ სამეცნიერო წრეებში ფართოდ გამოიყენება ჯ. ტ. მინაღოს ცნობები სიმონის პირველად გამეფების, მისი დატყვევებისა და კაპკაპას ციხეში პატიმრობის, მისი და შაჰ ისმაილ II-ის (1576-1577) გულწრფელი მეგობრობის, ქართლში დაბრუნების, მეორედ გამეფებისა და მის მიერ ოსმალთა წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის შესახებ.¹⁵ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ოსმალეთის იმპერიაში ვენეციის რესპუბლიკის ელჩების, ბაილოებისა და კონსულების მიერ გაგზავნილ რელაციებზე, ანგარიშებსა და წერილებზე და ამ მასალების საფუძველზე შედგენილ დოკუმენტებზე, რომლებიც უშუალოდ სიმონ მეფეს შეეხება და დღემდე მხოლოდ ნაწილობრივ არის შესწავლილი.

ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ვენეციის რესპუბლიკასთან საიდუმლო კავშირის დამყარების მიზნით შაჰ მუჰამედ ხუდაბენდეს მიერ საიდუმლოდ მივლინებული ელჩის,¹⁶ 78 წლის¹⁷ ჰოჯა მუჰამედის ცნობების საფუძველზე 1580 წ.-ის პირველ მაისს ვენეციაში შედგენილი ანგარიში ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების შესახებ,¹⁸ რომელიც ათთა საბჭოს სხდომაზე ამავე წლის 13 ივნისს მოისმინეს.¹⁹ მუჰამედი, ერთგვარად, უსისტემოდ გადმოგვცემს საქართველოსთან დაკავშირებულ ამბებს, მაგრამ მისი ანგარიში, როგორც ისტორიული წყარო, მეტად საინტერესოა იმის გასარკვევად, თუ რა იცოდნენ იმ დროს სპარსეთში საქართველოს შესახებ და რა შეიტყვეს ვენეციაში სპარსეთის ელჩის საშუალებით სიმონის სამეფოს შესახებ. საქმე ისაა, რომ ჰოჯა მუჰამედი იყო არა პროფესიონალი ელჩი, არამედ – ვაჭარი, რომელსაც სრულიად შემთხვევით დააკისრეს დიპლომატიური მისია ვენეციაში, ხოლო შემდეგ მოუწია, ვენეციის რესპუბლიკისთვის მიეწოდებინა ცნობები, რათა რესპუბლიკას მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება შაჰის წინადადებასთან დაკავშირებით. ყურადსაღებია ჰოჯას განცხადება იმის შესახებაც, რომ მის მიერ მიწოდებული ცნობების საქმის კურსში იყო ყველა თავრიზელი.²⁰ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მას, როგორც ვაჭარს, ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებთან. აქედან გამომდინარე შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ, ეტყობა, სპარსეთის მოსახლეობას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მისი თანადროული კავკასიის ისტორიულ რეალებზე. კერძოდ, ჰოჯა მუჰამედი ირწმუნებოდა:

[...] ქართველი ძმები, სახელით ერთი სიმონი და მეორე დავითი, ქრისტიანები არიან. სპარსეთის შაჰმა ორივეს ვაჟკაცობა აღიარა და სიმონს ცოლად შერთო თავისი ასული და ისიც [ანუ, სიმონი, – გ. შ.] სპარსელი [ანუ, მუსლიმი, – გ. შ.] გახდა, მისი ძმა კი ქრისტიანად დარჩა. მათ 20 ათასი მეომარი ჰყავთ, რომლებიც ყველანი ქრისტიანები არიან.²¹

1604. Con privilegio. En Valladolid por Iuan de Bostillo: en la calle de Samano; W. E. D. Allen, *Notes on Don Juan of Persia's Account of Georgia*, ჟრნ. «Bulletin of the School of Oriental Studies» 6 (1930), გვ. 179-186.

15 იხ., მაგ., ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 4, თბ.: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1948, გვ. 286-289; *ნარკვევები*, 4, გვ. 129-133, 137-138; ე. მამისთვალისძე, დასახ. ნაშრ., გვ. 194-201.

16 Berchet, *Repubblica*, გვ. 38-39.

17 იქვე, გვ. 185 (მდრ. გვ. 38).

18 იქვე, გვ. 183-191.

19 იქვე, გვ. 39.

20 იქვე, გვ. 186.

21 იქვე.

ვფიქრობთ, საქმეში ჩახედულ სპეციალისტთათვის ზედმეტია ყოველგვარი კომენტარი ამ ამკურად მცდარ ცნობებზე. აქვე დავძენთ, რომ ჰოჯა გაურკვეველად გადმოსცემს ამბებს, აგრეთვე, თბილისიდან 1578 წ.-ის 10 ოქტომბერს არზრუმში დასაბრუნებლად აყრილი ლალა მუსტაფა ფაშის ჯარისთვის მეფე სიმონის მიერ მის მოკავშირე სპარსელებთან შეერთებამდე მიყენებული ზარალის შესახებ.²² ამასთან, სხვა ისტორიული დოკუმენტი, კერძოდ, 1587 წ.-ს ვენეციელი ანონიმი ავტორის მიერ სპარსეთში თავისი მოგზაურობის შესახებ შედგენილი ანგარიში²³ ადასტურებს ქართლის სამეფოს დამოუკიდებელ სტატუსს, სპარსეთის შაჰისადმი ერთგულებასა და მის თავგანწირულ ბრძოლას ოსმალეთის წინააღმდეგ:

[...] ქართველები [...] ქრისტიანები, უმამაცესი მეომრები და სპარსეთის სამეფო გვირგვინის უღარესად ერთგულები, ამავე დროს – თავისუფალი სინიორები [არიან]. მისი [ანუ, სპარსეთის სამეფოს, – გ. შ.] სამსახურის ნიშნად თურქ სინიორს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს და ახლაც იბრძვიან მის წინააღმდეგ, თუმცა, [ამ ბრძოლაში თავისი ქვეყნის] ზოგიერთი ტერიტორია, მათ შორის უმთავრესი ციხე-სიმაგრე, თბილისი დაკარგეს (1587).²⁴

1588 წ.-ს სიმონი იძულებული გახდა, დაზავებოდა კავკასიაში ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალს, ფერჰად ფაშას († 1595). 1588-1590 წწ.-ს სარატიფიკაციო ფორმანთ მურად III-მ სიმონი ცნო ქრისტიან მეფედ, ამასთან, აღიარა თავის მემკვიდრეებზე ტახტის გადაცემისა და ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის აბსოლუტური შეუვალობა.²⁵ ეს იმ დროისათვის ქართლის მეფის პოლიტიკის უთუოდ დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა, მაგრამ რადგან ოსმალეთის იმპერია *uti possidentis* უკვე ფლობდა მის მიერ ქართლში მიტაცებულ ციხე-სიმაგრეებს და ხარკს მოითხოვდა, სიმონმა დაარღვია ზავის პირობები და 1589 წ.-სვე განაახლა საომარი ოპერაციები ოსმალთა წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, სულთანმა ვერ გაბედა, მუქარის ტონით მიემართა სიმონისათვის, პირიქით, ყველანაირად შეეცადა, მისი კეთილგანწყობა მოეპოვებინა.

ამ ვითარებაში 1590 წ.-ის 21 მარტს შაჰ აბას I-ის ელჩებმა კონსტანტინოპოლში ხელი მოაწერეს სამშვიდობო ზავს ოსმალეთის იმპერიასთან. ომში დამარცხებულმა სპარსეთმა აღიარა ოსმალეთის გავლენა მთელ სამხრეთ კავკასიაზე, ანუ ყველა ქართულ სამეფო-სამთავროზე, აგრეთვე, სამხრეთ-სომხურ და სამხრეთ-აზერბა-

22 Berchet, *Repubblica*, გვ. 188. ამ ფაქტების დეტალური ანგარიში იხ. Minadoi, *Historia*, გვ. 102-103 და Alberi, *Relazioni*, 3:2, გვ. 456-457, რომელიც მონიშნავს 5 ათასზე მეტი ოსმალ მემორის განადგურებას, მათთვის არკებულებით დატვირთული უამრავი აქლემის, სურსათისა და დიდი რაოდენობის თანხის წართმევას.

23 Berchet, *Repubblica*, გვ. 92.

24 იქვე, გვ. 291. როგორც ცნობილია, ოსმალებმა თბილისი ძვ. სტილით 1578 წ.-ის 24 აგვისტოს აიღეს (J. Hammer, *Histoire de l'empire ottoman, depuis son origine jusqu'à nos jours, ouvrage puisé aux sources les plus authentiques et rédigé sur des documents et des manuscrits la plupart inconnus en Europe, traduit de l'Allemand sur les notes et sous la direction de l'auteur par J.-J. Hellert, accompagné d'un atlas comparé de l'empire ottoman, contenant 21 cartes et 15 plans de batailles dressés par le traducteur, 7. Depuis l'avènement de Mourad III jusqu'à la conquête de Kanischa par Ibrahim-pacha, 1574-1600*, Paris: Bellizard, Barthès, Dufour et Lowell, 1837, გვ. 86; *ნარკვევები*, 4, გვ. 128; Minadoi, *Historia*, გვ. 83).

25 მ. სვანიძე, ს. ჯიქია, *საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588-1590 წწ.*, ურნ. «საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე» (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება) 33 (1966) 6, გვ. 223-236: 229.

იჯანულ რეგიონებზე.²⁶ ზავის პირობების თანახმად, ქართლის მეფე ოსმალეთის მოხარკედ ჩაითვალა, რაც, ცხადია, მიუღებელი იყო გმირი მეფისთვის და იგი იძულებული გახდა, თავგანწირული ბრძოლა განეგრძო თავისი სამეფოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. განსაკუთრებით მდიდარია ამ ამბის შემდგომდროინდელი ევროპული მასალები.

II. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ცდა

ოსმალეთის იმპერიის კავკასიაში გაბატონებამ შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მისი საზღვრების დასაფლეთის მიმართულებით გაფართოებას. ევროპაში სწორად ვრცელდებოდა ცნობები კავკასიის რეგიონში შექმნილი ვითარების შესახებ, სადაც ქართლის მეფე მოსვენებას არ აძლევდა ოსმალებს. ავსტრიელი გავლენიანი ოჯახის – ფუგერების ხელნაწერი გაზეთი „ფუგერცაიტუნგი“²⁷ 1593 წ.-ის 26 თებერვალს იუწყებოდა, რომ სპარსელებთან ერთად სიმონ მეფე შეტევაზე გადასულიყო შირვანსა და დერბენტზე, მურად III-ს კონსტანტინოპოლში დროებით მყოფი შირვანის ფაშა ჰასანისთვის ებრძანებინა, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო შირვანში და ტრაპიზონის, ყარსის, ერევნისა და სამცხის ბეგლარბეგებისთვის დახმარება ეთხოვა, მაგრამ ქართლის მეფეს ჰასანის შირვანში დაბრუნებამდე გაემარჯვა.²⁸

ამ ცნობიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, 1593 წ.-ის შემოდგომაზე რომის პაპი კლემენტ VIII (1592-1605) და რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი, რუდოლფ II ჰაბსბურგი (1576-1612) შეეცადნენ, ოსმალეთის სანინალმდეგო კოალიცია შეექმნათ, რომელსაც სათავეში სპარსეთი და საქართველო უნდა ჩასდგომოდნენ. სიმონი დიდი მოწონებით გამოეხმაურა ამ ინიციატივას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა პაპისა და რუდოლფ II-ის ჩანაფიქრის განხორციელება.²⁹ მოგვიანებით, რუდოლფ II-მ და ტრანსილვანიის მთავარმა, ზიგმუნდ ბატორიმ (1581-1597, 1598-1599, 1601) 1595 წ.-ის 28 იანვარს პრალაში ხელი მოაწერეს ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართულ სამოკავშირეო ხელშეკრულებას,³⁰ რომლის საფუძველზე ტრანსილვანიის მთავარმა წერილობით სთხოვა სიმონ მეფეს, ომი გამოეცხადებინა ოსმალეთისთვის იმ პირობით, რომ იგი თვითონ გაუხსნიდა ოსმალებს დასავლეთის ფრონტს.

26 J. Hammer, დასახ. ნაშრ., გვ. 223.

27 1568-1605 წწ.-ში გამოშვებული ამ გაზეთის შეს. იხ. C. Zwielerin, *Fuggerzeitungen als Ergebnis von italienisch-deutschem Kulturtransfer 1552-1570*, ჟრნ. «Quellen und Forschungen aus italienischen Archiven und Bibliotheken» 90 (2010), გვ. 169-224; O. Bauer, *Zeitungen vor der Zeitung. Die Fuggerzeitungen (1568-1605) und das frühmoderne Nachrichtensystem*, Berlin: Akademie, 2011 (Colloquia Augustana, 28).

28 Tardy, *Simon* № 1, გვ. 196. როგორც 1592 წ.-ს ბაილო ლორენცო ბერნარდო ვენეციის რესპუბლიკას აცნობებდა, ქართლისა („Giorgiani“, ანუ „ქართველები“) და იმერეთის („Mingreli“, ანუ „შეგრელები“) სამეფოები სუვერენი სახელმწიფოები იყვნენ, ქალაქი ერზრუმი იყო ოსმალეთის იმპერიის უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარი, სადაც საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია იწყებოდა (Albèri, *Relazioni*, 3:2, გვ. 327-328).

29 იხ. გაბაშვილი, *ისტორიიდან*, გვ. 93; Tardy, *Simon* № 2, გვ. 152-157. იხ., აგრ., კონსტანტინე გარძონის მოსაზრება ევროპული ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შეუძლებლობის შესახებ (Albèri, *Relazioni*, 3:1, გვ. 434-435).

30 *Österreichische Staatsverträge, Fürstentum Siebenbürgen (1526-1690)*, bearbeitet von R. Gooss, Wien: Adolf Holzhausen, 1911 (Veröffentlichungen der Kommission für Neuere Geschichte Österreichs, 9), გვ. 218-235. ხელშეკრულების ტექსტი: იქვე, გვ. 226-235.

როგორც ჩანს, ამ მოვლენებმა უზიძგა სიმონს, 1595 წ.-ს კავშირი შეეკრა სპარსეთის შაჰთან, აბას I-თან და კახეთის მეფესთან, ალექსანდრე II-სთან (1574-1605). ქართლის მეფემ ამჯერადაც გამოავლინა დამოუკიდებელი ინიციატივისა და სტრატეგიულ მოკავშირეთა შერჩევის შესაშური უნარი. შაჰ აბასს, რომელსაც 1589 წ.-ის 23 ივლისს თავი დაეღწია ხორასნის მმართველი მურშიდ-ყული ხანის მეურვეობისთვის,³¹ ვისაც ტახტზე ასვლას უმაღლოდა, უკვე წარმატებით გადაეწყვიტა საშინაო პრობლემები და ახლა ყველა პირობა ჰქონდა, შური ეძია ოსმალეთზე თავისი ქვეყნის ასე სამარცხვინოდ დამარცხებისთვის. რაც შეეხება კახეთის მეფეს, 1587 წ.-ს დადებული „ნიგინი ფიცისა“-ის თანახმად, იგი მოსკოვის მეფის, თევდორ ივანეს ძის (1584-1598) მოკავშირე გახდა,³² მაგრამ ამ შეთანხმებამ მას დადებითი შედეგი არ მოუტანა,³³ პირიქით, მტრად გადაჰკვიდა როგორც სულთანნი, ისე – შაჰი. ამასთან ერთად, ისტორიული წყაროები მოწმობს კახეთში სპარსეთის მომხრე ძალებთან სიმონის მიერ გამართულ კარსტულ დიპლომატიურ საქმიანობას, რის შედეგადაც ალექსანდრე II-მ სიმონის მიმართ შემწყნარებლური პოზიცია დაიკავა.³⁴ ასე დაიდო ანტიოსმალური კავშირი ქართლ-კახეთის სამეფოებს, დაღესტინისა და შირვანის სახანოებს შორის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ ალექსანდრე II დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობას მოსკოვის მეფის საშუალებით ამყარებდა,³⁵ სიმონ I დამოუკიდებლად მოქმედებდა, თუმცა, მან სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა სპარსეთის შაჰს.

სამწუხაროდ, დასავლურ საარქივო წყაროებში მხოლოდ კანტიკუნტად ვხვდებით ცნობებს კავკასიაში განვითარებული მოვლენების შესახებ, თუმცა, ეს ცნობები მოწმობს, რომ ამ მოვლენათა პროტაგონისტი ქართლის სამეფო იყო. მაგალითად, 1595 წ.-ის 13 ივნისს რომის პაპის, კლემენტ VIII-ის ნუნცი ტრანსილვანიისა და ვლახეთის ჰერცოგის კარზე, ალფონსო ვისკონტი (1552-1608) პაპისავე ნუნცს პოლონეთში, ჯერმანიკო მალასპინას (დაახლ. 1547-1603), ატყობინებდა, რომ „კონსტანტინოპოლში [...] დიდი მითქმა-მოთქმა ვრცელდებოდა ქართველთა მღელვარების შესახებ“.³⁶ სამი დღის შემდეგ, 1595 წ.-ის 16 ივნისს შედგენილ ბარათში (შესაბამისი ჩანაწერი მოთავსებულია რუბრიკაში „მოსკოვის სამეფო და ქართველები“) კი საუბარია სიმონ I-ის ალექსანდრე II-სთან დაზავებისა და მოსკოვის სამეფოსთან მათი ერთობლივი კავშირის დამყარების შესახებ. კერძოდ, წერილში ვკითხულობთ:

31 R. Savory, *Iran under the Safavids*, Cambridge: Cambridge University Press, 1980, გვ. 82-83; *The Cambridge history of Iran*, 6, ციტ., გვ. 264.

32 *ნარკვევები*, 4, გვ. 145.

33 მაგ., ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 325.

34 ორ მეფეს შორის კონფლიქტის პროვოცირებული და პოლიტიკური ასპექტების შეს. იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 97, აგრეთვე, ისქანდერ მუნში, *ცნობები*, გვ. 34; Berchet, *Relazioni*, გვ. 96-97; ე. მამისთვალისვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 203.

35 ე. მამისთვალისვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 302-304.

36 *Acte relative la războaiile și cuceririle lui Mihai-vodă Viteazul*, გვ. 70 (№ 124). ციტირებულ დოკუმენტში ისინი მოხსენებული არიან როგორც ჩერვიისა და სან-სევეროს ნუნციები, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ პირველი 1591-1601 წწ.-ში იყო იტალიის ემილია-რომანიის რეგიონის ქალაქ ჩერვიის (რავენას რაიონი) ეპისკოპოსი, ხოლო მეორე – 1583 წ.-დან პულის რეგიონის ქალაქ სან სევეროს (ფოჯიას რაიონი) ეპისკოპოსი. ა. ვისკონტი თან ახლდა ზიგმუნდ ბატორის 1595 წ.-ის 28 იანვარს პრალაში რუდოლფ II-სთან ოსმალეთის სანინაალმდგო ხელშეკრულებზე ხელმოწერაზე, ხოლო ჯ. მალასპინას საშუალებით პაპი არაერთგზის შეეცადა, ანტიოსმალურ კოალიციაში პოლონეთი ჩაეხა. ამ პროვოცებათა შეს. იხ. P. Paschini, *Visconti, Famiglia*, ნგნ. *Enciclopedia Cattolica*, 12, Città del Vaticano: Ente per l'Enciclopedia Cattolica e per il libro cattolico, 1954, გვ. 1479; A. Koller, *Malaspina, Germanico*, ნგნ. *DBI*, 67, გვ. 776-779.

ვიდრე იძიებდა იმის მიზეზს, თუ რის გამო არ დართეს სპარსეთისა და მოსკოვის სამეფოს ელჩებს კონსტანტინოპოლიდან გამგზავრების უფლება,³⁷ ერთმა კანდიელმა, სინას მთის წმ(ინდ)ა ეკატერინეს [მონასტრის] იერომონაზონმა, იერემიამ, დიდად საიდუმლოდ გაგვანდო, რომ ზემოდასახელებულ ელ(ჩებ)თან ერთად მან გაიარა ქართველთა ქვეყანა(ზე), რომელსაც ბერძნულად ივერიას უწოდებენ, ემორჩილება ალექსანდრესა და სიმონს, ამ ქვეყნის უმთავრეს სინიორებს, და ესაზღვრება სპარსეთს, მოსკოვის სამეფოსა და რუსეთს, [და] რომ ეს ორი მთავარი ერთმანეთს დაუზავდა, როგორც ვრცლად წერს [არ ჩანს, ვინ და ვის, – გ. შ.], მივიდნენ რა [მათი] ელ(ჩებ)ი მოსკოველთან, რომელიც იგივე აღმსარებლობისაა, როგორც – ბერძნები [...], რ(ათა) გაეკვალათ უფრო მოკლე გზა მოსკოვიდან იბერიამდე, რაც განხორციელდა კიდევ. ამასთან, თითოეულმა მათგანმა პირობა დადო, რომ საკუთარ ქვეყანაში გზას მოანესრიგებდა და ააშენებდა საჭირო სადგურებს.³⁸

იმავე პერიოდის სხვა წერილის თანახმად, 18 თვით ადრე ჩერქეზთა წინააღმდეგ ბრძოლაში ალექსანდრე II-ის დასახმარებლად მოსკოვის მეფეს 50 ათასი (*sic!*) არკებუზი გამოუგზავნია. ბარათში საუბარია, აგრეთვე, მოსკოვის მეფეს, სპარსეთის შაჰსა და ქართველთა შორის ურთიერთობაზე:

[...] იმ პი(რობ)ით, რომ მოსკოველი [ანუ, მოსკოვის მეფე, – გ. შ.] დიდი რაო(დენობ)-ით გამოუგზავნის არკებუზებს, სპარსი [ანუ, სპარსეთის შაჰი, – გ. შ.] მოსკოველს მისცემს გარკვეული რაოდენობის საპალნის აბრეშუმსა და სხვას და უარს იტყვის ხარკზე, რომელსაც თურქს ორმოცი საპალნე აბრეშუმის [სახით] უხდის, და ალექს(ანდრე) მოსკოველს მისცემს აბრეშუმს, ხალიჩებს, საომრად მოემზადებიან და დაუყოვნებლივ შეუტყვენ დერბენტს.³⁹

1595 წ.-ის 15 ნოემბრის ბარათით ვენეციის ელჩი კონსტანტინოპოლში თავის რესპუბლიკას აუწყებდა „საქვეყნოდ დარხეულ ხმას, სპარსი [ანუ, სპარსეთის შაჰი, – გ. შ.] თურქის [ანუ, თურქეთის სულთნის, – გ. შ.] წინააღმდეგ ომს იწყებს“,⁴⁰ ხოლო 1596 წ.-ის 12 იანვარს ატყობინებდა: „თურქები დი(დ) საგონებელში ჩააგდო ეჭვმა, რომ სპარსეთში მღელვარება ქართველთა და მოსკოველთა დახმარებით [მიმდინარეობს]“ და განაგრძობდა: „ქართველთა ქვეყნიდან ჩამოტანილი ასი თავის ქალა, რამდენიმე ცხვირი და ტყვე მონა იმას მოწმობს, რომ იმ მხარეში მოვლენები მშვიდობიანად არ ვითარდება“.⁴¹

37 იხ. J. Hammer, დასახ. ნაშრ., გვ. 316, რომლის მიხედვითაც, მათ ერთმანეთთან უნდა შეერიგებინათ სიმონი და ალექსანდრე, მაგრამ საქართველოსა და რუსეთს (ანუ კახეთისა და მოსკოვის სამეფოებს) შორის დადებული ხელშეკრულების გამო ელჩები კონსტანტინოპოლში შეაყოვნეს.

38 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600)*, ფ. 22v. თარგმანში მაქსიმალურად შევეცადეთ, შეგვენარჩუნებინა დედნისეული სინტაქსი.

39 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600)*, ფ. 22v-23r.

40 იქვე, ფ. 51r.

41 იქვე., ფ. 58v.

1596 წ.-ის 16 თებერვალს ვენეციის სენატმა მოისმინა 1592-1596 წწ.-ში⁴² ალბოში⁴³ ვენეციის რესპუბლიკის კონსულის, ალესანდრო მალიპიეროს ვრცელი რელაცია,⁴⁴ სადაც ვენეციელი დიპლომატი იტყობინებოდა:

შეხვედრაზე ქართველები გამუდმებით მოუწოდებენ სპარსეთის მეფეს, იარაღი აისხას თურქების წინააღმდეგ, სთავაზობენ, მთელი თავიანთი ძალები მის [ანუ, სპარსეთის შაჰის, – გ. შ.] სამსახურში ჩააყენონ და ჰპირდებიან, რომ თვითონ დაიბრუნებენ შირვანის ქვეყანას,⁴⁵ სადაც ვერ ეგუებიან თურქების გაბატონებას, რის შედეგადაც ისინი მათ [ანუ, ქართველებს, – გ. შ.] ყველა მხრიდან გარს შემოერტყენ. თუმცა, მიუვალ ადგილას იმყოფებიან, სადაც მიუდგომელი მთებია, უდიდესი რაოდენობის თოვლი და ყინული მეფობს და ზამთარში ყოველი ჯურის გარეშე მტრისგან იცავს ქვეყანას, ხოლო ზაფხულში გაუვალნი, ხშირი ტოტებით დაბურული ტყეები გზას უღობავს ყველას, ვინც მათ სამკვიდროში ასვლას მოინადინებს და, თითქმის, შეუძლებელს ხდის იქ შეღწევას – მიუხედავად ყოველივე ამისა, ისინი შიშობენ, რომ ისარგებლებენ რა მახლობელი ადგილებით და გამოიყენებენ თავიანთ ეშმაკობასა და დიდ ძალას, თურქებმა, შეიძლება, ერთ დღეს გადალახონ ყველა დაბრკოლება და დაიმონონ ისინი. არა იმდენად სპარსთა მეფის ერთგულებისათვის, რამდენადაც თავიანთ სასარგებლოდ ცდილობენ, დაარწმუნონ სპარსეთის მეფე, ომი [გამოეცხადოს] თურქებს. ამის გამო აქვთ მასთან კეთილი და მჭიდრო მეგობრობა.

ქართველებში სამი მთავარია: ალესანდრო,⁴⁶ დაუთი⁴⁷ და სიმონი. პირველი ორივეს აღმატება [სამხედრო] ძალითა და სახელმწიფოს [სიდიდით, ხოლო] უკანასკნელი ვაჟკაცობით ორივეზე დიდად აღმატებულია და სწორედ ისაა, რომელმაც თურქთა წინააღმდეგ ბოლო ომში⁴⁸ უფრო მეტი გმირული სამხედრო ოპერაცია განახორციელა, ვიდრე – ერთად აღებულმა მთელმა სპარსეთმა. მეორე არც ძალით და არც ვაჟკაცობით მაინცდამაინც ანგარიშში ჩასაგდება არ არის. სიმონის ერთ-ერთი ქალიშვილი, რომელიც ორიოდე წლის წინათ გარდაიცვალა, სპარსეთის მეფის მეუღლე იყო.⁴⁹ შარშან ალესანდროც ცოლად სთავაზობდა შაჰს თავის

42 Berchet, *Relazioni*, გვ. 57.

43 ოსმალეთში ვენეციის რესპუბლიკის საკონსულო დარსდა 1497 წ.-ს ქალაქ დამასკოში (Berchet, *Repubblica*, გვ. 78-79), 1545 წ.-ის 11 თებერვალს გადავიდა ტრიპოლში, ხოლო 1548 წ.-ს – ალბოში (იქვე, გვ. 81), სადაც მოქმედებდა 1675 წ.-ის 22 იანვარს მის დახურვამდე (იქვე, გვ. 83).

44 Berchet, *Relazioni*, გვ. 79-100.

45 დედანშია: „offerendosi di impiegare tutte le forze loro in servizio suo, e di voler essi ricuperargli il paese di Shirvan“, ანუ „მას სთავაზობენ, მთელი თავიანთი ძალები მის სამსახურში გამოიყენონ და აღწყებენ სურვილს, თავად დაიბრუნონ შირვანის ქვეყანა“.

46 იგულისხმება კახეთის მეფე, ალექსანდრე II (1574-1605).

47 იგულისხმება სიმონ მეფის უმცროსი ძმა, დავითი, რომელიც შაჰ თამაზმა (1524-1576) ქართლის ტახტზე აიყვანა სიმონის ნაცვლად. იგი 1569-1578 წწ.-ში მეფობდა, მაგრამ სინამდვილეში მას მხოლოდ თბილისი და ქვემო ქართლი ემორჩილებოდა (იხ. *ნარკვევები*, 4, გვ. 116-118).

48 იგულისხმება ოსმალეთ-სპარსეთის მეორე ომი (1578-1590).

49 ე. ი. 1594 წ.-ს. ისქანდერ მუნშის ცნობით (*ცნობები*, გვ. 34, 36), სიმონ მეფის ასული დააქორწინეს 1581 წ.-ს „მისი უდიდებულესობა ქვეყნიერების გამგებელზე“, რომელმაც შაჰ მუჰამედ ხუდაბენდეს უფროსი ვაჟიშვილი და ტახტის მემკვიდრე, ჰამზა-მირზა (დაახლ. 1565/6-1586) უნდა იგულისხმებოდეს. იგივე აზრისაა ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 276; შდრ. ე. მამისთვალისი, დასახ. ნაშრ., გვ. 234.

ასულს და ამ მიზნით მისი შვილი ყაზვინში მეფის კარზე იმყოფებოდა.⁵⁰ ამ სამ მთავარს ერთმანეთთან უთანხმოება ჰქონდა, მაგრამ სპარსელის შუამავლობით ერთმანეთს დაუზავდნენ.⁵¹ მათ ერთობლივი ძალებით შეუძლიათ, საომარ ველზე 20-დან 25 ათასამდე მებრძოლი გამოიყვანონ – უძლიერესი მეომრები, რომლებიც შიშის ზარს სცემენ თურქებს. თავიანთ [ქვეყანაში] მთებში [ბრძოლისას] მშვილდ-ისარს ხმარობენ, მაგრამ ველზე მშვილდ-ისართან ერთად, ცხენისნები შუბით, ფართა და შიმშერთი არიან შეიარაღებულები. რწმენით ქრისტიანები არიან, მაგრამ მისდევენ ბერძნულ წესს. რელიგიური ერთობისა და ერთმორწმუნეობის გამო მოსკოველთან [ე. ი. მოსკოვის მეფესთან, – გ. შ.] საუცხოო ურთიერთობა აქვთ, რომლისგანაც თურქებთან წინა ომებში არაერთხელ მიიღეს მებრძოლები. ზემოაღნიშნულ მოსკოველთან სპარსეთის მეფესაც კარგი მოკავშირეობა აქვს, ერთმანეთს ხშირად უგზავნიან ელჩებს. სპარსელი ამ მთავარს⁵² მოუწოდებს, მშვიდობა ჰქონდეს სხვა ქრისტიანებთან და ომი დაუწყოს თურქებს: არწმუნებს, რომ ცოდვას, იარაღი იხმაროს სხვა ქრისტიანთა წინააღმდეგ.⁵³

შაჰ აბასის პიროვნების დახასიათებისა და სპარსეთში არსებული ვითარების გადმოცემისას, ალ. მალიზიერო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თურქების მიერ მიტაცებული სპარსეთის ტერიტორიების დასაბრუნებლად შაჰი ქრისტიანთა დახმარებაზე ამყარებდა იმედს. მას არც ის ავიწყდება, აღნიშნოს, თუ როგორ უფრთხოდნენ ოსმალები ქართველებს. კერძოდ, იგი წერს:

ეს მთავარი უაღრესადაა დაინტერესებული ქრისტიანთა ლაშქრობებით, რომელთა სიდიადეც აღაფრთოვანებს და იმედს უსახავს, რომ მათი დახმარებით ერთ დღეს შეძლებს დაკარგული [ტერიტორიების] დაბრუნებას. ამ მიზნით შარშან კონსტანტინოპოლში გადაწყვიტა ელჩების მივლინება, თითქოსდა, მძევლად წაყვანილი თავისი ძმისწულის⁵⁴ მოსაკითხად და მისთვის საჩუქრების გადასაცემად, როგორც

50 ამჟამად რთულია, დავადგინოთ, თუ რა აქვს მხედველობაში ალ. მალიზიეროს. როგორც ცნობილია, ისქანდერ მუნშის ცნობით (*ცნობები*, გვ. 36), როდესაც სიმონ მეფის ასული სპარსეთში ჰამზამირზაზე დასაქორწინებლად წაიყვანეს, სპარსეთში გადაწყვიტეს, ალექსანდრე II-ის ასულიც დაექორწინებინათ სპარს უფლისწულზე და ქართლისა და კახეთის მეფეები იძულებული გახდნენ, შაჰისთვის მძევლად გაეგზავნათ თავიანთი ვაჟიშვილები: ლუარსაბი და კონსტანტინე (იხ., აგრ., ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 276), მაგრამ ცნობილი არ არის კახეთის მეფის ასულის ბედი. მოგვიანებით, 1596 წ.-ს, შაჰ აბასმა ალექსანდრე მეფეს მისი ასულის ხელი სთხოვა. კახეთის მეფე მიხვდა, რომ შაჰი ფაქტობრივად მძევალს მოითხოვდა და თავაზიანად უთარა, იგი სამეგრელოს მთავარზეა დანიშნული, ხოლო როდესაც 1597 წ.-ს აბასმა კატეგორიულად მოსთხოვა, საცოლედ მისი წათესავებიდან საუკეთესო ქალწული შეერჩია და უარის შემთხვევაში კახეთს ანიოცებით დაემუქრა, ალექსანდრე იძულებული გახდა, მისთვის თავის ცოლისძმის, ამილახვრის, ასული გაეგზავნა (*Сношения России с Кавказом*, материалы, извлеченные из Московского главнаго архива Министерства иностранных дел С. Ал. Белокуровым, 1, 1578-1613 г., ურნ. «Чтения в Императорском обществе истории и древностей российских при Московском университете» 146:3 (1888), М., 1889, გვ. 310-311; ე. მამისთვალისიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 308).

51 ისქანდერ მუნშის (*ცნობები*, გვ. 36) მიხედვით, სპარსელმა ამირებმა „ისინი ერთმანეთს შეარჩიეს და ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით ჯვარსა [...] და სახარებაზე დაფიცეს [...]“.

52 როგორც ვხედავთ, ალ. მალიზიერო მთავრის ტიტულით მოიხსენიებს არა მხოლოდ ქართველ მეფეებს, არამედ – მოსკოვის მეფეს, თვედორე ივანეს ძესაც.

53 Berchet, *Relazioni*, გვ. 96-97.

54 იგულისხმება ჰამზამირზას ძე, ჰოიდარ-მირზა. ჯერ კიდევ 1586 წ.-ის 6 დეკემბერს მამამისის გარდაცვალებისთანავე (R. Savory, დასახ. ნაშრ., გვ. 74; *Cambridge history of Iran*, 6, ციტი., გვ. 261) პაპა-

თავის დროზე ეს თქვენს უგანათლებულესობას წერილებით მონივნებით მოვახსენე; მაგრამ როდესაც ზემოაღნიშნული ძმისწული გარდაიცვალა, ელჩობა ხორასნიდან დაბრუნებამდე გადადო, ხოლო შემდეგ მოჩვენებით იმისთვის გამოგზავნა, რათა დიდი სინიორისთვის⁵⁵ ტახტზე ასვლა მიელოცა, რადგან ეს ვალდებულება ჯერ არ ჰქონდა მოხდილი; მაგრამ ეს სინამდვილეში უმთავრესად იმისთვის მოიმოქმედა, რათა მოეპოვებინა დასაბუთებული ინფორმაცია თურქთა წინააღმდეგ ქრისტიანთა ომის ნამდვილი ვითარების შესახებ. სპარსეთისაგან მიტაცებული უზარმაზარი ტერიტორიის მითვისებით ოსმალებმა დიდად დაასუსტეს მისი სამეფო, მაგრამ ამან ბევრი ვერაფერი შემატა დიდ სინიორს, ვინაიდან იქ ქალაქებისა და მის მიერ აგებული ციხე-სიმაგრეების დასაცავად სჭირდება შვიდი ბეგლარბეგი 25 ათასი ჯარისკაცით, რომლებსაც სხვაგან ვეღარ გამოიყენებს, უფრო ქართველთა, ვიდრე სპარსელთა შიშით, [რათა არ] დააუძღვროს [ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების] გარნიზონები; ამ ქვეყნიდან ვერც იმდენად დიდ შემოსავალს იღებს, რითაც შეძლებდა ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარისკაცებისთვის ჯამაგირის გადახდას. [ამიტომ] გადანყვიტა, უდიდესი ნაწილი გადაიხადოს ალემოს პალატიდან შემოსული თანხით, რაც ადრე სახელმწიფო საზინაში შედიოდა. ასე რომ, იმ ქვეყნისთვის, რომელსაც ბევრი შემოსავალი არ მოაქვს, დიდად [ფულს] ხარჯავს, უქმად აცდენს მრავალრიცხოვან ლაშქარს, რომელიც მის ხელთ არსებულ [ჯვარს შორის] საუკეთესოა. ამ [ტერიტორიის] მისატაცებლად დიდძალი დრო დახარჯა, დიდძალი ოქრო გაიღო, თავისი მეომრების დიდძალი სისხლი დაღვარა და რამდენად საზიანო და უიღბლო გამოდგა მისი შემოერთება, ამისი შეფასება იოლად შეიძლება.⁵⁶

ტექსტი მეტისმეტად რომ არ გადავტვირთოთ, სამწუხაროდ, კომენტარს ვერ დავურთავთ ამ საინტერესო რელაციამ დასმულ უამრავ საკითხს, თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ მასში დაფიქსირებული ცნობები საქართველოს შესახებ დღემდე სრულად არ ყოფილა თარგმნილი და არც – ჯეროვნად გაანალიზებული საეტიკო-ლიტერატურაში.⁵⁷

მისს, შაჰ მუჰამედ სუდაბენდეს, გადანყვიტული ჰქონდა, იგი კონსტანტინოპოლში მშვიდობის გარანტიად მიველინებოდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ მხარეები ვერ დაზავდნენ (J. Hammer, დასახ. ნაშრ., გვ. 218). მოგვიანებით, სპარსი უფლისწული კონსტანტინოპოლში შაჰ აბასის ზემოაღნიშნული 1590 წ.-ის საზავო დიპლომატიური მისიის ფარგლებში ჩავიდა და არნახული პატივისცემით მიიღეს ოსმალეთის დედაქალაქში (იქვე, გვ. 222, 254), ხოლო 1592 წ.-ს დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს მისი წინადაცვეთის ცერემონიალი (იქვე, გვ. 248). აღსანიშნავია ისიც, რომ შაჰ აბასი რამდენჯერმე დაინტერესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით. პირველად სულთანს სთხოვა, მისთვის ახალი მეთვალყურე დაეწინაა, რაზედაც ოსმალეთის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა, რადგან ეჭვობდა, რომ შაჰი ყოველ ღონეს იხმარებდა არასასურველი ძმისწულის თავიდან მოსაპოვებლად და სულთნის კარზე მის დაღუპვას ახალი ომის საბაზად გამოიყენებდა (იქვე, გვ. 228). მოგვიანებით, 1595 წ.-ის იანვარს სულთან მურად III-ის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე შაჰის ელჩმა, ყაზინის ხანმა ქერიმმა საგანგებოდ გამოიკითხა სპარსელი უფლისწულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და თებერვლის დასაწყისში ორივეს ხვდა პატივი, ხელზე მიხვეოდნენ ახალ სულთანს, მეჰმედ III-ს (1595-1603) (იქვე, გვ. 295), რომელიც უკვე 1596 წ.-ის 29 ნოემბერს შაჰ აბასის ელჩს მწუსარებას უცხადებდა ჰაიდარ-მირზას გარდაცვალების გამო (იქვე, გვ. 336). საგულისხმოა ისიც, რომ 1599 წ.-ის აპრილში შაჰ აბასის ელჩმა საგანგებოდ მოინახულა მისი საფლავი (იქვე, გვ. 365).

55 „დიდი სინიორი“ (იტალ. Gran Signore) – ასე უწოდებდნენ დასავლურ წყაროებში ოსმალეთის სულთანს. ამ შემთხვევაში იგულისხმება სულთანი მეჰმედ III.

56 Berchet, *Relazioni*, გვ. 97-98.

57 ე. მამისთავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 303, 306, 316 მხოლოდ აქა-იქ, გაკვრით მიაწინებს ამ რელაციას. ამასთან, პატივცემული მეკლევარის მოსაზრების (იხ. იქვე, გვ. 303) საწინააღმდეგოდ, ვენეციელი დიპლომატის ფრაზა: «Si trattiene in amicizia anco col re di Spagna, con lettere le quali incammina

ამავ პერიოდში კონსტანტინოპოლში რესპუბლიკის რეზიდენტი ელჩები ხშირად აგზავნიდნენ ვენეციაში წერილებს, სადაც საუბარი იყო საქართველოსა და, კერძოდ, სიმონ მეფეზე. მაგალითად, 1596 წ.-ის 3 აპრილის წერილში ნათქვამია: „უკვე ღია(დ) ლაპარაკობენ იმაზე, რომ ქართველებმა სპარსელებთან ერთად ომი წამოიწყეს თურქების წინააღმდეგ“. ⁵⁸ იმავე წლის 31 მაისს ელჩი იწერებოდა: „არ ცხრება ხმები სპარსეთის საომარი მზადების შესახებ. შირვანის 15 ათ(ას) ჯარისკაცს უბრძანეს თავიანთ საგუშაგო ადგილებზე დაბრუნება, ხოლო იმ მეფის ელ(ჩ)ი, რომელმაც მიველად დატოვებული უფლისწულის სიკვდილის ამბავი შეიტყო, ⁵⁹ უკან დაბრუნდა“ და იქვე დასძინდა: „ქართველები უარს ამბობენ ხარკის გადახდაზე და აჯანყებულები დათარეშობენ იმ ქვეყანაში. დივანს [სხდომაზე] ნახეს რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ყველანი დებრუნტიდან იყვნენ გამოგზავნილი, [რომელთაც მოჰქონდათ] წერილები და ინფორმაცია იმ მხარეში მღელვარების შესახებ“. ⁶⁰

ეს უსისტემო ცნობები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე არასასურველ მოვლენებზე.

1596 წ.-ის 6 მაისსა და 25 აგვისტოს შორის დათარიღებული წერილებით სიმონმა შეატყობინა თავის პოტენციურ მოკავშირებს: რომის პაპს, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორს, ვენეციის სენატსა და ესპანეთის მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნის შესახებ. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, სიმონ მეფის ელჩი, ტერ იაკობი ქართლიდან 1596 წ.-ის მაისის პირველ ნახევარში გაემგზავრა, მოიარა ყაზვინი (სადაც წლის ბოლომდე ან 1597 წ.-ის დასაწყისამდე დარჩა), ტრიპოლი, კვიპროსი, იქიდან ჩავიდა ვენეციაში, ხოლო 1597 წ.-ის 10 ივლისს – ვენაში. ⁶¹ ეს მოსაზრება ძირითადად გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში, ⁶² მაგრამ საქმე ისაა, რომ ტერ იაკობის განცხადებით, იგი ქართველ მეფეებს სპარსეთიდან ევროპაში მიმავალ გზაზე, ყაზვინიდან ორი დღის სავალზე შეხვდა. ე. მამისთვალის ვილის აზრით, ეს ფაქტი, შეიძლება, რამდენწიერად აიხსნას: 1) წერილები 6 მაისს დაიწერა, მაგრამ ტერ იაკობი ამ დროს საქართველოში არ იმყოფებოდა და მისთვის წერილების გადაცემა მხოლოდ მოგვიანებით მოხერხდა; 2) ტერ იაკობმა „[...] თავისი ავტორიტეტის [...] წარმოჩენის“ მიზნით, ვენეციის რესპუბლიკის წარმომადგენელთან საუბრისას [...] აღნიშნა, რომ ქართველმა მეფეებმა [მას] თავიანთი ხელით მიუტანეს ევროპაში გასაგზავნი წერილები, [...] იტალიელმა მისი [იაკობის, – გ. შ.] ნათქვამი სწორად ვერ გაიგო [...]“; 3) „ტერ იაკობის საქართველოში [ჩამოსვლა იმდენად წერილების [...] წასაღებად] არ იყო გამოწვეული, რამდენადაც ალექსანდრეს დასაყოლიებლად, [რათა] მასაც მიეღო მონაწილეობა ანტიოსმალურ კოალიციაში“, რაც პატივცემულ მკვლევარს უფრო საფუძვლიანად მიაჩნია. ⁶³

per via di Omus e di altri luoghi» (Berchet, *Relazioni*, გვ. 97), ანუ „მეგობრული ურთიერთობა აქვს ესპანეთის მეფესთან, რომელსაც ბარათებს უგზავნის ორმუხსა და სხვა ადგილებზე გამავალი გზებით“ (მკვლევარი ოდნავ განსხვავებულად თარგმნის ამ ფრაზას) ნათქვამია არა ქართველი მეფეების, არამედ – შაჰ აბასის შესახებ.

58 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche*, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600), ფ. 71r.

59 ივლისსმება ჰაიდარ-მირზა, რომლის შესახებაც იხ. ზემოთ, სქ. 54.

60 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche*, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600), ფ. 81r.

61 Г. Жордания, Д. Гамезардашвили, *Римско-католическая миссия и Грузия*, 1, Тб., 1994, გვ. 280.

62 ე. მამისთვალისვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 312.

63 იქვე, გვ. 314.

ჩვენი აზრით, ძნელია, ეჭვი შევიტანოთ ტერ იაკობის ცნობაში ქართველ გვირგვინოსნებთან მისი შეხვედრის შესახებ. არც ქართველ მეფეთა სპარსეთში ყოფნა უნდა იყოს გამორიცხული. ამავე დროს, ტერ იაკობის უშუალოდ სპარსეთიდან გამოგზავრების დროის შესახებ ორი განსხვავებული ისტორიული საბუთი გაგვანჩნია. ერთი მხრივ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფრანკო ვენდრამინის 1597 წ.-ის 21 ივლისის ცნობის თანახმად, იგი სპარსეთიდან ცხრა თვით ადრე, ანუ 1596 წ.-ის სექტემბერ-ოქტომბერში გამოემგზავრა, ხოლო, მეორე მხრივ, უშუალოდ მის მიერ 1597 წ.-ის 23 ივნისს გაკეთებული განცხადებით, ტერ იაკობი ექვსი თვით ადრე, ანუ 1596 წ.-ის დეკემბერში, ან 1597 წ.-ის იანვარში წამოსულა სპარსეთიდან. რაც შეეხება ყაზვინიდან ორიოდ დღის სავალზე ქართველ მეფეებთან მისი შეხვედრის მიზეზს, ექვსი წლის წინათ დასტამბულ პუბლიკაციაში ჩვენ მიერ გამოთქმული თვალსაზრისისაგან⁶⁴ განსხვავებით, დღეს ეს გარემოება ერთობ ბანალური გვეჩვენება.

საქმე ისაა, რომ 1596 წ.-ის 6 მაისით დათარიღებულია სიმონ მეფის წერილი რომის პაპისა⁶⁵ და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვენეციის რესპუბლიკისადმი, ხოლო ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ისთვის (1556-1598) მიწერილი ბარათი – 1596 წ.-ის 14-25 აგვისტოთი. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ქართველი მეფეები ტერ იაკობს სპარსეთში შეხვდნენ სიმონ მეფის მიერ ფილიპე II-ისთვის მიწერილი წერილისა – და, შესაძლოა, აგრეთვე, დღემდე მიუკვლეველი ალექსანდრე II-ის ბარათის⁶⁶ – გადასაცემად. ჩვენი ჰიპოთეზა, შეიძლება, გაამყაროს უშუალოდ ესპანეთის იმჟამინდელი ისტორიის უფრო დანვრილებითმა შესწავლამ (გამორიცხული არ არის, 1596 წ.-ის მაისსა და აგვისტოს შორის განვითარებულ ამა თუ იმ მოვლენას გავლენა მოეხდინა სიმონ მეფეზე, თავის ადრესატთა სიაში ფილიპე II-ც ჩაერთო, რომელსაც 1573 წელს მარკანტონიო ბარბარო, 1567-1573 წწ.-ში ვენეციის ბაილო კონსტანტინოპოლში,⁶⁷ ახასიათებდა როგორც სულთნის „მუდმივ მტერს“⁶⁸), აგრეთვე, ალექსანდრე II-ის წერილის აღმოჩენამ და თარიღმაც. ჩვენი აზრით, შესაძლებელია, ტერ იაკობს სიმონ მეფის მიერ რომის პაპისა და ვენეციის რესპუბლიკისადმი მიწერილი ბარათები 1596 წ.-ის მაისში წაეღო სპარსეთში, სადაც შეხვდა შაჰ აბასს და იქიდან წამოიღო შაჰის წერილი, ყაზვინიდან ორი დღის სავალ მანძილზე კი დეკემბერში შეხვედროდა ალექსანდრე II-სა და სიმონ I-ს, რომლებსაც ფილიპე II-ისათვის ამასობაში მიწერილი წერილიც გადაეცათ და ელჩი ევროპაში გაესტუმრებინათ.

ტერ იაკობმა შვილის თანხლებით⁶⁹ 1597 წ.-ის 20 ივნისს ასე ჩაიტანა ვენეციაში პაპისა და ევროპელ მონარქთათვის გადასაცემი წერილები.⁷⁰ როგორც ჩანს, სიმონ მეფე დიდად აფასებდა ვენეციის რესპუბლიკის როლს დასავლეთის ქვეყნების ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში და თავისი ელჩის მივლინებით მისი დიპლომატიური მისიის ერთგვარ აპრობაცისა ცდილობდა. ამასთან, სთხოვდა ვენეციის სენატს, მის მიერ წარგზავნილი ელჩისთვის რომში ჩასასვლელად მცველთა რაზმი გაეყოლებინა. კერძოდ, იგი წერდა:

64 G. Shurgaia, *Simon I (1556-1569, 1578-1600) re di Kartli nell'Archivio di Stato di Venezia*, ციტ., გვ. 570.

65 თამარაშვილი, *ისტორია*, გვ. 607; მისივე, *Église*, გვ. 470.

66 იხ. G. Shurgaia, *Simon I (1556-1569, 1578-1600) re di Kartli nell'Archivio di Stato di Venezia*, ციტ., გვ. 576.

67 Albèri, *Relazioni*, 3:1, გვ. 300.

68 იქვე, გვ. 335.

69 Tardy, *Simon I*, 2, გვ. 165.

70 ტაბალუა, *საქართველო*, 1, გვ. 158.

ლეთის მოწყალეობით სიმონ, მთავარი საქართველოსი და ივერიის მთელ მხარისა, თქვენ – დი(დი) მოციქულისა და მახარებლის, მარკოზისმიერ დიდებულ და დიდად პატივდებულ განწესებულებს, დი(დი) და სახელგანთქმული ქალაქ ვენეციის სინიორებს

ეცნობოს თქვენს კეთილშობილებას, რომ [...] ღირს მამა იაკობს, განწესებულს სომხეთის დიდ ეკლესიაში, ჩვენ მიერ მივლინებულს ჩვენს უწმინდეს მამასთან, რომის პაპთან ხელახლა ვაგზავნით იმ მხარეში. [გთხოვთ], აღმოუჩინოთ მას დახმარება და რომში გაამგზავროთ საიმედო ადამიანების თანხლებით და ამას ვთხოვთ (ქვენს) უგან(ათლებულეს)ობას, შეგვისრულოთ, რაც თქვენთვის გვითხოვია და გაამგზავროთ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. მეტს არას გთხოვთ. უფ(ალი) ღმერთი არს თქვენთან. ამინ. 1596, 6 მაის დღეს, ქრონიკონსა 9-სა. ზუსტად ითარგმნა.

სიმონ, მთ(ავარ)ი ქართლისა და სრულიად ივერიისა.
თარგმნილია ჩემ – ანდ(რეა) ნეგრონის მიერ
მისი უგან(ათლებულეს)ობის ბრძანებით ბერძნული ა(ს)ეპიდან.⁷¹

1597 წ.-ის 21 ივნისს ვენეციის სენატმა მიიღო გადაწყვეტილება, დაეკმაყოფილებინა ქართლის მეფის თხოვნა და მის ელჩს 50 დუკატი გამოეყო:

საბ(ჭოს) ბრძენნი
კ(ონ)ტ(ინენტ)ის ბრძენნი
ორდ(ენ)თა ბრძენნი⁷²
პ(ასუხი)
1597 წ.-ის 21 ივნისი მოწვეულთა⁷³ [სხდომაზე]

71 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Deliberazioni, Costantinopoli, Filza, 9 (sub data)*. ამ წერილის ანდრეა ნეგრონის მიერ 1597 წ.-ის ივნისში შესრულებული იტალიური თარგმანი პირველად ჩვენ გამოვაქვეყნეთ (იხ. G. Shurgaia, *Simon I (1556-1569, 1578-1600) re di Kartli nell'Archivio di Stato di Venezia*, ციტ., გვ. 573-574), ხოლო მისი ფრანგული და ქართული თარგმანები დაისტამბა ნაშრომებში: შესაბამისად Tardy, *Simon I*, 2, გვ. 160 (პატივცემული მკვლევარი დოკუმენტის საარქივო შიფრში შეცდომით მიუთითებს „Registri“, ანუ „რეესტრი“) და ტაბალუა, *საქართველო*, 1, გვ. 158. სიმონ მეფის წერილის დედანი შედგენილია ბერძნულ ენაზე და მასში, თითქმის, ყველა სიტყვა საგანგებოდ არის გასაშიფრი. ამჟამად მას სასტამბოდ ვამზადებთ. წინამდებარე ნაშრომში ქართულად ხელახლა ვთარგმნით ვენეციის რესპუბლიკის თარგმანის, ანდრეა ნეგრონის მიერ ბერძნულიდან იტალიურ ენაზე შესრულებულ თარგმანს.

72 მიწერილია გვერდის მარცხენა ზედა ველზე.
73 „მოწვეულნი“ (ვენეც. Pregadi), ან „მოწვეულთა საბჭო“ (ვენეც. Consiglio dei Pregadi) – ასე ერქვა სახელად 1229 წ.-ს დაარსებულ ვენეციის რესპუბლიკის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს, რომლის მოვალეობა იყო დოჟისათვის რჩევის მიცემა სპეციფიკურ საკითხებზე. რენესანსული ჰუმანიზმის გავლენით XIV ს.-ის მიწურულს მოწვეულთა საბჭოს „სენატო“ ეწოდა (A. Da Mosto, *L'Archivio di Stato di Venezia. Indice generale, storico, descrittivo ed analitico*, 1, *Archivi dell'amministrazione centrale della Repubblica veneta e archivi notarili*, Roma: Biblioteca d'Arte editrice, 1937 (Bibliothèque des *Annales Institutorum*, 5), გვ. 34). იგი „ბრძენთა“ სამი ჯგუფისაგან შედგებოდა: საბჭო, კონტინენტი და ორდენები. პირველის წევრი ექვსი ბრძენი, რომელთაც ზოგჯერ დიდ ბრძენებსაც უწოდებდნენ, ზოგად საქმეებს განაგებდა. მეორე ჯგუფი, კონტინენტის ხუთი ბრძენი კურიერება ფინანსებს (ფინანსთა ბრძენი), სამხელეთო ჯარს (წერილობითი ბრძენი), ადგილობრივ სამხედრო შენაერთებს (ბრძანების ბრძენი), მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას („ახლავე“-ს ბრძენი) და ცერემონიალს (ცერემონიის ბრძენი). მესამე ჯგუფის – ორდენთა 5 ბრძენის სფეროში შემოდიოდა საზღვაო ვაჭრობა.

შვეთანხმდით, მრავალთა მიზეზთა გამო კეთილგანწყობა გამოგვეხატა სომეხი მამის, იაკობის მიმართ, რომელიც ჩ(ვენს) სინ(იორიას) ქართლის მთავრის, სიმონის ახლახან ნაკითხული ბარათით მოგვანდეს და ახლა რომში მიემგზავრება ზემოაღნიშნული მთავრის სხვა ბარათებით მის უწმინდესობასთან.

გადაწყდა, საჭიროებისათვის გადადებული თანხიდან ზემოაღნიშნულ მამა იაკობს გადასცემოდა დუკატი ორმოცდაათი⁷⁴ ჩ(ვენი) სინ(იორიის) სახელით და მისი მთავრის თხ(ოვნის) პატივისცემის ნიშნად, რათა მას რომში მგზავრობის გაგრძელების საშუალება მისცემოდა.

[მომხრე] – 198

[მონინაალმდეგე] – 2

[თავი შეიკავა] – 13[მა].⁷⁵

რამდენადაც ვენეციის რესპუბლიკასა და წმინდა საყდარს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო, ბრძენთა კოლეგიამ მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად, მდივანს, მარკო ოტობონოს, დაავალა, სრული ინფორმაცია მოეპოვებინა რომში ქართლის მეფის ელჩის მისიაზე. 1597 წ.-ის 23 ივნისს ტერ იაკობმა მ. ოტობონოს აცნობა, რომ ექვსი თვის წინათ იგი შაჰმა ყაზვინიდან რომის პაპთან მიავლინა, ყაზვინიდან ორიოდე დღის სავალზე იაკობი იეკბრიში (სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე დაუდგენელია ამ ტოპონიმის მნიშვნელობა) შეხვდა მეფეებს ალექსანდრე II-სა და სიმონ I-ს, რომელთაც მას პაპისა და იმპერატორის ელჩისთვის გამოგზავნილი წერილები გადასცეს. იმპერატორის ელჩისთვის მიწერილი წერილიც წმინდა მამისათვის უნდა მიეტანა, რათა მას იმპერატორის ელჩისთვის გადაეცა; ამასთანავე, მას ამავე პირთათვის საქართველოს პატრიარქის მიერ მოწერილი წერილებიც მოჰქონდა.⁷⁶ ამასთან დაკავშირებით, მ. ოტობონო წერდა:

[ფ. 149r] MDXCVII [წ., XXIII ივნისს

დიდად აღმატებულმა სინიორ ბრძენთა [საბჭომ] დამავალა რა მე, მარკო ოტობონოს, მის უმორჩილეს მდივანსა და მსახურს, შეეხვედროდი სომეხ მამა იაკობს, საქართველოს მთავრის მიერ რომში მივლინებულს, რათა მეცადა, შემეცყო მისადმი [დაკისრებული] მისიის ზოგიერთი საკითხის შესახებ. მეც ვისარგებლე შემთხვევით, რომ იგი პატივცემული კოლეგიის გარეთ იმყოფებოდა მისთვის ბოძებული ორმოცდაათი დუკატის მიღების მოლოდინში, მივუახლოვდი და ნეგრონის თარჯიმნობის წყალობით გამოვიკითხე, ვიდრე გაემგზავრებოდა, იქნებ, მოეთხრო თავისი მოგზაურობის შესახებ, რომელიც მეტად გრძელი და რთული [იყო და] ღირდა, გვცოდნოდა.

ამ სომეხმაც, აქა-იქ სიტყვას რომ წყვეტდა იმისდა მიხედვით, თუ რის გარშემო მსჯელობდა, მიპასუხა შემდეგი, [თუმცაღა], უაღრესად თავდაჭერილად საუბრობდა:

„უკვე ექვსი თვეა, რაც ყაზვინიდან, სპარსეთის მეფის სატახტო ქალაქიდან გამოვემგზავრე.

74 სიტყვა „cinquanta“, ანუ „ორმოცდაათი“, ჩამატებულია სტრიქონებს შორის გადაშლილი სიტყვის თავზე, რომლის ნაკითხვა ვეღარ ხერხდება.

75 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Deliberazioni, Costantinopoli, Filza, 9 (sub data)*. საბუთის ასლი: ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Deliberazioni, Costantinopoli, Registri, 9*, ფ. 85v.

76 Tardy, *Simon* №, 2, გვ. 161-162.

[ფ. 149v] ამ გვირგვინოსნის მიერ პაპისთვის [მინერილი] წერილით გამოგზავნილი, იქიდან ქართველი მთავრების, სინიორების ალექსანდრესა და სიმონისაკენ გამოგზავნილი; მათ შეეხვედა ერთ ადგილას, რომელსაც ჰქვია იეკბრი და ყაზინიდან ორი დღის სავალზე [მდებარეობს], მათაც ასევე გადმომცეს წერილები პაპისა და რომში მყოფი იმპერატორის ელჩისათვისაც, მაგრამ [ეს უკანასკნელი გამოგზავნილი იყო] პაპის მისამართით, რათა მის უწმინდესობას თავადვე გადაეცა იმპერატორის ელჩისთვის. მომაქვს, აგრეთვე, საქართველოსა და იბერიის პატრიარქის წერილები ამავე [პირებისადმი], რომელთაც დალუქულებს გადაეცემ და დაველოდები ჩემს გამგზავრებას.

სხვა დროს სპარსეთის შაჰს, ქართველ პატრიარქსა და მთავრებს ჩამოვუტანე პაპის, სანტა სევერინას კარდინალისა და იმპერატორის ელჩის წერილები, მაგრამ რადგანაც ისინი დანერვილი იყო იტალიურ ენაზე, ამ სინიორებმა ვერ გაიგეს მათი შინაარსი და დამავალეს, მისი უწმინდესობისთვის მეთხოვა, რომ თუ წერილის გამოგზავნა დასჭირდებოდა, იგი სპარსულ ენაზე შეედგინა, უმეტესწილად კი მოეხსენებინა თავის ლოცვებში იქაური ქრისტიანები, რათა უფალმა ღმერთმა მათ ძალა უბოძოს თავისი მტრების გასამკლავებლად. ეს სპარსელი სინიორები, მართალია, მშვიდობას იცავენ, მაგრამ ეს მოჩვენებითი მშვიდობაა და სხვას არაფერს ელიან, თუ არა – პაპის კურთხევასა და რომელიმე ხელსაყრელ შემთხვევას. ნატრობენ და მიყურადებულნი არიან, ქრისტიანთა ერთი გამარჯვების ამბავი შეიტყონ, რომ მაშინათვე აღსდგენ, სხვაგვარად [კი] არაფერს მოიმოქმედებენ, და ყველაფერ ამაზე საუბარია წერილებში, რომლებიც მომაქვს, დანარჩენი წერილმანის შესახებ მე არაფერი ვიცი. რომში ჩემი თარჯიმანი იქნება სომეხი იაკობი და მივაშურებ პატივცემულ სანტა სევერინას კარდინალს [მის] სახლში გასაჩერებლად, როგორც [ეს] სხვა დროსაც გამიკეთებია, როდესაც იმ [სამეფო] კარს ვეწვიე. სპარსეთის მეფე 26 წლის ახალგაზრდაა, ერთადერთი ვაჟი ჰყავს 6 წლისა და ერთიც – პატარა გოგონა. შეუძლია, გამოიყვანოს 80 ათ(ასი) ცხენი, მაგრამ არ ჰყავს მეარეებუხეები.

ქართველი სიმონი უბადლო მეომარია, 54 წლისაა და ჰყავს ერთი ვაჟი, 25 წლისა, მრავალი ღირსებით აღსავსე.

[ფ. 150r] შეუძლიათ, გამოიყვანონ 40 ათ(ასი) ქვეითი ჯარისკაცი და მრავალი მეარეებუხე. არ ჰყავთ ცხენები, რადგანაც ქვეყნის მდებარეობა მათი ყოლის საშუალებას არ იძლევა. დიდად შეჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა სპარსეთის მეფე, ესენი [საუბარია ქართლის სამეფოზე, – გ. შ.] რომ არ იცავდნენ მას.

ეს ქართველი სინიორები ყურებზე სამკაულს ატარებენ, სპარსელების ყაიდაზე თავზე ჩალმას იხვევენ, მაგრამ მკერდზე, აბჯრის ზემოთ დამაგრებული აქვთ დიდი ჯვარი ნიშნად იმისა, რომ ქრისტიანები არიან.

ჩემი მოგზაურობა წარმართა საქართველოდან ვანის რეგიონში, იქიდან ალუბოში საიდუმლოდ ჩამიყვანა ერთმა მსტოვარმა, რომელიც სიმონ ქართველმა მომაგარა.

ალუბოში პატივცემულ კონსულს წარვუდგინე მთავარ სიმონის წერილები და მისი პატივცემული სინიორის ხელით მივიღე ფული, პური, აგრეთვე, ყოველგვარი სხვა სახის დახმარება, და გემით „ნანა“ და ხმელეთით ჩამოვედი ამ ქალაქში.

ზაკინთის პატივცემული პროვედიტორი დიდი პატივისცემით გამიმპასპინძლდა პურით, ფულით, ღვინით, თევზით და უამრავი სხვა რამით. ამავე საღამოს გავემგზავრეები რომში“.

აი, ეს არის, ძირითადად, ის, რაც მოვახერხე, წარმომეტქმევივინებინა ამ საკითხებზე მასთან საუბრისას.⁷⁷

სამწუხაროდ, ვერც ამჯერად შევჩერდებით ამ ისტორიულ საბუთში დაცული დოკუმენტური ცნობების შესწავლაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მითითება ალექსანდრე II-ის წერილზე, რომელიც დღემდე მიუკვლეველია. ე. მამისთვალისშვილის აზრით, კახეთის მეფე კმაყოფილი ვერ იქნებოდა იმით, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირი სპარსეთმა, ქართლმა და კახეთმა რუსეთის გარეშე შეკრეს.⁷⁸ აქედან გამომდინარე, მკვლევარს ეჭვი შეაქვს კახეთის მეფის წერილის არსებობასა და ზემოაღნიშნულ კავშირში მის მონაწილეობაზე,⁷⁹ ხოლო ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია მხოლოდ ისტორიული კონიუნქტურის გათვალისწინებით დოკუმენტურად დაფიქსირებული ცნობის ხელაღებით უარყოფა. დაბოლოს, აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ გაკვირვებას იწვევს სომეხი მღვდლის ცნობა ქართული ცხენოსანი ჯარის არარსებობის შესახებ მაშინ, როდესაც ქართულ მხედრობას მთელ აღმოსავლეთში ჰქონდა სახელი განთქმული.

როგორც ცნობილია, ტერ იაკობი პირდაპირ რომში არ გამგზავრებულა: 1597 წ.-ის 10 ივლისს იგი გრაცში ჩავიდა, ხოლო იქიდან – ვენაში, სადაც ჩაიტანა შაჰისა⁸⁰ და ქართველი მეფეების წერილები. ამავე დროს, ზეპირად აცნობა მათ ადრესატებს, რომ სპარსელი და ქართველი მეფეები დიდად იყვნენ დაინტერესებული ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმით და სთხოვდნენ იმპერატორს, არ შეეწყვიტა ოსმალთა წინააღმდეგ დაწყებული ომი. რადგანაც სპარსეთსა და ოსმალეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ერთმანეთთან ზავი დადებული და უშუალოდ თავად მიადგებოდნენ ბრძოლით კონსტანტინოპოლის გალავანს.⁸¹

17 ივლისს ტერ იაკობი და მისი შვილი პრალაში ჩავიდნენ. როგორც ლ. ტარდიმ ნათელყო, ვენაში ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული 1597 წ.-ის დღიურები მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს ქართლის მეფის ელჩისა და მის მიერ სპარსეთის მეფის სახელით იმპერატორისთვის შემოთავაზებული კავშირის შესახებ.⁸² ამავე დროს, ვენეციის ელჩი პრალაში რესპუბლიკას უგზავნიდა სრულ ანგარიშს ელჩების მისიის შესახებ,⁸³ ხოლო 1597 წ.-ის 21 ივლისს ვენეციის ელჩი ფრანკო ვენდრამინი დოჟს თავის რელაციაში აცნობებდა, რომ ერთ-ერთი სომეხი ეროვნების პიროვნება, რომელიც ცხრა თვის წინათ გამოემგზავრა სპარსეთიდან და პრალაში ორი დღის წინათ ჩამოვიდა, იმპერატორს ჯერ არ მიეღო. ამავე დროს,

77 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Collegio, Esposizioni principi registri*, 12, ფ. 149r-150r. ამ რელაციის იტალიური დედანი პირველად ჩვენ გამოვქვეყნეთ (იხ. G. Shurgaia, *Simon I (1556-1569, 1578-1600) re di Kartli nell'Archivio di Stato di Venezia*, ციტ., გვ. 575-576), ხოლო მისი ფრანგული თარგმანი ჩვენზე ადრე დასტამბა ლ. ტარდიმ (*Simon I^{er}*, 2, გვ. 161-163), საიდანაც ზოგიერთი წაწყვეტი უაღრესად თავისუფლად გადმოიღო ქართულად ე. მამისთვალისშვილმა (დასახ. ნაშრ., გვ. 315-316).

78 ე. მამისთვალისშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 307.

79 იქვე, გვ. 307, 314.

80 როგორც Tardy, *Simon I^{er}*, 2, გვ. 165 გადმოგვცემს, ამის შესახებ წერდა ნორიმბერგის გაზეთი, ხოლო მეორე დღეს ეს ცნობა ხელახლა გამოქვეყნდა „ფუგერცაიტუნგში“.

81 L. Tardy, *Relations entre la Hongrie et la Géorgie aux XIII^e-XVIII^e siècles*, ურნ. «Bedi Kartlisa» 25 (1968), გვ. 124.

82 მისივე, *Simon I^{er}*, 2, გვ. 165-166.

83 Wien, Österreichische Nationalbibliothek Handschriftensammlung, cod. 8970, ფ. 385r-v.

იტყობინებოდა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, მას თან მოჰქონდა წერილები სპარსეთის შაჰისა და ქართველი მეფისა, რომელსაც რუსთ ხელმწიფესთან ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირი დაედო.⁸⁴ ერთი კვირის შემდეგ, ვენეციის ელჩის 1597 წ.-ის 28 ივლისის ანგარიშში კი უკვე საუბარია იმპერატორთან სომეხი ეროვნების ელჩის აუდიენციაზე.⁸⁵

აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთ ევროპაში ტერ იაკობის ელჩობის ახლო ხანებში და მას შემდეგაც კვლავინდებურად მოდიოდა ცნობები საქართველოს შესახებ. მაგალითად, 1597 წ.-ის 25 ივლისს კონსტანტინოპოლში რეზიდენტი ელჩი ვენეციის რესპუბლიკას ატყობინებდა: „ამბობენ, ქართველებმა ხარკის გადახდაზე უარი განაცხადეს და თურქების წინააღმდეგ ომი წამოიწყესო“.⁸⁶ იმავე 1597 წ.-ის 7 სექტემბრის წერილში კი საუბარია სიმონ მეფეზე და, როგორც ჩანს, სამცხე-საათაბაგოზე, სადაც ათაბაგთა მოლაღატური პოლიტიკის შედეგად,⁸⁷ როგორც ცნობილია, 1587 წ.-ის შემდეგ ოსმალეთმა აქტიურად მოიკიდა ფეხი.⁸⁸ მასში ვკითხულობთ:

[...] ჩამოვიდნენ სპარსეთის მეფის კა(ცე)ბი და ით(ხოვე)ს დახმარება ოსბეკთათრის⁸⁹ წინა(აღმდე)გ, რომელსაც ქართველებ(თა)ნ მოკავშირედ გახდომის შემდეგ ზოგიერთი სიმაგრე დაუკავებინა, სხვათა და(ქ)ერასაც და მექაში წასვლას აპ(ირებ)და. გავრცელებული ხმებით, ს(იო)ნი სპარსელებს ეხმარებოდა.⁹⁰

1597 წ.-ის 14 ოქტომბერს ვინმე პანკრაციუს სენი ზიგმუნდ ბატორის აცნობებდა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ სპარსელთა და ქართველთა ჯარების საომარი მზადების შესახებ,⁹¹ ხოლო 1599 წ.-ის 24 ოქტომბერს იერონიმე ფრაქეტა იტყობინებოდა „ომისათვის სპარსელთა და ქართველთა მზადყოფნაზე დაკარგული [ტერიტორიების] დასაბრუნებლად“.⁹²

ვენეციის სახელმწიფო არქივიზ დაცული ჩვენ მიერ არაერთხელ ციტირებული საქალაქე „Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600)“ მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს უნგრეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის ცამეტწლიან ომსა (1593-1606) და, კერძოდ, ქართლსა და მის გმირ მეფეზე. ნაშრომი ფაქტებით

84 Wien, Staatsarchiv, Dispacci di Germania, 21, 7, 1597.

85 იქვე, 28, 7, 1597.

86 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600)*, ფ. 169r.

87 მაგ., ც. აბულაძე, *სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან (XVI ს. 80-იანი წლები)*, ჟრნ. «მრავალთავი» 15 (1989), გვ. 197-203: 197-198. დამაჯერებელი არ არის ე. მამისტვალიშვილის (დასახ. ნაშრ., გვ. 401-410, 421) მოსაზრება და არგუმენტები, რომლებსაც იგი ქრისტიანი შარაშიძის თვალსაზრისის (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) [=] *Материалы по истории южной Грузии (XV-XVI вв.)*, ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქ. შარაშიძისა [=] публикация текстов, исследования и указатели Кр. Г. Шарашидзе, თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961, გვ. 50 (სქ. 1-2), 51 (სქ. 1-2), 165-168) წინააღმდეგ გამოთქვამს.

88 *სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.)*, ციტი., გვ. 171.

89 იგულისხმებიან უზბეკები, რომლებთანაც სეფიანთა ირანს ხანგრძლივი ბრძოლები ჰქონდა.

90 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600)*, ფ. 173r.

91 *Acte relative la războaiele și cuceririle lui Mihai-vodă Viteazul*, გვ. 323 (№ 486).

92 იქვე, გვ. 472 (№ 746).

ზედმეტად რომ არ გადაეტვირთოთ, ამჯერად ამ საკითხებზე აქ აღარ შეეჩერდებით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ამ ცნობების ანალიზისთვის აუცილებელია ვენეციის რესპუბლიკის ელჩების პრაღიდან გამოგზავნილი მასალებისა და რესპუბლიკის სენატის გადაწყვეტილებათა საფუძვლიანი შესწავლა და შესაბამისი დოკუმენტების ერთმანეთთან შეჯერება.

1596-1597 წწ.-ში დასავლეთ ევროპაში სიმონ I-ის მიერ გაგზავნილი ელჩობის შესახებ მსჯელობის დასასრულს საგანგებოდ შეეჩერდებით ქართლის მეფის მიერ ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ისთვის მიწერილ ბარათზე, უპირველეს ყოვლისა კი – მის დათარიღებაზე.

ამ დოკუმენტის აღმომჩენის, ფრედერიკ მაკლერის (1869-1938) გარდა,⁹³ დღემდე, თითქმის, ყველა მკვლევარი მას 1596 წ.-ის 25 აგვისტოში დაწერილად მიიჩნევს.⁹⁴ სინამდვილეში, ბარათი შემონახულია ორ – სომხურ⁹⁵ და ბერძნულ⁹⁶ ენებზე შედგენილი დედნებისა და მათგან ფილიპე II-ის კარზე იმ დროს შესრულებული ესპანური თარგმანების სახით.⁹⁷ ბერძნული დედანი დათარიღებულია 1596 წ.-ის 25 აგვისტოთი, ხოლო სომხური – „1595 წ.-ის 14 აგვისტოთი“, რაც გარდა ფ. მაკლერისა, დღემდე მხედველობიდან გამოჩნათ ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს. ამასთან, ძველი ესპანური თარგმანებისათვის ფილიპე II-ის კანცელარიის მიერ თანდართულ ანოტაციებში⁹⁸ მინიშნება არ არსებობს დოკუმენტის თარიღის, ან თარგმანის შესრულების შესახებ და არც ის არის გარკვეული, თუ ეს საბუთი როდის, ან რანაირად აღმოჩნდა ესპანეთში.

კერძოდ, ბერძნულ ორიგინალში იკითხება: „ἔΤΙ Δ' ὀφεί μὴν ἀγύσῃσται κε“,⁹⁹ ანუ „1596 წელს, აგვისტოს თვის 25-ს“, ხოლო სომხურში – „ի թվ Հայոց ա խ ի Կ աւգոստոս աւսոյ Ժ դ“,¹⁰⁰ ანუ „სომხურ 1045 წელს, აგვისტოს თვის 14-ს“. ფ. მაკლერი არც კი აყენებს საკითხს წერილის ორი დედნის თარიღებს შორის ერთნაირი განსხვავებების შესახებ,¹⁰¹ ხოლო, ჩვენი აზრით, შეუძლებელია, მათ შორის ასეთი დიდი ქრონოლოგიური სხვაობა ყოფილიყო. ამავე დროს, ის ფაქტი, რომ ორივე ბარათი აგვისტოშია შედგენილი, გვაფიქრებინებს, რომ ერთ-ერთზე წელი, ეტყობა, შეცდომითაა მითითებული და ეს ბარათი, ჩვენი აზრით, სწორედ სომხური ორიგინალი უნდა იყოს.

93 F. Macler, *Notices de manuscrits arméniens ou relatifs aux arméniens vus dans quelques bibliothèques de la péninsule ibérique et du sud-est de la France*, ურნ. «Revue des études arméniennes» 1 (1920), გვ. 63-80, 85-116, 237-272, 411-417: 70, 78 (სქ. 2) მას 1595 წ.-ით ათარიღებს.

94 იხ., მაგ., ტაბალუა, *საქართველო*, 1, გვ. 224; Gil-Tabagua, *Fuentes*, გვ. 225, 364 (№ 32-33); დ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 121; ე. მამისთვლიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 309, სქ. 3. ერთადერთი გაბაშვილი, *ისტორიიდან*, გვ. 93 ათარიღებს მას 14 აგვისტოთი.

95 F. Macler, დასახ. ნაშრ., [1-2] ტაბ., გვ. 71-72; მისი ფრანგ. თარგ. გვ. 72-74.

96 იქვე, [3] ტაბ., გვ. 75-76.

97 იქვე, გვ. 76-78 (სომხური ორიგინალის ძველი ესპანური თარგმანი), გვ. 85-86 (ბერძნული ენიდან ფილიპე II-ის ოფიციალური თარგმანის, ნიკოლაო დე ლა ტორესეული ძველი ესპანური თარგმანი). ამ დოკუმენტების მაკლერისეული ფრანგული თარგმანი მოთავსებულია 78-80 და 87-89 გვ.-ზე.

98 F. Macler, დასახ. ნაშრ., გვ. 76-77 (სომხური ორიგინალის ძველი ესპანური თარგმანისა), გვ. 85-86 (ბერძნული ენიდან ფილიპე II-ის ოფიციალური თარგმანის, ნიკოლაო დე ლა ტორესეული ძველი ესპანური თარგმანისა).

99 F. Macler, დასახ. ნაშრ., [3] ტაბ., გვ. 76.

100 იქვე, [2] ტაბ., გვ. 72.

101 იქვე, გვ. 70, 78 (სქ. 2).

როგორც ცნობილია, ძველი სომხური წელთაღრიცხვის ჩვ. წ.-აღ.-ზე გადმოსაცხვანი კოფიციენცია 551, ან 550. პირველი უნდა დაემატოს სომხური წელთაღრიცხვით გამოთვლილ წელს, თუ იგი 769-ს არ აღემატება, ხოლო მეორე – თუ არის 770 და მეტი წელი.¹⁰² ამდენად „სომხური 1045 წელი“ არის ჩვ. წ.-აღ.-ით 1045+550=1595 წელი, უფრო ზუსტად კი – 1594 წ.-ის 23 ოქტომბრიდან 1595 წ.-ის 22 ოქტომბრამდე პერიოდი, როგორც მართებულად მიუთითებს ფ. მაკლერი.¹⁰³ ვვარაუდობთ, რომ სიმონ მეფის წერილის სომხურად მთარგმნელს – ისევე, როგორც ზოგიერთ თანამედროვე მკვლევარს¹⁰⁴ – მხედველობიდან გამორჩათ, რომ სომხური წელთაღრიცხვის 770 წ.-ის შემდეგ დასამატებელი კოფიციენტი 550 უნდა ყოფილიყო და არა – 551.

ლ. ტარდისა და, ასევე, ე. მამისთვალისძევის აზრით,¹⁰⁵ ეს ბარათი მეტყველებს ზიგმუნდ ბატორისთან სიმონ მეფის კავშირზე, რადგანაც ქართლის მეფე ფილიპე II-ს აცნობებდა შაჰ აბასთან და ალექსანდრე II-სთან დადებული კავშირის შესახებ და სთხოვდა, იმპერატორს ყველა ღონე ეხმარა, რათა ერთმანეთს არ დაზავებოდნენ ტრანსილვანიის მთავარი და სულთანი და მხარში ამოსდგომოდა აღმოსავლელ ქრისტიანებს: დასავლეთში ოსმალეთის წინააღმდეგ გალაშქრება ბოლოს მოუღებდა ოსმალთა იმპერიას და გაათავისუფლებდა წმინდა მიწას; დაბოლოს სთხოვდა, ეშუამდგომლა შაჰთან სულთნის წინააღმდეგ საერთო სამხედრო ძალების გაერთიანებისათვის.¹⁰⁶

სინამდვილეში ქართლის მეფის მიერ ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ისთვის მიწერილი ბარათის სომხურ და ბერძნულ დედნებში საუბარია ყველა ზემოაღნიშნულ საკითხზე, მაგრამ არავითარი მინიშნება არ არის ტრანსილვანიისზე.¹⁰⁷ როგორც ჩანს, პატივცემულმა მკვლევრებმა ვერ შენიშნეს, რომ ფ. მაკლერმა ფრანგულად თარგმნა არა წერილის ბერძნული დედანი, არამედ – სომხურიდან ფილიპე II-ის კარის ოფიციალური თარჯიმნის მიერ შესრულებული ძველი ესპანური თარგმანი (*Archivo General de Simancas, Secretaria de Estado. Legajo 703*).¹⁰⁸ მხოლოდ ძველ ესპანურ თარგმანში იხსენიება, თანაც – ხუთჯერ, ტრანსილვანია,¹⁰⁹ მაგრამ დღეს უკვე შეუძლებელია იმის დადგენა, თარგმანში ეს ჩამატება ქართლის მეფის ელჩს ეკუთვნის, თუ – ესპანეთის სამეფო კარის თარჯიმანს, თუმცა, ვისაც არ უნდა შეეტანა ეს ჩამატება, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს¹¹⁰ განსხვავება წერილის ფ. მაკლერისეულ ფრანგულ¹¹¹ და ი. ტაბალუასეულ ქართულ თარგმანს¹¹² შორის: ფ. მაკლერმა თარგმნა სომხური დედნის ძველი ესპანური თარგმანი, ხოლო ი. ტაბალუამ – უშუალოდ სომხური დედანი. ამდენად, ეს ისტორიული დოკუმენტი ვერ გამოდგება სიმონ მეფესა და ზიგმუნდ ბატორის შორის კავშირის დამადასტურებელ საბუთად. ამასთან,

102 V. Grumel, *La Chronologie*, Paris, 1958 (Traité d'études byzantines, 1), გვ. 145.

103 F. Macler, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

104 ტაბალუა, *საქართველო*, 1, გვ. 224, სქ. 8.

105 Tardy, *Simon* № 2, გვ. 157-159; ე. მამისთვალისძევილი, დასახ. ნაშრ., გვ. 309.

106 F. Macler, დასახ. ნაშრ., გვ. 71-89; ტაბალუა, *საქართველო*, 1, გვ. 222-227; Gil-Tabagua, *Fuentes*, გვ. 224-225, 362-366 (№ 32-33); მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

107 თვალსაჩინოებისათვის იხ. სომხური და ბერძნული ტექსტების ფაქსიმილე და მათი კრიტიკულად დადგენილი ტექსტები F. Macler, დასახ. ნაშრ., შესაბამისად [1-2] ტაბ., გვ. 71-72 და [3] ტაბ., გვ. 75-76.

108 F. Macler, დასახ. ნაშრ., გვ. 76-78 (სომხური ორიგინალის ძველი ესპანური თარგმანი), 78-80 (ამ დოკუმენტის მაკლერისეული ფრანგული თარგმანი).

109 F. Macler, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

110 იხ. ე. მამისთვალისძევილი, დასახ. ნაშრ., გვ. 309.

111 F. Macler, დასახ. ნაშრ., გვ. 78-80.

112 ტაბალუა, *საქართველო*, 1, გვ. 222-224.

ტრანსილვანიაზე მითითება უტყუარი რომც ყოფილიყო, გაუგებარია იქნებოდა, რატომ უნდა ეთხოვა სიმონ მეფეს ესპანეთის მეფისთვის, არ დადებულყო ოსმალეთის იმპერიასა და ტრანსილვანიის სამთავროს შორის სამშვიდობო ზავი.

იმპერატორისთვის გადაცემულ წერილებთან დაკავშირებით ლ. ტარდი წერდა:

ეს ბარათები საინტერესო უფროა, ვიდრე – რამეთი მნიშვნელოვანი. მართალი რომ ვთქვათ, მათში მხოლოდ გამოთქმულია რწმენა, რომ ოსმალეთის ჯარი ვერაფერს დააკლებს იმპერატორის მიწა-წყალს. [ეს] ბარათები შეიცავს, უპირველეს ყოვლისა, ურთიერთპატივისცემის გამოხატვის მიღებულ [ფორმებს].¹¹³

ძნელია, ვირწმუნოთ, ქართლის მეფის ელჩს გრძელი და ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობა ევროპაში მხოლოდ თავაზიანი წერილების ჩასატანად წამოეწყო. ჩვენი აზრით, მას სიტყვიერად უნდა გადაეცა იმპერატორისთვის უმთავრესი დანაბარები. ლ. ტარდის აზრით, ამ ელჩობამ შედეგი ვერ გამოიღო არა მარტო დასავლელ მონარქთა შეზღუდული გამჭრიახობის, არამედ – იმის გამოც, რომ იმპერატორ რუდოლფის ერთგულმა თანამოაზრემ, რაიმონდო დელა ტორემ, რომელსაც ქართლის მეფის ელჩის სამშობლოში გამომგზავრების ორგანიზაცია დაევალა, და კარდინალმა სანტორომ გამიზნულად მიანოდეს არასწორი ინფორმაცია ვენეციის ელჩს, რადგანაც მათი სახელმწიფო ინტერესები ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო. ელჩმა ვენდრამინმაც ზედმეტად პესიმისტურად შეაფასა ტერ იაკობის წინადადებები. ყოველივე ამის შედეგად, 1597 წ.-ის 20 სექტემბერს იგი ისევ პრალაში იმყოფებოდა პასპორტის მიღების მოლოდინში, რათა სამშობლოში დაბრუნებულიყო.¹¹⁴

1596-1597 წწ.-ში სიმონ მეფის მცდელობა, ოსმალეთის წინააღმდეგ შეექმნა ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია, მარცხით დამთავრდა, რადგან ამ ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, ტერიტორიული თუ რელიგიური ინტერესები ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო. ამასთან, განსხვავებული იყო თითოეული სახელმწიფოს დამოკიდებულება ოსმალეთის იმპერიასთან, რომელიც ევროპის ზოგიერთ ქვეყანას გამორჩეულ პრივილეგიებს ანიჭებდა სპეციალური ხელშეკრულებებით, ე.წ. „კაპუტულაციებით“.¹¹⁵ ამიტომ შაჰ აბასსა და სიმონ I-ს მხოლოდ საკუთარი სამხედრო ძალის იმედი უნდა ჰქონოდათ.

1597 წ.-ს შაჰ აბასმა სასტიკად დაამარცხა უზბეკები და ქურთები, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის მოკავშირეებად ითვლებოდნენ, ხოლო სიმონმა 1598 წ.-ს განაახლა სამხედრო ოპერაციები ოსმალთა წინააღმდეგ. ამდენად თავიდან ბოლომდე ყალბი იყო რუსეთის იმპერიის პოსოლსკი პრიკაზის მეთაურისა და იმპერატორ რუდოლფ II-ის კარზე ბორის თეოდორეს ძის (გოდუნოვის) (1598-1605) ელჩის, ათანასი ივანეს ძე ვლასევის († 1610 წ.-ის შემდეგ) განცხადება იმის შესახებ, თით-

113 Tardy, *Simon* №, 2, გვ. 167.

114 იქვე, გვ. 168.

115 ტერმინი „კაპუტულაცია“, წარმოდგება ლათინური სიტყვის „caput“, ანუ „თავი“ შუასაუკუნოვანი კინობითი ვარიანტიდან „capitulum“. ამ სახის იურიდიულ დოკუმენტებს ეს სახელი დაერქვა იმის გამო, რომ მათი ტექსტი თავებად იყო დაყოფილი. ოსმალეთის იმპერიის მიერ ევროპის სახელმწიფოებთან დადებული კაპუტულაციების შეს. იხ. *The Ottoman capitulations: text and context*, eds. M. H. van den Boogert and K. Fleet, Rome: Istituto per l'Oriente C. A. Nallino, 2003; M. H. van den Boogert, *The capitulations and the Ottoman legal system: qadis, consuls, and beraths in the 18th century*, Leiden: Brill, 2005.

ქოს, სიმონს ომი რუსეთის მეფის ბრძანებით დაეწყო.¹¹⁶ სინამდვილეში, ქართლის მეფემ იგი საგანგებოდ სწორედ იმ დროს დაიწყო, როდესაც ოსმალეთის იმპერია შინაგანი არეულობით იყო მოცული.¹¹⁷

ცნობები ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ სიმონ მეფის ინტენსიური და სირთულეებით აღსავსე სამხედრო ოპერაციების შესახებ ისევე აღწევდა ევროპაში, მათ შორის – ვენეციაში. ჯერ ლუარსაბ I-ისა და მერე სიმონ მეფის ადგილსამყოფლის, ხოლო შემდგომ ოსმალთა მიერ დაპყრობილი გორისათვის 1598 წ.-ს მის მიერ ალყის შემორტყმას უნდა ეხმაურებოდეს 1598 წ.-ის 18 აპრილს კონსტანტინოპოლში ვენეციის რესპუბლიკის რეზიდენტი ელჩის ცნობა იმის შესახებ, რომ „სიმონ ქართველმა გორი და დმანისი აიღო და კიდევ მრავალი გამარჯვება მოიპოვა“.¹¹⁸ როგორც ცნობილია, ქართლის მეფემ გორი ბრწყინვალე სამხედრო სტრატეგიის განხორციელებით გაათავისუფლა 1598 წ.-ის დიდმარხვისას,¹¹⁹ ხოლო მითითება დმანისზე უნდა გულისხმობდეს ფერჰად ფაშას მიერ 1584 წ.-ს დმანისში აგებულ ციხე-სიმაგრეს, რომელზედაც მოგვითხრობს ჯ. ტ. მინაღოი.¹²⁰

ოსმალეთის სულთნის მიერ ქართლის მეფის დასასჯელად წარგზავნილი თავრიზისა და ვანის ბეგლარბეგის, ჯაფარ ფაშას (გარდ. 1600/1) ჯარებთან შეტაკების გამოძახილი უნდა იყოს რეზიდენტი ელჩის 1598 წ.-ის პირველი მაისის ცნობა: „სპარსეთისა და ქართველების შესახებ სხვას არაფერს ამბობენ, თუ არა იმას, რომ განუწყვეტილ საუბარია სახელმწიფოში¹²¹ და იმპერიის სხვა ნაწილებში დიდი მღელვარების შესახებ“.¹²² იმავე წლის 29 მაისს კი იგი იტყობინებოდა: „ვარაუდობენ, რომ პირდაპირ ალი ხანის წი(ნაღ)მდეგ წავლენ, და [ამის] ასაშენებლ(ა)დ ქართველი ... რომ ქართველი [ალბათ, იგულისხმება სიმონ მეფე, – გ. შ.] მოსვენებას არ აძლევს იმ სა(ზღ)ვრებს“.¹²³ 1599 წ.-ის 4 სექტემბერს რეზიდენტი ელჩი რესპუბლიკას სწერდა:

ხმა დაირხა სიმონ ქართველის ქურთების ერთი ბელადის მიერ საქართველოს საზღვართან [ახლოს მდებარე] არზრუმის¹²⁴ ალების შესახებ. ამ ამბის გამო მუფტიმ დიდის ამბით უჩივლა სიმონ ქართველს სპარსეთის ელ(ჩ)თან.¹²⁵

116 *Памятники дипломатических сношений с Римскою империею, 2 (с 1594 по 1604 год), С.-Пб., 1852 (Памятники дипломатических сношений древней России с державами иностранных),* სვ. 695.

117 ე. მამისტვალისძე, დასახ. ნაშრ., გვ. 320.

118 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600),* ფ. 251v-252r.

119 *ნარკვევები, 4, გვ. 147-148.*

120 Minadoi, *Historia,* გვ. 230-231.

121 დედანში სტრიქონის ბოლოს წერია: „Na-“, რომელიც უნდა ნიშნავდეს „Na[tione]“, ანუ „ერი“, „სახელმწიფო“. როგორც ჩანს, გადაშენებული აპირებდა სიტყვის გადატანას და შემდეგ სტრიქონზე დააინყდა მისი მეორე ნაწილის დანერა.

122 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600),* ფ. 253r.

123 იქვე, ფ. 257v.

124 როგორც ცნობილია, ამ ქალაქის, ანუ ძველი ბიზანტიური თეოდოსიოპოლის, სახელი სხვადასხვა ფორმით არის გავრცელებული სხვადასხვა ენაში. ვარიანტი „არზრუმი“ წარმოდგება არაბული შესიტყვებიდან „*Arđ al-Rūm*“, რომელიც სპარსულში გადასულია როგორც „*Arz-e Rūm*“ და ნიშნავს რუმთა, ანუ რომაელთა, ანუ ბიზანტიელთა მხარეს, ქვეყანას.

125 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600),* ფ. 267v.

საინტერესოა, რომ ამ ჩანაწერში სიტყვები „da Simon Giorgiano“, ანუ „სიმონ ქართველის მიერ“ გადახაზულია და წერია: „da un capo di chiurdi“, ანუ „ქურთების ერთი ბელადის მიერ“.

ჯაფარ ფაშას ქართლში ლაშქრობას, რომელიც 1599 წ.-ს ნახიდურთან სიმონ მეფის ლალატიტ შეპყრობითა და კონსტანტინოპოლში იედი ყულეს ციხეში მისი გამომწყვდევით დამთავრდა,¹²⁶ ესმაურება რეზიდენტი ელჩის ცნობა: „ეს იმ(სა)თვის მოხდა, რათა დაეპყროთ ქართველთ(ა) ქვეყანა და რ(ა)თა დაეღუპათ მათი მეფე სიმონი“.¹²⁷ ეს ლაკონური ფრაზა საუცხოოდ განასახიერებს სიმონის, როგორც თავად საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოს.

დასკვნა

ვენეციური, რიგი ევროპული ქვეყნების საარქივო მასალების, აგრეთვე, ქართული, თურქული, სპარსული და სხვა ქვეყნების ისტორიული წყაროების მოკლე მიმოხილვაც კი თვალნათლივ წარმოგვისახავს ქართლის მეფეს, სიმონ I-ს სახელგანთქმულ გვირგვინოსნად, გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწედ, დიდ პოლიტიკოსად, ბრძენ დიპლომატად, მხედართმთავრად და გულანთებულ მამულიშვილად. ამას პირუთვნელად ადასტურებს მიხეილ თამარაშვილის, ბეჟან გიორგაძის, ლაიოშ ტარდის, ილია ტაბალუასა და ელდარ მამისთვალიშვილის საეტაპო ნაშრომები.

დიდად მისასაღმებელია, რომ ეს-ესა დაიწყო თავისი სამშობლოსათვის თავშენიერილი პატრიოტის შესახებ არსებული დოკუმენტური წყაროების სიღრმისეული შესწავლა და თანდათანობით იკვეთება მისი მონუმენტური ფიგურა. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა კი მხოლოდ დასაწყისია ვენეციის სახელმწიფო არქივსა და, საზოგადოდ, ევროპის არქივებში ამ მიმართულებით ჩასატარებელი სისტემური მუშაობისა, რაც საჩინოს გახდის ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის ქართლის გმირი მეფის თავგანწირული ბრძოლის შედეგებს.

126 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, 2, ტფ.: კ. ი. მუხრანბატონის გამოცემა, 1897, გვ. 431; ნარკვევები, 4, გვ. 149; შდრ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 2, თბ.: სახელგამი, 1959, გვ. 380, 536; მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ [=] *Сведения о Грузии и Кавказе* [=] *Gürcüstan ve Kafkasya hakkında bilgiler*, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლეულია და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ [=] *турецкий текст с грузинским переводом подготовил к изданию, исследованием и примечаниями снабдил Н. Н. Шенгелия* [=] *Metni, Biz Arastirma, Gürcüce Çeviri ile Nottari Hazirlıyan N. Sengelia*, თბ., 1979 (საქართველოს ისტორიის წყაროები, 14; საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, 8), გვ. 83, 339.

127 ვენეციის სახელმწიფო არქივი, *Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche*, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600), ფ. 273r.

შემოკლებანი

გაბაშვილი, ისტორიიდან = ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები, XVI-XVII სს.), ჟრნ. «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის» 31 (1954), გვ. 59-128.

თამარაშვილი, ისტორია = მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შინა, ნამდვილ საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ., 1902.

ისქანდერ მუნში, ცნობები = ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ [=] *Сведения Искандера Мунши о Грузии* [=] *Excerpta Historiae Iskander Munši ad Georgiam pertinentia*, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუტურიძემ [=] персидский текст с грузинским переводом и предисловием издал В. С. Путуридзе [=] *textum persicum cum versione georgica et introductione edidit V. Puturidze*, თბ.: მეცნიერება, 1969 (საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, 23).

ნარკვევები, 1-8 = საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, 1-8, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1970-1980.

ტაბალუა, საქართველო, 1-3 = ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), [1], თბ.: მეცნიერება, 1984; საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნსაცავებში (XIII-XX სს-ის პირველი მეოთხედი), 2 (1600-1626), თბ.: მეცნიერება, 1986; 3 (1628-1633), თბ.: მეცნიერება, 1987.

Acte relative la războaiele și cuceririle lui Mihaî-vodă Viteazul = *Acte relative la războaiele și cuceririle lui Mihaî-vodă Viteazul*, adunate și publicate de N. Iorga, sub auspiciile Ministeriului Cultelor și Instrucțiunii publice și ale Academiei Române, București, 1903 (Documente privitoare la istoria românilor, culese de Eudoxiu de Hurmuzaki, 12).

Albèri, *Relazioni*, 3:1-2 = *Relazioni degli ambasciatori veneti al Senato*, raccolte, annotate ed edite da E. Albèri, Serie III, [*Le relazioni degli Stati ottomani*], 1-2, Firenze: Tipografia e calcografia all'insegna di Clio, 1840-1844.

Berchet, *Relazioni* = *Relazioni dei consoli veneti nella Siria*, [a cura di Guglielmo Berchet], Torino: Tipografia di G. B. Paravia e comp., 1866.

Berchet, *Repubblica* = *La Repubblica di Venezia e la Persia*, [a cura di Guglielmo Berchet], Torino: Tipografia di G. B. Paravia e comp., 1865.

DBI, 1- = *Dizionario biografico degli italiani*, 1-, Roma: Istituto della Enciclopedia Italiana fondata da Giovanni Treccani, 1960-.

Gil-Tabagua, *Fuentes* = L. Gil Fernández, I. Tabagua, *Fuentes para la historia de Georgia en bibliotecas y archivos españoles (siglos XV-XVII)* [=] დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), Madrid: Editorial Complutense, 1993.

Minadoi, *Historia* = Gio. Thomaso Minadoi da Rovigo, *Historia della guerra fra Turchi, et Persiani, divisa in libri nove, nella quale chiaramente si scoprono la causa, i progressi, e tutti gli accidenti, e fattioni in quella avvenuti, con una descrizione di tutte le cose pertinenti alla religione, alle forze, al governo, et al paese del Regno de' Persiani, Et una lettera all'illustre sig. Mario Corrado, nella quale si dimostra qual città fosse anticamente quella, c'hora si chiama Tauris, aggiuntivi ancho gli argomenti à tutti i libri, & una nuova carta di geografia, per maggior chiarezza delle cose narrate nell'Historia, con tre tavole, una per la dichiarazione delle voci barbare, l'altra per la ricognitione de' nomi antichi, la terza delle cose più notabili, In Venetia: Appresso Andrea Muschio, & Barezzo Barezzi, 1594.*

Tamarati, *Église* = M. Tamarati, *L'Église géorgienne des origines jusqu'à nos jours*, Rome: Imprimerie de la Société typographico-éditrice romaine, 1910.

Tardy, *Simon I^{er}*, 1-2 = L. Tardy, *Le roi Simon I^{er} à la lumière des sources d'Europe centrale contemporaines de son époque*, 1-2, 1916. «Bedi Kartlisa» 31 (1973), 83. 187-206; 1974, 32 (1974), 83. 147-174.

GAGA SHURGAIA

Documentary Materials in the State Archive of Venice about the King of Kartli, Simon I

Summary

This article focuses on documentary materials in the State Archive of Venice that are related to the King of Kartli, Simon I (1556-1569, 1578-1600), a dominant figure in Caucasian history and the historiography of the second half of the sixteenth century. During his reign, Simon first struggled for the political independence of his Kingdom against Safavid Persia and later allied with Persia against the Ottoman Empire at the height of its power. He also established diplomatic relations with Western European countries, which were anxious about the threat of Ottoman expansion in Europe.

A thorough study of the available documentary sources about this monarch has only recently begun, which makes it possible to grasp his true stature. Much work remains to be done in the State Archives of Venice and in Europe in general in order to reconstruct the story of how this statesman fought for the preservation of the independence and identity of his country.

თამარ ბატონიშვილთან გამოგზავნილი დიმიტრი ბატონიშვილის წერილები

როგორც ცნობილია, 1832 წლის შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოდან რუსეთის იმპერიის განდევნას და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას, 1826-1827 წლებში რუსეთში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა წრეში ჩაისახა. მისი თაოსნები იყვნენ მეფე ერეკლე II-ის (1720-1798) შვილიშვილები: **დიმიტრი იულონის ძე (1803-1845)** და ოქროპირ გიორგის ძე (1795-1857) ბაგრატიონები, რომლებიც შეთქმულების ე. წ. პეტერბურგულ და მოსკოვურ წრეებს ჩაუდგნენ სათავეში. მათ შემოიკრიბეს იმჟამად რუსეთში სასწავლებლად ჩასული ქართველი ახალგაზრდა არისტოკრატები და პატრიოტები და შთააგონეს აჯანყების განზრახვა.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის **#1457 ფონდში – ქართველთა 1832 წლის შეთქმულების გამოსაძიებელი მასალების კოლექცია (1832-1834)**, რომელიც 26 ხელნაწერ რვეულს აერთიანებს, დაცულია დიმიტრი ბატონიშვილის პირადი წერილები. 1831-1832 წლებში რუსულ ენაზე დაწერილი ეს ბარათები (მათ შორისა მხოლოდ ერთია ქართულენოვანი, რომელსაც წერს ადრესანტის ძმა ლუარსაბი (1789-1850) და რომელსაც ერთეის დიმიტრის რუსული მინაწერი). გამოგზავნილია პეტერბურგიდან საქართველოში დიმიტრის უფროს დასთან – თამართან. **თამარ ბატონიშვილი (1791-1857)**, რომელიც შეთქმულების თბილისურ წრეში მოქმედებდა, მისი ასევე უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. მას გამარჯვების შემთხვევაში ქვეყნის დროებითი მმართველის ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული. შეთქმულების გაცემის შემდეგ დიმიტრი ბატონიშვილი „დამნაშავეთა“ 1-ლ კატეგორიას („შეთქმულების მთავარი დამწყენი“) მიაკუთვნეს, ჩამოართვეს ბატონიშვილის („ცარევიჩის“) ტიტული და სამი წლით სმოლენსკში გადაასახლეს. თამარ ბატონიშვილი მიიჩნეის მე-3 კატეგორიის „დამნაშავედ“ („ვინც შეთქმულებაში აქტიურად მონაწილეობდა და ეთანხმებოდა აჯანყების იდეას“). იგი გადაასახლეს სიმბირსკში, სადაც 1836 წელს ჩასულმა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა (1796-1855) შეინყალა.¹

1832 წლის შეთქმულების ისტორიოგრაფიისათვის მეტად ღირებული დიმიტრი ბატონიშვილის ეს შემორჩენილი წერილები (მათი დანარჩენი ნაწილი განადგურებულია) მოიცავს როგორც ოჯახურ ამბებს, ასევე იმჟამად პეტერბურგში მყოფ ან იქიდან საქართველოში დაბრუნებულ სხვა შეთქმულთა შესახებ ცნობებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბარათების ტექსტებში ვხვდებით დაშინებულ ადგილებს – კოდურ სიტყვებსა და ფრაზებს, რომელთა განმარტებაც მნიშვნელოვანია შეთქმულების კონსპირაციის კრიპტოგრაფიული ასპექტის კვლევისათვის.

1 მ. ცერცვაძე, „წარავლინეს ექსორიად ციმბირისკისა ქალაქსა შინა“. თამარ ბატონიშვილი სიმბირსკში. ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, #16 (146), 2011, 5 აგვისტო, გვ. 22-24.

აღნიშნული წერილები 1832 წლის შეთქმულების დაუღალავმა მკვლევარმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი გოზალიშვილმა (1900-1988) თავისი ცნობილი სამტომეულის პირველ ტომში რუსულ ენაზევე შეიტანა.²

ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ დიმიტრი ბატონიშვილის წერილების ზემოხსენებული რუსული ტექსტების ქართულ თარგმანს და მათ კომენტარებსა და შენიშვნებს უახლესი კვლევების გათვალისწინებით. წერილების სტილი თითქმის შენარჩუნებულია. მათ ბოლოს რომაული ასოებით მოყვანილი რიცხვები აღნიშნავს არქივის შესაბამისი რვეულის ნომერს, ხოლო არაბული რიცხვები – დოკუმენტის ნომერს. პუბლიკაციას ვურთავთ ასევე მისთვის სპეციალურად შედგენილ ორ გენეალოგიურ ტაბულას, რომლებზეც ადრესანტი-ადრესატებთან ერთად წარმოდგენილი არიან წერილების ფიგურანტი ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის შეთქმული წევრები და შთამომავალნი. ტაბულები დაფუძნებულია ცნობილი გენეალოგის, ქართული გენეალოგიური საზოგადოების დამფუძნებლისა და პრეზიდენტის, იური ჩიქოვანის (1937-2018) კვლევებზე.

1831. 1 დეკემბერი.

1. საყვარელო დაიკო!

ცოტა ხნის წინათ მივიღეთ წერილი ზუ-ზუსგან,³ ეტყობა დედასაც მისწერა, ჯანმრთელადაა და იმავეს ლაპარაკობს, რასაც ადრე.

თქვენ რასა იქმთ, როგორ ატარებთ დროს? მზიარულად ხართ თუ არა? რატომ არაფერს მწერთ? ჩემი პატივისცემა ელიზბარს.⁴ შენი ძმა დიმიტრი (5274).

2 გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება. ტ. 1. ტფილისი, 1935, გვ. 106-111.

3 პიროვნების ვინაობა ვერ დავადგინეთ.

4 ელიზბარს – ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი (1810-1872) (ტაბულა 2, #19), გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური და აქტიური მონაწილე, საზოგადო მოღვაწე. დედის მხრიდან ის მეფე ერეკლე II-ის შთამომავალია. დედამისი ელენე იოანეს ასული ორბელიანი (1785-1817) ბატონიშვილ თამარ ერეკლეს ასულის (1749-1786) შვილიშვილია, მისი ვაჟის, სარდლისა და ქართლის სახლთუხუცესის იოანე დავითის ძე ორბელიანის (1765-1808) ქალიშვილი. 1823 წლიდან შვიდი წელი იმყოფებოდა პეტერბურგში და სწავლობდა საარტილერიო სასწავლებელში. 1830 წლის თებერვლის დასაწყისში გამოემგზავრა საქართველოში, სადაც მარტის დამლევს ჩამოაღწია. შეთქმულების საგამომიებო კომისიამ მიაკუთვნა დამნაშავეთა მე-2 ჯგუფს („შეთქმულების წამქეზებელი, რომლებიც ხალხს აღაგზნებდნენ შეთქმულებისათვისა და თვით აჯანყებისათვის“) და თერთმეტი წლით გადაასხლა ფინეთში, ჰენსინგფორსში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა გორში. ძმასთან, დიმიტრისთან ერთად წამოიწყო მენარმეობა და 1948 წელს სოფელ ლვარეში მინის ქარხანა დააარსა. 1845 წელს დაქორწინდა ქეთევან ერისთავზე (1826-1906), შალვა ერისთავისა (1798-1849) და ეკატერინე ორბელიანის (1802-1877) ასულზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავსა და მეგობარ ქალზე, რომელსაც ეძღვნება პოეტის ლექსი „ქეთევან“ (მის შესახებ იხ. რ. ჩხეიძე, მდინარესა ზედა ქსნისასა – ელიზბარ ერისთავის ცხოვრების ქრონიკა. თბ., 2008; მ. ცერცვაძე, ელიზბარ ერისთავის ოჯახური წრე და შთამომავლობა. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2012, # 9-10, გვ. 25-63).

2. საყვარელო დაიკო!

მივიღე თქვენი საყვედურიანი წერილი; ტყუილად მაბრალებთ იმას, რისი მოწერა არც კი მიფიქრია, სიმართლე ისაა, რომ ჩვენს ძმას⁵ უნდოდა თქვენთან გახუმრება და თქვენ შეცდით.

თუ მოგიხერხდებათ, გამოუცხადეთ ჩემი პატივისცემა ვახტანგს⁶ და ელიზბარს⁷ და სხვებს.

3. საყვარელო დაიკო!

თქვენმა ბოლო წერილმა დიდი სიამოვნება მომანიჭა. მე მიყვარს სამხრეთი და რაც შეიძლება მეტი მომწერეთ; გთხოვთ, დეტალებიც კი შემატყობინოთ და ა.შ.

ელიზბარი ჯანმრთელად არის? რას აკეთებენ ვახტანგი⁸ და ივანე მუხრანსკი.⁹ ელიზბარს გადაეცით, რომ ევრეინოვა გაახოვდა, მერე სხვასთან ერთად გაიქცა, ისეც მიატოვა და გაემგზავრა... პარიზში. თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი

1832

26 იანვარს (XXVI 5277)

5 ჩვენს ძმას – იგულისხმება თამარ და დიმიტრი ბატონიშვილების უფროსი ძმა **ლუარსაბ ბატონიშვილი (1789-1850)**.

6 ვახტანგს – **ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი (1812-1890)**, რომანტიკოსი პოეტი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, თამარ და დიმიტრი ბატონიშვილების მამიდაშვილი, თეკლე ბატონიშვილის (1776-1846) უმცროსი ვაჟი. ვახტანგ ორბელიანი ძმასთან დიმიტრისთან ერთად 1827 წლის 26 დეკემბერს გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც ისინი ლუარსაბ და დიმიტრი ბატონიშვილების ბინაში ცხოვრობდნენ. შევიდა აპუთა კორპუსში სასწავლებლად, მაგრამ ავადმყოფობის გამო მალევე იძულებული გახდა შეებრუნებოდა აედო და სამშობლოში დაბრუნებულიყო. 1829 წლის 6 სექტემბერს მოსკოვის გავლით ის საქართველოში გამოემგზავრა და 6 ოქტომბერს უკვე თბილისში იყო (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 2, თბ., 1970, გვ. 234). საგამოძიებო კომისიამ მიაკუთვნა დამნაშავეთა მე-3 ჯგუფს („ვინც შეთქმულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და აჯანყების მოხდენას ეთანხმებოდა“) და კალუგაში გადაასახლა. სამშობლოში ის 1837 წელს დაბრუნდა. დაკრძალულია სიონის ტაძარში. (მის შესახებ იხილეთ ჩვენს წიგნში, მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურიანი-ორბელიანისა. ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. V, თბ., 1991, გვ. 562).

7 ელიზბარს – აქ და ყველგან იგულისხმება ელიზბარ ერისთავი (იხ. კომენტარი 4).

8 ვახტანგს – აქ და ყველგან იგულისხმება ვახტანგ ორბელიანი (იხ. კომენტარი 6).

9 ივანე მუხრანსკი – **ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი (მუხრანსკი) (1812-1895)** (ტაბულა 2, #16), თავადი, გენერალ-ლეიტენანტი, მსხვილი მემამულე და მეურნე, თამარ და დიმიტრი ბატონიშვილების მამიდაშვილის შვილი. მამამისი კონსტანტინე (1779-1842) მეფე ერეკლე II-ის ქალიშვილის ქეთევან ბატონიშვილის (1764-1840) შვილია. მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებულ ბრძოლებში კავკასიელი მთიელების და ოსმალეთის წინააღმდეგ. არჩეული იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი და მისი თავმჯდომარე 1882-1885 წლებში. იგი ილია ჭავჭავაძის „გამოცანების“ ერთ-ერთი ადრესატია. დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში.

4. საყვარელო დაიკო.

ამ წერილის მომტანი თქვენთვის ნაცნობი ადამიანია. სოლომონ ივანოვიჩ რაზმაძე¹⁰ გრაფ სიმონიჩთან¹¹ ერთად მიდის სპარსეთში; მან მთხოვა, რეკომენდაცია გაეწერა მას თქვენთან და დაბეჯითებით მთხოვს იმასაც, რომ თქვენ თქვენი მხრივ რეკომენდაცია გაუწიოთ მას გრაფინიასა¹² და თავად გრაფ სიმონიჩის მაღლიანი კეთილგანწყობის მისაღებად. თავისი ღირსებებით ის ამას იმსახურებს.

სხვა რა დაწერო – არ ვიცი. მაღლობა ღმერთს, ვარ ჯანმრთელი¹³ და ბევრად ბედნიერი... დიმიტრი ერისთავი¹⁴ დღეს გაემგზავრა პეტერბურგიდან, გრაფი სიმონიჩი კი ზეგ მიდის.

თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი
1832

თებერვლის 1 დღესა.

5. უსაყვარლესო დაო თამარ.¹⁵

მოგილოცამ მარხვას. შენი წიგნი მოგვივიდა 28 იანვრის დაწერილი 17 თებერვალს. ჩვენს ამბავს მოიხსენებთ, ღვთით ყველანი მშვიდობით გახლავართ. მაღლობა ღმერთსა, რომ თქვენც მშვიდობით ბრძანდებით. მთავარმართებლისა¹⁶ დავი-

- 10 სოლომონ ივანოვიჩ რაზმაძე – სოლომონ ივანეს ძე რაზმაძე (1797-1860) – შეთქმულების მოწინააღმდეგე, ქართველი პოეტი, მთარგმნელი, ავტორი არაკისა „დათვი და ცხვარი“. 1810 წლიდან ოცდაორი წელი ცხოვრობდა პეტერბურგში თეიმურაზ ბატონიშვილთან (1782-1846), რომლის შემწეობითაც მიიღო მცირეოდენი განათლება, შეისწავლა აღმოსავლური ენები. 1832 წლის 21 მარტს დაბრუნდა საქართველოში. ამავე წლის 13 აგვისტოს გაემგზავრა თავრიზში, სადაც სპარსეთში რუსეთის ელჩის მდივნად მუშაობდა. შეთქმულების გაცემის შემდეგ, 1835 წელს მკაცრი ყარაულით თავრიზიდან თბილისში ჩამოიყვანეს. საგამოძიებო კომისიამ მიაკუთვნა დამნაშავეთა მე-4 ჯგუფს („ვინც შეთქმულების თანახმა იყო, მაგრამ მონაწილეობდა მასში არასაკმარისად ან ორიდან ერთ-ერთი წლის განმავლობაში, აჯანყების შესახებ კი ნაწილობრივ იცოდა“) და პენზაში სამუდამოდ გადაასახლეს, სადაც დაცოლმულიდა. დაკრძალულია იქვე (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება. ტ. 2. თბ., 1970, გვ. 274).
- 11 გრაფ სიმონიჩთან – ივან ოსიპის ძე სიმონიჩი (1793-1850), დაღმაცეილი გრაფი, გენერალ-მაიორი, რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი სპარსეთის კარზე 1832-1838 წლებში.
- 12 გრაფინიასა – იგულისხმება ივან სიმონიჩის ქართველი მეუღლე, თავადის ქალი ანა ოთარის ასული ამილახვარი (1800-1866), თამარ და დიმიტრი ბატონიშვილების ალალი ბიძაშვილი, მათი დედის სალომეს (1766-1827) ძმის, გენერალ-მაიორ ოთარ ამილახვრის (1756-1828) ქალიშვილი, ამავედროულად თეიმურაზ ბატონიშვილის ცოლისდა.
- 13 ჯანმრთელი – დიმიტრი ბატონიშვილი სუსტი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა. ამით აიხსნება წერილებში მისი ხშირი საუბარი საკუთარ ჯანმრთელობაზე.
- 14 დიმიტრი ერისთავი – დიმიტრი შანშეს ძე ერისთავი (1811-1854), ელიზბარ ერისთავის ძმა, არტილერის პრაპორშჩიკი, შემდგომ შტაბს-კაპიტანი, 1832 წლის შეთქმულების მოწინააღმდეგე. პეტერბურგში იმყოფებოდა 1825-დან 1832 წლამდე, სადაც ის საარტილერიო სასწავლებელში სწავლობდა. საქართველოში 1832 წლის 7 აპრილს, ხოლო თბილისში 16 აპრილს დაბრუნდა (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 2. თბ., 1970, გვ. 283). შეთქმულების საგამოძიებო კომისიამ მიაკუთვნა დამნაშავეთა მე-3 ჯგუფს („ვინც შეთქმულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და აჯანყების მოხდენას ეთანხმებოდა“). გარდაიცვალა უცოლმული.
- 15 წერილი ქართულადაა დაწერილი.
- 16 მთავარმართებლისა – იგულისხმება გრიგოლ ვლადიმერის ძე როზენი (1782-1814), ბარონი, რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მთავარმართებელი 1831-1837 წლებში.

არებო, აგრე ჯობს რომ ხშირად იარო და კარგათ გაიცნო. ღრაფი¹⁷ წამოვიდა, ეს ორი კვირა იქნება. ახლა მანდ იქნება, ვგონებ, თუ ცუდი გზები არ შეხვდა, მალე მოაშურებდა წამოსვლას. მათს უგანათლესობას ჩემს საკუთარ ხელის კოცნას მოვახსენებ.

გიორგი¹⁸ აპირებს დღეს წამოსვლას. არ ვიცი, მართალია თუ არა. ამას კაცი არ უნდა დაემდუროს, დილის ექვს საათზე დგება, პირველს სათამდინ სულ ვიზიტშია, ვერ მოიცლის წიგნის მოხერხებას. პრასკოვია პეტროვნა არ უნდა დაემდუროს ამის მიზეზით – თქვენი მამიდაშვილი იოვანე¹⁹ გიახლათ, ხვალ ლუარსაბს²⁰ შემოველით, ექვს მარტს დიმიტრის²¹ იოვანე კი ძალადმა (?) ჯერ კი არ აპირებს წამოსვლას, ცოტა აქ საქმე მავსო. კაკატო²² მომიკითხეთ, მეთემ²³ და დილარამ²⁴ და იაგორამ²⁵ ხელს გაკოცათ. ყველამ სიყვარულით მოკითხვა გიბრძანეს.

17 ღრაფი – ივან ოსიპის ძე სიმონიჩი (1793-1850).

18 გიორგი – გიორგი რევაზის ძე ერისთავი („ატამანი“) (1812-1891), გენერალ-ლეიტენანტი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, თამარ და დიმიტრი ბატონიშვილების მამიდაშვილი, ანასტასია ბატონიშვილისა (1764-1840) და რევაზ ქსნის ერისთავის (ჩანს 1757 – გ. 1813) ვაჟი (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 2, თბ., 1970, გვ. 259). 1825 წლის 3 სექტემბერს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მეხუთე კლასის მოსწავლე დედამისმა პეტერბურგში წაიყვანა, სადაც მან განაგრძო სწავლა. მონაწილეობდა მეფის რუსეთის საწინააღმდეგო 1830-1831 წლების პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების ჩაქრობაში. 1832 წლის ივლისში ის თბილისში დაბრუნდა და ჩაება შეთქმულებაში. მართალია, შეთქმულების საგამოძიებო კომისიამ მიაკუთვნა დამნაშავეთა მე-3 ჯგუფს („ვინც შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობას იღებდა და აჯანყების მოხდენას ეთანხმებოდა“), მაგრამ მასთან აქტიური თანამშრომლობის გამო ის აღარ გაასამართლეს და ადმინისტრაციული წესით გაგზავნეს არხანგელსკის გარნიზონის ბატალიონში. სამშობლოში კაპიტნის ჩინით 1840 წელს დაბრუნდა. ცოლად ჰყავდა თავად ივანე არლუთინსკის ასული ანა (1826-1882წ.-ის მერე).

19 იოვანე – ივანე გიორგის ძე ჩოლოყაშვილი (1798-1860), მაიორი, თამარ და დიმიტრი ბატონიშვილების მამიდაშვილი, ეკატერინე ბატონიშვილის (1774-1818) და სახლუხუცეს გიორგი გივის ძე ჩოლოყაშვილის (1773-1806) ვაჟი, გარდაიცვალა უცოლმეილო. პეტერბურგში დაარსებული საგამოძიებო კომისიის მასალების მიხედვით მან უარყო რაიმე კავშირი შეთქმულებასთან: „დიმიტრი ბატონიშვილთან ხშირად ყოფილა, მაგრამ არ გაუგონია რომ ან მას, ან მასთან მოსიარულეს ვისმე ჰქონოდა არაკეთილზრახვებიანი საუბარი, განსაკუთრებით კი საქართველოს რუსეთისგან ჩამოცილების შესახებ, არც თვითონ ჰქონია ამაზე საუბარი და არც საერთოდ საქართველოში აღმოჩენილ შეთქმულებაზე იცის რამე“ (გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. 3. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1976. გვ. 204).

20 ლუარსაბს – ლუარსაბ გიორგის ძე ჩოლოყაშვილი (1805-1864), გადამდგარი პორუჩიკი, თამარ და დიმიტრი ბატონიშვილების მამიდაშვილი, ეკატერინე ბატონიშვილის და სახლუხუცეს გიორგი გივის ძე ჩოლოყაშვილის ვაჟი, ივანე ჩოლოყაშვილის უმცროსი ძმა. მან, ისევე როგორც მისმა ძმამ, საგამოძიებო კომისიასთან უკუაგდო ყველა ჩვენება მის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ „ბატონიშვილთან არასოდეს ყოფილა რამე განსაკუთრებული მიზნობრივი კრება და როდესაც ნაცნობები შეიკრიბებოდნენ, მუდამ იყო საუბარი მხოლოდ ლიტერატურაზე, მუსიკაზე და სხვა მისთანებზე, პოლიტიკას კი არასოდეს ჰქონია ადგილი მათს მსჯელობაში, ამიტომაც მას არ გაუგონია არავითარი უმართებულო საუბარი, განსაკუთრებით კი საქართველოს რუსეთისგან ჩამოცილების შესახებ საუბარი“ (გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტ. 3. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1976. გვ. 204).

21 დიმიტრის – ივლისისებმა დიმიტრი ერისთავი (იხ. კომენტარი 14).

22 კაკატო – სავარაუდოდ, ოჯახის მსახური.

23 მეთემ – სავარაუდოდ, ოჯახის მსახური.

24 დილარამ – სავარაუდოდ, ოჯახის მსახური.

25 იაგორამ – სავარაუდოდ, ოჯახის მსახური.

გთხოვთ, რომ მომწეროთ მართლა გორს აშენებინებთ სახლებს. ასე გავიგონე. კარგი იქნება, თუ კაი ალაგია.

შენი ძმა ლუარსაბ.

1832 წ. თებერვლის 23, თქვენმა მამიდაშვილმა იოვანეშ²⁶ ხელს კოცნა მოგახსენათ. (XXVI 5281).

ამ წერილის მეოთხე გვერზე დიმიტრი ბატონიშვილს რუსულად მიუწერია:

საყვარელო დაიკო!²⁷

დღეს ჩამოვიდა კაპიტანი ლუარსაბ ჩოლოყაყევი, რომელმაც დაასრულა ლაშქრობა²⁸ და გაუძღო ქოლერას,²⁹ არაფერი-არაფერი-არაფერი. მისი ძმა ივანე ერთი კვირაა, აქ არის. თათარიც³⁰ მალე იქნება და ჩვენ ყველანი ჯანმრთელად ვართ. ქაიხოსროს³¹ რამდენიმე ასეული ჯვარი და მედალი აქვს... სხვა რაღა მოგწეროთ, თავადაც ყველაფერს მიხვდებით.

1832 23 თებერვალს
თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი

26 იოვანეშ – იგულისხმება ივანე ჩოლოყაშვილი (იხ. კომენტარი 19).

27 წერილზე დიმიტრი ბატონიშვილის ეს ბოლო მონაწერი შესრულებულია რუსულად.

28 ლაშქრობა – იგულისხმება პოლონეთის 1830-1831 წლების ანტიიმპერიული აჯანყება.

29 ქოლერას – 1830-1831 წლებში ისტორიაში პირველად რუსეთში იფეთქა მე-19 საუკუნისათვის ყველაზე საშიშმა, მომაკვდინებელი ქოლერის ეპიდემიამ. პეტერბურგში მისი პირველი ნიშნები 1831 წლის აპრილში გამოჩნდა. 1830-1831 წწ.-ის პოლონეთის აჯანყების დროს მარტო რუსულ არმიამ ქოლერისგან 12 ათასზე მეტი სამხედრო პირი გარდაიცვალა.

30 თათარიც – აქ და ყველგან სხვაგან „თათარში“ იგულისხმება დიმიტრი (პაჭონე) ვახტანგის ძე ორბელიანი (1806-1882), გვარდიის პოდპორუჩიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, თამარ და დიმიტრი ბატონიშვილების მამიდაშვილი, თეკლე ბატონიშვილის შუათანა ვაჟი, ალექსანდრე ბარიატინსკის (1815-1862) სიმამრი. კავკასიაში მოგზაურობისას დიმიტრი ორბელიანს თბილისში სტუმრობდა ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომელმაც ჩანაწერები მისი ოჯახის შესახებ შეიტანა თავის წიგნში „კავკასია“ (იხ. ალ. დიუმა, „კავკასია“, თბ., 1970, გვ. 277). გამოძიებას მან უჩვენა, რომ 1832 წლის 28 სექტემბერს პეტერბურგიდან მოსკოვის გავლით შევებულებით სამშობლოში გამოემგზავრა. „ოქტომბრის 3-ს მოსკოვს მივედი, 7-ს კი იქიდან გამოვემგზავრე ოქტომბრის 28-ს ტფილისს ჩამოვედი“ (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 2, თბ., 1970, გვ. 231). შეთქმულების საგამოძიებო კომისიამ მიაკუთვნა დამნაშავეთა მე-4 ჯგუფს („ვინც შეთქმულების თანახმა იყო, მაგრამ მონაწილეობდა მასში არასაკმარისად ან ორიდან ერთ-ერთი წლის განმავლობაში, აჯანყების შესახებ კი ნაწილობრივ იცოდა“) და ჯერ პენზაში, შემდეგ კალუგაში გადაასახლეს. დაკრძალულია ქაშუეთის ტაძარში.

31 ქაიხოსროს – უნდა იგულისხმებოდეს ქაიხოსრო ომანის ძე ჩოლოყაშვილი (1818-1856-ის მერე) (მის შესახებ იხ. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 2, თბ., 1970, გვ. 100).

6. საყვარელო დაიკო.

ძმას ძალიან სწყინს, მის ქართულ ლექსებს რომ დასცინით. ნავიკითხეთ სოლომონ დოდაევის³² ჟურნალი,³³ რას ვიზამთ, პირველი ცდაა. ვიმედონებ, მერე უკეთესი გახდება. ახლა შემოდის თათარი – დიმიტრი ორბელიანოვი ისეთივე მახინჯია ან შეიძლება უფრო მეტადაც, ვიდრე ადრე იყო.³⁴

თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი (5282)

7. საყვარელო დაიკო.

მოგილოცავთ სახელობის დღეს, ვფიქრობ, ამ წერილს თქვენ მიიღებთ ზუსტად მაგ დღეს ან მის მახლობლად,³⁵ ყოველ შემთხვევაში მე და ჩემი ძმა ასე შევეცადეთ – თუ დიმიტრი ერისთოვი უკვე მოვიდა და გესტუმრათ, გადაეცით მას, რომ მისგან წერილს ველოდები.

თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი
1832 წ
აპრილის 5-ს (XXVI 5286)

- 32 სოლომონ დოდაევის – სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი, (1805-1836) – ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, ლოგიკის ქართული მეცნიერული სკოლის დამფუძნებელი, ავტორი მრავალი გავლენიანი სამეცნიერო შრომისა ლოგიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის სფეროებში 1824 წელს სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა პეტერბურგში. 1825 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1827 წელს წარჩინებით დაამთავრა ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხით და იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში. შეთქმულების საგამოძიებო კომისიამ მიაკუთვნა დამნაშავეთა მე-2 ჯგუფს („შეთქმულების ნამქვზებელნი, რომლებიც ხალხს აღაგზნებდნენ შეთქმულებისათვისა და თვით აჯანყებისათვის“) და 1834 წელს 10 წლით ვიატკაში გადაასახლა, სადაც ტუბერკულოზით გარდაიცვალა. 1994 წელს ვიატკიდან გადამოსვენებულ იქნა საქართველოში და დაიკრძალა თბილისის მთაწმინდის პანთეონში.
- 33 ჟურნალი – იგულისხმება პირველი ქართული პერიოდული გამოცემა, ჟურნალი „სალიტერატურნო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (ფორმალურად გაზეთი „ტფილისის უწყებანი“) ლიტერატურული დამატება, რეალურად – დამოუკიდებელი ჟურნალი, 1832 წლის შეთქმულების ორგანო, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო სოლომონ დოდაშვილი. გამოცემის პირველი ნომერი 1832 წლის იანვარში, ხოლო ბოლო, მე-5 ნომერი – იმავე წლის 15 მარტს გამოვიდა. მასში ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები – შეთქმულების მონაწილენი და მათთან დაახლოებული პირები თავიანთ ორიგინალურ და ნათარგმნ ნაწარმოებებს ბეჭდავენ (ერცულად ჟურნალის შესახებ იხ. თ. ჯოლოგუა, ქართული ჟურნალიტიკის ისტორია. თბ., 2013, გვ. 53-81).
- 34 ახლა შემოდის თათარი – დიმიტრი ორბელიანოვი ისეთივე მახინჯია ან შეიძლება უფრო მეტიც, ვიდრე ადრე იყო – დამოფრული ფრანზა – შეთქმულნი ერთმანეთის მახინჯებს უწოდებდნენ.
- 35 გილოცავთ სახელობის დღეს, როგორც ჩანს, ამ წერილს თქვენ მიიღებთ ზუსტად მაგ დღეს ან მის მახლობლად – იგულისხმება თამარობა, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მეფე თამარის ხსენების დღე, რომელიც საქართველოში 14 მაისს აღინიშნება.

8. გავიგეთ, რომ სოლომონი³⁶ წარმოადგენს მანდ ფრანტს³⁷ ა და ბონ-ტონს,³⁸ და თავს ვერ ვიკავებთ სიცოლისაგან, ვიციით რა მისი უნარები, ფიგურა და სიფათი. გთხოვთ, მოგვენეროთ, რაებს სწადის ის მანდ.

ჩემი პატივისცემა ელიზბარს, ვახტანგს, დიმიტრის³⁹ და ყველა სხვა მახინჯს.

თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი
1832
აპრილის 19-ს (XXVI 5286)

9. დიდად ვმადლობ ვახტანგს იმისათვის, რომ აპირებს ფრანგულადაც მომწეროს, უთხარით მას, რომ ამას სკოლის სუნი ასდის. ქართულად მომწეროს, მადლობელი ვიქნები⁴⁰ ელიზბარი რასა იეს, ბალვანი, გაინარდა თუ არა.⁴¹ გავიგე, ტფილისში ბალები შემოსულა მოდაში. თქვენც ხომ არ ესწრებით მათ.

თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი
1832
მაისის 10-ს. (XXV 5288)

10. საყვარელო დიკო.

მინტერესებს, სად გაატარებთ ამ ზაფხულს, სოფელსა თუ ტფილისში. ჩვენ კი ვფიქრობთ ცარსკოე სელოში⁴² ან ქვის კუნძულზე⁴³ ცხოვრებას, აქამდე ჩვენთან ცივი დღეები იდგა. გთხოვთ შემეტყობინოთ. ელიზბარი, როგორც ამბობენ, დაკავებულია მეურნეობით... მახინჯი. ცოლის შერთვა ხომ არ სურს? ჩემი პატივისცემა ვახტანგს და სხვებს.

თქვენი სულელი⁴⁴ ძმა დიმიტრი
1832
მაისის 31-ს (XXVI 5290).

36 სოლომონი – იგულისხმება ან სოლომონ დოდაშვილი, რომელიც იყო წარმოშობით გლეხი ან სოლომონ რაზმაძე, რომელმაც, მართალია, საგამოძიებო კომისიასა განუცხადა, რომ აზნაურია, მაგრამ ამის დამადასტურებელი ცნობა ვერ წარუდგინა. დიმიტრი ბატონიშვილის ეს ქილიკი, ვფიქრობთ, წერილის ფიგურანტის დაბალი სოციალური წარმომავლობითაა განპირობებული.

37 ფრანტს – (პოლონ. Frant, გერმ. Freund)– ჩაცმა-დახურვას გადაყოლილი მამაკაცი.

38 ბონ-ტონს - (ფრანგ. Bon ton) – კარგი ტონი, ქცევა, რომელიც მისაღებია ე. წ. მაღალი საზოგადოების ნორმებით.

39 დიმიტრის – იგულისხმება დიმიტრი ერისთავი (იხ. კომენტარი 14).

40 ქართულად მომწეროს, მადლობელი ვიქნები – ფრაზა დანერვილია ქართულად.

41 რასა იეს ბალვანი, გაინარდა თუ არა – ფრაზა დანერვილია ქართულად.

42 ცარსკოე სელოში – (რუს. Царское село), ფედერალური მნიშვნელობის ქალაქი სანკტ-პეტერბურგის შემადგენლობაში შემავალი ქალაქი პუშკინის სახელწოდება 1918 წლამდე. ერთიანდება სანკტ-პეტერბურგის ისტორიულ ცენტრსა და მასთან დაკავშირებული ძველთა კომპლექსებში.

43 ქვის კუნძულზე – (რუს. Каменный остров) მდებარეობს მდინარე ნევის დელტაში, სანკტ-პეტერბურგის ცენტრში, ისტორიულ რაიონში, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „კუნძულები“. ფიზიკურად ის არა ერთი, არამედ რამდენიმე კუნძულია, რომლებიც ერთმანეთისაგან არხებითაა გამოყოფილი. ცნობილია მრავალი ისტორიული ძეგლით, გამოჩენილ ადამიანთა მამულებითა და აგარაკებით და მწვანე პარკებით.

44 სულელი – დანერვილია რუსული ასოებით.

11. საყვარელი დაიკო.

სოლომონისგან⁴⁵ მივიღე წერილი, ისეთივე სასაცილო, როგორც ის თავად არის. გთხოვთ, არაფერი უთხრათ მას ამაზე – ის ძალიან კეთილი ადამიანია, ის პოეტია, ის მომღერალია და ა.შ.

გავიგე, ელიზბარი ძლიან შეწუხებულა სხვადასხვა შინაური უსიამოვნებებისგან; უთხარით მას, რომ სულელია, განა შეიძლება ასეთი წვრილობებისგან თავი დაიღუპოს, ყველაფერი კარგად იქნება. მომწერეთ რამე, ჩემთვის ხომ ყველაფერი სასიამოვნოა – სისულელიც კი! თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი (XXVI 5292)

იენისის 14-ს 1832

12. საყვარელი დაიკო.

თქვენი ბოლო წერილიდან ნათლად ვერ გავიგე, როგორი წერილის დაწერა სურდა ივანე მუხრანსკის. რატომ იყო ყველა უკმაყოფილო, გაუგებარია. გთხოვთ მომწეროთ, რა იყო ამის მიზეზი.

მე, მაღლობა ღმერთს, ჯანმრთელად ვარ, ზაფხული ჩვენთან მეტად ცვივია. ცვხოვრობთ ქალაქში.

თქვენ როგორ ატარებთ დროს, რასა იქმთ? მინდა ყველაფერი ვიცოდე.

თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი
1832 26 ივლისი (XXVI 5294)

13. საყვარელი დაიკო.

დიდი ხანია არაფერი მოგიწერიათ ჩემთვის, განსაკუთრებით იმაზე, თუ რას აკეთებენ ჩვენი მახინჯები, ანუ ელიზბარი, ვახტანგი, ივანე და სხვები. გაითამაშეს თუ არა კომედია, რაზეც ასე ცხარობს ვახტანგი,⁴⁶ რა სიახლე აქვთ, რას აკეთებენ.

45 სოლომონისგან – გ. გოზალიშვილის აზრით, სოლომონ დოდაშვილი, თუმცა მისი დახასიათება, როგორც პოეტისა, გვაფიქრებინებს, რომ ეს უნდა იყოს სოლომონ რაზმაძე, რომელიც ამ დროისათვის უკვე საქართველოშია.

46 გაითამაშეს თუ არა კომედია, რაზეც ასე ცხარობს ვახტანგი – გ. გოზალიშვილთან ეს ფრაზა ხაზგასმულია იმის აღსანიშნავად, რომ ის დამიჯრულია, ხოლო „კომედიაში“ შეთქმულება აჯანყება იგულისხმება. ჩვენი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით ასეთია: ცნობილია, რომ ვახტანგ ორბელიანმა ქართულად თარგმნა რუსი დრამატურგისა და მსახიობის პ. ა. კარატიგინის (1805-1879) ერთმოქმედებიანი კომედია-ვოდევილი „ნაცნობი უცნობები“ («Знакомые незнакомцы») (1829), რომელიც პირველად 1830 წლის 12 თებერვალს წარმოადგინეს სანკტ-პეტერბურგის ახალ თეატრში. ამ თარგმნილი კომედიისა და საქართველოში მისი დადგმის შესახებ ცნობებს ვხვდებით შეთქმულთა დიმიტრი ყიფიანისა (1814-1887) და ზაალ ავთანდილაშვილის (1813-1867 წ.-ის შემდეგ) ჩვენებებში:

ზ. ავთანდილაშვილის 1832 წლის 13 დეკემბრის ჩვენებაში ვკითხულობთ „აი, ჩემი ამ თავადებთან ნაცნობობის დასაწყისი, რომლებიც თეკლა ბატონიშვილის სახლში დაიარებოდნენ. როდესაც ამ წლის დასაწყისში ვახტანგ ორბელიანმა გვთხოვა მე და მასწავლებელ ყიფიანოვს აველო როლები მის მიერ რუსულიდან ქართულად გადათარგმნილი კომედია «ЗНАКОМЫЙ НЕЗНАКОМЕЦ»-დან, მაშინ ჩვენ ხშირად დავიარებოდით რეპეტიციებზე, რომლებიც შეწყდა იმის გამო, რომ არ აღმოჩნდა თანხა მის დასადგმელად“ (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1. ტფილისი, 1935. გვ. 153).

დ. ყიფიანი ვადმოგვცემს: „ამ რიგათ ნოემბრის დამლევამდე მე გავეცაინი დასახელებულ სამ პირს (იგულისხმებიან ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები და გიორგი ერისთავი, – მ. ც.), რომელთაც განიზრახეს ყველიერში ეთამაშათ კომედია-ვოდევილი «ЗНАКОМЫЕ НЕЗНАКОМЦЫ», ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი ვახტანგ ორბელიანის მიერ. დაიწყო რეპეტიციები და მით ჩვენ დავახლოვდით, თუმცა კომედია აღარ დადგმულა“ (დიმიტრი ყიფიანი, ჩემი მოწინააღმდეგეობა

სულ ვაპირებ მიენერო მათ – მაგრამ მეზარება.
მიენერ, ერთხელაც იქნება.

თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი
1832 აგვისტოს 30-ს (XXVI 5296)

14. საყვარელო დაიკო.

თათარი გამოემგ ზავრა, ჩვენ მას გამოვატანეთ პატარ-პატარა ამანათები, რა-ზეც გნერდით. მეშინია, არ გაყიდოს ისინი და ან თავის საცოლუს⁴⁷ არ მიართვას საჩუქრად. თუ შეხვდებით, გადაეცით ჩემი პატივისცემა თავად ივანე მუხრანსკის, და, სხვებსაც, – თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი.

1832 წელს
სექტემბრის 4-ს (XXVI 5298)

15. საყვარელო დაიკო.

დიდი ხანია, ერთი სტრიქონიც არ მოგიწერიათ. რას ნიშნავს ეს? ძალიან მწყინს ის, რომ ჩვენს ძმას ყველაფერს სწერთ და მე კი სიტყვასაც არა. დიდი სულელი და პატარა სულელი⁴⁸ ჩემი პატივისცემა ყველა მახინჯს, ე. ი. ჩემს მეგობრებს. გთხოვთ მომწეროთ, თათარი მალე შეირთავს ცოლს? ასე მოვკარი ყური.

თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი
1832 წლის 6 დეკემბერი (XXVI 5300)

16. საყვარელო დაიკო.

დიდად ვმადლობ ვახტანგს, რომ არ მივიწყებს;
მე თვითონაც მთელი გულით მიყვარს ის და ბედნიერებას და წარმატებებს ვუ-სურვებ; გავიგე, რომ ფრანგულის სწავლის გაგრძელება სურს – კარგს იზამს. სხვა რაღა მოგწერო, მე ჯანმრთელად და ხალისიანად ვარ. მომიტყევთ. ნახვამდის, ე. ი. მომდევნო წერილამდე.

თქვენი უმორჩილესი ძმა დიმიტრი
1832
აპრილის 29-ე დღეს (XXVI 5302)

1832 წლის შეთქმულებაში, „ქართული მწერლობა“, ტ. 20, თბ., 2003. გვ. 253).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შესაძლოა, წერილის ადრესანტი გულისხმობდეს ნამდვილი კომედიის დადგმასაც ან მოხერხებულად იყენებდეს „კომედია“-ს შეთქმულება/აჯანყების აღმნიშვნელ კოდურ სიტყვადაც.

- 47 საცოლეს – იგულისხმება მიმბამ, პოდპოლკოვნიკ ლუარსაბ (ივანე) ზურაბის ძე ორბელიანის (1770-1830) სილამაზით განთქმული ქალი მარიამი (1812-1866), რომელსაც მარია ივანოვნას ეძახდნენ და რომელზეც დიმიტრი ორბელიანი 1832 წელს დაქორწინდა. დიმიტრი ცოლთან განდობილი ყოფილა – შეთქმულების დამსმენი ისე ფალავანდიშვილი თავის ერთი ჩვენებაში მისი უფროსი ძმის, შეთქმულების ერთ-ერთ მეთაურის ალექსანდრე („პუპლია“) ორბელიანის (1802-1869) სიტყვებს იმონებს: „როცა დაქორწინდა, უკვე პირველსავე ღამეს გაუმხილა თავის მეუღლეს ჩვენი განზრახვა და მან უპასუხა, რომ ამაზე უკვე დიდი ხანია უნდა გეფიქრათ“ (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 2, თბ., 1970. გვ. 509). მარიამ ორბელიანი მეუღლეს გადასახლებაშიც ნაჰყოლია.
- 48 დიდი სულელი და პატარა სულელი – ფრაზა დაწერილია ქართულად.

MAIA TSERTSVADZE

Letters of Dimitri Bagrationi (Batonishvili) Sent to Tamar Bagrationi (Batonishvili)

Summary

As is known, the conspiracy of 1832, which aimed to expel the Russian Empire from Georgia and restore the country's independence, was founded in 1826-1827 in the circle of Georgian noblemen emigrated to Russia. One of them was the grandson of King Erekle II (1720-1798) Dimitri Bagrationi (1803-1845), son of royal prince (Batonishvili) Yulone (1803-1845). He gathered young Georgian aristocrats and patriots who had gone to study in Russia at that time, inspired the intention of rebellion and headed so called Petersburg circle of conspirators.


Dimitri Batonishvili's personal letters are kept in the fund #1457 of the Historical Central Archive of Georgia - The Collection of Investigative Materials of the Georgian Conspiracy of 1832. These letters written in Russian in 1831-1832 were sent from St. Petersburg to Georgia to Dimitri's older sister Tamar. Tamar Batonishvili (1791-1857) was the most important figure of Tbilisi circle of conspiracies - he was assigned the function of the temporary ruler of the country in case of victory. After the conspiracy was revealed, Dimitri Batonishvili was assigned to the 1st category of 'criminals' ('the main initiator of the conspiracy') and was transferred to Smolensk for three years. Tamar Batonishvili was considered as 3rd category of criminal' ('who actively participated in the conspiracy and agreed with the idea of rebellion') and was exiled to Simbirsk.

These surviving letters of Dimitri Batonishvili, which are very valuable for the historiography of the conspiracy of 1832 include both family stories and information about other conspirators who were in St. Petersburg at the time or who returned to Georgia from there. It is also worth noting the fact that there are coded places - coded words and phrases in the texts of the letters, the interpretation of which is important for the study of the cryptographic aspect of the conspiracy.

The aforementioned Russian texts of letters were included by the tireless researcher of the conspiracy of 1832, professor Giorgi Gozalishvili (1900-1988) in the first volume of his famous three-volume set (G. Gozalishvili. Conspiracy of 1832. Vol. 1. Tbilisi, 1935).

We offer the readers of the magazine the Georgian translation of the letters of Dimitri Batonishvili' and their comments and notes, taking into account the latest research. We also attach to the publication specially prepared two genealogical tables, on which the figurants of these letters - the conspiratorial members of the royal family of Kartli-Kakheti and their descendants are presented.

ტაბულა 1



ნოე ხომერიკის პოლიტიკური პორტრეტისათვის

1918 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრიობის აღდგენით ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ახალი თავი გადაიშალა – ჩამოყალიბდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც აღმშენებლობისა და განვითარების პროგრესული მიმართულება აირჩია. ქართველი ერის საუკეთესო შვილთა ნაოცნებარი რეალობად იქცეოდა. ხელისუფლებამ მოქალაქეთა დიდი ეროვნული ენერჯის სწორად წარმართვით, ძირითადი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დაფუძნება შეძლო. ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო, რომლის სუვერენიტეტი მსოფლიოს არაერთმა ქვეყანამ აღიარა, მყარად იყო შემდგარი დემოკრატიული განვითარების რელსებზე.

მიუხედავად იმისა, რომ, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა არსებულ საზღვრებში საბჭოთა რუსეთმაც ცნო და აიღო მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ვალდებულება, მან ეს საერთაშორისო წერილობითი დოკუმენტი თვითონვე უხეშად დაარღვია და ჩვეულებრივ ფარატინა ქალაქად აქცია, როდესაც 1921 წლის თებერვალ-მარტში დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომი წამოიწყო.

ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ განეული მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ადგილობრივი ქართველი ბოლშევიკების მეხუთე კოლონის დახმარებითა და მხარდაჭერით, კრემლმა თავის სანადელს მაინც მიაღწია და საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამხობა შეძლო. შედეგად საქართველოს უმძიმესი პოლიტიკური ვითარება დაუდგა. საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება და შემდეგში თანდათანობით მისი ანექსიაც განახორციელა.

ცხადია ქართველი ხალხი უკვე განცდილი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვას ვერ შეეგუებოდა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას, ოკუპაციას და ანექსიას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობა მოჰყვა, რომელიც 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყებით დასრულდა.

ანტისაოკუპაციო და წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი და ლიდერი გახლდათ, პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და გამოცდილი ორგანიზატორი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მინათმოქმედების მინისტრი, ნოე გიორგის ძე ხომერიკი.

ნოე ხომერიკი ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ მიქელ-გაბრიელში (დღევანდელი სოფელი შრომა), 1882 წელს 7 აგვისტოს დაიბადა. დაწყებითი განათლება მან სოფლის სკოლაში მიიღო, შემდეგ კი სწავლა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში განაგრძო. სწორედ აქ, არაღეგალურ წრეებში

გაცნო ნოე სოციალისტურ მოძღვრებას და თავისი მომავალი მას დაუკავშირა. 1901 წელს ნოე ხომერიკი დაბრუნდა გურიიში და ცნობილი მემამულის მიხეილ ნაკაშიძის მეურნეობაში დაიწყო მუშაობა. 1902 წელს იგი აქტიურად ჩაება გურიის გლეხთა მოძრაობაში, რისთვისაც დააპატიმრეს და რამდენიმე თვით ქუთაისის ციხეში ჩასვეს. სწორედ მაშინ გაიცნო მან ნოე ჟორდანიას. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ბათუმში გადასახლდა და მანთაშევის ქარხანაში დღიურ მუშად მოეწყო. ბათუმში ნოე აქტიურად ჩაერთო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობაში, პარალელურად, გულდასმით შეისწავლა სასტამბო საქმე და მოაწყო არალეგალური სტამბა, რომელშიც აკრძალულ ლიტერატურასა და პროკლამაციებს ბეჭდავდა. ცნობილია, რომ ამ სტამბის გამართვით ნოემ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დიდი სამსახური გაუწია. როგორც გრიგოლ ლორთქიფანიძე თავის წიგნში „ფიქრები საქართველოზე“ აღნიშნავს, „რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმისთანავე ხომერიკს აღმოაჩნდება დიდი ტალანტი და დიდი ლიტერატურული და პროპაგანდისტული ნიჭი“.¹

1903 წლის ზაფხულში ჟანდარმერიის მხრიდან დევნის გამო, ბათუმიდან ქუთაისში გადავიდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო იმერეთის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ჩამოყალიბებაში; პარტიული პროპაგანდის გასაწევად მან გლეხებისათვის დანერა ნარკვევი „გლეხთა მოძრაობა გურიიში“ და ბროშურა: „სოფლის მუშათა მიმართ“. 1904 წლის ივლისში ნოე შორაპანში დააპატიმრეს. ქუთაისის ციხეში გადაყვანისას მის ბადრავს თავს შეიარაღებულ რევოლუციონერთა ჯგუფი დაესხა, რის შედეგადაც ნოემ გაქცევა მოახერხა. ამის შემდეგ რევოლუციონერი თბილისში გადავიდა და რსდმპ-ის თბილისის კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა. თბილისში ხომერიკი კონსპირაციულად, ნესტორ თეთრაძის სახელით ცხოვრობდა.

1906 წელს სოციალ-დემოკრატი ხომერიკი სტოკჰოლმში ჩატარებულ რსდმპ-ის გამაერთიანებელი ყრილობას დაესწრო, სადაც აგრარული საკითხებისადმი მიძღვნილ კამათში მიიღო მონაწილეობა.

ამავე დროს იმ პერიოდში ნოე თავის თანამებრძოლ ლეო ნათაძესთან ერთად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლეგალურ ორგანოს, ყოველდღიურ გაზეთ „ლამპარს“ რედაქტორობდა.

1908 წლიდან ნოე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი ხდება. იმავე წელს თბილისის კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად ხომერიკი დააპატიმრეს და რამდენიმე თვიანი პატიმრობის შემდეგ ორი წლის ვადით ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლეს.

ნოე ხომერიკის თანაპარტიელებისა და თანამებრძოლების, კარლო ჩხეიძისა და ირაკლი წერეთლის მცდელობით, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვმა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე იშუამდგომლა ხომერიკის პეტერბურგში სამკურნალოდ ჩამოყვანის თაობაზე, რაც ვერ განხორციელდა. მინისტრის უარს თან შემდეგი განმარტებითი ბარათი ახლდა: „ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის გლეხი ხომერიკი ათ წელზე მეტია რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის რიგებში ირიცხება. ამ დამნაშავეთა საზოგადოებაში შესვლის პირველი დღიდანვე ის ირჩევა თავის ამხანაგებისაგან არაჩვეულებრივი ქუით. განსაკუთრებით ძლი-

¹ გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, პაატა სურგულაძის შესავალი წერილით, კომენტარებითა და რედაქტორობით, თბ., 1995, გვ. 356.

ერი ნებისყოფით, ორგანიზატორული ნიჭით და თითქმის ფანატიკური ერთგულებით სოციალიზმისა და რევოლუციის საქმისადმი. დღეს ის უკვე ერთი ლიდერთაგანია სოც-დემ. პარტიის კავკასიის ორგანიზაციისა და სულის ჩამდგმელი ყველა მისი რევოლუციური ნაბიჯების ...სახელმწიფო დუმის სამივე საარჩევნო კამპანია ამიერკავკასიაში, რომელიც უკიდურეს სოციალისტების არჩევით დამთავრდა, ჩატარებული იყო ზემოთდასახელებულ ხომერიკის უშუალო ხელმძღვანელობით. ერთი სიტყვით, ხომერიკი არსებულ საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილების ყველაზე საშიშ და შეურთებელ მტერთა კატეგორიას ეკუთვნის”.²

იმპერიის შინაგან საქმეთა უწყების ხელმძღვანელის ეს წერილი პოლიციის დეპარტამენტს მონაცემებს ეყრდნობოდა, რომლის თანახმად, ნოე ხომერიკი როგორც „კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის სულისჩამდგმელი“ განსაკუთრებით საშიშ პიროვნებად მიიჩნეოდა.

ხელისუფლების მიერ მტრად შერაცხილი პოლიტიკოსი გადასახლებიდან 1911 წელს დაბრუნდა და ქუთაისში დასახლდა. მისი ხელმძღვანელობითა და ძალისხმევით რსდმპ-ს დასუსტებული ორგანიზაციები აღდგა და გამოცოცხლდა. ამავე პერიოდში ხომერიკი რედაქტორობდა ლეგალურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებს, ჯერ „მნათობს“, ხოლო შემდეგ „ცხოვრებას“.³

კიდევ ერთხელ უნდა გაეუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ, ისე როგორც წინა არჩევნებისას, რუსეთის იმპერიის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებშიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კამპანიას ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში, სწორედ ნოე ხომერიკი ხელმძღვანელობდა. მისი ძალისხმევის შედეგით იყო, რომ ამ პარტიამ თავისი კანდიდატების დეპუტატებად გაყვანა ამჯერადაც შეძლო. სოციალ-დემოკრატების პოლიტიკურ წარმატებაში ნოე ხომერიკმა უდავოდ დიდი წვლილი შეიტანა.

1914 წლიდან ხომერიკი თბილისში გადმოვიდა და არალეგალურად ცხოვრობდა. იმავე წლის აგვისტოში მონაწილეობდა ბორჯომში გამართულ სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური კონფერენციის მუშაობაში. იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლეგალური ორგანოს, გაზეთ „თანამედროვე აზრის“ ფაქტობრივი რედაქტორი.

1915 წელს ნოე ხომერიკი რსდმპ-ს კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი ხდება. იმავე წლის ივლისში იგი თბილისში დააპატიმრეს, 1916 წელს კი აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლეს. რუსეთში მომხდარი 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ ნოე ხომერიკი საქართველოში დაბრუნდა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩაება. „ნოე ხომერიკი დააპატიმრეს თბილისში და საბოლოოდ გადასახლეს ციმბირში, საიდანაც უკვე 17 წლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა. მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა, ის მისთვის დამახასიათებელი ენერგიით შეუდგა მუშაობას“, – წერდა გრიგოლ ლორთქიფანიძე.⁴

1917 წლის ნოემბერში პირველ ეროვნულ ყრილობაზე ნოე ხომერიკი საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად აირჩიეს. 1918 წლის თებერვლიდან იგი ამიერკავკასიის სეიმის წევრი გახდა, ხოლო იმავე წლის აპრილიდან ნოე ხომერიკმა ახლად შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის მინათ-

2 ჟურნ. „ბროლა“, პარიზი, 1927, # 26, გვ. 2.

3 <https://archive.ge/ka/biography/240>

4 გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, პაატა სურგულაძის შესავალი წერილით, კომენტარებითა და რედაქტორობით, თბ., 1995, გვ. 357.

მოქმედების მინისტრის პორტფელი ჩაიბარა და აგრარული რეფორმის გატარებას შეუდგა.

1918 წლის 26 მაისს ნოე ხომერიკმა ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. იმავე დღეს იგი ახლად დაფუძნებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მინათმოქმედების მინისტრად დაინიშნა.

1919 წლის თებერვალში ნოე ხომერიკი დამფუძნებელი კრების დეპუტატად აირჩიეს. 1919 წლის მარტში ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობის შემადგენლობაში ნოე ხომერიკმა კვლავ მინათმოქმედების მინისტრის პოსტი დაიკავა. მის სახელს უკავშირდება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული აგრარული რეფორმა.

1918 წლის 7 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიაში მემამულეთათვის მიწების ჩამორთმევის წესი და მიწების დატოვების ნორმები დადგინდა. ასევე განისაზღვრა მათთვის დასატოვებელი მიწების მაქსიმალური ნორმები. საადგილმამულო კომიტეტებს დანესებული ნორმების გაზრდის უფლება მიეცა. ხომერიკი 7 დესეტინა (1,0925 ჰა) სახნავ-სათესი მიწის ფართობის დატოვებას მოითხოვდა. ამ კანონის თანახმად, აგრარული რეფორმის გატარება მინათმოქმედების სამინისტროს დაევალი.

დამოუკიდებელ საქართველოში აგრარულმა რეფორმამ ორი საფეხური გაიარა: პირველი საფეხური იყო ნორმის ზევით არსებული მიწების ჩამორთმევა, ეს ეტაპი 1918 წლის აგვისტოში დაიწყო და 1919 წლის შემოდგომაზე ფაქტობრივად დასრულდა, ხოლო მეორე საფეხური – მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა მხარს სწორედ მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას უჭერდა. მომავალ მესაკუთრეებს მიწა არა უფასოდ, არამედ შეღავათიან ფასში უნდა გადასცემოდათ. გლეხებს მიწის საფასური განვადებით უნდა დაეფარათ. აქედან მიღებული თანხა კი ისევ რეფორმას უნდა მოხმარებოდა. კანონის თანახმად, ტყეები, საძოვრები, წყლები, მდინარეები და ბუნებრივი წიაღისეული სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა. როგორც ნოე ხომერიკი აგრარულ საკითხზე გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნავდა: „მიწა მიეცემათ – 1) საკუთრებათ, 2) მხოლოდ უმინაწყო და მცირე მიწის მქონეთ, 3) მცირე საფასურით (500-1000 მანეთამდე დესეტინა), 4) ფასებს ანესებს სამინისტრო რაიონების მიხედვით, 5) უკანასკნელთა ფარგლებში ფასს ანესებს კომისია, მიწის ღირებულების მიხედვით“.⁵

კერძო ინიციატივისთვის გზის მიცემამ და წახალისებამ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების რეალური პირობები შექმნა. ნოე მოსახლეობაში პოპულარული გახდა, თავად აგრარულ რეფორმას ხალხში „ხომერიკის რეფორმებს“ ეძახდნენ. ამის დასტურად ის ტექსტიც გამოდგება, რომელსაც იმხანად ხშირად მღეროდნენ. „მამინ საქართველოში ყველაზე გავრცელებული იყო სიმღერა „ხომერიკი მინას გვაძლევს“, რომელიც თავადურ-მემამულური ელემენტური სიმღერის „ხომერიკი მინას გვართმევს, სიმონიკა გვასამართლებს“ გადაკეთებული ვარიანტი იყო“.⁶ ოპოზიციური სოციალისტ-რევოლუციონერთა გაზუთ „შრომის“ 1919 წლის საახალწლო ნობათებში მინათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი ასე იყო დახა-

5 <https://fabiansocialists.wordpress.com//2017/06/22/ნოე-ხომერიკის-მოხსენება/>

6 გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, პაატა სურგულაძის შესავალი წერილით, კომენტარებითა და რედაქტორობით, თბ., 1995, გვ. 358.

სიათებელი: „გლეხი იმას უყვარს, /იგებს იმათ გულებს, /ყველას მინას აძლევს / ვინც მიუტანს ფულებს“.⁷

ხომერიკის უშუალო ხელმძღვანელობით გატარებული რეფორმის შედეგად სოფლის მეურნეობის რიგ დარგებში, კერძოდ, მევენახეობა-მელვინეობაში, მებაზრეუმეობაში, მეთამბაქოეობაში, მეხილეობაში რეალური აღმავლობა დაიწყო. ეს კი თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების რეალურ საფუძველს ქმნიდა. ამ რეფორმის გატარებით რესპუბლიკაში კიდევ მეტად თვალსაჩინო გახდა ნოე ხომერიკის ორგანიზაციული ნიჭი და შესაძლებლობები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრი ხშირად იყო ოპოზიციური პარტიების კრიტიკის ობიექტი და რომ რეფორმაც ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

ნოე ხომერიკი ხშირად მოეზაფრობდა საქართველოს სოფლებში და ადგილზე უშუალოდ ეცნობოდა აგრარული რეფორმის მიმდინარეობას, ხვდებოდა ხალხს და ეცნობოდა მათი ცხოვრების ავ-კარგს. ამასთან, მას სამინისტროში მიღების დღე და საათებიც ჰქონდა დაწესებული.⁸

ნოე ხომერიკი სრულად იზიარებდა თავისი პარტიის ლიდერის ნოე ჟორდანიას თვალსაზრისს, რომ სოციალიზმის მიღწევა ისეთ სუსტი ეკონომიკის ქვეყანაში, როგორც საქართველო იყო, ნახტომისებურად ვერ მიიღწეოდა და აუცილებელი იყო განვითარების ბურჟუაზიული საფეხურის გავლაც. მიწათმოქმედების მინისტრის სიტყვებით: „ის ქვეყანა, რომელიც თანამედროვე ეკონომიური განვითარების პირველ საფეხურზეა, არ შეიძლება უცბად გადავიდეს სოციალიზმის სამეფოში. აქ შეიძლება მხოლოდ თანდათანობით სვლა, რათა შემზადდეს მატერიალური პირობები სოციალიზმის განსახორციელებლად“.⁹

1920 წლის 3 დეკემბერს ნოე ხომერიკი მინისტრის თანამდებობიდან გადადგა. ამის შემდეგ პოლიტიკოსმა მუშაობა ქვეყნის დამფუძნებელ კრებასა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში განაგრძო. იგი პარტიულ სამუშაოს დაუბრუნდა. უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიულად არჩეულ ქვეყნის პარლამენტში, თავისი მოღვაწეობით ნოე ხომერიკი გზას უკვალავდა ევროპული პარლამენტარიზმის საუკეთესო ტრადიციებს.¹⁰

1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, პოლიტიკოსმა დატოვა ქვეყანა და გადავიდა სტამბოლში, სადაც რუსული საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ პარტიათა შორის მოლაპარაკებების ერთ-ერთი ორგანიზატორი გახდა. 1922 წლის მარტში დაარსდა „სტამბოლის პოლიტიკური კომისია“. მასში საოკუპაციო ხელისუფლების მოწინააღმდეგე ყველა პოლიტიკური პარტია იყო გაერთიანებული. მისი თავმჯდომარე ნოე ხომერიკს დაეკისრა.

ამ პერიოდში ემიგრაციაში მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა კოორდინაციის მიზნით მოახერხეს ურთიერთუნდობლობის დაძლევა და 1922 წლის მარტში პარიზში ინტერპარტიული კომიტეტი დააფუძნეს. მასში სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები შევიდნენ. ამან, თავის მხრივ, საქართველოშიც დააჩქარა ოკუპირებულ ქვეყანაში

7 ო. ჯანელიძე, ოპოზიციური სპექტრი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბ., 2024, გვ. 75.

8 გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 7 სექტემბერი.

9 საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები 7 ტომად, ტ. VII, 1920 წლის 9 ივლისი – 31 დეკემბერი, თბ., 2019, გვ. 239.

10 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ნიგინ მეორე, თბ., 1993, გვ.101.

დარჩენილი და არალეგალურად მოქმედი პოლიტიკური პარტიების თანამშრომლობა. შედეგად, 1922 წლის 29 აპრილს ამ პარტიებმა დააფუძნეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელიც „დამკომის“ და „პარიტეტული კომიტეტის“ სახელითაც არის ცნობილი. მასში სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, ეროვნულ-დემოკრატიული და „სხიველების“ პარტიის თითო წარმომადგენელი შევიდა. დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები გახდნენ: სოციალ-დემოკრატი გოგიტა ფაღავა, სოციალისტ-ფედერალისტი გრიგოლ რცხილაძე, ეროვნულ-დემოკრატი იასონ ჯავახიშვილი, ესერი იოსებ გობეჩია და „სხიველი“ მუხრან ხოჭოლავა. შეთანხმების საფუძველზე სხენებული კომიტეტის თავმჯდომარე ყოველთვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. „პარიტეტულ კომიტეტის“ პირველ თავმჯდომარედ გოგიტა ფაღავა იქნა დანიშნული. მოგვიანებით ის ჯერ ნიკოლოზ ქარცივაძემ, შემდეგ კი კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა ჩაანაცვლეს.

„დამკომს“ საქართველოში ანტისაოკუპაციო ძალების პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გაენია. „პარიტეტული კომიტეტი“ ოკუპირებული საქართველოს გასანთავისუფლებლად სახალხო აჯანყების იდეით გამოდიოდა, რომლის განსახორციელებლადაც მას სამხედრო საქმის მცოდნე ოფიცრები ესაჭიროებოდა. მაშინ საქართველოს ჰყავდა ბრძოლებში გამობრძმედილი და შესაბამისი უნარების მქონე გამოცდილი სამხედროები. სწორედ მათი მეშვეობით „დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ 1922 წლის გაზაფხულზე „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“ ჩამოაყალიბა.

1923 წლის მარტის პირველ ნახევარში ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ („ჩეკამ“) აღმოაჩინა და დააპატიმრა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრი. მოგვიანებით, 1923 წლის 19 მაისს საგანგებო კომისიის („ჩეკას“) კოლეგიამ სამხედრო ცენტრის წევრებს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა. სასტიკი განაჩენი „ჩეკას“ ჯალათებმა 1923 წლის 21 მაისს, გამთენიისას, დილის 4.30 წუთზე დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე სისრულეში მოიყვანეს და 15 ქართველი პატრიოტი დახვრიტეს.

სამხედრო ცენტრის განადგურება უმძიმესი დარტყმა იყო ანტისაოკუპაციო განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, თუმცა სწორედ ნოე ხომერიკის მეშვეობით მოხდა ცენტრის სამხედრო კომისიით ჩანაცვლება, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის და „ინტერპარტიული კომიტეტის“ რწმუნებულის რანგში, 1922 წლის ოქტომბრის ბოლოს საქართველოში არალეგალურად დაბრუნდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თავიდანვე, სწორედ ნოე ხომერიკის ხელმძღვანელობით მოქმედი „სტამბოლის პოლიტიკური კომისია“ იყო მთავარი დამაკავშირებელი რგოლი ემიგრაციაში არსებულ და საქართველოში არალეგალურად მოქმედ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ძალებს შორის.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ნოე ხომერიკი წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ლიდერი გახდა. იგი აქტიურად ჩაერთო უკვე დაშლილი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აღდგენაში. ურთულეს პირობებში დიდი ძალისხმევის შედეგად, მან პარტიათა შორის თანხმობის განმტკიცება და „დამკომის“ მუშაობის გაუმჯობესება შეძლო.¹¹

11 ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989, გვ. 15.

„ჩეკა“ ყურადღებით ადევნებდა თვალს ხომერიკის ანტისაოკუპაციო საქმიანობას. 1923 წლის 9 ნოემბერს პოლიტიკოსი თბილისში გვანცელაძის ბინაში დააპატიმრეს. ამის თაობაზე გაზეთი „კომუნისტი“ კმაყოფილებით აღნიშნავდა: „გუშინ, საქართველოს საგანგებო კომისიის აგენტებმა დააპატიმრეს ტფილისში საქართველოს ყოფილი მენშევიკური პარტიის ერთი ბელადთაგანი, ბანდების ორგანიზატორი, ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი, ნოე ხომერიკი“. საბჭოთა გაზეთის ამ ინფორმაციას პარიზში გამომავალი ქართული ემიგრანტული გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ ასე გამოეხმაურა: „ბანდების ორგანიზატორს უწოდებენ ადამიანს, რომელსაც მთელი საქართველო იცნობს, როგორც ქართველ ხალხისთვის თავდადებულ პატრიოტს, უშიშარ რევოლუციონერს, ძველ სოციალისტ-მოღვაწეს. ასე შეცვლილა დღეს მდგომარეობა დაპყრობილ საქართველოში: ნამდვილი ბანდიტები ყაჩაღი-ოკუპანტები, სთვლიან ბანდიტათ საქართველოს ყოველ პატიოსან მოქალაქეს, ცნობილ მოღვაწეს, რომელიც ებრძვის ოკუპანტებს საქართველოს გასანთავისუფლებლად“.¹²

ნოე ხომერიკის დაპატიმრება სერიოზული დარტყმა იყო საქართველოს განმთავისუფლებელი, ანტისაოკუპაციო მოძრაობისთვის. ნოეს დაპატიმრების მეორე დღესვე გავრცელდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართვა. მასში აღნიშნული იყო: „ამხანაგებო, ნოე ხომერიკის დაპატიმრება ჩვენთვის დიდი დარტყმაა, მისი დაპატიმრებით რიგებიდან საუკეთესო მებრძოლი და გამოცდილი რევოლუციონერი გამოგვეთიშა, ამიტომაც ზეიმობენ კომუნისტები“.¹³

ამ პატიმრობისას ნოე ხომერიკმა კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი გაუტყებელი ხასიათი და მტკიცე ნებისყოფა. ყველანაირი მცდელობების მიუხედავად „ჩეკამ“ მისგან შესაბამისი ჩვენების მიღება ვერ შეძლო. უნდა აღინიშნოს, რომ ხომერიკის უდიდესი ნებისყოფა და გაუტყებლობა, თვით „ჩეკას“ თანამშრომლების გაკვირვებასაც კი იწვევდა.

1924 წლის ივლისის ბოლოს ნოე ხომერიკი, გოგიტა ფალავასთან, ბენია ჩხიკვიშვილთან და ვასილ ნოდიასთან ერთად ჯერ მოსკოვში, ხოლო შემდეგ სუზდალის პოლიტიზოლატორში გადაიყვანეს. 1924 წლის აგვისტოში, საქართველოში ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყების დაწყების შემდეგ, საბჭოთა არეულობა საქართველოს წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერებს – ნოე ხომერიკს, ბენია ჩხიკვიშვილს, გოგიტა ფალავას, ვასილ ნოდიას და გიორგი წინამძღვრიშვილს – დახვრეტა მიუსაჯა. სასტიკი განაჩენი სუზდალის პოლიტიზოლატორიდან მათი ეტაპით გადაყვანისას დღემდე დაუდგენელ ტერიტორიაზე იქნა სისრულეში მოყვანილი.

ნოე ხომერიკის პორტრეტს ნოე რამიშვილის სიტყვებით დავასრულებ: „თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით, 1917 წ-მდე, მან სამართლიანად დაიმსახურა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი ორგანიზატორის სახელი, თავისი კალმით მან მოიპოვა ლიტერატორთა შორის საპატიო ადგილი. თავისი მინისტრობით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში, მან მოგვცა ტიპი საუკეთესო პოლიტიკური მოღვაწის, რომელიც სწრაფად ერკვევა ახალ შექმნილ პირობებში და თავის დიდ ორგანიზატორულ უნარს შესაფერისად იყენებს დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების საქმეში. საოკუპაციო ხანაში მან გააყაფა გზა ერის გან-

12 გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1923 წ., ნოემბერი.

13 საქართველოს შსს არქივი, (I), ფონდი 6, საქმ. 23587, ფურც. 39.

თავისუფლებისა და მისთვის თავდადებისა, პარტიის მეთაური ჭეშმარიტად ერის მეთაურიც შეიქმნა. ნოე ხომერიკის დიდი ამაგი მომავალ თაობას უკუნითი-უკუნი სამდე გადაეცემა. მან საბოლოოდ დაიმსახურა დიდებული ორგანიზატორისა და წამებულის უკვდავი სახელი“.¹⁴

ასე დაასრულა თავისი ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შეუდრეკელმა მებრძოლმა ნოე ხომერიკმა. მან დიდი წვლილი შეიტანა განმათავისუფლებელ-ანტისაოკუპაციო მოძრაობაში, 1924 წლის აჯანყების დაგეგმვა-ორგანიზებაში, რომელიც, მაშინ დამარცხების მიუხედავად, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაინც მთავარ ნიშანსვეტად დარჩა.

PAATA SURGULADZE

For the political portrait of Noe Khomeriki

Summary

After the restoration of state independence on May 26, 1918, the authorities of the First Republic, by correctly directing the great national energy of the citizens, firmly placed the newly established Georgian independent state on the rails of democratic development. However, the Democratic Republic of Georgia was not given the opportunity to develop in this direction. In February-March 1921, Soviet Russia, having blatantly violated the May 7, 1920 agreement and launched an undeclared war against independent Georgia, overthrew the First Democratic Republic of Georgia with the help and support of the fifth column of Georgian Bolsheviks. The Georgian people could not come to terms with the loss of independence and freedom they had already experienced. As a result, a powerful rise of the national liberation movement began in the country, which ended with the national uprising of August 1924.

One of the founders and leaders of the anti-occupation and resistance movement was a politician, journalist, publicist, one of the leaders of the Social Democratic Party and an experienced organizer, a member of the National Council and Constituent Assembly of Georgia, Minister of Agriculture of the Democratic Republic of Georgia, Noe Khomeriki.

In the article, we have attempted to create a portrait of the politician Noe Khomeriki and show the path which, one of the active members of the Russian Social Democratic Workers' Party, an uncompromising fighter against tsarism, took. We have shown, how Noe Khomeriki developed, first into a great organizer and leader of the party, and then how this politician entered the service of the independent Georgian state, first as a minister and then as a member of parliament. We have presented his role as a minister in implementing the agrarian reform, which was of great importance for the Democratic Republic.

14 ურნ. „ბრძოლა“, სექტემბერი, პარიზი, 1925, #3, გვ. 15.

We have focused on how Noe Khomeriki became one of the main leaders of the anti-occupation and liberation movement and the organizer of the August 1924 national uprising after the occupation of the Democratic Republic by Soviet Russia and the loss of independence.

We have emphasized the unbreakable nature of Noe Khomeriki as an indomitable fighter for the freedom and independence of Georgia, as well as the great willpower and organizational talent by which this politician stood out from his other comrades. As a tireless fighter for Georgia's sovereignty, Noe Khomeriki remains a symbol of the nation's struggle for freedom and its enduring aspiration for independence.

შტრისები ზურაბ ავალიშვილის ბიოგრაფიისათვის



2024 წელს შესრულდა 80 წლისთავი მრავალმხრივი მეცნიერისა (იურისტის, ისტორიკოსის, ლიტერატურათმცოდნის) და სახელმწიფო მოღვაწის, დიპლომატ ზურაბ ავალიშვილის (1875-1944) ტრაგიკულად დაღუპვიდან. მიუხედავად იმისა, რომ იგი მიეკუთვნება XX საუკუნის პირველი ნახევრის დიდ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის.

წინამდებარე სტატიაში ზ. ავალიშვილის ბიოგრაფიის ძირითადი ფაქტების მოკლედ მიმოხილვისას შევეცდებით, რომ სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში ჩვენს მიერ მოძიებული დოკუმენტებისა და სხვა სახის საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე, დავადგინოთ მისი ცხოვრებამოღვაწეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი

დეტალი, რომლებიც დღემდე ან ნაკლებად იყო ცნობილი, ანდა დაუდგენელი და შეუსწავლელი რჩებოდა. ყურადღებას გავამახვილებთ ავალიშვილთა საგვარეულოს წარმომავლობისა და მისი გამოჩენილი წარმომადგენლების შესახებაც.

აქვე დავამატებთ, რომ ზურაბ ავალიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენა-დაზუსტებას არაერთი სტატია მიუძღვენიო.¹

* * *

ძირძველ ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა შორის ავალიშვილებს ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავათ. ეს გვარი სათავეს მესხეთიდან იღებს. XV-XVI საუკუნეებში ისტორიულ თორის მხარეში (ახლანდელი ბორჯომის ხეობა) ჩამოყალიბდა ავალიშვილთა საფეოდალო – საავალიშვილო, რომლის ცენტრსაც სოფელი სადგერი წარ-

1 ნ. ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილის ბიოგრაფიის ცნობილი და უცნობი ფურცლები, წელიწდეული „ქართული დიპლომატია“, ტ. 16, თბ., 2013, გვ. 379-397; მისივე, ზურაბ ავალიშვილი, ნაწილი I, მშობლები, წინაპრები და ნათესავები, საისტორიო ჟურნალი „ისტორიანი“, № 43, თბ., 2014, გვ. 24-30; მისივე, ზურაბ ავალიშვილი, ნაწილი II, მოწაფეობის, პეტერბურგსა და ემიგრაციაში მოღვაწეობის ეპიზოდები, საისტორიო ჟურნალი „ისტორიანი“, № 45, თბ., 2014, გვ. 34-41.

მოადგენდა. XVI საუკუნეში ავალიშვილებს მამული ჰქონდათ ჯავახეთშიც, სადაც ქიშვად ავალიშვილმა ააგო კოთელიის წმ. კვირიკეს საყდარი (ამჟამად – ახალქალაქის რაიონი).

1535-1545 წლებში საავალიშვილო სამცხე-საათაბაგოსთან ერთად შედიოდა იმერეთის სამეფოში, **1545** წლიდან – სამცხე-საათაბაგოში, ხოლო იმავე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ოსმალეთმა მიიტაცა.²

ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში იძულებით მოქცეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველი მოსახლეობა დადგა მძიმე არჩევანის წინაშე: მათ ან ისლამი უნდა მიეღოთ, ანდა დაეტოვებინათ მშობლიური მხარე და გადასახლებულიყვნენ საქართველოს სხვა რეგიონებში, სადაც ქრისტიანობას შეინარჩუნებდნენ.

XVII-XVIII საუკუნეებში ავალიშვილთა გარკვეული ნაწილი გადასახლდა შიდა ქართლში, კახეთსა და იმერეთში. შიდა ქართლში გადასახლებულნი დამკვიდრდნენ ტაშისკარში, სურამში, არადეთში, ბრეთსა და აბისში, კახეთში გადასულები – თელავში, კონდოლში, კალაურში, ჩუმლაყში, კაკაბეთსა და საგარეჯოში, ხოლო იმერეთში – ხიდარში, ვარძიასა და კიცხში.

იმერეთსა და გარეკახეთში (თანამედროვე საგარეჯოს რაიონი) დამკვიდრებულმა ავალიშვილებმა თავადობა დაკარგეს და გააზნაურდნენ. მშობლიურ მხარეში დარჩენილი ავალიშვილები იძულებულნი გახდნენ გამუსლიმებულიყვნენ. მათ ოსმალეთის ხელისუფლებისაგან იქაური ფეოდალის – ბეგის წოდება მიიღეს.

უფლისწული ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757) ამ გვარს სამცხის წარჩინებულთა შორის მოიხსენიებს და მიუთითებს: „ავალისშვილი, რა დაშთა ხეობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქ და მეორე სამცხეს“.³ ვახუშტი ასევე შენიშნავს, რომ სამცხეში დარჩენილი და გამაჰმადიანებული ქართველი წარჩინებული გვარიშვილი „არღარა ინოდებიან გუარითა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად“.⁴

უფლისწული იოანე ბაგრატიონი (1768-1830) თავის ნაშრომში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ მოგვითხრობს, რომ ავალიშვილები „ძველად იყვნენ ციციანთა გვართაგან შორეულნი ნათესავნი, რომელსაც ამათ წინაპარსა ავალა ეწოდა. ესენი იყვნენ მოსახლენი ახალციხისა კერძოთა ადგილთა შინა და ოდეს განდგა ათაბეგი და დაიპყრა ახალციხე თვისად შეწვენითა თურქთა წელსა **1601**, მათგანი რომელნიმე შთავიდნენ იმერეთს. სხვანი მოსახლენი იყვნენ ძველადვე მტკვრის ხეობასა შინა და ინოდებოდნენ მტკვრის მოურავად და მერე მტრიანობისა მიზეზითა აიყარნენ და შთამოვიდნენ ბრეთსა, რომელიმე განვიდენ კახეთს და არიან მუხითგან წოდებულნი ავალიანნი ქართლს მოსახლენი და კახეთს მოსახლენი. ხოლო ქართლს მოსახლენი არიან უპირველესნი: 1) პეტრეს შვილები, 2) გოგიას შვილები, ანუ გიორგისა და სხვანი ამათნი სახლის კაცნი, ხოლო იმერეთს შინა რომელნიმე არიან თავადად და რომელნიმე აზნაურად და ესრეთვე ამათ გვარნი არიან ახალციხესა შინაცა“.⁵

2 მ. ქიქოძე, ავალიშვილები, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, 1997, გვ. 59.

3 ვახუშტი ბატონიშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 34.

4 იქვე, გვ. 36.

5 იოანე ბაგრატიონი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის), ზ. კაცელაშვილის გამოცემა, თბ., 1997, გვ. 30.

კახეთში გადასახლებულ თავად ავალიშვილთა შესახებ იოანე ბაგრატიონი მიუთითებს, რომ ისინი იყოფოდნენ ორ შტოდ: 1) გივის შთამომავლებად და 2) ივანე მეთირის შტამომავლებად.⁶

იმერეთის სამეფოში განუვლი ერთგული სამსახურისათვის, მეფე თეიმურაზ I-მა ზემოხსენებულ ბოქაულთუხუცეს ავალ ავალიშვილს უბოძა: სახასო მამული უჯარმაში, ამონყვეტილი თავადის ჯავშანა ვაჩნაძის მამულები კალაურში, ბაკურ-ციხესა და კარდანახში, ყული დავითისეული მამულები ენისელსა და ზაზარში, ლონენა ხიმშიაშვილისეული მამულები ძაგნაკორნასა და ხეობაში და ასევე, ამოლახორისა და ლარგველისათვის ნაბოძები მამულები.

ქართლის მეფე როსტომმა, რომელიც 1648-1654 წლებში კახეთსაც განაგებდა, 1651 წელს იმავე ავალ ავალიშვილს ცოლად შერთო ამოვარდნილი თავადის დავით ვაჩნაძის (გოშვარაშვილისა) ასული და მისი მამულიც უბოძა. მეფე როსტომის მეუღლემ – დედოფალმა მარიამ დადიანმა ავალს უბოძა კისისხევის მოურავობა და ყმა-მამული იმავე სოფელში.⁷

XIX საუკუნის ბოლო ოცნწლეულში, ქართლელ ავალიშვილებს ყმა-მამული ჰქონდათ როგორც ბრეთში, ასევე ქვიშხეთში, წვერში, სურამში, ხოლო კახელ ავალიშვილებს – ჩუმლაყსა და სანიორეში.⁸

თავადი ავალიშვილები წარმატებით მოღვაწეობდნენ როგორც სახელმწიფო და სამხედრო, ასევე სასულიერო სარბიელზეც და ქართლისა და კახეთის სამეფოთა კარზე საპატიო თანამდებობანი ეპყრათ. კერძოდ, ისინი იყვნენ: **ემიკალასბაშები** ანუ საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის უფროსები (ეს თანამდებობა შემოიღეს XVII საუკუნეში, ნაცვლად მანდატურთუხუცესისა), **ბოქაულთუხუცესები** ანუ საპოლიციო აპარატის ხელმძღვანელები, ემიკალასბაშის მოადგილეები, **მეთირები** ანუ მეფის მსახურთა ხელმძღვანელები (იგივე ეჯიბები, რომელთაც ებარათ მეფის გარდერობი), **მეჯინბეთუხუცესები** ანუ საჯინიბოს გამგენი, **მილახვრები** ანუ სამეურნეო დარგის მოხელენი, რომლებსაც მრავალი საერთო ჰქონდათ სახლთუხუცესის თანამდებობასთან, **მოურავები** და სხვ.

ავალიშვილთა გვარი ქართულ საისტორიო წყაროებში XVII საუკუნის პირველი მეოთხედიდან საკმაოდ ხშირად იხსენიება.

ამ საგვარეულოს გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ (ჩამოთვლილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით): კოთელიის წმ. კვირიკეს ეკლესიისა და ლიკანის მონასტრის სამრეკლოს ამშენებელი **ქიშვად ავალიშვილი**, რომელსაც ცოლად ჰყავდა თამარ ბატონიშვილი, ასული ქართლის მეფისა ლუარსაბ I-ისა,⁹ მროველი ანუ რუისის ეპისკოპოსი **დომენტი ავალიშვილი**, რომელმაც თავი ისახელა 1625 წელს მარაბდასთან მომხდარ ბრძოლაში; ქართლის მთავარეპისკოპოსი **იოვანე ავალიშვილი**; ბოდბელი და ალავერდელი **არსენ ზაქარიას ძე ავალიშვილი**; ბოქაულთუხუცესი **ავალ ზაქარიას ძე ავალიშვილი** და მისი ვაჟი, მეჯინბეთუხუცესი **ლევან ავალის ძე ავალიშვილი** (მოღვა-

6 იქვე, გვ. 47.

7 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991, გვ. 73-74.

8 რ. თოფჩიშვილი, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, მეორე შეცვებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2021, გვ. 23-25.

9 თ. გოგოლაძე, თ. სრესელი, ლიკანის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამრეკლოს სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული „მეფეთა მეფის ასულის თამარის“ იდენტიფიკაციისათვის, ჟურნალი „ქართველოლოგია“, ტ. I, თბ., 2011, გვ. 80-94.

ნობდნენ XVII საუკუნეში); ემიკალასბაში ავალიშვილი (საისტორიო წყაროებში ჩანს 1700 წელს), ახალდაბის (ამჟამად – ბორჯომის რაიონი) მოურავი **გიორგი ავალიშვილი** (საისტორიო წყაროებში ჩანს 1678-1703 წლებში), რომელიც იმავდროულად მილახვარიც იყო;¹⁰ ემიკალასბაში **ასლან გივის ძე ავალიშვილი** (საისტორიო წყაროებში ჩანს 1755-1765 წლებში); მეითარი **ივანე ბეჟანის ძე ავალიშვილი** (გარდაიცვალა 1779 წელს) და მისი ვაჟი, ქართული დრამატურგიის მამამთავარი, მწერალი, დიპლომატი, მოგზაური **გიორგი ივანეს ძე ავალიშვილი** (1769-1850), რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს დიპლომატიურ წარმომადგენლად მსახურობდა; რუსეთის საიმპერიო არმიის გენერალ-მაიორები – **ივანე სოლომონის ძე** (1798-1860), **ზურაბ დიმიტრის ძე** (1818-1884) და **ალექსანდრე სიმონის ძე** (1852-1916) **ავალიშვილები**;¹¹ თერგდალეულთა მიერ წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი და მსახიობი **ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე ავალიშვილი** (1844-1929); თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი **დავით ივანეს ძე ავალიშვილი** (1845-1897); რუსეთის საიმპერიო არმიის ოფიცერი, ხოლო შემდეგ, გენერალ ანტონ დენიკინის სარდლობით მოქმედი მოხალისეთა არმიისა და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი **სიმონ ნიკოლოზის ძე ავალიშვილი** (1880-?), რომელიც საარტილერიო სკოლას ხელმძღვანელობდა;¹² საქართველოს დამსახურებული ექიმი, პარაზიტოლოგი **სალამე დიმიტრის ასული ავალიშვილი** (1899-1966); ცნობილი კალათბურთელი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი **გიორგი ივანეს ძე ავალიშვილი** (1913-1986); საქართველოს სახალხო მხატვარი, მოქანდაკე **ბიძინა გიორგის ძე ავალიშვილი** (1922-2002); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გია ბიძინას ძე ავალიშვილი** (1941-2004) და სხვები.

ავალიშვილთა საგვარეულოს სახელოვან წარმომადგენელთა შორის გამოჩენილი ადგილი უკავია **ზურაბ დავითის ძე ავალიშვილს** (1875-1944).

ალსანიშნავია, რომ მისი წინაპრების შესახებ დღემდე არაფერი იყო ცნობილი. ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, გრიგოლ დიასამიძე¹³ და გურამ შარაძე¹⁴ ზურაბ ავალიშვილს მიიჩნევენ ზემოხსენებული დიპლომატის გიორგი ივანეს ძე ავალიშვილის (1769-1850) შთამომავლად, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. აქვე დავსძენთ, რომ გიორგი ავალიშვილი იყო ვაჟი მეითარ ივანე ბეჟანის ძე ავალიშვილისა, რომელიც 1779 წელს გარდაიცვალა.

ზურაბ ავალიშვილის ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძველი წინაპარი – თავადი გივი ავალიშვილი, თავის ძმასთან ზაალთან ერთად, XVIII საუკუნის პირველ ნახე-

10 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991, გვ. 73-77.

11 Н Джавахишвили, Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.), Тб., 2003, с. 75.

12 Н Джавахишвили, Грузинские белогвардейцы, Научно-практический журнал „Современная наука: актуальные проблемы теории и практики“, серия „Гуманитарные науки“, Москва, 2012, № 4-5, с. 32.

13 გ. დიასამიძე, ზურაბ ავალიშვილი, ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო“, ბერლინი, 1944, # 26 (103).

14 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, თბ., 1991, გვ. 350.

ვარში ქართლიდან კახეთში გადასახლდა. ისინი დამკვიდრდნენ სოფელ ჩუმლაყში (ამჟამად – გურჯაანის მუნიციპალიტეტი). გივის ვაჟი იყო ზემოხსენებული ემი-კასლაბაში ასლან ავალიშვილი.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული ინფორმაცია ზურაბ ავალიშვილის წინაპრების შესახებ მოგვანოდა ქართული გენეალოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა იური ჩიქოვანმა (1937-2018).

ზურაბის მამა – იურისტი დავით ივანეს ძე ავალიშვილი (1845-1897) რუსეთის საიმპერიო არმიაში შტაბს-კაპიტნად მსახურობდა. თადარიგში გასვლის შემდეგ, ის მუშაობდა ჯერ ნაფიც ვეჟილად, ხოლო შემდეგ – დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ დაფუძნებული თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დირექტორად.

1871 წელს, 26 წლის დავით ავალიშვილმა ცოლად შეირთო 15 წლის ოლღა ედუარდის ასული ჰოლმბლადტი (1856-1914). მისი მამა იყო ცნობილი ექიმი, შვედური წარმომავლობის ბალტიელი არისტოკრატი (ბარონი), კავკასიის საოლქო-სამხედრო-სამედიცინო სამსახურის მმართველი – ედუარდ რომანის ძე ჰოლმბლადტი, რომელიც მონაწილეობდა კურორტ აბასთუმნის დაარსებაში. ოლღას ძმა – გენერალ-ლეიტენანტი ოსკარ ედუარდის ძე ჰოლმბლადტი (1843-1898) იყო კავკასიის საოლქო-სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე.¹⁵

საგულისხმოა, რომ ზ. ავალიშვილის პაპასთან – ედუარდ ჰოლმბლადტთან მეგობრობდა გამოჩენილი პოეტი და სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი გრიგოლ ორბელიანი.

დავით ავალიშვილს და ოლღა ჰოლმბლადტს შეეძინათ შვიდი შვილი: **ივანე** (1872-1937), **იოსები** (1874-?), **ზურაბი** (1875-1944), **გივი** (1877-?), **ნატალია** (1879-?), **ეკატერინე** (1884-1910) და **დავითი** (1887-1887). მათგან ნაბოლარა შვილი დაბადების წელსვე გარდაიცვალა.

ზურაბ ავალიშვილის უფროს ძმას – ივანეს (1872-1937) ცოლად ჰყავდა ნინო ყარანგოზიშვილი (1879-1962), ასული აზნაურ დიმიტრი ყარანგოზიშვილისა. მათი ერთადერთი ასული – სოფიო ივანეს ასული ავალიშვილი (1905-?) ცოლად გაჰყვა თავად ასლან ანტონის ძე ნულუკიძეს (1905-1969).

აღსანიშნავია, რომ ზურაბ ავალიშვილის დაბადების თარიღი უკანასკნელ პერიოდამდე არ იყო დადგენილი. კერძოდ, ცნობილ ენციკლოპედიურ გამოცემებში – „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“,¹⁶ ენციკლოპედიებში „საქართველო“¹⁷ და „თბილისი“¹⁸ ზ. ავალიშვილის დაბადების თარიღად მითითებულია 1874 ანდა 1876 წელი. აღსანიშნავია, რომ ორივე დასახელებული თარიღი არასწორია.

სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული, ჩვენს მიერ მოძიებული დოკუმენტიდან ნათელი ხდება, რომ ზურაბ ავალიშვილი დაიბადა 1875 წლის 28 დეკემბერს, თბილისში.¹⁹

15 ნ. ჯავახიშვილი, ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 65.

16 გ. თარხნიშვილი, შ. ბადრიძე, გ. იმედაშვილი, ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. I, თბ., 1975, გვ. 115.

17 შ. ბადრიძე, შ. ცირეკიძე, ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, თბ., 1997, გვ. 60.

18 გ. მაისურაძე, ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე, ენციკლოპედია „თბილისი“, თბ., 2002, გვ. 272.

19 Центральный государственный исторический архив Санкт-Петербурга (ЦГИА СПб.), фонд 14, опись 2, дело № 1414, лист 10.

1894 წელს ზ. ავალიშვილმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია.

ზემოხსენებულ არქივში დაცული ზ. ავალიშვილის სიმწიფის ატესტატიდან, რომელიც გაცემულია 1894 წლის 14 ივნისს, ირკვევა, რომ თბილისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ზ. ავალიშვილს მხოლოდ უმაღლესი შეფასებები (ფრიადები) დაუშასახურებია.²⁰

აღსანიშნავია, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ზ. ავალიშვილის ჩარიცხვის თარიღიც დღემდე არ იყო დადგენილი. კერძოდ, ზოგიერთი მკვლევარი ასახელებს 1895 წელს,²¹ რაც არასწორია. საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1894 წლის 5 აგვისტოს ზ. ავალიშვილმა თხოვნით მიმართა პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხვის შესახებ.²² ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. 1898 წელს ზ. ავალიშვილმა აღნიშნული ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა.²³

1899 წლის 20 თებერვალს პეტერბურგის ქალაქის თავმა წერილობით აცნობა უნივერსიტეტის რექტორს, რომ ამ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულ თავადზე ზურაბ ავალიშვილზე გასცა „კეთილსაიმედოობის ცნობა“, ვინაიდან თავის უწყებაში ხსენებულ პიროვნებაზე არ გააჩნდა არავითარი მაკომპრომეტირებელი ინფორმაცია პოლიტიკური თვალსაზრისით.

პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ დოკუმენტში, რომელსაც ზედა მარჯვენა კუთხეში მიწერილი აქვს „Секретно“, ხოლო ზედა მარცხენა კუთხეში – „Отделение по охранению общественной безопасности и порядка в столице“ ვკითხულობთ: „Господину Ректору Императорского Санкт-Петербургского Университета

Вследствие просьбы окончившаго курсъ Санкт-Петербургского Университета князя Зураба Давидовича Авалова о выдаче ему свидетельства о благонадежности на предмет оставления его при курсъ Санкт-Петербургском Университете, имею честь уведомить Ваше Превосходительство, что сведений, компрометирующихъ названное лицо въ политическомъ отношении, въ Управлении моемъ не имеется“.²⁴

პეტერბურგში გატარებული წლები დიდად ნაყოფიერი აღმოჩნდა ახალგაზრდა მეცნიერისათვის, რომელმაც წარჩინებული სწავლისათვის I ხარისხის დიპლომი მიიღო, ხოლო სანიმუშო სადიპლომო ნაშრომისათვის „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ ოქროს მედალი დაიმსახურა. ამის შემდეგ ზურაბ ავალიშვილი საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრაზე.²⁵

20 Центральный государственный исторический архив Санкт-Петербурга (ЦГИА СПб.), фонд 14, опись 2, дело № 1414, лист 205.

21 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, თბ., 1991, გვ. 350.

22 Центральный государственный исторический архив Санкт-Петербурга (ЦГИА СПб.), фонд 14, опись 2, дело № 1414, лист 1.

23 Центральный государственный исторический архив Санкт-Петербурга (ЦГИА СПб.), фонд 14, опись 2, дело № 1414, лист 11.

24 Центральный государственный исторический архив Санкт-Петербурга (ЦГИА СПб.), фонд 14, опись 3, дело № 31179, лист 8.

25 Н. Джавахишвили, Санкт-Петербург – центр русско-грузинских взаимоотношений (1703-2003 гг.), Тб., 2003, с. 188.

1906 წელს ზ. ავალიშვილმა, პროფესორ ნ. კორკუნოვის ხელმძღვანელობით სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში ნაპოლეონის დროიდან – 1906 წლამდე“. მანამდე ის სათანადო წყაროებისა და ლიტერატურის გასაცნობად, სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა პარიზში (1902-1904 წლებში).

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრაზე პრივატ-დოცენტი (შემდგომში პროფესორი) ზ. ავალიშვილი კითხულობდა სახელმწიფო სამართლის კურსს (1907-1908 და 1912-1913 წლებში). პარალელურად ის მუშაობდა პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგედ (1909-1913) და კითხულობდა ადმინისტრაციული სამართლის კურსს (1906-1913). იმავდროულად, ავალიშვილი იყო რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტროს იურისკონსულტის უფროსი თანაშემწე (1912-1917), იურიდიული საზოგადოების წევრი და საზოგადოება „კახეთის რკინიგზის“ მმართველობის დირექტორი.

1917-1918 წლებში ზ. ავალიშვილი მუშაობდა პეტროგრადის გამომცემლობაში „Огни“, სადაც ხელმძღვანელობდა ჯგუფს „Известия“, რომელიც გამოსცემდა ცნობილი მეცნიერების: ზელინსკის, ბარტოლდის, როსტოვცევის, კარსავინის, პრესნიაკოვის, ფარმაკოვსკისა და სხვათა ნაშრომებს.

პეტერბურგში მოღვაწეობის პერიოდში ზ. ავალიშვილი იურიდიულ ჟურნალებში თანამშრომლობდა. მისი ცნობილი ნაშრომებიც იქვე გამოიცა.

1917 წელს, რუსეთის დროებითა მთავრობამ ზ. ავალიშვილი პირველ სახელმწიფო დეპარტამენტში სენატორად დანიშნა.

პეტერბურგში მოღვაწეობდნენ ზურაბის ძმებიც: სამთო ინსტიტუტის ასისტენტი, ინჟინერ-ქიმიკოსი იოსებოსინკა ავალიშვილი, რომელიც სტუდენტებს ქიმიამი ლაბორატორიულ მუშაობას ასწავლიდა და თავისუფალი მხატვარი გივი ავალიშვილი, რომელიც ოპერის თეატრში მსახურობდა.²⁶

1918 წლის გაზაფხულზე ზ. ავალიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა. ის იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ხოლო ერთხანს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეც მსახურობდა.²⁷ მან შეიმუშავა ეროვნული საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, რაც ითვალისწინებდა რუსეთის ახალი სახელმწიფოს შემოფარგვლას ახალივე ქვეყნებით. მანვე დიდი ამაგი დასდო საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესის დაჩქარებას. აქტიურად მონაწილეობდა ევროპაში გაგზავნილი სამთავრობო დელეგაციების მუშაობაში.²⁸

მიუხედავად ზემოთქმულისა, ვფიქრობთ, რომ საქართველოს მთავრობამ სათანადოდ მაინც ვერ გამოიყენა ზ. ავალიშვილის გამორჩეული ნიჭი, უნარი, გამოცდილება და საერთაშორისო ავტორიტეტი.

26 М. Горгидзе, Грузины в Петербурге (страницы летописи культурных связей), Тб., 1976, с. 179-180; 199; 251.

27 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1861, ანაწ. 3, საქმე 2, ფურც. 8-9.

28 შ. ბადრიძე, შ. გირეიძე, ავალიშვილი ზურაბ და ვითის ძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, თბ., 1997, გვ. 60.

ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოდ გვეჩვენება ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით მოქმედი „ქართველ შეფიცულთა რაზმის“ ერთ-ერთი წევრის, შემდგომში ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლის ალექსანდრე სულხანიშვილის (1895-1990) შემდეგი მოსაზრება: „საქართველოს მთავრობა უნდა შედგებოდეს უნარიანი, საქმის მცოდნე, წარჩინებული პირებისაგან, მიუხედავად მათი პარტიული მიკერძოებისა და არა ისე, როგორც ჩვენი მთავრობა მოიქცა: მათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების გარდა, ახლო არავინ გააკარეს მთავრობას და საერთოდ, ადმინისტრაციას. მიუხედავად იმისა, რომ მრავლად გვყავდა მომზადებული და შესაფერისი ხალხი, ისინი სრულიად შეუფერებელ პირებს ნიშნავდნენ მთელ რიგ პასუხსაგებ თანამდებობებზე. სხვა რალაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ყოფილი ექიმი გახდა სამხედრო მინისტრი, ხოლო რუსებთან ხელშეკრულების დასადავებად გაგზავნილი იქნა სოფლის მასწავლებელი და ამასობაში თარჯიმნად ჰყავდათ, ისიც მხოლოდ საქორების შემთხვევაში, საერთაშორისო კანონების მცოდნე, თითქმის ყველა ენაზე მოლაპარაკე, დიდი ქართველი პატრიოტი ზურაბ ავალიშვილი! ჩემი თვალსაზრისით, ასეთი საქციელი ნამდვილ ღალატს წარმოადგენდა სამშობლოს წინაშე ნებით თუ უნებლიეთ!“²⁹

ზ. ავალიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაზე აქ არ ვისაუბრებთ, ვინაიდან ის საკმაოდ კარგად არის შესწავლილი გურამ შარაძის,³⁰ შოთა ბადრიძის³¹ და სხვათა მიერ.

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, ზ. ავალიშვილი მოღვაწეობდა საფრანგეთში, ხოლო 1940 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა გერმანიაში, სადაც თავდაპირველად მიუნხენში დაემკვიდრა.

სწორედ მისი აქტიური დახმარებით მოახერხა მისივე ახლო მეგობარმა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომ საფრანგეთში დაცული საქართველოს ისტორიული საგანძური ეხსნა ამ ქვეყანაში შეჭრილ გერმანელ ოკუპანტთა ხელყოფისაგან. საგანგებოდ შექმნილ კომისიაში შეყვანილმა ავალიშვილმა თავისი მალალი საერთაშორისო ავტორიტეტი მაქსიმალურად გამოიყენა ეროვნული განძეულის გადასარჩენად და ამისათვის სავესებით მოსალოდნელ საფრთხესაც არ შეუშინდა. მისეული დასკვნით, ამ საგანძურში დაცული სიძველენი არ განეკუთვნებოდა მსოფლიოს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობას და ისინი მხოლოდ ქართველი ერისათვის იყო ღირებული.³²

როგორც ე. თაყაიშვილი იგონებდა, ზურაბი „არწმუნებდა გერმანელებს, ეს განძეული მარტო საქართველოსათვის არის ღირებული, როგორც ისტორიული საბუთები, თორემ სხვებისათვის არაფერი სახარბიელოაო“.³³

გერმანიაში მოღვაწეობის პერიოდში ზ. ავალიშვილი „ვეროპის კონტინენტური კვლევების ინსტიტუტთან“ თანამშრომლობდა. მას ხელმძღვანელობდა ცნობილი ფი-

29 ა. სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე (1922-1924 წწ.), სან-ფრანცისკო, 1981, გვ. 195.

30 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, თბ., 1991, გვ. 349-374.

31 შ. ბადრიძე, შ. ცირეკიძე, ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, თბ., 1997, გვ. 60.

32 ლ. ბადრიძე, ზურაბ ავალიშვილი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის მკვლევარი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყურნალი „საქართველო“, ტ. III, თბ., 1998, გვ. 20.

33 ე. თაყაიშვილი, განძეულის გატანის, საფრანგეთში შენახვისა და დაბრუნების ისტორია, საიუბილეო კრებული „ღვთისკაცი – ექვთიმე თაყაიშვილი“, შეადგინა ი. თავბერიძემ, თბ., 2004, გვ. 140.

ზიკოსი და პოლიტოლოგი ალექსანდრე ნიკურაძე (1901-1981), რომელსაც გერმანიაში მოღვაწე გაველენიან ქართველთა შორის მოწინავე ადგილი ეკავა.³⁴

გერმანიას უკავშირდება ქართველ ემიგრანტ მოღვაწეთა, მათ შორის, ზურაბ ავალიშვილისა და მესამე რაიხის წარმომადგენელთა ერთობლივი პროექტიც, რომელიც საქართველოს თავისუფლების აღდგენას ითვალისწინებდა და მის მიღწევას გერმანიის გამარჯვებას უკავშირებდა. მხედველობაში გვაქვს 1942 წელს ბერლინში შექმნილი „ქართული ეროვნული კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარეობა მისაკო წერეთელს მიენდო, ხოლო წევრები იყვნენ: ზურაბ ავალიშვილი, სპირიდონ კეღია და გიორგი მაღალაშვილი. იმის მიუხედავად, რომ კომიტეტმა საკუთარი ჟურნალის – „ქართველი ერის“ ოცამდე ნომერი გამოსცა, მუშაობის გაგრძელება დიდხანს ვერ შეძლო. ადოლფ ჰიტლერმა მხარი არ დაუჭირა ამგვარ წამოწყებას, რის გამოც კომიტეტი ვერ იქცა „ქართული პოლიტიკის ცენტრად“ და მხოლოდ „საკონსულტაციო ფუნქციით“ შემოიფარგლა. 1943 წლის დამდეგს ს. კეღია და ზ. ავალიშვილი კომიტეტის შემადგენლობიდან გავიდნენ. მალე მ. წერეთელმა კომიტეტი დაშლილად გამოაცხადა.³⁵

ზ. ავალიშვილს ცოლად ჰყავდა ნორვეგიელი მაია ფოგტი, რომლის მამის ბიძამ-ვილიც ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი, ლინგვისტი და ქართველოლოგი, პროფესორი ჰანს ფოგტი გახლდათ. ზურაბს და მაიას შვილები არ შესძენიათ.

სპირიდონ კეღიას მეუღლე სოფიო ჩიჯავაძე-კეღია (1885-1993) იხსენებდა, რომ ზურაბ ავალიშვილი და მისი მეუღლე მაია ფოგტი მათი ოჯახის „ხშირი სტუმრები იყვნენ და ძალიან დაახლოებული“.³⁶

ფენომენალური ნიჭისა და უნივერსალური განათლების მქონე ზ. ავალიშვილის პიროვნული ხასიათის შესახებ საყურადღებო ცნობები შემოგვინახეს ქართული ემიგრაციის ცნობილმა წარმომადგენლებმა: გრიგოლ რობაქიძემ, რევაზ გაბაშვილმა და შალვა მაღლაკელიძემ.

„ეს ცივი ინტელექტი, მძაფრი ირონიით ამახვილებული“, – ასე დაახასიათა ჯერ კიდევ ახალგაზრდა (42 წლის) ზურაბ ავალიშვილი ქართული კაზმულსიტყვაობის დიდოსტატმა გრიგოლ რობაქიძემ (1880-1962).³⁷

1948 წლის 23 დეკემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში გრიგოლ რობაქიძე მიუთითებდა, რომ ზურაბ ავალიშვილი „დიდი მცოდნე იყო ლიტერატურისა და თანაც ღრმად გამგები“.³⁸

ეროვნულ-დემოკრატი რევაზ გაბაშვილი (1882-1969) იგონებდა: „პირადი ხასიათით, იქნება ზნეობითაც, ზ. ავალიშვილი ყოველად აუტანელი პიროვნება იყო: ბევრსა სვამდა, ცოტა ზარმაციც იყო და დამცინავი კილო ჰქონდა ყველასადმი. მაგრამ რაც შეეხება ცოდნას, ნიჭს, წერის უნარს, პოლიტიკურ-დიპლომატიურ მსჯელობა-გათვალისწინებას, ბადალი არ ჰყავდა. ნამდვილი მეცნიერი-ენციკლოპედისტი იყო. არა მარტო ყოველმხრივ განსწავლულ-განვითარებული,

34 Н. Джавахишвили, Борьба за свободу Каваказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX в.), Тб., 2005, с. 100.

35 თ. ჯანელიძე, სპირიდონ კეღია. პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002, გვ. 203-205.

36 ს. ჩიჯავაძე-კეღია, ნასმენ-ნახული, პარიზი, 2002, გვ. 549.

37 გ. რობაქიძე, არჩილ ჯორჯაძე. მოგონება: ხუთი წლისთავი მიცვალებიდან, გაზეთი „საქართველო“, № 62, თბილისი, 21 მარტი, 1918.

38 გ. რობაქიძე, მიხეილ წერეთელი. მოგონებათა ბარდული, კრებული „ბედი ქართლისა“, № 3, პარიზი, 1948, გვ. 20.

არამედ ზედმიწევნითაც, დეტალებით გასაოცარი მეხსიერებისა, ნამდვილი მკვლევარი ანალიტიკოსი-სინტეზისტი... ქართველ ისტორიკოსებში მე ყველაზე დიდი პატივისმცემელი ვარ ივანე ჯავახიშვილისა, მისი შრომისა და უფრო მეტად პატიოსან მძებნელისა სიმართლისა („არც თვითონ შესცდეს, არც სხვა შეაცდინოს“), მაგრამ... ივ. ჯავახიშვილი თუ ქრისტეს შეედრება თავისი გარეგნობით, ზნეობით, ხასიათით, სწავლებითაც, ზურაბ ავალიშვილი, ბევრად მასზე ნიჭიერ, ფართო შეხედულებათა და სინტეზის მომცემად მიმაჩნია, როგორც მეცნიერი... იქნება დაენერა კიდევც... მთლიანი ისტორია საქართველოსი. დიდი არქივიც დარჩა (უკანასკნელ წლებში – ომამდე ბევრს მუშაობდა ბიბლიოთეკებში), მაგრამ... როცა მთელი „კავკასიელები“ „გაყარეს“ ბერლინიდან, ზურაბი წავიდა თავის ძმასთან (ჩოხოსანი: უბრალო კაცი და არყის პატარა ქარხნის პატრონი სადაც გერმანულ პროვინციაში) და... ველარაფერი გავიგეთ მისი... ჰყავდა ძმისწული ვაჟი“.³⁹

ზემოხსენებულ წერილში რევაზ გაბაშვილი არ უთითებს სახელს ზურაბ ავალიშვილის იმ ძმისას, რომელსაც გერმანიაში არყის ქარხანა ჰქონდა. ჩვენი ვარაუდით, სხენებული პიროვნება უნდა ყოფილიყო ზურაბის უფროსი ძმა – იოსებ/ოსინკა ავალიშვილი, რომელიც სპეციალობით ინჟინერ-ქიმიკოსი იყო და ჰყავდა შვილები – გიორგი და ნინო. ზურაბის უმცროს ძმას – მხატვარ გივი ავალიშვილს შვილები არ დარჩენია.

ვერმასტის ქართველი გენერალი შალვა მაღლაკელიძე (1894-1976) იგონებდა: „ზურაბ ავალიშვილს... არ სწამდა არცერთი პარტია, სწამდა მხოლოდ კონიაკი. დიდად განათლებული კაცი იყო. კაფეში დაჯდებოდა, წაიკითხავდა, დაწერდა. გააკეთებდა ამას კონიაკის ქვეშ. იყო დიდი, მძიმე კახელი კაცი, თავადიშვილი, დედა ჰყავდა ბარონესა“.⁴⁰

ომის პერიოდში ზ. ავალიშვილი ძირითადად ბავარიაში, შვანდორფის რაიონში შემავალ შვარცენფელდის (Schwarzenfeld) თემში ცხოვრობდა.

1944 წლის 21 მაისს, ზ. ავალიშვილი შვარცენფელდში გარდაიცვალა. ის ქალაქ შვანდორფში დაკრძალეს.

იმავე წლის 3 ივლისს, ქართული ლეგიონის ბერლინში გამომავალ ყოველკვირეულ გაზეთში „საქართველოში“ ბერლინის ქართული სათვისტომოს პირველმა თავმჯდომარემ, მწერლმა და პუბლიცისტმა გრიგოლ დიასამიძემ (1870-1960) გამოაქვეყნა ზურაბ ავალიშვილის ნეკროლოგი, რომელშიც ვკითხულობთ: „დავკარგეთ ერთი უნიჭიერესი და უგანათლებულესი ქართველთაგანი. 21 მაისს ქალაქ შვანდორფში (ბავარია) გარდაიცვალა ჩვენი სწავლული ზურაბ ავალიშვილი. იგი მივიღინებელი იყო იქ, როგორც ერთ-ერთი თანამშრომელი კონტინენტალური ევროპის გამომკვლევნი ინსტიტუტისა, სადაც დიდ მუშაობას ეწევა პროფესორი ალექსანდრე ნიკურაძე. სწორედ მის ხელზე გარდაიცვალა უეცრად ჩვენი ზურაბი, როცა ორივენი მხიარულად ბაასობდნენ...“

ზურაბი შეუდარებელი იყო იქ, სადაც საკითხს სჭირდებოდა მეცნიერული გარკვევა. ასეთ დროს მას ბადელი და მეტოქე არა ჰყავდა... იყო გულმართალი, სასტიკი მსაჯული თავის თავისა. ის არ ჩაიდენდა არაფერს, რაც ზნეობასა და

39 გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, თბ., 1991, გვ. 349-350.

40 შ. მაღლაკელიძე, მოგონებები, მასალა გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, თბ., 2012, გვ. 180.

პატიოსნებას დაშორებული იყო. თუ ვისმე დაუმეგობრდებოდა, მტკიცედ ინახავდა მას. ჩვენებური „დღევანდელი მეგობრობა –ხვალინდელი მტრობა“ ვერ გაეგო, არა სწამდა. ამიტომაც, სამეგობროდ და სამეუღლეოდ არჩეული ნორვეგიული ოჯახის შვილის მიაა ფოგტის დაკარგვას ვერ გაუძლო და ბევრი ხანი არ გასულა, თვითონაც მას გაჰყვა. რამდენიც უნდა გვიმტკიცონ მკურნალებმა, სიცივეს, გაციებას ისე არ დაუძლეულებია ჩვენი ზურაბი, როგორც ფსიქიკურ ფაქტორს – მეგობარი-მეუღლის დაკარგვას. ქალბატონი მიაა კეთილგუნებიათი ქალი იყო, ყოველმხრივ განათლებული, როგორც შეჰფერის ფრიტიოფ ნანსენისა და სტანისლავ პშობიშევსკის მახლობელ პირს. მან შეუქმნა თავის ღირსეულ მეუღლეს მყუდრო ცხოვრება, სასიამო კერა...

გაიბზარა კაჟიანი სხეული რაინდისა, რომელშიც გამოსჭვიოდა სამხრეთის, თანაც ჩრდილოეთის ბუნება”.⁴¹

საგულისხმოა, რომ გაზეთი არ იუნყება, რამ განაპირობა ზურაბ ავალიშვილის დაღუპვა. არადა, 69 წელს მიღწეული მეცნიერი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა. ის მოკავშირეთა (ბრიტანულ-ამერიკული) სამხედრო ავიაციის მიერ განხორციელებული დაბომბვის მსხვერპლი გახდა.

საფიქრებელია, რომ გერმანიის ნაცისტური ხელისუფლების კონტროლქვეშ, ბერლინში გამომავალმა ქართული ლეგიონის გაზეთმა შეგნებულად აუარა გვერდი დიდი მეცნიერის დაღუპვის ჭეშმარიტ მიზეზს.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას გვანვდის ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც იგონებდა: „ნაცისტებს ბერლინში ზოგიერთი ქართველი მიმხრობოდა და ჰიტლერის თაყვანისმცემელი გამხდარიყო. ისინი დაუფიქრებლად დარწმუნებულნი იყვნენ, ჰიტლერი საქართველოს თავისუფლებას მიანიჭებდეს... მათ დააჯერეს და გერმანიაში წაიყვანეს პროფ. ზ. ავალიშვილი, რომელიც იქ უდროვოდ დაიღუპა კიდევაც (ქალაქის დაბომბვისას) და მასთან ერთად დაგვეკარგა აუარებელი ისტორიული მასალა საქართველოს შესახებ, რომელიც ავალიშვილს ჰქონდა შეგროვილი. ჰიტლერისადმი ბრმად მიმხრობილი ქართველი ემიგრანტები აღარ ითვალისწინებდნენ, რომ ის კაცია მია რუსეთის დამარცხების შემთხვევაში არც საქართველოს დააყრიდა კარგ დღეს. რატომღაც ეგონათ, მცირე ავტონომიას მოგვეცემსო”.⁴²

1993 წლის მაისში ზ. ავალიშვილის ცხედარი გერმანიიდან სამშობლოში გადმოასვენეს და იმავე თვის 25 რიცხვში მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

ასეთია ზურაბ ავალიშვილის ბიოგრაფიის ცნობილი, ნაკლებადცნობილი და უცნობი ეპიზოდები.

41 გ. დიასამიძე, ზურაბ ავალიშვილი, ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო“, ბერლინი, 1944, № 26 (103).

42 ე. თაყაიშვილი, განძეულის გატანის, საფრანგეთში შენახვისა და დაბრუნების ისტორია, საინჟინერო კრებული „ღვთისკაცი – ექვთიმე თაყაიშვილი“, შეადგინა ი. თავბერიძემ, თბ., 2004, გვ. 140.

NIKO JAVAKHISVILI

The traits for the biography of Zurab Avalishvili

Summary

The present paper, based on documents found by the author in St. Petersburg Central State Historical Archive sheds on some significant details – hitherto little studied or unidentified and hence unstudied – in the biography of Professor Zurab Avalishvili (1875-1944), an outstanding Georgian scholar, lawyer, historian and diplomat. He was born on December 28, 1875, in Tbilisi (then part of the Russian Empire), into the family of Prince David Avalishvili (1845-1897) and Olga Holmblad (1856-1914) – daughter of Edward Holmblad, the Baltic nobleman of Swedish origin.

Z. Avalishvili graduated from St. Petersburg University in 1900 and, from 1900 to 1903, took post-graduate courses at the Department of Law of Paris University. He became a Docent at the St. Petersburg University in 1904 and a Professor of Public Law at the St. Petersburg Polytechnical Institute in 1907. He was an adviser to the Russian Ministry of Trade and Commerce for many years.

After the February Revolution in Russia, Zurab Avalishvili was named a Senator by the Provisional Government in May 1917. However, when Georgia declared independence on May 26, 1918, Avalishvili returned to his homeland and entered the diplomatic service of Democratic Republic of Georgia (1918-1921), becoming Deputy Minister of Foreign Affairs. He conducted important diplomatic work for the country as a member of the Georgian delegation to the 1919 Paris Peace Conference.

The Red Army of Russian SFSR invasion of Georgia forced Z. Avalishvili into exile in March 1921. He lived thereafter in Germany, where he worked as a Professor at the University of Munich. He was one of the founding members of the Georgian Association in Germany and worked for the editorial boards of historical journals *Georgica* (London) and *Byzantion* (Brussels).

Avalishvili's main works focus on the history of Georgia and the Caucasus, Georgian literature (e.g., the critical studies of Shota Rustaveli), international law and Georgia's foreign relations. His *The Independence of Georgia in International Politics, 1918-1921* is a detailed and well-documented first-hand account of Georgia's relations with its neighbors, the nation's struggle for recognition and its international ramifications in the period of 1918 to 1921. Much of the work is in diary form, the author being judiciously critical of ineptitude of the Caucasian governments.

He died on May 21, 1944, in Schwarzenfeld – a municipality in the district of Schwandorf in Bavaria (Germany), but was repatriated and buried at the Didube Pantheon, Tbilisi, in May 25, 1993.

Attention is also focused on the provenance of the house of the Prince Avalishvili's and its prominent representatives.

АТТЕСТАТЪ ЗРѢЛОСТИ.

Данъ сей Зурабу Авалову
 православнаго вѣроисповѣданія изъ князей: семьи Штабс-
Капитана родившемуся въ горѣ Тифлиси
 тысяча осемьсотъ сидесятъ пятого года декабря двадцать восьмого
 дня, обучающемуся десять мѣсятъ въ Тифлисской первой

Гимнази и пробывшему два года въ VIII классѣ, въ томъ,

Во первыя, что, на основаніи наблюденій за все время обученія его въ Тифлисской I-й гимназій, поведеніе его вообще было отличное, исправность въ посѣщеніи и приготовленіи уроковъ, а также въ исполненіи письменныхъ работъ отличная, прилежаніе отличное и любознательность отличная

и во вторыя, что онъ обнаружилъ нижеслѣдующія познанія:

Предметы гимназическаго курса.	О т м ѣ т к и в ы с т а в л е н н ы я .	
	Въ педагогическомъ совѣтѣ, на основаніи § 75 правилъ объ испытаніяхъ учениковъ гимназій, утвержденныхъ Г. М. Н. П. 12 марта 1891 г.	На испытаніи, происходившемъ:
		10, 13, 14, 16, 20, 25, 28 и 31 мая, 3, 7 и 8 июня
Законы Божій	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Русскій яз. и словесность.	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Логика	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Латинскій языкъ	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Греческій языкъ	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Математика	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Физика и матем. геогр.	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Краткое естествознаніе.	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Исторія	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Географія	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Французскій языкъ	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Нѣмецкій языкъ	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Грузинскій языкъ	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Армянскій языкъ	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>
Татарскій языкъ	<u>Будетъ!</u>	<u>Будетъ!</u>

На основаніи чего и выданъ ему сей аттестатъ зрѣлости, представляющій ему все права, обозначенныя въ §§ 130—132 Высочайше утвержденнаго 30 Іюля 1871 года Устава гимназій и прогимназій. Г. Тифлисъ Іюня „14“, дня 1894 года.

За отличіе успехов и поведеніе педагогическимъ совѣтомъ, дворянскъ ротмистра, чина 1-го класса, Сидорова С. А.

Вѣдомствъ гор. полиціи Н. Шуринъ, А. М. Мельникъ
 Предвѣдѣль русскій языка и словесн. В. В. Мельникъ
 Важи поур. прот. Т. Сид.

Г. Тифлисская I-я гимназія
 Директоръ М. В. Сидоровъ
 Предвѣдѣль математик. С. В. Сидоровъ
 Предвѣдѣль физик. В. В. Сидоровъ
 Предвѣдѣль истор. и географ. С. В. Сидоровъ

უცნობი ქართველი იუნკერი – პრინცი დავით ვაჩნაძე

2019 წელს გავხდი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სტიპენდიანტი და მოვიპოვე სტუდენტური დაფინანსება, რომლითაც შევძელი გამეგრძელებინა სწავლა შეერთებულ შტატებში. ამერიკაში ყოფნის დროს მხვდა პატივი და ბედნიერება, მომეძია და შემდგომ საქართველოში ჩამომეტანა საზოგადოებისთვის სამწუხაროდ ამდრომდე უცნობი იუნკერის, დავით (დოლიკა) ვაჩნაძის არქივი. არქივი მოიცავს მრავალ საინტერესო დოკუმენტს, წერილებსა და სურათებს. სწორედ ამ სტატიაში ვისაუბრებთ მის პიროვნებაზე.

დავით ვაჩნაძე დაიბადა 1902 წლის 21 აგვისტოს თბილისში, იასე ვაჩნაძისა და დარო ანდრონიკაშვილის ოჯახში. ორი წლის შემდგომ ოჯახს შეეძინა მეორე შვილი – გიორგი. დავითის მამა რუსეთის არმიისა და შემდგომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენერალი იყო.

დავითი სკოლის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის იუნკერთა სასწავლებელში. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს სხვა იუნკერებთან ერთად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში.

იუნკერ ალექსანდრე ჯინჭარაძის მიერ შედგენილ ტაბახმელის ფრონტზე მყოფ იუნკერთა შემადგენლობაში, დავით ვაჩნაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სკოლის უმცროსი კლასის მეორე განყოფილების სიაში, მე-8 ნომრადაა დასახელებული.¹

საქართველოს ოკუპაციის გამო დავითსა და გიორგის დედასთან ერთად მოუწიათ ემიგრაციაში წასვლა, ხოლო მამა – გენერალი იასე ვაჩნაძე სამშობლოში დარჩა. მოგვიანებით, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების დროს, იესე მეთაურობდა კახეთის აჯანყებულთა რაზმს, რის გამოც იესე ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1924 წლის სექტემბერში.² სიმბოლურია, რომ წინამდებარე სტატია ქვეყნდება 2024 წელს, ანტისაბჭოთა სახალხო აჯანყებიდან 100 წლის თავზე.

პარიზში დავითის ხელმძღვანელობით „ქართველ იუნკერთა კავშირის“ ჟურნალი „მხედარი“ გამოიცემოდა. იგი იყო ანტისაბჭოთა პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ აქტიური წევრი. 1939 წელს ნაცისტური გერმანიის მიერ საფრანგეთზე თავდასხმის გამო, დავით ვაჩნაძე ჩაენერა საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში, სადაც იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე.

1 ო. ჯანელიძე, ახალი მასალა ქართული სამხედრო სკოლის ისტორიისათვის, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2016, N 4 (7), გვ. 196-212.

2 1924. ასი წელი აჯანყებიდან, თბ., 2024, გვ. 143.



თბილისის იუნკერთა სასწავლებელი, სამხედრო აღლუმი.
დავით ვაჩნაძის არქივიდან³

მისი რეკრუტირების საბუთში წერია:

„Prénoms: David

NOM: Vatchnadze (Prince)⁴

იბრძოდა სირიისა და ალჟირის კამპანიებში. მაროკოში ირიცხებოდა კავალერი-
აში ოფიცრად (Spahis), სადაც მონაწილეობას იღებდა სამხედრო მოქმედებებში.

Prénoms: David
NOM: Vatchnadze (Prince)
DATE: 21 Août 1906
NATIONALITÉ: Sénégalais
PROFESSION: Vendeur à la 3^e 1^{re} C.A.
ADRESSE: 109 rue de Rennes à Paris
BUREAU DE RECRUTEMENT: 3^e 1^{re} C.A.
DERNIER CORPS D'AFFECTATION: 1^{er} 3^e 1^{re} Maroquine Syrie
CENTRE MOBILISATEUR ou LOCALITÉ ou LIEU ou DEPOT rejoint au moment du dernier appel sous les drapeaux: Paris
X AFFECTÉ SPECIAL au titre de Mobilisation

Empreintes des deux pouces
Signature de l'intéressé: Vatchnadze
Le Commandant du Centre de Démobilisation

დავით ვაჩნაძის რეკრუტირების საბუთი, გაცემული 1939 წელს. მოროკოს N1 კავალერია.

- 3 იუნკერ დავით ვაჩნაძის არქივი სრულად გადავეცი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. სტატიის ნაწილობრივი ფოტო-მასალები ქვეყნდება პირველად, რომელიც დაცულია საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში.
- 4 ფრანგულად – „სახელი: დავითი, გვარი: ვაჩნაძე (პრინცი)“

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ ემიგრირდა შერტებულ შტატებში, სადაც მუშაობდა რადიო თავისუფლების ნიუ-იორკის ოფისის ქართულ სექციონში, ჟურნალისტად. დავითი იყო ერთადერთი ქართველი იუნკერი, რომელიც გახდა შერტებული შტატების მოქალაქე.



მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე ქართველ იუნკერებთან ერთად ათენში, 1921 წელი. მონიშნული სწორედ დავით ვაჩნაძეა, რომლის ამოცნობაც მოვახერხე ჩემს მიერ ამერიკიდან ჩამოტანილი არქივის გაცნობის შედეგად



დავით ვაჩნაძე მანჰეტენზე. მის უკან მოჩანს ახლადამშენებული Empire State Building ცაათამბრჯენი.


დავით ვაჩნაძის არქივის შესწავლით ირკვევა, რომ იგი აქტიურად იყო ჩართული აშშ-ში მცხოვრები ქართული დიასპორის საქმიანობაში. მონაწილეობდა 1962 წელს საფრანგეთიდან აშშ-ში, ჰარვარდის უნივერსიტეტისათვის საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის არქივის გადაცემის საკითხებში. მეგობრობდა ქართული ემიგრაციის იმ დროისთვის ცნობილი პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ: ძმები მდივნები, დიმიტრი ჯორჯაძე, ნიკოლოზ ჩხოტუა, თეიმურაზ ბაგრატიონისა და ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის ოჯახი და სხვა.

დავით ვაჩნაძეს ცოლად ჰყავდა ამერიკელი ქალბატონი – ჯეინ ლოურენსი, რომელთანაც შვილები არ ჰყოლია.


პრინცი დავით ვაჩნაძე იყო ნიუ-იორკის ქართული დიასპორის აქტი-

ური წევრი. პარალელურად, იკავებდა აშშ-ში მოქმედი რუსეთის თავად-აზნაურთა ასოციაციის (Russian Nobles Association in America) საკეთილდღეო კომიტეტის (Benefit Committee) წევრის თანამდებობას.

დავითი იყო წმინდა ლაზარე იერუსალიმელის სამხედრო ჰოსპიტალიერთა ორდენის⁵ დიდი მაგისტრი და მისი წარმომადგენელი აშშ-ში. ხსენებული ორდენის ხელმძღვანელი შეერთებულ შტატებსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში იყო პრინცი ნიკოლოზ ჩხოტუა. დავით ვაჩნაძე იყო დაახლოებული პირი პრინც ნიკოლოზ ჩხოტუასთან. სწორედ ამ ფაქტიდან გამომდინარე, დავით ვაჩნაძის არქივში ინახება საინტერესო და უნიკალური დოკუმენტები, როგორც მალტის ორდენის, ასევე პირადად ნიკოლოზ ჩხოტუას შესახებ.




პრინც ნიკოლოზ ჩხოტუას საბუთი აშშ-ში მოქმედი რუსეთის თავად-აზნაურთა ასოციაციის წევრობისა



პრინც ნიკოლოზ ჩხოტუას ვაჟის, პრინც დიმიტრი ჩხოტუას საბუთი, აშშ-ში მოქმედი რუსეთის თავად-აზნაურთა ასოციაციის წევრობისა

5 ORDEN MILITAR Y HOSPITALARIA DE SAN LAZARO DE JERUSALEN



მალტის ორდენის დიდი მაგისტრის, პრინცი ნიკოლოზ ჩხოტუას ბიძაშვილის – პრინცი ზურაბ ჩხოტუას საბუთი, პრინცი ნიკოლოზ ჩხოტუას მალტის ორდენში არჩევასა და მის საგვარეულო რეგალიებთან დაკავშირებით, 1948 წ.



ლაოს სქემაში მისი საფლავის 1902-1994.⁷

დავით ვაჩნაძე იყო შეძლებული ემიგრანტი შვერტებულ შტატებში. მას ჰქონდა სახლები ნიუ-იორკში: მანჰეტენსა და კუნძულ ლონგ-აილენდზე, ქალაქ საუთჰემპტონში, თუმცა მისი საყვარელი დროის გასატარებელი ადგილი მასაჩუსეტსის შტატში მდებარე რანჩო ბერნარდსტონი იყო. თავისი თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს დავითი ბერნარდსტონში ატარებდა, რომელიც მას მოწყობითა და გარემოთი საკუთარ სამშობლოს, საქართველოს მოაგონებდა.⁶ დავითი გარდაიცვალა ნიუ-იორკში. ანდერძის თანახმად მისი ფერფლი დაასაფლავეს ძმის გვერდით ლევილში, ქართველთა სასაფლაოზე. სასაფლავო ნომერია 760 და აწერია: ვაჩნაძე დავით.

6 ინტერვიუ დავით ვაჩნაძესთან – „პრინცი კახეთიდან რომელიც შეყვარებულია ბერნარდსტონზე“, გაზეთი "The Greenfield Recorder", 27.08.1976 წ.

7 https://samshoblo.org/levilis_qarTuli_sasafiao.htm#%E1%83%95



NIKOLoz SEPIASHVILI

Unknown Georgian Cadet – Prince David Vachnadze

Summary

The given article represents the biography of the Georgian military cadet (junker) – Prince David Vachnadze based on never-before-seen documents and photos from his personal archives, which were discovered by the author in the USA.

Prince David Vachnadze was born on August 21, 1902, in Tbilisi, to the family of Prince Yesse Vachnadze and Princess Daro Andronikashvili. David's father was a general in the Russian Imperial army and later served in the army of the Democratic Republic of Georgia.

After completing school, David enrolled in the Cadet School in Tiflis. During the Russian-Georgian War of 1921, he participated in combat operations against the Red Army. After the Soviet occupation of Georgia in 1921, David and his family went into exile. David's father, Yasse Vachnadze, remained in occupied Georgia. During the Anti-Soviet uprising of 1924, he was one of the commanders of the rebellion in the Kakheti region. He was arrested and executed by the Bolsheviks in September 1924.

Prince David Vachnadze led an interesting and diverse life. In exile, he lived in France, where he served as editor of the journal Union of Georgian Cadets. In 1939, he enlisted in the French Foreign Legion to fight against the Nazi German occupation. He was a cavalry officer in the French Moroccan Spahis Cavalry N1.

After the end of World War II, he moved to the United States, where he worked as a journalist at the New York office of Radio Free Europe. He was a member of the Russian Nobles Association and also served on the Association's Benefit Committee. Prince David Vachnadze was also a knight of the Order of Saint Lazarus of Jerusalem in the USA. He was married to an American woman but had no children. The Georgian prince died in 1992 in New York. According to his will, his ashes were buried next to his brother in the Georgian cemetery in Leuville-sur-Orge.

ოთარ ჯანელიძე

1924 წლის აგვისტოს აჯანყება ასი წლის გადასახედიდან*

1924 წლის აგვისტოს აჯანყების თემას ათწლეულების მანძილზე ჩვენში ტაბუ ედო. რა ვიცოდით ამ მოვლენის შესახებ საბჭოეთში საბჭოთა დროს? – ბევრი არაფერი. რადგან აჯანყებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, საარქივო მასალა და პერიოდული პრესაც კი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული, – იმდენად, რომ ისინი ხელისუფლების ფავორიტ მკვლევართათვისაც, არსებითად, მიუწვდომელი იყო.

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ აგვისტოს აჯანყება შეაფასა, როგორც „კონტრრევოლუციური მენშევიკური ავანტიურა“ და საბჭოური საისტორიო მეცნიერება აიძულა ან დაიყოლია, უკრიტიკოდ გაეზიარებინა იგი. ეს შეხედულება, მიუხედავად იმისა, რომ ყალბი იყო, ისეთ დოგმად დაამკვიდრა, რომ გადახედვას აღარ ექვემდებარებოდა და გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე არც არავის გადაუხედავს.

მაშ, რას და როგორ გვასწავლიდნენ ამ აჯანყების შესახებ კომუნისტურ პერიოდში? უფრო ადრინდელზე რომ არაფერი ვთქვათ, 1982 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოშიც კი, რომელიც VII-X კლასებისათვის იყო განკუთვნილი, ეწერა: „1924 წლის აგვისტოში მენშევიკებმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა, რომლებიც უცხოელ იმპერიალისტებთან იყვნენ დაკავშირებულნი, მემამულურ და ბურჟუაზიულ-კულაკურ ფენებზე დაყრდნობით ზოგიერთ რაიონში აჯანყება მოაწყვეს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით. ეს ავანტიურა საქართველოს წითელმა არმიამ, მშრომელთა მხარდაჭერით, სწრაფად ჩააქრო. ანტიპარტიული და კონტრრევოლუციური ძალების განადგურებამ კიდევ უფრო განამტკიცა მუშათა და გლეხთა კავშირი, აამალა მათი შრომითი აქტივობა“.¹ ეს იყო და ეს. სასკოლო წიგნებიდან მეტს ვერაფერს გაიგებდით.

ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც უმაღლეს სასწავლებლებში ყოფილა. მაგალითად, სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტს ისე დაამთავრებდა, რომ არათუ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების, არამედ

1 ვ. გუჩუა, შ. მესხია, საქართველოს ისტორია. მე-7-10 კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1982, გვ. 297.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მის მესვეურთა შესახებაც ლექტორებისაგან აუდიტორიებში ვერაფერს მოისმენდა. ამიტომ, სრულადაც არ იყო შემთხვევითი, რომ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც საქართველოში აზვირთებული ეროვნული მოძრაობის დროს მიტინგებზე შავჩოხიანი ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტი გამოიტანეს, ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა, ვინ იყო და რა ღვანლი მიუძღოდა მას საქართველოს წინაშე. უფრო ადრე, 1968 წელს გადაღებულ ელდარ შენგელაიას გახმაურებულ ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“, მთავარი პერსონაჟის – აგული ერისთავის ქანდაკებებს შორის ისე აღმოჩნდა იაკობ ნიკოლაძისეული ნოე ჟორდანიათა თაბაშირის ბიუსტი, რომ ფხიზელ ქართველ და რუს ცენზორებს არაფერი შეუმჩნევიათ. ალბათ, იმიტომაც, რომ მაშინ ჟორდანიათა სურათიც კი აღარავის ენახა და შესაბამისად, ვერც მის ბიუსტს ამოიცნობდნენ.

ასეთ სინამდვილეში გასაკვირი არ არის, რომ აგვისტოს აჯანყება შეფასებული იყო მხოლოდ კომუნისტური პოზიციიდან, ცალმხრივად, ტენდენციურად და გამოირიცხებოდა ყველა სხვა მიდგომა, სხვა რაკურსიდან ამ მოვლენის დანახვა და გააზრება. თვით ზურაბ ავალიშვილის ცნობილი წიგნის „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი. ნარკვევები“, რომელიც შალვა ელიავას წინასიტყვაობით 1926 წელს თბილისში გამოიცა, ვკითხულობთ „საქართველოს გაქცეული მთავრობა ცდილობდა 1924 წელს შეეცდინა საქართველოს ზოგიერთი კუთხის მიმდებარე მასები საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად“.²

რა ვიცი თ დღეს აგვისტოს აჯანყების შესახებ და რას ეყრდნობა ჩვენი ცოდნა ამჟამად?

ახლა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია და ფართოდაა ხელმისაწვდომი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ის ნაწილიც, რომელიც უცხოეთიდან ჯერ მიკროფირების, ხოლო შემდეგ ფიზიკურადაც დაბრუნდა. ასევე, ღიაა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის სხვადასხვა ფონდიც, რომლებშიც მრავალადაა ინფორმაცია აგვისტოს აჯანყების შესახებ. თბილისში სრულადა გვაქვს ლევილიდან ჩამოტანილი ქართული ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთების კომპლექტები, მემუარული და სხვა სახის წიგნები, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის პირადი არქივები და სხვ. მთელი ეს მასალა საშუალებას იძლევა საუკუნის წინანდელი ამბები სხვადასხვა პერსპექტივიდან განვიხილოთ, მიუკერძოებლად ვაჩვენოთ არა მხოლოდ ბოლშევიკური რეჟიმის დამოკიდებულება ანტისაბჭოთა აჯანყებისადმი, არამედ თვით ანტისაბჭოთა ძალების, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის, ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და სხვათა მიმართება ამ მოვლენისადმი.

ბოლო 30-35 წლის განმავლობაში ამ მასალების საფუძველზე მრავალი სამეცნიერო ხასიათისა თუ პოპულარული ნაშრომი შეიქმნა, დაცულია დისერტაციები, გამოქვეყნებულია საჟურნალო და საგაზეთო სტატიები და ა. შ. ათი წლის წინ, აგვისტოს აჯანყების 90-ე წლისთავს პარიზსა და თბილისში ორი დიდი კონფერენცია მიეძღვნებოდა და ნაკითხული მოხსენებები ცალკე კრებულის სახით გამოვეცით.³ მოსაწონია, რომ ამ თემაზე უცხოელი ავტორებიც მუშაობენ და მათი პუბლიკაცი-

2 ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი. ნარკვევები, თბ., 1926, გვ. XI.

3 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი, პარიზი-თბილისი, 2015.

ებიც უკვე ითარგმნება ქართულ ენაზე (მაგალითად, ბოლო დროს ქართულ ენაზე დაიბეჭდა ამერიკელი მკვლევრის ერიკ ლის ნიგნი⁴), ისტორიკოსმა ლევან ჯიქიამ სულ ახლახან შემოგვთავაზა ახალი ნაშრომი,⁵ ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა 1924 წლის აჯანყების ბიბლიოგრაფია⁶ და სხვ.

ამასთან, ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც: ახლა, როდესაც მეცნიერს არავინ უშლის თავისუფლად გამოხატვის ნებისმიერი კრიტიკული აზრი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებასთან დაკავშირებითაც გამოითქვა ზოგი განსხვავებული შეხედულება. მათ შორის, გვხვდება მოსაზრება აჯანყების საბჭოთა ხელისუფლების მიერ პროვოცირების შესახებ.⁷ სხვა პუბლიკაციაში ხელისუფლებასთან ერთად, აჯანყების პროვოცირებაში ბრალი „საზღვარგარეთულ ცენტრსა (ნ. რამიშვილი და სხვ.)“ და „ადგილობრივ ექსტრემისტულ ავანტურისტ ლიდერებსაც“ (კ. ანდრონიკაშვილი, ი. ჯავახიშვილი, მ. იშხნელი და სხვ.) ედება. აღნიშნულია, რომ ოპოზიციონერმა ლიდერებმა არ გამოიჩინეს სათანადო წინდახედულობა, აჯანყება არაორგანიზებულად და უდროოდ დაიწყო.⁸ ისტორიული მოვლენის შეფასებისას განსხვავებულ შეხედულებათა არსებობაში არაფერია დასაძრახი. პირიქით, იგი შეიძლება დამატებით ფაქტორადაც კი გამოდგეს საკითხის შემდგომი კვლევისა და ობიექტური გაშუქებისათვის.

განსხვავებული ვითარება იყო ჩვენს ემიგრაციაში. აქ აქტიურად მსჯელობდნენ და განიხილავდნენ აჯანყების შედეგებს, ცდილობდნენ გაერკვიათ დამარცხების მიზეზები, დაესახათ ბრძოლის გაგრძელების პერსპექტივები. დაინერა ნიგნები, ბროშურები, სტატიები, მოგონებები და ა. შ. მათ შორის მნიშვნელოვანია ნოე ჟორდანიას,⁹ ნოე რამიშვილის,¹⁰ ირაკლი წერეთლის,¹¹ ალექსანდრე ასათიანის,¹² სოლომონ ზალდასტანიშვილის,¹³ ალექსანდრე სულხანიშვილისა¹⁴ და სხვ. ნაშრომები.

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში აგვისტოს აჯანყება ერთგვარ რომანტიკულ შარავანდედში გახვიეს. ეროვნული თავისუფლებისათვის ეს დიდი შემართება ჩვენი ემიგრანტი თანამემამულეებისათვის მომდევნო ათწლეულების განმავლობაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ რჩებოდა. რაგორც ნოე რამიშვილი ამბობდა: „მართალია აჯანყებაში მსხვერპლი დიდი, მაგრამ მომავლის საქმე გაკეთდა“.¹⁵ აჯანყება ეროვნული დაუმორჩილებლობის,

4 ე. ლი, 1924 წლის აჯანყება: საქართველო და დემოკრატიული სოციალიზმის დაბადება, თბ., 2024.

5 ლ. ჯიქია, 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ისტორიოგრაფია, თბ., 2024.

6 1924 წლის აჯანყება საქართველოში (ბიბლიოგრაფია), თბ., 2024.

7 მ. ნათელაძე, ა. დაუშვილი, მ. ფავარიძე, კ. ნენგუაშვილი, საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებულებანი XX საუკუნის 20-იან წლებში, თბ., 2008, გვ. 165-177; ნ. ჯორჯიკია, საქართველოს პოლიტიკური პარტიები 1921-1925 წლებში, თბ., 2009, გვ. 79-85.

8 გ. ციციშვილი, სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ, თბ., 2004, გვ. 35; 89.

9 ნ. ჟორდანიას, რა მოხდა, პარიზი, 1924.

10 ნ. რამიშვილი, საქართველო და რუსეთი, პარიზი, 1924.

11 ი. წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი, პარიზი, 1927.

12 ა. ასათიანი, ძველი და ახალი მემკვიდრეობა, ვალანტინეი, 1928.

13 ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, მიუნხენი, 1956.

14 ა. სულხანიშვილი, მოგონებანი შეფიცულთა რაზმზე. 1922-1924, სან ფრანცისკო, 1981.

15 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანან. 1, საქმე. 153, ფურც. 11.

სიმტკიცის, გაუტყებლობისა და სულიერი მხნეობის ერთ-ერთ მკვებავ წყაროს წარმოადგენდა.

ძირითადად პარიზსა და ლევილიში, ყოველწლიურად, სპეციალური ღონისძიებებით აღინიშნებოდა და აღინიშნება აგვისტოს აჯანყების წლისთავები, რითაც პატივი მიეგება ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ თანამემამულეებსა და მათ სსოვნას. ამ ტრაგიკულ თარიღს საგანგებო საღამოებს უძღვნიდნენ ასევე, პარიზის, ბერლინის, პრატის, ვარშავისა და სხვა ქართული სათვისტომოები, რომელთა წევრები გამოდიოდნენ მოგონებებით, იღებდნენ რეზოლუციებს და მიმართვებს საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი და ა.შ.¹⁶

ქართულ ემიგრაციაში აგვისტოს აჯანყებას „სიამაყისა და სევდის დღედ“ განიხილავდნენ და მიაჩნდათ, რომ „საქვეყნო მიზნისათვის გაღებული მსხვერპლი უშედეგოდ და უნაყოფოდ არასოდეს იკარგება“.

მრავალი პირველწყარო მოწმობს, რომ აჯანყება, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური კუთხით, „შინ და გარეთ“ – საქართველოშიც და ემიგრაციაშიც მზადდებოდა. პოლიტიკური მხარე ძირითადად ემიგრაციას ჰქონდა მინდობილი, რაც დასავლეთის სახელმწიფოების დიპლომატიური და ფინანსური თანადგომის მოპოვებასა და თურქეთის ნეიტრალიტეტის მიღწევაში უნდა გამოხატულიყო.

შეიარაღებული გამოსვლის მომხრე პიროვნებებს ემიგრაციაში კარგად ესმოდათ, რომ აჯანყება განმათავისუფლებელი ბრძოლის უკიდურესი და უკანასკნელი საშუალებაა, რომ მასში „დიდი რისკია“ და მისი გამარჯვებით დამთავრება უდიდეს ქონებრივ და ფიზიკურ მსხვერპლს მოითხოვს. მათი აზრით, საქართველოს სრულიად შეგნებულად უნდა გაეღო ეს მსხვერპლი. მაგალითად, ვალიკო ჯუღელის სიტყვებით: „რა ვუყოთ რომ მეტად მძიმე და მრავალმსხვერპლიანია ბრძოლა?! სამაგიეროთ დიდი და ბრწყინვალეა ბრძოლის მიზანი“. ეგგენი გეგეჭკორი თვლიდა: „ხალხმა უნდა იცოდეს, რომ უიარალოთ თავისუფლება არ მიეცემა“. ნოე ყორდანიაც აცხადებდა, რომ „უცხოეთის ჯარის მოშლა პროპაგანდით არ შეიძლება, მათი მოშლა შეიძლება მხოლოდ ძალით“, ¹⁷ თუმცა მას საქართველოს აჯანყება იმ შემთხვევაში მიაჩნდა გამართლებულად თუ იარაღს ჯერ ჩრდილოეთ კავკასია და აზერბაიჯანი შეემართავდნენ.

რაც შეეხება სამზადისს სამხედრო თვალსაზრისით, ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები არც აქ დარჩენილან უბრალო მეთვალყურის როლში. სახალხო გვარდიის სარდალმა ვალიკო ჯუღელმა და გენერალმა ალექსანდრე ზაქარიძემ ჯერ კიდევ 1922 წელს საქართველოში შეიარაღებული გამოსვლის შესახებ თავიანთი ხედვა წერილობით ჩამოაყალიბეს და პარიზში მოქმედ პოლიტიკურ კომისიას გააცნეს, როგორც აჯანყების მოწყობის სამხედრო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, შეიარაღებული გამოსვლა 1922 წლის გვიან შემოდგომაზე თუ არა, 1923 წლის ადრე გაზაფხულზე მაინც, თბილისის ალებით უნდა დაეწყოთ, რადგან მომენტის ხელიდან გაშვება ქართველ ერში უიმედობის განცდას გააძლიერებდა და ეროვნულ თავისუფლებაზე ფიქრს დიდი ხნით გამოეთხოვებოდა. როგორც ალექსანდრე

16 ა. დაუშვილი, 1924 წლის აჯანყების დამარცხების გამოძახილი ემიგრაციაში, საერთაშორისო კონფერენცია ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტისაბჭოთა მოძრაობა კავკასიასა და აღმოსავლეთ ცენტრალურ ევროპაში. ეძღვნება 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავს. მოსხენებათა თეზისები. 3-5 ოქტომბერი. თბ., 2024, თბ., 2024, გვ. 22.

17 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანან. 1, საქმ. 68, ფურც. 5; 16.

ზაქარიასძე მიუთითებდა: „კიდევ რამდენიმე წელი რომ გაგრძელდეს ეს ოკუპაცია, ჩვენი ხალხი წელში განწყდება, იმედს დაკარგავს, რუსეთთან შერიგების და დათმობის გზების ძიებას დაიწყებს და ამ ხნის განმავლობაში ევროპასაც მივავიწყდებით“.

ფართო ანტისაბჭოთა აჯანყებას საქართველოშიც და პოლიტიკურ ემიგრაციამაც არაერთი მონინააღმდეგე ჰყავდა. შეიარაღებული გამოსვლის იდეას არ იზიარებდნენ ემიგრაციაში მყოფი ირაკლი წერეთელი, აკაკი ჩხენკელი (სოციალ-დემოკრატები), სპირიდონ კეცია, ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატები), გრიგოლ რცხილაძე, სამსონ დადიანი, აკაკი პაპავა (ფედერალისტები) და სხვ.

ემიგრირებული მთავრობა და პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები, თავიანთი მიმართებით დროდადრო ამხნევებდნენ ქართველ ერს და იმავდროულად, სიფრთხილისაკენაც მოუწოდებდნენ. მაგალითად, 1923 წლის 16 აპრილით დათარიღებულ მონოდება მთავრდებოდა სიტყვებით: „არც აჩქარება, არც დაგვიანება!“ ამ პოზიციას უფრო გასაგებს ხდის ალექსანდრე ასათიანის სიტყვები, რომ „დანებულ მზადებას არ ჰქონია მოკლე და დროებითი მიზნები. ის არ წარმოებდა უსათუოდ აჯანყებისათვის, არამედ გადამწყვეტი მომენტისათვის, როდესაც გამოისახებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური შესაძლებლობა გარეშე შურისძიებისა და სამოქალაქო ომისა“.¹⁸

პოლიტიკურ ემიგრაციას აჯანყების კონკრეტული თარიღი არ განუსაზღვრავს, მაგრამ ცნობილია, რომ 1924 წლის დასაწყისში მონვეულ ემიგრირებული მთავრობის სხდომაზე დაადგინეს: „თუ მდგომარეობა საკმაოდ მომზადებულია ...ნამდვილად სახალხო გამოსვლისთვის კავკასიის მასშტაბით (საქართველო, აზერბაიჯანი და მთა), გამოსვლა უნდა მოხდეს. ...საერთაშორისო მდგომარეობა ყველა შემთხვევაში ხელს არ უშლის გამოსვლას“.¹⁹ „ხელს არ უშლის“ აპრიორი არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ხელს უწყობს, თუმცა, ვისაც უნდოდა, ასეც შეიძლებოდა გაეგო. ცოტა მოგვიანებით აკაკი ჩხენკელი აცხადებდა: „ხალხი და პარტია უნდა შეგვენახა. ...იმოქმედეთ თუ პირობები ხელს არ გიშლითო“, – ცოტაა. ასეთი რჩევით ვერაფერს შევაჩერებდით. პირიქით“.²⁰

ფაქტია ისიც, რომ, იმავე წლის 23 თებერვალს, პარიზში, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობისა და მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია საქართველოში აჯანყების მხარდასაჭერად.

აქ დეტალებზე ყურადღებას აღარ შევაჩერებ და აღვნიშნავ შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტული მთავრობის დირექტივები სათანადოდ ვერ განხორციელდა, აჯანყება საქართველოში მაინც მოხდა. დამკომის ნევრები ინარჩუნებდნენ იმედს, რომ შეიარაღებულ გამოსვლას მეზობელი ხალხებიც შეუერთდებოდნენ და ევროპაც დახმარების ხელს გამოიღებდა. სამწუხაროდ, იმედები ფუჭი გამოდგა. 1924 წლის 28 აგვისტოს საქართველოში აღმართული აჯანყების დროშა ბრძოლის ველზე ეულად დარჩა. თავგანწირულ ქართველებს არსაიდან არავინ მიშველებია. აჯანყება დამარცხდა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სასტიკად იძია შური და მეზობელ საქართველოს მასობრივი რეპრესიებით გაუსწორდა.

18 ა. ასათიანი, ძველი და ახალი მემკვიდრეობა, წგნ. 1, ვალანტინეი, 1928, გვ. 70.

19 ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996, გვ. 161-162.

20 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანან. 1, საქმ. 153. ფურც. 3-5.

მიუხედავად იმისა, რომ ანტანტის სახელმწიფოებმა ვერ გაამართლეს საქართველოს იმედები და ნოე ჟორდანიას სიტყვებით, „ხიდი ჩვენსა და ევროპას შორის გატყდა“, ემიგრირებულ მთავრობას და მთლიანად ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას არასოდეს უთქვამს უარი დასავლურ ორიენტაციაზე. აუცილებელი ითქვას ისიც, რომ საქართველოსადმი საერთო ინდიფერენტშიმის ფონზე, სასიამოვნო გამოწაკლის იყო საფრანგეთის ხელისუფლება (პრეზიდენტი ალექსანდრ მილიერანი, არისტიდ ბრიანისა და რაიმონ პუანკარეს კაბინეტები), ასევე, პოლონეთის ლიდერი იუზეფ პილსუდსკი, რომლებიც ცდილობდნენ მხარი დაეჭირათ ემიგრირებული მთავრობისათვის.

კომუნისტი ლიდერები თავიდან შეეცადნენ, ყურადღება არ გაემახვილებინათ აჯანყების გამომწვევ უმთავრეს მიზეზზე – იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთმა ძალმომრებით მოულო ბოლო საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ქართველი ერის თვითმყოფადობასაც წალეკვით დაემუქრა. აჯანყების განმაპირობებელ ფაქტორთა შორის მათ წინა პლანზე სოციალური და ეკონომიკური საკითხები წამოსწიეს, ძირითადი აქცენტიც მათზე გადაიტანეს, თუმცა მაინც მოუწიათ ელიარებინათ, რომ „აჯანყება დაიწყო „დამოუკიდებელი საქართველოს“ დროში, „რუსების გაძევებისა“ და საქართველოს „რუსების ჩაგვრისაგან განთავისუფლების ლოზუნგით“.

აჯანყების დამარცხების შემდეგ, რეპრესიებს გადარჩენილი საქართველოს ეროვნულ-პატრიოტული ძალები თავისუფლებისათვის ბრძოლის ალტერნატიულ გზას დაადგნენ. მათ „რეალისტური შემგუებლობის“ პოლიტიკა აირჩიეს და საბჭოთა რეჟიმთან შეიარაღებული დაპირისპირების ნაცვლად, კურსი წინააღმდეგობის მშვიდობიანი ფორმებზე აიღეს.

იარაღით ბრძოლის გაგრძელებაზე გადაჭრით უარი თქვა ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამაც. მან ეროვნული თავისუფლებისათვის ანტიბოლშევიკური წინააღმდეგობის პოლიტიკური ხაზი შეინარჩუნა, მაგრამ გადასინჯა სამხედრო მოქმედების ტაქტიკა და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი ახლა საბჭოთა იმპერიაში საშინაო და საგარეო კრიზისის დადგომას, ასევე ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობის მომნიჭებას დაუკავშირა.²¹ ასეთი დრო მოგვიანებით, გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში დადგა. საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლიობამ საბჭოთა კომუნისტური რეჟიმი დაასუსტა და მისი დანის მოახლოვა. ამგვარმა ვითარებამ საქართველოს კიდევ ერთხელ მისცა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის შესაძლებლობა. სამწუხაროდ, ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის წარმომადგენლები თავიანთი ბრძოლის უმთავრეს შედეგს – სამშობლოს ხელახლა განთავისუფლებას ვეღარ მოესწრნენ.

ვიაზრებით რა საუკუნის გადასახედიდან ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის ისტორიას, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება – ამ ბრძოლის აპოთეოზი – გმირობისა და თავდადების უჭკნობ მაგალითად წარმოგვიდგება. ბუნებრივია, იგი საიამაყის განცდას იწვევდა და იწვევს, მაგრამ აგვისტოს შეიარაღებული გამოსვლის მარცხი და საბჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებული მასობრივი რეპრესიები იმავდროულად დიდი ეროვნული ტრაგედია იყო, რომელიც ქართველი საზოგადოებისთვის კოლექტიურ ტრავმად დარჩა.

21 ო. ჯანელიძე, 1924 წლის აჯანყების გაკვეთილები, კრებული – 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი, პარიზი-თბილისი, 2015, გვ. 206.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება არ არის ჩვენი ისტორიის ჩვეულებრივი, რიგითი ფაქტი. იგი არც მხოლოდ წარსულის ისტორიული მოვლენაა, რომელსაც გარკვეული პერიოდულობით, ვთქვათ, საიუბილეო თარიღებისას გავისხენებთ ხოლმე. ის ეგზისტენციალური გამოწვევაა, რომლის გადაჭრასაც საუკუნის წინ ჩვენი წინაპრები იარაღით ხელში შეეცადნენ, თავს გვახსენებს დღესაც, როგორც ისევ დასაძლევია, – კვლავაც გადასალახავი პრობლემა. როდესაც ამას ვამბობ, სრულიადაც არ ვგულისხმობ საკითხისადმი პრეზენტისტულ მიდგომას, რაც წარსულის თანამედროვეობის თვალთახედვიდან გაშუქებას, სამეცნიერო კვლევაში, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, სიმძიმის ცენტრის ისტორიიდან აწმყოზე გადმოტანას ნიშნავს. არა, მხედველობაში მაქვს სხვა – ჩვენი დღევანდელი უფრო მკაცრი რეალობა: საქართველოს წინაშე აგვისტოს აჯანყებიდან ასი წლის შემდეგაც მწვავედ დგას სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა. ჩვენი ქვეყნის მინა-წყლის 20 პროცენტი დროებით ისევ ჩრდილოელ მეზობელსა აქვს ოკუპირებული. ახლა კარგადაა ცნობილია, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყება რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთმომართების გარკვევას, საბჭოთა იმპერიისაგან საქართველოს თავდაღწევისა და დამოუკიდებელი ცხოვრების განახლების მიზანს ემსახურებოდა. თითქოს ისევ იმავე ადგილას ვართ, წინ ვერ დავძრულვართ, არადა, ამ მოვლენიდან უკვე ასი წელია გასული. ამიტომ, როდესაც აგვისტოს აჯანყებაზე ვსაუბრობთ, მის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, მეთაურებსა თუ მონაწილე რიგით ადამიანებს ვისხენებთ, ამით არა მხოლოდ მათ ხსოვნასა და სახელს მივაგებთ პატივს, არამედ დღევანდელ ქვეყანას, ხელისუფლებას, საზოგადოებას, ერთმანეთს ეროვნული სიფხიზლისა და მეტი პასუხისმგებლობისაკენაც მოვუწოდებთ ჩვენი სამშობლოსა და მისი მომავლის გამო.

დაბოლოს: თბილისში ათ წელზე მეტია გამოიცემა ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“ (რედაქტორი ოთარ ჯანელიძე). ჟურნალი გარდა იმისა, რომ სწავლობს ემიგრანტულ მექვიდრეობას, ზრუნავს „სამანს აქეთ და სამანს იქით“ არსებული საქართველოს გამთლიანებაზე, ცდილობს ქართული ემიგრაციის ისტორია, კულტურა, ლიტერატურა თუ ხელოვნება აქციოს საქართველოს ისტორიის, ზოგადქართული კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების შემადგენელ ნაწილად. მიმართა, რომ ეს პოზიცია სწორია და ასეც გაავარძელებთ.

ამჟამად ლევილის შატოში დაგეგმილია მუზეუმის მოწყობა და მიმდინარეობს მუშაობა მის კონცეფციაზე. ჩემი აზრით, მუზეუმი უნდა იქცეს ქართული ემიგრაციის სიმბოლოდ. არა ემიგრანტული მთავრობის, არა რომელიმე მაშინდელი პოლიტიკური ძალის, არამედ სწორედაც რომ ერთიანი ემიგრაციისა. რადგანაც ლევილი, მისი შატო, ეზო-კარი თუ სასაფლაო იყო მთელი ემიგრაციის კუთვნილება. ლევილის მუზეუმი განახორციელებს ტრადიციულ სამუზეუმო ფუნქციებს, მაგრამ იმავდროულად იგი უნდა იყოს ემიგრაციის გამაერთიანებელი ცენტრიც.

უკვე რამდენიმე წელია ლევილის მამული საქართველოს სახელმწიფოს გადმოეცა და მის გამგებლობაშია. ვფიქრობ, ემიგრაციის გამთლიანების პროცესს ამიერიდან ხელი სახელმწიფომაც უნდა შეუწყოს.

The August Uprising of 1924 from a Hundred-Year Perspective

Summary

The topic of the August 1924 uprising was taboo during the Soviet period. This event was assessed only from a communist point of view, one-sidedly and biasedly, and all other approaches that understood it from a different point of view were excluded. Since the late 1980s, researchers' interest in this uprising has increased especially. In addition, the initial knowledge base for its study has been significantly expanded.

In the Georgian political emigration, the August uprising symbolized the struggle for state independence in the following decades.

If we consider the history of the movement for national freedom and state independence from the point of view of the century, then the August uprising of 1924 – the apotheosis of this struggle – can be seen as an example of heroism and selflessness. Naturally, this caused a sense of pride. Still, the failure of the August armed uprising and the mass repressions carried out by the Soviet government were at the same time a great national tragedy that remained a collective trauma for Georgian society.

The August 1924 Uprising is not an ordinary fact of our history. It is also an existential challenge that reminds us today that it is a problem that still needs to be overcome. One hundred years after the August Uprising, Georgia still faces the problem of preserving its sovereignty and territorial integrity, ensuring security.

მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის პოლონეთში (კაპიტან სვიმონ კობიაშვილის ორი უცნობი დოკუმენტი)

პოლონეთში ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლას ბოლო დროს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. მათგან აღსანიშნავია პოლონელი მკვლევრების რობერტ კარაბინის, ანჯეი ვოჟნიაკის, ზდისლავ კოვალსკის, ვოიცეხ მატერსკის, პაველ ლიბერას, ქართველი ისტორიკოსების დავით ყოლბაიას, მიხეილ ბახტაძისა და სხვ. პუბლიკაციები. მიუხედავად ამისა, ყოველ ახალ ინფორმაციას, რომელიც ავსებს ცოდნას ჩვენი თანამემამულეების უცხოეთში ცხოვრება-საქმიანობის შესახებ, ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

ვაქვეყნებთ ორ საინტერესო მასალას, რომლის ავტორია ყოფილი იუნკერი სვიმონ (სიკო) კობიაშვილი. პირველი ხელნაწერი დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 424) და დასათაურებულია ასე: „ქართველი მხედრები პოლონეთში“; დოკუმენტი აღწერს ქართველ იუნკერთა პოლონეთში ჩასვლას საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, მათ განათლებასა და სამსახურს პოლონეთის სამხედრო სასწავლებლებში.

ქალაქზე პოლონურ ენაზე ნაბეჭდი მეორე დოკუმენტი მიმოიხილავს იმ ძირითად მიზეზებს, რომლებმაც 1941-1945 წლებში ქართული ემიგრაცია გერმანელებთან თანამშრომლობამდე მიიყვანა.¹ ტექსტში ასევე ასახულია ქართველი სამხედროების ტრაგიკული ბედი მეორე მსოფლიო ომის წლებში. გარდა ამისა, სვიმონ კობიაშვილი წარმოაჩინს ქართველი ემიგრანტების როლს პოლონეთის იატაკქვეშეთსა და „არმია კრაიოვას“ რიგებში.

სვიმონ კობიაშვილი 1921 წლის დასაწყისისათვის თბილისის სამხედრო სკოლის უმცროსი კლასის მეორე განყოფილებაში ირიცხებოდა, რომელიც მისი დამაარსებლისა და პირველი უფროსის გენერალ გიორგი კვინიტაძის სიტყვებით, „ქართული სამხედრო აზროვნების სამჭედლო“ იყო.

როდესაც 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რეგულარულ ჯარისა და სახალხო გვარდიის მებრძოლთა მხარდამხარ სამშობლოს დასაცავად ფრონტზე ქართველი იუნკრებიც გაემუშვნენ. სკოლის 183 მსმენელიდან ტაბახმელას მიდამოებში მტერს 173 იუნკერი დაუპირისპირდა. მათგან ცხრა დაიღუპა, ხოლო დანარჩენთა უმეტესობა,

¹ დოკუმენტი პარიზიდან მოგვანოდა გიორგი მამულიამ, რომელის ასლი დაცულია ვარშავის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ „Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies“ არქივში.

მთავრობასთან ერთად საზღვარგარეთ გაიხიზნა. კონსტანტინოპოლში რამდენიმე თვით შეჩერების შემდეგ, იუნკერთა ერთი ჯგუფი საბერძნეთში გაიგზავნა, ხოლო უფრო მრავალრიცხოვანი შემადგენლობა პოლონეთში მიიღო. როგორც სვიმონ კობიაშვილი წერს: „პოლონეთში ქართველ მხედრობას უხვად გაუღო თავისი ოჯახის კარები და ტრადიციული სტუმართმოყვარეობით მიიღო“.

ქართველი ჭაბუკები სამხედრო – პოდხორონჟეთა სკოლებში ჩაირიცხნენ. „ქართველები განსაკუთრებით შრომისმოყვარე და ბეჯითი სტუდენტები აღმოჩნდნენ. სასწავლო კურსები ყველა ჩარიცხულმა ოფიცერმა დაამთავრა“.² ბევრი მათგანი შემდეგ სხვადასხვა წოდებით პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი გახდა და თავდადებით ემსახურა თავისი მეორე სამშობლოს. საგულისხმოა, რომ იმ რამდენიმეათეულ ქართველ მხედართაგან, რომელმაც პოლონეთში სამხედრო სამსახური იუნკერის ხარისხით დაიწყო, 1939 წლამდე უმრავლესობას კაპიტნის ხარისხისათვის მიუღწევია. კაპიტნის წოდებას ფლობდა სვიმონ კობიაშვილიც, რომელიც გადმოგვცემს: „ქართველმა ოფიცერებმა პოლონეთის ჯარში მეტათ კარგი სახელი დასტოვეს. მაშინ, როდესაც პოლონელ ოფიცერების მხოლოდ ათი პროცენტი ფრიადი ატესტაციით იყო დახასიათებული, ქართველ ოფიცერთა შორის ასეთი დახასიათება ოცდაათს ჰქონდა“. ავტორი იმონებს პოლონეთის სამხედრო აკადემიის პროფესორის, გენერალის ტომაშევსკის სიტყვებს, რომ „ქართველი ოფიცერების საშუალო დონე გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე მათი პოლონელი ამხანაგების“. სწორედ ამის გამო იყო, რომ ჩვენი თანამემამულე ოფიცრები „ასეულების, ბატალიონების და ათასეულების უფროსებადაც ინიშნებოდნენ“.

სვიმონ კობიაშვილის ცნობით, ქართველი მხედრების რიცხვი პოლონეთში 80-ს აღწევდა. მეორე მსოფლიო ომის წინ მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულა. 11 ქართველი გარდაცვლილა, – „უმრავლესობა ფილტვების ავადმყოფობით“ (ამას ყოფილი იუნკერი ალექსანდრე ჯინჭარაძეც ადასტურებს, რომელიც აღნიშნავს: „იუნკერი ხუხუნი გარდაიცვალა ფილტვების ავადმყოფობით, აგრეთვე იუნკერი კეხელი ამავე ავადმყოფობით პოლონეთში“³).

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ პოლონელთა თავდაცვით ბრძოლებში ორმოცდაათამდე ქართველ ოფიცერს მიუღია მონაწილეობა. მათგან დოკუმენტში საგანგებოდაა გამოყოფილი პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე, მაიორი არტემ არონიშიძე და მაიორი ვლადიმერ (ლადო) ხუნდაძე, და სხვები „რომელთა ხსენებას თვით პოლონეთის მომავალი ისტორიკოსიც არ დაივიწყებს“. ქართული ემიგრაციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა პოლონელებისადმი სოლიდარობის ნიშნად უარი თქვა გერმანელებთან თანამშრომლობაზე. ზოგიერთებმა კიდევ უფრო აქტიურად გამოხატეს ეს სოლიდარობა. ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები იბრძოდნენ პოლონეთის იატაკქვეშეთში, „არმია კრაიოვას“ რიგებში. 1942 წლის დეკემბერში ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში აღესრულა არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, ქართული კოლონიის სულიერი მოძღვარი პოლონეთში, 1933 წლიდან ვარშაიას უნივერსიტეტის პატროლოგიის კათედრის პროფესორი. სულ სხვა ბედით ეწიათ პოლონეთის არმიის ქართველ საკონტრაქტო ოფიცრებს, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომი გამოიარეს. პოლონელი გენერლის ვლადისლავ ანდერსის მეორე კორპუსში იბრძო-

2 Wojciech Materski, *Gruzini – oficerowie kontraktowy Wojska Polskiego*, „Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies“, vol. 16, 2007-2008, 13-19.

3 უურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2016, № 4 (7), გვ. 212.

და დაახლოებით ოცდაათი ქართველი ოფიცერი. ალიანტების მიერ ოკუპირებულ გერმანიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ათამდე ქართველი ოფიცერი. დაახლოებით თხუთმეტი ოფიცერი დარჩა პოლონეთის ე.წ. ლუბელსკის ტერიტორიაზე, რაც ნიშნავდა ციხეს ან სიკვდილით დასჯას. გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე იხსენებს, რომ 1944 წელს, საბჭოთა ჯარის ხელმეორედ შესვლისას პოლონეთში, ყველა ქართველი სამხედრო ოფიცერი, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა რუსებს, დახვრიტეს.⁴

ვარშავის ჩრდილოეთ ნაწილის თავდაცვის მეთაური იყო პოდპოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე. ვარშავის ოხოტის ნაწილს იცავდა მეთაური არტემი არონიძე. ვარშავის 28-ე დივიზიის მეთაური იყო პოლკოვნიკი ალექსანდრე ვაჩნაძე. საქვეითო მე-6 დივიზიის მეთაური, კრაკოვის დაცვის უფროსი იყო პოლკოვნიკი რომან გველესიანი. ვიქტორ ლომიძე კაპიტნის მოადგილე, შემდეგ კი ხომალდ „ბურჟაზე“ კაპიტანი. მეორე მსოფლიო ომის დანებება გიორგი თუმანიშვილი ხომალდ „ბურჟაზე“ სამხედრო მანევრების დროს შეესწრო. 1939 წლის 17 სექტემბერს, როდესაც საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ აღმოსავლეთ პოლონეთში, ჯარებთან ერთად იყო ნკვდ-ს (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) სპეციალური დანაყოფი, რომელიც განსაკუთრებულად ეძებდა პოლონეთის არმიის ქართველ საკონტრაქტო ოფიცრებს. არაფერი ვიცით მათ ტრაგიკულ ბედზე. ზოგადად მათ ელოდათ ძალიან სწრაფი სიკვდილი, უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე ათეულწლიანი ტყვეობა საბჭოთა ბანაკებში. კოჟელსკის ნკვდ-ს ბანაკის ტყვეები იყვნენ პოლკოვნიკი ალექსანდრე ტაბიძე, მაიორი გიორგი მამალაძე, მაიორი ალექსანდრე ყიფიანი, კაპიტანი-მფრინავი არკადი სხირტლაძე. სტარობელსკის ბანაკში მოხვდნენ: კაპიტანი მიხეილ რუსიაშვილი, ბრონისლავ ტაბიძე (ალექსანდრე ტაბიძის შვილი). 1940 წლის თებერვალში კოჟელსკის ბანაკიდან საბჭოთა კავშირის უშიშროების ციხეში სასიკვდილო განაჩენით გადაიყვანეს სამხედრო ტყვეები: პოლკოვნიკი ტაბიძე, მაიორი ყიფიანი და კაპიტანი რუსიაშვილი. დანარჩენი ტყვეები დახვრიტეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ბიუროს გადაწყვეტილებით 1940 წლის 5 მარტს კატინის ტყეში. 1940 წლის თებერვალში ნკვდ-მ ლვოვში დააპატიმრა გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე, რომელიც იმავე წლის დეკემბერში გადაიყვანეს მოსკოვში, სადაც დახვრიტეს მომდევნო წლის დასაწყისში. საკონტრატო ოფიცრების კვალზე ნკვდ ძალიან კარგად იყო ინფორმირებული, როგორც ამას ბოლო დროს აღმოჩენილი საარქივო მასალები გვიჩვენებენ.⁵ აგენტები და ნკვდ-ს თანამშრომლები ყურადღებით აკვირდებოდნენ ქართული ემიგრაციის ცხოვრებას ომამდელ პოლონეთში. ამ დაკვირვების შედეგად „პრომეთეს“ კლუბში შედგენილი ჰქონდათ სპეციალური სია. ამ სიის საფუძველზე 1939 წლის 17 სექტემბერს საბჭოთა კავშირის ჯარების მიერ მიტაცებულ აღმოსავლეთ პოლონეთში დაიწყეს ემიგრანტების ხოცვა. მსგავსი რამ ხდებოდა არა მარტო პოლონეთში, არამედ ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და ბესარაბიაში.⁶

4 დ. ყოლბაია, რეჟიმოსპოლიტას ფრთებქვეშ. ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1912-1939 წლებში, ვარშავა 2019, გვ. 42-43.

5 იქვე, გვ. 43

6 *Avowed Servants of Motherland Georgia Contract Officers of the Polish Army 1921 — 1944*, Edited by David Kolbaia „Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies”, vol. 16, გვ. 7-218. დ. ყოლბაია, რეჟიმოსპოლიტას ფრთებქვეშ ... გვ. 43; G. Mamoullia, *Les combats independantistes des Caucaasiens entre URSS et puissances occidentales. Le cas d la Georgie (1921–1945)*, Paris 2009; idem, *Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах движения „Прометей” (сборник документов)*, Москва 2012; idem, *Powstanie antybolshewickie 1924 roku i jego wpływ na kwestię gruzińską w Europie. Konferencja lożańska i dyplomacja rządu Gruzji na uchodźctwie*, „Pro Georgia”, 24 (2013).

„ქართველი მხედრობა პოლონეთში ქართველი ერის მხნეობის, სიმამაცის და მალა-ლი ზნეობის ნარმომადგენლები იყვნენ“. მას შემდეგ, რაც ამ ადამიანებმა პოლონეთის წინაშე თავიანთი მოვალეობა უმნიშვნელოდ შეასრულეს, მათი ერთი ნაწილი საკუთარი სამშობლოს განთავისუფლებას გერმანიის მხარდაჭერით შეეცადა და ვერმახტის ქართულ ლეგიონს შეუერთდა.⁷ სვიმონ კობიაშვილიც ერთი მათგანი იყო. იგი ჯერ ქვეით ბატალიონს, ხოლო შემდეგ ლეგიონსაც მეთაურობდა. ომის დასრულების შემდეგ ს. კობიაშვილი საცხოვრებლად ამერიკის შეერთებული შტატებში გადავიდა. მონაწილეობდა აქაური ქართული სათვისტომოს ცხოვრებაში და მუშაობდა „ამერიკის ხმის“ ქართულ სექციაში. გარდაიცვალა 1976 წელს. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

პუბლიკაცია მოამზადეს **ოთარ ჯანელიძემ** და **დავით ყოლბაიამ**

დოკუმენტები:

1. სვიმონ კობიაშვილი, „ქართველი მხედრობა პოლონეთში“. ხელნაწერი დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 424).

ომის გამოუცხადებლათ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილ მტერთან უთანასწორო ბრძოლის მარცხით დამთავრების შემდეგ, ქართველი მხედრების ერთი ნაწილი სათათრეთში⁸ გადაიხიზნა 1921 წელში.

გადახვეწილი მხედრობის მოწყობა, მათი მხედრული უნარის შენარჩუნება და განვითარება საქართველოს მთავრობამ პირველ მიზნად დაისახა. მის მიმართვას, სხვა სახელმწიფოთა შორის, პოლონეთიც გამოეხმაურა.

პოლონეთმა ქართველ მხედრობას უხვად გაუღო თავისი ოჯახის კარები და ტრადიციული სტუმართმოყვარეობით მიიღო. ამ მოვლენის და მისი შედეგების ზედმიწევნით შესწავლა-შეფასება მომავალი ისტორიკოსის საგანს შეადგენს, ჩვენ გესურს მხოლოდ აღვნიშნოთ შემდეგი.

პოლონელების ცნობილმა რაინდულმა კეთილშობილებამ, მათ მიერ ჩვენი განცდებისა და მდგომარეობის უაღრესათ შეგნებამ, შეამსუბუქა ჩვენი ეროვნული ტრადიციის მიერ გამოწვეული მწარე განცდები, შეგვმატა გამძლეობის უნარი და ჩაგვისახა ნათელი მომავლის უტეხი იმედი.

ჩვენც გულში ვატარებთ პოლონეთისადმი უღრმესი პატივისცემის გრძნობას და იმედს, რომ ჩვენი პოლონეთში ყოფნა უკვალოთ არ ჩაივლის. ეს უნდა გახდეს თავისუფალ ქართველი და პოლონელი ერის შემაკავშირებელ დუღაბათ.

ქართველი მხედრები პოლონეთში სამ ჯგუფათ ჩამოვიდა.⁹ პირველი ჯგუფი –

7 Г. Мамулия, *Грузинский легион в борьбе за свободу и независимость Грузии в годы Второй мировой войны*, Тбилиси, 2007; idem: *Грузинский легион Вермахта*, Москва 2011.

8 იგულისხმება ოსმალეთი.

9 პირველ კურსზე, ვარშავის კადეტთა სკოლაში (1921 წლის აგვისტო – 1922 წლის ივლისი), სწავლობდა მინიმუმ ოცდაოთხი ქართველი კადეტი; შემდეგ კურსზე (1922 წლის აგვისტო – 1923 წლის ივლისი) – მინიმუმ ოცდაორი. კურსის დასრულების შემდეგ ისინი გადამისამართდნენ ოფიცერთა სკოლებში; მათი უმრავლესობა მოხვდა ქვეითთა ოფიცრების სკოლაში. ოფიცერთა სკოლების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ პოდპორუჩიკის ნოდება

ოცდახუთი იუნკერი 1921 წ. დეკემბერში.¹⁰ მეორე – ხუთი ლენერალი, ოცდაათამდე ოფიცერი და მათი ოჯახები 1922 წ. შემოდგომას.¹¹ მესამე ჯგუფი კი 1922 წლის დეკემბერში. ამ ჯგუფში შედიოდა ქართული ჯარის რამოდენიმე ოფიცერი, მათ შორის ლენერალი ზაქარიაძე და თვრამეტი იუნკერი, რომელნიც 1921 წ. აგვისტოდან საბერძნეთის სამხედრო სკოლაში იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, ორიოდე ახალგაზრდა ქართველი, რომელიც იუნკრებთან ერთად ვარშავის სამხედრო სკოლაში („პოდხორონჟუჟკა“) იყვნენ მიღებული.

როგორც პირველი, ისე მესამე ჯგუფის იუნკრები დაუყოვნებლივ პოდხორუნჟების სკოლაში სწავლას შეუდგნენ, რომლის დამთავრების და ჯარის ნაწილებში პრაქტიკის შემდეგ სხვადასხვა დარგის ოფიცერთა სკოლაში დააწინაღეს.

ქართველი ოფიცრები ჩამოსვლისთანავე, ქალაქ ბიდგოჩის სამხედრო სასწავლებელში მიავილნეს, სადაც მათთვის საგანგებო მოსამზადებელი კურსი იყო გახსნილი. ამ კურსის დამთავრების შემდეგ ქვეითი ჯარის ოფიცრები ნაწილებში განაწესეს. სხვა ოფიცრები კი მათი დარგის სკოლებში და შემდეგ სათანადო ნაწილებში.¹²

ლენერლები – ყაზბეგი, ქეთარაძე, ბაქრაძე, ჩხეიძე, კონიაშვილი და ზოგიერთი პოლკოვნიკი დივიზიების, კორპუსების და სხვა მაღალ შტაბებში მიავილნეს, სადაც დიდი შენაერთების მეთაურთა მოადგილეების თანამდებობას ასრულებდნენ.

და იგზავნებოდნენ სამხედრო ნაწილებში. ამასთან, გაურკვეველი მიზეზების გამო, ოთხმა ქართველმა კურსდამთავრებულმა ოფიცერთა სკოლებში აღარ გააგრძელა სწავლა (პუბლიკაციის ავტორები).

- 10 ესენი იყვნენ: სიმონ ბახუტაშვილი, ივანე ბაქრაძე, გრიგოლ ბოკუჩავა, ზაქარია ნერეთელი, ვალერი ხელაძე, გედეონ ხუნდაძე, თედორე ნითლანაძე, დავით ჩხეიძე, გიორგი ჩხეიძე, მიხეილ დადიანი, გიორგი ჯავახიშვილი, ალექსანდრე გლოვაცკი, გრიგოლ იაშვილი, იულიუს კაკაბაძე, მიხეილ კვალიაშვილი, მიხეილ ნიკოლაიშვილი, გიორგი მრულაშვილი, შალვა ფურცელაძე, მელიქ სომხიანი, არკადი სხირტლაძე, გიორგი ტურაშვილი, ბორის თინიკაშვილი, თალიკო უგრეხელიძე, იოსებ ზაუტაშვილი (პუბლიკაციის ავტორები).
- 11 ესენი იყვნენ: სიმონ აბაშიძე, ვახტანგ აბაშიძე, პროკოფი აბულაძე, ნიკო აღნიშვილი, საველი ბალახვანელი, ვლადიმერ ციბაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ ყიფიანი, ირაკლი ყაზბეგი, ირაკლი კიკნაძე, სიმონ კობიაშვილი, დავით ლალიძე, დიმიტრი ლალიძე, ვლადიმერ ლალიძე, იულიან ლობჯანიძე, ვიქტორ ლომიძე, ლადო მაჭარაძე, ნიკოლოზ მათიკაშვილი, ფარნაოზ ნაცვლიშვილი, ივანე ნანუაშვილი, გიორგი რატიშვილი, პლატონ თაყაიშვილი (პუბლიკაციის ავტორები).
- 12 ვახტანგ აბაშიძე (1925), ნიკო აღნიაშვილი (1926), საველი ბალახვანელი (1925), ზაქარია ნერეთელი (1923), ვლადიმერ ციბაძე (1925), გედეონ ხუნდაძე (1923), გიორგი ჯავახიშვილი (1923), იულიუს კაკაბაძე (1923), ირაკლი კიკნაძე (1925), დავით ყიფიანი (1925), მიხეილ ყიფიანი (1925), იულიან ლობჯანიძე (1925), ნიკოლოზ მათიკაშვილი (1925), მიხეილ ნიკოლაიშვილი (1923), გიორგი მრულაშვილი (1923), ივანე ნანუაშვილი (1925), მელიქ სომხიანი (1923), არკადი სხირტლაძე (1923), თედორე ნითლანაძე (1924), ირაკლი ყაზბეგი (1925), დავით ლალიძე (1925), ვლადიმერ ლალიძე (1925), ლადო მაჭარაძე (1925), შალვა (შალიკო) ფურცელაძე (1924), გიორგი რატიშვილი (1925), პლატონ თაყაიშვილი (1925), გიორგი ტურაშვილი (1924), იოსებ ზაუტაშვილი (1925), ივანე ბაქრაძე (1923), დავით ჩხეიძე (1923), გიორგი ჩხეიძე (1923), მიხა დადიანი (1923), ალექსანდრე გლოვაცკი (1923), გრიგოლ იაშვილი (1923), სიმონ კობიაშვილი (1925), მიხეილ კვალიაშვილი (1925), დიმიტრი ლალიძე (1925), ვიტალი უგრეხელიძე (1923), სიმონ აბაშიძე (თარიღი უცნობია), ვალერი ხელაძე (თარიღი უცნობია), ვიქტორ ლომიძე (1925), ჯორჯ (გიორგი) თუმანიშვილი (1938), პორუნიკი არკადი სხირტლაძე (1926) და კაპიტანი სევერიან მჭყინია (1927), გიორგი მამალაძე (1924). ალექსანდრე ალავიძე, გენერალი ზაქარია ბაქრაძე, გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე, პოლკოვნიკი ალექსანდრე ბაგრატიონი, კაპიტანი ალექსანდრე ალავიძე, კაპიტანი არტემი აბონიშიძე, კაპიტანი დავით უუთათელაძე, კაპიტანი გიორგი ფავლენიშვილი (პუბლიკაციის ავტორები).

გამორჩენილი სამხედრო ინჟინერი, პოლკოვნიკი კანდელაკი, მიწვეული იყო ფორთიფიკაციის მასწავლებლათ სამხედრო საინჟინრო სასწავლებელში ვარშავაში.

დასაწყისში ქართველი მხედრების რიცხვი პოლონეთის ჯარში ოთხმოცს აღწევდა. პოლონეთში ყოფნის თვრამეტი წლის განმავლობაში თერთმეტი ქართველი გარდაიცვალა (უმთავრესათ ფილტვების ავადმყოფობით). ერთი საქართველოში დაბრუნდა, რამდენიმე კი თავისი სურვილით ან ავადმყოფობის გამო სამხედრო სამსახურს თავი დაანება. – ამგვარათ, 1939 წელში პოლონეთის ჯარში დაახლოებით ორმოცდაათამდე ქართველი ოფიცერი მსახურობდა.¹³

ქართველი მხედრების უფროსათ პოლონეთში ქართულმა მთავრობამ ლენერალი ზაქარიაძე დანიშნა. ის ზრუნავდა, რომ ქართველ მხედრებს ქართული საჭიროების თვალსაზრისით, სათანადო სწავლა-განრთვნა მიეღოთ. გარდა ამისა, ლენერალი ზაქარიაძე პოლონეთის სამხედრო სარდლობის წინაშე, ასე რომ ვსთქვათ, ქართული ინტერესების დამცავ პიროვნებას წარმოადგენდა. აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ლენ. ზაქარიაძის შუამავლობით ბევრი ქართველი ოფიცერი სხვადასხვა სპეციალობის კურსებზე და სკოლებში იყვნენ მიღებული, სადაც შესვლა პოლონელი ოფიცრებისთვისაც კი ადვილი არ იყო. მაგალითათ: უმცროსი ოფიცრებიდან ოთხმა ყოფილ იუნკრებიდან, ექვსმა ოფიცრმა სამხედრო აკადემია დაამთავრა და ზოგი მათგანი სხვადასხვა შტაბებში გენერალური შტაბის ოფიცრის თანამდებობას ასრულებდა.

პოლონეთის სამხედრო კანონების მიხედვით, „კარიერის“, – ე. ი. აქტიური ჯარის ოფიცრათ, მხოლოთ პოლონელი ქვეშევრდომი შეიძლებოდა ყოფილიყო. ვინაიდან ქართველი ოფიცერი პოლონეთში ბოლომდე საქართველოს მოქალაქეებათ ითვლებოდნენ, მათი სამსახური ჯარში საგანგებო კონტრაქტით იყო განსაზღვრული.

მიუხედავათ იმისა, რომ კონტრაქტზე მყოფ ოფიცრებს, იმავე კანონის ძალით, უფლება არა ჰქონდათ, მობილიზაციურ გეგმების დამუშავებაში მონაწილეობა მიეღოთ, ქართველი ოფიცრები ასეულების, ბათალიონების და ათასეულების უფროსებათაც ინიშნებოდნენ. ე. ი. ისეთ თანამდებობაზე, სადაც ოფიცერს თავის შენაერთის სამობილიზაციო გეგმის შედგენა ევალებოდა.

ქართველმა ოფიცრებმა პოლონეთის ჯარში მეტათ კარგი სახელი დასტოვეს. მაშინ, როდესაც პოლონელ ოფიცრების მხოლოთ ათი პროცენტი ფრიადი ატესტაციით იყო დახასიათებული, ქართველ ოფიცერთა შორის ასეთი დახასიათება ოცდაათს ჰქონდა.

პოლონეთის სამხედრო აკადემიის ყოფილი პროფესორი, ლენერალი ტომამეცსკი, რომელიც ბევრ ქართველ ოფიცერს იცნობდა, ერთ პოლონურ ჟურნალში, რომელიც ინგლისში გამოდის, 1941 წ. შემდეგს წერდა: „ქართველი ოფიცრების საშუალო დონე გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე მათი პოლონელი ამხანაგებისო“.

იმავე წერილში ლენერალი ტომამეცსკი აღფრთოვანებით იგონებს ქართველ ოფიცრებს, რომელთაც ვარშავის დაცვაში 1939 წელს მონაწილეობა მიიღეს.

როგორც პოლონელ მეგობართა შორის, ისე პოლონელ ფართო საზოგადოებაში ქართველ ოფიცრებს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ და საზოგადოების უმაღლეს წრეებშიც კი იყვნენ მიღებული.

13 პოლონეთის არმიის სამსახურში კონტრაქტის საფუძველზე 108 ქართველი ოფიცერი მსახურობდა. იხ. დ. ყოლბაია, რეჩპოსპოლიტას ფრთებქვეშ. ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1912-1939 წლებში, ვარშავა 2019, გვ. 42; *Avowed Servants of Motherland Georgia Contract Officers of the Polish Army 1921 — 1944*, Edited by David Kolbaia „Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies“, vol. 16, p.7-218.

პოლონელების მხრივ პატივისცემა ქართველმა ოფიცრებმა მით უფრო დაიმსახურეს, რომ არ კარგავდნენ თავიანთ ქართულ სახეს, ყველგან და ყოველთვის ხაზს უსვამდნენ თავიანთ ქართულ მეობას. ქართველი ოფიცრების იმ ნაწილმა, რომელმაც პოლონეთში სამხედრო სამსახური იუნკერის ხარისხით დაიწყო, 1939 წლამდე უმრავლესობამ კაპიტნის ხარისხს მიაღწია, რაც მშვიდობიანობის დროს ნორმალურ წარჩინებათ უნდა ჩაითვალოს. იმათ კი ვინც სამსახური უკვე ოფიცრების ხარისხით დაიწყო, პოდპოლკოვნიკების და პოლკოვნიკების გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში, ორი ხარისხით ნინ წაიწიეს.

გერმანიასთან 1939 წლის ომში ქართველი ოფიცრების უმრავლესობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო. ზოგიერთებმა თავი გამოიჩინეს და პოლონელების სარდლობის მადლობა დაიმსახურეს. მათ რიცხვში საგანგებოთ უნდა დავასახელოთ სამი ქართველი ოფიცერი, რომელთა ხსენებას თვით პოლონეთის მომავალი ისტორიკოსიც არ დაივიწყებს. ეს გახლავთ: პოლკოვნიკი თევზაძე, მაიორი არონიშიძე და მაიორი სიამაშვილი.

ამ სამმა ოფიცერმა ქართველ მხედრებს პოლონურ ჯარში დიდი სახელი გაუთქვა. მოკლეთ შეეხებოთ იმ როლს, რომელიც მათ ზემოთ აღნიშნულ ომის ერთა ხანაში ითამაშეს.

1939 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში გერმანელებმა პოლონეთის დედაქალაქ ვარშავას ალყა შემოარტყეს და პოლონეთის სარდლობას ბრძოლის შეწყვეტის და დანებების ულტიმატუმით მიმართეს. პოლონელებმა ამ წინადადებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. თერთმეტ სექტემბერს ვარშავის ირგვლივ სამკედრო-სასიხოცხლო ბრძოლა განაღდა, რომელიც სამი კვირა გაგრძელდა და ორთავ მხარეზე დიდი ზარალით და ვარშავის ერთი მეოთხედის თითქმის სრული განადგურებით დამთავრდა.

ვარშავის დაცვა სამ საბრძოლო ფრონტად იყო გაყოფილი. თითო ფრონტი, რომლის წინა ხაზს სამი-ოთხი ათასეული იცავდა, თავის მხრივ, ორ-სამ უბანს იცავდა. ერთ-ერთ ამ სამ უბნის უფროსათ პოლკოვნიკი თევზაძე იყო დანიშნული. ორი კიდევ სხვა უბნის უფროსებათ – მაიორი არონიშიძე და მაიორი სიამაშვილი. ასეთი დიდი პატივის მნიშვნელობის სათანადო შეფასება მხოლოდ შეილება თუ ანგარიშს გავუწევთ იმ ფაქტს, რომ ვარშავაში იმ დროს ათამდე „უთანამდებო“ უფროსი ოფიცერი იმყოფებოდა.

ამ სამივე ქართველმა ოფიცერმა ზედმიწევნით შეასრულა დავალებული ამოცანა და პოლონური სამხედრო ჯილდოები მიიღო. აქ უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის სამი კვირის სასტიკი ბრძოლების განმავლობაში, მაიორი არონიშიძის უბანში, გერმანელებმა ვერსად შეძლეს პოზიციების გარღვევა.

ამ ომმა დიდი ზიანი მიაყენა ქართველ ოფიცრებს და მათი რიცხვი მკვეთრათ შეათხელა. კუტნოს რაიონის ბრძოლებში დაიღუპა ყოფილი იუნკერი კაპიტანი მახარაძე. აღმოსავლეთ ფრონტზე, საბჭოთა კავშირის ტყვეთ ჩავარდნენ მაიორები რუსიაშვილი, მამალაძე, ყოფილი იუნკრები კაპიტნები რატიანელი და სხირტლაძე. ომის შემდეგ გამოქვეყნებულ რამდენიმე ათას პოლონელ ოფიცერთა სიაში, რომელიც კატიონის ტყეში საბჭოთა კავშირის ჯალათებმა ვერაგულათ დახვრიტეს, აღნიშნულია აგრეთვე მაიორ მამალაძის და მაიორ რუსიაშვილის გვარები.

რაც შეეხება კაპ. რატივილს და კაპ. სხირტლაძეს, მათ შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება.

პოლონეთის ჯარში ქართველი მხედრების სამსახური ქართულ ემიგრაციულ ცხოვრებაში მეტათ მნიშვნელოვან მოვლენათ უნდა ჩაითვალოს და დაბეჯითებით

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მარტო ემიგრანტულ ვინრო ჩარჩოებში არ მოთავსდება. ქართველი მხედრობა პოლონეთში ქართველი ერის მხნეობის, სიმამაცის და მაღალი ზნეობის ნარმომადგენლები იყვნენ. ეს როლი მათ პირნათლათ და ერთგულათ შეასრულეს.

მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა და არც განისაზღვრებოდა მათი მოღვაწეობა, ამით არ შეიძლებოდა დასრულებულიყო მათი მოვალეობა.

მათი უცხოეთში გადმოხიზვნის მიზანი იყო უწინარეს ყოვლისა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა და ამიტომ, როდესაც ქართველმა მხედრებმა პოლონეთის და მისი ჯარის მიმართ თავიანთი მოვალეობა უმნიკვლოთ, ბოლომდე შეასრულეს, მათი ერთი ნაწილი, ზემოთ აღნიშნულ ეროვნული მიზნების შესრულებას შეუდგა.

გერმანია, მთელი თავისი სიძლიერით, ჩვენ დაუძინებელ მტერს ეძებდა. შეუძლებელია ამას ყოველ ქართველის გულში იმედების პატარა ნაპერწკალი არ დაენთო და მტერთან ანგარიშების გასწორების სურვილი არ აღეძრა. ამიტომ ისინი, თავიანთი გამოცდილებით, ცოდნით და მათის ბედის გაზიარების კეთილი სურვილებით, მხარში ამოუდგნენ იმ რამდენიმე ათასს ახალგაზრდა თანამემამულეს, რომელნიც გერმანიის ჯარის ფარგლებში, რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ეროვნული დროშის ქვეშ, იარაღით ხელში იბრძოდნენ.

ქართველ მხედრებს, მიუხედავად დიდი სიძნელებისა, აქაც თავი არ დაუზოგავთ და საქართველოს თავისუფლების ბრძოლის ისტორიას ბრწყინვალე ფურცლები შემატეს.

ამ დროის დაწვრილებით აღწერა ახალ თემათ უნდა ჩაითვალოს.

2. ძირითადი მიზეზების მიმოხილვა, რომლებმაც ომის დროს 1941-1945 წლებში ქართული ემიგრაცია გერმანელებთან თანამშრომლობაზე მიიყვანა (ქალაქ ზენაზე ნაბეჭდი ტექსტი პოლონურ ენაზე). ხელმოწერილია: სვიმონ კობიაშვილი. მიუნხენი, 1946 წლის სექტემბერი.

1. პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციის შემდეგ, როგორც ცნობილია, საქართველო რუსეთს გამოეყო და 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს დამოუკიდებლობა თავდაპირველად „დე ფაქტო“, შემდეგ კი „დე იურე“ თითქმის ყველა ევროპულმა სახელმწიფომ და მოკავშირეთა მთავარმა კომიტეტმა აღიარა.

ეს მოხდა ასზე მეტი წლის მანძილზე ქართული ერის მიერ რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგ (როგორც ცნობილია, 1801 წლიდან, ანუ საქართველოს ოკუპაციის დასაწყისიდან, ქართველმა ხალხმა ცხრა დიდი და დაახლოებით ოცი მცირე აჯანყება მოაწყო რუსეთის წინააღმდეგ).

საქართველოს დამოუკიდებლობა ასევე აღიარა საბჭოთა რუსეთმა, რომელმაც 1920 წლის 7 მაისს საქართველოს მთავრობასთან არაგრესიის პაქტი გააფორმა. ამ პაქტის პირველი ორი პუნქტი ასე უდერს:

1. რუსეთი უპირობოდ აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს და ნებაყოფლობით უარს ამბობს საქართველოს ერისა და ტერიტორიის მიმართ ყველა უფლებაზე.
2. ზემოთმოყვანილი მუხლის შესაბამისად, რუსეთს არ აქვს უფლება, ჩაერიოს საქართველოს შიდა საქმეებში.

მიუხედავად პაქტის ხელმოწერიდან რვა თვის გასვლისა, საბჭოთა რუსეთმა ომის გამოუცხადებლად საქართველოზე იერიში მიიტანა. ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი ომის შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმი დაამყარა და საბჭოთა კავშირში შეიყვანა.

ამ ომმა და საქართველოს დაპყრობამ მთელ ევროპაში პროტესტი და აღშფოთება გამოიწვია. ქართველი ერი, რა თქმა უნდა, ამას არ შეურიგდა. საქართველოს მთავრობა, პარლამენტის წევრების უმრავლესობა, არმიის წამყვანი წარმომადგენლები და საზოგადოების ლიდერები საზღვარგარეთ გაიხიზნენ, რათა ევროპული ერების მხარდაჭერა მოეპოვებინათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს ბრძოლა თავიდანვე გადაიქცა სასტიკი იატაკქვეშა მოძრაობის და ტერორის ფორმებად. ბრძოლის ზოგიერთი ეპიზოდი, მაგალითად, აჯანყება ხევსურეთსა და სვანეთში, 1923 წლის აჯანყება და საერთო ეროვნული 1924 წლის აჯანყება, ევროპაშიც გახდა ცნობილი. იმ დროს ევროპული პრესა დეტალურად აშუქებდა საქართველოს პრობლემებს და არ მალავდა სიმპათიებს ქართველი ერის მიმართ. ქართული აჯანყებები, როგორც ყველა სხვა აჯანყება, ძალიან სისხლიანი იყო და დაუნდობელი მეთოდებით ჩახშობილი. შეუძლებელია გადაჭარბების გარეშე იმის თქმა, რომ აჯანყებების დროს ქართველმა ერმა თითქმის მთლიანად დაკარგა თავისი ინტელიგენციის ახალგაზრდობა. მაგალითად, 1924 წლის 25 აგვისტოს მხოლოდ ერთ ციხეში, თბილისის „მეტეხში“, სამი ათასი ადამიანი დასაჯეს. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობა სამ მილიონს შეადგენდა.

აჯანყებებმა სხვადასხვა ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების, მაგალითად, ერთა ლიგის, მეორე ინტერნაციონალის, ბრიტანული პროფესიული კავშირების და სხვათა პროტესტი გამოიწვია. მათი რეზოლუციები მოითხოვდნენ რუსული ჯარების საქართველოდან გაყვანას და რეფერენდუმის ჩატარებას. ეს რეზოლუციები, რა თქმა უნდა, საქართველოს ვერ შეველოდა, და მხოლოდ ტერორის გაძლიერებას იწვევდა.

ხოლო ქართველმა ერმა ამ ყველაფრიდან ერთი ლოგიკური დასკვნა გამოიტანა: უცხოური სამხედრო დახმარების გარეშე, შეუძლებელი იყო რუსეთის ჯარების საქართველოდან განდევნა, რადგან საბჭოთა სახელმწიფო, მიუხედავად შიდა კრიზისებისა, აშკარად მყარდებოდა და მისი შიგნიდან დამხობა შეუძლებელი ხდებოდა. ამის ფონზე, ვარაუდობდნენ, რომ მსოფლიო ქვეყნების მიმართ ქრონიკულად ოპოზიციამი დარჩენილი საბჭოთა რუსეთი ადრე თუ გვიან ისტორიულ-იდეოლოგიური მიზეზების გამო იძულებული გახდებოდა ერთ ან რამდენიმე ევროპულ სახელმწიფოსთან შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართულიყო, რაც, მათი აზრით, გარდაუვლად გამოიწვევდა საბჭოთა სახელმწიფოს დაშლას მცირე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებად.

ამ პროგნოზების სისწორე დადასტურდა ომის პირველივე პერიოდში. საბჭოთა კავშირის ხალხებს, მათ შორის რუსებსაც, არ სურდათ არსებული რეჟიმისთვის ბრძოლა. ომი მათთვის არანაირ მიზანს წარმოადგენდა. ამის დასტურია საბჭოთა ჯარისკაცების მასობრივი გადასვლა მტრის მხარეს. მათი უმრავლესობა მცირე ერების წარმომადგენელი იყო. მაგალითად, ყირიმის ოპერაციების დროს, 1942 წლის მაისში, თითქმის ბრძოლის გარეშე გერმანულ მხარეს გადავიდა 30 ათასამდე კავკასიელი. ისინი უმეტესად გლეხები იყვნენ, რომლებიც ერთხმად აცხადებდნენ, რომ საბჭოთა რუსეთისთვის ბრძოლა არ სურდათ. მათი უმრავლესობა ითხოვდა,

რომ მათთვის საშუალება მიეცათ, ებრძოლათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ასეთი იყო განწყობა საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ომის პირველ წლებში. ეს არ არის პროპაგანდა, არამედ ფაქტები, რომლებიც ბევრჯერ დაფიქსირდა და დოკუმენტალურად დამტკიცდა.

1941 წელს დაწყებული წითელი არმიის დაშლა გარდაუვლად მივიდოდა მის ლოგიკურ დასასრულამდე, ანუ საბჭოთა სახელმწიფოს დაშლამდე, რომ არა გერმანელების თვითმკვლელი პოლიტიკა, რომელიც მათ აღმოსავლეთში გაატარეს. რაც უფრო ღრმად შეიჭრნენ გერმანელები რუსეთის ტერიტორიაზე, მით უფრო აშკარა ხდებოდა მათი პოლიტიკური მიზნები და მით უფრო მტკიცდებოდა წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის. გერმანელების უნარი, ალექვთ და შეეფასებინათ საბჭოთა რეალობა – საბჭოთა კავშირის ხალხების ურთიერთობები და მისწრაფებები, წითელ არმიაზე მოპოვებული ადვილი გამარჯვებები და სხვა – იყო პირდაპირ დაუფერებელი. ისინი აბსოლუტურად ვერ იკვლევდნენ მოვლენების არსს და ნანახ ფაქტებს აფასებდნენ პრიმიტიულობით. გერმანელებს რომ რაციონალური პოლიტიკა გაეტარებინათ, აგრარული საკითხი გადაეჭრათ და ოფიციალურად შემოეღოთ კერძო მემკვიდრეობითი საკუთრების პრინციპი – მიუხედავად სხვა შეცდომებისა, რომლებიც მათ დაუშვეს, არც არაფერი და არავინ გადაარჩენდა რუსეთს!

იმას, რომ გერმანელები ასეთ პოლიტიკურად მოუმწიფებელ ერად აღმოჩნდებოდნენ, ვერც კი იწინასწარმეტყველებდნენ!

დაახლოებით 1925 წლიდან მოყოლებული, ქართველი ხალხი ემიგრაციასთან ერთად თავის გათავისუფლებას მომავალ ომზე ამყარებდა. ამ მომენტის მოლოდინში, ქართული ემიგრაცია ერთგულად ასრულებდა იმ მოვალეობებს, რომლებიც მას იმ ხალხებთან უწევდა, რომელთა სტუმართმოყვარეობითაც სარგებლობდა. ქართული ემიგრაციის ანტი-ბოლშევიკური და თუნდაც ანტი-რუსული განწყობა არასდროს ყოფილა დაფარული და არც კი ინიღბებოდა. ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომელ სახელმწიფოში იმყოფებოდნენ, როგორც ზეპირად, ასევე ემიგრაციის ვრცელ ლიტერატურაში ღიად აცხადებდნენ, რომ მხოლოდ შესაბამის მომენტს ელოდნენ აქტიური გამოსვლისთვის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ზოგიერთ სახელმწიფოში ინდივიდუალური ემიგრანტებისა ან ემიგრანტული ჯგუფების ღირებულებას აფასებდნენ მათი აქტიურობისა და მტრული დამოკიდებულების ხარისხის მიხედვით საბჭოთა რუსეთის მიმართ.

II. პოლონეთში სამხედრო კონტრაქტით მსახურობდნენ ქართველი ოფიცრები – იმ დროისთვის არარსებული ქართული სახელმწიფოს მოქალაქეები. კონტრაქტის ხასიათი და პოლონეთის მოქალაქეობის არმილება იყო მათ არმიაში შენარჩუნების აუცილებელი პირობა. ასეთი ანომალიური სიტუაციის მიზანი აშკარა იყო: საჭიროდროს ამ ოფიცრების სამართლებრივი სტატუსი პოლონეთის არმიისა და სახელმწიფოს მიმართ არ უნდა გამხდარიყო მათ სამშობლოში გამოყენების ხელშემშლელი ფაქტორი. უნდა ვივარაუდოთ, რომ გათვალისწინებული იყო კიდევ ერთი გარემოება: ალბათ არსებობდა შიში, რომ სამართლებრივი სიტუაციის ნორმალიზაციას შესაძლოა გამოეწვია ამ ოფიცრების ზედმეტი პოლონიზაცია და მათი ძირითადი დავალებებისგან – საკუთარი ქვეყნის ინტერესებისგან – გადახრა (ეს შიში, როგორც მოგვიანებით გაირკვა, საფუძვლიანი აღმოჩნდა).

ერთი სიტყვით, ქართველი ემიგრანტები საბჭოთა რუსეთის მიმართ გარკვეულ პოლიტიკურ ბერკეტს წარმოადგენდნენ.

ფაშიზმისა და დემოკრატიის კონფლიქტში, ქართული ემიგრაცია აშკარად დემოკრატიის მხარეს დადგა (ქართული ფაშისტების პარტიის წევრთა რაოდენობა არასდროს აღემატებოდა თხუთმეტს). ამის მტკიცებულებად გამოდგება მთელი ემიგრანტული პრესა და ორი დეკლარაცია: ქართული ეროვნული მთავრობისა და ემიგრაციის წამყვანი წარმომადგენლების მიერ ომის დასაწყისში გაკეთებული განცხადებები.

პრაქტიკული თანაგრძნობის გამოხატულება ემიგრაციის მხრიდან იყო გერმანული რეპრესიებისგან 300-ზე მეტი ებრაელი ქართველის და ყველა კავკასიელი მარქსისტის გადარჩენა, აგრეთვე ყველა იმ პირისთვის დახმარების განევა, ვინც გერმანელებისგან დევნილი იყო. გარდა ამისა, ომის დასაწყისში, ანუ რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებამდე, არც ერთი ქართველი ემიგრანტი გამოდიოდა აქტიურად გერმანიის მხარეს, და არც ერთი ქართველი ჯარისკაცი ყოფილა გერმანიის არმიამში, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში უამრავი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობდა. ამის საპირისპიროდ, პოლონეთის, საფრანგეთისა და ბელგიის არმიებში იყვნენ ათეულობით ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც პატიოსნად და ბოლომდე ასრულებდნენ თავიანთ მხედრულ მოვალეობებს ახალი სამშობლოების მიმართ.

III. 1941 წლის 22 ივნისს გერმანიამ რუსეთთან ომი დაიწყო. ამ ფაქტმა დიდი მღელვარება გამოიწვია ქართულ ემიგრაციაში. ყველამ კარგად იცოდა ამ ომის მნიშვნელობა ქართველი ერისთვის. ქართული ემიგრაციისთვის კატეგორიული ფორმით დადგა კითხვა: „რა გავაკეთოთ?“ ეს კითხვა განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი იყო პოლონეთში მცხოვრები ქართული ემიგრაციისათვის. პოლონეთის ქართული ემიგრაცია, ძირითადად ოფიცრები, მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლონურ საზოგადოებასთან. ბევრს პოლონელი მეუღლე ჰყავდა. ყველანი პოლონეთს საკუთარ მეორე სამშობლოდ მიიჩნევდნენ და გულწრფელად უყვარდათ პოლონელი ხალხი. ქართველები გულის სიღრმემდე გრძნობდნენ პოლონელი ერის ტანჯვას.

პასუხის გაცემა რთული იყო! ერთი მხრივ – პოლონელი ოფიცრის მოვალეობა, სიყვარული პოლონეთისადმი, პოლონური საზოგადოების აზრი, შესაძლოა მეუღლე და უახლოესი ოჯახი, გარდა ამისა, პირადი ანტიპათია გერმანელების მიმართ. მეორე მხრივ – ძირითადი მოვალეობა საკუთარი სამშობლოს წინაშე. საჭირო იყო თავის მართლება, რომ სამშობლოში არყოფნისას არ განელებულა ცხოვრების მთავარი მიზანი. საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ კვლავ ქართველი ხარ და გსურს, ასეთად დარჩე.

როგორც მოსალოდნელი იყო, გადანყვეტილებაზე გავლენას ახდენდა ის, თუ რამდენად ახლი იყო თითოეული ემიგრანტის ურთიერთობები და პირადი ვალდებულებები პოლონურ საზოგადოებასთან. სრულიად გასაგებია, რომ პოლონელ მეუღლეებზე დაქორწინებულთათვის რთული იყო გერმანელებთან თანამშრომლობის გადანყვეტა. სხვა ფაქტორებს არანაირი როლი უთამაშიათ!

ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს მთელი სიმტკიცით, როცა ახლა, „პოსტ ფაქტუმ“, ქართველი ლეგიონების რიგებში არ შევხვდებით მიზეზის ახსნას იმდროინდელი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მოსაზრებებით ცდილობენ. მსგავსი არაფერი ყოფილა!

ცნობილი იყო, რომ ქართველი ხალხის (მნიშვნელოვანი ნაწილი), წითელი არმიის ქართველი ჯარისკაცები, მთელი ქართული ემიგრაცია საფრანგეთსა და გერმანიაში, ყოფილი მთავრობის წევრებთან ერთად, ისტორიული საჭიროების გათვალისწინებით, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყვნენ და მოხალისედ თუ იძულებით, გერმანელებთან თანამშრომლობაში მონაწილეობდნენ.

საფრანგეთში თითქმის ყველა იარაღის ტარების უნარის მქონე მამაკაცი (დაახლოებით 200 ადამიანი), 17 წლის ასაკიდან (ემიგრაციაში დაბადებული) 55 წლამდე, ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, მოხალისედ შეუერთდა არმიას და შექმნა სპეციალური დანაყოფები „თამარ I“ და „თამარ II“.

IV. დასკვნები შემდგენიერად კეთდებოდა: გერმანიის ომი საბჭოთა რუსეთთან, რომლის შედეგადაც საბჭოთა კავშირის დაშლას მოელოდნენ, ითვლებოდა საქართველოს რუსეთისგან გათავისუფლების ერთადერთ შესაძლებლობად. არ სჯეროდათ, რომ სხვა კომბინაცია, მაგალითად, „მესამე მსოფლიო ომი“, საქართველოსთვის იმავს მოიტანდა. ანგარიშს უწევდნენ იმ როლს, რომელსაც თურქეთი ყოველთვის თამაშობდა საქართველოს ისტორიაში.

ამჟამად, მართალია, გერმანული მებრძოლი ნაციონალიზმი ამინებდა, მაგრამ პოლონეთის მაგალითი გარკვეული გაფრთხილება იყო. ასევე, არ იყო საიდუმლო გერმანიის პოლიტიკური მიზნები უკრაინის მიმართ. ზოგადად, თანამედროვე გერმანიის მიმართ არავის ჰქონდა ილუზიები. არც იმის რწმუნება არსებობდა, რომ მივიღებდით იმას, რაც გვსურდა. თუმცა ვარაუდობდნენ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომის, აღმოსავლეთის ვრცელი ტერიტორიების და, განსაკუთრებით, ომის ორ ფრონტზე მოულოდნელობების შედეგად, გერმანიის არსებული „სიმკვეთრე“ და დინამიზმი პოლიტიკაში და მეთოდებში შენელებოდა ან სრულიად გაქრებოდა.

გერმანიასთან ურთიერთობების შეფასებაში დიდ როლს თამაშობდა საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და კავკასიის მნიშვნელობა ორივე დაპირისპირებული მხარისთვის.

თუმცა ყველაზე მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ მთავარ მტრად მიაჩნდათ საბჭოთა რუსეთი, რომლის დამარცხება და დაშლა ნებისმიერ ფასად უნდა მომხდარიყო. გერმანიასთან შემდგომი ურთიერთობები დამოკიდებული იქნებოდა სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც რუსეთის დამარცხების შემდეგ ჩამოყალიბდებოდა. გერმანია საჭირო იყო რუსეთის დასამარცხებლად, რადგან მიაჩნდათ, რომ მხოლოდ მას შეუძლია საბჭოთა იმპერიის დაშლა. ასეთი იყო პოლიტიკური წინაპირობები, რომელზეც ემყარებოდა ქართული ემიგრაცია, როდესაც თანხმდებოდა გერმანელებთან თანამშრომლობას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მხოლოდ ქართული ემიგრაციის მცირე ნაწილი პოლონეთში, პირადი და სენტიმენტალური მიზეზების გამო, თავს იკავებდა ამ თანამშრომლობისაგან.

V. თუ ემიგრანტთა შორის გერმანიასთან თანამშრომლობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იყო გააზრებული და პოლიტიკური გამოთვლების შედეგი, საქართველოს მოსახლეობისთვის ეს საკითხი გაცილებით მარტივად გამოიყურებოდა. იქ, ყველა, ვინც იყო საბჭოთა რუსეთის, განსაკუთრებით კი საბჭოთა რეჟიმის მტერი, ავტომატურად ხდებოდა ქართველი ხალხის მოკავშირე.

ჩვენ 1941 წლის შემოდგომიდან 1945 წლის გაზაფხულამდე სრულად ვიცოდით, რაც ხდებოდა საქართველოში. ყველანი ელოდნენ ბოლშევიკებისგან გათავისუფლებას. ზოგადად, აჯანყება მხოლოდ დროის საკითხი იყო, ელოდებოდნენ მხოლოდ ნიშანს. „ყველა, ოღონდ არა საბჭოთა“ – ასე შეიძლება ზოგადად დახასიათდეს საქართველოს და მთლიანად კავკასიის განწყობა.

კავკასიაში დისლოცირებული დივიზიების ქვედანაყოფები თავიანთი განლაგების რაიონში მარშებით, დაცვით გადაადგილდებოდნენ (დივიზიის სარდლის სიტყვებით, რომელიც დისლოცირებული იყო ქუთაისის რაიონში). ჯარები ყაზარმებში მუდმივად სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ. ტყეები საცხე იყო

დეზერტირებით. მათი ჯგუფები ღიად მოძრაობდნენ სოფლებში და პარტიზანულ დანაყოფებში ხალხს იჭირავებდნენ. ადგილობრივი ხელისუფლება ოფიციალურ ანგარიშებში მოსკოვში აღნიშნავდა, რომ ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა სრულყოფილად უიმედო იყო და აღიარებდა, რომ დროებით ვერ აკონტროლებდნენ სიტუაციას (ერთი მაღალი თანამდებობის პირის, „სახელმწიფო უსაფრთხოების“ ოფიცრის, სიტყვებით). ქვეყნის შიგნით საზღვარგარეთიდან ითხოვდნენ ინსტრუქციებს ეროვნული ხელისუფლების შექმნის, თურქეთის მიმართ პოზიციის განსაზღვრის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ასეთი იყო საქართველოს და მთლიანად კავკასიის განწყობა 1941/1942 წლების ზამთარში და მთელი 1942 წლის განმავლობაში. ამ განწყობის ფონზე აბსურდულად გამოიყურება ბრალდებები ქართული ემიგრაციის „გერმანული ორიენტაციის“ შესახებ, ან საუბრები იმაზე, თითქოს „არასწორ ცხენზე“ „სათამაშოდ“ დადეს. სტალინის ლოიალურ ჯარისკაცებად აღმოჩნდნენ მისი თანამემამულეები და ზოგადად კავკასიელები – ასეთია ნითელი არმიის სარდლის საერთო მოსაზრება.

VI. რეალურად, საერთო ჯამში, ქართველები საბჭოთა არმიამ თითქმის არ იბრძოდნენ. 1941/1942 წლების ზამთარში კავკასიაში ჩამოყალიბებული დივიზიები, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობისგან შედგებოდა, ყირიმის და ქერჩის ოპერაციებში მონაწილეობით, თითქმის გასროლის გარეშე გადავიდნენ გერმანელების მხარეზე.¹⁴ მათი უმრავლესობა შემდგომში ნებაყოფლობით ნაწილების რიგებში აღმოჩნდა. საერთო ჯამში, გერმანელთა მხარეს მებრძოლი კავკასიელების რიცხვი დაახლოებით 100,000 ადამიანს აღწევდა (ფორმირების ცენტრების მონაცემებით). მხოლოდ ქართველები დაახლოებით 25,000-ს შეადგენდნენ. ამ რიცხვში არ შედიოდნენ ისინი, ვინც ფორმირების ცენტრებზე არ გასულან და პირდაპირ, ფრონტზე სპეციალური მეთაურების მიერ, სამხედრო ან დამხმარე ნაწილებში (სამუშაო ნაწილები, სატრანსპორტო კოლონები და ა.შ.) ჩაერთნენ.

VII. გერმანელები ქართული ლეგიონების ფორმირებას 1942 წლის თებერვალში შეუდგნენ. მაისში პირველი ბატალიონის ფორმირება დასრულდა.

26 მაისს, საქართველოს ეროვნული დღესასწაულის დღეს, ლეგიონის ყაზარმებზე პირველად საზეიმოდ აღმართეს ქართული ეროვნული დროშა. ოფიციალურ ბრძანებაში („O.K.H.“)¹⁵ აღნიშნული იყო, რომ ამ დღიდან ქართველი ჯარისკაცი თავის დროშის ქვეშ იწყებდა ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისთვის.

ლეგიონების ფორმირება გერმანელებმა ემიგრაციის წინასწარი შეთანხმების ან ინფორმირების გარეშე დაიწყეს. გერმანელთა დამოკიდებულება ემიგრაციისადმი ზოგადად, ხოლო განსაკუთრებით პოლონეთში მყოფი ქართველი ემიგრანტების მიმართ, აშკარად უარყოფითი იყო. თავდაპირველად ლეგიონში პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრები გერმანელებმა არასასურველად მიიღეს, ისევე როგორც საბჭოთა არმიის ქართველმა კოლეგებმა. გერმანელები მათ არ ენდობოდნენ, მათი განწყობის გამო, რომელიც აშკარად არამეგობრული იყო. ასევე, ისინი შიშობდნენ, რომ ქართველები ლეგიონერებზე გერმანიისთვის არასასურველ გავლენას მოახ-

14 ავტორის ეს თვალსაზრისი გაზვიადებულია (პუბლიკაციის ავტორები).

15 გერმანიის სახმელეთო ძალების უმაღლესი სარდლობა 1935-1945 წლებში (Oberkommando des Heeres, შემოკლებით O.K.H.). ომის დროს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ადოლფ ჰიტლერმა ვერმახტის სარდლობა საკუთარ თავზე აიღო, O.K.H.-ის კომპეტენცია მნიშვნელოვნად შემცირდა და ის ძირითადად აღმოსავლეთ ფრონტზე ომის წარმართვაზე იყო პასუხისმგებელი (პუბლიკაციის ავტორები).

დენდენ. საბჭოთა არმიის ყოფილი ოფიცრები ქართველ ოფიცრებს აღიქვამდნენ როგორც საშიშ კონკურენტებს სამეთაურო თანამდებობებზე და ადამიანებად, რომელთა შესხედულებები, სამხედრო სამსახურის, აღზრდის და ოფიცრის მორალის შესახებ, სრულიად განსხვავდებოდა. ამ ურთიერთობების გათვალისწინებით, პოლონეთის არმიიდან ქართველი ოფიცრების ლეგიონში შესვლის გადაწყვეტილება დიდ თვითშეწინვად და მაღალ იდეალურ საქციელად უნდა ჩაითვალოს, რადგან მათთვის იმ პირობებში, რომლებშიც თავდაპირველად გერმანელებმა ისინი ჩააყენეს, ფაქტობრივად აუტანელი იყო. პირველი სამი თვის განმავლობაში ისინი ითვლებოდნენ რიგით ლეგიონერებად და ასრულებდნენ ჩვეულებრივი ჯარისკაცის ყველა მოვალეობას ძალიან მძიმე პირობებში. ცდილობდნენ (მიუხედავად ნარუმატებლობისა) მათი დისკრედიტაციას ლეგიონერების და საბჭოთა არმიის ყოფილი ოფიცრების თვალში, რათა შეექმნათ გაუგებრობები და მტრული დამოკიდებულება მათ შორის. არ იყო დარეგულირებული მათი ოჯახების ნოტარიული საკითხები. ამ ყველაფრის მიუხედავად, პოლონეთის არმიის ქართველმა ოფიცრებმა მოკლე დროში შეძლეს ლეგიონის შიგნით არსებული ურთიერთობებისა და პირობების ძირეულად შეცვლა (თავდაპირველად, ეს პირობები ყველა სამხედრო სამსახურის კონცეფციას არღვევდა). მათ მოახერხეს ლეგიონერი ჯარისკაცის იურიდიული სტატუსის დარეგულირება, დაამტკიცეს, რომ ყველა თვალსაზრისით ბევრად მაღალ იდგნენ გერმანელ და საბჭოთა ყოფილ ოფიცრებზე (გერმანელი უფროსი მეთაურების შეფასებით). მოიპოვეს ლეგიონერების და საბჭოთა არმიის ყოფილი ოფიცრების უმეტესობის ნდობა და სიმპათია. ამ ყველაფრის შედეგად, ლეგიონისა და ბატალიონების ყველა სამეთაურო თანამდებობა ქართველ მეთაურებს გადაეცათ (სხვადასხვა ლეგიონში, თუნდაც ოცეულის მეთაურის თანამდებობა გერმანელებით იყო დაკომპლექტებული). ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ქართველმა ოფიცრებმა ლეგიონი გერმანული არმიის ქვედანაყოფის სტატუსიდან აიყვანეს დამოუკიდებელი ქართული არმიის დონეზე.

VIII. პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრების თხოვნის შედეგად, მოხერხდა გერმანელი სამხედრო მეთაურისგან დაპირების მიღება, რომ ქართული დანაყოფები არ იქნებოდა გამოყენებული პოლონელი პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დაპირების საფუძველზე, 1943 წლის 1 თებერვლიდან არცერთი ქართული ბატალიონი პოლონეთის ტერიტორიაზე აღარ იმყოფებოდა. ყველა დანაყოფი ეტაპობრივად გადაადგილდა გერმანიის შიგნით ან დასავლეთის მიმართულებით. ამ მაგალითის მოყვანის მიზანია უარყოს ის უღირსი ხმები, თითქოს ქართველები პოლონელ პარტიზანებს იჭერდნენ ან ხვრეტდნენ.

IX. პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართულ არმიის ისტორიაში ემიგრაციაში. ისინი არ მოქმედებდნენ პირადი სარგებლის ან გერმანიის მიმართ სიმპათიის გამო, არამედ მათი ქმედებები იყო განპირობებული ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით სამშობლოს მიმართ, დროის მომენტის გაცნობიერებით და თავიანთი რთულ მდგომარეობაში მყოფი თანამემამულეებისადმი ლოიალობით. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ოფიცრების გზა, რომლებიც ქართული ლეგიონების შემადგენლობაში გერმანელების მხარეს აღმოჩნდნენ, პოლონეთის გზას ჩამოშორდა, პოლონეთის მხარდაჭერა არცერთ ქართველ ლეგიონერს შეუწყვეტია.

Centralna Szkoła Strzelnicza
w Toruniu.



Kontk

ŚWIADECTWO

Kapitan Aleksander Nowak z n. e 65 p. b. (armii gwardii)
ukończył

5-cio miesięczny kurs w CENTRALNEJ SZKOLE STRZELNICZEJ i uzyskał następujące noty:

Opanowanie osobiste								umiejętności instrżowania i organizowania				
wyszkolenie strzeleckie												
ok. i im.	km.	broni kow.	obrona przeciw- lotnicza	strzelenie broni	wystrzelenie granat.	wiednie broni	wykonalność strz.	użyteczność dla kom.	wykonalność strz.	organizowanie	instrżowanie	zadania w grupie
7	9	8	9	8	9	8	8	8	9	9	6	9
Zachowanie się <i>celująca</i>												
Pilność <i>celująca</i>												
Postęp ogólny <i>zupniak celowy</i>												
Opinia: <i>Charakter wyróżniający i wader broni, prawdziwy, brzo- ny i długi i cenny rozpa organizowania i wy- konywania strzelenia, z wyjątkiem organizacji i dyk- turowania strzelenia, organizowania, instrżowania i wader broni - bardzo dobry ogólny. -Strzał są do końca samostrelus samostrelus u- stabilizacja</i>												

Toruń dnia 5-go Lipca 1924 r.

D-ca Oddziału Ofic.

Nowak
Nowak, kapitan

D-ca Szkoły Ofic.

Martini
Komenda Szkoły
Martini, pułkownik

1924 წლის 25 ივნისს, პოლონეთში, ტორუნის ცენტრალურ მსროლელთა სკოლაში ჩატარდა პირველი საჰაერო სამიზნე სროლა. 300 მეტრი სიგრძის სამიზნე გადაიტანა თვითმფრინავმა, რომელსაც მე-4 საჰაერო პოლკიდან სერჟანტი იან კარიევსკი მართავდა (დამკვირვებელი იყო პორუჩიკი იან II ვაიდა).სამიზნეს მეტყვიამფრქვევეთა ეკიპაჟი უტევდა. მოსწავლეებს გადაეცათ სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობები, მათ შორის სეგიმონ (სიკო) კობაიშვილსაც.

ტორუნის ცენტრალური მსროლელთა სკოლა

მონმობა

კაპიტანი კობიაშვილი ალექსანდრე, 63-ე ქვეითი პოლკი (ქართული არმია). დაამთავრა ცენტრალურ მსროლელთა სკოლის ხუთთვიანი კურსი და შემდეგი ნიშნები მოიპოვა: პირადი ჩვევები / სასროლო მომზადება: 7, 9, 8, 8, 9, 8, 9; ინსტრუქტირების და ორგანიზების უნარი: 8, 8, 9, 9, 6, 9.

ქცევა: გამორჩეული.

ბეჯითობა: გამორჩეული

ზოგადი მიღწევები: სრულად დამაკმაყოფილებელი

აღწერა: დაბალანსებული ხასიათი და მეტად პატიოსანი, სერიოზული, ბევრს მუშაობს და დიდ ინტერესს გამოხატავს ყოველგვარი სასწავლო საქმიანობის მიმართ. ორიენტაციის გრძნობა მეტად განვითარებული. პუნქტუალური, დამოუკიდებელი, პასუხისმგებელი, კოლეგიალური, მეტად ტაქტიანი – ძალიან კარგი ოფიცერი. ვარგისია ინსტრუქტორის ნებისმიერი დამოუკიდებელი თანამდებობისთვის.

[ქალაქი] ტორუნი, 1924 წლის 5 ივლისი
ოფიცერთა დანაყოფის უფროსი: [ვალენტი] ნოვაკი, კაპიტანი
ჯგუფის უფროსი ოფიცერი [ხელმოწერილია]
სკოლის კომენდანტი: [სტანისლავ] მარტინი, პოლკოვნიკი

Materials for the History of Georgian Emigration to Poland

(Two Unknown Documents by Captain Svimon Kobiashvili)

Summary

The history of Georgian emigration to Poland between 1921 and 1939 represents a multifaceted and important subject of scholarly research. Each newly discovered source that sheds light on the life and activities of Georgian political emigrants holds exceptional value. This article examines two significant archival materials: one is a manuscript discovered in the Central Historical Archive of the National Archives of Georgia (Fund 2117, Inventory 1, Case 424), and the other is a Polish-language document preserved in the archive of the Pro Georgia: Journal of Kartvelological Studies at the University of Warsaw.

Both documents were authored by Svimon (Siko) Kobiashvili, a Georgian officer in the Polish army and a former cadet. The publication of these documents is preceded by a brief review and analysis conducted by Otari Janelidze and David Kolbaia.

„კომუნისტური ნოვრასია“ ანუ, ნოვოროსიისკის ქართველობა 1920 წელს – მზვერავის მონათხრობი

როდესაც XX საუკუნის ქართულ ემიგრაციაზე ვსაუბრობთ, ძირითადად, მხედველობაში გვაქვს ევროპის და შემდეგ ამერიკის კონტინენტის ქართული სათვისტომოები. მათი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე, ბოლო 30 წელიწადის განმავლობაში, ბევრი კვლევა დაიწერა, გამოიცა მონოგრაფიები, მიეძღვნა დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები. ეს ბუნებრივია, რადგან 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ, ბოლშევიზმის წინააღმდეგობის პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა ცენტრმა პარიზში და ევროპის სხვა ქალაქებში გადაინაცვლა.

ევროპის ქართულ ემიგრაციასთან შედარებით, უფრო გამოუკვლეველია ქართული სათვისტომოების ცხოვრება ყოფილი რუსეთის იმპერიის ქალაქებში. შესაბამისად, ნაკლებად ვიცით პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ოდესის, ხარკოვის, ბაქოს, ხარბინის და სხვა ქალაქების ქართველობაზე, მათ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, შემადგენლობაზე, საქმიანობაზე, ოკუპაციამდე თუ ოკუპაციის შემდეგ. სასურველია ამ მხრივ ქართველი მკვლევრების ინტერესის ზრდა, რადგან ყოფილი იმპერიის ქალაქებში მცხოვრებმა ქართველებმა, იქნებოდა ეს ჰუმანიტარული და ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული მოღვაწეები, თუ სტუდენტობა, ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში, ადგილობრივი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თვალსაზრისით. არცთუ იშვიათი იყო მათი ჩართულობა დამოუკიდებელი საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში, ქართველი სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნებასა თუ სადაზვერვო საქმიანობაში.

ამჯერად, ვაქვეყნებ საქართველოს ეროვნული არქივის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდში დაცულ ერთ საინტერესო დოკუმენტს (ფონდი: 1864, ანაწ.: 2 საქმ.: 105, ფურც. 13-15), რომელიც ნოვოროსიისკის ქართველობის ცხოვრების ერთ კონკრეტულ პერიოდს ეხება. დოკუმენტი უთარილოა, მაგრამ იგი აღწერს მოვლენებს 1920 წლის მარტში (ეს თარიღი თავშივეა მითითებული) ბოლშევიკების მიერ ქალაქის აღებიდან იმავე წლის ივნისის ჩათვლით. იგი მოგვითხრობს კომუნისტურ ნოვოროსიისკში (ნოვრასიაში – როგორც მას თავად ავტორი უწოდებს), ქართველთა არასახარბიელო მდგომარეობაზე. ის, რომ ამ ქალაქში ქართველების საკმაო რაოდენობა ცხოვრობდა და აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდა, იმითაც დასტურდება, რომ 1919-1920 წლებში საქართველოს თავრობამ ნოვოროსიისკის საკონსულო გახსნა და კონსულად, პეტრე ჩინიჯიშვილი¹ დანიშნა.

დოკუმენტის ავტორის ვინაობა უცნობია, მაგრამ მისი ქართულის დიალექტური ფორმებიდან და ფონეტიკიდან გამომდინარე, წარმოშობით გურია-იმერეთის რეგიონიდან უნდა ყოფილიყო. მისთვის უცხო არ არის, როგორც მისი პარტიული და ტექნიკური ტერმინოლოგიიდან ჩანს, რევოლუციური და პარტიული (დიდი ალბათობით, სოციალ-დემოკრატიული) ცხოვრება. საგარაუდოდ, ის ასევე დაახლოებული ჩანს სა-

1 პეტრე ჩინიჯიშვილი (ჩინიჯევი), ქართველი დიპლომატი. იყო კათოლიკური აღმსარებლობის, მისი გვარი ბათუმიდან მოდის. ჯერ იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა მოხელე, შემდეგ, დაინიშნა ნოვოროსიისკში საქართველოს კონსულად, 1920 წლის დასაწყისში ის ბათუმში საქართველოს კონსულია, ხოლო შემდეგ – საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი საბერძნეთში.

ხალხო გვარდიასთანაც და, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასარგებლოდ სადაზვერვო საქმიანობაშიც იყო ჩართული. ერთი ცნობის მიხედვით კი, საბჭოთა სპეცსამსახურებში ჩანერგილი აგენტიც ყოფილა: „ამხანაგ პეტრე ბუხარცევი გზავნის აგენტებს ამნაირად: აძლებს ქალაქებს, ვითომ უშვებს სავაჭროდ, როგორც მე ჩემი ამხანაგით გამოგვიშვენ“.

განსაკუთრებით საინტერესოა დოკუმენტის ავტორის კონკრეტული სადაზვერვო ცნობები იმ მეთოდების შესახებ, თუ როგორ ამზადებდნენ ბოლშევიკები, დიდალი ფულის გამოყენებითა და თავიანთი აგენტების და აგიტატორების მეშვეობით, ლოკალურ აჯანყებებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. საინტერესოა ასევე, 1920 წლის მაისში საქართველოს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის დეტალები. ეს სწორედ ის დროა, როდესაც მოსკოვში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რსფსრ-ს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე მიდიოდა მუშაობა. გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ეს ხელშეკრულება 7 მაისს დაიდო.

დოკუმენტში ავტორის სტილი, დიალექტური და ფონეტიკური ფორმები შენარჩუნებულია. შესწორებულია მხოლოდ პუნქტუაცია. ფურცლების კიდეები ალაგ-ალაგ მოცვეთილია, ჩემ მიერ აღდგენილი ადგილები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში.

კომუნისტური ნოვრასია

1920 წელს, 27 მარტში, შემოვიდა წითელი ჯარი ქალაქ ნოვრასიაში დილით.² იმ დღეს, საღამოს, იქნა გამოცემული ათას ნაირი განცხადებები, სადაც პირდებოდნენ მცხოვრებს ყოველ ნაირი სიბედნიერეს, მაგალითად: ყორიფლის თავისუფლებას, დანყებული სიტყვისა და წერისა, – ვაჭრობამდის. პირველი კვირა ხალხს თითქმის არაფერი გაუგია და პირდაპირ ლოცულობდნენ კომუნისტებზე; ყველამ დაიწყო ვაჭრობა, დამალული საქონლები გამოიტანეს მალაზიებში, სასტუმროებმა გადაგა (შეუდგა? – ნ. ნ.) მსუყე კერზების მზადებას, ე.ი. ქალაქი თითქმის ისავე გაცოცხტა, ამ დროს მოყენდა მთელი მალაზიები დაბეჭდენ, საქონლები აწერენ, სასტუმროები, თავის ინვიტარით (sik!), ჩაიბარეს და გახსნენ „СОВЕТСКИЙ ДОМ“-ები და სასაბილოები. მთელი ხალხს გოუძახენ სამუშევრებში ქალიან-კაციანად; რა თქმა უნდა, ქართველებიც არ ამცტარა ამ პირობებს.

კომუნისტების ჩამოსვლამდე ქ. ნოვრასიის ქართველებს ქონდათ ნაციონალური კომიტეტი და, როცა ასეთი უბედურებაში ჩავარდით, ვიფიქრედ მოგვეწვია კრება და კრების დადგენილობით გვეთხოვა, მოეცად სამკალება, რომ წამოვსულიყვით სამშობლოში. კრება დავნიშნედ 4/IV ოთხი აპრილისთვინ, რის შესახებ ვთხოვედ რეგკომს. რეგკომმა ნება მოგვცა და თანაც გამოგვიგზავნა ერთი ამხანაგი მონმობითურთ. ორი საათზე თითქმის მთელი ნოვრასიის ქართველობა მოგროვდა და ის იყო კრება უნდა გაგვეხსნა, ამ დროს შემოეარდა „კოსკიანი“³ ამხანაგი და მოგვაყვირა: „ეს რა ბანდა მოგ-

2 ნოვოროსიისკს, ამ მნიშვნელოვან საზღვაო-სატრანსპორტო ქალაქს, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, იმავე წლის ნოემბრამდე მართავდა დროებითი მთავრობის კომისარი. 1 დეკემბერს დაიშალა ქალაქის საკრებულო (დუმა) და ბოლშევიკებმა საბჭოთა წყობილება დაამყარეს. 1918 წლის 26 აგვისტოდან ქალაქი თეთრგვარდიელთა კონტროლს ქვეშ გადადის. 1920 წლის მარტის დასაწყისში თეთრგვარდიელები იძულებული არიან მოახდინონ თანდათანობითი ევაკუაცია. 27 მარტს ქალაქი ისევ დაიკავეს ბოლშევიკებმა.

3 ეს უნდა იყოს რუსული каска-ს (ფრანგ. casque) დამახინჯებული ფორმა და, სავარაუდოდ,

როვეზულ-ხართო“. კომიტეტის თავჯდომარემ უპასუხა, – აქ ბანდა არ არისო, აქ ვართ ქართველობა და გვაქვს ნებადართული კრებაო და მიუთითა რეკომიდან გამოგზავნილი ამხანაგზე. როცა ნებართვა ნაიკითხა თქვა: „მე აქ მუშებს ვერ ვხედავო და თუ მუშები არიან და კრება სჭირათ, ჩვენ მუშებისთვის კრებას თვითონ დავნიშნავთ და იქ უნდა მოგროვდეთ, არა გაქვთ გაცალკეებული კრების ნება და ახლა კი დაიშალეთ“. თავჯდომარეს უბრძანა: „შენ შენი თანამშემუშებთ აქ დარჩიო“. შემდეგ მოითხოვა კომიტეტის წევრები და ფენატები და ნაილო გორნიზონის უმფროსის კანცელარიაში, კომიტეტის ბინა კი დაბეჭტა. შემდეგ დაიჭირეს მთელი კონსულები, გარდა პერსიელებისა⁴ და ჩვენი კომიტეტის თავჯდომარეც.⁵ კონსულები კი იქნენ ყველა მოსკოვშიდ გაგზავნილი, მხოლოდ ჩვენი კომიტეტის თავჯდომარე კი გაანთავისუფლეს ამხანაგ ვორონკოვის⁶ შემწეობით. აპრილის დამლევ რიცხვებში, კომიტეტის ბინას ღამე ორსი კი გაუკეთეს, ობისკის შემდეგ მნიშვნელოვანი ვერაფერი ნახეს გარდა ფულისა, ფული იყო კომიტეტის და შეადგენდა მგონი ასი თექვსმეტი ათასი მანეთ (116000 p.) და ნაილეს. 15-20 დღის შემდეგ უფრო და უფრო გრძნობდა მთელი ქ. ნოვრასიის მცხოვრებები, და მასთან ქართველებიც, კომუნისტების გულკეთილობას, გვათრებდენ ყოველ დღე სამუშეოებშიდ უფასოდ და იქნა ყოველ გვარი თავისუფლება აკაძალული.

პირველი თვე, შაიძლე[ბა] ითქვას, კიდო ხელსაყრელი იყო და შემდეგ ჩამოვიდა მოსკოვიდან ჩრეზვიჩაიკა „Ч.К.“,⁷ დაიწყო ნადირობა ხალხზე, დაიწყეს დაჭერა და დახრება, ე.ი. (В расход посылать), როგორც უძახიან კომუნისტები. რა თქმა უნდა, „ჩეკას“ ზოგი ქართველებიც მოსხდა, მაგრამ ზოგი გადაარჩა, რამოდენიმე ასი ათასობით შ[ტ] რაფით და „расход“ ჯერ-ჯერობით აცილდენ. მე რომ ნამოვედი მაშინაც დავტოვე „Ч.К.“-ში ორი ქართველი; ერთს, შაფაქიძეს, დააბრალეს კონტრ რევოლუციონრობა იმ[იტომ], რო სასადილოშიდ სადილი არ მიცეს და ამ[იტომ] უთხრა: „რა კანონიაო, მე ბურჟუი ხო არა ვარო“; და მეორე, ნულეისკირი, იმიტომ რო, მივიდა, ბუხტში მდგომ თათრის⁸ გემს კითხა, საიდან ჩამოდიეთო. ამ სიტყვაზე დაიჭირეს, აგერ სამი კვირეა დეტუსალებულია. მაისის უკანასკნელი რიცხვებიდან დაიწყეს მთელი მამაკაცების მობილიზაცია 18-დან 45 წლამდის. ქართველები არ მოველოდით, თუ ჩვენზედაც იქნებოდა ეს ბრძანება გავრცელებული; ხუთ კათათვეს⁹ გათავდა ვადა და შემდეგ დაიწყეს ქუჩაში ხალხის დაჭერა. ქართველებიც მოხთა რამოდენიმე, დაიჭირეს და წითელი ჯარში ჩარიცხვეს, ის იყო ჩვენ მაშინათვე ვიჩივლეთ ამხანაგ ბუხარცევითან¹⁰ (ეს ახალი ჩამოსული იყო მოსკოვიდან და განაგებს მთელ ზემო კავკასიაში¹¹ საგარეო საქმეებს);

⁴ უნდა გულისხმობდეს ფორმით გერმანული წვეტიანი ჩაჩქანის (каска) მსგავს წითელარმიელთა ნაცხოვ ჩაფხუტს, რომელიც „ბუდიონოვკას“ სახელით არის ცნობილი.

⁴ ანუ, სპარსელების.

⁵ საქართველოს კონსული პეტრე ჩინიჯიშვილი ამ დროს უკვე ბათუმში კონსულად იყო გადაყვანილი.

⁶ რთულია გადაჭრით ითქვას, თუ ვინ არის ამხანაგი ვორონკოვი.

⁷ Ч.К. – აბრევიატურა საგანგებო კომისიისა (чрезвычайная комиссия). სრული სახელწოდება: Всероссийская чрезвычайная комиссия по борьбе с контрреволюцией и саботажем (კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან მებრძოლი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია). საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების სამსახური 1917-1922 წლებში. საინტერესოა, ავტორი კარგად ფლობს უარგონული ფორმებს, ამ შემთხვევაში – „ჩრეზვიჩაიკა“.

⁸ იგულისხმება – თურქეთის.

⁹ კათათვე, ანუ მკათათვე, იგივე ივნისი.

¹⁰ რთულია გადაჭრით თქმა, თუ ვინ არის ამხანაგი ბუხარცევი, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს რევოლუციონერი პეტრე ვასილის ძე ბუხარცევი (Бухарцев Петр Васильевич, <https://idun.ufrj.ru/archive/bitstream/idun/17085/1/001665.pdf>)

¹¹ ზემო კავკასია – იგულისხმება ჩრდილოეთი კავკასია.

ბუხარცევმა ყურადგება მიგვაქცია, გასცა ბრძანება და ჯერ-ჯერობით მაბილიზაცია ქართველების შეაჩერა.

ზავის¹² შეკრამდის, შავი ზღვის ნაპირებიდან არა ვის არ აძლევდენ ნებართვას, სამ-შობლოშიდ წამოსასვლელს და ზავი რო შეიკრა ყველას გაგვიხარდა და ვფიქრობდით შემდეგში მაინც გაგვიშვებდენ, მაგრამ მოლოდინმა არ გაგვიმართლა და ზავის შემდეგ მთელად დაკეტეს გასვლა ქ. ნოვრასიიდან, არამთუ სამშობლოში, თითქმის სხვა ქ-ლაქშიაც. მივმართედ ისოვლე ამხანაგ ბუხარცევს გასვლის შესახებ. მან დაგ[ვ]პირდა, ორ-სამ დღეშიდ ყორიფელს გამოვარკვევო და კიდევაც მოუვიდა მოსკოვიდან დეპუმი, რო გაშობა შაიძლება რამოდენიმე კაცებითო, ე.ი. პატარ-პატარა პარტიებითო. და ესა, რადგან მათ არა ყავთ ნყლის ტრანსპორტი, მე გამომიშვეს რამე საშვალების [აღ]მო-საჩენად.

[ჩვენ ქ. ნოვრასიის ქართველებს, რამოდენიმე კაცს, გ[ვ]ქონდა [ეგრედ ნოდებუ-ლი „პოდპოლნი“ მუშაობა. მოვანყვედ პატა[რა] ორგანიზაცია, ვიშოვნეთ რამოდენიმე იმათი მოსამსახურ[რე და] მათ შემწეობით, ყორიფელს ვგებულობდით [ჩვენ სანი-ნამდეგო მზადებას და კიდევაც გ[ა]ვიგედ [შემდეგ]ი, ეს ქვემოდ ჩამოთვლილი იქნება უმთავრესები:

- 1) კომუნისტებს გადანყვეტილი ქონდან პირველი მაისში მთელი საქართველოში მოეხ-ტინად აჯანყება და ამის[ათვის] ამ ნაირად ეშზადებოდნენ: ქალაქ ბათუმშიდ 26 აპრილს გამოგზავნენ მატორიანი გემი „სოფია“ ოთხი ამხანაგებით და რამოდენიმე მილიონი ნიკოლოზის ფულით.¹³ ეს გავიგეთ თუ არა, მამოწინათვე მოვლათაცუთ გემში მოსამსახურედ ლეო რუხადის¹⁴ შოფერი, გვარდიელი დათიკო კობახიძე, რომელიც იქ, ე.ი. დაბა ჯუბგაში¹⁵ იყო დარჩენილი რუხადის წამოსვლის შემდეგ და ჩამოვიდა ჩვენთან და ჩვენთან ცხოვრობდა ქ. ნოვრასიაში. რო შოფერი წამოსულიყო, წერილე-ბიც მოქონდა, მარამ შეგვიტყვეს თუ, არ ვიცო, ეჭვი აიღეს და რამოდენჯერ „ასობი ოდელის“¹⁶ აგენტების შეკითხვის შემდეგ, წამოსვლის დროს, გემიდან გადმოაჟინეს.
- 2) ოცი და ათი მილიონი ფული ნიკოლოზის და დიდი ძალი იარაღი და ასზე მეტი არატკორები¹⁷ ყავდად გამოგზავნილი ოსეთში.

12 ნათელი არ არის, რომელი ზავი იგულისხმება 1920 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე საბჭოთა რუსეთმა რამდენიმე ზავი და სამშვიდობო ხელშეკრულება დადო: 1) 1920 წლის 1 აგვისტოს რსფსრ-მ დადო რიგის სამშვიდობო ხელშეკრულება ლატვიასთან; 2) 1920 წლის 14 ოქტომბერს – ტარტუს სამშვიდობო ხელშეკრულება ფინეთთან; 3) 28 ოქტომბერს – ზავი პოლონეთთან.

13 რუსეთის ბოლო იმპერატორის, ნიკოლოზ II-ს დროს გამოშვებული ფული.

14 ლეო, იგივე ლევან რუხადე (1884-1937), ქართველი პოლიტიკოსი, სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ორგანიზატორი, გვარდიის მთავარი შტაბის წევრი, ახალციხის მაზრის საგანგებო კომისარი, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. 1920 წლის 6 აგვისტოს გაზ. „ერთობის“ ცნობით, ლევან რუხადემ საქართველოს პროფ. კავშირის ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებთან და მუშათა დელეგაციასთან ერთად ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი დელეგაციის რუსეთში თავისუფლად შესვლის საკითხის გასარკვევად.

15 ჯუბგა (რუს. *Джубга*), ქალაქური ტიპის დასახლება (საკურორტო სოფელი) კრანსნოდარის მხა-რის ტუავსეს რაიონში.

16 დამახინჯებული ფორმა რუსული საგანგებო განყოფილებისა – *Особый отдел*. რსფსრ სამხედ-რო კონტრდაზვერვის სახელწოდება.

17 არატკორები – რუს. *Араткор*, შემოკლებული ფორმა – *аратский корреспондент*; არატი (*Араты*) პირდაპირი მნიშვნელობით, მონღოლურად ნიშნავს მესაქონლე გლეხს, ხოლო ზოგადად – მშრო-მელ ხალხს. როგორც ჩანს, მშრომელ მასებში აგიტატორებად გაგზავნილ კორესპონდენტებს საბ-ჭოთა პროპაგანდის ენაზე არატკორები, ანუ არატების კორესპონდენტები ეწოდებოდათ.

- 3) მაისის დამლევ რიცხვში, ტუაფსის რეეკომის თავჯდომარემ, ამხანაგ ბახტაძემ,¹⁸ გადმოიტანა სუხუმის ოლქში ექვსი მილიონი ნიკოლოზის ფული.
- 4) ამ უკანასკნელი დროს კომუნისტები ხმარობენ შემდეგ პრიომს,¹⁹ მაგალითად: ზემო კავკაზიის რწუმუნებული (sic!) საბჭოთა რუსეთისა, ამხანაგ პეტრე ბუხარცევი გზავნის აგენტებს ამ ნაირად: აძლებს ქალაღდებს, ვითომ უშვებს სავაჭროდ, როგორც მე ჩემი ამხანაგით გამოგვიშვენ, ატნებს დიდ ძალი ფულებს, რომ, [ვინი] ცობა დაიჭირომ, იტყვის: სავაჭროდ წამოვედით დ[ა იმიტომ] გვაქქს ფულიო. ეს აგენტები იქნებიან (sic!) უმეტესად სომხები და ბერძნები.
- 5) დიდი ძალი ფულები და ბრამიურები და აგიტატორები იგზავნება ოსმალეთშიდ. ოსმალეთიდან ამას წინეთ ჩამოიყვანეს რამოდენიმე ოსმამო (sic!) თათრები, რომლის ინსტუკტორად (sic!) ყავთ ბერძენი, კირიაკ პაპანდოპულო (ყოფილი პარიკმახერი).
- 6) მე დავტოვე წამოსასვლელად ერთი მატორიანი გემი „ზეინაპი“ N74 ნოვრასიის პორტიდან, რომელსაც მოაქვს ბათუმში თამბაქო, მაგრამ გემი ჩამოივლის, ე.ი. შვევა ჩვენი პორტებში. ამ გემს მოყობა კომუნისტები, იქნებიან ბერძნები და სომხები, ამ გემით ჩამოვა ჩვენი არგანიზაციის აგენტი ინჟენერი ჩერნაესკი ნიკოლოზი ვასილის ძე²⁰ და თუ საჭირო იქნა, ის ინჟინერი იცნობდეს იქნება იმ კომუნისტებს, რის შესახებ სუხუმშიდ უკვე დაბარებული მაქვს.

პუბლიკაცია მოამზადა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა

NIKOLAZ NIKOLOZISHVILI

"Communist Novrasia" or The Georgians of Novorossiysk in 1920 – A Spy's Account

Summary

For the first time, a document from the Ministry of Foreign Affairs Fund of the National Archive of Georgia (Fund: 1864, An.: 2, Case: 105, Sheets: 13-15) is being published, shedding light on a specific period in the lives of Georgians in Novorossiysk. This anonymous document is undated, but it describes events from March 1920, when the Bolsheviks captured the city, until June of the same year. It provides an account of the difficult circumstances faced by Georgians in Communist Novorossiysk—referred to as “Novrasia” by the author.

Particularly intriguing are the intelligence details provided by the author regarding the methods used by the Bolsheviks to incite local uprisings in Georgia’s Abkhazia and Tskhinvali regions. These efforts involved significant financial resources, as well as the deployment of agents and agitators. Equally compelling are the details concerning the attempted coup d’état in Georgia in May 1920.

¹⁸ იგულისხმება იპოლიტე ბახტაძე (1893-1937), ქართველი ბოლშევიკი, აქტიურად მონაწილეობდა 1918-1919 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ბოლშევიკების მიერ მოწყობილ ამბოხებებში ლეჩხუმისა და სენაკის მაზრებში.

¹⁹ რუს. ПРИЕМ – ხერხი, საშუალება, ფანდი, ილეთი.

²⁰ ასეთი პიროვნება უცნობია.

ქართული ბატალიონი „ბერგმანი“ მეორე მსოფლიო ომში

ქართველები სხვათა ომში – რა ძველი და მტკივნეული თემაა! ძველია კი? სულ ახლახანს არ იყო ერაყი და ავღანეთი? ჯერაც ხომ ცოცხლები არიან მეორე მსოფლიო ომის საშინელებათა გადამტანი ადამიანები! ისევ და ისევ ვუბრუნდებით მას, რადგან მეორე მსოფლიო ომი დიდი ეროვნული ტრაგედია იყო ქართველებისათვის. 700.000 საბჭოთა არმიამი მებრძოლი ქართველიდან თითქმის ნახევარი დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული, ათეულ ათასობით დასახიჩრებული სული და სხეული, დამსხვრეული ოცნება და დანგრეული ცხოვრება...

„უგზო-უკვლოდ დაკარგულთა“ შორის იგულისხმება ტყვეთა ბანაკებს ცოცხლად გადარჩენილი და გერმანიის არმიამი „მოხალისეთა“ ჯგუფებში, ქართულ ლეგიონში, „ბერგმანში“ და სხვა ბატალიონებში მებრძოლი 40.000 ქართველიც, რომელთაგან ბევრს სწამდა, რომ საქართველოს გასათავისუფლებლად იბრძოდა. მათი დიდი ნაწილი ყირიმში და კავკასიის მისადგომებთან დაიღუპა და გადაკეთებული გვარებით არიან დასაფლავებული (მაგალითად, ბერეჟიანი – ბერგერი, ჭაჭიაშვილი – შაცი და ა.შ.). ნაწილი ომის შემდეგ რეპატრიაციის დროს გაუსამართლებლად დახვრიტეს გზაში, ნაწილი კი ციმბირის ტაიგასა და შუა აზიის ტრამალებში დაიღუპა, ვინც ყოველივე ამას გადაურჩა, სახლში დაბრუნებული, ხელახლა დაპატიმრებული, დახურულ სხდომაზე გაასამართლა ტრიბუნალმა და 25 წლით გადასახლებაში გაგზავნა. მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს გადარჩენა, რეაბილიტაციამდე მიღწევა და სამშობლოში დაბრუნება.

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს საბჭოთა კავშირში პატივს მიაგებდნენ. თუ ეს პატივი მატერიალური თვალსაზრისით დიდი არ იყო, მორალური კომპენსაცია მაინც გააჩნდა – მათზე წერდნენ, ფილმებს იღებდნენ, შეკრებებზე იხვევდნენ, მათ ნაწერებს აქვეყნებდნენ, აჯილდოებდნენ. ყოფილ ტყვეთა და რეპატრიანტთა შესახებ კი ბევრი არაფერი ვიცით. „მოლაღატის“ იარლიყი მათ რეაბილიტაციის შემდეგაც არ მოხსნიათ. ბევრი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, სიმართლის თქმა ვერ მოახერხა. ვინ იყვნენ? როგორ იბრძოდნენ? სად? რატომ? კითხვა ბევრია, პასუხის გამცემი – ცოტა. დოკუმენტურთან ერთად ფასდაუდებელია ის მემუარული მასალა, რაც უკვე გამოქვეყნდა – შალვა მალლაკელიძის, გივი გაბლიანის, ილია კუჭუხიძის, შოთა ბერეჟიანის და სხვათა მოგონებები, რომლებიც ნათელს ფენენ ბევრ ბუნდოვან თუ სრულიად უცნობ ფაქტს.

წინამდებარე მოგონებათა ავტორი რეკვავ გულაშვილი ყოფილი „ბერგმანელია“. მის ნაწერს მხოლოდ უმნიშვნელო სტილისტური სწორება, რამდენიმე ფაქტის შენიშვნის სახით შეტანა დამჭირდა და თითქმის იმ სახით იბეჭდება, როგორც ავტორმა დატოვა. მის სიცოცხლეში გაზეთმა „ქართულმა ქრონიკამ“ 1993 წელს ერთი ეპიზოდი გამოაქვეყნა მოგონებებიდან: „ბერგმანი“ ანუ მთის კაცის ნაამბობი“. ტექ-

სტმა მაშინვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. მას შემდეგ გერმანიის ჯარში მებრძოლთა შესახებ ბევრი რამ დაიბეჭდა – წიგნები, კრებულები, სტატიები. ამ ფონზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია რ. გულაშვილის ინფორმაცია, რომელიც გ. გაბლიანის და შ. ბერეჟიანის მოგონებებს ავსებს ახალი დეტალებითა და იმ ქართველთა გვარებით, რომელთა სახელებიც დასაკარგად არ გვემეტება. არადა, ეს მწვანეყდიანი სქელი რვეული ავტორის ხელნაწერით, გერმანიიდან, „ბერგმანის“ მეგობართა“ ორგანიზაციის მიერ 1994 წლის 31 ოქტომბერს გამოგზავნილი რუდოლფ ჰაინც ბეჰერის წერილითა და ფოტოებით, რომელიც გულაშვილის მეუღლემ გამოსაქვეყნებლად ჟურნალ „ომეგაში“ მიიტანა – კინალამ დაიკარგა. ჟურნალის რედაქციამ როგორც შ. ბერეჟიანის მოგონებების ჩამწერს და წინასიტყვაობის ავტორს, გულაშვილის მოგონებებისთვისაც მთხოვა შესავლის გაკეთება. წავიკითხე მოგონება და პატარა შესავლიც დაეწერე. ხელნაწერი თავდებოდა ბერგმანელთა გვარების ჩამოთვლით და მოწოდებით, რომელიც ასევე უნდა გამოქვეყნებულიყო: „ბერგმანელებს ვთხოვ გამომეხმარონ. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N6, II სადარბაზო, ბინა 24, რევაზ გულაშვილი, ტელეფონი: 37-41-31“. სანამ ხელნაწერი დასაბეჭდად მომზადდა, ჟურნალი დაიხურა. რედაქციის შენობა დაიცალა, უამრავი მასალა სხვა შენობაში გადაიტანეს, სადაც ჯერ გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, შემდეგ კი იგივე სახელით ჟურნალი გამოდიოდა. მასალის გამოქვეყნება ვერც მაშინ მოხერხდა. როცა ეს ჟურნალიც დაიხურა, რვეული რედაქციის თანამშრომელმა ნინო ჩხიკვიშვილმა გადმოიკცა და მთხოვა მის გამოცემაზე მეზრუნა. ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო მეც ვერ მოვახერხე მაშინ მოგონებების გამოცემა და სახლში ბიბლიოთეკის რემონტის დროს გამებნა. მერე კი სრულიად მოულოდნელად ამოჩნდა, რამდენჯერ მომინია იმ თაროს გამოლაგება, მაგრამ სხვა მასალასთან ერთად საქალაქში ჩაკარგული, ვერც ერთხელ ვერ დაეინახე... დავინყე ხელნაწერის კომპიუტერზე აკრეფა, არაერთხელ დავრეკე ტელეფონის მითითებულ ნომერზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სახლის ტელეფონის ეს ნომერი აღარ არსებობს, ვცადე გულაშვილების გვარის საშუალებით მომეძებნა რევაზ გულაშვილის ოჯახი – ისევ უშედეგოდ. ამ ხელნაწერსაც მისი ავტორის ბედი ერგო, მრავალი დაბრკოლება გამოიარა, მაგრამ გადარჩა, რომ ეს ამბები მკითხველამდე მოეხანა. გულს მხოლოდ ის მწყვეტს, რომ ავტორი ვეღარ წაიკითხავს უკვე დაბეჭდილ მასალას, მაგრამ ვინც წაიკითხავს – გული უკვე იმ ვაჟკაცებზე დანყდება, რომლებიც სხვის ომში იბრძოდნენ და დაიხოცნენ იმის იმედად, რომ ორ მებრძოლ მხარეს შორის მოქცეულ სამშობლოს, საქართველოს გადაარჩენდნენ...

პუბლიკაცია მოამზადა რუსუდან დაუშვილმა

ქართული ბატალიონი „ბერგმანი“ მეორე მსოფლიო ომში

არასდროს არაფერი დამინერია, თუ არ ჩავთვლით კედლის გაზეთის სტატიებს და რამოდენიმე ლექსს ახალგაზრდობაში.

მ. ნემიროვა, ე. კალანდაძის მოთხრობა „ვერმახტის საიდუმლო საქმე“, რომელიც ბატალიონ „ბერგმანი“ ეხება, იმდენად ტენდენციურად, დამახინჯებულად, კომუნისტების გულის მოსაგებად არის დაწერილი და იმდენად ამაზრუნენი სიცრუეა, რომ ყველა, მიცვალებული თუ ცოცხლად დარჩენილი ბერგმანელის შეურაცხმყოფელია.

ეხლა, როცა ჩვენმა სამშობლომ თავისუფლება მოიპოვა, გადავწყვიტე ქართველი ხალხისათვის გამეცნო ერთი ქართული ბატალიონის ცხოვრება და ბრძოლა მეორე მსოფლიო ომში რუსული, კომუნისტური იმპერიის წინააღმდეგ. მართალია, დიდი დრო გავიდა, ამდენი ხნის დუმისლ შემდეგ დეტალურად ყველაფრის გახსენება შეუძლებელია, მაგრამ ის ძირითადი მომენტებიც საკმარისი იქნება, რათა ხალხმა გაიგოს, შეაფასოს იმ ათას ექვსასი ქართველის თავდადებული ბრძოლა თავისი სამობლოს თავისუფლებისათვის. თუ ყველაფერს კარგად ვერ აღვწერ, ვერ გავიხსენებ, ბერგმანელებაც და მკითხველებმაც მაპატიონ.

I

ტყვეებზე და ტყვეთა ბანაკებზე იმდენია დაწერილი, რომ აღარ ღირს მასზე ყუ-რადღების გამახვილება.

საბჭოთა პრესის ფურცლებზე უამრავი ტყუილი თუ მართალი მასალა იბეჭდებოდა, რეალურ მიზეზს კი ყველა მალავდა ან გვერდს უვლიდა – რატომ ჩავარდა ომის პირველივე დღეებში უამრავი, ასი ათასობით საბჭოთა მეომარი და ოფიცერი ტყვედ. აულიარებელი დარჩა დღემდე. მართალია, საბჭოთა ორგანოები მიზეზად მულოდნელ თავდასხმას ასახელებდა, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება. 1939-40 წლებში დასავლეთ უკრაინის, ბელორუსიისა და ბალტიის ქვეყნების შემოერთების შემდეგ როცა სტალინმა და ჰიტლერმა აღმოსავლეთ ევროპა გაიყვეს, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ გერმანული არმია ამ საზღვრებს არ დაიცავდა. 1940 წლიდან დაიწყო გერმანული ჯარების კონცენტრაცია საბჭოთა იმპერიის დასავლეთ საზღვრებზე. ეს ყველამ იცოდა დაწყებული წითელარმიელიდან წითელ გენერლამდე. გამორიცხულია, რომ დიდი შენაერთების უფროსებს და დაზვერვის ორგანოებს არ მოეხსენებინათ ზემდგომი ორგანოებისათვის. მაშ სადაა მოულოდნელობა, თუკი ყველამ იცოდა და შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა ყოველივე დასავლეთ საზღვარზე? მაშ რა იყო მიზეზი? ლაღატი? ეს მკვლევარებისა და ისტორიკოსების საქმეა.

სინამდვილე, რასაც ჩვენი თვალთ ვუყურებდით – სულ სხვა იყო. ომის პირველივე საათებში განწყდა სატელეფონო და რადიო კავშირები შტაბებს, სამხედრო

საკომანდო პუნქტებსა და ზემდგომ ორგანოებს შორის. დაირღვა ურთიერთშეთანხმებული მოქმედება. ყველა ნაწილი ბატალიონებიდან მოყოლებული არმიებამდე ცალკე-ცალკე მოქმედებდნენ.

დიდი უმრავლესობა უმაღლესი ოფიცრობისა დაკავებულ ადგილს არ შეეფერებოდა. არ იცოდა ტექნიკურად მაღალ დონეზე შეიარაღებულ მტერთან ბრძოლის მეთოდები და ხერხები, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ასი ათასობით უმეთაუროდ დარჩენილი ჯარისკაცის დატყვევება გერმანული არმიის მიერ ოსტატურად დაგებული „ტომრებში“. მიუხედავად იმისა, რომ საშუალო მეთაურები და მებრძოლენი ბოლო შესაძლებლობამდე იბრძოდნენ.

საბჭოთა პრესის არც ერთ ორგანოს არ მოუხსენებია, რომ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსის მოსახლეობა, ძველი სლავური წესით, პურ-მარილით შეხვდნენ გერმანული არმიის პირველ წარმომადგენლებს. აღარას ვამბობ ბალტიის ქვეყნებზე, სადაც უკან დახეულ წითელი არმიის მებრძოლენს ქვა და ღორღი დაუშინეს, იმდენად სძულდათ დამპყრობნი.

აქ გასარკვევია შემდგომში რა მოხდა, რამ გამოიწვია დასავლეთის ოლქების მოსახლეობის დაპირისპირება გერმანულ არმიასთან და ადმინისტრაციასთან. გერმანულ არმიამ გაერცვლდა მოსაზრება, რომ რუსეთის იმპერიის სადაზვერვო და უშიშროების ორგანოებმა მობილიზაცია გაუკეთეს გერმანული ენის მცოდნე სისხლის სამართლის დამნაშავეებს, გაანთავისუფლეს ისინი სასჯელიდან. ჩააცვეს გერმანული ფორმა, გადასხეს ისინი დასავლეთ უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და ერთადერთი დავალება მისცეს – გაეძარცვათ, გაეუპატიურებინათ მშვიდობიანი მოსახლეობა. აქედან დაიწყო მოსახლეობის უკმაყოფილება. ამ დროს გამოჩნდნენ გადაცმული პარტიზანებიც, ვითომდა მათ საშველად. ასე დაიწყო ბრძოლა ადგილობრივ მოსახლეობასა და გერმანელებს შორის – აღარ არჩევდნენ მტყუანსა და მართალს.

გერმანული ჯარის მთავარსარდლობა არ ელოდა მილიონობით ტყვეებს და რომც ჰქონოდათ, ვერ გაუკეთებდნენ ორგანიზაციას ამ უზარმაზარი მასის გამოკვებას, მით უმეტეს, რომ საბჭოთა იმპერია იმ დროს არც საერთაშორისო წითელი ჯვრის, არც ერთა ლიგისა¹ და არც ჟენევის კონვენციის ქვეყნების წევრი არ იყო და, რაც უმთავრესია, საბჭოთა ქვეყნის მმართველმა ელიტამ საქვეყნოდ ოფიციალურად განაცხადა: „ჩვენ ტყვე არ გვყავს, ყველა ტყვედ ჩავარდნილი ქვეყნის მოლაღატეაო“. ასე გასწირა ყველაზე უფრო „ჰუმანურმა“ საბჭოთა ქვეყანამ თავისი მილიონობით გაჭირვებაში ჩავარდნილი მოქალაქე.

ტყვედჩავარდნილთა დიდი უმრავლესობა დაიღუპა შიმშილით და გადამდები ავადმყოფობით – მუცლის ტიფითა და დეზინტერიით. ის მცირე ნაწილი, რომელიც სასწაულად გადაურჩა ყოველივე ამას, დაიჭირეს, გაასამართლეს, ზოგი ომის დროს, ზოგი ომის შემდეგ.

რა კატომოყვარობაზე, ჰუმანურობაზე შეიძლება ლაპარაკი კომუნისტურ იმპერიასთან – როცა ჯერ უარყოფს თავის გაჭირვებაში ჩავარდნილ მოქალაქეებს, მერე კი - ასამართლებს.

როგორ უნდა მოეკლათ თავი 18-30 წლის სიცოცხლით სავსე ვაჟკაცებს ან რად უნდა დაეტოვებინათ უკანასკნელი ტყვია თავისთვის.

1 სსრ კავშირი 1934 წ. 18 სექტემბერს მიიღეს ერთა ლიგაში, მაგრამ 1939 წ. 14 დეკემბერს გარიცხეს ამ ორგანიზაციიდან ფინეთში შეჭრისათვის (რედ. შენიშვნა).

კაცობრიობის ისტორიაში რამდენი ომი ყოფილა ვინ მოსთვლის, რამდენი ვაჟ-კაცი ჩავარდნილა ტყვედ, დაჭრილი თუ ჯანმრთელი, სამშობლოში დაბრუნებული ჯილდოს ღებულობდა. საქართველოში ტყვეობიდან დაბრუნებული გადასახადებისგან თავისუფლდებოდა.

ძალზე შეურაცხყოფილად და დამცირებულად იგრძნო თავი ტყვეთა ბანაკებში მოხვედრილმა უმრავლესობამ, განსაკუთრებით კი მათ, ვინც ბოლო ტყვიამდე იბრძოლა და ერთადერთ დანაშაულად ის ეთვლება ცოცხალი რომ დარჩა, ამ მიზეზით კი მოლაღატედ იქნა გამოცხადებული საბჭოთა იმპერიის საგარეო საქმეთა კომისარ მოლოტოვის ოფიციალური გამოსვლის შემდეგ.

ტყვეთა ბანაკებში განსაკუთრებული პირობები იყო ქართველებისათვის. ერთი მხრივ საერთო შიმშილი, ვიადმდეები ავადმყოფობები, მეორე მხრივ ბანაკის პოლიციის დანოლა ქართველი ტყვეების მიმართ. ბანაკის მსახურთა უმრავლესობა დასავლეთ უკრაინელი და ბელორუსი იყო. ისინი თვლიდნენ, რომ მათი სამშობლოს შეერთება საბჭოთა კავშირთან სტალინის ბრალი იყო და ჯავრს ჩვენზე იყრიდნენ. ამიტომ ტყვეთა ბანაკებში მოხვედრილი ქართველები ერთად ვიყრიდით თავს, რომ უკეთ გვებრძოლა თავის გადასარჩენად ბანაკის პირობებში საერთო მტრის წინააღმდეგ.

როცა საბჭოთა სახელმწიფომ ყოფილი საბჭოთა მოქალაქეები მოლაღატეებად ოფიციალურად გამოაცხადა და არად ჩააგდო მათი ბრძოლა, ამან უბიძგა ბევრ ტყვეს ჩამდგარიყო თავისი ნამდვილი სამშობლოს სამსახურში და გაენთავისუფლებინა იგი რუსული კომუნისტური ულლისგან. ამავე დროს დაემტკიცებინა, რომ არც მშობარა იყო და არც „შვიი საჯდომი“ ჰქონდა, როგორც „დიდი ძმები“ ეძახდნენ კავკასიელებს და ქართველებს.

ომის შემდგომ იყო ისეთი ვერსია გავრცელებული რუსეთში, თითქოს საბჭოთა კავშირის პირველი კაცის ხათრით ქართველებს გარკვეული შეღავათები ჰქონდათ. ეს სიმართლეს არ შეეფერება. ყირიმის ბრძოლებში თითქოს განგებ მოუყარეს თავი ქართველებს დასაღუპად. მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 300.000 ქართველის უმრავლესობა ყირიმზე მოდის, დანარჩენი კი სხვადასხვა ფრონტებზე მთელი 4 წლის განმავლობაში.

II

ქართველი ემიგრანტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ომის პირველივე დღიდან ჩაებნენ ქართველი ტყვეების გადასარჩენ სხვადასხვა ღონისძიებებში. უამრავი ტყვე მოხვდა შალვა მაღლაკელიძის ლეგიონის შემადგენლობაში, ცალკე ბატალიონ მთის კაცში – „ბერგმანში“, მიზა და აჩიკო დადიანების ცხენოსან ესკადრონში, ბრანდენბურგის შერეული ნაწილის ქართულ ასეულში. „თამარა I“ და „თამარა II“ ასეულებში, ქართველ ემიგრანტთა პატარ-პატარა საწარმოებში და სხვა.

ტყვეთა ბანაკებში ქართველი ემიგრანტები და საქართველოში ნაცხოვრები გერმანელები გვთავაზობდნენ, ვისაც სურვილი აქვს იბრძოლოს გერმანულ არმიასთან ერთად საქართველოს გასანთავისუფლებლად რუსული კომუნისტური ულლიდან, შუეძლის ჩადგეს ბატალიონ „ბერგმანის“ რიგებში. ასე შეივსო სხვადასხვა ბანაკებიდან მოხალისეებით ათასეული.

ათასეული განლაგდა მთიანი ავსტრიის პატარა ქალაქ სტრანსის მახლობლად მდებარე საუცხოო სამხედრო დასახლებაში – 6-8 მებრძოლი ოთახში. გაზაფხულზე მიტერვალდის სამხედრო დასახლებაში გავაგრძელეთ სამსახური.

სამხედრო დასახლებაში და მის შემოგარენში იდეალური სისუფთავე, სინყნარე სუფევდა, ყველა პირობა იყო შექმნილი ნორმალური სამხედრო ცხოვრებისა და ვარჯიშისათვის. ბატალიონ „ბერგმანი“ ხუთი ასეულით განისაზღვრა. სამი მსროლელი სამთო ქვეითი, ერთი მძიმე ტყვიამფრქვეველი, ერთი ცალკე ნაღმტყორცნი ოცეული, ერთი მზვერავთა ოცეული, ყველა თავისი სამეურნეო რაზმებით. ასეულში ოთხი ოცეული, ოცეული ოთხი ათეულით, ათეულის შეიარაღებაში: ერთი ხელის ტყვიამფრქვევი, 4-5 შშაისერის სისტემის ავტომატი და ამდენივე თოფი. ტყვიამფრქვევის პირველ-მეორე ნომერი – დამატებით პისტოლეტით. ასეთი შეიარაღებით ათასეული იმ დროისათვის ძლიერ სამხედრო ერთეულს წარმოადგენდა. ათასეულის ასეულები დაკომპლექტდა მეზობროლების ფიზიკური სიმაღლითა და სამხედრო სპეციალობის მიხედვით. მე ჩავი-რიცხე პირველი ასეულის პირველ ოცეულში ასისტენტად. ათასეულის უფროსად და-ინიშნა ყოფილი წითელი არმიის კაპიტანი სიმონ ნიკლაური. სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, მაგრამ ძალზე უხეში ურთიერთობაში.

ათასეულის საერთო ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა დოქტორ ობერლენ-დერს, რომელიც ომის შემდგომ ბუნდესტაგის ნეერი გახლდათ და კანცლერადაც იყარა კუნჭი. ვერ გაიმარჯვა მხოლოდ იმიტომ, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში საბჭოთა კავ-შირის დანაოლით გაიმართა კამპანია მის სანინააღმდეგოდ, რაშიც მისმა თარჯიმანმა ნებერიძემ და „ბერგმანიდან“ ბანაკში დაბრუნებულმა კომუნისტებმა მიიღეს მონაწი-ლეობა. ობერლენდერის მოადგილედ დანიშნული იქნა საქართველოში, თეთრი წყაროს რაიონში დაბადებული და გაზრდილი, ქართული ენის მცოდნე კაპიტანი ფონ კუჩერბა-ხი, ბატალიონის სულიერ მოძღვრად – დოქტორი დიური.

ათასეულმა მიიღო ფრანგული ფორმის ტანსაცმელი და შეუდგა ინტენსიურ ვარ-ჯიშს როგორც გერმანიის იარაღის ათვისებაში და ბრძოლის ტაქტიკურ ხერხებში, ისე საერთო ფიზიკურ მომზადებაში, რომელშიც შედიოდა ხელჩართული ბრძოლის ილეთები. ვვარჯიშობდით ყოველ დღე 6-8 საათი. შემოდგომის მიწურულს ბატა-ლიონ „ბერგმანის“ რიგებს შეემატა „თამარა I“ და „თამარა II“ ასეულების ნაწილი. ისინი განაწილდნენ ასეულებში და ჩვენთან ერთად ჩაებნენ სამხედრო ვარჯიშებში. მწყობრში ვმღეროდით ძველ ქართულ სალაშქრო სიმღერებს: „მე ვარ და ჩემი ნაბა-დი“, „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“, „მაღლობზე გადმომდგარიყო“ და ერთ ახალ სიმღერას: „მოვდივართ, მოვდივართ ქართველნი, მოვდივართ ბრძოლის ველზედა, გავანადგურებთ ბოლშევიზმს რომ ბატონობდა ჩვენზედა“, რომლის წარმოშობა დღემდე არ ვიცი. ადგილობრივი მოსახლეობა გაკვირვებული ისმენდა ომახიან, ვაჟ-კაცურ ქართულ სიმღერებს. შაბათს შუა დღიდან კვირის ჩათვლით, თავისუფალი ვიყავით და დროს ჩვენი გემოვნებით ვიყენებდით. ათასეული ჩვეულებრივი თავი-სუფალი რიტმით განაგრძობდა ყოველგვარი სიახლის ათვისებას. იქ არ იყო ისეთი სულიერი და ფიზიკური დანაოლა, როგორც წითელ ჯარში. სამხედრო ვარჯიშების, ტაქტიკური ილეთების ყოველდღიური სწავლების შემდეგ, მეზობროლები და ოფიცრე-ბიც თავისუფლდებოდნენ, თავის შეხედულებების მიხედვით ატარებდნენ საღამოს საათებს დაძინებამდე. „ბერგმანი“ იყო ერთადერთი სამხედრო ნაწილი მთელ გერ-მანულ არმიაში, რომელიც ატარებდა გერმანული ჯარისათვის განკუთვნილ სრულ ფორმას, რეგალიებსა და ნიშნებს. ასე მიდიოდა დრო და ველოდებოდით როდის მი-უახოვდებოდნენ გერმანული არმიები კავკასიას, რათა ჩავბმულიყავით სამშობლოს გამანათავისუფლებელ ბრძოლებში. თუმცა ისიც ვიცოდით, რომ ბრძოლა ძნელი, სისხლისმღვრელი იქნებოდა. მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ არ გვესმოდა ის სიძნელებები, რაც წინ დაგვხვდებოდა სამშობლოში ჩამოსულებს, მაგრამ ისიც კარ-

გად გვესმოდა, რომ გერმანული სამხედრო მანქანა იყო ის ძალა, რომელსაც შეეძლო კომუნისტური იმპერიის დაშლა, დამარცხება.

ამასობაში გავიდა ზამთარიც. ჩვენ გარშემო გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა, როცა ათასეულში სუყველამ ცუდის მაუნყებელი სიცივე შეიგრძენით. ეს მუხტი თითქოს გაიფანტა ბერლინში ექსკურსიაზე წასვლით. ოფიცრებს რამოდენიმე მონინავე, სროლებში გამარჯვებული მებრძოლებიც გამოგვაცოლეს. ბერლინის რკინიგზის სადგურში მსუბუქი მანქანა დაგვხვდა ავტობუსთან ერთად. ობერლენდერი და ნიკლაური მსუბუქი ავტომანქანით წაიყვანნენ. ჩვენ ჯერ ბერლინის ცენტრი დაგვათვალეიერებინეს, შემდეგ ლამის გასათევად სასტუმროში მიგვიყვანეს. დილით სასაუზმოდ რომ შევიკრიბეთ, ვნახეთ რამოდენიმე ოფიცერი და მებრძოლი გვაკლდა. დარჩენილები უკან სამხედრო დასახლებაში გავემგზავრეთ. დასახლებაში გავიგეთ, რაც მოხდა. რამოდენიმე კვირით ადრე უმცროსი პოლიტხელი ლეიტენენტი ტაბიძე ჩამოაშორეს ბატალიონს. ახლა ოცამდე კაცი დააპატიმრეს კაპიტან ნიკლაურის ჩათვლით. როცა ცოტა დაეწყნარდით და გავანალიზებთ ჩვენი ყოფა-ცხოვრება, მათი საეჭვო შეკრებანი, მინდორში ტაქტიკური მეცადინეობის დროს თუ დასახლებაში, საერთო ეჭვს რომ ბადებდა – რეალური ყოფილა.

მიუხედავად ამ უსიამოვნებისა, ათასეულს ერთი წუთითაც კი არ შეუნყვეტია მეცადინეობა. 1942 წლის 25 მაისს ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდნენ „ქართველოს გამანათავისუფლებელი კომიტეტის“ (იგულისხმება აპრილში დაარსებული „ქართული პოლიტიკური კომიტეტი“ ერეკლე ბაგრატიონ-მუხრანელის თავმჯდომარეობით, – რ. დ.) წევრები: მიხეილ კეცია, გიორგი მალალაშვილი, დავით ბაგრატიონი და სხვა ქართველი პოლიტემიგრანტები, რომლებიც უნდა დასწრებოდნენ ათასეულის ფიცის მიღების ცერემონიალს. ფიცის მიღების წინა დღეებში მოგვცეს გერმანული არმიის სამთო ნაწილების ე.წ. „ედელვეისის“ კორპუსის ძალზე ლამაზი ფორმის ტანსაცმელი. ამას დაემატა ქუდზე დასამაგრებელი პანანინა, ოდნავ მოლუნული ხანჯალი მებრძოლისა და ოფიცრის პირადი ნომრით, ქამარი წარწერით „ჩვენთან არს ღმერთი“. 1942 წლის 26 მაისს შუადღისს „ბერგმანის“ ათასეულმა მიიღო ფიცი სამშობლოსა და გერმანიის არმიის ერთგულ, თავდადებულ სამსახურზე ქართული და გერმანული დროშის ქვეშ, რომელიც არც ერთ ბერგმანელს არ დაურღვევია სიკვდილამდე. ფიცის მიღების შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო ვახშამი თითქმის ქართული წესით – ღვინითა და თამადით, სადაც „ბერგმანის“ მთლიანმა შემადგენლობამ მიიღო მონაწილეობა. ფიცის მიღების შემდეგ უფრო გაიზარდა მორალური პასუხისგება სამშობლოსა და საკუთარი თავის წინაშე. დადგა დრო, როცა ბატალიონის სამხედრო განვრთნილობა უნდა შეემონებინათ ზემდგომ სამხედრო სპეციალისტებს. ბატალიონმა გამართა საომარ მდგომარეობას ძალზე მიახლოებული ბრძოლა-ვარჯიში, რამაც სპეციალისტების აღტაცება და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ეს ჩვენთვის არ იყო გასაკვირი, რადგან ბერგმანელების დიდი უმრავლესობა კადრის ოფიცრები და მებრძოლები იყვნენ. ამას დაემატა 8 თვის განმავლობაში გერმანულ არმიამი მიღებული ცოდნა ხელჩართული ბძოლის ილეთებისა და ტაქტიკისა, ორივე მხარის იმ დროს არსებული იარაღის უშეცდომო გამოყენება, ანთებული გული, თვალისა და გონების მოქმედების სისწრაფე – მიიღებთ უმაღლესი კატეგორიის ძლიერ სამხედრო შენაერთს. ეს რომ ასე იყო, „ბერგმანმა“ პირველსავე ბრძოლაში დამტკიცა. 1942 წლის ივლისში შევიტყვეთ იმ პატარა კომუნისტური ჯგუფის ბედი, ცოტა ხანს რომ ჩვენთან იარსება. 14 მონაწილე დახვრიტეს, დანარჩენები ტყვეთა ბანაკებში დააბრუნეს.

1942 წლის აგვისტოს დასაწყისში, როცა გერმანული არმია მიაღწა კავკასიას, ჩვენი ათასეული ჩაიტიერთა სამხედრო მატარებელში და ბრძოლებში უშუალო მონაწილეობისათვის გაემგზავრა. ოთხი თუ ხუთი დღის მატარებლით მგზავრობის შემდეგ ქ. ბატაისკის რკინიგზის სადგურზე ჩამოვბარდით. ბატაისკიდან ჩვენი საკუთარი ტრანსპორტით, რომელიც შედგებოდა დიდი ზომის ცხენებზემული ფორებისგან, გავემგზავრეთ ნინა ხაზისაკენ. მგზავრობას ერთი კვირა მოუწოდით. ქალაქ მოზდოკის მოსადგომებთან დავიკავეთ საბრძოლო პოზიციები. მივიღეთ დავალება – მალგობეკის მალლობის აღება. მალლობის ასაღებ ოპერაციაში ყველა ასეული მონაწილეობდა. მალლობის არტილერიით დამუშავების შემდეგ, რომელიც ნახევარ საათს გაგრძელდა, ასეულები სწრაფად გადავიდნენ შეტევაზე და მცირე დანაკარგით მალლობს დაეუფლენ. მოზდოკშივე შეიქმნა მოხალისეების ჯგუფი მთიან რაიონებში მცხოვრებ მებრძოლებისაგან, ჯგუფის უფროსად დაინიშნა ლეიტენენტი გივი გაბლიანი და ავსტრიელი ფელდფებელი მთამსვლელი, რომლებსც დაევალით ქართული და გერმანული დროშების ატანა იალბუზის მწვერვალზე. ზურგის დაცვა დაევალი ჩემს ოცუელს. ორი კვირის ინტენსიური ვარჯიშის შემდეგ ჯგუფი გაემგზავრა მწვერვალის დასაპყრობად. ყველა ერთად ავედით ბაზამდე, სადაც ფინური სახლი იდგა. ღამე ბაზაში გავატარეთ. დილით მოიერიშე ჯგუფი მწვერვალის დასალაშქრად გავიდა. საღამოს 4 საათი იქნებოდა, როცავე სამი მწვანე შუშუნის გასროლით გვამცნეს, რომ მწვერვალი დაპყრობილია და მის თავზე ქართული ეროვნული დროშა ფრიალებს გერმანულთან ერთად. იმ წუთმა უზომო სიხარული მოგვიტანა. სანამ ჩვენი ჯგუფი იალბუზს დალაშქრავდა, ბატალიონმა პიატიგორსკის და ნალჩიკის, შემდეგ ორჯონიკიძის მოსადგომების აღებაში მიიღო მონაწილეობა. ჯგუფი მშვიდობიანად დაბრუნდა ბაზაში და ყველანი ერთად ქ. ნალჩიკში ჩავედით, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ათასეული. რა აღტაცება, სულიერი სიმაღლე იყო მაშინ ასეულებში, ამის ენით აღწერა შეუძლებელია. თვითიულ ჩვენგანს ექჩარებოდა სამშობლოს მინაწყელის განთავისუფლება, აღარ მახსოვს ფერდობზე განლაგებული ოსური სოფლის სახელი, საიდანაც კარგ ამინდში საქართველოს სამხედრო გზის პატარა მონაკვეთი ჩანდა. მებრძოლები საათობით უყურებდნენ ჭოგრიტით ხელში საყვარელ მინაწყელს. ვინ იფიქრებდა მაშინ, თითქმის რეალობად ქცეული მიზნები და სურვილები სტალინგრადის კედლებთან ერთად დაინგრეოდა. საბოლოოდ კი მხოლოდ ოცნება შეგვრჩებოდა.

დავუბრუნდეთ სინამდვილეს. ათასეულ „ბერგმანი“ მსახურობდნენ ემიგრანტი ძმები მიშა და აჩიკო დადიანები, რომლებმაც მიიღეს სპეციალური ნებართვა გერმანული ჯარების კავკასიური სარდლობიდან ერთი ცხენოსანი ესკადრონის ფორმირებაზე კავკასიაში ტყვედ ჩავარდნილი ქართველებისგან, რაც საოცრად მოკლე დროში განახორციელეს. ცხენები და მათი აღკაზმულობა პიატიგორსკის ცხენსაშენი მეურნეობიდან გამოიყვანეს, მებრძოლები – იქვე განლაგებული ტყვეთა ბანაკებიდან. მებრძოლების დიდი უმრავლესობა მეგრელები და აფხაზები იყვნენ. მოგესხენებათ მათი სიყვარული ცხენებისადმი. ცხენები კი მართლა სანაქებო ჰყავდათ. დაიწყეს ინტენსიური ვარჯიში ცხენებისა და მებრძოლების სამხედრო განვრთნილობაში. ერთი თვის შემდეგ ისე დაეუფლნენ, ზოგიერთი მებრძოლები განსაცვიფრებელ ილეთებს აკეთებდნენ უენო მეგობრებთან ერთად. ბრძოლებში მონაწილეობა კი აღარ დასცავდათ.

სტალინგრადის გერმანული გარნიზონის ჯარების იმ პოზიციები, რომლებსაც იტალიური, რუმინული დივიზიები იკავდნენ, რუსებისათვის კარგად იყო ცნობილი. მათ ზედმიწევნით კარგად იცოდნენ ამ დივიზიების დაბალი საბრძოლო პოტენციალი. ამიტომ პირველად სწორედ იტალიურ-რუმინულ პოზიციებზე მიიტანეს ძლიერი იერიში და სანადელსაც მიაღწიეს. იტალიურ-რუმინული არმიები პანიკური შიშით შეპყრობილნი

გაიქცნენ პოზიციებიდან და უფრო მეტი სტეპებში თოვლმა და ყინვამ ჩაქოლა, ვიდრე პოზიციებზე დაიღუპა. ამით ისარგებლეს ნითელი ჯარის ნაწილებმა და სტალინგრადის მე-6 არმია, გაძლიერებულ ნაწილებთან ერთად მთლიანად ალყაში მოაქციეს. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია კავკასიის გერმანული ჯარების ალყაში მოქცევის საშიშროება. დაიწყო საერთო უკანდახევა, რაც ლახვარის ჩაცემის ტოლი იყო თვითუღი ბერგმანელისათვის. უკან უნდა წავსულიყავით სამშობლოს კარიბჭეს მიმდგარნი. დიდი გულისტკივილით დავტოვეთ საბრძოლო პოზიციები. ჩვენც, გერმანელებთან ერთად, ჩვენი ალალით დავიწყეთ უკუსვლა. გავიარეთ ჩრდილო კავკასია, ყუბანის გავლით წავედით ყირიმის ნახევარკუნძულზე. გზა ძალიან ძნელი გამოდგა, რადგან მისი დიდი ნაწილი სტეპებზე გადიოდა და ჩახერგლი იყო. სამხედრო ტექნიკითა და ტრანსპორტით ახალ, 1943 წელს გზაში შეეხვედით.

III

1943 წლის თებერვლის დასაწყისში ჩავედით ყირიმის ნახევარკუნძულზე. ათასეული განლაგდა ქ. ბახჩისარაის გარშემო სოფლებში. მთელი თვე ისვენებდა და წესრიგში მოყავდა სამხედრო საჭურველი, საჭაპრო ტრანსპორტი. აქვე მიიღო შევსება შალვა მალაკელიძის იმ ბატალიონიდან, რომლებიც ბაქსანზე იბრძოდნენ და თავი გამოიჩინეს. 1943 წლის შუა რიცხვებში მივიღეთ დავალება – დაგვეცვა ყირიმის ზღვის სანაპირო მოსალოდნელი დესანტისაგან, მაქსიმ გორკის შორს მსროლელი ბატარეიდან ქალაქ ევპატორიამდე, რომელიც განლაგებული იყო სევასტოპოლიდან რამოდენიმე კილომეტრით დაშორებული. იქ ძალზე კარგი ძელმინურები დაგვხვდა გამზადებული. თითო ძელმინურში ათეული განლაგდა. ძელმინურებს შორის მუდმივი სატელეფონო კავშირი იყო დამყარებული. დღე მინურის თავზე იჯდა ერთი ჭოგრიტით შეიარაღებული მებრძოლი, რომელიც ზღვას გაჰყურებდა და ყოველ ორ საათში იცვლებოდა. ღამით ორკაციანი გუშაგთა ჯგუფები დადიოდნენ ძელმინურიდან ძელმინურამდე. დროდადრო ზღვა შუქდებოდა პროჟექტორებით. დავალებიდან თავისუფალი მებრძოლები თევზაობდნენ, სხეულს იკაჟებდნენ ზღვის ტალღებსა და თბილ ქვიშაში. ზღვის სანაპიროზე უამრავი ნაღმი იყო დარჩენილი, ჩვენ მათ სათევზაოდ ვიყენებდით. ნავით შეგვექონდა ნაპირიდან შორს, ვაფეთქებდით ზღვის სიღრმეში, რაც საკმაოდ კარგ შედეგს იძლეოდა. მუდმივად გვექონდა დიდი ზომის მსუქანი ქამბალა და სხვა გემრიელი თევზები. ძალზე კმაყოფილი ჩვენი მზარეული გემრიელ კერძებს ამზადებდა. ასე გარძელდა მთელი ზაფხული. მებრძოლები ისე გაირიჯნენ, ძნელი საცნობი გახდნენ. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გაისმა განგაშის ნიშანი. პირველი ასეულის მეორე ოცეულის ზონაში გამოჩნდა წყალქვეშა ნავი. მეორე ოცეულის მებრძოლებმა მას ცეცხლი მსხვილი ყალიბის ტყვიამფრქვევიდან დაუშინეს. გაბრაზებულმა ნავის ეკიპაჟმა ერთი ტორპედო სტყორცნა სანაპიროს, რომელმაც არავითარი ზიანი არ მოგვიტანა.

1943 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში მივიღეთ ახალი სერიოზული საბრძოლო დავალება – დაგვეცვა ყირიმის ყელის ე.წ. „ტურეცკი ვალის“ მარცხენა ფლანგის გარკვეული მონაკვეთი. აქაც კარგი ძელმინურები და სანგარსავალები დაგვხვდა. მაგრამ ჩვენ ორი კვირა მოვანდომეთ კიდევ უფრო გაღრმავებას, გამაგრებას, გადახურვას. სანგარსავალების ყველაზე უფრო საშიში ადგილები რკონა-ბეტონითა და ძელებით გადავხურეთ. ყველაფერ ამას ვაკეთებდით ღამით, ყოველგვარი ხმაურის გარეშე. ნოემბრის დასაწყისში პირველად შემოგვიტყეს. ჩვენმა წინდახედულობამ შედეგი გამოიღო. მთელ ათასეულში სამი მძიმედ დაიჭრა, ხუთი მსუბუქად. შემდეგ მებრძოლები ათას

რამეს იგონებდნენ პოზიციების კიდევ უფრო გასამაგრებლად. რუსებმა გაიგეს ჩვენი იქ ყოფნა გერმანელი მოენების ხელში ჩაგდებათ. დაგვიწყეს თავისი ჩვეული აგიტაცია რადიოს ხმამალალი რეპროდუქტორებით, შედეგს რომ ვერ მიაღწიეს, ღამით გადაწყვიტეს მოენის მოპარვა, მაგრამ იქაც ჩაფლავდნენ. პირიქით ჩვენ დავიჭირეთ ისინი ორსამჯერ. ჩვენი მებრძოლები ფხიზლად იყვნენ. ყველაზე საგარაუდო ადგილებში მახეები დავაგეთ, რაც ძალზე დროული აღმოჩნდა. გარდა ამისა, ხშირ-ხშირად ვცვლიდით გუშაგებს, რათა ქარსა და ყინვას არ მოედუნებინათ მათი ყურადღება, მხედველობა.

1944 წელს სანგრებში შევხვდით, რითაც შეგვეძლო ვიდღესასწაულეთ. ასე გაგრძელდა პოზიციური ბრძოლები აპრილამდე, აღდგომის დღემდე. რიცხვი არ მახსოვს, რა დღე მოუწია აღდგომამ – როცა სადღესასწაულო საჩუქრები დარიგდა გერმანულ არმიამი შნაპსთან ერთად. რუსებმა ესეც გაითვალისწინეს. ზუსტად დღის 12 საათზე გახსნეს საარტილერიო ცეცხლი, რომელიც ერთ საათს გრძელდებოდა. მერე შეტევაზე გადმოვიდნენ. ჩვენ მოვიგერიეთ შეტევა, მაგრამ ისე, როგორც 1920 წელს, ისარგებლეს სივამის ნაპირის დაბალი სიღრმით, გადმოვიდნენ და გერმანული ჯარის მარჯვენა ფლანგს ზურგში დაატყეს და გაარღვიეს კიდევ, რამაც შექმნა პერეკოპის ჯარების ალყაში მოქცევის საშიშროება. დანიყო უკან დახევა. ჩვენ ისე მივალწიეთ სევასტოპოლს, რომ ბრძოლებში მონაწილეობა აღარ მიგვიღია. იარაღი დაფუტოვით სევასტოპოლის დამცველებს და ერთ-ერთმა პირველებმა დავტოვეთ ყირიმის ნახევარკუნძული. ამით ბოლო მოეღო ჩვენს იმედს, სამშობლოს გათავისუფლებისა. ყირიმში კიდევ იყო გარკვეული საყრდენი ძალააა შეტრიალებისა.

IV

რუმინულ სავაჭრო გემში ჩავიტივრითეთ ღამე და გავემგზავრეთ. მეორე დღის დილით თავს დაგვესხნენ საბჭოთა თვითმფრინავები. გემზე მხოლოდ ერთი მსხვილი ყალიბის საზენიტო ტყვიამფრქვევი იდგა. ის ერკინებოდა მფრინავებს. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას – ოსტატურად გაუმკლავდა მათ. გემის გარშემო რამოდენიმე ბომბი აფეთქდა. ერთი ძალზე ახლოს, რომელმაც დაახინა გემის გვერდი. სანამ შეაკეთებდნენ, „პლასტირს“ დაუდებდნენ, გემში ბლომად წყალი შევიდა. გემის კაპიტნის ბრძანებით, ორივე მილიდან შავი ბოლი აუშვეს. მფრინავებმა იფიქრეს, რომ ჩვენი საქმე მოთავებულიაო და თავი დაგვანებეს. გემმა კი ნელა გააგრძელა გზა. ღამე მშვიდობიანად ვიმგზავრეთ, დილით კი რუმინეთის პორტ ქალაქ ბრაილაში ჩავედით, იქიდან მატარებლით რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში. იქ ერთი კვირა დავრჩით იარაღის მიღების მოლოდინში. ბერგმანელებმა ეს დრო ქალაქის დასათვალისწინებლად გამოიყენეს. ბუქარესტი ღამაზი ქალაქია, განსაკუთრებით მისი ცენტრი, თავისი განსაკვიფრებელი არქიტექტურითა და გარე გავორმებით. აქვე გავუსინჯეთ გემო რუმინულ ღვინოებსა და მათ „მამალიგას“, რომელსაც ნახევრად მორკალურ ლარგაბზული ჯოხით ოსტატურად ჭრიან ულუფებად. თავად რუმინელები ძალზე დათრგუნვილად, ღარიბად გამოიყურებოდნენ. ჩვენთვის განკუთვნილი იარაღი აქ არ აღმოჩნდა. ბუქარესტიდან მატარებლით ბულგარეთში გავემგზავრეთ, ქალაქ სოფიაში. იარაღი არც იქ აღმოჩნდა. სოფიაც საკმაოდ კარგად დავათვალისწინეთ, სამი თუ ოთხი დღე იქაც დავყავით. მიუხედავად ომისა, ქალაქი უხვად იყო მომარაგებული ხილ-ბოსტნეულით და სხვა პროდუქტებით. ხალხიც საკმაოდ მხიარულად გამოიყურებოდა. სოფიიდანაც მატარებლით საბერძნეთისაკენ გავემგზავრეთ.

ქალაქ ათენში ღამე ჩავედით. ჩვენთვის განკუთვნილ სახლამდე ქუჩებში ნახევრად ბნელში ვიარეთ. სანამ მოვეწყვეთ, გათენდა კიდეც. ქალაქში გასვლა არ შეიძლებოდა. პირველი კარანტინის დრო უნდა გაგვევლო. მეორე ფორმის ტანსაცმელი და იარაღი უნდა მიგვევლო. ალბათ არ იქნება ისეთი პიროვნება, ვისაც ცოტა რამ უსწავლია ან წაუკითხავს ძველ საბერძნეთზე და ოცნებად არა ჰქონდეს გადაქცეული მისი ნახვა-დათვალიერება. ბერგმანელებიც ველოდით, როდის გავიდოდა კარანტინის დრო, როდის მივიღებდით შესაბამის ფორმის ტანსაცმელს და იარაღს. სულ მალე მოვიდა ტანსაცმლის სამი კომპლექტი, სათანადო განაწესით – იარაღი. ბატალიონი ჩაირიცხა ათენის გარნიზონის ჯარების სარდლის განკარგულებაში და დაევალა ქალაქის გარკვეული უბნების პატრულირება. ასეულები მორიგეობით, 24 საათის განმავლობაში ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ამ დროს საბერძნეთში და, კერძოდ, ქ. ათენში ძალზე ბევრი ბერძენი იყო ჩამოსახლებული საბჭოთა კავშირიდან. ვინც უარი განაცხადა საბჭოთა მოქალაქეობაზე. პატიოსან ბერძნებს უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურებმა ბევრი მზვერავი კომუნისტი აგიტატორი გამოაყოლეს, რომლებმაც შექმნეს მეფესა და გერმანულ არმიასთან მეზობლი კომუნისტური მოძრაობა პარტია „ელადის“ სახელით. სწორედ ესენი, კომუნისტი აგიტატორები ნაბეჭდი ფურცლებით თუ მიტინგებით უმტკიცებდნენ ბერძენ მოსახლეობას კომუნისტური სამოთხის რეალუბას და მის არსებობას დედამიწის ერთ მეექვსედზე და ბერძენი ხალხის დაბალ ფენებში გარკვეულ წარმატებასაც აღწევდნენ. უწესრიგობა ქალაქში და მის შემოგარენში სწორედ მათ შემოჰქონდათ. ჩვენც სწრაფად, ოპერატიულას ვმოქმედებდით მათ ასალაგმად.

სამსახურიდან თავისუფალი ბერგმანელები კი ქალაქის ისტორიულ ძეგლებს ეცნობოდნენ, ათვალთვლებდნენ. ვნახეთ მეფის სასახლე, რომელიც თეთრი და შავი მარმარილოთი არის ნაშენი. მთავარი კარიბჭის მოედანი ჭადრაკის დაფასავით არის ნაგები. თავში და ბოლოში დგას თეთრი და შავი მარმარილოს ჯიხური. ძველი გვარდიულ, ძალიან ღამაზ ფორმაში გამოიწყობილი გუშაგები ერთდროულად გამოდიან ჯიხურებიდან და ზუსტად შუა დაფაზე ხვდებიან ერთმანეთს და უკან ბრუნდებიან. ეს ცერემონია ღამაზი საყურებელია. დავათვალთვრეთ აკროპოლისი ძველი ბერძნული ღმერთების ქანდაკებებით. თორმეტი ღმერთი ადგილზე იყო, ღმერთების ღმერთის – ზევსის კვარცხლბეკი თავისუფალი გახლდათ. ჩვენ შეკითხვაზე – თუ რატომ არ არის ზევსის ქანდაკება კუთვნილ ადგილზე, გვიპასუხეს – თურქებმა მოიპარეს, რადგან მოოქროვილი იყო, მათ კი ინგლისელებმა წაართვეს და ლონდონში ინახებო. ვნახეთ ქვით ნაგები ცირკი, სადაც გლადიატორები ხან მხეცებს, ხან ერთმანეთს ებრძოდნენ. ვნახეთ ხით ნაგები გემები, სადაც ნიჩბებზე მონები იყვნენ მიჯაჭვული და ისე მართავდნენ მათ. ვნახეთ საბრძოლო ეტლები. მსურველები ვიყავით სამასი სპარტელის ღამაზად და უბრალოდ გაკეთებულ საფლაგ-მემორიალზე. რაოდენ გულდასაწყვეტი იყო ჩვენთვის მაშინ, ჩვენი სამასი არაგველი ბევრმა ქართველმაც რომ არ იცოდა, არათუ უცხოელმა. ემიგრანტ ვიკტორ ხომერისკის დახმარებით ისტორიის მოყვარულებმა მოვიწახუთეთ ათონის ქართველთა მონასტერი. ჩვენი იქ ყოფნის დროს ქართველი ბერები უკვე აღარ იყვნენ. ბერძენმა ბერებმა ჩვენი ქართველობა რომ გაიგეს, დაგვრთეს ნება მონასტრის შიდა სათავსოების დათვალთვრებისა. წამოსვლის დროს თაფლითა და ტკბილეულით გაგვიმასპინძლდნენ.

ქ. ათენში ყოფნის დროს ხშირად დავდიოდით ზღვაზე საბანაოდ მორიგეობიდან თავისუფალი ასეულები. ქალაქის უკეთ დათვალთვრების მიზნით, ვცდილობდით ყოველ

ნასვლაზე ახალი გზა აგვერჩია. ერთხელ ზღვიდან უკან ახალი ქუჩით ვბრუნდებოდით. ბიჭები ჯერ ძველ სამწყობრო სიმღერას მღეროდნენ, მერე უნმანური სიმღერა წამოიწყეს. ამ დროს შუა ქუჩაში გამოვარდა მაღალი ჭალარა კაცი, ჯერ გაგვლანძლა, მერე ტირილით გადაგვეხვია. ეს იყო მოხევე, გვარად ლუღუშაური, რომელსაც საკუთარი ავტოფარეხი ჰქონდა. ავტობუსებს ქალაქში ამუშავებდა. მთელი ასეული დაგვეპატიჟა და შემდგომშიც პატივს გვცემდა.

1944 წლის აგვისტოს ბოლოს მივიღეთ ახალი დავალება – საბერძნეთ-მაკედონიის შემადგენელ ტერიტორიაზე დაგვეცვა ხიდები და ელსადგური. ჩქარა რთველიც დაიწყო. სამსახურიდან თავისუფალი ბერძნელები უანგაროდ ვეხმარებოდით ყურძნის კრეფაში, რადგან ეს პროცესი სისხლში გამჯდარი ტრადიციაა ქართველი კაცისა. მაკედონელები და ბერძნები კმაყოფილები შეხვდნენ ჩვენ ერთუზიანობას. მაკედონელები და ბერძნები მაჭარს დუილის დროს ურევენ ფიჭის ფისს, რაც ღვინოს თავისებურ გემოსა და არომატს აძლევს. მიუჩვეველი კაცისათვის უცნაური დასაღვეია. არაყს კი ჩვენებურად ხდიან და „რაკიას“ ეძახიან, რაც დასაფიქრებელია. ან მათ აქვთ ჩვენგან წაღებული სახელი და წესი ან ჩვენ მათგან. ჩვენ შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. იმ ხნის განმავლობაში, რაც ბატალიონმა იქ დაჰყო, არც ერთი თავდასხმა არ ყოფილა იმ ობიექტებზე, რასაც ჩვენ ვაკონტროლებდით. ეს ნაწილობრივ გამოწვეული იყო ჩვენი ურთიერთობით და ნაწილობრივ კომუნისტური მოძღვრებას, მარქსის წევრებს პატივს ნაკლებად ცემდნენ.

1944 წლის ნოემბერში გამოვემშვიდობეთ ბერძნებსა და მაკედონელებს, რადგან ახალი დავალება მივიღეთ.

VI

1944 წლის ნოემბრის ბოლოს მივიღეთ ახალი დავალება – ხიდებისა და გვირაბების დაცვა იუგოსლავიის ტერიტორიაზე. ხიდები და გვირაბები ძალიან ბევრია ამ მთავორიან ქვეყანაში. ესენი ფორდის ავტოკონცერნს აუშენებია მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში, რასაც სათანადო წარწერები ადასტურებენ გვირაბებისა და ხიდების შესასვლელ-გასასვლელებში.

იუგოსლავიაში იმ დროს რთული პოლიტიკური ვითარება იყო. ტიტოს უამრავი პარტიზანების გარდა, ოფიციალურ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენდნენ „ჩეტნიკები“ – უკანასკნელი მეფის მომხრენი. ატარებდნენ მონარქიული იუგოსლავიის ჯარის ფორმასა და წერს. იბრძოდნენ მონარქიის აღსადგენად. ესენი ძირითადად სერბები და სლოვენები იყვნენ. მათ რიგებში იყვნენ გენერალ ვრანგელს გამოყოფილი რუსები. გადაწყვეტილი რუსი ოფიცრების მეშვეობით, რომლებიც საკმაოდ იყვნენ „ჩეტნიკების“ შემადგენლობაში, გაგვემართა მოლაპარაკება.

იყვნენ „უსტაშები“ – ძირითადად ხორვატები და იბრძოდნენ თავისუფლებისათვის – ხორვატიის დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ცალკ-ცალკე შეხვედროდით ორივე პარტიის ოფიცრებს. გაგვეცნო მათთვის ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი მათდამი დამოკიდებულება. აგვეხსნა მათთვის, რომ ისეთივე პატარა ერის შვილები ვართ, როგორც ისინი, გერმანელთა დახმარებით გვინდოდა ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება კომუნისტური უღლიდან, როგორ ახლო ვიყავით მიხანთან, ვაჩვენეთ რუკაზე ყოველივე. დავარწმუნეთ, რომ კარგად გვესმოდა მათი. ავუსხენით თუ რა საშისპოვნა ელოდათ წითელი ჭირის გამარჯვების შემთხვევაში. ზემოთ თქმულის დასამტკიცებლად რამენჯერმე მივეციტე პარტიზანებს წართმეული იარაღი და ტყვია-წამალი,

რაც საკმარისი აღმოჩნდა ჩვენი ნორმალური ურთერთობისათვის. რაც შეეხება ტიტოს პარტიზანებს, ისინი ბევრჯერ დაგვეხსენნ თავს, ყოველთვის მზად მყოფნი დავხვდით. ყველა ბრძოლაში დიდად დაზარებულებმა დატოვეს ბრძოლის ველი და ვინც გადარჩა – გაქცევით უშველა თავს. დარწმუნდნენ რა ჩვენს მალალ ბრძოლის უნარიანობაში, დაკარგეს ხალისი ჩვენთან შერკინებისა და გვერიდებოდნენ. გერმანული სარდლობა კი გაკვირვებული იყო ამ ამბით, სადაც „ბერგმანის“ ბატალიონი დაიკავებდა პოზიციებს, ჩაიბარებდა ობიექტებს, იმ რაიონში სიმშვიდე მყარდებოდა. „ჩეტნიკები“ და „უსტამები“ ჩვენ არ გვებრძოდნენ, პარტიზანები გვერიდებოდნენ, ამიტომ ხშირად გვიცვლიდნენ რაიონებსა და ობიექტებს. იუგოსლავიის თითქმის ყველა პატარა ქვეყნები მოვიარეთ. ნამდვილ მიზეზს ჩვენ არ ვამხელდით, გერმანელები კი ვერ ჩასწვდნენ სინამდვილეს.

იუგოსლავიაში „ბერგმანი“ ძირითადად საყარაულო სამსახურს ეწეოდა. მხოლოდ ორჯერ ჩავებით ძლიერ მტერთან ბრძოლაში. პირველად იუგოსლავია-ბულგარეთის საზღვარზე, თუ არ ვცდები, ქ. კუმანოვოსთან, რამდენიმე დღით შევაჩერეთ ტოლბუხინის მონინავე რაზმები. ყველაზე დიდი ზარალიც იქ განვიცადეთ, რადგან სანგრების გათხრა ვერ მოვახერხეთ კლდიან ადგილზე. მხოლოდ დიდი ქვებით საფრების გაკეთება შეეძლო, რაც არ იყო საიმედო, ჭურვისა და ნალმის ნამსხვრევებიდან კარგად ვერ გვიცავდა. მეორეჯერ ქ. სარაევოს მიმდებარე გაბატონებულ მაღლობის განთავისუფლება გახდა საჭირო, საიდანაც ტიტოს პარტიზანები ქალაქს გამუდმებით ბომბავდნენ. იმ მაღლობს, რომელზეც ძველი ციხე-სიმაგრეა აგებული, „უსტამები“ იცავდნენ. ისინი პარტიზანებმა განდევნეს. იმ დღიდან დაიწყო ქ. სარაევოს გასაჭირო. „ბერგმანმა“ მიიღო დავალება – გადაერჩინა ქალაქი ნგრევისაგან.

მზვერავთა ოცეულს მიეცა დავალება ყოველ მხრივ შეესწავლა მტერი, შეესწავლა მისასვლელი გზები, ძლიერი და მეორეხარისხოვანი საცეცხლე ნერტილები, აღენიშნა ისინი რუკაზე. ოპერატიული განხილვისას გადაწყდა – სამი მხრიდან შეგვეტია მაღლობისათვის. ცენტრზე ცრუ, ხმაურიანი შეტევა დრომდე, ორივე ფლანგიდან – ნამდვილი. ყველაფერი მზად რომ იყო, მოვიდნენ „უსტამი“ ოფიცრები და გვთხოვეს დიდი ყალიბის არტილერია არ გამოიყენოთ, ეს ციხე-სიმაგრე ისტორიულია, არ დაანგრიოთო. ჩვენ დავპირდით, ამიტომ ზოგი რაზმს შეცვლა, გადაადგილება მოგვინდა. გამოვიყენეთ მხოლოდ ჩვენს განკარგულებაში გადმოცემული საშუალო ზომის ნალმტყორცნები და არტილერია. ცენტრში მყოფმა მესამე ასეულმა ისეთი ხმაური და ბრძოლის ყიჟინა ატეხა, რომ პარტიზანების მთელი ყურადღება მიიპყრო. პირველი ასეული მარჯვნიდან, მეორე – მარცხნიდან, გარკვეულ დრომდე, უხმაუროდ მიუახლოვდნენ მიზანს, მერე კი ნიშანზე ყველამ ერთად შეუტია. მაღლობი და ციხე-სიმაგრე ერთი ძლიერი შეტევით, მცირე დანაკარგებით ავიღეთ, რითაც გერმანული სარდლობის და ადგილობრივ მკვიდრთა მაღლობა დავიმსახურეთ. ამ ოპერაციის მსვლელობას თვალს ადევნებდა ბალკანეთის ჯარების სარდალი გენერალი შვარცი. ბრძოლის მერე მოითხოვა ბატალიონის დაწყობა. პირად შემადგენლობას მაღლობა გადაუხადა და ყველა მონაწილე დააჯილდოვა. შემდეგ განაცხადა: „ასეთი შემართებული, სწრაფი მრავალსახოვანი შეტევა 1941 წლის შემდეგ აღარ მინახავსო“. ამ ბრძოლის შემდგომ ქ. სარაევოს მაღლობებს ვიცავდით.

1944 წლის აპრილის დასაწყისში გადაწყვიტეთ ნავსულიყავით ნეიტრალურ ქლავად გამოცხადებულ ტრიესტში. თუ ისინი არ მიგვიღებდნენ იტალიაში, რადგან იტალია ის ქვეყანა იყო, რომელსაც არც თეირანის და არც ყირიმის ოთხთა ხელშეკრულებაზე ხელი არ ჰქონდა მოწერილი ტყვეთა და ადგილგადაცვლებულთა დაბრუნებაზე, უკიდურეს შემთხვევაში ინგლის-ამერიკის ჯარების წინაშე დავყრიდით იარაღს. ჩვენ სარდლობას ვთხოვეთ ნება დაერთოთ ამ განზრახვის შესრულებაზე, რაზეც დადებითი

პასუხი მივიღეთ. ჩვენც შეუდექით ლაშქრობას დასახული მიზნისკენ. პარტიზანებმა სცადეს ხელი შეემაღათ ჩვენთვის, მაგრამ უშედეგოდ. სულ ორი, სამი ათეული კილომეტრი გვაკლდა მიზნამდე, ბალკანეთის ჯარებმა რომ კაპიტულაცია გამოაცხადა. ჩვენ ვთხოვეთ, დაერთოთ ნება გზის გაგრძელებისა, მაგრამ უარი მივიღეთ. იძულებული გავხდით დაგვეყარა იარაღი. ეს მოხდა 1945 წლის 18 მაისს. ასე დაამთავრა „ბერგმანის“ ბატალიონმა თავისი ოთხწლიანი ძღვევამოსილი არსებობა. არც ერთ ბერგმანელს ფიცისათვის, სამშობლოსათვის არ უღალატია. არც ერთ ბერგმანელს თანამებრძოლი არც დაჭრილი, არც მიცვალებული მტრისთვის არ დაუტოვებია. არც ერთ ბერგმანელს თავი არ შეურცხვენია არც თანამებრძოლების, არც უფროსების წინაშე. ეს იყო განსაცვიფრებელი, გულიანი, მაღალი სულის და მტკიცე ნებისყოფის ვაჟკაცთა ნაკრების საბრძოლო ერთეული, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში ყველა გამართული ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. საბოლოოდ კი მარცხი განიცადა. მეც და ჩემი დღემდე ცოცხალი მეგობრები ვამაყობთ, რომ ოთხი წლის განმავლობაში ამ მაღალი სულის ვაჟკაცებთან გვიხდებოდა ცხოვრება და ბრძოლა. არც ერთ ბერგმანელს არ გამოგყოფ ორგვარი მოსაზრებით: პირველი – დიდი დრო გავიდა და არ მინდა შეცდომა დაუშვა, მათი ხსოვნა არ შევბღალავ, რადგან ყველა ბერგმანელი ნამდვილად ვაჟკაცი მეომარი იყო, მეორე – არ მინდა მათი გვარების ხსენებით მათ ახლობლებს ძველი ჭრილობები განუეხახლო.

VII

ბელგრადის საფილტრაციო-საკონტროლო ბანაკში თავმოყრილი იყვნენ: გერმანელები, იტალიელები, გენერალ ვლასოვის რუსული ნაწილების მეომრები, გენერალი შკუროს კაზაკური კავალერიის ჯარისკაცები, უკრაინელი ბენდეროველები, კალმიკები, ბერგმანელები და სხვადასხვა გერმანულ ნაწილებში მომსახურე ყოფილი საბჭოთა მოქალაქეები: მამაკაცები, მანდილოსნები და, თქვენ წარმოიდგინეთ ბავშვებიც – დონისა და ყუბანის კაზაკების ნაწილმა უკანდახვეის დროს ცოლ-შვილი თან წაიყვანა.

ბანაკს აკონტროლებდნენ რუსული და პარტიზანული სპეცსამსახურის ოფიცრები, დამკვირვებლებად – ინგლის-ამერიკელები. საბჭოთა არმიის დაზვერვისა და სპეცსამსახურის ოფიცრები აქ ზრდილობიანი, კულტურულები იყვნენ იმ ზომამდე, რომ ყოფილ საბჭოთა მოქალაქეების ინტერესებსაც კი იცავდნენ იუგოსლაველთა ხარჯზე. იქ არ გეკითხებოდნენ – გინდა თუ არა საბჭოთა კავშირში დაბრუნება, ძირითადად დაბადების ადგილს და ეროვნებას არკვევდნენ. რაკი საბჭოთა ტერიტორიაზე იყავი დაბადებული, იქ უნდა დაბრუნებულიყავი თუ იუგოსლავიის საგამომძიებო ორგანოებს პრეტენზია არ ქონდათ. ყოველ კვირა თითო სარკინიგზო შემადგენლობა მოემუშურებოდა საბჭოთა კავშირისკენ ბულგარეთ-რუმინეთის გავლით. ერთ ასეთ შემადგენლობას მეც გამომაყოლეს. საკმარისი იყო საბარგო რონოდებში შესვლა, რომ გამოეჩინათ ბრჭყალები საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლებს. თითქმის ყველა გაჩერებაზე ამოდიოდნენ საკომუნდანტო სამსახურის წარმომადგენლები და მიჰქონდათ ყველაფერი, რაც მონონებოდათ, ვინც წინააღმდეგობას უწევდა, ჩაყავდათ და იქვე ზვერტდნენ, თითქოს მათ გაქცევა უნდოდათ. წინა შემადგენლობები სად წავიდნენ არ ვიცი, ჩვენ კი მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვში ჩავედით ორი კვირის შემადრწუნებელი მგზავრობის შემდეგ. რკინიგზის სადგურიდან მიგვიყვანეს კიშინიოვის საფილტრაციო-საგამომძიებლო ბანაკში. ბანაკის ალაყაფის კართან გვიბრძანეს ქუჩაში გავგესადა ევროპული ტანსაცმელი და დაგვეტოვებინა ხელბარგი, ტიტვლები შევსულიყავით ბანაკის ტერიტორიაზე,

სადაც უამრავი წითელი არმიის ფორმის გასისხლიანებული, გაურეცხავი ტანსაცმელი ეყარა. ყოველგვარი ზომის გარეშე გვიყრიდნენ და ჩვენც იძულებული ვიყავი ჩაგვეცვა.

რამდენიმე დღე სხვის ქურქში გახვეულად ვგრძნობდი თავს ვიდრე სათითაოდ ცივ წყალში გავრეცხდით ჩვენს ახალ მორთულობას. კიშინოვის ბანაკში უკვე მთლიანად გამოაჩინეს თავისი ნამდვილი სახე საჭოთა ორგანოების მსახურებმა ბანაკში აუტანელი პირობების შექმნით. არ იყო აბანო, არ იყო ლოგინი, არ იყო საწოლები. თითო ოთახში 100-120 კაცი იწვა მეტლახით დაგებულ იატაკზე. დიდი ნაწილი კი – პირდაპირ ეზოში ღია ცის ქვეშ. საქმელი? ცოცხის თესლის ბალანდა. ხანდახან პური ან კოპტონის ნაჭერი. ღნძღვა-გინებითა და ცემა-ტყეპით. ყოველ დღით რამოდენიმე კაცი ჩამომხრჩვალნი ან სახურავიდან გადმოხტვარი, თავს იკლავდნენ, ვერ უძლებდნენ ამ დამცირებას და სპეციალურად შექმნილ პირობებს.

არც ბანაკის ადმინისტრაცია, არც საყარაულო სამსახური არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ამ ამბავს. არ ცდილობდნენ მოესპოთ თვითმკვლელობა ან შეემცირებინათ იგი.

აქედან უკვე ყოველგვარი სასამართლოს გარეშე მიდიოდა სარკინიგზო შემადგენლობები შუა აზიის ტრამალებსა და ციმბირის ტაიგაში. მე ჯერ მოვხვდი ბაშკირეთის ერთ პატარა სარკინიგზო სადგურ ალკინოს ოფიცერთა საფილტრაციო-საგამომძიებლო ბანაკში. ბანაკი მთლიანად დიდ მიწურებში იყო მოთავსებული. თითო მიწისქვეშა ორმოში 100-150 კაცი ცხოვრობდა. მიწურებს არავითარი სავეტილაციო საშუალება არ ქონდა. აქ უკვე ნამდვილი ძიება წარმოებდა. დღე გვამუშავებდნენ კარტოფილისა და სტაფილის ამოღებაზე, ღამე კი დაკითხვები მიმდინარეობდა. აქვე ადგენდნენ – ნამდვილად გქონდა დამთავრებული სამხედრო სასწავლებელი თუ ფრონტზე მიიღე ოფიცრის ჩინი. ორი თვის წვალეების შემდეგ 1945 წლის ნოემბერში გამოიმცხადეს – მიდინარო თავისუფალ გადასახლებაში, ვადას საბჭოთა კავშირის სასკომ საბჭო დაგიდგენსო. ჩვენი ემელინი ორი კვირა გაყინული საბარგო რონოდებში მგზავრობის შემდეგ მთლიანად კიროვის ოლქის სატყეო მეურნეობაში განაწილდა. მე მოვხვდი დრავსკოი რაიონის სოფელ ბეჩევოს სატყეო მეურნეობაში. რკინიგზის სადგურიდან ტაიგაში სამი დღის ფეხით სიარულის შემდეგ გადასახლების ადგილზე ვიყავი.

VIII

დასახლება ბეჩევო და თვით სატყეო მეურნეობა განლაგებული იყო მდინარე მალომას მოხვევის ადგილას გაკაფული ტყის ხელოვნურ მინდორზე, წარმოადგენდა გათლილი მორებისაგან ნაგებ გრძელ თორმეტ შენობას ორმაგი ფანჯრებითა და კედლებით, რამოდენიმე უფრო პატარა, დამხმარე სამეურნეო და ადმინისტრაციის სახლით. მეურნეობაში დაგვხვდნენ 1941 წელს საბჭოთა იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან შუა აზიაში გასახლებული გერმანული ოჯახებიდან შერჩეული 16 წლიდან 50 წლამდე მანდილოსნები. აქ 3.000 მანდილოსანი მოუყვანიათ 1941 წლის ზამთარში. მიუციათ: ხერხი, ცულო, ნიჩაბი, ჩაქუჩი და ლურსმანი. აშენეთ სახლები და იცხოვრეთო. კაცზე 7 კუბური მეტრი ხე-ტყე დაამზადეთ, რათა დღის ულუფა საქმელი მიიღოთო. ჩვენი ჩასვლის მომენტში 1.200-მდე იყვნენ ცოცხლები, დანარჩენები იქვე ახლოს განისვენებდნენ. თოვლი როგორც კი გადნა, გამოჩნდა სასაფლაოდ გამოყოფილი მინდორი ადამიანის თეთრი ძვლებით მოფენილი, რადგან მთელი რვა თვე გაყინულ მიწას ვერ გათხრი ძალიანაც რომ მოინდომო. იქით გავლას ყოველთვის ვერადებოდით ზაფხულში. ჩვენც ასეთივე პირობებში მოვხვდით. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ საც-

ხოვრებელი უკვე ამუშავებული დაგეგმვა. როგორი სიხარულით შეხედნენ მანდილოსნები ჩვენს ჩასვლას, ეს დიდი ადამიანური ტრაგედია იყო – ხან საცინელი, ხან – სატირელი. ჩვენს ჩამოსვლამდე იქ საკმაოდ ხანში შესული ოთხი მამაკაცი იყო. ერთი მმართველი, ერთი ბულალტერ-მოანგარიში, ორი მეტყვე – ყველა ყოფილი გადასახლებული. ჩემთან ერთად კიდევ სამი ქართველი იყო: ერთი გურული მარგალიტაძე, ორი მეგრელი – ერთი სენაკელი კვარაცხელია, მეორე გალელი (გვარი აღარ მახსოვს), ერთი აზერბაიჯანელი. ჩვენ ხუთნი ერთ ბრიგადაში გავერთიანდით. ქალები უკვე შეჩვეული იყვნენ ხეების მოჭრა-დამუშავებას, ჩვენ პირველი ორი კვირა ძალიან გავვიჭირდა. ყოველი მოსაჭრელი ხე უნდა შემოთოვლო, ბირდაბირით, ხელის ხერხით რომ იმუშაო. ხერხს ორი კაცი უნდა, ერთი – შემომთოვლელი, ერთი ხიდან ტოტების ცულით მომჭრელი და დამწველი. ასე რომ, მთელი დღეს ერთი წუთიც არ გრჩება წელის გასამართავად. საღამოს ისეთი დაღლილები ვიყავით, ჭამის თავიც აღარ გვექონდა. მაგრამ დრო გადიოდა და ჩვენც ვსწავლობდით მარტივ, მაგრამ საჭირო ილეთებს. ორი-სამი თვის შემდეგ ნამდვილი ოსტატები ვიყავით.

შუა ზამთარში ცხენშებმული მარხილებით ჩვენთან ჩამოვიდა რაიონის ხელმძღვანელობა და წინადადება მოგვცა – ვინც ოჯახს შექმნის, ე.ი. აქ დასახლდება, მიეცემა უფასოდ სახლის მასალა, ძროხა და 5 ათასი მანეთი გრძელვადიან სესხად. რამოდენიმე რუსმა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. დანარჩენებს გვითხრეს ხელშეკრულების „ბლანკები“ მმართველთან ინახება და ისევ მოახდენს საქორწინო ჩანაწერსო. ჩვენი ჩასვლიდან 9 თვე არ იყო გასული პირველი ბავშვი რომ დაიბადა, ერთ წელიწადში კი 60-ზე მეტი. ადმინისტრაცია იძულებული გახდა ბავშვთა ბაგა გაეყენა, რადგან დედებმა სასტიკი უარი განაცხადეს ბავშვების ჩაბარებაზე. რაიონის ადმინისტრაცია და შინაგან საქმეთა რწმუნებული ყველანაირად ეცადენ ბავშვების წაყვანას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. არც ერთმა ჩვენი ბრიგადის წევრმა არ ინდომა დაოჯახება, ამიტომ „ბერევის ბრიგადას“ გვეძახდნენ. გაზაფხული აქ მაისში დადგა. მდინარეზე ყინული კი მაისის შუა რიცხვებში გატყდა. გაზაფხული მართლა ლამაზია ტაიგაში. ათას გვარი ფრინველი მოფრინდა, მდინარე როგორც კი ჩადა კალაპოტში, დაინმინდა, უამრავი თევზი წამოვიდა ქვირითის დასაყრელად, რომელთა დაჭერა ხელითაც შეიძლებოდა. ქალებმა გვასწავლეს, როგორ უნდა შეგვებოლა დაჭერილი თევზი ზამთრისათვის რაც შეიძლება ბევრი. ქვირითის დასამზადებლად არც ქილები გვექონდა არც სახურავები. შებოლილი თევზი კი ბევრი დაამზადა ჩვენმა ბრიგადამ. რადგან ცურვა ხუთივემ ვიცოდით, ისეთ ადგილებს ვარჩევდით, სადაც სხეები ვერ უდგებოდნენ. ამასობაში ნამდვილი ზაფხული დადგა. ახლა უამრავი სოკო გაჩნდა ტყეში. სოკო დავამწნილეთ, გავაშრეთ. ესეც ქალებმა გვასწავლეს. ჭამით კი მარტო შაფურზე შემწვარ სოკოს მივირთმევდით. ზაფხულის ბოლოს უამრავი კენკრა დამწიფდა. ქართულად მარტო მაცყალი ვიცი, დანარჩენი კი რუსული დასახელებებით გავიცანი. მათი სახელები ქართულად დღესაც არ ვიცი. ასე შრომამი გავიდა პირველი წელი. თოვლი პირველ სექტემბერს მოვიდა. მაისამდე მიწას ვეღარ ვნახავდით. ისევ დაიწყო მძიმე შრომა: თოვლში ძნელია ხე-ტყის დამზადება. ზამთარში მუშაობ 40⁰ ყინვამდე. ასეთი დღეები კი იშვიათია. რა განსხვავებაა 40-35-30⁰ შორის? თითქმის არაფერი. ცხვირი და ყურები ყოველთვის გეყინება, ცივი ჰაერს კი კუჭამდე გრძნობ, თან ყოველ წუთს ერთმანეთს უნდა უყურო – ლოყა, ცხვირი ან ყური არ მოგვეყინოს.

1947 წლის თებერვლის დასაწყისში მოვიდა მინისტრთა საბჭოს დადგენილება კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეთა განთავისუფლების შესახებ. რამოდენიმე დღეში მოგვიზადეს საბუთები, გამოვემშვიდობეთ ყველას ჩვენი ბრიგადის წევრები და სამი

დღის ფეხით სიარულის შემდეგ მივედი ისევ იმ რკინიგზის სადგურზე. ერთი დღე იქ დავყოვნდი მატარებლის მოლოდინში, რომელიც მიდიოდა მხოლოდ ქ. გორკამდე. გორკიდან მოსკოვში, მოსკოვიდან თბილისში. 1947 წლის 7 მარტს როგორც იქნა მოვალნიე მშობლიურ სახლს.

IX

1 ნელი და 6 დღე დავყავი სახლში. ამ ხნის განმავლობაში მე, ჩემი ოჯახის წევრები მუდამ ვგრძნობდით, რომ ყურადღების ობიექტი ვიყავით, 1948 წლის 13 მარტს დამაპატიმრეს სამსახურში. მიზეზი – იარაღის შენახვა, ეს ხალხის თვალში დასამცირებლად. ასე აღმოვჩნდი უშიშროების სამსახურის შიდა ციხეში. კავშირგაბმულობის სასახლის უკან. ორი კვირა თუ მეტის განმავლობაში არავის შევუწუხებია, ვიყავი ერთ პატარა საკანში ჩემს ფიქრებთან ერთად. დღეში ორჯერ გაიღებოდა საკნის კარი და ზედამხედველი პურის ნაჭერსა და რაღაც წვენს შემოდგამდა. დღისა და ღამის შუალედს ვიგებდი მხოლოდ გასროლისა და პატიმართა განწირული ხმებით, რომლებიც ხუთი-ექვსი საათის განმავლობაში დროდა დრო ისმოდა, რაც ძალზე ცუდად მოქმედებდა ყველა მარტო ჩაკეტილ პატიმარზე. „შიდა ციხე“, როგორც მას უწოდებდნენ, მიწის ქვეშ იყო განლაგებული, მიწის ზევით კი – ადმინისტრაცია და საგამომძიებლო. პატიმართა გადაადგილება შიგნით ხდებოდა ზედამხედველის „ჩუს“ ძახილით. ზედამხედველები „ჩუს“ წარმოთქმით ერთმანეთს აფრთხილებდნენ, რომ პატიმრები გადაადგილების დროს ერთმანეთს არ შეხვდნენ. თუ მაინც ერთ გზაზე არიან, მაშინ ერთი პატიმარი სასწრაფოდ იკეტება კარადაში, რომლებიც პატიმართა გადაადგილების გზებზე იყო ჩამორიგებული. კარადა წარმოადგენს ერთი კაცისათვის მჭიდროდ გაკეთებულ ხის ყუთს, რომელსაც მაღლა რამოდენიმე წერილი ნახვრეტი აქვს. სულ რამოდენიმე წუთში გრძობდი ჟანგბადის უკმარისობას. თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ კარგავდი გრძობას. ეს ერთ-ერთი საშუალება იყო „პატიმართა დასამუშავებლად“ – როგორც თვითონ ეძახდნენ. საკანში მუდმივად ენთო დიდი ზომის ნათურა, რაც პატარა საკანს გაუძლის შექს ფენდა. ესეც თავისებური ზემოქმედება იყო, რადგან ორი-სამი კვირის შემდეგ თვალების ტკივილი გაწყებოდა. პატიმრის გამოძახება მხოლოდ ღამე წარმოებდა, დღე კი დანოლის ნება არ გვქონდა. იყავი ასე ნახევრად გაბრუებული. მარტო ზემოთჩამოთვლილი ქმედების გაძლებას ნებისყოფა და ძლიერი ხასიათი სჭირდებოდა, რომ ტყუილისათვის არ მოგენერა ხელი. ორი კვირა თუ მეტი იყო გასული გამომძიებელთან რომ გამომიძახეს. გზად „ჩუს“ ძახილი მიგვაცილებდა. მაღლა კიბეებით ავედით. ძალზე გამიჭირდა ორი კვირა უძრაობის შემდეგ. პირველ დაკითხვაზე მაგიდას ძლივს მიუფჯექი, რადგან საკამი ზომაზე მეტად არის შედგმული და ორივე – მაგიდაც და საკამიც მიღურსმულია იატაკზე, რათა საპასუხო დარტყმა ვერ მიაცენოს გამომძიებელს, სამელნე დაწებებული, კალმის ტარი – დაბმული, ყველაფერი გაანგარიშებულია.

პირველი დაკითხვა დაიწყო ჩემი ავტობიოგრაფიით, ჩემი ოჯახის წევრების ჩამომავლობის გარკვევით. არაფერი დამიმალავს, რადგან ყველაფერი ისედაც ნათელი იყო. გამომძიებელს აინტერესებდა, რა კავშირი ქონდა დედის მხრიდან ჩემს პაპას მუხრანელ ბატონებთან (ჩემი პაპა ბაგრატიონ-მუხრანელების მზარეული იყო და ვიდრე გარდაიცვლებოდა მუხრანთ ბატონების მამულში დაარსებულ კვლევით ინსტიტუტის მეურნეობის სამზარეულოში მუშაობდა. თუმცა ბევრი რამ გადახდა მას საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ). მე რაც ვიცოდი, რის მომსწრეც ვიყავი, ყველაფერი გამახსენეს. მათ აინტერესებდათ ჩემი ბიძაც დედის მხრიდან. ისიც 1936 წელს

დაიჭირეს. ერთ-ერთი პირველი ენერგეტიკოსი, ელექტრო ინჟინერი იყო. დაჭერამდე მუშაობდა რიონჰეს-ტყეობულის მაღალი ძაბვის ხაზის გაყვანაზე. არც იქ დამიმალავს რამე. მერე დამისვეს კითხვა: შეგხვდი თუ არა რომელიმე ბაგრატიონს საზღვარგარეთ. არც აქ ქონდა აზრი დამალვას, რადგან ფიცის მიღების დროს, 1942 წლის 26 მაისს როცა „ბერგმანის“ ბატალიონმა მიიღო იგი სამშობლოსა და ვერმახტის სამსახურზე, ესწრებოდა დავით ბაგრატიონი და სხვა ქართველი პოლიტიმიგრანტები. კიდევ ერთი კითხვა, რა დავალება მიიღე „თეთრი გიორგისა“ და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების სადაზვერვო ორგანიზაციებიდან. აქედან დაიწყო ჩვენი შეხლა-შემოხლა, გაუთავებელი დაკითხვები ცემა-ტყეების აკომპანიმენტით გაგრძელდა ხუთ თვეს. ამ ხნის განმავლობაში დავკარგე რამოდენიმე კბილი. თავისას რომ ვერ მიაღწიეს, დამაყენეს სპეციალურ კედელთან, სადაც არც მუხლის მოხვრა შეიძლებოდა და არც წელის. ორივეს სქელი, უხეში ქაშრები იჭერდა. რამდენ ხანს ვიდექი არ მახსოვს. გონზე რომ მოვედი, ჩემს საკანში ვიყავი. ფეხები საშინლად მქონდა დასიებული, ადგილ-ადგილ – დამსკდარი, საიდანაც სისხლნარევი წყალი მდიოდა. ამ ხნის განმავლობაში გამოძიებული შეუცვლიათ, მაიორ ცერცვაძის ნაცვლად უფროსი ლეიტენანტი კარანაძე დამხვდა. კარანაძე უფრო ადმიანური იყო. მეუბნებოდა – სულ ერთია, აქედან მიუსჯელი ვერ გახვალ, თავს ტყუილად ინვალებო. მე ვპასუხობდი, რაც არ გამიკეთებია, იმას ვერ დავიბრალე. შიდა ციხის ჯვალათები იყვნენ ლეიტენენტები: მილილოვი და კარგანოვი. ციხის უფროსად კაპიტანი კნიაზევი. ეს უცხოელები სიამოვნებით სჯიდნენ ფიზიკური ტვივილების სხვადასხვა საშუალებებით ქართველების განკარგულებით ქართველებს. ხშირად კი – მეტის-მეტე მონდომებით. უკიდურესობამდე ვიყავი მისული, ცოტაც და ალბათ დავიბრალედი ყველაფერს, ოღონდ აქედან გამეღწია, მაგრამ ღმერთმა მისხნა ამ დამცირებისგან. მომეშვენ, „ბერგმანით“ დაკმაყოფილდნენ. ერთ დღეს მოვიდა ზედამხედველი, მითხრა ჩქარა მოემზადეო. წამიყვანეს ათარბეგოვის ქუჩაზე უმაღლესი სასამართლოს შენობაში. ამიერკავკასიის ტრიბუნალიც იქ ყოფილა მოთავსებული. ერთ პატარა დარბაზში შედგა ჩემი სასამართლო, რომელიც ნახევარი საათი გრძელდებოდა, რა თქმა უნდა, დახურული. ტრიბუნალის თავმჯდომარე იყო პოდპოლკოვნიკი ბერძენიშვილი, შემდგომში რესპუბლიკის პროკურორი,² ორი მაიორი – მსაჯული, ერთი – ვითომ დამცველი გვილავა, მდივანი და ორი ბადრაგი. მომიყენეს 58¹¹ ბ მუხლი „სამშობლოს ლაღატი“. მომისაჯეს 25 წლით პატიმრობა, 5 წლით ხმის ჩამორთმევა, ქონების კონფისკაცია. ბერძენიშვილი შემეკითხა: „გრძნობ თუ არა თავს დამნაშავედ“. მე ვუპასუხე: „სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა ყველა ქვეყნის პატრიოტის ვალია, თავს დამნაშავედ არა ვგრძნობ“. ბერძენიშვილი განაჩენს რომ კითხულობდა – გამეცინა. გაკვირვებულმა შემომხედა და მკითხა: „რა გაცინებსო“. მე ვუპასუხე: „მოლასა და ვირის ამბავი გამახსენდა – იმაზე მეცინება. 25 წლის განმავლობაში ან თქვენ არ იქნებით ან მე მეთქი“. ერთი გაბრაზებით გადმოხედა. ბადრაგს ანიშნა გაიყვანეთო. მეორე დღესვე გადამიყვანეს ორთაჭალის მისჯილთა ციხეში. პოლიტპატიმართა საკანში ძირითადად ლეგიონერები დამხვდნენ შლვა მალაქელის სხვადასხვა ბატალიონებიდან. რამოდენიმე პატიმარი უნივერსიტეტის ჯგუფიდან იყო. საკანში მხოლოდ ერთი ბერგმანელი რუსიძე დამხვდა. საკანში, სადაც 72 პოლიტპატიმარი იყო მოთავსებული თბილი, მეგობრული ატმოსფერო იყო. ვმსჯელობდით ჩვენს წარსულზე, მის აკარგაინობაზე, გამოძვევ მიზეზებზე და, რალა თქმა უნდა – მომავალზე. ლეგიონერებიდან იყვნენ ე.წ.

2 იგულისხმება პავლე ბერძენიშვილი – საქართველოს სსრ პროკურორი 1961-1970 წწ. (რედ. შენიშვნა).

„იტალიელი“, „ფრანგი პარტიზანები“, რომლებიც პარტიზანთა რიგებში ჩადგნენ იმ მომენტიდან, როცა სასწორმა ძალთა თანაფარდობსა ანტიჰიტლერულ კოალიციისაკენ გადაძალა. როცა მოკავშირეებმა იტალიაში და საფრანგეთში დესანტი გადასხეს.. განა რამდენჯერ შეიძლება შეიცვალოს კაცმა პოლიტიკური მრწამსი და საკუთარი მე? რამდენი ქართველი დაიღუპა ტყუილ-უბრალოდ ომის დამთავრების წინა დღეებში იტალიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობათა რიგებში. ადგილობრივი მეთაურები ყველაზე ძნელ დავალებებს ქართველებს აძლევდნენ, რადგან მიხვდნენ ქართველების ხასიათს თავის გამოჩენისას, წინამებრძოლობისას, რაც ძალზე კარგად გამოიყენეს ორივე ქვეყანაში. ავიღოთ თნდაც კუნძულ ტექსელის ქართული გარნიზონის, კერძოდ, მე-5 ბატალიონის აჯანყება 1945 წლის 17 აპრილს, რომელიც მოსკოვის მითითებით „დედა ტერეზამ“ ლოლაძისა და არტემიძის დახმარებით განახორციელა. დედა ტერეზა მოსკოვის ფასიანი აგენტი იყო, ლოლაძე ომამდე ხაშურის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე იყო, არტემიძე – თეთრი წყაროს რაიკომის ინსტრუქტორი. დედა ტერეზას ოქრო აინტერესებდა, ლოლაძეს და არტემიძეს – რეაბილიტირება კომუნისტების წინაშე. სამივემ მიატოვა გაჭირვებაში ჩავარდნილი მოძმენი, სამივე ცოცხლები დარჩნენ (სინამდვილეში, ლოლაძე დაიღუპა, – რ. დ.), 526 ქართველი ვაჟკაცი კი ტექსელის შორეულ მიწაში განისვენებს. მათი უმრავლესობა უცოლშვილო იყო, ალბათ მომგონიც აღარა ჰყავთ. რაც შეეხება იმას, თითქოს იტალიაში, საფრანგეთში და კუნძულ ტექსელზე ქართველი ტყვეები იყვნენ – ეს სიმაართეს არ შეეფერება, „საქართველოს გამანათავისუფლებელი კომიტეტის“ (უნდა იყოს 1943 წლის ნოემბერში შექმნილი „ქართული შტაბი“, – რ. დ.) აღრიცხვაზე 22 ათასამდე შეიარაღებული მეომარი ირიცხებოდა, აქედან დიდი უმრავლესობა გაერთიანებული იყო სხვადასხვა ბატალიონებში, ცალკეულ ნაწილებში. ისინი ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ იმ დროის მიხედვით. საფრანგეთში ე.წ. „ატლანტიკურ ვალს“ იცავდნენ, ტექსელზე – კუნძულს დესანტისაგან.

ასე გადიოდა დრო. ორი თვე მომინა ყოფნამ მისჯილთა ციხეში. ციხიდან დახურული ავტომანქანით „ჩორნი ვორონი“ ქალაქ რუსთავის პატიმართა შრომა-გასწორების ბანაკში ჩამიყვანეს სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად. ამ დიდ ბანაკში პოლიტპატიმრები ცალკე „ბარაკში“ ცხოვრობდნენ. ჩვენ ჩასვლამდე რამოდენიმე კვირით ადრე აქ მომხდარა შეტაკება ქურდებსა და პოლიტპატიმრებს შორის, რომლის მიზეზი ყოფილა პატიმართა ამანათები. აღსანიშნავია, რომ მაშინ პატიმართა ოთხი ძირითადი ჯგუფი არსებობდა: პოლიტპატიმრები სხვადასხვა მუხლებით. 2. გამფლანგველები და სამოქალაქო მუხლით გასამართლებულნი. 3. დამწყები ქურდები, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ ქურდების კასტასთან დაახლოებას, ასრულებდნენ მათ ყოველგვარ დავალებას, ამიტომ მათ „მუსტიორკები“ ერქვათ. 4. „პრავიანი“ ქურდების კასტა, რომლებსაც კომუნისტები პატივს სცემდნენ ცხოვრებაში, ციხეშიც და ბანაკებშიც. ქურდები ბანაკში თუ ციხეში შემოსული ყველა ამანათიდან ნიღს „ვიდელკას“ თხოულობდნენ და იღებდნენ. როცა ციხეებში და ბანაკებში პოლიტპატიმართა ახალი ნაკადი, მეომარნი შემოვიდნენ, ქურდებმა დათმეს მათ წინაშე პოზიციები. მათ ამანათებზე ხელი აიღეს, სამაგიეროდ ორმაგი ძალით დაანგნენ ყველა დანარჩენ პატიმრებს. მათ მფარველობა მეომარ პოლიტპატიმრებს სთხოვეს, რომლებმაც შეინყნარეს თხოვნა და ამანათის მიღების დღეებში მორიგეობა დაანესეს. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმ ერთდღიანი ომისა, რომელიც რუსთავის გაერთიანებულ ბანაკში მოხდა და მეომართა სრული გამარჯვებით დამთავრდა. ამან დააჩქარა პოლიტპატიმართა ბანაკის ცალკე გამოყოფა, რათა ქურდებს ხელი არ შეშლოდათ თავიანთ ბინძურ საქმიანობაში. ჩვენც, ახალჩამოსულებმა მივიღეთ მონაწილეობა მის აშენებაში. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია პოლიტპატიმართა

კონტიგენტის გაზრდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს მაშინდელი მეტალურგმენის მმართველის – გიორგაძის დახმარება პოლიტპატიმართა მიმართ, რათა ისინი ტაგაში კი არა რუსთავში გამოეგზავნათ სამუშაოთ. ამასაც თავისი მიზეზი ქონდა. პოლიტპატიმრები ფიქრობდნენ, მართალია, კომუნისტურ საზოგადოებას უშენებდნენ, მაგრამ ეს მაინც საქართველოა და ყველაფერი სამშობლოში რჩება, ამიტომ კეთილსინდისიერად აკეთებდნენ. ძველი რუსთავი ხილს გაღმა მთლიანად პოლიტპატიმრების აშენებულია. მე ჩავირიცხე მექანიკურ ბრიგადაში. ჩვენს მოვალეობას შეადგენდა ამნე-კრანებზე მუშაობა – მათი დაშლა-ანყობა, რემონტი და ყველაფერი ის, რაც მრავალსართულიანი სახლის მშენებლობას ლითონის სჭირდება.

რუსთავის პოლიტპატიმართა ბანაკში თავი მოიყარეს მეორე მსოფლიო ომში მებრძოლმა მეომრებმა. აქა-იქ სხვა ეროვნებებისაც ერია. აქვე იყვნენ უმნიშვნელო პოლიტიკური ანეგდოტების მთქმელნი, ანდა უცხო ქვეყნებში დამზადებული მანქანებისა და ნივთების მაქებარნი, ბანაკში პატიმართა რიცხვი მერყეობდა 1500-1800. დროდადრო ბანაკი ციმბირის ტაიგასა და შუა აზიის ტრამალებს ამარაგებდა მუშახელით. მაშინ არავინ იცოდა თუ სტალინის სიკვდილის შემდეგ კომუნისტური იმპერიის ცხოვრებაში მოხდებოდა ცვლილებები და სტალინის პიროვნების კულტი საჯარო სჯვა-ბაასის საგანი გახდებოდა, თვით ბანაკის ცხოვრება კი – საგრძნობლად გაიოლდებოდა. ამ დროს მე კულტ-ალმზრდელიობითი განყოფილების უფროსთან ვმუშაობდი პატიმართა მხრიდან. მებარა კლუბი და ბიბლიოთეკა. ვაგროვებდით ფულს კინოსა და მსხობების მოსანვევად. ამ დროს უკვე ვლებულობდით ჩვენი გამომუშავების 10 თუ 15 პროცენტს. ასე მიმდინარეობდა თვეები, წლები. ბანაკში სიწყნარე სუფევდა. არ იყო ჩხუბი, არ იყო ქურდობა, გვექონდა დაკარგული ნივთების მაგიდა, სადაც ინახებოდა დაკარგული ნივთი თუ სხვა რამ. შინაურულად, ადმინისტრაციისგან ჩუმად, გვექონდა დამხმარე სალარო. ძირითადად ნამლებს ვყიდულობდით. გვეყავდა პატიმარი ექიმები, რომლებიც უანგაროდ ეხმარებოდნენ ყველა პატიმარს. ნივთებითა და ფულით ვეხმარებოდით იმ პატიმრებს, ვისაც შორეულში აგზავნიდნენ თუ ამ დროს ბანაკის ტერიტორიაზე ვიყავით. ჩვენი ბანაკი იყო ერთი დიდი საძმო მამაკაცებისაგან შემდგარი, თბილი, პატივისცემითა და სიყვარულით გამსჭვალული. მე არ ვყვეები იმ ზემოქმედებაზე, რასაც ადმინისტრაცია ახორციელებდა პატიმრებზე – ეს საყოველთაოდ ცნობილია, მის გემორებას აზრი არ აქვს.

ასე წვალებითა და მოთმინებით მივალწიეთ 1955 წლის შემოდგომას. ამ დროს მოსკოვში სტუმრობდა ფედერალური გერმანიის ომის შემდგომ პირველი კანცლერი ადენაუერი, რომელიც მოლაპარაკებას ანარმოებდა საბჭოთა იმპერიის მთავრობასთან გერმანელი სამხედრო ტყვეების დაბრუნებაზე. რადგან 10 წელი გავიდა ომის დამთავრებიდან, საბჭოთა მთავრობამ ხრუშჩოვის მეთაურობით დადებითი პასუხი მიაგო. გერმანელი ტყვეები გაანთავისუფლეს, მერე თვითონაც დაფიქრდნენ, მით უმეტეს, რომ სტალინის კრიტიკა მოდად იქცა – ჩვენც ხომ სტალინის მთავრობამ დაგვაპატიმრა. 1955 წლის 14 სექტემბერს იმპერიამ ამნისტია გამოაცხადა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მოქალაქეებზე. ასე აღმოვიჩინეთ სახლში მე და ჩემი თანამებრძოლი ბერგმანელები. ვინც ყველა ზემოთჩამოთვლილი სიძნელე გადალახა, თვითულ ჩვენგანს ცხოვრება ხელახლა – ნულიდან უნდა დაეწყო, რაც საკმაოდ ძნელი იყო. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, ჩემი თაოსნობით, 1974 წელს გავბედეთ თავმოყრა მუხრანის ხიდის ყურეში პატარა მოედანთან, სადაც რუსთავიდან ჩამოსული ტაქსები ჩერდებოდა. ეს ადგილი იმიტომ შევარჩიეთ, რომ რუსთავში მცხოვრებ მეგობრებს ადვილად შეელებოდათ წასვლა-წამოსვლა. თავშეყრის დღედ 9 მაისი ავირჩიეთ ჩვენთვის ყურადღება რომ არ მოექციათ.

პირველად 47-მა მოციქარეთ თავი – ბერგმანელთა უმრავლესობა ციმბირის ტაიგაში და შუა აზიის შახტებში, ტრამალებში დაილუპა. 1989 წლიდან 26 მაისს ვიკრიბებით. 1994 წლის 26 მაისს 5-ნი ვიყავით. ფიცით, სანამ ერთი კაციც იქნება, ბარათაშვილზე, კონკასთან უნდა მივიდეს, გაიხსენოს მეგობრები.

X

მ. ნემიროვა, ე. კალანდაძის მოთხრობაში „ვერმანტის საიდუმლო საქმე“ ტენდენციურად, არასწორად არის აღწერილი ბატალიონ „ბერგმანის“ დანიშნულება და იმ პატარა კომუნისტური ჯგუფის საქმიანობა, რომელიც ცოტა ხანს არსებობდა ბატალიონ „ბერგმანის“ რიგებში. ქრისტანული წესით წასულებზე ცუდის ლაპარაკი მკრეხელობად ითვლება, მაგრამ ეს ჩვენი სამშობლოს შვილების ერთ პატარა მომენტს ეხება მეორე მსოფლიო ომში, დღეს კი – ისტორიად ქცეული ამბავია. ამოტომ სიმართლე უნდა ითქვას და ღმერთი მასპატიებს ამას.

1941 წლის ოქტომბერში წითელი ჯარის კაპიტანი სიმონ ნიკლაური დაინიშნა ბატალიონ „ბერგმანის“ უფროსად ძველი ჩინის შენარჩუნებით. თავისი მონაცემით – გაიზარდა უპატრონო ბავშვთა სახლში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა სამხედრო სასწავლებელში ამიერკავკასიის ქვეითთა სკოლაში ზ.პ.შ. რომელიც თბილისში იყო განლაგებული. ორი წლის სწავლის შემდგომ ლეიტენანტის ჩინით მსახურობდა წითელი ჯარის სხვადასხვა ნაწილებში. ომის წინ უფროსი ლეიტენანტი იყო.

კაპიტანი ნიკლაური რთულ პირობებში მოხვდა იმ მომენტიდან, როცა დათანხმდა ეთანამშრომლა გერმანული არმიის ქართულ ბატალიონში. მან ვერ გაითვალისწინა ან ვერ განსაზღვრა ის უმთავრესი მომენტი, რომ „ბერგმანის“ ბატალიონი მოხალისეებით, როგორც ემიგრანტებით, ისე ყოფილი საბჭოთა მებრძოლებით იყო დაკომპლექტებული. მათი მიზანი კი სამშობლოს განთავისუფლება გახლდათ კომუნისტური, რუსული უღლიდან, რომელმაც უარყო, მოლაღატებდად გამოაცხადა ისინი. მეორე მხრივ, უნდა ეთანამშრომლა გერმანელებთან, მოუპოვებინა არა მარტო მათი ნდობა, არამედ თანამებრძოლების პატივისცემა და სიყვარული, ამავე დროს უნდა დარჩენილიყო კომუნისტური იდეოლოგიის მსახური, რაც იმ პირობებში მის ძალებს ალემატებოდა. ნიკლაურს საამისოდ არც ცოდნა ქონდა, არც კონსპირატიული მუშაობის გამოცდილება და არც დიპლომატია ყოფნიდა, რადგან ბუნებით ძალზე მძიმე, უხეში ხასიათის კაცი იყო. რაც შეეხება პოლიტხელ ტაბიქს – ის ტიპური წითელი ჯარის ლენინის ოთახის წარმომადგენელი გახლდათ. ნაუკითხავადა გაზეთ „პრავდის“ მონიავე წერილს ნახევრად მძინარე, დაღლილ წითელარმიელებს, უჩიჩინებდა, რომ ყველა კაპიტალისტი სისხლისმსმელი წურბელაა და მშრომელი ხალხის სისხლსა ნოვს. მისი გამოსვლები იმდენად თავშეუკავებელი იყო, რომ ჯგუფის ჩავერდნამდე რამოდენიმე კვირით ადრე ტყვეთა ბანაკში დააბრუნეს. კომუნისტური ჯგუფის წევრებმა ეს მომენტიც კი ვერ გაითვალისწინეს. მესამე – უმცროსი ლეიტენანტი ცუცქიბიძე, რომელიც ფგუფის მუშაობის დღიურს წერდა, უბრალოდ, პარტიის მანდატზე შეყვარებული კაცი იყო, კოლმეურნეობაში რალაც თანამდებობა ქონდა და მას მისტიროდა. არც ერთ მათგანს არ ქონდა იმ ძალის ნიჭი, იმ სიმაღლის ავტორიტეტი, რომ გარშემო მყოფნი დაერაზმა და საკუთარი იდეებით დაემუხტა ან თუნდაც გაეზიარებინათ. ეს სამი კაცი იყო თავი იმ კომუნისტური ჯგუფისა, რომელმაც „ბერგმანში“ ცოტა ხანს იარსება და 14 ქართველი მებრძოლის სიცოცხლე შეინირა სრულიად უაზროდ. რაც შეეხება მათ დაბეზლებას, ნემიროვა-კალანდაძის

მოთხრობის მიხედვით, გივი გაბლიანს უყენებს ბრალდებას. გივი სულ ახალი მოსული იყო „ბერგმანში“ და არ შეეძლო ასე ჩქარა გარკვეულიყო სიტუაციებში. რაც შეეხება მიზანს დაბეზღებისას, თითქოს გივის და დოქტორ დიურის შორის მოხდა გარიგება – თუ გივი აღმოაჩენდა ნიკლაურის მაკომპრომიტიბელ რაიმე საბუთს, „ბერგმანის“ მეთაურება გივის დარჩებოდა. არც ეს არის მართალი. გივი არც მანამდე და არც ჯგუფის ჩავარდნის მერე „ბერგმანის“ უფროსად არ ყოფილა. გივი ვიდრე „ქართულ კომიტეტში“ (უნდა იყოს „ქართულ შტაბში“, – რ. დ.) გადავიდოდა სამუშაოდ, ყოველთვის დაზვერვის უფროსი იყო. ჯგუფის ჩავარდნის მიზეზი მრავალი რამ შეიძლება ყოფილიყო, მათ შორის თვითონ ნიკლაური, რომელიც გაბრაზების დროს დაუფიქრებლად ლაპარაკობდა, „მე მაგათ „აინ, ცვაინზე“ არ ვივლიო“, „მაგათი დედაცო“ და სხვა ამისთანანი. მას აინყედებოდა, რომ ქართული ენა კარგად იცოდნენ როგორც ქართველმა ემიგრანტებმა, ისე საქართველოში ნაცხოვრებმა გერმანელებმა.

რომანი ნიკლაურსა და ოფიცერთა კანტანის დიასახლისს შორის მთლიანად მოგონილია. განსაკუთრებით რადიო-ინფორმაციის გავრცელება ბერგმანელთა შორის. „ბერგმანის“ არსებობა გასაიდუმლოებული იყო ფრონტზე წასვლამდე, ამიტომ არც არმიის დაზვერვა და არც უშიშროების სამსახური ანტიფაშისტს არ მიაკარებდა „ბერგმანს“. იგივე ითქმის უკრაინელ გოგონაზე. გესტაპო არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა გასაიდუმლოებული ნაწილის ტერიტორიაზე საბჭოთა მოქალაქეს. კიდევ ერთი სიცრუე რაზმადის მკვლელობის შესახებ. რაზმადე იყო თავგადაღებული ყომარბაზი. არავითარი იდეოლოგია არ გააჩნდა და არ შეიძლებოდა მისი რაიმე საიდუმლო საქმეში გამოყენება, რადგან კარტთან ერთად ღვინოც უყვარდა. მოგესხენებათ სიმთვრალის მოყვარულ კაცს საიდუმლო სამსახურს არავინ დაავალბეს. რაზმადე უბრალოდ თავის საქმეს გადაყვა – ან ბევრი მოიგო, ან ბევრი წააგო.

ნემიროვა-კალანდაძის მოთხრობაში თავად „ბერგმანის“ ბატალიონი წარმოდგენილია არა როგორც სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი სამხედრო შენაერთი პატრიოტი ვაჟკაცებით დაკომპლექტებული, არამედ როგორც სადაზვერვო-სადამსჯელო ნაწილი ეს მაშინ, როცა „ბერგმანის“ ბატალიონმა ორ თვეზე მეტი კავკასიის ფრონტზე იბრძოლა და ექვსი თვე ყირიმში პერეკოპის ყელზე. არც ერთგან და არც მეორეგან დროზე ადრე ფეხი არ მოუყვლია. ასე რომ, სახელისა და ზოგიერთი ნახსენები პიროვნებების გარდა, მთლიანად ფანტაზიის ნაყოფია და სიმართლეს არ შეეფერება. რაც შეეხება საბერძნეთს, მაკედონიასა და იუგოსლავიას – სამივე ქვეყანაში „ბერგმანი“ მხოლოდ საყარაულო სამსახურს ასრულებდა. თავს თუ არავინ დაგვესხმოდა, თოფიც არ ვაგვისროლია, ნადირობის გარდა. მხოლოდ ორი შემთხვევა იყო, როცა ბრძოლაში მივიღეთ მონაწილეობა: ერთი ბულგარეთ-იუგოსლავიის საზღვარზე, მეორე – ქ. სარაევოს დასაცავად. არც ერთ სადამსჯელო ოპერაციაში „ბერგმანს“ მონაწილეობა არ მიუღია როგორც ამას ყოფილი უშიშროების მინისტრის მოადგილე პოლკოვნიკი კაციტაძე წერს. ეს რომ ასე იყო, ამას იუგოსლავიაში არსებული ყველა დოკუმენტი დაამტკიცებს. ამის დასტურია ისიც, რომ იუგოსლავიის მთავრობამ არცერთი ბერგმანელის გაცემა არ მოითხოვა, არც არავის მოძალადეობის ბრალდება არ წაუყენა, როცა ამის უამრავი მაგალითები იყო ბელგრადში კაზაკებზე, კალმიკებზე და სხვა ეროვნებების წარმომადგენლებზე. საერთოდ, ქართველი კაცის ბუნებაში არ დევს ბოროტება. ქართველი უფრო მიმტყეველია, ვიდრე დამორგუნველი, მით უმეტეს ისეთი მაღალი სულისა, რაინდული სამხედრო შენაერთი, როგორც „ბერგმანი“ იყო. კაციტაძეს, ნემიროვას, კალანდაძეს უნდოდათ ქართველ ხალხს არ სცოდნოდა თავისი შვილების ბრძოლა-თავდადება, საბრძოლო მოქმედებანი კავკასიის ფრონტზე საქართ-

ველოს გასათავისუფლებლად რუსული კომუნისტური იმპერიის ბრწყყალებიდან. მათ დავალებული ჰქონდათ, რაც შეიძლება შავ ფერებში აენერათ ბატალიონ „ბერგმანის“ არსებობა საქართველოს ხალხისათვის ნარედგინათ ის რუსული კომუნისტური თვალსაწიერიდან. დანახონ ხალხს, დაამცირონ ის, რათა ქართველში ჩაეხშოთ თავისუფლებისათვის გულის კუნჭულში შემონახული პატარა ადგილიც კი.

ათასეულ „ბერგმანის“ მებრძოლებისა და ოფიცრების გვარებს, ვინც ამდენი ტანჯვისა და დამცირების შემდეგ მესხიერებას შემორჩა ქვემოთ ჩამოვთვლი, ვისაც ვერ გავიხსენებ, ცოცხლებმა მაპატიონ, მიცვალებულებმა მომიტყეონ, შემინდონ.

ოფიცრები: გივი გაბლიანი, შალვა ოქროპირიძე, ირაკლი ალიმბარაშვილი, შოთა მარგველაშვილი.

უნტერ-ოფიცრები: დათიკო ფირცხალაიშვილი, გიორგი ჩოხელი, ალიოშა სოფრომაძე, პავლე გენაძე, შალვა ჩანავა, გრიშა ყიფიანი.

მებრძოლები: ალექსანდრე მუშლაძე, გაბრიელ გოგიშვილი, ფოკა ურიდია, გრიგოლ გოქაძე, ლადო ირემაშვილი, მიტო კუხიანიძე, ლადო მოლაშვილი, მიხეილ კალატოზიშვილი, მიშკო გოგიაშვილი, არჩილ საბეიშვილი, ტარიელ ქუთათელაძე, ყარამან და კოსტა ლუდუშაურები, პავლე ლომიძე, ლადო დუდაშვილი, გიორგი კოსტაშვილი, ზაქრო ნკრიალაშვილი, კოლა გაბარაშვილი, ბორის ქურხული, დათიკო სახუტაშვილი, პავლე დეკანოსიძე, გლახო ფანიაშვილი, კუკური ავალიანი, ლევან ნანიტაშვილი, შოთა ნოდია, ალიოშა ფირცხალავა, აკაკი მუხამავრია, გიორგი უდომიშვილი, იაშა დორეული, თათარა დორეული, გაიოზ ყანდაველი, დათიკო ჩხიკვაძე, შალვა ჯიქურაშვილი, ბიჭიკო ახვლედიანი, შოთა ლემანია, შალვა ალიბეგაშვილი, კოლია დულარიძე, კოლია ლაბაძე, კონო ბალამწარიშვილი, შაქრო ინანიშვილი, ილო სულაძე, ილიკო სულაბერიძე.

მარტო გვარები: ლოლობერიძე, ორი აბრამიშვილი – ბიძაშვილები იყვნენ, ჩვენი მზარეული სხირტლაძე.

სახელები არ მახსოვს: თვაური, შაყულაშვილი, მალრაძე.

ბრძოლებში დაიღუპნენ: დათიკო ფირცხალაიშვილი, მიშკო ოქროპირიძე, გიორგი ბიძინაშვილი, პავლე გენაძე, კოლია ქევზიშვილი.

ალექსანდრე სულხანიშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან

ალექსანდრე სულხანიშვილის არქივში შემონახულია არაერთი წერილი, რომელთაც დროდადრო გთავაზობთ ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“ ფურცლებზე. ამჟამად ვაქვეყნებთ ორ წერილს აკაკი რამიშვილისა და ალექსანდრე სულხანიშვილის მიმონერიდან.

1981 წელს სანფრანცისკოში გამოვიდა ალექსანდრე სულხანიშვილის წიგნი „ჩემი მოგონებები“, რომელიც სხვადასხვა ქალაქებში დაეგზავნა ყველა ქართულ ორგანიზაციას, ცალკეულ პირებსა და ქართულ სათვისტომოებს.

ქართული ემიგრაციისათვის ამ მნიშვნელოვან მოვლენას ერთ-ერთი პირველი გამოცხმაურა ნოე რამიშვილის ვაჟი, აკაკი რამიშვილი, რომელიც 1981 წლის 3 დეკემბერის წერილში ალექსანდრე სულხანიშვილს ლონდონიდან სწერდა: „მისურს უპირველესად მადლობა გადაგიხადოთ, რომ თქვენი „მოგონებანი“-თ ასე გვარიანად შეასრულეთ თქვენი დავალება და ძვირფასი ქაქუცას¹ სსოვნა ასე ასახელეთ თქვენი აღწერით 1922-1924 წლის ამბოხებებისა. თქვენი ნეუტრალური² მიდგომა, თქვენი უპრეტენზიო ტონი და თქვენი თვალთ ნანახი ეპიზოდების აღწერა დამაჯერებელი დარჩება მომავალი ისტორიკოსებისთვის, რომელნიც შეეცდებიან აღადგინონ მთლიანი სინამდვილე ამ ეპოქაზე მომავალ საუკუნეებში“...

იქვე, თავის განზრახვასაც უმხელდა: „მეც მაქვს მიღებული დავალება, რომელიც უნდა ავასრულო ჩემს სიკვდილამდის. დედა ჩემმა³ სიტყვა ჩამომართვა, როცა კვდებოდა, რომ დავწერდი⁴ მამა ჩემზე – მის ეროვნულ მოღვაწეობაზე, მასზე სინამდვილის აღსადგენად... ნოე რამიშვილს ზოგიერთებმა როგორ აუფუფუშეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაწყებული და გეგმის მიხედვით აგებული საქმე, რა ტყუილები არ დააბრალებს, და დაბოლოს, ჩაუფუფუშეს საქმე და დაღუპეს საქართველოს დამოუკიდებლობა და თვით ქართველი ერი. ნოე რამიშვილის მიდგომაზე და მის მიღწევებზე სინამდვილე დამალეს. მას არასოდეს ასეთ უსამართლობაზე პასუხი არ გაუცია თავის დასაცავად. მასზე სინამდვილე დღემდის არ დანერვილა...“

ალექსანდრე სულხანიშვილმა ავადმოფობისა და მძიმე ოჯახური პირობების გამო, მხოლოდ 1983 წლის იანვარში შეძლო აკაკი რამიშვილისათვის ვრცელი ბარათის გაგზავნა. აი, რას სწერდა პასუხად:

„ბარაქალა თქვენ ქართველობას, რომ ასე ზრუნავთ მომავლისათვის და ჩემი მოგონება გინდათ შეიტანოთ ინგლისის რამდენიმე დაწესებულებაში, რომ მართლა არ დაიკარგოს და ქართველ მკვლევარს ჰქონდეს საშუალება ამოკრიფოს საჭირო მასალა. ეს დიდი დამსახურებაა თქვენის მხრივ, მე მაგას ვერ შევძლებდი. დიდა

1 ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი.

2 უნდა იყოს ნეიტრალური.

3 მარიამ (მარო) გოგიაშვილი.

4 აკაკი რამიშვილმა პირუთუნულად შეასრულა დედისათვის მიცემული პირობა და 2006 წელს თბილისში დაიბეჭდა მისი წიგნი „ჩვენი შეცდომები (1918-1921)“.

ისიც, რომ თქვენ მოგეცათ საშუალება საქართველოში გადაგეზავნათ ჩემი მოგონება. დიდად საქებურია თქვენის მხრივ, რომ გაქვთ სურვილი დასწეროთ ის, რაც ჩვენი მოკლე დამოუკიდებლობის დროს, რაცა კეთდებოდა სწორეთ ან არა სწორეთ. ბატონო აკაკი, ჩვენ ხომ ცოცხალი მონმენი ვართ, არ უნდა დავმალოთ და ვსთქვათ ავიცა და კარგიც, ეს იქნება მომავლისათვის დიდად საჭირო, რომ მათაც ასეთი შეცდომები აღარ დაუშვან, როგორც ჩვენ”...

და იქვე, ურჩევდა: „მინდა, ჩემი აზრი მოგახსენოთ თქვენი სურვილის შესახებ, გნებავთ რომ დასწეროთ მამათქვენის მოქმედების საბუთები. ეს ძალიან კარგი გინებიათ, რადგან მართლაც არაფერია ამის შესახებ სინამდვილე. მხოლოდ, ბატონო აკაკი, ჩემის შეხედულობით, იქნება უფრო კარგი იქნებოდა, რომ დაგენერათ ქართულათ, რომ უცხოელებმა არ იცოდნენ ჩვენი შინაური უბედურობა, რომ ერთმანეთსა ვჭამთ. ხომ სულერთია, ისინი ამაში ვერას გვიშველიან? შეიძლება მე ვტყუვდები, მაგრამ ასე ვფიქრობ“...

აკაკი რამიშვილის წერილი ფრაგმენტულად შესულია პაატა ნაცვლიშვილის წინასიტყვაობაში ალექსანდრე სულხანიშვილის წიგნისათვის „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“ (გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2007 წ.), ალექსანდრე სულხანიშვილის წერილი კი ქვეყნდება პირველად.

მიგვაჩნია, რომ წინამდებარე წერილები მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევრებს და მკითხველ საზოგადოებას.

ბარათები დაცულია პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოფეუმში. იბეჭდება უცვლელად ავტორისეული სტილის და მართლწერის დაცვით. გასწორებულია მხოლოდ უხეში კორექტურული შეცდომები და კალმისმიერი ლაფსუსები.

პუბლიკაცია მოამზადა ლალი ცომიაძე

აკაკი რამიშვილი – ალექსანდრე სულხანიშვილის

*Mr. Alexander Soukhan
145 Terra Vista Drive
San Francisco (California) 94115
U. S. A.*

3 დეკემბერი, 1981

დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე,

მსურს უპირველესად მადლობა გადაგიხადოთ, რომ თქვენი „მოგონებანი“-თ ასე გვარიანად შეასრულეთ თქვენი დავალება და ძვირფასი ქაქუცას ხსოვნა ასე ასახელეთ თქვენი აღწერით 1922-1924 წლის ამბოხებებისა. თქვენი ნეუტრალური მიდგომა, თქვენი უპრეტენზიო ტონი და თქვენი თვალთ ნანახი ეპიზოდების აღწერა დამაჯერებელი დარჩება მომავალი ისტორიკოსებისთვის, რომელნიც შეეცდებიან აღადგინონ მთლიანი სინამდვილე ამ ეპოქაზე მომავალ საუკუნეებში.

დავით მოდრეკელიძის ხელით მივიღე ერთი ტომი თქვენი მოგონებანის. სწორეთ დამთავრებული მქონდა ნაკითხვა, როცა მოულოდნელად მომეცა საშუალება

ერთი სანდო კაცის ხელით ეს გამეგზავნა საქართველოში. ეს უკვე ჩასულია იქ და იმყოფება თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ განყოფილებაში.

ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, რომ სიკეთე დამდოთ და გამომიგზავნოთ 6 ეგზემპლარი და ამისათვის გიგზავნი 120 დოლარს. აი, რისთვის მჭირდება: აუცილებლობა მოითხოვს, რომ ეს შეტანილ იქმნეს, თქვენი სახელით 4 ინგლისურ დაწესებულებაში, სადაც შეინახება და საშუალება მიეცემა საქართველოდან ჩამოსულ ისტორიკოსებს (ისევე, როგორც იმ რამოდენიმე უცხოელს, რომლებიც ქართულს კითხულობენ), რომ ეს გამოიყენონ. ეს დაწესებულებებია: British Museum, School of Oriental and African Studies, Queen Mary College (Univ. of London – სადაც მუშაობს Dr. Donald Rayfield) და Wardrop Collection in the Bodleian Library, Oxford (რომელიც აბარია David Barrett-ს). ამ 4 წიგნს მე პირადად შევიტან თქვენი სახელით. მეხუთე წიგნს შევიწახავ საქართველოში გასაგზავნად, როდესაც მივანყავები ვინმე სანდო პირს. მეექვსე წიგნი კი მე პირადად მჭირდება აუცილებლად – აი, რატომ.

თქვენსავით, მეც მაქვს მიღებული დავალება, რომელიც უნდა ავასრულო ჩემს სიკვდილამდის. დედა ჩემმა სიტყვა ჩამომართვა, როცა კვდებოდა, რომ დავნერდი მამა ჩემზე – მის ეროვნულ მოღვაწეობაზე, მასზე სინამდვილის აღსადგენად. ისევე დამოუკიდებელი საქართველოს დროს, როგორც ემიგრაციაში ზოგიერთებმა სისტემატიურად აშავეს, დაამცირეს და გადაასხვაფერეს ნოე რამიშვილის მიდრეკილება და მისი მოღვაწეობა – რომ ეს საქართველოდან ჩამოსულ შეგნებულ ხალხს აღმოეფოთებინა. მისი სახელი გადააბეს ზოგად ინტერნაციონალისტ-მარქსისტებს (არავინსი დასახელება არაა საჭირო). ემიგრაციას წარმოადგენა არა აქვს, ნოე რამიშვილს ზოგიერთებმა როგორ აუფუშეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაწყებული და გეგმის მიხედვით აგებული საქმე, რა ტყუილები არ დააბრალებს, და დაბოლოს, ჩაუფუშეს საქმე და დაღუპეს საქართველოს დამოუკიდებლობა და თვით ქართველი ერი. ნოე რამიშვილის მიდგომაზე და მის მიღწევებზე სინამდვილე დამალეს. მას არასოდეს ასეთ უსამართლობაზე პასუხი არ გაუცია თავის დასაცავად. მასზე სინამდვილე დღემდის არ დაწერილა. ქართველ ემიგრანტებს რომ შევეკითხოთ, არ იციან ვინ იყო დამაარსებელი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკისა, მაგრამ ჩვენს სასარცხვინოდ, ჩვენს სამშობლოში ქართველებმა კი იციან.

ამისთანა გარემოება ძალიან ტანჯავდა დედა ჩემს. დედა მყოფი დავკვირვებული თვალის მდევნელი და კრიტიკოსი სხვა და სხვა გარემოებების დამოუკიდებლობის ხანაში. მას მამა უზიარებდა ხოლმე მის პირად აზრს და საიდუმლოებებს, ვინაიდან იცოდა, რომ დედის პირიდან არ ამოვიდოდა. მამას არ დაუტოვებია არც ერთი ფურცელი თავის მოგონებებზე – ამისი დრო მას არასოდეს არ ჰქონდა და ეს აზრათაც არასოდეს არ მოსვლია. დედამ უკანასკნელი 15 წელი მისი ცხოვრების მოანდობა ცნობების მოგროვებაზე ამ ხანაზე, რომელთანაც გადაბმული იყო მამას მოქმედება, სანამ კიდევ იყვნენ ცოცხალნი მონმენი სხვა და სხვა ეპიზოდების. მაგრამ მას არ დართეს ნებართვა გადაემჩინა ერთიოდე ფურცელი საქართველოს მთავრობის არხივის, რომელიც იმ დროს ინახებოდა მის გვერდით ლევილის შატოში; ადვილად გასაგებია რატომ – ის დანამდვილებით ფაქტებს გამოამჟღავნებდა და ამით ზოგიერთების „ტყუილზე აშენებული დიდ კაცობა“ მოისპობოდა. ყოველივე ქართველი საბუთიანად აბრალებს ბოლშევიკებს ტყუილების ოსტატობას და ეს ჩვენ არ უნდა ვიკადროთ. რა შეცდომებიც იქმნა დაშვებული მთლიანად უნდა გამოიყვანდეს, რომ ესეთი შეცდომები ჩვენმა ერმა მომავალში თავიდან აიციდინოს, როცა ხელახლად დაახლოვდება მისი დამოუკიდებლობის ხანა.

ნლების განმავლობაში დედა მიაბობდა სხვა და სხვა ეპიზოდებს, რომელიც დღემდის უცნობია ქართველებისათვის. ის მეუბნებოდა – შვილო, ისტორია უნდა იყოს დამყარებული სინამდვილეზე და შეცდომების კრიტიკულ ანალიზზე; „რალა იგი სინათლე რასაცა ახლავს ბნელია“-ო.

ბევრი წელიწადია რაც ვაგროვებ მასალებს ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენაზე დაბეჭდილ კრიტიკაზე დამოუკიდებლობის ხანაზე; აგრეთვე მაქვს ინგლისის საგარეო სამინისტროს ფოტოკოპიები ამ ხანაზე. მაგრამ რა საკვირველია, არც მე არ მომეცა ნებართვა გამეჩრია საქართველოს მთავრობის არხივი, რაც ზედმინეწით ამცირებს ჩემი შრომის ისტორიულ ღირებულებას. აი, სწორეთ ამიტომ მჭირდება აუცილებლად თქვენი „მოგონებანი“.

მომავალ ორიოდ წელში გამოვა ინგლისურ ენაზე ჩემი ნაშრომი: „დამოუკიდებელი საქართველოს აღზდგენა⁵ და დამხოზა“, რომელშიაც საბუთებისდა მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, მომყავს კრიტიკული ანალიზა⁶ დაშვებულ შეცდომების სხვა და სხვა პირთა მიერ, მიუხედავად მათი ბანაკისა. ამ კრიტიკას ვინყებ იმ შეცდომებიდან, რომელიც დაუშვა ნოე რამიშვილმა და აქედან სხვებზე გადადის ანალიზა. რა საკვირველია, საკითხს უდგები ეროვნულ თვალსაზრისით და არა ინტერნაციონალისტ-მარქსიზმისა, რომელმაც ჩვენი ერი დალუპა. სადაც საბუთი მაკლია, ვიხმარიებ ფრანგული ფილოსოფოსის Descartes-ის მეთოდას⁷ *raisonnement par l'absurde* (შუესაბამო მსჯელობა). ამ მთელი კრიტიკის დამთავრების შემდეგ, რა სურათი მოჩანს? საოცარი და ამზნევი⁸ ხანა ეროვნული გაერთიანების ეთნოლოგიურ-ისტორიულ საზღვრებში მრავალ საუკუნეების შემდეგ, რომელიც მოაგავს 1010-წლის გაერთიანებას საქართველოს სამეფოსი ბაგრატ III-ის ქვეშ. ქართველი ერი მოჩანს პატრიოტული, დანინაგებული და შეგნებული, საოცარი მორალური დისციპლინით აღჭურვილი, გულკეთილი და პატივისმცემელი ისევე თავის ეროვნულ უმცირესობების წინაშე, ისევე როგორც რუსულ მოსახლეობის წინაშე. ზოგიერთების საუბედუროდ, ამ ეროვნულ ასპარეზზე უდიდეს ფიგურად მოჩანს... ნოე რამიშვილი, როგორც ეროვნული მოღვაწე და შემსრულებელი იმ მიმდინარებისა, რომლის დაგვირგვინება ილია ჭავჭავაძეს და და მის თანამშრომლებს ვერ მოესწროთ. ჩემი ტონი არის ზედმინეწით ნეუტრალური და მორიდული – არავითარი დასკვნები არ გამომაქვს; მარტოკა მთელ რიგ შეკითხვებს უსვამ მკითხველს, რომ თვითონვე გამოიტანოს თავისი აზრი. ეს წიგნია მაშასადამე მარტოკა „თეზისები“, რომლებიც იმედია, გამოადგება მომავალ ჩვენს ისტორიკოსებს, რომ დაწვრილებითი ანალიზა გაუკეთონ ამ ხანას და სინამდვილეს მიაღწიონ, რომ ეს დაურჩეს საქართველოს ისტორიას.

*ღრმა პატივისცემით და კეთილი სურვილებით
აკაკი რამიშვილი*

5 უნდა იყოს აღდგენა.

6 უნდა იყოს ანალიზი.

7 უნდა იყოს მეთოდი.

8 უნდა იყოს აღმზნევი.

ალექსანდრე სულხანიშვილი – აკაკი რამიშვილს

*Dr. A. Ramishvili
188 Cromwell Road
London, S.W.5 OSJ
(Great Britain)*

დიდად პატივცემულო ბატონო აკაკი!

გულახდითადად უნდა მოგახსენოთ, რომ დიდად მასიამოვნა თქვენმა წერილმა. უფრო იმისათვის, რომ ასე გულმოდგინეთ ფიქრობთ ჩვენი უბედური ქვეყნის ისტორიასათვის. მასპატიეთ, რომ ასე მოგვიანებით გნეროთ თქვენი მშვენიერი წერილის პასუხს. ამ შებრკოლებას ჰქონდა მიზეზი. მოდრეკელიძეს რომ ჩემი წიგნები გამოუგზავნე, მას შემდეგ მქონდა ოპერაცია, ეს უკვე მეექვსე. როგორც ექიმს არ დაგიმალავთ, ამომიღეს კენჭი ბუშტიდან. თუმცა ექვსი ოპერაცია მქონდა, მაგრამ არავითარი კავშირი არა აქვს კიბოსთან და ჯერჯერობით მაგრათა ვარ, რაც შეეფერება ჩემ 86 წ. წლოვანებას.

დიდად მოხარული ვარ, რომ ქართველ ტოლვილებ შორის ვხვდები ხოლმე ისეთ ქართველს, რომელიც სამშობლოზე ზრუნავს და არა რომელიმე პარტიაზე. ახალი გამოსული ვიყავი სავადმყოფოდან, როდესაც თქვენი წერილი და ჩემი მივიღე, რაზედაც დიდი მადლობელი ვარ. ზედაც მეუღლე⁹ გამიხდა ავად და აი, ამ გარემოებამ არ მომცა საშუალება დროზე მომენერა პასუხი, რაზედაც განმეორებით ბოდიშს ვიხდი. ბარაქალა თქვენ ქართველობას, რომ ასე ზრუნავთ მომავლისათვის და ჩემი მოგონება გინდათ შეიტანოთ ინგლისის რამდენიმე დანესებულებაში, რომ მართლა არ დაიკარგოს და ქართველ მკვლევებს ჰქონდეს საშუალება ამოკრიფოს საჭირო მასალა. ეს დიდი დამსახურებაა თქვენის მხრით, მე მაგას ვერ შევძლებდი. დიდია ისიც, რომ თქვენ მოგეცათ საშუალება საქართველოში გადაგეზავნათ ჩემი მოგონება. დიდად საქებურია თქვენის მხრივ, რომ გაქვთ სურვილი დასწეროთ ის, რაც ჩვენი მოკლე დამოუკიდებლობის დროს, რაცა კეთდებოდა სწორეთ ან არა სწორეთ. ბატონო აკაკი, ჩვენ ხომ ცოცხალი მოწმენი ვართ, არ უნდა დავმალეთ და ვსთქვათ ავიცა და კარგიც, ეს იქნება მომავლისათვის დიდად საჭირო, რომ მათაც ასეთი შეცდომები აღარ დაუშვან, როგორც ჩვენ. სიმართლე უნდა ვსთქვათ, მე პირადად ძალიან არ მიკვირს, რომ ჩვენ ბევრი შეცდომები დავუშვივთ, რადგან დიდმა ხანმა განვლო, რომ საქართველოს აღარა ჰქონდა საშუალება, რომ თვით თავის თავისათვის მოეწყო და ამისათვის ჩვენ დამოუკიდებლობის დროს არა გვიცავდა რიგიანად და შორს მჭერეტელი პოლიტიკური მოღვაწენი, და თუ ასეთნი გვყავდა, ძალიან ცოტანი და უმნიშვნელო ქვეყნის მართვისათვის.

ძალიან სასარგებლო იქნება ქართული ისტორიისათვის განსვენებული მამათქვენის მოქმედების სინამდვილე დასწეროთ, რადგან მართლაც მედროე ქართველობამ ბევრი არაფერი იცის ზუსტათ. არ დაგიმალავთ, მართალია, ჩვენ დამოუკიდებლობის დროს, საქართველოს პოლიტიკას ანარმოებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რაც მემარჯვენე ქართველობას ძალიანაც არ მოსწონდა, მაგრამ მათ შორის მამათქვენი უფრო მიაჩნდათ ქართველ პატრიოტად. ამისათვის ერთ მაგალითს მოვიყვან,

9 1976 წელს ალექსანდრე სულხანიშვილმა ცოლად შერთო ემიგრანტ ჩიქოვანის ქერივი ნატალია (ნატაშა) პეტრეს ასული (?-1987).

დიდი პოეტიკული მყინა ავია!

მუცხელად უნდა მივხსნათ ხან დიდი მოსამზინა თქვენს წესებას.
ურთი აზნაოვან ხან ასე გულისხმობს ფიქსია ზვენი უმდებრო ქვეყნის
დსქანსადავან. მძაბოთ ხან ასე მკვირბრბოვნი თქვენი მჭერნი წაილან
მასხან. ამ მუხტელად მქნდა მხეზი. მასხეცელად ხან ზეზი ვიწინა ვახოვან
ვინ მის მჭევე მჭინა აქსეოთ, ეს სუვე მჭეხი, ხეგაც ქიმ ამ დევემელოთ ამ
მეს ეს წინა მუხტელად. თქვენი ქვენი სპეციოთ მქნდა მხეზი ანაოვანი ვიწინა
ამ აქვე ცხეზინ, დე ვახეჩინათ მეთათ ვან. ხეც მუხტელად ზე მს მუხტელად
დიდი მხეზელად ვან ხან ქითოც სუვერბინან ვხეზინ ხან ამ თქვენი ზე
დიდი მხეზელად მჭინა ვან ხან მჭევე მჭეხი, მხეცელად ვიწინა ვახოვანი
მეცხე მუხტელად ვან დე ამ ამ ვახეჩინამ ამ მჭევე სუვერბინან ვან
მხეხი მხეხი, ხეცელად ვან მხეხი მხეხი. მხეხი ამ თქვენი ქითოცელად
ხან ასე მხეხივე მხეხი-მხეხის, დე ზე მხეხივე ვანათ მუხტელად ანაოვან
ხან მჭევე მუხტელად ხან მხეხი ამ ანაოვან დე ქითოცელად ვან
მხეხივე სუვერბინან მხეხი მხეხი. მხეხი ამ თქვენი ქითოცელად
მხეხი, ამ მხეხი ვან მუხტელად. დიდი მხეხი ხან თქვენი მუხტელად
სუხიველად ვან ვახეჩინათ ზე მხეხი. დიდი მუხტელად თქვენი მხეხი
ხან ვახეჩინათ დე მუხტელად. ასე ხეხი მხეხი დე მუხტელად ხან
ასე ვახეჩინათ მუხტელად ამ სუხი. მყინა ავია ზვენი მხეხი მუხტელად
ინ ვახი, ამ უნდა დეხილად დე ვახეჩინათ ავია დე ვახეჩინათ თქვენი მხეხი
დესავან დე ვახეჩინათ ხან მთავრად ასეი მუხტელად ანაოვან
ასე ხეხი სუხილად უნდა ვახეჩინათ მუხტელად მთავრად ამ მუხტელად ზვენი
მუხტი მუხტელად ვახეჩინათ დე მხეხი ვახეხი ხან მუხტელად ანაოვან
მუხტელად მუხტელად ხან თვეთ თვეთ თვეთ მუხტელად, დე ანაოვან ზვენი

ალექსანდრე სულხანიშვილის წერილი აკაკი რამიშვილს, 1983 წლის 4 იანვრის შემდეგ, სან-ფრანცისკო (პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმი, თბილისი).

ეხლა მინდა, მოგახსენოთ ჩვენი და პირადათ ჩემი აზრი,¹⁴ რა მთავარი შეცდომა-მეტი იყო დაშვებული დამოუკიდებლობის დროს:

პირველი. კუთხური პოლიტიკა, რომელიც მუდამ დამოუკლებელი იყო საქართველოში.

მეორე. ჩვენი სოც.-დემოკრატები ვერ ჩამოსცილდნენ რუსეთის მარქსიზმს და მუდამ მათკენ იყურებოდნენ. ეგონათ, ისინი კარგ რამეს დაჰმართამდნენ საქართველოს.

მესამე. სოც.-დემოკ. არ მოსპეს იაფფასიანი პროპაგანდა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ, რომელთაც მაშინვე, როდესაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა, კოტე აფხაზის წინამძღოლობით, რომელიც იყო იმ დროს თავად-აზნაურობის წინამძღოლი, მიჰმართა ჩვენ მთავრობას, ჩვენ ქონებას და მამოლებს დღეიდან ვაბარებთ საქ. მთავრობას და როგორც ჰნებავთ, ისე გაანაწილონ.¹⁵

მეოთხე. რუსეთის იმპერია რომ დაინგრა, საქართველოში დაბრუნდა რამდენიმე ათასი ქართველი, მართლა გამოცდილი და მრავალი განთქმული მხედრობა სამხედრო ყოველ დარგში. მართო ოცდაათზე მეტი გენერლები გვყავდა. ეს მართლა დიდათ სასარგებლო ელემენტი ჩვენმა მთავრობამ არ გამოიყენა, დიდი უნდობის

14 კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამოტოვებულია.
15 1917 წლის 11 დეკემბერს კონსტანტინე აფხაზმა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს ქონება (26 მილიონი ოქროს მანეთის ღირებულების) გადასცა საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

თვალთ უყურებდა, მაშინ, როდესაც ჩვენ ჯარში საჭირო იყო დიდათ გამოცდილი მხედრობის ხელში ყოფილიყო ახალი ქვეყნის ჯარის შექმნა. ამ დროს კი ჩვენი ახალი მხედრობა სულ გამოუცდელი და ნაკლები სამხედრო განათლებით, ვითომ ჰქმნიდნენ ჩვენ ჯარს.

მესუეთე. პირველ ხანებში მართლა საჭირო იყო გვარდია, მაგრამ მერე ეს პირდაპირ დამღუპელი იყო ჩვენი ქვეყნისათვის ორნაირი ჯარის ყოლა ჩვენ პატარა ქვეყანაში. ბოლო წლებში გვარდიელებს და რეგულიარულ ჯარს ერთმანეთი ეჯავრებოდათ, რადგან გვარდიას უფრო კარგად აცმევდნენ და ასაზრდოვებდნენ, ვიდრე რეგულიარულ ჯარს. მე თითონ გვარდიაში მსახურობდი ცხენოსანში, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვათ.

მე მგონი, ჩემ წიგნში მაქვს მოყვანილი ეს ეპიზოდი. გაგრის ფრონტზე ჯარისათვის მიუღიათ ფეხსაცმელი და რათქმაუნდა, არა საკმარისი ბატინკები, მაგრამ ზოგისათვის ქალამნები. ეს ყველაფერი გვარდიისათვის და რადგანაც ბატინკები საკმარისი არა ყოფილა, ასე გადაუნყვეტიათ უფროსებს, ქალამნები მივცეთ კახეთის გვარდიასაო, რადგან ისინი უფრო შეჩვეულნი არიანო. ასეც გააკეთეს და როდესაც დაინახეს კახელმა გვარდიელებმა, რომ სხვა გვარდიელებს ბატინკები აცვიათ, აჯანყდნენ. ტყვია-ფრქვევლები გამოდგეს და უფროსობას აღარაფერს უგონებდნენ, რომლებიც გაიქცნენ. იმ დროს ჩვენი ცხენოსანი დივიზიონიც იქ იდგა, რომელშიც მსახურობდა ქაქუცა. მაშინ უფროსმა მხედრობამ სთხოვა ქაქუცას, რომ როგორმე დაემოშინებინა კახეთის გვარდია. ქაქუცა მივიდა და პატარა მოლაპარაკების შემდეგ ეს გვარდიის ნაწილი მოარიგა უფროსებთან. აი, ამისთანა წვრილმანი, თითქო არაფერია, მაგრამ დიდ ზიანს აყენებდა ჯარს სიმთელეში.

მეექვსე. ასევე იყო დიპლომატიამიც. იგზავნებოდა ჩვენ მეზობელ ქვეყნებში ისეთი პირნი, რომელთაც გაგება არა ჰქონდათ დიპლომატიისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გყავდენ საამისოთ მომზადებული კაცები, მაგრამ რადგან თავადი ან აზნაური იყვნენ, მათ არ ენდობოდნენ. აი მაგალითად, ზურაბ ავალიშვილი საერთაშორისო კანონების მცოდნე, დიდად განათლებული და მრავალი ევროპეული ენების მცოდნე. ამისთანა ადამიანი გამოიყენეს მხოლოდ თარჯიმანად. დიპლომატებად კი გზავნიდნენ სრულიად მოუმზადებელ პიროვნებებს, რომლებსაც საშუალო სწავლა ძლივსა ჰქონდათ მიღებული. საერთოდ, აღმოსავლეთის ქართველობას არ ენდობოდა ჩვენი მთავრობა. ამის საბუთად მოვიყვან გან.¹⁶ ნ. ჟორდანიას მოგონებას,¹⁷ სადაც ამბობს, როცა კაცი დამჭირდებოდა რამე საქმეშიო, მაშინვე გურიაში მივარბიენბდი კაცსაო, ესეგიც, მამ კახეთში, ქართლში ან თვით თბილისში თურმე არ არსებობდა იმ საქმისათვის შესაფერი ადამიანი? კომუნისტების დროს, ახლა ბერძნის საშუალებით, მთელი მეგრელობა ჩამოსახლდა თბილისში და მთელ საქართველოში ჯაშუშებთ და კომისრებათ.

აი, ბატონო აკაკი, ამისთანა პოლიტიკის წარმოება საშინლად არღვევს ჩვენი ქვეყნის მჭიდრო მთლიანობას. ჩვენმა სოც.-დემოკრატიებმა ნება დართვეს და კომუნისტებს მთელი ვებერთელა მტაბი ჰქონდათ და სრულიად თავისუფლად ენეოდნენ თავიანთ სასარგებლო პოლიტიკას, პროპაგანდას და უმთავრესად გვარდიის ნაწილებში. ბოლოს, მათ მიახნენ თავიანთ მიზანს მთელი გვარდიის ფეხოსანი ნაწილები თავიანთ ჯაშუშებით და პროპაგანდისტებით გაავსეს და იმისათვის იყო, რომ ჯულელი, რომელიც გვარდიის მამამთავრად ითვლებოდა, გასცეს, დაატუსაღებინეს.

16 განსვენებულ.

17 ივლისხმება ნ. ჟორდანიას წიგნი: „ჩემი წარსული (მოგონებანი)“, პარიზი, 1953 წ.

ჩვენი მთავრობის სასახლეზე ნითელი დროშა¹⁸ ფრიალებდა და ჩვენი მთავრობა ყველაფერს აკეთებდა, რაც კომუნისტებს მოსწონდათ. თქვენ ალბათ, არ გეხსოვებათ, მაშინ ბავშვი იქნებოდით, სასახლის პირდაპირ იყო იმდროს ოტელი „ორიანტი“, რომელშიცა ცხოვრობდნენ ჩვენი რამდენიმე უფროსი და უსაქმო ოფიცრობა სწორედ თავად-აზნაურობის წრეებიდან და რომ უყურებდნენ მთავრობის სასახლეზე ნითელი დროშის ფრიალს, ვეღარ მოითმინეს და გაგზავნეს ხუთი კაცი, რომლებმაც ჩამოგლიჯეს ნითელი დროშა და აღმართეს ქართული დროშა. ესენი იყვნენ: ფ. ზანდუკელი, გ. ოზიანიშვილი, ვ. იტონიევი, ს. მაისურაძე და მეხუთის გვარი არ მახსოვს. მრავალია ისეთი შეცდომები, რომელიც დიდად აზიანებდა ჩვენი ქვეყნის საღ საქმიანობას. ვიღას ახსოვს თავად-აზნაურობა ამან გადაიარა, როგორც ბატონყმობამ. და ბოლოს, გადავხედოთ ჩვენ ისტორიას განა თავად-აზნაურობა თავსა ზოგავდა სამშობლოს დასაცავათ და პირველნი არა სწირავდნენ სიცოცხლეს სამშობლოს სადიადოდ? ან აი, ჩვენ ხანაში, როდესაც რუსეთი ხელმეორეთ შემოესია საქართველოს, აბა, გადაჰხედეთ, რამდენმა თავად-აზნაურობიდან შესწირა თავი, იქმნენ დახვრეტილი ან ბრძოლაში მოკლულნი. ვინ უღალატა და ვინ შემოუძღვა ხელმეორეთ ჩვენ სამშობლოში? ესენი ხომ მარქსისტები იყვნენ, რომელთაც სისხლით ჩაახრჩეს ჩვენი უბედური ქვეყანა. ჰო და, კარგი, რაც მოხდა, მოხდა. ვისი ბრალიც იყო, უნდა ხაზი გაუსვათ ამას და მომავალზე ვიფიქროთ.

საუბედუროთ ჩვენი ქართველი მარქსისტები, რომელნიც დღეს კიდევ ცოცხალნი არიან, მაინც გვიმტკიცებენ, რომ ისინი მართლები არიან და სწორე ხაზზე დგანან. სამოც წელზე მეტმა გაიარა და რა დაჰმართა მარქსიზმმა მათ თავებში ვერ შევიდა, რომ მარქსიზმი დამლუპველია კაცობრიობისათვის, რომელიც პრაქტიკაზე ვნახეთ. ჩვენი ქართველობის საუბედუროთ, ჯაბრიანი ხასიათი გვაქვს და გინდაც ვიცოდეთ, რომ ეს სწორე არ არი, რასაც ვაკეთებთ, მაინც მოპირდაპირის ჯაბრით გავაკეთებთ, მაგრამ ასეთი ქცევა და საქმე ხომ დამლუპველია ჩვენი ქვეყნისათვის!

ეხლა მინდა, ჩემი აზრი მოგახსენოთ თქვენი სურვილის შესახებ, გნებავთ რომ დასწეროთ მამათქვენის მოქმედების საბუთები. ეს ძალიან კარგი გინებიათ, რადგან მართლაც არაფერია ამის შესახებ სინამდვილე. მხოლოდ, ბატონო აკაკი, ჩემის შეხედულობით, იქნება უფრო კარგი იქნებოდა, რომ დაგენერათ ქართულათ, რომ უცხოელებმა არ იცოდნენ ჩვენი შინაური უბედურობა, რომ ერთმანეთსა ვჭამით. ხომ სულერთია, ისინი ამაში ვერას გვიშველიან? შეიძლება მე ვტყუვდეები, მაგრამ ასე ვფიქრობ. მაპატიეთ, რომ ასეთი გძელი წერილით თავს გაწყენთ.

გისურვებ ყოველივე კეთილს და ბედნიერებას თქვენი ოჯახობით და კეთილის ნდომით. ოთხ იანვარს გამოვგზავნე შეიდი წიგნი, იქნებ რამეში დაგჭირდეთ ან არუქეთ ვისმე. დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემი მოგონების საშუალებით გავიცანით ერთმანეთი.

*დიდის პატივისცემით,
ა. სულხანიშვილი*

*[სან-ფრანცისკო]¹⁹
[1983 წლის 4 იანვრის შემდეგ]²⁰*

18 ამ დროშის აღწერილობა დღემდე არცერთ წყაროში არ გვხვდება.

19 შინაარსის მიხედვით.

20 შინაარსის მიხედვით.

საძიებელი:

ავალიშვილი (ავალოვი) **ზურაბ** დავითის ძე (ფსევდ.: Politicus, 3. A., Князь, Апискант და სხვ.) (1874-1944), იურისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის ფინანსთა სამინისტროს იურისკონსულტი (1912-1917), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი (1917-1918), საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტის ავტორი (1918), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (1918), მთავრობის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის დარგში (1918-1921), პარიზის საზავო კონფერენციის დელეგატი (1919-1920), საქართველოს ეკონომიკური მისიის წარმომადგენელი ევროპაში (1920), „კავკასიის“ ჯგუფის წევრი (1934-1939), მიუნხენის „საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი ინსტიტუტის“ თანამშრომელი (1939-1944), „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ კომიტეტის წევრი (1942), „ქართული ეროვნული კომიტეტის“ ერთ-ერთი დამაარსებელი (1942).

აფხაზი (აბხაზი) **კონსტანტინე** (კოტე, ტიტკო) ნიკოლოზის ძე (1867-1923), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიის არტილერიის გენერალ-მაიორი (1916-იდან), ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი (1921-იდან). თბილისის საადგილმამულო ბანკის სამეურვეო კომიტეტის წევრი (1906-1913), ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა წინამძღოლი (1913), კახეთის რკინიგზის მშენებლობის ხელმძღვანელი (1913-1915), კავკასიის საველე-საარტილერიო ბრიგადის მეთაური (1914), კავკასიის სახელმწიფო თავდაცვის განსაკუთრებული რწმუნებული (1916), კავკასიის ფრონტის საინჟინრო-სამშენებლო რაზმის კომიტეტის თავმჯდომარე (1916), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1916), ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა წინამძღოლი (1916-1917), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების თავმჯდომარე (1917-1918), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს თავმჯდომარე (1917), საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი (1917), ორგანიზაცია „უპარტიოთა კავშირის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი (1918-1921), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი (1921), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის წევრი (1922), თავმჯდომარე (1922-1923), „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი (1922), „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ არსებული „სამხედრო ცენტრის“ წევრი (1922-1923). დახვრიტეს 1923 წლის 20 მაისს.

ბაგრატ III (დაახლ. 961-1014), გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე (975-1014), ბაგრატიონი. გურგენ მეფეთა მეფისა და გურანდუხტ დედოფლის ძე, ტაოს მეფეთა მეფის დავით III კურაპალატის შვილობილი და აღზრდილი.

ბარეტი დევიდ (1914-1998), ბრიტანელი მეცნიერი, ფიზიკური და ქართული ლიტერატურის მკვლევარი, მთარგმნელი.

ბერია ლავრენტი პავლეს ძე (1899-1953), საბჭოთა პოლიტიკური, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, რსდმპ (ბ) წევრი (1917-იდან), საბჭოთა კავშირის მარშალი (1945). საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (1927-1930), საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1931-1932, 1934-1938),

ამიერკავკასიის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი (1932-1937), საქართველოს სსრ კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი (1937-1938), სსრკ სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1938), სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (1938-1945), სსრკ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი (1946-1953), სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი (1953). დახვრიტეს 1953 წლის 23 დეკემბერს.

გოგიაშვილი მარიამ (მარო) (1888-1972), პედაგოგი. ნოე (ნაუმ) რამიშვილის (1881-1930) მეუღლე, ბენო (1907-1989), აკაკი (1916-1999), ნინო (ნუცა) (1920-2011) და თამარ (1926-1949) რამიშვილების დედა.

დეკარტი რენე (ლათინიზებული სახელი – რენატუს კარტეზიუსი) (1596-1650), ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და მეცნიერი.

ზანდუკელი ფ., სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის ოფიცერი.

იტონიევი ვ., სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის ოფიცერი.

მაისურაძე სერგო (1901-1936), სამხედრო პირი, 1921-1924 წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი, 1922 წლის ფშავ-ხევსურეთის ამბოხებისა და 1924 წლის აჯანყების მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

მოდრეკელიძე დავით, 1980-იან წლებში ლონდონში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

ოზიაშვილი გაბრიელ (გაბო), სამხედრო პირი, 1921-1924 წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი.

ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე (ფსევდ.: Ami, ან, ან., ანი, გ. მა-ძე, გ. მარმალაძე, დევიანი, კასტროვი, კოსტროვი, ნარი, ნარიძე, ნ. ჟ-ია, ნ. ჟ-ნია, ნ. ჟ., ნოე ჟ-ია, ძველი მოკამათე, წითელფერაძე და სხვ.; პარტიული ფსევდ.: ჯორჯი, ჟორჟი, **Кавказец, Костров**, ანი, ანდრეი) (1868-1953), პუბლიცისტი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი. რსდმპ კავკასიის საკავშირო კომიტეტის წევრი (1903), რსდმპ თბილისის „სამხედრო საბჭოს“ წევრი (1905), რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრი (1906), რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი (1906), რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე (1906), რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრი (1907), თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე (1917), ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე (1917), თბილისის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1917), საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე (1917), საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი (1917), საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი (1917), საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1917), საქართველოს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის საპატიო წევრი (1917), რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატი (1917), ამიერკავკასიის სეიმის წევრი (1918), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918 წლის 24 ივნისიდან), თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი (1919), საქართველოს

დამფუძნებელი კრების წევრი (1919), საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „საზღვარგარეთული ბიუროს“ თავმჯდომარე (1922). 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

რამიშვილი აკაკი (კაკი) ნოეს (ნაუმ) ძე (1916-1999), ექიმი-რადიოლოგი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) მონაწილე. ნოე (ნაუმ) რამიშვილისა (1881-1930) და მარიამ (მარო) გოგიაშვილის (1888-1972) ვაჟი, ბენიამინ (ბენო) (1907-1989), ნინო (ნუცა) (1920-2011) და თამარ (1926-1949) რამიშვილების ძმა, მია (მაიკო) კვალიაშვილის (დ. 1943) მეუღლე.

რამიშვილი ნოე (ნაუმ) ბესარიონის ძე (ფსევდ.: ნ., ნ. რ., რ. ნ., ნ. რ-ი., ნ. სემიონოვი და სხვ.; პარტიული ფსევდ.: პეტრე, ტფილისელი პეტრე, ბორცოვი, სემიონოვი) (1881-1930), პუბლისტი, პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი (1903-იდან). თბილისის მაზრის კომისარი (1917), თბილისის მუშათა და დაჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი (1917), რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატი (1917), საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი (1917), ამიერკავკასიის სეიმის წევრი (1918), ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი (1918), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე (1918 წლის 26 მაისიდან – 24 ივნისამდე), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრი (1919 წლის 21 მარტიდან – 1920 წლის იანვრამდე), სამხედრო მინისტრი (1919 წლის 14 თებერვლიდან – დეკემბრამდე), შინაგან საქმეთა მინისტრი (1918 წლის 26 მაისიდან – 1921 წლის 17 მარტამდე), თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი (1919), საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (1919), საქართველოს „ინტერპარტიული კომიტეტის“ წევრი (1922), საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „საზღვარგარეთული ბიუროს“ წევრი (1922), „კავკასიის გათავისუფლების კომიტეტის“ წევრი (1926). 1930 წლის 7 დეკემბერს მოკლა პარმენ ქანუყვამძე.

რეიფილი დონალდ (დ. 1942), ბრიტანელი მეცნიერი, რუსული და ქართული ლიტერატურის მკვლევარი, ლექსიკოგრაფი და მთარგმნელი. ავტორი წიგნისა „საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინი: სამიათასწლოვანი ისტორია“ (თბ., 2019).

სულხანიშვილი ალექსანდრე (საშა) კონსტანტინეს (სეხნა) ძე (Alexsander Soukhian; ფსევდ.: ალი სულთანი, სანდრო არაგველი; თიკუნი: ყურბანა, შუშუ) (1896-1990), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის ლეიტენანტი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის, 1922 წლის ფშაგ-ხევსურეთის ამბოხებისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყებების მონაწილე. „კავკასიის“ ჯგუფის მიერ საბჭოთა ტერიტორიაზე შეგზავნილი ექსპედიციების წევრი (1938-1939), „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ დამფუძნებელი წევრი (1942), „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს ერთერთი დამაარსებელი (1952). 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

უორდროპი ჯონ ოლივერ (1864-1948), ინგლისელი დიპლომატი, მთარგმნელი, ქართული კულტურის მოამაგე. დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი სამხრეთ კავკასიაში (1919-1920).

ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) იოსების ძე (1888-1930), სამხედრო პირი, რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

არმიის პოლკოვნიკი (1918-იდან), 1922-1924 წლებში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული პარტიზანული ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული გმირი. პირველი მსოფლიო ომის (1914-1918), სომხეთ-საქართველოს ომის (1918), რუსეთ-საქართველოს ომის (1921), 1922 წლის ფშავ-ხევსურეთის ამბოხებისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყებების მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ქავჭავაძე ილია გრიგოლის ძე (1837-1907) პოეტი და პროზაიკოსი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი.

ჯუღელი ვალერიან (ვალიკო) ანთიმოზის ძე (ფსევდ.: ს. დ-ლი, ვ. დასელი; პარტიული ფსევდ.: ზურაბი) (1887-1924), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი (1917), საქართველოს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი (1917), საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი (1917), ამიერკავკასიის სეიმის წევრი (1918), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1918), საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (1919), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის სარდალი (1921), „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ არსებული „სამხედრო კომისიის“ წევრი (1924). დახვრიტეს 1924 წლის 30 აგვისტოს.

ნიკა გურჯანაძე

გენერალი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი

ჯონ-მალხაზ დავით შალიკაშვილი – გენერალი, შეერთებული შტატების არმიის გაერთიანებული შტაბის მე-13 თავმჯდომარე 1993-1997 წლებში დაიბადა 1936 წლის 27 ივნისს ვარშავაში, პოლონეთში, ემიგრანტი ქართველი ოფიცრის დიმიტრი შალიკაშვილის ოჯახში. შალიკაშვილების გვარი არისტოკრატიული წარმოშობისაა. შესაბამისად, მისი მამა, პაპა და წინაპრები მუდამ ტრიალებდნენ მაღალ საზოგადოებაში, რაც აუცილებლად უნდა ასახულიყო ჯონის დახვეწილ მანერებზეც. მამამისი, თავადი დიმიტრი შალიკაშვილი (1896–1978) გურჯაანში დაიბადა, მსახურობდა რუსეთის საიმპერატორო ჯარში. ჯონის დედა გრაფინია მარია კი – პოლონელი დიდებულთა შთამომავალი იყო.¹

ბოლო წლებში ბევრი დაინერა შალიკაშვილებზე, მათი საგვარეულოს ისტორია მონოგრაფიულად შეისწავლა პროფესორმა ნიკო ჯავახიშვილმა.² მისი ბიოგრაფია შევიდა სხვა ავტორთა წიგნებში, მაგალითად, რუსუდან დაუშვილის „ქართული ემიგრაცია ამერიკაში“,³ ასევე სხვადასხვა სტატიებში, ბიოგრაფიულ ცნობარებში,⁴ ენციკლოპედიებსა⁵ და ა.შ. წინამდებარე სტატიაზე მუშაობისას, ჩვენ დამატებით გამოვიყენეთ ინტერნეტიდან მოძიებული რამდენიმე ინგლისურენოვანი მასალის ინფორმაცია.

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დიმიტრი შალიკაშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პოდპოლკოვნიკი გახდა. როდესაც 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთი შემოიჭ-

- 1 Marble, Andrew. *Boy on the Bridge: The Story of John Shalikhshvili's American Success*. University Press of Kentucky, 2019.
- 2 ნ. ჯავახიშვილი, *შალიკაშვილები (ფესვები, ტრადიციები, დღევანდელი)* თბ., 1997.
- 3 რ. დაუშვილი, *ცნობილი ქართველები ამერიკაში: ოთარ და ჯონ-მალხაზ შალიკაშვილები – ქართული ემიგრაცია ამერიკაში*, თბ., 2014, გვ. 187-190.
- 4 მ. გოგიტიძე, გ. ბუჭიაშვილი, *სამხედრო ფიცის ერთგულნი (ბიოგრაფიული ცნობარი)*, თბ., 2015, გვ. 149-151.
- 5 რ. დაუშვილი, გრ. კალანდაძე, რ. კობახიძე, გ. ჯაფარიძე, თ. ტარტარაშვილი, *შალიკაშვილი ჯონ-მალხაზ – ქართველები უცხოეთში*, წგ. 1, თბ., 2012, გვ. 193-194.

რა და დაიპყრო საქართველო, დიმიტრი დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა ოსმალეთში. შემდეგ იგი შეუერთდა სხვა ქართველ ემიგრანტებს პოლონეთში, სადაც გაიცნო და ცოლად შეირთო ჯონის დედა, – პოლონელი, ნაწილობრივ გერმანული წარმოშობის, ყოფილი გენერლის გრაფ რუდიგერ-ბიელაევის ქალიშვილი მარია. მათ სამი შვილი შეეძინათ: ოთარი, ჯონი და გეილი. დიმიტრი მსახურობდა პოლონეთის არმიიაში (სხვა ქართველ ლტოლველებთან ერთად) საკონტრაქტო ოფიცრად. იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში, თუმცა საბჭოთა არმიის პოლონეთში შესვლის შემდეგ, დიმიტრი ცოლ-შვილით დასავლეთში გაიხიზნა და გერმანიაში მარიას ნათესავებს შეეხიზნა. გერმანიის დამარცხების შემდეგ კი, როცა საბჭოთა კავშირმა მოკავშიერეებს ემიგრანტების გადაცემა მოსთხოვა, 1952 წელს, ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი ილინოისში, პეორის საშუალო სკოლაში სწავლობდა, სადაც გრძელ დისტანციებზე მორბენალიც იყო. 1958 წელს შალიკაშვილმა მიიღო ბაკალავრის ხარისხი მექანიკის ინჟინერიაში, 1970 წელს – ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის მაგისტრის ხარისხი. 1958 წლის მაისში შალიკაშვილი და მისი ოჯახი აშშ-ის მოქალაქეები გახდნენ. ეს იყო პირველი ეროვნება, რომელიც მას ოდესმე ჰქონდა. მანამდე ის იყო კლასიფიცირებული, როგორც „მოქალაქეობის არმქონე“, რადგან მისი მშობლები ლტოლვილები იყვნენ.⁶

სკოლის დამთავრების შემდეგ ჯონი გეგმავდა „ჰისტერში“ მუშაობას, მაგრამ 1958 წლის ივლისში მოუვიდა ცნობა ჯარში სავალდებულო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით. შეერთებული შტატების არმიიაში დაიწყო სამსახური რიგითად, მერე შევიდა არმიის ოფიცერთა საკანდიდატო სკოლაში. 1959 წელს დაინიშნა მეორე ლეიტენანტად. შალიკაშვილი მსახურობდა სავლელ არტილერიისა და საჰაერო თავდაცვის საარტილერიო პოზიციებზე, როგორც ოცეულის მეთაური, ფორვარდი დამკვირვებელი, ინსტრუქტორი და სტუდენტი, სხვადასხვა საშტატო პოზიციებზე და ბატარეის მეთაურად. მსახურობდა ვიეტნამის ომში კუანგ ტრის პროვინციაში მრჩეველთა მე-4 გუნდთან ერთად. ყოველივე ამის გამო, დაჯილდოვდა ბრინჯაოს ვარსკვლავის მედლით. 1970 წელს შალიკაშვილი გახდა მე-2 ბატალიონის მე-18 სავლელ არტილერიის აღმასრულებელი ოფიცერი ფორტ ლუისში, ვაშინგტონში. მოგვიანებით, 1975 წელს, იგი მეთაურობდა 1-ლ ბატალიონს, 84-ე სავლელ არტილერიას და მე-9 ქვეით დივიზიას ფორტ ლუისში. 1977 წელს სწავლობდა აშშ-ს არმიის ომის კოლეჯში და მსახურობდა გერმანიის 1-ლი ჯავშანტექნიკის დივიზიის არტილერიის (DIVARTY) მეთაურად. მოგვიანებით იგი გახდა დივიზიის მეთაურის თანაშემწე. 1981 წლის სექტემბრიდან 1984 წლის აგვისტომდე დანიშნული იყო არმიის შტაბის უფროსის მოადგილედ აპერაციებისა და გეგმების საკითხებში, სადაც განიხილავდა სამხედრო ოპერაციების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებს. მომდევნო 5 წლის განმავლობაში მან დააკავა მნიშვნელოვანი სამეთაურო და საშტაბო თანამდებობები და მიაღწია გენერალ-ლეიტენანტის წოდებამდე. 1984 წლის აგვისტოში ბრიგადის გენერალი შალიკაშვილი დაბრუნდა გერმანიის პირველ ჯავშან დივიზიაში დივიზიის მე-

6 John Malchase David Shalikhshvili <https://www.jcs.mil/About/The-Joint-Staff/Chairman/General-John-Malchase-David-Shalikhshvili/>

თაურის თანაშემწედ. ამ თანამდებობაზე მუშაობისას მან ხელი შეუწყო არმიის პროზიციის შემუშავებას ევროპაში ბირთვული რაკეტების შემცირების საკითხზე საბჭოთა კავშირთან აშშ-ს მოლაპარაკების მომზადების ფარგლებში.

1987 წელს შალიკაშვილი მეთაურობდა მე-9 ქვეით დივიზიას ფორტ ლუისში. იქ იგი ზედამხედველობას უწევდა „მაღალტექნოლოგიურ საცდელ სანოლს“, რომელსაც ევალებოდა სამი ბრიგადის – მძიმე ჯავშანტექნიკის, მსუბუქი ქვეითისა და „ექსპერიმენტული მექანიზებული“ – ახალი ტიპის საბრძოლო ძალების ინტეგრირება.⁷

1989 წლის სექტემბერში შალიკაშვილი გახდა აშშ-ს არმიის ევროპისა და მე-7 არმიის მთავარსარდლის მოადგილე, მომდევნო თვეში კი გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. შალიკაშვილი ხელმძღვანელობდა აშშ-ის ყველა ქიმიური საბრძოლო მასალის ევაკუაციას გერმანიიდან და ესმარებოდა VII კორპუსის გადაადგილებას საუდის არაბეთში სპარსეთის ყურის ომში მონაწილეობის მისაღებად.

1991 წელს შალიკაშვილი ხელმძღვანელობდა ოპერაციას „კომფორტის უზრუნველყოფა“. კამპანია დაიგეგმა ერაცში და მოიცავდა ქურთი ლტოლვილებისთვის საკვებისა და სამედიცინო მარაგების საჭიერო გზებით გადაცემას სპარსეთის ყურის ომის შემდეგ. ჯონმა წარმატებით გაართვა თავი ხსენებულ დავალებას და მონაწილეობა დაიმსახურა მრავალეროვნული ძალების ხელმძღვანელობისაგან. ის არა მხოლოდ დაეხმარა ქურთების მომხარაგებას, არამედ დაიცვა ისინი სადამ ჰუსეინის ერაყული ძალების აგრესიისგან.⁸

1992 წელს შალიკაშვილმა დაიკავა ევროპაში ნატოს ძალების უმაღლესი მეთაურის თანამდებობა ცივი ომის დასრულების გამო განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. ყოფილ იუგოსლავიაში კონფლიქტი მთელ ბალკანეთის რეგიონში გავრცელების საფრთხის ქვეშ იყო, ხოლო საბჭოთა იმპერიის დაშლამ ამ მხარეში ძალაუფლების ვაკუუმი შექმნა. მის მოვალეობაში შედიოდა ახალი ევროპის დამშვიდება, რასაც შალიკაშვილმა თავი წარმატებით გაართვა. შესაბამისად, მისი პოპულარობაც არნახულად გაიზარდა და როდესაც გენერალმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ აპირებდა გადადგომას გაერთიანებული შტაბის უფროსის თანამდებობიდან, პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა კონგრესს მის ნაცვლად შალიკაშვილი შესთავაზა. 1993 წლის სექტემბერში სენატში დასტურის მოსმენების შემდეგ, შალიკაშვილი ერთხმად დაამტკიცა სენატმა 1993 წლის 5 ოქტომბერს და ამით ჯონი გახდა პირველი ემიგრანტი, რომელსაც ეკავა უმაღლესი სარდლის თანამდებობა აშშ-ს არმიაში და იყო შტაბის პირველი ხელმძღვანელი, რომელიც არ დაბადებულა შეერთებულ შტატებში.⁹

ჯონი ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატები უნდა ყოფილიყო „ძალიან შერჩევითი“ თავისი ძალების განლაგებისას და უნდა ჩაერთულიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესები გამოვლინდებოდა, ყველა სხვა ვარიანტი კი მისი სამხედროების ჩაურევლობას ნიშნავდა, ვინაიდან სხვაგვარი მოქმედება შესაძლოა საბეზარო გამოხდარიყო ისედაც არეულ აღმოსავლეთ ევროპაში. შალიკაშვილს, როგორც თავჯდომარეს, აკრიტიკებდნენ კლინტონის აღმინისტრაციასთან ერთად იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს ვერაჯერი 1994 წლის რუანდის გენოციდის გამო. თუმცა, აშშ-ს ძალებმა, ნატოს მეთაურობით, მთავარი

7 John Malchase David Shalikhshvili <https://www.jcs.mil/About/The-Joint-Staff/Chairman/General-John-Malchase-David-Shalikhshvili/>

8 John Shalikhshvili United States Army officer <https://www.britannica.com/biography/John-Shalikhshvili>

9 იქვე.

როლი შეასრულეს ბოსნია-ჰერცეგოვინაში მცირე მშვიდობის შესანარჩუნებლად და ეს მისია იყო მისი გაერთიანებული მეთაურების ხელმძღვანელობის პერიოდის ერთ-ერთი მთავარი წარმატება.

1995-1996 წლებში, ტაივანის სრუტის მესამე კრიზისის დროს, შალიკაშვილი მეთაურობდა აშშ-ს საზღვაო ძალებს ტაივანის დასახმარებლად.

ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის მმართველობის წლებში ცენტრალური სტრატეგიული საკითხს ნატოს მომავლის საკითხი წარმოადგენდა, რომელიც აშშ-ს ევროპასთან ურთიერთობის საყრდენი იყო. ამერიკული გაზეთის, „New York Times“-ის მიხედვით, იგი იყო „ინტელექტუალური ნათლია“ პროგრამისა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ვარშავის პაქტის ქვეყნების ყოფილ წევრებთან. ჯონი მიიჩნევდა, რომ აშშ-ს ინტერესებისთვის არსებითი იყო სიცოცხლისუნარიანი ნატო. შალიკაშვილი ფიქრობდა, რომ მისი თანდათანობითი გაფართოება იყო „ეკონომიური სადაზღვევო პოლიტიკა“ ევროპის სტაბილურობის შესანარჩუნებლად. სწორედ აქედან გამომდინარე, **1997** წლის ივლისში ალიანსმა მხარი დაუჭირა უნგრეთის, ჩეხეთის და მის დაბადების ადგილის – პოლონეთის წევრობას ¹⁰.

1997 წლის **30** სექტემბერს გენერალი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი პენსიაზე გავიდა, რითაც დაასრულა თავისი მოღვაწეობის **38** წლიანი ისტორია. კარიერის შემდეგ ის გახდა მინვეული პროფესორი სტენფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ცენტრში და მუშაობდა კონსულტანტად მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიაში. მან მნიშვნელოვანი ძალისხმევა დაუთმო შეერთებულ შტატებს, რუსეთსა და ჩინეთს შორის სამხედრო ურთიერთობების გაჯანსაღებას. შალიკაშვილი ასევე მუშაობდა არაერთი კორპორაციისა და არაკომერციული ორგანიზაციის საბჭოში.

ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი გარდაიცვალა ტაკომაში, ვაშინგტონი, **2011** წლის **23** ივლისს, **75** წლის ასაკში.

ამრიგად, ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის ხანგრძლივი მოღვაწეობა საკმაოდ რთულად გასავლელი იყო ტიპური ემიგრანტისთვის. გადალახულმა სირთულეებმა მის ხასიათზე დიდი კვალი დატოვა. ბავშვობიდანვე გადატანილმა მრავალმა ტკივილმა მტკიცე ხასიათი ჩამოუყალიბა, რაც აისახა მის მიზანდასახულობაში. შესაბამისად, შეერთებულმა შტატებმა კიდევ ერთი ის არაჩვეულებრივი ქართველი მიიღო, რომელმაც ქვეყნის ყოველდღიურობაზე დიდი გავლენა იქონია და გარკვეულწილად დღის წესრიგი შეცვალა კიდევ. ასე რომ, ამ ადამიანის სახელი და საქმეები ყოველთვის ყველგან აქტუალური იქნება.

10 John Malchase David Shalikhshvili <https://www.jcs.mil/About/The-Joint-Staff/Chairman/General-John-Malchase-David-Shalikhshvili/>

NIKOLOZ BURJANADZE

General John-Malkhaz Shalikhshvili

Summary

The Georgian diaspora has always had distinguished emigrants who worked successfully in many parts of the world. We can say this especially about the United States of America, where many Georgians have left a big mark on this country. Aleksandre Kartvelishvili, George Balanchini, George Kobe, Tamar Tumanishvili, Otar Zaldastanishvili, John-Malkhaz Shalikhshvili, this list is incomplete. However, for now, we will focus on one outstanding person, John-Malkhaz Shalikhshvili, a general of Georgian-German noble origin.

He was born in 1936 in Poland. Father, Dimitri Shalikhshvili, was a soldier, mother, Maria Rüdiger-Belyaevova, was a princess of German origin. Shalikhshvili's family went through great difficulties in his youth. Having endured the aggression of Nazi Germany, the refugees barely made it to the USA, where they settled in 1952 and began to live as citizens of this country. It was at this time that John decided to arrange a career in the army. He showed great talent in his work and after 10 years of service in the army, he started studying at the War College. In the 1970s, his career developed even more rapidly, along with mastering his professional activities, he was assigned to the European part of the US Army. It was this event that turned out to be a turning point in his career. He served the rest of his time in Germany, also dealing with Eastern European affairs. All of the latter led him to the point that in the early 90's he was appointed as the commander of the NATO and United States military forces. It was the first time that a US general became an immigrant. Based on these facts, we can say that Shalikhshvili was a person who stood out from everyone and everything with an amazing character, charisma and indomitable character.

ჟურნალი „ჩვენი გზა“ და მისი მნიშვნელობა ამერიკის ქართული ემიგრაციისთვის

1921-1991 წლებში საქართველო კომუნისტური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი იმ სირთულეების შესახებაც, რომლებიც ქართველ ხალხს გადახდა მთელი ამ პერიოდის მანძილზე, მათ შორის ერთ-ერთი იყო სამშობლოდან შორს გადახვეწა. ქართველები მიდიოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზის გამო და მათი ერთ-ერთი საცხოვრისი ამერიკის შეერთებულ შტატები გახდა.

საინტერესოა, თავად ამერიკელებს რა წარმოდგენა ჰქონდათ საბჭოთა საქართველოზე. ინტერესდებოდნენ თუ არა ამ თემით და რა ინერებოდა ან კეთდებოდა ქართველების მხრიდან ამის შესახებ. როგორ ცდილობდნენ ისინი ამერიკის საზოგადოებრივი აზრის კეთილგანწყობისა და თანადგომის მოპოვებას.

რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში კარგად იცოდნენ, რა ვითარება იყო საქართველოში, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის საკითხს დიპლომატიურად უდგებოდნენ. მეორეს მხრივ, ქართული ემიგრაცია ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ უფრო მეტი ხმა მიეწვდინა „თავისუფალი სამყაროსთვის“. ამ საკითხზე საუბრისას, აუცილებელია შევეხებოთ ჟურნალს „Our Path“ – „ჩვენი გზა“, – ჰექტოგრაფზე დაბეჭდილ, ორენოვან ქართულ-ინგლისურ პერიოდულ ორგანოს, რომლის გამომცემელიც იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკული საბჭო“.

ზოგადად, მეორე ტალღის ქართული ემიგრაცია აქტიურად ინტერესდებოდა სოციალურ-პოლიტიკური საკითხებით. ეს ნაწილობრივ გამოწვეული იყო ცივი ომითაც. შემთხვევითი არ არის, რომ 1950-1955 წლებში ქართველმა ემიგრანტებმა სამი პოლიტიკური ორგანიზაცია დააარსეს: 1. „1950 წელს – ქართველ-ამერიკელთა ლიგა“; 2. „სსრკ ხალხების განმათავისუფლებელი ამერიკული კომიტეტი“; 3. „ქართველთა დემოკრატიული კავშირი“. სამივეს მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, მისი გათავისუფლება იყო. ამის მიღწევაში კი ამერიკული საზოგადოებრივი აზრის კეთილგანწყობის მოპოვებას სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ორგანიზაციები, რომელთა მოღვაწეობა შესწავლილი აქვს რუსუდან დაუშვილს ნიგნში „ქართული ემიგრაცია ამერიკაში“, ხსენებულ საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ.¹

ჩვენი განხილვის საგანია „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ ჟურნალი „ჩვენი გზა“. ორგანიზაციას თავდაპირველად „ქართველთა დემოკრატიული კავშირი“ ეწოდებოდა, თუმცა მან სახელი შეიცვალა, რათა ამერიკელებიც ჩაბმულიყვნენ ორგანიზაციის მუშაობაში. მისი თავმჯდომარე ი. გაუონია იყო. ჟურნალი „ჩვენი გზა“ 1953-1961 წლებში გამოდიოდა. გამოვიდა სულ 5 ნომე-

1 რ. დაუშვილი „ქართული ემიგრაცია ამერიკაში“, თბ., 2014, გვ.60-65.

რი: 1953 წლის იენისში N1, იელისში N2, 1954 წლის მარტში N3, 1955 წლის მაისში N4 და 1961 წლის მაისში ბოლო – N5. ჟურნალი საშუალო ფორმატისაა, მომწვანო-მოციხფრო თხელი ყდა აქვს და 18-20 გვერდს შეიცავს. მისი რედაქტორი გახლდათ მეორე ტალღის ემიგრანტი, გივი კობახიძე – მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილი ექიმი. ის ქართველ საზოგადოებას პირველად გურამ შარაძემ გააცნო.²

გივი კობახიძე 1949 წელს ამერიკაში გადავიდა და ძალიან აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს საკითხის პოპულარიზაციაში. არის მრავალი ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ პოეტური ნაშრომის ავტორი. ასწავლიდა ქართულ ენას, როგორც ქართველებს ასევე ამერიკელებსაც. მისი წყალობით რამდენიმე პიროვნებამ დაიცვა სადოქტორო ნაშრომიც. ყველაფერთან ერთად, იყო მკვლევარი, პოეტიცა და ჟურნალისტიც. ჟურნალ „ჩვენი გზაშიც“ არაერთი სტატიის ავტორია, თუმცა ამ გამოცემაში ასევე იბეჭდებოდა სხვათა პუბლიკაციები.

„ჩვენი გზაში“ გამოქვეყნებული სტატიები მრავალფეროვანია შინაარსობრივად. მათში გაშუქებულია საქართველოს კულტურა, წერდნენ თამარ მეფის, რუსთაველის, ქართული ფოლკლორისა და ხელოვნების შესახებ. ასეთი ხასიათის წერილები განკუთვნილი იყო ამერიკელთათვის, რათა მათთვის გაეცნოთ ჩვენი უძველესი კულტურა. ასევე არის ნეკროლოგები, ახალი ამბები, პოლიტიკური ხასიათის ტექსტები, რომლებშიც ძირითადად საუბარია საქართველოს უფლებებსა და საბჭოთა კავშირის მიერ შექმნილ საფრთხეზე, რომელიც არა მარტო საქართველოს მსგავს პატარა ერებს, არამედ მთელ მსოფლიოს ემუქრებოდა. ისინიც ამერიკელებისათვის ინერებოდა, რადგან რაც მათში წერია, ყველა ქართველმა მშვენივრად იცოდა.

წინამდებარე სტატიებში ვისაუბრებთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ჟურნალს და რა მიზანს ემსახურებოდა იგი.

თავად ჟურნალშივე ძალიან კარგად არის ახსნილი, თუ რა მისწრაფება გააჩნდა ამერიკაში მყოფ ქართულ ემიგრაციას:

“Union in the battle for the liberation of Georgia from Bolshevism- this is the holy aim of our aspiration”³ („გაერთიანება ბოლშევიზმისგან საქართველოს განთავისუფლებისთვის – ეს არის ჩვენი მისწრაფების წმინდა მიზანი“).

ჟურნალში დაბეჭდილ პუბლიკაციებში მკაფიოდ ჩანს, რა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს გრძნობდნენ ქართველი ემიგრანტები როგორც თავიანთი სამშობლოს, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. ჟურნალის იმ გვერდზე, რომელსაც ჰქვია “From the Editors“, შემდეგია ხაზგასმული: „...ბევრი ადამიანი სამართლიანად საუბრობს, პრაქტიკული თვალსაზრისით კი ძალიან ცოტას აზორციელებს. ჩვენი სიტყვები საქმით უნდა გავაძლიეროთ. სამწუხაროდ, ჩვენ, შტატებში მცხოვრებ ქართველებს, არ გვქონია შესაძლებლობა დაგვეყენებინა ქართული საკითხი საკმარისად მაღალ დონეზე“.⁴ ამის მიზეზად ავტორი ასახელებს იმ ფაქტორს, რომ 1948 წლამდე შტატებში ბევრ ქართველი ემიგრანტი არ იმყოფებოდა და თან ამასთან, ცოტა მათგანი თუ ინტერესდებოდა სოციალურ-პოლიტიკური საკითხებით. მისი თქმით, 1948 წლიდან ეს სიტუაცია იცვლება, რადგან ასობით ქართველი ჩამოდის ჩრდილოეთ ამერიკაში და მათ შორის ბევრია ისეთი, ვინც ინტერესდება სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებით. ეს ჟურნალიც ერთ-ერთი

2 გ. შარაძე, გივი კობახიძე, – უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II, თბ., 1993, გვ. 223-307.

3 Editorial – “Our Path”, N1-2, 1953, p.4

4 From the Editors – “Our Path”, N1-2, 1953, p.1

ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ შეეძლოთ ჩასულ ემიგრანტებს გაერთიანებულიყვნენ საერთო მიზნისა და იდეის გარშემო.

ჟურნალის პირველი ნომრის შესავალში ნახსენებია, რომ 1926 წლის 1-2 აპრილს, ვასილ დუმბაძემ დააყენა საკითხი კონგრესში საქართველოს ეროვნული უფლებების შესახებ, თუმცა კონგრესს ამ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილება არ მიუღია. სტატიის მიხედვით აშკარად იგრძნობა მოტივირებული განწყობა, რომ დროა ქართველებმა უფრო მეტად მიაწვდინონ ხმა ამერიკელებს.

გამომდინარე იქიდან, რომ გავეცანი ჟურნალში დაბეჭდილ სხვადასხვა სტატიას, ვფიქრობ, ნამდვილად შეუძლებელია არ დაფასდეს ის შრომა, რაც ამ ადამიანებმა გასწიეს აღნიშნულ პერიოდში. ფაქტობრივად, ეს ჟურნალი უქმნიდა ამერიკელებს წარმოდგენას ქართველებზე, როგორც ერზე, წარმოდგენას წითელ რუსეთსა და მის მზაკვრულ პოლიტიკაზე; საუბრობდა საქართველოში არსებულ პრობლემებზე – იქნებოდა ეს ეკონომიკური თუ კულტურული; შეუქდებოდა სხვადასხვა სიახლე; ჟურნალი აგრეთვე წერდა იმ პიროვნებებზეც, რომლებიც იღვწოდნენ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სტატიამ შემდეგი სათაურით: „აკადემიური თავისუფლება საბჭოთა რეჟიმის ქვეშ – ლტოლვილ მკვლევართა და მეცნიერთა სიმპოზიუმი“ 1954 წლის 3-4 აპრილს.

პუბლიკაცია რელიეფურ წარმოდგენას უქმნის მკითხველს იმ შეზღუდვების შესახებ, რომლებსაც საბჭოთა რეჟიმი პირდაპირ თუ ირიბად უწესებდა ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს.

გაშუქებულია პირველი ტალღის ემიგრანტის, ალექსანდრე ცომაიას მოხსენება „აკადემიური თავისუფლება საქართველოში“ და კრიტიკულადაა განხილული მასში გადმოცემული რამდენიმე დეტალი. თავად ალექსანდრე ცომაია პროფესიით ინჟინერი იყო, თუმცა დღეს ის უფრო ცნობილია, როგორც ქართველი პუბლიცისტი.⁵ ალექსანდრე ცომაია შტატებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხვდა და დაიწყო აქტიური პუბლიცისტური საქმიანობა, რათა გაეცნო ამერიკული საზოგადოებისთვის თავისი სამშობლო. ის გახლდათ ინგლისურენოვანი ჟურნალის „თავისუფალი საქართველოს ხმის“ („The Voice Of Free Georgia“) რედაქტორი. იყო ასევე ყოველთვიური გაზეთის „ქართული აზრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი.

როგორც სტატიის ავტორი (სავარაუდოდ, გივი კობახიძე) წერს, ალექსანდრე ცომაია აქ არ უსვამს ხაზს იმ სირთულეებს, რომლებიც რეალურად არსებობს ქართულ აკადემიურ სივრცეში საბჭოური რეჟიმის გამო. ის ამის სავარაუდო მიზეზად იმ ფაქტს ასახელებს, რომ ალექსანდრე ცომაია საქართველოში 1920-იან წლების მერე აღარ იმყოფებოდა, შესაბამისად, მან შესაძლოა არ იცოდა, რა ვითარება იყო ამ მხრივ მის სამშობლოში 1930-40-იან წლებში და შესაბამისად, მისი სტატიის დეტალები არ არის ბოლომდე გამართული ფაქტობრივი სიზუსტით. ავტორის თქმით, ქართული ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება – ეს ის დარგებია, რომელთა გამოც არაერთი ადამიანი გახდა რეპრესიის მსხვერპლი 1930-იან წლებში.

სტატიის ავტორი უსწორებს ალექსანდრე ცომაიას მცდარ ინფორმაციას ივანე ჯავახიშვილის შესახებ, სადაც საუბარია, რომ მან დაკარგა არამხოლოდ რექტორის თანამდებობა, არამედ ისტორიის კათედრაც. ავტორის თქმით, ეს სიმართლეა, თუმცა ჯავახიშვილმა კვლავ მიიღო ისტორიის კათედრა რამდენიმე წლის შემდეგ

5 ალ. ცომაია, რჩეული თხზულებანი, თბ., 2000.

და, ზოგადად, ის იყო მეცნიერი, რომელსაც ბოლშევიკები პირდაპირ ვერ მტრობდნენ, რადგანაც ემინოდათ ქართველი მეცნიერებისა და ხალხის რეაქციის. ჯავახიშვილი ისტორიის კათედრაზე კვლავ დაბრუნდა, თუმცა ბოლშევიკებმა მას წაუყენეს პირობა, რომ დაენერა ახალი ისტორია მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაციით, რაზეც მან მტკიცე უარი განაცხადა და გააგრძელა თავისი საქმიანობა. შესაბამისად, ცომიას სიტყვები იმის შესახებ, რომ თითქოს ჯავახიშვილმა თანხმობა განაცხადა მისი ნამუშევრების ხელახლა გადანერასა და შესწორებაზე, არ შეესაბამება სიმართლეს. ავტორს არგუმენტად მოჰყავს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ბოლშევიკები ჯავახიშვილს „ბურჟუაზიულ ნაციონალისტს“ უწოდებდნენ, რაც სწორედ მისი ნამშრომებით იყო განპირობებული. ამრიგად, ცომიას სტატია და ფაქტები ურთიერთგამომრიცხავია.

სტატიაში ასევე საუბარია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“. ავტორი აქაც კრიტიკულად განიხილავს ცომიას სიტყვებს, რომ ეს პოემა არის განსაკუთრებული არამხოლოდ ქართული, არამედ ევროპული სამყაროსთვისაც და რომ 1937 წელს საბჭოეთში შოთა რუსთაველის 750 წლისთავი აღინიშნა და ხელახლა გაცოცხლდა იგი. სტატიის მიხედვით, ცომიას ეს სიტყვები ფაქტობრივი თვალსაზრისით სწორია, თუმცა ის მოკლებულია იმ მთავარ იდეას, რის გამოც მოხდა რუსთაველის „გაცოცხლება“. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეები ამტკიცებდნენ, რომ შოთა რუსთაველის ყველა ის პრინციპი, რომელიც ხაზგასმულია „ვეფხისტყაოსანში“ რეალობად იქცეოდა ბოლშევიკურ სამყაროში. ამის მაგალითად ავტორს მოჰყავს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი, რომელიც თუ XII საუკუნეში გაშუქდა, ფრთები უკვე ბოლშევიკების მოსვლის შედეგად შეისხა...

სტატიის მიხედვით, ანალოგიური ვითარება იყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის შემთხვევაში. თავიდან ყველა მათგანი იდეენობდა, თუმცა შემდეგ შეეცადნენ მათი შემოქმედების იმგვარ ინტერპრეტაციას, რომელიც საბჭოთა რეჟიმისათვის იყო ხელსაყრელი.

ძალიან საინტერესოა ამ სტატიის ბოლო ნაწილი, სადაც ხაზგასმულია, რომ ამერიკელებს აქვთ შანსი გაეცნონ ქართულ კულტურასა და ცხოვრებას და რომ ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. აქ ავტორი გამოთქვამს სურვილს, რომ მომავალში რაც შეიძლება მეტი ქართველი ემიგრანტი ჩაერთოს ამ საქმეში, მითუმეტეს, როდესაც ბევრი მათგანი ძალიან კარგად ერკვევა და იცის, თუ როგორია ინტელექტუალთა ცხოვრება საბჭოთა რეჟიმის პირობებში ⁶...

ზემოგანხილული სტატია მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი: 1) ის კრიტიკულად განიხილავს დეზინფორმაციას; 2) არ იგრძნობა შიში საბჭოთა რეჟიმის მიმართ; 3) პირდაპირ და ნათლად არის წარმოდგენილი სწორი ინფორმაცია და, რაც ყველაზე მთავარია – 4) სტატია წარმოდგენას უქმნის ამერიკელებს როგორც საბჭოური რეჟიმის პირობებში არსებულ ქართულ აკადემიურ სივრცეზე, ასევე თავად ქართული ემიგრაციის დამოკიდებულებაზე მის მიმართ.

შურნალში არის ასეთი წერილიც სახელწოდებით: „ეკონომიკური კრახი ოკუპირებულ საქართველოში“, სადაც გაშუქებულია არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. სავარაუდოდ, ამ სტატიის ავტორიც გივი კობახიძე უნდა იყოს. მასში საუბარია იმ გეგმებზე, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო ქართველი ხალხისთვის, მაგ-

6 Academic Freedom under the Soviet Regime - A Symposium of Refugee Scholars and Scientists, April 3-4, 1954 – “Our Path”, 1955, N4. p. 24.

რამ არ შესრულებულა, როგორცაა, მაგალითად, შენობათა კონსტრუირების, გზების მშენებლობის საკითხი და ასე შემდეგ. ყურადღებაა გამახვილებული ქართულ მეურნეობაზეც – რომ ძალიან რთული გახდა საქართველოში საქონლის მოშენება; რომ კოლმეურნეობა ამ მხრივაც რეგრესულია. ასევე აღნიშნულია, რომ საქართველო ჩაის 95%-ს აწარმოებს საბჭოთა ბაზარზე. ჩაის სეზონი ემთხვევა ისეთი კულტურების მოსავლიანობასაც როგორცაა, მაგალითად, სიმინდი, ციტრუსი, თამბაქო. შესაბამისად, ეს ქმნის მუშახელის ანუ ფერმერთა ნაკლებობასა და დეფიციტს.⁷

პუბლიკაციაში სათაურით „საქართველოს უფლებები“ – დასმულია ერთგვარი რიტორიკული კითხვა: „რა სურთ ქართველებსა და სხვა კავკასიელ ხალხს თავისუფალ სამყაროსგან, პირველ რიგში ამერიკისგან?“⁸ ავტორი პასუხს თავადვე სცემს ამ კითხვას და აღნიშნავს, რომ ეს არის გათავისუფლება რუსული იმპერიალიზმისგან, რომ მათ არ სურთ დარჩნენ ერთ ორბიტაზე რუსეთთან ერთად ბოლშევიზმის დამხობის შემდეგაც...

ჟურნალში სხვა მრავალ თემაზეა ყურადღება გამახვილებული, რომელთა განხილვაც ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია, თუმცა დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ჩვენი გზა“ აუცილებლად უნდა ნახოს ყველა ქართველმა, რათა კარგად გავაცნობიეროთ, რომ ემიგრაციაში ყოფნა არ ნიშნავდა გულხელდაკრეფილ ცხოვრებას. ამ გამოცემის მესვეურები შორიდანაც კი იმისთვის იღვწოდნენ, რომ თუ არა მათ, მომავალ თაობას მაინც ჰქონოდა თავისუფალი სახელმწიფო... და თუ როგორი უნდა ყოფილიყო მათი სამშობლო, ამას ალბათ თავად სტატიების მაგალითზეც ძალიან კარგად ხედავდნენ.

ამრიგად, ჟურნალს „ჩვენი გზა“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი ქართული ემიგრაციისთვის, დასახული მიზნების მიღწევისა და ერთიანი სულისკვეთების შენარჩუნებაში. მეორეს მხრივ, ამ პერიოდულ გამოცემას დიდი დატვირთვა აქვს ასევე საქართველო-ამერიკის ურთიერთობის კონტექსტშიც. ის მრავალმხრივ საგულისხმო და ინფორმატიულია ყველა მიმართულებით, რასაც მკითხველი ცხადად იგრძნობს ჟურნალის კითხვისას.

MARIAM GOGIA

The Magazine "Our Path" and Its Importance for Georgian Emigration in the United States

Summary

From 1921 to 1991, Georgia was part of the Soviet Empire. During this period, Georgians faced many hardships. Many talented and educated Georgians were forced to leave their homeland. A significant portion of the Georgian emigrants moved to the United States. The second wave of Georgian emigration in the United States was active in raising awareness about Georgia's issues and preparing the American public to understand them. By founding several organizations, engaging

7 Economic Failure In Occupied Georgia – "Our Path", N4, 1995, p. 25.

8 The Rights Of Georgia – "Our Path", N4, 1995, p. 1.

in public work, and establishing newspapers and magazines, they often gave a voice to the Georgian cause in America.

The bilingual (Georgian-English) magazine "Our Path", published in New York from 1953 to 1961, covered a wide range of important issues. The articles in "Our Path" were diverse in content, addressing Georgia's culture and the socio-political problems of the time. The authors also wrote about King Tamar, Rustaveli, Georgian folklore, and art. The publisher of "Our Path" was the American Council for the Independence of Georgia, chaired by I. Gadzhonia. The magazine's editor was Givi Kobakhidze, a Georgian doctor, writer, researcher, historian, poet, journalist, and teacher. His biography is diverse and interesting in many ways, and his contribution to promoting the Georgian cause was significant. Our goal is to inform the audience about the purpose of the magazine and its importance for Georgia's future.

One of the notable articles in the magazine is titled "Academic Freedom Under the Soviet Regime – A Symposium of Refugee Scholars and Scientists; April 3-4, 1954." This article provides an important perspective on the restrictions that the Soviet regime imposed, either directly or indirectly, on Georgian writers and scientists. The article by Aleksandre Tsomaia is also critiqued, and the historical reality in Georgia is presented as an example.

Another article in the magazine is titled "Economic Failure in Occupied Georgia," which highlights several important issues. It discusses the plans that were supposed to benefit the Georgian people but were never realized, such as building construction and road development, among other things. Significant attention is also given to Georgian agriculture.

The magazine was of great importance to the Georgian emigration of the time, helping them achieve their goals and maintain a sense of unity. On the other hand, it also had a significant impact on the context of Georgia-US relations. The magazine is meaningful and informative in many ways, as the reader will certainly feel while reading it.

აკაკი ჩხენკელი და ტუბერკულოზით (ჭლექით) ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტი პარიზში

„მაშ, უფლება საქართველოსი არის უდავო და უუჭველი, მაგრამ როგორც შეიძლება უფლების შექენა, ისე შეიძლება მისი დაკარგვაც. უფლებას უნდა დაცვა. თუ იგი შელახულია, იმას უნდა აღდგენა“, – გიორგი გვაზავას ეს სიტყვები 1926 წელს გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ გამოქვეყნდა.¹ სულ რაღაც ხუთი წელი იყო გასული საქართველოს გასაბჭოებიდან, ჩვენი მთავრობა კი ემიგრაციიდან ცდილობდა საქართველოს შელახული უფლებების აღდგენას.

1921 წლის მარტში გრიგოლ ლორთქიფანიძემ და მამია ორახელაშვილმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც წყდებოდა საომარი მოქმედებები, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველო ბოლშევიკთა მმართველობას ცნობდა. მთავრობა არ გადამდგარა, ის ბრძოლის გასაგრძელებლად, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, უცხოეთში გაიხიზნა. ამის თაობაზე, „დამოუკიდებელ საქართველოში“ 1926 წლის თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა შემდეგი: როდესაც ლენინს საქართველოში წითელი არმიის შესვლისა და ნოე ჟორდანია მთავრობის ემიგრაციაში წასვლა მოახსენეს, ამბობენ, თითქოს პუგაჩევის შეილიშვილს უთქვამს: „მაშ, საქართველო ვერ აგიღიათ!“ როგორც იქვეა მიწერილი, შეიძლება ეს სულაც ისტორიული ანეგდოტია, თუმცა „მნიშვნელობა ისტორიული ანეგდოტებისა ის არის, რომ მათში მუდამ ეპოხის საღი აზრია აღწესხული“.²

ემიგრაციაში აღმოჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი და შემდგომ ელჩი ევროპაში აკაკი ჩხენკელიც. იგი აქტიურად იღწვოდა საქართველოს შელახული უფლებების აღსადგენად და ჩაბმული იყო საფრანგეთში ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. აკაკი ჩხენკელის შესახებ უკვე არაერთი პუბლიკაცია არსებობს, გამოიცა მისი „დღიურების“ ორი ტომი და სხვა, მაგრამ ამ პიროვნების ღვაწლი თავისი ქვეყნის წინაშე ბოლომდე შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის.

აკაკი ჩხენკელის ისედაც შინაარსიან და საინტერესო ბიოგრაფიას ახალ შტრიხებს სძენს ემიგრაციაში მისი საზოგადოებრივი საქმიანობის ნაკლებად ცნობილი ფაქტები. წინამდებარე სტატია ერთ-ერთ ასეთ ფაქტს წარმოაჩენს.

აკაკი ჩხენკელი დაიბადა 1874 წელს სოხუმის ოკრუგის სოფელ ოქუშში, ხუთშვილიან ოჯახში. სწავლობდა ხონის სკოლაში. ჩააბარა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს 1893 წლის „საყოველთაო გაფიცვის“ გამო. 1896-1901 წლებში სწავლობდა კიევის, მოსკოვის, პეტერბურგის უნივერსიტეტებში იურიდიულ ფაკულტეტზე. 1902-1904 წლებში მუშაობდა ადვოკატად სოხუმის

1 გ. გვაზავა, საერაშორისო სამართალი, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1926, N1, იანვარი, გვ. 2.
2 შ. ამირეჯიბი, 25 თებერვლის შემდეგ, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1926, N2, თებერვალი, გვ. 1.

ოკრუგში და სტატიებს წერდა რუსულ და ქართულ პრესაში სხვადასხვა ფსევდონიმით: „ანინი“, „პ.ოქუშელი“, „ნინწყალი“ და ა.შ. ის კავკასიიდან გაასახლეს იმის გამო, რომ რუსეთის მიერ ანტიქართული პოლიტიკის გატარების წინააღმდეგი იყო. 1905-1910 წლებში ევროპაში მუშათა მოძრაობას, ეროვნულ საკითხებს სწავლობდა, ესწრებოდა კონფერენციებს. 1907 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტი დაასრულა და სწავლა შენევაში განაგრძო. 1909 წელს დაბრუნდა საქართველოში და ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებს. 1910 წელს მეტეხის ციხეში ჩასვეს, გადასახლეს დონის როსტოვში, მაგრამ გაქცევა მოახერხა და საქართველოში დაბრუნდა. 1912 წელს ის ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან და სოხუმის ოკრუგიდან რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათავთბიროს დეპუტატად აირჩიეს. გამორჩეულია მისი როლი „სახელმწიფო ღალატის“ ბრალდებით რეპრესირებულ აჭარელ მუსლიმთა დაცვის საქმეში 1915-1916 წლებში.

1917 წელს, რუსეთში მომხდარი თებერვლის რევოლუციის შემდეგ, დროებითა მთავრობამ აკაკი ჩხენკელი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) წევრად დანიშნა და შინაგან საქმეთა უწყება ჩააბარა. „1917 წლიდან მოყოლებული, ვიდრე 1921 წელს იძულებით ემიგრაციაში აღმოჩნდებოდა, საქართველოში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, ეროვნულ-პოლიტიკური თუ კულტურული მოვლენა, რომლის შემოქმედი, აქტიური მონაწილე ან მხარდამჭერი აკაკი ჩხენკელი არ ყოფილიყო.“³ სათავეში ედგა „ინტერპარტიულ საბჭოს“, ამიერკავკასიის კომისარიატში ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა. როდესაც 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა ჩამოყალიბდა, მისი მთავრობის თავმჯდომარედ აკაკი ჩხენკელი აირჩიეს (პარალელურად, ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სამინისტროსაც).

იყო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე და 1918 წლის 8 თებერვალს სეფე სიტყვა წარმოთქვა თბილისის უნივერსიტეტის გახსნისას. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს აკაკი ჩხენკელს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრობა მიენდო. 1919 წლის მარტში, არჩევნების შემდგომ ის დამფუძნებელი კრების წევრი გახდა⁴ და ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას.

საბჭოთა ანექსიამდე აკაკი ჩხენკელი საფრანგეთში ელჩად იყო წარგზავნილი. ოკუპაციის შემდეგაც მან განაგრძო საქმიანობა პარიზში, იყო ქართული ლეგაციის ხელმძღვანელი. 1921 წლის დასაწყისში აკაკი ჩხენკელი დაინიშნა ქვეყნის სრულუფლებიან წარმომადგენლად არა მარტო პარიზში, არამედ რომსა და ლონდონში, ასევე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში.

შედიოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროში, აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ გამოცემებთან, იყო საფრანგეთში ქართული სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარე.⁵

1922 წლის აპრილში ხელმძღვანელობდა გენუის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციას, შემდგომ წლებში განაგრძობდა დიპლომატიური მოღვაწეობას, ვიდრე საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, პარიზში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი მთავ-

3 ო. ჯანელიძე, აკაკი ჩხენკელი. <https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Geo-3379.pdf>

4 ს. ჭანტურიძე, ა. ვაჭარაძე, აკაკი ჩხენკელი, თბ., 2022, გვ. 82.

5 ო. ჯანელიძე, აკაკი ჩხენკელი. <https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Geo-3379.pdf>

რობის ლეგაცია გაუქმდებოდა. გარდაიცვალა 1959 წელს და დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

საელჩოსა და საფრანგეთის ხელისუფლებებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების მიუხედავად, რომლებიც ლტოლვილთა შრომით მონყობაზე ზრუნავდნენ, საფრანგეთში ქართველ ემიგრანტთა მდგომარეობა არცთუ სახარბიელო იყო. თუმცა გაზეთი „კომუნისტი“ 1926 წლის 24 იანვრის ნომერი საპარისპიროს გვამცნობს, რომ „ემიგრაციის ზედა ფენები თავს კარგად გრძობენ, მათ საცხოვრებელ საშუალებას წარმოადგენს განძეულობის გაყიდვიდან აღებული ფული (მათ აიძულეს ე. თაყაიშვილი გამოეტანა სალაროდან მიზარებული განძეულობის ნაწილი და გაეყიდა)“,⁶ რეალობა კი სულ სხვა იყო – ქართველთა უმეტესობა ძალიან ცუდ მდგომარეობაში ცხოვრობდა. „დიდი დეპრესიის“ უამს ბევრმა სამსახური დაკარგა და ის მცირე საარსებო საშუალებაც მოესპოთ, რაც მანამდე ჰქონდათ. ემიგრანტებში ტუბერკულოზმა იმძლავრა. მუდმივად ქვეყნდებოდა გაზეთებში გარდაცვლილთა ვინაობა, მათ შორის იყვნენ: „...მიშა კახიანი, კუკური კეკელიძე, მხატვარი შალვა ქიქოძე, ოფიცერი ჯოტო ემუხვარი, რომ დაავადებულნი მრავალნი არიან და მათზე ზრუნვისათვის საგანგებო ორგანიზაციაა საჭირო“.⁷

აკაკი ჩხენკელის ინიციატივით, 1929 წლის 3 მარტს დაარსდა „ტუბერკულოზით (ჭლექით) ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტი“, რომელსაც ქართულ ემიგრანტულ პრესაში ზოგჯერ „ჭლექიანთა დამხმარე საზოგადოებასაც“ უწოდებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქველმოქმედო ორგანიზაციას რამდენიმე წლით წინ უსწრებდა მსგავსი, „ქართველ ექიმთა კავშირის“ შექმნა. ამ ორგანიზაციაში, რომლის შესახებაც ინფორმაცია ჟურნალ „დამოუკიდებელი საქართველოს“ 1926 წლის მარტის ნომერში გამოქვეყნდა,⁸ 15 კაცი შედიოდა. მათ შორის, კოლონიის თავმჯდომარე ვახტანგ ლამბაშიძე და მდივანი ანტონ ჟორჟოლიანი. მათი მიზანი პარიზში მყოფი ქართველებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა იყო.⁹

ტუბერკულოზით გარდაცვლილთა ნეკროლოგების სიხშირემ, აუტანელმა ყოფამ და არსაიდან დახმარების ხელმა აკაკი ჩხენკელს უზიძგა კომიტეტის შექმნისკენ. დიდი ინიციატივა იყო ქალბატონ ინა ჟორდანიას მხრიდან. „ბრძოლის ხმაში“ დაიბეჭდა მისი მოწოდება ქართველებისადმი, რათა ჩაენერონ ორგანიზაციაში და შეიტანონ წვლილი თანამემამულეთა გადარჩენაში. აღნიშნულია, რომ 700 კაციან პარიზის კოლონიაში 15 ავადმყოფი ჰყავთ, მათ შორის 2 უმძიმესი. მოწოდებაში ზუსტად გამოჩნდა ის მდგომარეობა, რამაც ემიგრანტები ასეთ სიტუაციაში მიიყვანა: „ეს მოხდა იმიტომ, რომ ეს საბრალონი, დასუსტებულნი მძიმე მუშაობით ან კვების ნაკლებობით ვერ იჩენდნენ გამძლეობას და ვერ უმაგრდებოდნენ სენს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭიროა სპეციალური პირობები, მოვლა და აქიზობა“.¹⁰

კომიტეტის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს აკაკი ჩხენკელი. 1929 წლის 12 მარტს გამოქვეყნდა ბიუროს შემადგენლობა: თავმჯდომარე – ელენე აფხაზი, თავმ-

6 საუბარი ალფესი ხელაძესთან. მდგომარეობა ემიგრაციაში, გაზ. „კომუნისტი“, 1926, N18, 24 იანვარი.

7 მოწოდება ტუბერკულოზიან ავადმყოფთა დამხმარე კომიტეტისა, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1929, N39, გვ. 5.

8 ქართველ ექიმთა კავშირი, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1926, N3, გვ. 4.

9 რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007, გვ. 141.

10 ი. ჟორდანიას, ჭლექიან ავითმყოფთა დამხმარე კომიტეტი, ჟურნ. „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1930, N5, გვ. 4.

ჯდომარის ამხანაგი – ინა ჟორდანი, თავმჯდომარის ამხანაგი – დავით სხირტლაძე, გენერალური მდივანი – ანტონ ჟორჟოლიანი, ხაზინადარი – ელენე დეკანოზი, წევრები – სოფიო ბაგრატიონ-მუხრანელი, თამარ ვართ-ჰაუზი, გრიგოლ ერისთავი, იაკობ ხოჭოლავა. მითითებულია მათი მისამართებიც. წევრად ჩანენა და შეწირულობების მიტანა ბიუროს ყველა წევრთან იყო შესაძლებელი.¹¹ ორგანიზაციის წესდება შეადგინა დავით შარაშიძემ. თუმცა წესდება ამ კვლევის ფარგლებში ჯერ-ჯერობით მიუკვლეველია.

კომიტეტს სანესღებო თანხა არ გააჩნდა, სახსრები საიდანმე უნდა მოეძიათ, რადგან არსებული მდგომარეობით საკუთარი სანატორიუმის შენახვასაც ვერ შეძლებდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ავადმყოფთა დახმარებაზე. გამოსავალი საქველმოქმედო საღამოების ჩატარებით იპოვეს. 1929 წლის 12 ოქტომბერს სეზონის პირველი საღამო მოეწყო.¹² ამ საღამოს მეშვეობით ხარბინელმა ქართველებმა შეიტანეს ფინანსური წვლილი კომიტეტში, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა შემოწირულობის ყველგან (არა მარტო საფრანგეთში) შეგროვება, თუმცაღა კომიტეტს მხოლოდ პარიზში მყოფ ქართველებზე უნდა ეზრუნა.¹³

1930 წლის ივნისში ინა ჟორდანიამ ახალი მონოდება გამოაქვეყნა, რომ ზაფხულში კომიტეტი საღამოს, რომელსაც 100-200 ფრანკი უნდა შემოეტანა, ვერ გამართავდნენ. 11 ავადმყოფისათვის აუცილებელი იყო სახსრების მოძიება.¹⁴ მონოდებას გამოუხმარუნენ ემიგრანტები და კომიტეტის ანგარიშზე დაიწყეს თანხების ჩარიცხვა.

1930 წლის 8 ნოემბერს გაიმართა სეზონის პირველი საღამო, რომელიც წარმატებით ჩატრდა.¹⁵

„დამოუკიდებელ საქართველოში“ პერიოდულად იბეჭდებოდა ცნობები, თუ საიდან ირიცხებოდა თანხები კომიტეტში. საქართველოს ემიგრაციულმა მთავრობამ 3500 ფრანკი გადარიცხა. ასევე შემოწირულობები იყო ემიგრანტებისგან: ოდენკურიდან, ხარბინიდან, სპარსეთიდან, ვარშავიდან, პრაღიდან.“¹⁶

კომიტეტი არაერთ სხვა ორგანიზაციას დაუკავშირდა – „საქართველოს დამხმარე კომიტეტს“, „საქართველოს მეგობართა საზოგადოებას“ და სხვა და მათი მეშვეობით მართავდა საქველმოქმედო საღამოებს და ღონისძიებებს. მაგალითად, 1931 წლის 16 აპრილის საღამოს ანგარიშში შემომწირველთა შორის მოხსენიებულია ამ ორგანიზაციათა არაქართველი წევრებიც: შ. ქენე, რ. დიუგე, პრინცი მიურატი, მ. მოლინო, ე. პერი, ბ. ჰელმი. ჩამოთვლილია ქართველ შემომწირველთა 25 გვარიც.¹⁷ 1931 წლის 17 ოქტომბრის საღამოს ანგარიშში ნათქვამია, რომ უხვი შესანიშნავი გაუღია ლედი დეტერდინგს და ქ. აბაშიძეს (500 ფრანკი). გარდა ამისა მხატვარ

11 მონოდება ტუბერკულოზიან ავადმყოფთა დამხმარე კომიტეტისა, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1929, N39, გვ. 15.

12 ქართული საღამო, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1929, N46, გვ. 1.

13 წლიური ანგარიში ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტისა, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1930, N52, გვ. 13-15.

14 ი. ჟორდანი, ქლექიან ავადმყოფთა დამხმარე კომიტეტში, ჟურნ. „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1930, N7, გვ. 4.

15 ქართველები საფრანგეთში, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1930, N59, გვ. 16.

16 მოხსენება და ანგარიში ტუბერკულოზიან ავადმყოფთა დამხმარე კომიტეტისა, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1931, N62, გვ. 16.

17 ტუბერკულოზით ავადმყოფთა კომიტეტის 16 აპრილის საღამოს შემოსავალ-გასავალი, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1931, N67, გვ. 16.

მიხეილ ბილანიშვილს თავისი ნახატები შეუწირავს.¹⁸ ამ საღამოს გამოცხადდა ორგანიზაცია „ეთერი გიორგი“. ინფორმაციის ავტორი აღნიშნავს, რომ საღამოს ბევრი უცხოელი ესწრებოდა, რომლებიც მოიხიბლნენ ქართული ცეკვა-სიმღერით და შესანიშნავი ბევრი გაიღეს. განსაკუთრებული მადლობით იყო მოხსენიებული, ქ-ნი თ. ერისთავი, რომელმაც „დიდი შრომა გაიღო საღამოს მოსაწყობად“.¹⁹

1934 წლის აპრილში გამოქვეყნდა მონოდება უცხოეთში გადახვენილ ქართველთა მიმართ, სადაც ხაზგასმულია, რა გაჭირვებას განიცდის ქართველობა უცხოეთში, რომელთა შორის მორალური დეპრესია და სიკვდილიანობა და მრავალგვარი ავადმყოფობანი იყო გახშირებული. აღნიშნულია: „დღემდე მარტოდ-მარტო ქლექით ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოება ზრუნავდა და ზრუნავს მძიმე ავადმყოფებზე“.²⁰

გადაწყდა, რომ ზემოხსენებული მიზნის უკეთ შესასრულებლად დაარსებულიყო ქართველ ახალგაზრდათა დამხმარე ორგანიზაცია, რომელიც ქლექით დაავადებულთა დამხმარე საზოგადოების კომიტეტის ცალკე სექცია იქნებოდა. დამხმარე ორგანიზაციის მიზანი იყო როგორც მორალური, ასევე ნივთიერი დახმარება ახალგაზრდებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა ორგანიზაციებმა ამ ორგანიზაციის სასარგებლოდ თავი დაიბერეს, მატერიალური დახმარება საკმარისი არ იყო და საჭირო გახდა ფართო საზოგადოების დახმარება ფულით, სანოვანით თუ ტანსაცმლით.

1937 წლის ბოლოს საზოგადოების გამგეობაში ახალი წევრები შეიყვანეს: ს. ციციშვილი, ნ. იმნაიშვილი, ნ. ზურაბიშვილი, ე. პატარიძე, ვ. ფალავა, თ. ჯაფარიძე და ა. გედევანიშვილი, რომლებიც საქმიანობაში ენერგიულად ჩაერთნენ. გადაწყდა ლტოლვილთა ოფისში მორიგეობის შემოღება, რათა ავადმყოფებისათვის ექიმებისა და საავადმყოფოების შესახებ საჭირო ცნობები მიეწოდებინათ.²¹ კომიტეტი მოსახლეობისაგან მეორად ტანსაცმელს, ფეხსაცმელსა და საცვლებს აგროვებდა, რადგან მათი შეძენის საშუალება ყოველთვის არ ჰქონდა. კომიტეტი სხვადასხვა კატეგორიის 40 ავადმყოფს პატრონობდა: აფინანსებდა მათ მკურნალობას სანატორიუმებში, საავადმყოფოებში, ბინაზე; აწვდიდა წამლებს, საკვებს, თანხას მკურნალობისათვის და, რაც მთავარია, მათ მორალურ თანადგომას უწევდა. ნაკლებად შეძლებული ქართველები ავადმყოფებს პროდუქტებით, მედიკამენტებით და საკუთარი შრომით ეხმარებოდნენ.²²

ამრიგად, აკაკი ჩხენკელის ინიციატივით პარიზში ჩამოყალიბებული ტუბერკულოზით (ქლექით) ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში. კომიტეტის ძალისხმევით, მძიმე სენს თავი დააღწია, სიკვდილს გადაურჩა და გამოჯანმრთელდა უცხოეთის თავმჯდომარეული არაერთი ქართველი.

18 წერილი რედაქციის მიმართ, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1931, N71, გვ. 16.

19 თ. გ-ელი, ქართული საღამო, გაზ. „ეთერი გიორგი“, პარიზი, 1931, N43-44, გვ. 4.

20 მონოდება უცხოეთში გადმოხვენილ ქართველთა მიმართ, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1934, N100, გვ. 15-16.

21 ქართველები საფრანგეთში, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1938, N142, გვ. 16.

22 რ. დუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, გვ. 135.

ELENE KHACHAPURIDZE

Akaki Tchenkeli and the Committee for Assisting Georgian Tuberculosis Patients in Paris

Summary

Akaki Tchenkeli, Georgia's plenipotentiary representative in Paris, London, and Rome, led diplomatic efforts across Europe. Following the Soviet occupation of Georgia, he served as Minister Plenipotentiary of the Georgian Democratic Republic in exile until 1934, when the legation was dissolved. His political, scientific, and cultural contributions in emigration, as well as his service to Georgia and its people, have yet to be thoroughly studied.

This paper focuses on one of Tchenkeli's many contributions: the establishment of a committee in Paris to aid Georgian tuberculosis patients. The committee, initiated under his leadership, provided care and support to many Georgian émigrés, saving numerous lives. Tchenkeli served as its honorary chairman, while Elene Abkhazi acted as chairperson. The establishment and operations of the committee also benefited from the significant efforts of figures such as Inna Zhordania, Vakhtang Ghambashidze, Davit Skhirtladze, Anton Zhorzholiani, and others.

Securing financial resources for the committee proved challenging. It began with no initial funds and lacked the financial means to sustain a sanatorium or operate effectively. Consequently, charitable events were organized periodically, one of the first being the opening event of the season in October 1929. The committee received material support from individuals and various Georgian associations in Harbin, Paris, Odenkirchen, Prague, Persia, and other locations.

In 1934, a separate section of the committee was established, the "Georgian Youth Aid Organization," which focused on supporting young individuals. This section also contributed to saving numerous lives, with Akaki Tchenkeli actively involved in its activities.

პარლო ჩხეიძე

ვარლამ ჩერქეზიშვილის ხსოვნას

როგორც მაგონდება, ეს იყო 1900 წ. მაშინ ბათუმში ვცხოვრობდი. ღამის ათი საათი იქნებოდა სახლში რომ მივედი. მითხრეს, ვარლამ ჩერქეზიშვილი გვესტუმრაო. შევედი, მივესალმე ვარლამს (ეს პირველი შეხვედრა იყო). მან ხელი მომცა და ზედ დაატანა: „ოხ, თქვენი ტუგანი (ბარანოვსკი) მარქსი! რას შევებით, რას ჩადიხართ მარქსისტებო“. – გთხოვთ, ბატონო, დაბრძანდეთ. ჯერ დაისვენეთ, დაღლილი იქნებით და მერე ვილაპარაკოთ ამაზე მეთქი, დავაპირე მეთქვა, მაგრამ ამაოთ: აღელვებული ვარლამი თავისას განაგრძობდა. პირველივე მისი სიტყვებიდან და ლაპარაკის კილოდან მე ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, რომ ის ევროპიდან საქართველოში სწორეთ იმიტომ წამოსულა, რომ ჩვენ წინააღმდეგ კამპანია აწარმოოს. რამდენიმე დღე დაჰყო მან ჩემსას (რასაკვირველია, ის მაშინ არაღეგალურათ ცხოვრობდა) და მთელი ეს დღეები გაატარა ჩვენთან გაუწყვეტელ ცხარე კამათში. შემდეგ ეს პოლემიკა, როგორც მახსოვს, გაგრძელდა ლანჩხუთში, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა: ვერც ლანჩხუთში აღმოჩნდა საერთო რამ ბაკუნინსა და მარქსის მოძღვრებას შორის.

იმხანათ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, როგორც შეურიგებელი მოწინააღმდეგენი და ასევე დავშორდით ერთმანეთს, მაგრამ მოწინააღმდეგე ჩემში დასტოვა მისდამი დიდი სიმპატია და პატივისცემა.

მეორეთ ვარლამი ვინახულე 1919 წელს პარიზის კონფერენციაზე წამოსვლის წინეთ. მახსოვს მაშინდელი მისი დრტივნება: ვაი თუ სავსებით ამონურული ვერ იქნეს ასეთ დროს მნიშვნელობა იმ ფაქტის, რომ ჩვენ რუსეთთან ხელშეკრულება გექონდა, რომ რუსეთმა ეს ხელშეკრულება დაარღვია; ახლა რუსეთი უკვე დაირღვა და ჩვენი უფლება აღდგენილია. ბევრი მწვავე საკითხი გვიდგა მაშინ დღის წესრიგში, მაგრამ ვარლამის მთელი არსება საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრით იყო მოცული.

უკანასკნელათ ვ. ჩერქეზიშვილს შევხვდი 1921 წლის ნოემბერში ლონდონში. მისი სიტყვები, რომელიც მე ძლიერ სშირად მაგონდება, იყო: „ჩვენ გაგვათავისუფლებენ“.

რაოდენი რწმენა, იდეალიზმი და ქართველი ხალხისადმი სიყვარული მომესმა მე ამ სიტყვებში! რაოდენათ ღრმათ სწამდა მას, რომ სიმართლე, მართალი საქ-

მე გაიმარჯვებს; რომ განათლებულმა კაცობრიობამ საქართველოს თავისუფლება უნდა აღუდგინოს; რომ ქართველმა ხალხმა თავისუფლება დაიმსახურა და ამაში მას უარს ვერავენ ეტყვის.

დიახ, უღრმესი სიყვარული თავის ქვეყნისადმი, შეურყეველი რწმენა რომ კაცობრიობა წინ მიდის და მასთან ერთად იქნება ქართველი ხალხი. აი, რა ასულდგმულებად განსვენებულ ვ. ჩერქეზიშვილს.

რევოლიუციის დროს ჩემ სოფელში ჩავედიო, მითხრა მან ერთხელ. აქ ჩემი ხნის გლახმა მოიგონა დიდი ხნის წარსული და სხვათა შორის მითხრა: „ვარლამ, ხედავ, აი, ეს შენი მიწაა, ის შენი ვენახია“. ...მახსოვს ვარლამის გაღიმება, როცა ამას ამბობდა. ეს ღიმილი მე მეჩვენება იმის მოთხრობათ, რომ მან, ვარლამ ჩერქეზიშვილმა დიდი ხანია დასტოვა თავისი მიწის ნაჭრები იმავე გლახისათვის და პირად კეთილდღეობას ამჯობინა საქვეყნო საქმის სამსახური და იდეალისათვის ბრძოლა. ამას შესწირა მან უნაკლულთ თავის ხანგრძლივი ცხოვრება: ამას გვასწავლიდა ან განსვენებული.

თავის ხალხისადმი მხურვალე სიყვარულის მატარებელი და მისი ბედნიერებისათვის დაულაღავი მუშაკი, ის სრულიად თავისუფალი იყო შოვინიზმისა და მასზე აშენებული ანგარიშებისა და კომბინაციებისაგან. მოკლებული სამშობლოში მუშაობის საშუალებას, ის სხვაგან, სხვის ქვეყნებში, სხვა ხალხებში სთესდა სიყვარულს და ნდობას ქართველი ხალხისადმი.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ვერ მოესწრო საქართველოს განთავისუფლებას, მაგრამ მან დაგვიტოვა ურყევი რწმენა, რომ საქართველო განთავისუფლდება. მას ხალხი არ დაივიწყებს და მის ანდერძს განახორციელებს.

ჟურნ. „ბრძოლა“, პარიზი, 1925 წ., სექტემბერი, # 3, გვ. 34-35.

მარიამ მარჯანიშვილი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ემიგრანტ ლადო არველაძის
შემოქმედების კვალდაკვალ

პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი ის მეცნიერი და ლიტერატურისმცოდნე შემოქმედია, რომელიც ანმეოს ყოველთვის მომავლის თვალსაზრისით აფასებს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მას მყარი საზოგადოებრივი პრინციპები გააჩნია და მისით ხელმძღვანელობს, როგორც პირად ურთიერთობაში, ისე მხატვრულ შემოქმედებაში.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის მრავალმხრივი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ცალკე უნდა გამოვყოთ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ცხოვრება-მოღვაწეობის თემა, რომელსაც მან არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა.

ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობის კვლევა ჩვენში ნარმატებით მიმდინარეობს. ამ საქმეში თვალსაჩინოა ავთანდილ ნიკოლეიშვილის წვლილი, რაც სპეცი-ალისტთა შორის ფართოდაა აღიარებული.

საინტერესოა, მისი ნაშრომები: „აკაკი პაპავა – ემიგრანტი პოეტი“ (ყურნ. „სამ-შობლო“ N1, 2009); „ქართული პრესის ისტორიიდან ამერიკაში: „ქართველი ერი“ და „კრებული“ („ქართული ემიგრაცია“ N1, 2013); „ილია კუჭუხიძე (მინდია ლამაური) („ქართული ემიგრაცია“ N2/5, 2014), „იასე მუხუზლა (რაჭველი) – თურქეთში მოღვაწე პუბლიცისტი“ („ქართული ემიგრაცია“ N3(6), 2015); „მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანულ არმიასი მებრძოლი ქართველი ლეგიონერი პოეტები“ („ქართული ემიგრაცია“ N9, 2020-2021); „უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია“ 2014, „ქართული ემიგრანტული მწერლობა“, ქუთაისი, 2006; „ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში“, ქუთაისი, 2009; „ბაქოს ქართული დიასპორის ისტორიიდან“, ქსუ, 2013; „თურქეთის შავი ზღვისპირეთში – ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან“, ქუთაისი, 2016 და სხვა, რომლებშიც ემიგრაციაში მცხოვრებ შემოქმედ თანამემამულეთა საინტერესო პორტრეტულ შტრიხებს გვთავაზობს.

ამასთან დაკავშირებით ნიშნულია აკაკი პაპავას სიტყვები, რომ „ემიგრანტებს მამულის ბედზე ხელი არასოდეს ჩაუქნევიათ, საქართველო იმის გამო არ მიუტოვე-ბიათ, რომ პირადად აეცდინათ მტრის რისხვა, ან უცხოეთში უზრუნველად ეცხოვ-რათ, თავისი ქვეყნისთვის, „ზურგი“ არასოდეს უჩვენებიათ, პირიქით, გონებითა და

თვალთ მისკენ იყვნენ და უცხო ქვეყნებში უკანა ნაბიჯებით, ზურგით“ შედიოდნენ. ...მიტიმაც ეს ფეხი მტკიცედ ვერსად დავდგით, სხვა ერების ლტოლვილებით ხეირიანად ვერსად მოვეწყვეთ, ხეირიანად ვერსად მოვიკალათეთ... 40 წელზედ მეტია ვჯახირობთ და მყარი თავშესაფარი ვერსად გვიპოვნია, თავის გასატანი წყარო ვერ შეგვიქმნია... აქაურობას მხოლოდ „წუთისოფლად“ ვთვლით, „მარადის სოფელი“ კი ჩვენი მიწა-წყალია... ამისათვის ჩვენი თაობის ლტოლვილთ ნუ დაემდურებიან, ამის სათავეც ქართულ ატავიზმში ეძიონ“.

ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, როგორც აღიარებულმა ლიტერატორმა, ზოგადად ემიგრაციის მოვლენებში შეძლო ქართველ ემიგრანტებისათვის დამახასიათებელი ატავიზმის გამოვლენა. პირველ რიგში, ესაა საკუთარ მიწა-წყალზე მიჯაჭვულობის მამა-პაპათაგან მომდინარე თვისება. სწორედ, ამ სენისაგან გამოწვეულია ის მარადიული ნოსტალგია, რომელიც განსაკუთრებით ქართველ ემიგრანტებს ახასიათებს.

ქართველობის საყრდენი ქართველშივე უნდა ვიპოვოთ. და, რაკი ლიტერატურა ეპოქის სულის მხატვრული ჩვენებაა, ცხადია, ეს მუხტი კარგად გაითავისა მეცნიერ-მკვლევარმა. ამ მოტივის კონსტანტაციაა გაშლილი ქართველი ემიგრანტის ლადო არველაძის შემოქმედებასა და ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში.

საერთოდ, როგორც ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე განმარტავდა: „ადამიანის ფსიქიკა ორ პოლუსს – სევდასა და სიხარულს, სიამოვნებასა და უსიამოვნებას შორის მიმდინარეობს. ეს ორი გრძნობა, სევდა და სიხარული, ან სიამოვნება და უსიამოვნება ადამიანის ყველა განცდას მეტი თუ ნაკლები სიძლიერით, სრული სინათლით, თუ ბუნდოვანებით, ცნობიერი გამოკვეთილობით, თუ ძნელად მისაწვდომ ქვეცნობიერი დაფარულობით ემოციურობას თავისებურ ხასიათს ანიჭებს.“

ადამიანის ყოველი ფსიქიკური განცდა: „ინტელექტუალური, ემოციური თუ ნებელობითი აუცილებლად სევდის ან სიხარულის, სიამოვნებისა ან უსიამოვნების განუსაზღვრელ ნიუანსების გავლენას აღიბეჭდავს“.

დღემდე ნაკლებად ცნობილი ქართველი ემიგრანტი მწერლის ლადო არველაძის სამშობლოში გამოგზავნილი ეპისტოლეებში ტანჯვა, დეპრესია თუ სევდა დაკავშირებულია მისი ახლობლების დაშორებასთან და სიკვდილთან.

ლადო არველაძის სულის სამარხში ჩაბუდებული სევდის მიზეზის დასტურია ის ამონარიდები, რომელიც მოგონებათა აკვიატებიდან გამომდინარეობს და ქვეცნობიერია: „მე ვწერ ჩემს თავგადასავალს, ომის ამბებს, ტყვეობას. ორი წიგნი უკვე გამოვუშე. მას აქვს იმისთანა მოწონება ქართველებში, რომ დღე არ გავა, ორი-სამი წერილი არ მივიღო ქვეყნის მრავალი კუთხიდან, სადაც კი ცხოვრობენ ქართველები, მადლობის წერილი. – გენაცვალეთ, ლადო, მაგ კალამშიო. ასე მწერენ ჩვენი ქართველები.“

ახლა ვცდილობ, როგორმე გადავთარგმნო ინგლისურად ან იტალიურად ჩემი შრომები“, – წერდა ამერიკიდან გამოგზავნილ 1964 წლით დათარიღებულ ბარათში.

ამავე წერილის ბოლოს ლადო არველაძე ხაზგასმით აღნიშნავდა: „სხვა – ამ ქვეყანასთან არაფერი მაქვს სასაყვედურო. პირიქით, ყველამ შემიწახა, ყველამ შემეფარა, მაჭამა, მასვა, ჩამაცვა და დამახურა, მაგარამ საბჭოთა სამოთხის დაგვარმა ე. წ. ჩემმა მთავრობამ კი დამასწულა სამუდამოდ. ყოველშემთხვევაში ახლა ცოტათი ჯობია მაქაური ცხოვრება წინანდელს. სტალინი რომ ჩაძალდა ცოტათი მოეშვა მაქაურ ხალხს.“

აქ, არავინ ანუხებს ადამიანს. თავისუფლად სუნთქავს ადამიანი. რომ გამოხვიდე და დილიდან საღამომდე რომ აგინო ეს მთავრობა, კაცი არ გაგცემს ხმას. აი, რას ნიშნავს თავისუფლება“.

ომის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე ფაშისტებს გამოქცეული და მშიერ-მწყურვალი ყოფილი საბჭოთა ჯარისკაცი ლადო არველაძე დიდხანს დაეხეტებოდა იტალიის ქალაქებსა და სოფლებში. ამ ხეტიალისას გაიცნო მან იტალიელი ქალი, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი. იტალიაში, ისე როგორც მთელ ევროპაში ტყვედ ჩავარდნილ საბჭოთა ჯარისკაცთა ბედი საფრთხის წინაშე იდგა. გერმანელებთან თანამშრომლობისათვის რეპატრიაციის შიშით 40-იანი წლების ბოლოს და 50-იან წლებში მათი ერთი ნაწილი ამერიკაში, კანადასა და ავსტრალიაში გადასახლდა. ზოგმა კი ლათინურ ამერიკას მიაშურა, განსაკუთრებით კი არგენტინას, რადგან ამ ქვეყნის პრეზიდენტი გენერალი ხუან პერონი ნაციონალისტებს განსაკუთრებით უთანაგრძნობდა.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო ლადო არველაძის ტყვეობის ამსახველი პასაჟი მისი ერთ-ერთი წერილიდან, რომელსაც იმონმებს ავთანდილ ნიკოლეიშვილი: „ცხრა თვეს ვიყავი, ცეცხლის ხაზზე. ერთ წუთში არ მქონდა მოსვენება. ვეზიდებოდი ყუმბარებს პოზიციებზე. მარცხენა ხელის ცერი ნახევრად წამგლიჯა ქვემეხის პრუჟინამ. ექიმმა თქვა, უნდა მოიჭრას ცერი თუ არა განგრენას მიიღებო. სამი დღის შემდეგ სევესტოპოლის მთელი არმია ტყვედ ჩაუუვარდით ნემცებს.“

შენ არ იცი, დედა, რა გაჭირვება გამოვიარე ტყვეობაში. პირველ ათ დღეს მარტო წყალზე ვფიქრობდი. ნეტავ წყლით გამაძლო და მერე მომკლან მეთქი. ერთ დღეს მოგვრეკენ ერთ პატარა მდინარესთან, გაეძეხი წყლით. მერე პურით გაძლო-მაზე ვფიქრობდი. ახლა რომ ვუყურებ ჩემს სუფრას და პირამდე გატენილ საყინულეს, თავი სიზმარში მგონია, რას წარმოვიდგენდი თუ დავაღწევდი თავს ტყვეობას და ასე თავზე საყრელი მექნებოდა ყველაფერი“.

ლადო არველაძე თავის შემოქმედებასა და პირად წერილებში ოსტატურად იყენებს გამკენლავ სტრიქონებს, რომლითაც ააშკარავენს საბჭოთა წყობილების დაქტატორულ ხასიათს. ამიტომაც თავის შემოქმედებაში იგი ყურადღებას ორ ძირითად ტენდენციაზე – სატირულსა და მორალურზე ამახვილებს.

ნიგნის ავტორის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის აზრით, ლადო აველაძის ეს აღიარება არაა მარტო იმ რეჟიმის მხოლოდ სიძულვილი, არამედ უფრო ძველის ნგრევისა და ახალი ურთიერთობის დამყარებისკენაა მიმართული.

მკითხველი გვერდს ვერ აუვლის სხვა პასაჟებსაც, რომლითაც ლადო არველაძის ეპისტოლეებია გაჟღერებული: „ადრე გაეცალენე ამ ტანჯულ ქვეყანას. ჩემი მაგდანია, ჩვენი გამზრდელი, მანჯურის მინაში მარხია. ბედმა საქართველოში არ გაიმეტა მისთვის საფლავის მინა. საერთოდ, ჩვენს ოჯახს ცუდი ილბალი დაყვა თავიდანვე: დედაჩემი 28 წლისა გარდაიცვალა და მამაჩემი იმ რწმენით ჩავიდა საფლავში, რომ მე უკვე ცოცხალი აღარ ვიქნებოდი. თუმცა ჩემი ოჯახისათვის მე მართლა არა ვარ ცოცხალი. რა არის სიცოცხლე უცხოეთში, როცა ვერ ხედავ შენიანებს. ვერ განიცდი შენი გამზრდელი კუთხის სიტკბობას. ოცდათერთმეტი წელიწადია, სულ უცხო ხალხი მახვევია ირგვლივ. სულ უცხოებში ვცხოვრობ. არა, ასეთ სიცოცხლეს სიცოცხლე არ ჰქვია“.

„მიდიან დღეები უხალისოდ და უმიზნოდ. ნება რომ დაერთოთ ჩვენთვის მატეთ ჩამოსვლის, ცოტათი გავიხარებდით. გავატანდით ქარს ამ დარდებს. მერმე შეიძ-

ლება მთლიანად გადმოსახლება ულიყავით მაქეთ და ჩვენი დღენი გაგველია თქვენს ხელში“.

„იტალიაში წინათაც მიცხოვრია. ომის დასრულებამ აქ მომიხსნო. 1951 წლის იანვრამდე აქ ვიყავი. ცოლი აქ შევირთე. იტალიაც ჩემი მეორე სამშობლოა“.

ზემოთ აღნიშნულ ამონარიდებში აშკარად იკვეთება ემიგრანტთა თაობის ტკივილები, რომელიც საკუთარ ჭირადაა მიჩნეული. და, როგორც ემიგრანტი სოფიო ჩიჯავაძე-კედეია ამბობდა: „თუ ჩვენ იარებს სამკურნალო მაღამო ვერ აღმოვუჩინეთ, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენ ძალ-ღონეს აღემატებოდა.“

აშკარაა, პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილმა სიზიფის შრომა გასწია დღემდე ჩრდილში მყოფი ემიგრანტი შემოქმედის ლადო არველაძის წარმოსაჩენად. მეცნიერმა პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლის ქართულ სივრცეში შემოყვანით, არამარტო გააფართოვა მკითხველთა აუდიტორია, არამედ სპეციალისტებს მისცა საშუალება ქართული ემიგრანტული კულტურულ-ლიტერატურულ სამყაროში დღემდე უცნობი კალმის ოსტატი დაემკვიდრებია.

მართლაც, ქართული მწერლობის ამ უპრეტენზიო წარმომადგენლის შემოქმედება მივიწყების ღირსი არ არის, თუნდაც იმიტომაც, რომ მან დაგვიტოვა მოთხრობებისა და ეპისტოლეების არნახული ნიმუშები.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის ახალი წიგნი „ლადო არველაძე – უცნობი ქართველი ემიგრანტი მწერალი“ წარსულთან უხილავი დაფებითაა გადაბმული, რომელსაც ვერავითარი ძალი მოსპობს და ვერც შეცვლის, რადგან ყველა ეს მონათხრობი წარსულში გადადის და თავსდება თავის არეალში. მხოლოდ იქ პოულობს თავის მე-ს, საიდანაც მოდის სულიერი საზრდო, ავიცა და კარგიც, ტკბილიცა და მწარეც.

ალბათ, უტყუარია, რომ ავთანდილ ნიკოლეიშვილმა ამ რწმენით და იმედით გამოიტანა პირველად მზის სინათლეზე ლადო არველაძის შემოქმედება.

და, ბოლოს, ემიგრანტ ლადო არველაძის პირად წერილებში, მართალია, განსაკუთრებით გამოიკვეთება სუბიექტურობა, მაგრამ ასეა თუ ისე, ეპისტოლარული სფერო ემიგრანტული მემკვიდრეობის კვლევისას მაინც უნიკალური დოკუმენტური მასალაა და ამავე დროს ფასეულ ფენომენსაც წარმოადგენს.

ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყებები საქართველოში. 1921-1924. ნარკვევი. დოკუმენტები. შემდგენლები: ლევან ჯიქია და დიმიტრი სილაქაძე, თბ., 2024.

რუსუდან დაუშვილი, ქართველი ქალები ემიგრაციაში, თბ., 2024.

მამუკა გოგიტიძე, არჩილ ჩაჩხიანი, გია ნაირაშვილი, მამია გოგოლაძე, დავით მჭედლიძე, დამოუკიდებელი საქართველოს გენერლები და ადმირალები, თბ., 2024.

არჩილ კობრეიძე, ექვთიმე თაყაიშვილი – საფრანგეთიდან საქართველოში განძის დაბრუნების ინიციატორი. 1930-იანი წწ. თბ., 2024.

1924 წლის აჯანყება საქართველოში. ბიბლიოგრაფია, თბ., 2024.

1924. ასი წელი აჯანყებიდან, თბ., 2024.

მურმან თავდიშვილი, ვიქტორ ნოზაძის მეტყველებანი, თბ., 2024

ერიკ ლი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება – საქართველო და დემოკრატიული სოციალისტების დაბადება, თბ., 2024.

გიორგი მამულია, ნიკოლოზ სეფიაშვილი, „თეთრი გიორგი“-ს იდეოლოგიურ-ორგანიზაციულ საწყისებთან. დოკუმენტები და მასალები პირადი არქივებიდან, თბ., 2024.

ნინო ოქროსცვარიძე, ჰაიდელბერგული ჩანაწერები. ილია ხიმშიაშვილი – გზა თურქეთიდან გერმანიამდე, თბ., 2024.

ოთარ ჯანელიძე, ოპოზიციური სპექტრი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბ., 2024.

ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება ასი წლის გადასახედიდან, თბ., 2024.

ლევან ჯიქია, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ისტორიოგრაფია, თბ., 2024.

2024 წლის 6 აგვისტოდან 10 აგვისტომდე გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა პაატა ნაცვლიშვილმა და პარიზში მცხოვრებმა ქართველმა პოლიტიკურმა ემიგრანტმა, ცნობილმა ჟურნალისტმა ბონდო ქურდაძემ გაიმეორეს გზა ლუარის ხეობაში ნუარმუტიედან პარიზამდე, რომელიც 1927 წელს გაიარეს პირველი ქართული ველომოგზაურობის მონაწილეებმა: გიორგი ნიკოლაძემ, მისმა მეუღლემ ჟორჟეტა ღამბაშიძემ და მათმა მეგობარმა ლადო ფხალაძემ. პროექტის სპონსორები იყვნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი. მალე გამოვა ალბომი ამ მოგზაურობის შესახებ.

2024 წლის 10 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა 1924 წლის აგვისტოს სახალხო აჯანყების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

2024 წლის 23 სექტემბერს ლევილის ქართულ კერაში, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრთა მონაწილეობით, გაიმართა 1924 წლის აგვისტოს სახალხო აჯანყების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ექვთიმე თაყაიშვილის საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციამ 2024 წლის 23 სექტემბერს გამართეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „1924 წლის აჯანყების მე-100 წლისთავისთვის. ანტისაბჭოთა მოძრაობა აფხაზეთში (1921-1924)“.

2024 წლის 27 სექტემბერს, ვაშინგტონში, აშშ-ში ქართული ასოციაციის ორგანიზებით, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიასთან და ჰარვარდის უნივერსიტეტის საქართველოს შემსწავლელ პროგრამასთან პარტნიორობით, კომუნიზმის მსხვერპლთა მემორიალურ მუზეუმში, გაიმართა 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების 100 წლისთავის მიძღვნილი ღონისძიება.

2024 წლის 3-5 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მიეროშვესკის ცენტრის (პოლონეთი) და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ეგიდით მოეწყო საერთაშორისო კონფერენცია „ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტისაბჭოთა მოძრაობა

კავკასიასა და აღმოსავლეთ ცენტრალურ ევროპაში“, რომელიც მიეძღვნა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ასი წლისთავს.

2024 წლის 29-30 ნოემბერს, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ოქროს საწმისი“ ჩატარდა. კონფერენცია მიეძღვნა ქეთევან დედოფლის მონამეობრივი აღსრულებიდან 400 და 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავს.

2024 წლის 4 დეკემბერს, პარიზში, ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის ორგანიზებით, გაიმართა 1924 წლის ეროვნულ აჯანყებისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

ნიკა ბურჯანაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის მიმართულების მაგისტრანტი

მარიამ გოგია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის მიმართულების მაგისტრანტი

რევაზ გულაშვილი – მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ბატალიონ „ბერგმანის“ ყოფილი მებრძოლი

რუსუდან დაუშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პაატა ნაცვლიშვილი – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი – სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი, ისტორიის აკადემიური დოქტორი

ნიკოლოზ სეფიაშვილი – ეკონომისტი, ისტორიკოსი. კანადურ-ქართული სავაჭრო პალატის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში

პაატა სურგულაძე – ისტორიის აკადემიური დოქტორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი

დავით ყოლბაია – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის კავკასიოლოგიურ/ ქართველოლოგიური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი

გაგა შურლაია – საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, „ლ'ორიენტალეს“ პროფესორი

მაია ცერცვაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი

ლალი ცომაია – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ქართული ემიგრაციის ისტორიის მკვლევარი

დოდო ჭუმბურიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

ელენე საჭაპურიძე – წმ.ანდრეას ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი

ნიკო ჯავახიშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ოთარ ჯანელიძე – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ილიას უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი